საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

მისეილ სვანიძე

საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები

(XIV — XVIII სს.)

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1990

63.3(2 Г)
ს 451

ნარკვევებში გაშუქებულია ოსმალეთის სახელმწიფოს წარმოშობა, მისი დაპყრობითი ომები, მართვა-გამგებლობის სისტემა. ოსმალთაგან კონსტანტინოპოლისა და ტრაპიზონის დაპყრობა და მისი ისტორიული მნიშვნელობა საქართველოსა და ქრისტიანული ქვეყნებისათვის. შესწავლილია XIV—XVIII სს-ში საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის მრავალი საკითხი, საქართველოს მონაწილეობა ანტიოსმალური კოალიციების ორგანიზაციის საქმეში. ქართველი ხალხის ბრძოლა ოსმალო დამპყრობთა წინააღმდეგ. ქართველების მოღვაწეობა ოსმალეთისა და ირანის პოლიტიკურ სარბიელზე და სხვა.

წიგნი განკუთვნილია საქართველოს, თურქეთისა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიის სპეციალისტებისა და, აგრეთვე, მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის.

რედაქტორი ისტ. მეცნ. დოქტ. ო. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი
რეცენზენტები: ისტ. მეცნ. დოქტ. დ. კ ა ც ი ტ ა ძ ე,
ისტ. მეცნ. დოქტ. კ. კ უ ც ი ა

ს 0503020906 / M 607(06)—90 207—99
ISBN 5—520—00457—9

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1990

ოსმალთა სახელმწიფოს წარმოშობა

XI საუკუნის 30-იანი წლებიდან მახლობელ აღმოსავლეთში იწყება თურქ-სელჩუკთა შემოსევები. ეს იყო თურქული ტომების ყველაზე მასობრივი გადმოსახლება, რომელმაც საფრთხე შეუქმნა ამ რეგიონის კულტურულ ქვეყნებს. თურქ-სელჩუკები ეკუთვნოდნენ ოღუზ-თურქმენულ ტომებს და თავდაპირველად ცენტრალური აზიის სტეპებში ბინადრობდნენ, ხოლო შემდეგ შუა აზიაში გადმოვიდნენ და არალის ტბასა და ურალს შორის მომთაბარეობდნენ. თურქ-სელჩუკები საზოგადოების განვითარების გვაროვნული წყობილების საფეხურზე იდგნენ და მომთაბარე მეჯოგეები იყვნენ. ოღუზები 24 შტოდ იყოფოდნენ. სელჩუკები ოღუზთა ერთ-ერთ შტოს — კინიკს ეკუთვნოდნენ. ოღუზ-თურქული ტომები გააერთიანა სელჩუკთა გვარმა X საუკუნის მეორე ნახევარში და შემდგომ დინასტიის სახელწოდება — სელჩუკები — გავრცელდა მთლიანად მის მიერ გაერთიანებულ ტომებზე. X საუკუნის ბოლოს სელჩუკებმა ისლამი მიიღეს. შუა აზიაში დაწყებულმა საძოვრების კრიზისმა სელჩუკები აიძულა ახალი საცხოვრებელი ადგილები ეძებნათ. ისინი თავიანთი ოჯახებითა და ჯოგებით მახლობელი აღმოსავლეთისაკენ დაიძრნენ. 1040 წელს სელჩუკები შეიჭრნენ ირანში და 1055 წლისათვის მთლიანად დაიპყრეს იგი. იმავე წელს ხელთ იგდეს ბაღდადი, სახალიფოს რეზიდენცია. სელჩუკების ბელადმა თოღრულ ბეგმა აიძულა ხალიფა ებოძა მისთვის სულთნის ტიტული.

1071 წელს სელჩუკებმა მანასკერტთან ბრძოლაში სასტიკად დაამარცხეს ბიზანტიელები და იმპერატორი რომან IV დიოგინე ტყვედ იგდეს. ამ ბრძოლის შემდეგ ბიზანტიამ საბოლოოდ დაკარგა აღმოსავლეთი, თავისი პროვინციებით. მცირე აზიაში თურქ-სელჩუკები გაბატონდნენ.

1081 წელს სელჩუკებმა ხელთ იგდეს ნიკეია (იზნიკი) და იგი დედაქალაქად აქციეს. 1085 წელს მათ დაიპყრეს იზმირი (სმირნა) და თითქმის მთელი მცირე აზია მათ მფლობელობაში აღმოჩნდა.

დაპყრობითი ომების შედეგად სელჩუკებმა ხელთ იგდეს ირანი, თითქმის მთელი მცირე აზია, სირია, პალესტინა, აზერბაიჯანი, სომხე-

თი, საქართველოს ნაწილი და დააარსეს დიდ სელჩუკთა სახელმწიფო, რომლის საზღვრებიც გადაჭიმული იყო ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებიდან შუა აზიამდე. დიდ სელჩუკთა სულთანი მალიქ-შაჰი (1072—1092) თავმომწონედ აღნიშნავდა, რომ შუა აზიიდან წამოსულმა თავისი ცხენი ხმელთაშუა ზღვის წყლებში შეაცურა.

მომთაბარე თურქ-სელჩუკების შემოსევებმა უდიდესი ზიანი მიაყენეს ახლო აღმოსავლეთის როგორც ქრისტიან, ისე მუსლიმან კულტურულ ხალხებს.

მათ ყველგან სჭირდებოდათ იალაღები და ყიშლაღები თავიანთი ოჯახებისა და ჯოგებისათვის. ამიტომ მათთვის სულ ერთი იყო — ვის ეკუთვნოდა მიწა — ქრისტიანებს თუ მუსულმანებს[1]. დიდი ზიანი მიაყენეს თურქ-სელჩუკებმა საქართველოსაც[2].

ახალი ტერიტორიის დაპყრობის დროს ისინი ქვეყნებს ანაწილებდნენ სელჩუკთა დინასტიის სახლის წევრებს შორის. ასე შეიქმნა, მაგალითად, 1077 წელს რუმის სასულთნო მცირე აზიაში[3], რომელიც წარმოადგენდა დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ნაწილს. XII საუკუნის შუა წლებამდე სიტყვა „რუმ"-ის ქვეშ იგულისხმებოდა ბიზანტიის იმპერია და მასში შემავალი მცირე აზია[4].

XI საუკუნის 50-იან წლებში შუა აზიიდან მოდის ოღუზთა ტომების ახალი ტალღა; 1154 წელს ოღუზებმა ტყვედ იგდეს დიდ სელჩუკთა უკანასკნელი სულთანი სანჯარი (1117—1157). 1157 წელს სანჯარის სიკვდილის შემდეგ დიდ სელჩუკთა სახელმწიფო ცალკეულ სასულთნოებად დაიშალა.

სელჩუკთა რუმის სასულთნო ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სახელმწიფო გახდა მცირე აზიაში. მნიშვნელოვნად გაფართოვდა მისი საზღვრები ამ ტერიტორიაზე, ამიერიდან სასულთნო საფრთხეს უქმნიდა თვით ბიზანტიის დედაქალაქ კონსტანტინოპოლს. მაგრამ მალე

---

[1] ვ. გ ო ბ ი შ ვ ი ლ ი, დიდ სელჩუკთა სახელმწიფო, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957, გვ. 122—140.

[2] ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, თბ., 1968.

[3] В. А. Г о р д л е в с к и й, Государство Сельджукидов Малой Азии— Избранные сочинения, т. I, М., 1960.

[4] რუმი — ასე უწოდებდნენ არაბები, ხოლო შემდგომ სელჩუკები ანატოლიას. ეს სახელი წარმოდგება ბიზანტიის იმპერიის ოფიციალური სახელწოდებისაგან, რომელსაც ტრადიციულად ეწოდებოდა რომის იმპერია ან რომი (ლათინური რომა, ბერძნული რომე). ბერძენ-ბიზანტიელები (მცირე აზიის მცხოვრებნი) ასევე თავიანთ თავს უწოდებდნენ რომეამებს (რომაელებს). სახელწოდება „რომე" შემორჩა თურქულ ენაშიც „რუმ". უფრო გვიან მას უწოდებდნენ თურქეთის ევროპულ ნაწილს — რუმელია (თურქ. — რუმელი — რუმის ქვეყანა).

სელჩუკთა წინსვლა დასავლეთის მიმართულებით შეჩერდა ჯვაროსანთა ლაშქრობების შედეგად.

ჯვაროსანთა პირველი (1096—1099) ლაშქრობის დროს რუმის სასულთნომ მარცხი განიცადა. ჯვაროსნებმა აიღეს რუმის სასულთნოს დედაქალაქი ნიკეია, ხოლო ესჩი-შეჰირთან დამარცხების შემდეგ, სელჩუკები დასავლეთ ანატოლიიდან აღმოსავლეთ ანატოლიაში იქნენ უკუგდებულნი.

1116 წელს სასულთნოს დედაქალაქი გადაიტანეს ქ. კონიაში და მას შემდეგ სასულთნოს გაუქმებამდე (1307) რუმის სასულთნოს ეწოდებოდა კონიის (იკონიის) სასულთნო.

1204 წელს მეოთხე ლაშქრობის დროს ჯვაროსნებმა ხელთ იგდეს კონსტანტინოპოლი. მართალია, 57 წლის შემდეგ მიხეილ პალეოლოგმა აღადგინა ბიზანტიის იმპერია, მაგრამ მან შეინარჩუნა მხოლოდ ძველი დიდების შარავანდი. ბიზანტიის იმპერიის დასუსტებამ ხელი შეუწყო სელჩუკთა ექსპანსიონისტურ მისწრაფებებს. 1207 წელს სელჩუკებმა დაიპყრეს ანატოლია და გავიდნენ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, ხოლო 1214 წელს — სინოპის მხარე, შავი ზღვის სანაპიროზე, მალე სელჩუკების ვასალები გახდნენ ტრაპიზონისა და კილიკიის სამეფოები.

XIII საუკუნის 20—30-იან წლებში კონიის სელჩუკთა სასულთნომ თავისი ძლიერების ზენიტს მიაღწია. ახლო აღმოსავლეთს ახალი დამპყრობელი მოევლინა მონღოლების სახით. მონღოლებმა დიდი ზიანი მიაყენეს ახლო აღმოსავლეთის ფეოდალურ მეურნეობას და ეკონომიკურ ცხოვრებას. ცნობილია, რომ მონღოლთა ლაშქრის უმეტესობას თურქული ტომები შეადგენდნენ. ამიტომ მონღოლთა შემოსევების ერთი მნიშვნელოვანი შედეგი იყო თურქული ელემენტის გაზრდა-გაძლიერება მახლობელ აღმოსავლეთში[5].

1242 წლამდე მონღოლებმა დაიპყრეს შუა აზია და ირანი, თავს დაესხნენ სელჩუკთა სულთანათის ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინციებს და ხელთ იგდეს ისინი. 1243 წელს ქესედაღთან ბრძოლის შედეგად მონღოლებმა სასტიკად გაანადგურეს სელჩუკები. ამ ბრძოლამ საბოლოოდ გადაწყვიტა სელჩუკთა სულთანათის ბედი. სულთანათის დიდი ნაწილი მონღოლებს (ილხანებს) დაემორჩილა, ხოლო დასავლეთ ანატოლიაზე ფორმალურად ვრცელდებოდა სელჩუკების ხელისუფლება. მონღოლთა შემოსევების შედეგად მნიშვნელოვნად მოზღვავდა მომთაბარე თურქული ტომების რაოდენობა მცირე აზიაში, რამაც გამოიწვია ცენტრიდანული ტენდენციების გაძლიერება კო-

---

[5] ვ. გაბაშვილი, მახლობელი აღმოსავლეთი მონღოლთა შემოსევის პერიოდში, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, გვ. 157.

ნიის სასულთნოში. უკვე XIII ს-ის დამდეგისათვის აქ თითქმის ორი ათეული პატარა თურქული ბეილიქი (სამთავრო) არსებობდა, რომლებიც ფაქტიურად არ ემორჩილებოდნენ არც მონღოლებს და არც სელჩუკთა სასულთნოს. ასეთები იყო გერმიანის, მენთეშეს, სარუხანის, აიდინის, კარასის და სხვა.

მათ შორის ყველაზე სუსტი ოსმანის ბეილიქი იყო. მაგრამ, მრავალი გარემოების წყალობით, ოსმანის სამთავრო, შედარებით სუსტი და ნაკლებად განვითარებული სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, გახდა მთავარი ბირთვი ახალი სახელმწიფოს ჩამოყალიბების საქმეში.

შუა აზიიდან დასავლეთის მიმართულებით მომავალ ჩინგიზ ხანის ურდოში ოღუზ-თურქმანებიც იღებდნენ მონაწილეობას, დაახლოებით 50 ათასი კაცის რაოდენობით, რომელთა წინამძღოლი იყო სულეიმანი. XIII ს-ის 30-იან წლებში ეს ურდო მცირე აზიაში მოვიდა. გზაში მდ. ევფრატზე გადასელის დროს სულეიმანი წყალში დაიხრჩო. სულეიმანის შვილებს შორის განსაკუთრებით თავი გამოიჩინა მისმა ერთერთმა ვაჟმა ერთოღულმა, რომელიც ეკუთვნოდა ოღუზთა მოდგმის ქაიას ტომს. მან თავისი ტომის ხალხით 400 კიბიტით გააგრძელა გზა დასავლეთის მიმართულებით და მალე სელჩუკთა სულთნის ქვეყანაში გაშალა თავისი კარვები. ერთოღულმა სულთანს გარკვეული სამხედრო სამსახური აღმოუჩინა, ამის საფასურად სულთანმა ალა ედ-დინ ქეიყობად I (1215—1236) ერთოღულს უბოძა უჯი, სეგუთის რაიონში, ყარაჰისარსა და ბილეჯიკს შორის, ბიზანტიის საზღვართან. მალე ერთოღულმა ხელთ იგდო ციხე-სიმაგრე ყარაჰისარი და იგი გახდა მის მიერ დაარსებული საემიროს სატახტო ქალაქი. სელჩუკთა სულთნები უჯებს (სასაზღვრო ტერიტორიებს) უბოძებდნენ ტომთა ბელადებს მემკვიდრეობით. უჯბეგებს ევალებოდათ საზღვრების დაცვა და შეეძლოთ თავიანთი სამფლობელოს გაფართოება მეზობელი ქვეყნების ხარჯზე. უჯბეგები თავისი ტომით მომთაბარეობდნენ ქვეყანაში და კრეფდნენ ხარკს ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობისაგან. მათი ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობა იყო მეზობელი ქვეყნების ძარცვა-გლეჯვა. ამის გამო კ. მარქსი წერდა: „...орда турок-османов вступает в Малую Азию, где она прежде всего основывает разбойничье государство Карахиссар"[6].

ერთოღული ენერგიულად შეუდგა თავისი ტერიტორიის გაფარ-

---

[6] К. Маркс. Хронологические выписки, Архив К. Маркса и Ф. Энгельса, т. V, с. 223.

თოებას მეზობელი ქვეყნების ხარჯზე. ეს პროცესი კიდევ უფრო გაძლიერდა მისი მემკვიდრეების დროს.

1281 წელს ერთოღულის სიკვდილის შემდეგ ტომის ბელადი და უჯბეგი გახდა მისი შვილი ოსმანი (1258—1324). ახალმა სახელმწიფომ და დინასტიამ ოსმანის (ოსმალეთის) სახელწოდება მიიღო, თუმცა ფაქტიურად მისი დამაარსებელი ერთოღული იყო.

საქართველოში ახლად შექმნილ სახელმწიფოს იმთავითვე ოსმალეთს უწოდებდნენ, ხოლო მის ხალხს თურქ-ოსმალებს, განსხვავებით თურქ-სელჩუკებისაგან. ბერი ეგნატაშვილი თავის „ისტორიაში“ ოსმანის მიერ დაარსებული სახელმწიფოს შესახებ წერს: „გამოჩნდა კაცი ერთი ოსმან სახელითა და სჯულითა სუნი. ამან იწყო მეკობრობა, განიმრავლა მრავალი საქონელი მეკობრობითა და მით შემოიყარა მრავალი კაცი. და დაიპყრა არაბისტანი და ტახტად ჰქონდა ბურსა და დაჯდა მუნ“[7].

ქართველებმა მალე საკუთარ თავზე გამოსცადეს ამ დამპყრობელი სახელმწიფოს აგრესიული ბუნება, რამაც სათანადო ასახვა ჰპოვა ქართულ წყაროებშიც.

ევროპელებმა ოსმანს ოტო შეარქვეს და აქედან — ოტომანთა სახელმწიფო, ოტომანთა იმპერია.

ოსმანის მოღვაწეობის შესახებ იმდროინდელ წყაროებში მეტად ძუნწი ცნობებია შემონახული, ხოლო მომდევნო პერიოდში შედგენილი ოსმალური წყაროები აიდეალებენ მის საქმიანობას და მისი გვარის წარმომავლობას ლეგენდარულ პიროვნებებს ნოეს, ოღუზ ხანს და მუჰამედსაც კი უკავშირებენ.

ამ დროს ბიზანტიის სახელმწიფო დასუსტებული იყო და ოსმანმა თავისი მახვილი, უპირველესად ყოვლისა, მის წინააღმდეგ მიმართა. მცირე დროის განმავლობაში მან შესძლო დაეპყრო ბიზანტიის ბევრი ქალაქი და გამაგრებული ადგილი. 1283 წ. ოსმანმა ხელთ იგდო პატარა ქალაქი ყარაჯაჰისარი. ადგილობრივმა მოსახლეობამ გაქცევით უშველა თავს. აქაური მოსახლეობის ქრისტიანული ეკლესია მეჩეთად იქნა გადაკეთებული, სადაც პირველად დაიწყეს ხუტბას კითხვა ოსმანის სახელის მოხსენიებით. ბიზანტიის მიწა-წყლის დაპყრობის დროს ოსმალები სასტიკად ძარცვავდნენ და აოხრებდნენ ქალაქებსა და სოფლებს, ხოლო მოსახლეობას მონებად ჰყიდდნენ.

1299 წ. ოსმანმა თავი დააღწია სელჩუკთა სულთნის სუზერენიტეტს. ამ წელს სელჩუკთა სულთანი ალა ედ-დინ ქეიყობად III იძუ-

---

7 ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება,—ქართლის ცხოვრება დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959, ტ. II, გვ. 338, 339.

ლებული გახდა გაქცეულიყო ქ. კონიიდან, დედაქალაქში დაწყებული აჯანყების გამო და სულთანატი მეთაურის გარეშე დარჩა. ეს წელი პირობითად ითვლება ოსმალეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაარსების დასაწყისად, თუმცა ოსმანი ჯერ კიდევ ცნობდა ილხანების პოლიტიკურ ხელისუფლებას და მას უგზავნიდა მცირე ხარკს.

1301 წ. ოსმანმა ხელთ იგდო ესქიშეჰირი და იქ გადაიტანა თავისი რეზიდენცია. 1326 წ. ოსმალებმა ორხანის (1324—1360) მმართველობის დროს დაიპყრეს ქ. ბურსა, მდიდარი სავაჭრო და სატრანსპორტო ცენტრი, და სულ მალე იქ გადაიტანეს დედაქალაქი. 1330 წ. ოსმალებმა დაიპყრეს იზნიკი, 1337 წ. — იზმითი და გავიდნენ მარმარილოსა და შავი ზღვების სანაპიროებზე.

პირველი ოსმალო გამგებლები აწარმოებდნენ აქტიურ ექსპანსიონისტურ პოლიტიკას ბიზანტიის წინააღმდეგ, სამაგიეროდ ერიდებოდნენ აშკარა სამხედრო კონფლიქტს მეზობელ თურქულ ბეილიქებთან და ცდილობდნენ დიპლომატიური თუ სხვა საშუალებებით გაეფართოებინათ თავიანთი სამფლობელო ამ მიმართულებითაც.

ამ პოლიტიკის წარმატებით განხორციელებას ის უწყობდა ხელს, რომ სხვა თურქული სამთავროების მოსახლეობას სურვილი ჰქონდა ნებაყოფლობით შეერთებოდა ოსმალეთის სახელმწიფოს, რომელიც ესოდენ დიდ წარმატებებს აღწევდა „ურწმუნოების“ წინააღმდეგ ბრძოლაში. ორხანმა მცირე წინააღმდეგობის დაძლევით თავის სახელმწიფოს შეუერთა სარუხანის ბეილიქი და გერმიანის ბეილიქის ქალაქები — ესქიშეჰირი და ანკარა. 1345 წელს ორხანმა ისარგებლა კარასის ბეილიქში შექმნილი შიდაპოლიტიკური არეულობით და შეუერთა იგი თავის სამფლობელოს. ამიერიდან ოსმალებს საშუალება მიეცათ გასულიყვნენ დარდანელის ზღვის აღმოსავლეთის სანაპიროზე და შეექმნათ პლაცდარმი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე შესაჭრელად.

პირველი ოსმალო გამგებლები ფაქტიურად იყვნენ ტომის ბელადები. ოსმანი და მისი ტომის წევრები ეწეოდნენ ნახევრად მომთაბარე ცხოვრებას. ოსმან ბეი იყო პირველი თანასწორთა შორის.

ოსმალეთის ბეილიქის არსებობის დასაწყის პერიოდში მის სამხედრო ძალას მთელი ტომი წარმოადგენდა. მრავალრიცხოვან თავდასხმებში მეზობელ ტომებზე მონაწილეობდნენ არა მარტო მამაკაცები, არამედ, აგრეთვე, ქალები და ბავშვებიც. მომთაბარეები ბავშვობიდანვე ეჩვეოდნენ ცხენისა და იარაღის ტარებას. განუწყვეტელი თავდასხმები, მუდმივი თავდაცვის საჭიროება აკაჟებდა ხალხს და ხდიდა მას გაბედულ და დახელოვნებულ მეომრად. ერთოლულმა და ოსმანმა დაპყრობით ომებში წარმატებებს მიაღწიეს, უპირველესად ყოვლისა, ტომის მეშვეობით.

ოსმალთა სამხედრო წარმატებათა შედეგად თანდათანობით მეზობელ ბეილიქებიდან მათ უერთდებოდნენ მრავალრიცხოვანი მეომრები და დერვიშების (რელიგიური ორდენების) წევრები, რაც კიდევ უფრო მეტად აძლიერებდა „საღვთო ომისათვის" მებრძოლთა რიგებს. „საღვთო ომი" ფაქტიურად იყო ბრძოლა ახალი მიწების დაპყრობისათვის.

ოსმალო სულთნები თავიანთ პოლიტიკაში ყოველთვის ეყრდნობოდნენ ამ რელიგიურ ძმობებს; ეს სამხედრო რელიგიური ჯგუფები ანატოლიაში არსებობდა ოსმალთა სახელმწიფოს დაარსებამდე. ასეთები იყო: „ღაზიან-ი რუმ", ე. ი. „ანატოლიის ღაზი". იგი ფართოდ იყო გავრცელებული მუსლიმანურ აღმოსავლეთში. ღაზი — რწმენისათვის მებრძოლნი, მუსლიმანურ ჯარში შეადგენდნენ განსაკუთრებით პრივილეგირებულ ჯგუფს. ღაზიები უმთავრესად გამოსული იყვნენ ეაღატაკებულ'ი გლეხებისა და ხელოსნების წრიდან, გაბრუებულნი მუსლიმანური რელიგიური ფანატიზმით, ეს რელიგიური ჯგუფები წარმოადგენდნენ მთავარ დასაყრდენს დაპყრობითი პოლიტიკის გატარების საქმეში. ღაზიები ფართოდ იყვნენ გავრცელებულნი ანატოლიაში სელჩუკების დროს, ხოლო შემდეგ ანატოლიის ბეილიქებში. ოსმანისა და ორხანის მრავალი დაახლოებული პირი ამ ჯგუფს ეკუთვნოდა. ანატოლიაში არაბული ტიტულის „ღაზის" პარალელურად იხმარებოდა თურქული სიტყვა „ალფ", რასაც იგივე მნიშვნელობა ჰქონდა.

ყურადღებას იმსახურებს „აბდალან-ი რუმ" — სხვადასხვა ქვეყნის დერვიშების ჯგუფები, რომლებიც შეადგენდნენ ოსმანისა და ორხანის თანამებრძოლთა მნიშვნელოვან ნაწილს. ისინი იყვნენ ისლამის მებრძოლი პროპაგანდისტები. ამ უცხოელი დერვიშების ძირითადი პრინციპი იყო „საღვთო ომი ურჯულოების წინააღმდეგ" და ისლამის პროპაგანდა ქრისტიანულ მოსახლეობაში. მათ დიდ მფარველობას უწევდნენ ოსმალეთის სახელმწიფოს დამაარსებლები.

ყურადღების ღირსია, აგრეთვე, „ბაჯიან-ი რუმ", ივი იმყოფებოდა ხაჯი ბექთაშის ორდენის გავლენის ქვეშ. ეს იყო შეიარაღებული მეომარი ქალების ორგანიზაცია, რომელიც თავის რიგებში რამდენიმე ათას ქალს აერთიანებდა.

ერთი სიტყვით, ამ რელიგიურმა ორდენებმა გარკვეული წვლილი შეიტანეს დაპყრობითი ომების წარმოებისა და ისლამის გავრცელებისა და პროპაგანდის საქმეში.

„საღვთო" ომების წარმოების დროს ოსმალები წვავდნენ და ანადგურებდნენ ქალაქებსა და სოფლებს, მოსახლეობას ტყვეებად ყიდდნენ, ნაწილს კი ამაჰმადიანებდნენ, განსაკუთრებით ბავშვებს.

ოსმანის დროს მთელი დაპყრობილი მიწები ითვლებოდა სახელმწიფო საკუთრებად (არაზ-ი მირი). როგორც წყაროებიდან ირკვევა,

ძან თავისი მმართველობის დასაწყისშივე დაიწყო თიმარების (მიწის ნაკვეთების, ლენების) დარიგება; იგი ბიზანტიისაგან დაპყრობილ მიწებს ურიგებდა ტომის არისტოკრატიის წარმომადგენლებს და განსაკუთრებით იმ მებრძოლებს, რომლებმაც ომში თავი გამოიჩინეს. ოსმანის ერთ-ერთ ბრძანებულებაში ნათქვამია: „თიმარები, რომლებიც ჩემ მიერ არის ბოძებული, უმიზეზოდ არავის არ ჩამოერთმევა. მისი მფლობელის სიკვდილის შემთხვევაში, თიმარი გადაეცემა მის შვილს. თუ გარდაცვლილის შვილი არის მცირეწლოვანი, ლაშქრობაში მონაწილეობას მიიღებენ მისი მსახურები, მანამ იგი არ გახდება სრულწლოვანი. ჩემ მიერ დადგენილი თიმარების ამ სისტემის შეცვლის უფლება არა აქვთ ჩემ მემკვიდრეებს“.

ამრიგად, თიმარები ეძლეოდათ სამხედრო სამსახურისათვის.

თიმარიოტული სისტემა არსებობდა ჯერ კიდევ ანატოლიის ბეილიქებში სელჩუკების დროს. როდესაც ოსმალებმა დაიპყრეს ეს საამიროები, ფეოდალთა უმრავლესობამ, რომელიც ოსმალთა სამსახურში ჩადგა, შეინარჩუნა ძველი მდგომარეობა. სულთნები იმით კმაყოფილდებოდნენ, რომ თიმარის მფლობელებს ძველი ბარათების ნაცვლად ახალს უბოძებდნენ. XIV საუკუნის მიწურულისათვის თიმარიოტული სისტემა ყალიბდებოდა ყველა თურქულ ბეილიქში. ცნობილია, რომ მურად I-მა, თავის სამფლობელოს შეუერთა ჰამიდის ბეილიქი, იქ ხელუხლებლად დატოვა თიმარიოტული სისტემა. მან თავისი სახელით ახალი ბარათების ბოძებით თიმარიოტებს დაუმტკიცა მასზე მფლობელობის უფლება. ასევე მოიქცა ბაიაზიდ I აიდინისა და მენთეშეს ბეილიქების დაპყრობის შემდეგ.

ოსმალებმა თანდათანობით სრულყვეს თიმარიოტული სისტემა და იგი გახდა ოსმალეთის ფეოდალური სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი.

ოსმანი და მისი მემკვიდრეები თიმარებს ურიგებდნენ რიგით მებრძოლებს — ცალკეული მიწის ნაკვეთების სახით, ბეგის შვილებსა და მის უახლოეს ნათესავებს კი — სოფლებსა და მთელ ოლქებს. თიმარებს მათ უბოძებდნენ არა მემკვიდრეობით, არამედ პირობითი მფლობელობის უფლებით. ისინი ვალდებული იყვნენ ომის დროს გამოეყვანათ შეიარაღებულ მხედართა გარკვეული რაოდენობა. ზოგიერთი თიმარიოტი განთავისუფლებული იყო ლაშქრობაში მონაწილეობისაგან, მაგრამ ევალებოდა მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტების დაცვა. თიმარი მამიდან შვილზე მხოლოდ სულთნის სპეციალური დადგენილებით (ბარათის გაცემის გზით) გადადიოდა იმ შემთხვევაში, თუ შვილიც სამხედრო სამსახურს ეწეოდა და სახელმწიფოს ერთგული იყო. აკრძალული იყო თიმარის ქალისათვის გადაცემა. აიკრძალა მოხელეებისათვის თიმარების ბოძება.

თიმარიოტს უფლება ჰქონდა მისთვის ბოძებული მიწის ნაკვეთიდან (თიმარიდან) აეკრიფა გადასახადების გარკვეული რაოდენობა თავისი პირადი საჭიროებისა და სამხედრო აღჭურვილობის შესაძენად, რათა მოთხოვნისთანავე დაუყოვნებლივ მონაწილეობა მიეღო ლაშქრობაში, როგორც მეომარ მხედარს (ცხენოსანს).

თავდაპირველად თიმარები თავისი ზომით არ იყო დიდი. მხოლოდ ბალკანეთში ფეხის მოკიდების შემდეგ, ოსმალეთის სულთნებმა შეძლეს ებოძებინათ თავიანთი მეომრებისათვის, განსაკუთრებული დამსახურებისათვის ან რაიმე ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავებისათვის, უფრო დიდი ზომის მიწის ნაკვეთები. 1375 წელს მურად I-მა დააწესა სამხედრო სამსახურისათვის უფრო დიდი ზომის მიწის ნაკვეთი (ზეამეთი). პირები, რომელთაც ეძლეოდათ ზეამეთები, სანჯაყბეგები ხდებოდნენ. ვეზირებსა და სულთნის უახლოეს ნათესავებს ხასები ხვდებოდათ. ხასების შემოსავალი კიდევ უფრო დიდი იყო. იგი ეძლეოდა უმაღლესი თანამდებობის პირებს, მაგრამ მემკვიდრეობით არ გადადიოდა.

ლენს, რომელიც წელიწადში 1000 ახჩიდან 19999 ახჩამდე შემოსავალს იძლეოდა, თიმარი ეწოდებოდა, ხოლო 20000 ახჩადან 99999 ახჩა შემოსავლიან საკარგავს — ზეამეთი. ხასის შემოსავალი კი 100000 ახჩას აღემატებოდა. თიმარებისა და ზეამეთების მფლობელები შეადგენდნენ ოსმალეთის ფეოდალურ ლაშქარს.

ბაიაზიდ I-ის დროს საბოლოოდ ჩამოყალიბდა თიმარიოტული სისტემა და შეიქმნა თიმარების სპეციალური სამმართველო.

თიმარიოტული სისტემის საფუძველზე ოსმალეთში შეიქმნა ირეგულარული ცხენოსანთა ლაშქარი, რომელიც ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო ოსმალეთის სამხედრო შენაერთებს შორის და მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ოსმალთა დაპყრობითი ომების დროს.

ოსმანის მემკვიდრეები განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობდნენ სამხედრო ნაწილების შექმნას, დაპყრობითი ომების გაფართოების მიზნით.

ორხან I (1324—1360) დროს 1329 წელს შეიქმნა სამხედრო ქვეითი ჯარი იაია. მას აკომპლექტებდნენ ახალგაზრდა თურქებისაგან. ყოველი ჯარისკაცი ომის დროს იღებდა ჯამაგირს — დღეში ორ ახჩას. მშვიდობიან დროს მათ ხელფასი არ ეძლეოდათ. მათ მიცემული ჰქონდათ მიწის ნაკვეთი დასამუშავებლად და განთავისუფლებული იყვნენ გადასახადებისაგან.

ქვეითი ჯარი დაყოფილი იყო ასეულებად, რომელსაც სათავეში ედგა იუზბაში (ასისთავი) და ათეულებად, რომლის მეთაური იყო

ონბაში (ათისთავი). ქვეითი ჯარის ასეთი სისტემა ოსმალებმა მონღოლებისაგან გადაიღეს. დროთა განმავლობაში ქვეითი ჯარის რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა და მეჰმედ II (1451—1481) დროს 20 000 კაცს მიაღწია. იაიას ჰქონდა თავისი განმასხვავებელი ნიშანი — თეთრი თავსაბურავი. თუმცა იაიას რეგულარული ჯარის ნაწილებად თვლიდნენ, სინამდვილეში იგი ნახევრად რეგულარული იყო, რადგან მშვიდობიანობის დროს ჯარისკაცები სახლში ბრუნდებოდნენ და მხოლოდ ომის დროს მიდიოდნენ ჯარში.

განუწყვეტელი ომები მოითხოვდა მუდმივი ქვეითი ჯარის შექმნის საჭიროებას. ორხანმა დააარსა რეგულარული ქვეითი ჯარი (იენიჩარი ახალი ჯარი). თუმცა იენიჩართა კორპუსის შექმნის თარიღად მიღებულია 1362/3 წელი, როდესაც მურად I-მა მათ მუდმივი ჯამაგირი დაუნიშნა. იენიჩარების რაზმებს თავდაპირველად ქრისტიანი სამხედრო ტყვეებისაგან აკომპლექტებდნენ, რომლებიც ნებაყოფლობით გამაჰმადიანდნენ. შემდგომ ეს წესი შეიცვალა. მურად I-ის დროს შემოღებულ იქნა დევშირმეს წესი. ამის საფუძველზე ოსმალთაგან დაპყრობილ ქრისტიანულ ქვეყნებში იძულებით კრებდნენ 8—12 წლის ჰაბუკებს იენიჩართა რიგების შესავსებად. წელიწადში ყოველ 10 ოჯახს 5 ან 3 ბავშვი უნდა გაეგზავნა იენიჩართა კორპუსისათვის. ამისათვის ოსმალეთში არსებობდა სპეციალური ორგანიზაცია „აჯემ ოღლანი“ („უცხოელთა ბიჭები“), სადაც თავს უყრიდნენ დევშირმეს წესით შეგროვილ ქრისტიან ყმაწვილებს. მათ მიაღებინებდნენ ისლამს და დროებით გზავნიდნენ სოფლებში თურქულ ოჯახებში, თურქული ენის შესწავლის მიზნით, ხოლო 3—4 წლის შემდეგ, როდესაც ეს ყმაწვილები განიმსჭვალებოდნენ რელიგიური ფანატიზმითა და მონური მორჩილების სულისკვეთებით, მათ ამზადებდნენ სამხედრო სამსახურისათვის. იენიჩარებს ნება არ ჰქონდათ ცოლის შერთვისა და ოჯახის ყოლისა. დევშირმეს წესი ვრცელდებოდა ალბანელებზე, ბოსნიელებზე, ბერძნებზე, ბულგარელებსა და სომხებზე.

იენიჩარები იმყოფებოდნენ სულთნის განკარგულების ქვეშ. იენიჩართა ჯარის დიდი უმრავლესობა დედაქალაქში იმყოფებოდა, დანარჩენები კი განლაგებული იყვნენ დიდ ქალაქებსა და ციხე-სიმაგრეებში.

იენიჩართა კორპუსი იყო რეგულარული, კარგად გაწვრთნილი და მუსლიმანური ფანატიზმის სულისკვეთებით გამსჭვალული ქვეითი ჯარი. იენიჩართა კორპუსი გახდა ძირითადი ძალა, რომელსაც ეყრდნობოდნენ ოსმალეთის სულთნები როგორც დაპყრობითი ომების წარმოების დროს, ასევე ქვეყნის შიგნით აჯანყების ჩასაქრობად.

იენიჩართა კორპუსის შექმნასთან დაკავშირებით შეწყდა იაიას ჯარში ჩარიცხვა. იაიას ნაწილები გადაყვანილ იქნენ ირეგულარულ

შდგომარეობაში, თიმარიოტთა ლაშქრის მსგავსად. ამასთანავე ყოველ მეომარს ბოძებული ჰქონდა პატარა მიწის ნაკვეთი — ჩიფთლიქი. ომის დროს, სულთნის ბრძანებით, იაია ვალდებული იყო დაუყოვნებლივ გამოცხადებულიყო დანიშნულ ადგილას. შემდგომ იაიას კორპუსი კვლავ ორგანიზებულ იქნა რეგულარულ ნაწილად. იგი კომპლექტდება, როგორც წინათ, მხოლოდ თურქებისაგან და ყოველი ჯარისკაცი იღებს ხელფასს.

მომდევნო საუკუნეებში იაიას კორპუსს აკომპლექტებდნენ მხოლოდ ანატოლიის 13 სანჯაყში: ქუთახია, სარუხანი, აიდინი, ხუდავენდიგარი, ბოლუ, მენთეშე, ანკარა, სახობ-ატა, ჩანგარი, ჰამიდი, ისპარტა, ესქიშეჰირი და კორასი (ბალიკესირი), მისი რიცხვი დაახლოებით 7000 კაცს ითვლიდა.

კოლონიზაციის მიზნით თრაკიაში (ევროპაში) გადასახლებულებმა მიიღეს იგივე პრივილეგიები, რომლებიც ჰქონდა იაიას ანატოლიაში. მომთაბარეთა რაზმებს ტრადიციულად უწოდებდნენ იურუქებს, ხოლო ოფიციალურად მათ მიიღეს იაია იურუქების სახელწოდება. იურუქები ორგანიზებული იყვნენ ოჯაკებად (ოჯახი) და ყოველი ოჯაკი 30 კაცს ითვლიდა. სულთნის ლაშქრობაში ოჯახიდან მორიგეობით უნდა გამოეყვანათ ხუთი კაცი.

იაიასთან ერთად ორხანის დროს შეიქმნა ნახევრად რეგულარული კავალერია, რომელმაც მიიღო „მუსელემთა კორპუსის“ სახელწოდება. ამ კორპუსს აკომპლექტებდნენ თურქებისაგან და თავდაპირველად შედგებოდა 1000 კაცისაგან. მუსელემები, ისევე როგორც იაია, ომის დროს იღებდნენ ხელფასს, ხოლო მშვიდობიან პირობებში მისდევდნენ სოფლის მეურნეობას და განთავისუფლებული იყვნენ გადასახადებისაგან. იაიასა და მუსელემების ჯარის ნაწილების დაკომპლექტება ხდებოდა ნებაყოფლობის საფუძველზე და იმდენად ბევრი იყო მხურველი, რომ ყადიები, რომლებიც აწარმოებდნენ ჩაწერას, ქრთამს იღებდნენ. მუსელემთა კორპუსი მურად I დროს რეორგანიზებულ იქნა, კაფიკულუს საკავალერიო კორპუსის შექმნასთან დაკავშირებით. მუსელემებს უბოძეს პატარა მიწის ნაკვეთები.

XIV ს-ის უკანასკნელ მეოთხედიდან მუსელემებსა და იურუქებს იყენებდნენ დამხმარე სამხედრო სამუშაოებზე: არემონტებდნენ ძველ გზებსა და ხიდებს, აგებდნენ ახალს; იცავდნენ სამხედრო საწყობებს, სახელოსნოებს, ბადრაგობდნენ სამხედრო ტვირთსა და სხვა. ისევე როგორც იურუქები, მუსელემებიც გაერთიანებული იყვნენ ოჯახებში — ოცდაათ-ოცდაათი კაცი. ომის დროს სამხედრო სამსახურს მორიგეობით იხდიდნენ: ხუთ-ხუთი კაცი თითოეული ოჯახიდან.

ოსმალეთის გარკვეულ სამხედრო ძალას შეადგენდნენ, აგრეთვე, აზაბები და აკინჯიები. აზაბებს აკომპლექტებდნენ სულთნის ქვეშევრდომებისაგან. ომის დროს სულთნები სანჯაყ-ბეგებს, აზაბთა კორპუსში მობილიზაციის მიზნით, უწესებდნენ გარკვეულ ნორმას. სანჯაყ-ბეგები ამ ნორმას ანაწილებდნენ სოფლების მიხედვით: ყოველ 15, 20 ან 30 სამეურნეო ერთეულს უნდა გამოეყვანა ერთი აზაბი, სოფლის მცხოვრებლებს ევალებოდა გამოეყვანათ თავიანთი წრიდან ჯანმრთელი ახალგაზრდები, შეეიარაღებინათ ისინი და შეენახათ. აზაბებს შესწევდათ უნარი ფეხით სწრაფად გაევლოთ დიდი მანძილი, ამიტომ მათ მსუბუქ ქვეით ჯარს უწოდებდნენ, მაგრამ ისინი მსახურობდნენ არა მარტო ქვეით ჯარში, არამედ ფლოტშიც.

აზაბები იყვნენ მსუბუქი ფეხოსნები, იმ დროს როდესაც აკინჯიები მსუბუქ კავალერიას წარმოადგენდნენ. მათი დაკომპლექტება ხდებოდა სულთნის ქვეშევრდომებისაგან და პირველ რიგში მაჰმადიანებისაგან. მათი შერჩევისა და შენახვის წესი იგივე იყო, რაც აზაბებისა.

XV საუკუნის პირველ ნახევარში ოსმალეთის არმია 150 ათას კაცს ითვლიდა: აქედან 1200 იენიჩარი, სულთნის გვარდია — 8000, აზაბები — 30000, აკინჯიები — 40000, თიმარიოტთა ლაშქარი — 60000[8].

ოსმალეთის ტერიტორიულ ზრდასთან ერთად მიმდინარეობდა სახელმწიფოს მართვა-გამგებლობის ჩამოყალიბების პროცესი. დასაწყისში ოსმალეთის სახელმწიფოს ორგანიზაცია სრულიად პრიმიტიული იყო. პირველი ოსმალო გამგებლები — ოსმანი, ორხანი და გარკვეულ დრომდე მურადიც, ჯერ კიდევ არ ატარებდნენ სულთნის ტიტულს. მათ, ისევე როგორც სხვა ბეილიქების (საემიროების) გამგებლებს, უწოდებდნენ ბეგებს ან ემირებს. იმ პერიოდში ბეგის ავტორიტეტი, უპირველეს ყოვლისა, დამყარებული იყო პატრიარქალურ წესებზე. იგი არჩეული იყო პატარ-პატარა მომთაბარე ტომების ბელადებისა და წარჩინებულთა მიერ. მას სცნობდნენ მხედართმთავრად. მართალია, დროთა განმავლობაში ბეგის წოდება მემკვიდრეობითი გახდა, მაგრამ ოსმალურ წყაროებში მოიპოვება ცნობა იმის შესახებ, რომ ოსმანი ბეგის წოდებაში დამტკიცებულ იქნა უჯბეგებისა და ტომთა არისტოკრატიის წარმომადგენელთა საბჭოზე. ასევე, მაგალითად, ოსმანის სიკვდილის შემდეგ, როდესაც დაისვა საკითხი, თუ ვინ უნდა გამხდარიყო მის ორ შვილს შორის მემკვიდრე, მოწვეულ იქნა ტომთა არისტოკრატიის წარმომადგენელთა საბჭო. აქ უნდა გადა-

[8] I. H. Uzunçarşılı, Osmanlı devletinin teşkilatlarından kapıkulu ocakları, Ankara, 1943, s. 48.

წყვეტილიყო ოსმანის ვაჟებს შორის ვინ იქნებოდა ტახტის მემკვიდრე — ალაედინი თუ ორხანი. საბჭომ უპირატესობა მისცა უმცროს ძმას ორხანს.

გადმოგვცემენ, რომ ოსმანმა სიკვდილის შემდეგ თავის შვილებს „არავითარი ხაზინა არ დაუტოვა, რამდენიმე ცხენისა და ცხვრის ფარას გარდა“.

ოსმალეთის სახელმწიფოს ნამდვილი დამაარსებელი იყო ოსმანის შვილი ორხანი. მან საფუძველი ჩაუყარა ოსმალეთის სახელმწიფოს ორგანიზაციას. მისი სურვილით შეიქმნა სათათბირო ორგანო დივანი, რომელსაც იგი თავმჯდომარეობდა. დასაწყისში ორხანი თვითონ განაგებდა სამოქალაქო და სამხედრო საქმეებს. სამოქალაქო საქმეებში მას ეხმარებოდა ვეზირი, რომელიც ფაშას ტიტულს ატარებდა. ორხანმა თავის ძმას ალაედინს ვეზირობა უბოძა. უფრო გვიან იგივე თანამდებობა და ტიტული მიიღო ორხანის შვილმა სულეიმანმა. შემდეგ ორხანმა მას გადასცა ჯარის ხელმძღვანელობა. ამრიგად, სულეიმან ფაშა გახდა მეორე პირი სახელმწიფოში ორხანის შემდეგ. სულეიმან ფაშას გარდაცვალების (1359) შემდეგ, მისი თანამდებობა მიიღო შაჰინ ფაშამ. იგი იყო სულთან მურადის აღმზრდელი და ლალას წოდებას ატარებდა. მას ჰქონდა, აგრეთვე, ფაშას ტიტულიც, ჯერ კიდევ 1348 წლიდან. პირველად ორხანის დროს შემოღებულ იქნა ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, რამაც ხელი შეუწყო ტომობრივი ურთიერთობის რღვევას. ქვეყანა დაყოფილ იქნა სამ საფაშოდ, რომელიც, თავის მხრივ, იყოფოდა სანჯაყებად.

მურად I დროს ოსმალეთი ჩამოყალიბდა სამხედრო-ფეოდალურ სახელმწიფოდ. ოსმალეთის პირველი სულთანი იყო მურად I. მის დროს მკაფიოდ გამოკვეთილი სახე მიიღო ოსმალეთის სამხედრო-ფეოდალურმა სახელმწიფომ. მურადის მეფობის წლებში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებანი სახელმწიფოს ორგანიზაციასა და სასამართლოს დარგში. შემოღებულ იქნა სამხედრო და ნახევრად სამხედრო ვალდებულებანი, დაფუძნებული თიმარიოტულ სისტემაზე. ოსმალეთის სახელმწიფოში შემოღებულ იქნა ბეგლარბეგის (ბეგთა-ბეგის) წოდება. თურქული ტიტული სინონიმია არაბული ტერმინის „ამირ ალ უმერა“, რომლის შესატყვისია, თავის მხრივ, არაბულ-სპარსული „მირ-მირანი“, ბეგთა-ბეგი, ამირთა ამირა. ბეგლარბეგის წოდება პირველად მიიღო სულეიმან ფაშამ, მურადის ტახტზე ასვლის შემდეგ. იგი იყო სამხედრო ხელმძღვანელი და უმაღლესი სახელმწიფო მოხელე სულთნის კარზე. მურადის დროს ვეზირების რიცხვი სამამდე გაიზარდა და შემოღებულ იქნა დიდი ვეზირის ანუ პირველი

ვეზირის თანამდებობა. აღნიშნული ინსტიტუტების შემოღების შედეგად ოსმალეთის სახელმწიფომ სულ უფრო მეტად ორგანიზებული სახე მიიღო[9].

---

[9] გ. ფუთურიძე, ოსმალეთის სახელმწიფოს წარმოშობა, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, გვ. 245—260; А. М. Шамсутдинов Проблемы становления османского государства по турецким источникам XIV—XV вв., Османская империя, М., 1986, с. 19—40; Его же, Феодальные отношения в Османском государстве в XIV в. Труды Института Востоковедения, сб. № 3, М., 1941; С. Ф. Орешкова, Государственная власть и некоторые проблемы формирования структуры османского общества, Османская империя, с. 5—18; К. А. Жуков, Эгейские эмираты в историческом развитии Малой Азии и Восточного Средиземноморья (вторая половина XIII—первая половина XV вв.), Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук. Ленинград, 1983; А. Д. Новичев, История Турции, эпоха феодализма (XI—XVIII века), т. I, Ленинград, 1963, 1—35; М. А. Гасратян, С. Ф. Орешкова, Ю. А. Петросян, Очерки истории Турции, М., 1973, с. 1—27; Д. Е. Еремеев, Этногенезис турок, М., 1978, 1—39; А. С. Тверитинова, Фальсификация истории средневековой Турции в кемалистической историографии, „Византийский временник", М., т. VII, с. 9—31; H. Inalcik, The Ottoman Empire, The Classical Age 1300—1600, London, New York, 1973; H. Inalcik, L'Empire Ottoman, Les Peuples de l' Europe du Sud-Est et leur role dans l'histoire (XV—XX^e ss.), Sofia, 1966, pp. 7—49; Mufassal Osmanli Tarihi, Istanbul, 1957, Cilt, I, s. 1—97; I. H. Uzunçarili, Osmanli Tarihi, Ankara, 1955, Cilt, I, 1—53; P. Wittek, The Rise of the Ottoman Empire, London, 1938; I. H. Danişmend, Izahl, Osmanli Tarihi kronolojisi, Istanbul, 1946, Cilt, I, 1—65.

ოსმალთა დაპყრობითი ომები
XIV — XV საუკუნეებში

XIV—XV საუკუნეებში ბალკანეთის სახელმწიფოები დაცემადაქვეითების გზაზე იმყოფებოდნენ. ამ დროს მიმდინარეობდა დაუსრულებელი ომები როგორც ფეოდალებს, ისე სახელმწიფოებს შორის. ბალკანეთის ქვეყნების ფეოდალები თავიანთი ვიწრო კლასობრივი ინტერესებისათვის არა მარტო აწარმოებდნენ ურთიერთშორის ბრძოლას მიწების ხელში ჩაგდებისათვის, არამედ, აგრეთვე, ცდილობდნენ თავიანთი მიზნების განსახორციელებლად დაყრდნობოდნენ ოსმალო სულთნებს, რომლებიც საბოლოო ჯამში მათი დაუძინებელი მტრები იყვნენ. განსაკუთრებით ხშირად ოსმალებს დახმარებისათვის მიმართავდნენ ბიზანტიის ფეოდალური დაჯგუფებანი, იმპერატორის ტახტისათვის მებრძოლნი (კანტაკუზენები და პალეოლოგები). ბალკანეთის სახელმწიფოებში, განსაკუთრებით ბიზანტიაში, გაბატონებული კლასები სასტიკად ავიწროებდნენ ხალხის მასებს. გლეხები განიცდიდნენ მძიმე ექსპლოატაციას და ამიტომ ხშირად იძულებული იყვნენ გაქცეოდნენ თავიანთ ფეოდალებს. მმართველმა კლასებმა ვერ შესძლეს გაეერთიანებინათ ხალხის მასები დამპყრობელთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ყოველივე ამან ხელი შეუწყო ოსმალებს ბალკანეთის ქვეყნების დაპყრობის საქმეში[1].

ოსმალები გავიდნენ რა ეგეოსის ზღვის სანაპიროზე, დაიწყეს მარბიელი თავდასხმები ბალკანეთის ნახევარკუნძულზე.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ოსმალები არ მისდევდნენ ზღვაოსნობას. მათ ააგებინეს ბერძნებს პატარა გემები და ქრისტიანი

---

[1] А. Д. Новичев, История Турции, с. 30—35; М. Ф. Успенский, История Византийской империи, Ленинград, 1948, т. III; С. Димитров, К. Манчев, История на Балканските народа, София, 1972 З. В. Удальцова, Предательская политика феодальной знати Византии в период турецкого завоевания, „Византийский временник", т. VII, 1953, с. 93—121.

ტყვეები დასვეს ნიჩბოსნებად. ამგვარად, დასაპყრობ ხალხებს გაალესინეს მათივე დასაკლავი დანა.

ოსმალები ხშირად ასეთ თავდასხმებს აწყობდნენ ბიზანტიის იმპერატორთან შეთანხმებით, რომელიც იყენებდა მათ ბულგარეთისა და სერბიის წინააღმდეგ.

1341 წელს ბიზანტიაში დაიწყო ბრძოლა იმპერატორის ტახტისათვის იოანე V პალეოლოგსა და იოანე VI კანტაკუზენს შორის. ამავე დროს იფეთქა გლეხთა და ხელოსანთა აჯანყებამ. ორივე პრეტენდენტმა დახმარებისათვის ოსმალებს მიმართეს. პალეოლოგმა თავის მხარეზე მიიმხრო აიდინისა და მანისის ბეილიქების ჯარები, ხოლო კანტაკუზენმა დახმარებისათვის ორხანს მიმართა. ოსმალების მიმხრობის მიზნით, იოანე კანტაკუზენმა თავისი ქალიშვილი თეოდორა ცოლად მისცა ორხანს. 1345—1348 წწ. ორხანის შვილი სულეიმანი სამხედრო ოპერაციებს აწარმოებდა გალიპოლიის ნახევარკუნძულზე და თრაკიაში. იოანე VI კანტაკუზენი ტახტის ხელში ჩაგდების შემდეგ ოსმალთა ლაშქარს იყენებდა ბულგარელებისა და სერბიელების წინააღმდეგ ომში. 1352 წ. ამ სამსახურისათვის ოსმალებმა მიიღეს ციხე-სიმაგრე ჩიმპე, გალიპოლიის ნახევარკუნძულზე.

ამ დროიდან იწყება ბალკანეთში ოსმალთა ომების ახალი ეტაპი. ახლა თურქთა თავდასხმები აღარ იყო ეპიზოდური, არამედ მიზნად ისახავდნენ დაპყრობილ ტერიტორიაზე მტკიცედ ფეხის მოკიდებას. იოანე კანტაკუზენის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ ორხანს მიეცა საბაბი შეეჭრილიყო ევროპაში და განეხორციელებინა საკუთარი მიზნები. 1354 წელს ორხანმა დაიკავა ქალაქი გალიპოლი (გელიბოლუ) და დაიწყო თურქული მოსახლეობის ჩასახლება გალიპოლიის ნახევარკუნძულზე. 1356 წელს ოსმალებმა ხელთ იგდეს ციხესიმაგრეები ჩორლუ და დიდი მოტიხონი. ხოლო 1362 წელს დაპყრობილ იქნა ადრიანოპოლი (ედირნე). მურად I-მა დედაქალაქი ბურსიდან ადრიანოპოლში გადაიტანა. ბიზანტიის იმპერატორი გახდა თურქეთის სულთნის ვასალი.

ოსმალებმა დაიპყრეს ბალკანეთში ბიზანტიის სამფლობელოები და შექმნეს ხელსაყრელი პლაცდარმი მეზობელი ბულგარეთის ტერიტორიების დასამორჩილებლად: 1362 წელს ოსმალებმა ხელთ იგდეს პლოვდივი, ხოლო ორი წლის შემდეგ ბულგარეთის მეფე შიშმანი იძულებული შეიქნა გამხდარიყო ოსმალეთის მოხარკე, თავისი და კი, სულთნის ჰარამხანაში გაეგზავნა. ბულგარელი ხალხი დამპყრობელს მედგარ წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ ფეოდალური დაქუცმაცებულობა და ურთიერთშორის ბრძოლა აადვილებდა ქვეყნის დაპყრობას. ამ სამარცხვინო ბრძოლაში არ ერიდებოდნენ არავითარ საშუალებას, ბევრი მათგანი გადადიოდა მტრის მხარეზე, იღებდა ისლამს და

დახმარებას უწევდა ოსმალებს ბალკანეთის დაპყრობის საქმეში. ბულგარეთში შექმნილი მდგომარეობით ცდილობდნენ ესარგებლათ. აგრეთვე, მეზობელ ქვეყნებს — ბიზანტიასა და სერბიას და ხელთ ეგდოთ მისი ტერიტორიის ნაწილი.

ორხანის სიკვდილის შემდეგ ტახტზე ავიდა მურად I (1362—1389). თავისი გამგებლობის პირველ წლებში იგი დაკავებული იყო საშინაო საქმეებით, მაგრამ 1373—1376 წწ. ვითარება შეიცვალა. 1373 წელს მას აუჯანყდა მისი ვაჟი სავჯი და კავშირი დაამყარა ბიზანტიის ტახტის მემკვიდრესთან ანდრონიკესთან, რომელიც, აგრეთვე გამოვიდა თავისი მამის იმპერატორ იოანე V-ის წინააღმდეგ. ეს დინასტიური ბრძოლა დამთავრდა სავჯის სიკვდილით და 1376 წელს ანდრონიკეს ღროებითი გამეფებით. ანდრონიკემ, რათა დაეწყნარებინა მურად I, გალიპოლიის ნახევარკუნძული დაუბრუნა ოსმალებს.

ოსმალთა წინსვლამ საფრთხე შეუქმნა მაკედონიას. სერბიის მთავარმა ვუკაშინმა და მისმა ძმამ უგლეშამ გადაწყვიტეს ოსმალთა უკუგდება. ბიზანტიამ და ბულგარეთმა მათ მხარი არ დაუჭირეს. 1371 წ. ადრიანოპოლის მახლობლად, მდინარე მარიცასთან გაიმართა ბრძოლა. გაიმარჯვეს ოსმალებმა. ვუკაშინი და უგლეშა ბრძოლის ველზე დაიღუპნენ. ამ გამარჯვებამ ოსმალებს გზა გაუხსნა მაკედონიის, საბერძნეთისა და სერბიისაკენ. ვუკაშინის შვილი მარკო, რომელიც მამის სიკვდილის შემდეგ გამეფდა, სულთნის ვასალი გახდა. ოსმალებს სერბიის სხვა ფეოდალებიც დაემორჩილნენ და ხარკის გადახდა და დამხმარე ჯარის გამოყვანა იკისრეს. ამის შემდეგ ოსმალებმა თავიანთი ძალები ბულგარეთის წინააღმდეგ მიმართეს. 1371 წ. ოსმალებმა დაიკავეს იამპოლი, კარნობატი და სხვა ქალაქები, ბულგარეთის მეფემ ივანე შიშმანმა თავი სულთნის ვასალად სცნო და თავისი და მარა (თამარი) სულთანს ცოლად მიათხოვა.

XIV ს-ის 80-იან წლებში ოსმალებმა ერთდროულად შეტევა განაახლეს ბულგარეთსა და სერბიაზე.

1361 წ. ოსმალებმა აიღეს სოფია, საიდანაც მათ გაეხსნათ გზა ჩრდილო-დასავლეთ ბულგარეთსა და სერბიაში. 1386 წ. მათ დაიკავეს ქ. ნიში და სოლივით შეიჭრნენ ბულგარეთსა და სერბიაში. 1371 წლიდან სერბიის ყველაზე დიდი ფეოდალი იყო სამხრეთ ნაწილის მფლობელი ლაზარე, რომელმაც თავი გამოაცხადა სერბიის მეფედ. მან კავშირი დადო ბოსნიის მმართველთან ტვრტკოსთან, რომელიც 1377 წ. ბოსნიის მეფის გვირგვინს ატარებდა. 1386 წელს ქალაქ პლოჩნიკთან, მდინარე ტოპლიცაზე, სერბიისა და ბოსნიის გაერთიანებულმა ლაშქარმა დაამარცხა ოსმალთა ჯარი.

ორი წლის შემდეგ ბოსნიელებმა კვლავ დაამარცხეს ოსმალები. ამ დამარცხების შემდეგ ბულგარეთის მეფემ ივანე შიშმანმა და დობრუჯის მმართველმა ივანკომ სულთნის ვასალობაზე უარი თქვეს. 1388 წელს მურად I-მა ივანე შიშმანის წინააღმდეგ 30-ათასიანი ლაშქარი გაგზავნა. ბრძოლის შედეგად ოსმალებმა დაიპყრეს ქალაქები შუმენი, ლოვეჩი, მადარა და სხვა. ბულგარეთის მმართველებმა ისევ სცნეს თავი სულთნის ვასალებად.

ბულგარეთში ლაშქრობის შემდეგ მურად I-მა დაიწყო საომარი მოქმედება სერბიის წინააღმდეგ. 1389 წელს ოსმალეთის ლაშქარი სერბიაში შეიჭრა. 1389 წელს 15 ივნისს კოსოვოს ველზე მოხდა დიდი ბრძოლა ოსმალეთის ჯარებსა და სერბია-ბოსნიელების ლაშქარს შორის. მათ რიგებში ბულგარელთა რაზმებიც იბრძოდნენ. თავდაპირველად ბრძოლა მოკავშირეთა სასარგებლოდ წარიმართა. მათ შესძლეს მტრის რიგების შევიწროება. სერბიელი ვოევოდა მილოშ კობელიჩი მურად I-ის კარავში შეიჭრა და სასიკვდილოდ დაჭრა სულთანი. რათა ჯარში პანიკა არ დაწყებულიყო, სარდლებმა ეს ამბავი ჯარს არ გაუმხილეს. მურადის შვილმა ბაიაზიდმა დასახმარებლად დამატებითი ლაშქარი გაგზავნა. ამ ბრძოლაში ოსმალებმა პირველად გამოიყენეს ზარბაზნები, რამაც გადამწყვეტი გავლენა მოახდინა ბრძოლის მსვლელობაზე. სერბიის მთავარი ლაზარე დაიჭრა და ტყვედ ჩაუვარდა ოსმალებს. სიკვდილის წინ მურადს მოჰგვარეს დატყვევებული სერბიის მეფე. მურადმა ბრძანა მისი თანდასწრებით ეწამებინათ იგი.

კოსოვოს ბრძოლა ოსმალთა გამარჯვებით დამთავრდა. სერბია ოსმალეთის ვასალი გახდა და ვალდებული იყო ყოველწლიურად გადაეხადა 20 ათასი ოქროს მონეტა. ამავე დროს სერბიას ომის დროს ოსმალეთის მხარეზე 30 ათასიანი ლაშქარი უნდა გამოეყვანა. სულთანმა სერბიის გამგებლად დაამტკიცა ლაზარეს შვილი სტეფანე. ასეთი მდგომარეობა XV საუკუნის შუა წლებამდე გაგრძელდა, შემდეგ სერბია ოსმალეთის ტიპიურ პროვინციად გადაიქცა.

კოსოვოს ველზე მოპოვებული გამარჯვების შემდეგ ოსმალები შეიჭრნენ ალბანეთში. მოსახლეობა მედგარ წინააღმდეგობას უწევდა დამპყრობლებს და მათ შესძლეს მხოლოდ ზოგიერთი ადგილად მისაწვდომი რაიონის დაპყრობა.

ოსმალთა წარმატებებმა აიძულეს ბულგარეთის მეფე ივანე შიშმანი მოკავშირეები ეძებნა ოსმალებისაგან თავის დასაცავად. ამ მიზნით, მან მოლაპარაკება დაიწყო უნგრეთის მეფესთან, მაგრამ უშედეგოდ.

1393 წლის გაზაფხულზე ოსმალეთის ჯარი ბაიაზიდ I-ის სარდლობით ჩრდილოეთ ბულგარეთში შეიჭრა და ალყა შემოარტყა დე-

დაქალაქ ტირნოვოს. სამი თვის გარემოცვის შემდეგ ქალაქი ღანებდა მტერს. ტირნოვოს აღების შემდეგ, ოსმალებმა განაგრძეს შეტევა ჩრდილოეთით და დაიკავეს ქალაქი ნიკოპოლი და დაატყვევეს შიშმანი. ბაიაზიდმა შიშმანი სიკვდილით დასაჯა, ბულგარეთის ტირნოვოს სამეფო გაუქმებულ იქნა.

1395 წელს ოსმალებმა დაიპყრეს დობრუჯის ოლქი, ხოლო 1396 წელს — ვიდინი, დაატყვევეს მეფე ივანე სტრაშიმირი და მოსპეს ბულგარეთის ვიდინის სამეფოს დამოუკიდებლობა.

სერბიისა და ბულგარეთის დაპყრობის შემდეგ ოსმალები მიადგნენ უნგრეთის საზღვრებს და საფრთხე შეუქმნეს ცენტრალურ ევროპას. უნგრეთის მეფემ სიგიზმუნდმა დახმარებისათვის ევროპის სახელმწიფოებს მიმართა. ამ დროს ევროპის პოლიტიკურმა მესვეურებმა შეიგნეს, თუ რაოდენ სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა მათთვის ოსმალეთი. რომის პაპმა მოწოდებით მიმართა ევროპის მონარქებს — შეექმნათ ჯვაროსნული კოალიცია ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ევროპის ქვეყნები დადებითად შეხვდნენ ამ წინადადებას. შეიქმნა ანტიოსმალური კოალიცია, რომელშიაც უნგრელების გარდა, მონაწილეობას იღებდნენ ფრანგები, ინგლისელები, იტალიელები, გერმანელები, ჩეხები, ვალახები და სხვა. ჯვაროსანთა ლაშქარი დაახლოებით 100000 მებრძოლს ითვლიდა. ჯვაროსნებს მეთაურობდა უნგრეთის მეფე სიგიზმუნდ I.

1396 წლის 25 სექტემბერს ქალაქ ნიკოპოლთან მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა ოსმალეთის ლაშქარსა და ჯვაროსნებს შორის. ჯვაროსნები სასტიკად დამარცხდნენ. ოსმალებმა ტყვედ იგდეს 10000 კაცი. უნგრეთის მეფემ გაქცევით უშველა თავს. სულთანმა საფრანგეთის მეფეს კარლოს VI-ს 24 რაინდის ტყვეობიდან განთავისუფლების საფასურად გამოართვა მილიონი ლივრი.

ვალახეთის სამთავრო ოსმალეთის სულთნის ვასალი გახდა. ნიკოპოლთან ჯვაროსანთა დამარცხებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმდროინდელ ევროპაზე.

ჯვაროსნების დამარცხების შემდეგ სულთანმა გადაწყვიტა შეტევა საბერძნეთის წინააღმდეგ დაეწყო. 1397 წელს ოსმალთა ჯარები ატიკასა და პელოპონესში შეიჭრნენ და სასტიკად აოხრეს ქვეყანა.

სულთან ბაიაზიდ I, რომელსაც მეტსახელად ილდირიმი (ელვა) შეარქვეს, აწარმოებდა დაპყრობით ომებს როგორც ევროპაში, ისე მცირე აზიაში. 1385—1390 წწ. დასავლეთ და ცენტრალურ ანატოლიაში დამორჩილებულ იქნა ბეილიქები: მენთეშე, აიდინი, სარუხანი, გერმიანი, ჰამიდი. 1390—1392 წწ. განადგურებულ იქნა ყარამანიის ბეილიქი, ხოლო 1396 წელს ოსმალებმა ხელთ იგდეს სივასი. მარ-

თალია. ოსმალეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდნენ თურქებით დასახლებული ტერიტორიები, მაგრამ ამ დროს ეს გაერთიანება ჯერ კიდევ არ იყო მტკიცე.

ამრიგად, XV საუკუნის დამდეგისათვის ოსმალეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა მცირე აზიისა და ბალკანეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი და მათ შორის კუნძულივით დარჩენილი იყო კონსტანტინოპოლი, ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქი.

მოპოვებული გამარჯვებებით წახალისებულმა ბაიაზიდმა კონსტანტინოპოლის დაპყრობა სცადა. 1397—1400 წლებში მან იერიში მიიტანა ამ ქალაქის წინააღმდეგ, მაგრამ უშედეგოდ. ამ დროს ბიზანტიის დედაქალაქი საკმაოდ კარგად იყო გამაგრებული. მას მტკიცე გალავანი ჰქონდა შემორტყმული და საიმედოდ იყო გამაგრებული როგორც ზღვიდან, ისე ხმელეთიდან. მის დასაპყრობად საჭირო იყო ძლიერი არტილერია და ფლოტი, რომლებიც ოსმალებს ჯერ კიდევ საკმაო რაოდენობით არ გააჩნდა.

ბიზანტიის იმპერატორ მანუელ II-ს (1391—1425) კარგად ესმოდა, თუ რა მძიმე და კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფებოდა კონსტანტინოპოლი და გადაწყვიტა პირადად გამგზავრებულიყო დასავლეთ ევროპაში და დახმარება ეთხოვა რომის პაპისა და ევროპის მონარქებისათვის. მას ევროპაში ღებულობდნენ დიდი პატივით და აძლევდნენ დაპირებებს, მაგრამ რეალური დახმარება მისთვის არ აღმოუჩენიათ.

იმ დროს, როცა სულთან ბაიაზიდი კონსტანტინოპოლის ალყით იყო დაკავებული, მან შეიტყო თემურ-ლენგის წინა აზიაში გამოჩენის ამბავი.

თემურ-ლენგი (1336—1406) აზიის ერთ-ერთი უდიდესი დამპყრობელი იყო. იგი ბარლასთა მონღოლურ, მაგრამ უკვე გათურქებულ ტომს ეკუთვნოდა. თემურ-ლენგი თავდაპირველად ყაჩაღთა ბრბოს მეთაურობდა, მაგრამ მალე დაწინაურდა. იმ დროს, როდესაც თემურ-ლენგი პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა, მთელ შუა აზიაში ანარქია სუფევდა. მან მოხერხებულად გამოიყენა თავის სასარგებლოდ შუა აზიაში შექმნილი პოლიტიკური ვითარება. „თემურ-ლენგის მთავარი პოლიტიკური ამოცანა მონღოლთა იმპერიის აღდგენა იყო. ამდენადვე მის ნათესაურ ურთიერთობას ჩინგიზიდებთან გარკვეული პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭებოდა. მისი ჩინგიზიდებთან ამ ურთიერთობის აღმნიშვნელი იყო გურგენის (სიძის) წოდე-

ბულება, რომელიც მან ჩინგიზიდი უფლისწული ქალის ცოლად შერთვის შედეგად მიიღო"[2].

შუა აზიის გაერთიანების შემდეგ იგი შეუდგა მსოფლიო ბატონობისათვის ბრძოლას და ამ მიმართულებით გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. „გრიგალივით გადაუარა დიდმა დამპყრობელმა ირანს, ინდოეთს, აზიერკავკასიას, სამხრეთ რუსეთის ველებს, მცირე აზიას, სირიას. შომთაბარეთა ბატონობას მხოლოდ ეგვიპტე გადაურჩა, ხოლო ჩინეთის განზრახული დაპყრობა თემურ-ლენგს განუხორციელებელი დარჩა"[3].

თემურ-ლენგმა თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი ლაშქრობებში გაატარა. 18 დიდი ომი გადაიხადა, 27 ქვეყანა დაიპყრო და უზარმაზარი იმპერია შექმნა. მის მიერ დაარსებული ეეებერთელა სახელმწიფოს საზღვრები გადაჭიმული იყო: აღმოსავლეთით ჩინეთის კედლებამდე, ჩრდილოეთით — რუსეთის შუაგულამდე, დასავლეთით — ხმელთაშუა ზღვის ნაპირებამდე, სამხრეთით — ინდოეთამდე და სამხრეთ დასავლეთით — ეგვიპტის საზღვრებამდე.

თემურ-ლენგმა სახელი მოიხვეჭა როგორც სასტიკმა, დაუნდობელმა, მტარვალმა და სისხლისმღვრელმა ტირანმა. იგი დაპყრობითი ომების დროს ანადგურებდა, სწვავდა და მიწასთან ასწორებდა ქალაქებსა და სოფლებს, ათასობით და ათიათასობით ხოცავდა და აწამებდა ბავშვებსა და მოხუცებს, ქალებსა და მამაკაცებს, დახოცილთა თავებისაგან აგებდა პირამიდებს, რათა ყველგან შიში და ძრწოლვა დაემკვიდრებინა. დაპყრობილ ქვეყნებში ნაძარცვ ქონებას აგზავნიდა სამარყანდში, აქეთკენ ერეკებოდა ათასობით ტყვეებს. თემურლენგის ურდოების რვაგზის შემოსევების მთელი სიმძიმე საქართველომაც განიცადა[4].

თემურ-ლენგის დაპყრობითი ომები და მისი საქმიანობა საკმაოდ კარგადაა შესწავლილი და შეფასებული საბჭოურ ისტორიოგრაფიაში[5]. ჩვენ მხოლოდ შევეხებით თემურ-ლენგის ოსმალეთთან ურთი-

---

[2] ვ. გაბაშვილი, თემურ-ლენგი, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, გვ. 216.

[3] იქვე.

[4] დ. კაციტაძე, საქართველო XIV—XV საუკუნეთა მიჯნაზე, თბ., 1975, გვ. 290; კ. ტაბატაძე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ XIV—XV საუკუნეების მიჯნაზე, თბ., 1974, გვ. 260.

[5] ვ. გაბაშვილი, თემურ-ლენგი, გვ. 215 — 225; А. Ю. Якубовский, Тимур (опыт краткой характеристики), „Вопросы истории", М., 1946, № 8—9, с. 49—52; В. В. Бартольд, Улу-бек и его время, сочинения, т. II, ч. 2, М., 1964. Л. В. Строева, Возникновение государства Тимура, Уч. записки Ленинградского гос. университета, № 128,

ერთობის ზოგიერთ საკითხს, რომელსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საკუთრივ ოსმალეთის სახელმწიფოს ისტორიისათვის.

წინა აზიაში გაბატონებისათვის თემურ-ლენგს წინ ეღობებოდა ოსმალეთი, რომელიც, თავის მხრივ იმ დროისათვის საკმაოდ ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა.

თემურ-ლენგის ოსმალეთთან ომის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის სავაჭრო გზების ხელში ჩაგდება, რომელიც ოსმალეთსა და მის მეზობელ ქვეყნებზე გადიოდა.

თემურ-ლენგს კარგად ესმოდა ვაჭრობის სარგებლობა და მნიშვნელობა ქალაქების განვითარებისათვის, ამიტომ იგი მიზნად ისახავდა იმ მსოფლიო სავაჭრო გზებზე გაბატონებას, რომელნიც ოქროს ულუსის ტერიტორიაზე გადიოდნენ და ევროპისა და წინა აზიის ქვეყნებს შორეულ აღმოსავლეთთან აკავშირებდნენ. თემური მიისწრაფოდა დაერღვია ჩრდილოეთის სავაჭრო მაგისტრალი და კვლავ ვაჭრობის ცენტრალურ გზად გაეხადა წინა აზიაზე გამავალი გზა, რომელსაც ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა. ამ მიზნით, 1395 წ. მან დაამთავრა ოქროს ულუსის სამხედრო განადგურება და თითქმის სრულად დაანგრია ოქროს ულუსის ის ქალაქები, რომლებიც დიდ როლს თამაშობდნენ ჩრდილოეთის საქარავნო ვაჭრობაში — აზოვი, ასტრახანი და სხვა[6].

თემურ-ლენგის დაპყრობით ზრახვებს დასავლეთის მიმართულებით ოსმალეთი ეღობებოდა. ამ დროს ოსმალეთი მცირე აზიის და ბალკანეთის ბევრ ქვეყანას ფლობდა. ოსმალეთის სულთანი ბაიაზიდ I ევროპის სახელმწიფოების რისხვა იყო და თემურ-ლენგს ტოლს არ უდებდა.

თემურ-ლენგი ემზადებოდა ბაიაზიდის წინააღმდეგ ომისათვის. იგი ძალიან კარგად იყო ინფორმირებული მცირე აზიასა და ევროპაში შექმნილი პოლიტიკური ვითარების შესახებ. მაგალითად, ბაიაზიდთან ომის დაწყების წინ მას სრული ინფორმაცია ჰქონდა ბიზანტიისა და ოსმალეთის ურთიერთობის შესახებ და თავის თავს ბერძნების დამცველად აცხადებდა.

1399 წელს, ინდოეთში ლაშქრობიდან დაბრუნების შემდეგ, თემურ-ლენგი შეუდგა ოსმალეთის წინააღმდეგ ომის სამზადისს. ამ დროს პოლიტიკური ვითარება მისთვის მაინცდამაინც ხელსაყრელი არ იყო. თემურ-ლენგის ინდოეთში ყოფნით ისარგებლა ბაღდადის (ერაყის)

Серия востоковедения, вып. 3. Ленинград, 1952; А. П. Новосельцев, Об исторической оценке Тимура, „Вопросы истории", 1973, № 2, с. 5-15.

[6] ვ. გაბაშვილი, თემურ-ლენგი, გვ. 21.

ილხანთა გამგებელმა და მეორედ განუდგა. მან დახმარებისათვის მიმართა ოსმალეთის სულთანს. ასევე გადაუდგა თემურ-ლენგს დიარბექირის გამგებელიც და მანაც მფარველობისათვის ბაიაზიდს მიმართა. ბაღდადიდან მოყოლებული ალეპომდე თემურის წინააღმდეგ გამოსვლები დაიწყო. შექმნილი ვითარებით ისარგებლა ბაიაზიდმა და ერზინჯანს დაესხა. მისი გამგებელი თაჰერთანი თემურ-ლენგის ხელდებული იყო. სიმშვიდე არც საქართველოში სუფევდა. სამაგიეროდ თემურ-ლენგს თხოვდნენ დახმარებასა და შემწეობას ბაიაზიდის მიერ დამარცხებული ყარამანიის, მენთეშეს, სარუხანისა და აიდინის ემირები.

თემურ-ლენგმა, უპირველესად ყოვლისა, გადაწყვიტა მორჩილებაში მოეყვანა საქართველო და 1400 წელს გაზაფხულზე მეექვსედ შემოესია მას. საქართველოში იგი სამხრეთიდან (ქვემო ქართლი) შემოიჭრა, გადმოვიდა ქართლში და სასტიკად აოხრა იგი, ხოლო ქართლიდან მესხეთში ჩავიდა და კოლას ველზე დაბინავდა[7].

თემურ-ლენგი ორ თვეს იდგა კოლას მინდორზე, ჯარის წესრივში მოსაყვანად და ცხენების მოსაღონიერებლად.

კოლადან თემურ-ლენგი სივასისაკენ გაემართა და 8 აგვისტოს ქ. სივასს ალყა შემოარტყა, ქალაქის დამცველებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს. დიდი ბრძოლის შედეგად ქალაქი აღებულ იქნა. თემურმა ერთიანად გააჟლეტინა მეციხოვნე-ოსმალები, ხოლო 4000 სომეხი კი დაამარხვინა ცოცხლად[8]. „და დაიპყრა ქვეყანა სიასი (სივასი — მ. ს.) და სხუანი ქვეყანანი მრავალნი“[9].

სივასიდან თემურ-ლენგი სირიისაკენ გაემართა, რომელიც ამ დროს ეგვიპტის მამლუქების გამგებლობის ქვეშ იმყოფებოდა. მან დაიპყრო ალეპო, დამასკო და სხვა ქალაქები. „მივიდა იელსალემს, სოლომონის ტაძარში ილოცა, რაც დაქცეული მეჩეთი იყო, ააშენა და მრავალი შესაწირავი მისცა... მასუკან იერუსარემით მისრეთისაკენ გაილაშქრა... ჯარაჯა დადვა“[10]...

იმ დროს, როდესაც თემურ-ლენგი სირიაში იმყოფებოდა, ბაიაზიდ I ილდირიმმა, სულთან აჰმედ ჯალაირის და ყარა-იუსუფის წაქეზებით, სივასის აოხრების შურისძიების მიზნით, ერზინჯანს თავს დაესხა, მას ალყა შემოარტყა და ქალაქი აიღო. მისი გამგებლის მოად-

---

[7] ქ. ტაბატაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 113—150; დ. კაციტაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 113—163.

[8] ქ. ტაბატაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 153.

[9] ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 334.

[10] ფარსადან გორგიჯანიძე, ისტორია, საისტორიო მოამბე, II, 1925, გვ. 306, 307.

გილე ნუქერებმა შეიპყრეს. ერზინჯანის მცხოვრებმა შეწყალება ითხოვეს. სულთანი აჰმედ ჯალაერი მათ მოციქულად დაუდგა. ერზინჯანი თაჰერთანს დაუტოვეს, მხოლოდ მისი ცოლი და ვაჟები შეიპყრეს და ბურსაში გაგზავნეს[11].

ერზინჯანის გამგებელი თაჰერთანი თემურის ხელდებული იყო და როდესაც ყოველივე ეს თემურ-ლენგს აცნობეს[12], მან ოსმალეთის სულთანს ელჩები გაუგზავნა ქედმაღლური და ამპარტავნული მოთხოვნებით. ამან ძალზე განარისხა ბაიაზიდი, რომელიც იმ დროს კონსტანტინოპოლის ალყისათვის ემზადებოდა. სულთანმა დაიპირა ელჩების სიკვდილით დასჯა, მაგრამ გადაიფიქრა. ისინი კარგად გამოლანძღა და ბრძანა მათთვის წვერი შეეპრათ, რაც დიდ შეურაცხყოფად ითვლებოდა. ეს კი ფაქტიურად ნიშნავდა თემურ-ლენგსა და ბაიაზიდს შორის ომის დაწყებას.

სპარსელი ისტორიკოსი ჰაფეზ აბრუ თემურ-ლენგის ოსმალეთთან ომის დაწყებასთან დაკავშირებით მოგვითხრობს: „თემურმა 804 (1401/1402 წ.) წლის ზამთარი ყარაბაღში გაატარა. როდესაც ზამთარმა გაიარა და ლაშქრის გამოსვლის დრო მოვიდა, მან ამირები, შაჰზადეები და სახელმწიფოს დიდებულები დაიბარა და ეთათბირა, თუ რომელ მხარეს წასულიყვნენ სალაშქროდ. თემურმა ბრძანა, რომ მას სულაც არ აქვს განზრახვა რუმის (ოსმალეთის) მხარეს ლაშქრობა, იმის გამო, რომ ისინი „ფრანგებთან“ (დასავლეთ ევროპელებთან) „საღვთო ომს“ აწარმოებდნენ. მაგრამ, რაც შეეხება ილდირიმს, მან რამდენიმე ისეთი რამ ჩაიდინა, რომ მისი აღკვეთა საჭიროა თემურის მეფური ღირსების დასაცავად. ილდირიმი თემურისაგან ლტოლვილებს თავისაკენ გზას აძლევს და მათ მფარველობს. მეორეც. ის რომ თემურის ერთგული თაჰერთანი მან, ე. ი. თემურმა, შეიფარა. იმ დროს, როდესაც თემური შამის (სირიის) მხარეს იყო, ილდირიმმა ერზინჯანისაკენ ლაშქარი გამოგზავნა და თაჰერთანს ეომა. ამავე

---

[11] დ. კაციტაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 92.

[12] თემური სირიიდან ბაღდადისაკენ გაემართა. გზაში თავისი ჯარი ორად გაჰყო, ერთ ნაწილს თვითონ ჩაუდგა სათავეში, მეორე კი საქართველოსაკენ გამოგზავნა და გზად ალაჯის ციხის დაპყრობა დაავალა (კ. ტაბატაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 153). თემურმა კელავ დაიმორჩილა ბაღდადი და მისადმი დაქვემდებარებული ქვეყნები: „წავიდნენ ძენი ლანგთემურისანი ბაღდადსა ზედა. მივიდეს და აღიღეს ბაღდადი და დაიპყრეს არაბისტანი მრავალ თემი და აღივსეს საწოვრითა“ (ბერიედნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 335).

თემური ბაღდადიდან თავრიზისაკენ წავიდა, იქიდან ნახიჭევანში, შემდეგ შაჰქორში გაჩერდა. მასთან გამოცხადდნენ საქართველოს მეფის გიორგის ელჩები ძვირფასი საჩუქრებით. 1401 წლის სექტემბერში თემურ-ლენგმა ზავი დადო საქართველოსთან (კ. ტაბატაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 150—158).

საქართველოსთან ზავის დადების შემდეგ თემურმა ზამთარი გაატარა ყარაბაღში.

დროს, ახლა რომ ბაიაზიდმა მაცნეები გამოგზავნა, მათ უზრდელი სიტყვები მოიტანეს. ერთი სიტყვით, თემურის სიტყვებიდან ის აზრი გამოიტანეს, რომ რუმის (ოსმალეთის) სანახებში ლაშქრობა ჰქონდა გადაწყვეტილი"[13].

ევროპის სახელმწიფოები დიდ იმედებს ამყარებდნენ თემურლენგზე და მისგან ოსმალთა მოძალებისაგან ხსნას ელოდნენ.

სპარსულ ენაზე არსებული წყაროები მოგვითხრობენ, რომ 1402 წ., ანკარის ომის წინ, თემურ-ლენგთან, რომელიც ავნიკში იმყოფებოდა, „ფრანგთა" (დასავლეთ ევროპელთა) ელჩები მოვიდნენ. მათ ოსმალთა სულთნის მურადის დატყვევებული ვაჟიშვილი მოიყვანეს და თავიანთი ხელმწიფეების დანაბარები გადასცეს თემურს. თემურმა ისინი უხვად დაასაჩუქრა და ტრაპიზონის გზით დააბრუნა[14].

ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში თემურ-ლენგი ბუნებრივ მოკავშირედ მიაჩნდათ ბიზანტიისა და ტრაპიზონის იმპერატორებს, აგრეთვე გენუელებსაც. კლავიხოს ცნობის მიხედვით, ბიზანტიის იმპერატორმა და გენუელებმა თემურ-ლენგს დახმარება შესთავაზეს იმ შემთხვევაში, თუ იგი ოსმალეთის წინააღმდეგ იომებდა. არსებობს თემურ-ლენგის წერილი იოანე პალეოლოგთან, იმპერატორ მანუელის მოადგილესთან კონსტანტინოპოლში, რომლიდანაც ჩანს, რომ თემურლენგსა და ბიზანტიას შორის ანტიოსმალური კავშირი მყარდება. მანუელი კისრულობს თემურის სასარგებლოდ ხარკის გადახდას, ხოლო თემური, თავის მხრივ, ბიზანტიის დაცვას ოსმალთა ხელყოფისაგან. ამავე წერილიდან ჩანს, რომ თემურმა აიძულა ტრაპიზონის იმპერატორი, რათა მას ეცნო მისი უზენაესობა[15].

ბიზანტიის იმპერატორის კავშირი თემურ-ლენგთან დასტურდება სპარსული წყაროებიდანაც. მათი ცნობით, თემური საქართველოს მეფეს ვიორგის აუწყებდა: სტამბოლის (კონსტანტინეპოლის) ვალიც (ე. ი. ბიზანტიის იმპერატორი) შენი რჯულისა დ სარწმუნოებისა არის, მაგრამ ჩემს უდიდებულესობას მომმართა დახმარებისათვის და ჯიზიას გადახდას დათანხმდა[16].

ამრიგად, 1402 წლის დამდეგისათვის თემურ-ლენგმა საგრძნობლად განიმტკიცა თავისი პოზიციები ოსმალეთთან ომის დაწყების წინ: აღიდგინა დაკარგული ძალაუფლება ერაყის არაბეთში, სირიაში ხელთ იგდო მნიშვნელოვანი სავაჭრო-სატრანზიტო ქალაქები, საქარ-

[13] დ. კაციტაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 92, 93.

[14] დ. კაციტაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 96.

[15] დ. კაციტაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 97, 98; Рюи Гонсалес де Клавихо, Дневник путешествия ко двору Тимура в Самарканд в 1404—1406 гг., с. 145.

[16] დ. კაციტაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 98.

თეელოს დაეზავა და ოსმალეთს ხელიდან გამოგლიჯა სტრატეგიული ციხე-სიმაგრე ქ. სივასი.

1402 წლის გაზაფხულზე ყარაბაღში, როგორც ზემოთ ითქვა, თემურმა დიდი ყურალთაი მოიწვია, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, დაეწყოთ ომი ოსმალეთის წინააღმდეგ.

1402 წლის აპრილის თვეში თემურ-ლენგმა ყარაბაღი დასტოვა და ოსმალეთის წინააღმდეგ სალაშქროდ გაემართა. გზაზე თემურის ლაშქარმა თორთუმის ციხე აიღო და არზრუმზე გავლით ანატოლიისაკენ გაემართა.

ოსმალეთის სულთანი ბაიაზიდ I მომზადებული შეხვდა მტერს და დაიძრა მის წინააღმდეგ საბრძოლველად. ბაიაზიდს ურჩევდნენ თავი აერიდებინა თემურ-ლენგთან პირდაპირი შებრძოლებისაგან და ხეობებსა და მთებში შეეტყუებინა მოწინააღმდეგის ჯარი და პარტიზანული თავდასხმებით დაექსაქსა და გაენადგურებინა იგი. მაგრამ ბაიაზიდმა ქედმაღლურად უარყო ეს წინადადება.

გადამწყვეტი ბრძოლა ბაიაზიდსა და თემურ-ლენგის ლაშქარს შორის მოხდა 1402 წლის 28 ივლისს ანგორასთან (ანკარა). სხვადასხვა წყაროს მონაცემებით, ბაიაზიდის არმია 120—160 ათას ჯარისკაცს ითვლიდა, ხოლო თემურ-ლენგის ლაშქარი რამდენჯერმე აღემატებოდა მას. ზოგიერთი წყაროს მონაცემით, ბრძოლაში ორივე მხრიდან ნახევარ მილიონამდე კაცი იღებდა მონაწილეობას. ეს რიცხვი, რა თქმა უნდა, მეტად გადაჭარბებულია, მაგრამ იმ დროისათვის ორივე მხარეს საკმაოდ დიდი ძალა გააჩნდათ. ამ ბრძოლაში თემურ-ლენგმა სასტიკად დაამარცხა ოსმალთა ლაშქარი და სულთანი ბაიაზიდი, მისი ერთ-ერთი შვილი (მუსა) ტყვედ იგდო.

ქართველი ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე ანგორის ბრძოლას შემდეგნაირად აგვიწერს: „წაუშინეს ერთმანეთსა, აწვიმეს ფინდიხი და ისარი ვითარც სწრაფი სეტყვანი, ამაღლდა ჴმა ხმალთ ცემისა და მუზარადთ ხეტქინებისა შორიდამენ ისმოდა, ლახტით ცემა და შუბთა ძგერება და ფარებს ზედან ჯახი ჯუხი. ორგნითვე ძახილი ლაშქართა ცის ქუხილს ემსგავსებოდა და ორთვეთ საომართ შვა მოკლულის კაცით ასე აივსო, რომ მძოვრისაგან მეომარნი ცხენებს ვერ დაუძრევდენ. ასეთი სისხლის ღარი იდგა, რომ მკვდართ ადგილს უცვლიდა“[17].

ერთმა თვითმხილველმა აღწერა ამ ორი აღმოსავლეთის დიდმპყრობელის შეხვედრა. რომელთაგან ერთი იყო გამარჯვებული, მეორე კი არაროაობად ქცეული. დატყვევებული ბაიაზიდი თემურს მიჰგვარეს. თემურ-ლენგმა თანაგრძნობით მიმართა მას: „დიდმა ალაჰმა,

[17] ფ. გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 304.

— თქვა მან, — ნახევარი მსოფლიო მიბოძა მე, კოჭლს[18] და ნახევარიც შენ, ცალთვალას; კურთხეულ იყოს სახელი მისი"[19].

ეს ამბავი ფარსადან გორგიჯანიძესთან ასეა გადმოცემული, როცა თემურ-ლენგს დატყვევებული ბაიაზიდი მიუყვანეს „უნებურათ თემურს სიცილი მოუვიდა. ხონთქარს ეწყინა და ასრე მოახსენა — დღე უღამოთ არავის უნახავსო, ყოველი იძვრისი მიწათ იქცევისო. თემურ ასრე მოახსენა ხონთქარსა: ამაში ღმერთს ვიმოწმებო, რომ გახარებითა და ჩემად საამებლად არ გამიცინიაო. ამაზე სიცილი უნებურად მომივიდაო, რომ ღვთის წინაშენ ქვეყანანი როგორ უფასონი არიანო, რომ ჩემისთანა კოჭლმანო და თქვენისთანა ელამმანო ცუდს საქმეზედანო ორასი ათასი კაცი შემოვახოცეთო"[20].

თემურ-ლენგის სტიქია იყო ომების წარმოება და ხალხის ხოცვა-ჟლეტა. ეს მას სასახელო საქმედ მიაჩნდა.

ანგორის ბრძოლის შემდეგ თემურ-ლენგმა დაიპყრო ქალაქები კონია, დენიზლი, ბურსა, იზმირი, ნიკეია და სხვა. მისმა ჯარებმა ქალაქები და სოფლები საშინლად გაძარცვეს და ააოხრეს.

თემურ-ლენგმა, ბაიაზიდის დამარცხების შემდეგ, გადაწყვიტა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან სავაჭრო ურთიერთობა დაეყარებინა. ამ მიზნით მან სულთანიეს არქიეპისკოპოსის იოანე ჰალიფონტელის ხელით გაუგზავნა წერილები საფრანგეთისა და ინგლისის მეფეებს (დათარიღებული 1402 წ. აგვისტოთი); თემურ-ლენგი სთავაზობდა ამ მონარქებს სავაჭრო ურთიერთობის დამყარებას[21].

მცირე აზიაში ლაშქრობის დროს თემურ-ლენგი დატყვევებულ ბაიაზიდს თან დაატარებდა. მან გაქცევა სცადა, მაგრამ ამაოდ. იგი შეიპყრეს და ბორკილები დაადეს. ზოგი ისტორიკოსის ცნობით, იგი რკინის გალიაში ჩაუსვამთ. „ჩასუა რკინის უფაზში", წერს ბერი ეგნატაშვილი და რკინის უფაზით ატარებდაო[22]. 1403 წელს ბაიაზიდი ტყვეობაში გარდაიცვალა.

მცირე აზიის დამორჩილების შემდეგ თემურ-ლენგი სამარყანდში

---

18 კოჭლობის გამო თემურს მეტსახელად „ლენგი" შეარქვეს („ლენგ" ანუ „ლანგ" სპარსულად კოჭლს ნიშნავს). ბაიაზიდს ერთ-ერთ ბრძოლაში თვალი დაუზიანდა.

19 Е. А. Крымский, История Турции и её литературы, М., 1961, т. I, с. 15.

20 ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 304.

21 დ. კაციტაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 97; История Самарканда, Ташкент, 1969, с. 177—180; И. Умняков, Из истории международных отношений Средней Азии, Ташкент, 1971, с. 100—110.

22 ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 339.

დაბრუნდა და შეუდგა ჩინეთში დიდი ლაშქრობისათვის სამზადისს, მაგრამ 1405 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა.

თემურ-ლენგის მიერ ოსმალების დამარცხების შედეგად ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქის დაცემა გადაიდო ნახევარი საუკუნით.

თემურ-ლენგის შემოსევას ოსმალეთისათვის მძიმე შედეგები მოჰყვა. თემურ-ლენგმა ოსმალეთის სახელმწიფო დაუნაწილა ბაიაზიდის ოთხ შვილს. ამასთანავე თემურმა მცირე აზიაში აღადგინა აიდინის, გერმიანისა და ყარამანიის ბეილიქების დამოუკიდებლობა. მალე ბაიაზიდის შვილებს შორის დაიწყო ურთიერთშორის ბრძოლა პირველობისათვის, ამ ბრძოლაში საბოლოოდ გამარჯვებული გამოვიდა მეჰმედ I (1413—1421), მან დაიმორჩილა, აგრეთვე, აიდინისა და გერმიანის ბეილიქები და მხოლოდ ყარამანიის ბეილიქმა შეინარჩუნა თავისი დამოუკიდებლობა.

მეჰმედ I-ის გამარჯვებაში გარკვეული როლი შეასრულა ბიზანტიის დახმარებამ. ამის საფასურად მეჰმედმა ბიზანტიელებს დაუბრუნა ზოგიერთი ტერიტორია და დროებით უარი თქვა ევროპაში აქტიურ დაპყრობით პოლიტიკაზე.

მურად II (1421—1451) დროს კვლავ განახლდა დაპყრობითი ომები. ოსმალთა ფეოდალურ ზედაფენას წყუროდა ომები და ახალი ნადავლის ხელში ჩაგდება და ხშირად ამ საკითხში სულთანთან კონფლიქტიც კი ჰქონდა.

მურად II წამოიწყო ლაშქრობები როგორც მცირე აზიაში, ისე ბალკანეთში. 1426—1428 წწ. მან მცირე აზიაში შემოიმტკიცა ზოგიერთი ბეილიქი და გადადგა ნაბიჯები სახელმწიფოს ცენტრალიზაციის მიზნით.

1430 წ. ოსმალებმა ბალკანეთში ხელახლა დაიპყრეს ქალაქი სალონიკი, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი იყო კონსტანტინოპოლის შემდეგ. ქალაქი საშინლად გაძარცვეს და დაანგრიეს, ხოლო მოსახლეობა ტყვეებად წაიყვანეს.

1422 წ. ოსმალებმა იერიში მიიტანეს კონსტანტინოპოლის წინააღმდეგ, მაგრამ იგი უშედეგოდ დამთავრდა, რადგან სულთანს არ გააჩნდა სათანადო ფლოტი და საალყო მანქანები, რომლის გამოყენების გარეშე შეუძლებელი იყო ქალაქის კარგად გამაგრებული კედლების გარღვევა. ამავე დროს მცირე აზიაში აჯანყება დაიწყო მურად II ძმამ, მუსტაფამ, რომლის ზურგს უკან იდგნენ გერმიანისა და ყარამანიის ემირები.

თემურ-ლენგის მიერ ბაიაზიდის დამარცხების შედეგად ევროპაში ოსმალეთის საფრთხე შენელდა, მაგრამ მურად II-ის ახალმა დაპყრობებმა ბალკანეთში და ოსმალთა არმიის წინსვლამ დასავლეთის მიმართულებით ევროპაში კვლავ დიდი შეშფოთება გამოიწვია. ოსმალეთის

საფრთხის ლიკვიდაციის მიზნით საჭირო იყო ევროპის სახელმწიფოების ძალების გაერთიანება. მაგრამ ევროპის ქვეყნებს შორის მიმდინარეობდა განუწყვეტელი ბრძოლა, ხოლო ზოგიერთი მათგანი ეძებდა კავშირს ოსმალეთთან. ყოველივე ეს დიდად აბრკოლებდა ევროპის სახელმწიფოების გაერთიანებას — ოსმალთა წინააღმდეგ.

1440 წ. მურად II სერბიაში შეიჭრა და ალყა შემოარტყა ქ. ბელგრადს. მაგრამ ქალაქი კარგად იყო გამაგრებული და სულთანი იძულებული შეიქნა ალყა მოეხსნა და უკან გაბრუნებულიყო. ბელგრადთან ოსმალთა წარუმატებლობამ გაამხნევა ჯვაროსნული კოალიციის მომხრეები. რომის პაპმა და ბიზანტიის იმპერატორმა მოწოდებით მიმართეს ევროპის სახელმწიფოებს — დაეწყოთ ჯვაროსნული ლაშქრობა ოსმალეთის წინააღმდეგ. ამ მოწოდებას ენთუზიაზმით გამოეხმაურა უნგრეთის მეფე ვლადისლავ III, მას დახმარება აღუთქვა სერბიის დესპოტმა გიორგიმ. ალბანთა ბელადმა გიორგი კასტრიოტმა (სკანდერბეგმა) ოსმალეთს ომი გამოუცხადა. ანტიოსმალური ბრძოლის სულისჩამდგმელი იყო იანოშ ჰუნიადი, ტრანსილვანიის ვოევოდა. ამავე დროს ჯვაროსნებმა დაიყოლიეს ყარამანიის ემირი, თავს დასხმოდა სულთნის საძფლობელოებს მცირე აზიაში. უნგრეთის არმიამ და მოკავშირეთა ჯარებმა, რომელთაც იანოშ ჰუნიადი სარდლობდა, გადალახეს დუნაი და დაიწყეს ოსმალთაგან დაპყრობილი ტერიტორიის განთავისუფლება. იანოშ ჰუნიადიმ ტრანსილვანიაში სასტიკად დაამარცხა ოსმალთა ლაშქარი. ამ გამარჯვების შემდეგ მოლდავეთისა და აღმოსავლეთ მთიანი ოლქების ვოევოდები, რომლებიც აღიარებდნენ სულთნის ქვეშევრდომობას, უნგრეთს შეუერთდნენ და ვლადისლავ III-ს ერთგულება შეჰფიცეს. 1442 წელს სულთანმა ახალი ჯარები გაგზავნა ტრანსილვანიაში, მათაც სასტიკი დამარცხება იგემეს.

ამ წარმატებებმა კიდევ უფრო მეტად წაახალისა ოსმალეთის მოწინააღმდეგენი. ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობის მიზნით დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან უნგრეთში მოხალისეები ჩავიდნენ. რომის პაპმა ევგენი IV-მ უნგრეთის მეფესთან ვლადისლავ III-თან გაგზავნა თავისი დელეგატი კარდინალი იულიან ცეზარინი, ანტიოსმალური კოალიციის ერთ-ერთი თავგამოდებული მომხრე.

1443 წელს ზაფხულში უნგრეთის არმია, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ პოლონელები, სერბები, ვალახები, გერმანელები, ჩეხები და, აგრეთვე, ჯვაროსნები, დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან ვლადისლავ III-ის სარდლობით, დუნაისპირეთში შეიჭრნენ, აიღეს ქალაქი ნისა და დაიძრნენ სოფიისაკენ.

იმ დროს, როდესაც მოკავშირეთა არმია ბალკანეთის ქვეყნებში

შევიდა, ბიზანტიის იმპერატორის ძმამ კონსტანტინემ (შემდგომ იმპერატორი კონსტანტინე XI) 10 ოქტომბერს დატოვა კონსტანტინოპოლი და გაემართა პელოპონესში, სადაც უნდა შეეკრიბა ლაშქარი სულთნის წინააღმდეგ საბრძოლველად[23].

ჯვაროსნებმა დაამარცხეს სამი საფაშოს გაერთიანებული ლაშქარი და აიღეს ქალაქი სოფია. სოფიიდან ფილიპოლამდე რჩებოდა სამი დღის სავალი, ხოლო ადრიანოპოლამდე — ექვსი. მაგრამ მოახლოებული ზამთრის სიცივეების გამო წინსვლა შეჩერდა.

სოფიის და სხვა ქალაქების განთავისუფლებამ ოსმალთა ბატონობისაგან დიდი გამოხმაურება ჰპოვა მთელ დასავლეთ ევროპაში. უნგრეთის მეფემ ვლადისლავ III-მ და იულიან ცეზარინიმ სოფიის აღების შემდეგ სასწრაფოდ აფრინეს შიკრიკები ვენეციაში თხოვნით — გაეგზავნათ ფლოტი ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში, რათა ამით ხელი შეეშალათ ოსმალებისათვის ანატოლიიდან ევროპაში ჯარების გადაყვანისათვის[24].

სანამ ანტიოსმალური კოალიციის სახელმწიფოების წარმომადგენლები მსჯელობდნენ — ვის რამდენი გემი უნდა გაეგზავნა კონსტანტინოპოლში სრუტეების დასაცავად და ოსმალთა ჯარის ევროპაში გადაყვანისათვის ხელის შესაშლელად, მურად მეორემ ენერგიული ზომები მიიღო. 1443 წელს გაზაფხულზე მან გაილაშქრა აჯანყებული ყარამანიის ბეგის იბრაჰიმის წინააღმდეგ და დაამარცხა იგი. შემდეგ სასწრაფოდ თავისი ჯარი სრუტეებზე ევროპაში გადაიყვანა და ჯვაროსანთა ლაშქრისაკენ გაემართა. მაგრამ ვერ გაბედა ბრძოლის დაწყება. უნგრეთის მეფეც მერყეობდა. სულთანმა უნგრეთის მეფეს ვლადისლავ III-ს ზავი შესთავაზა. 1444 წელს ივნისში ზავი დაიდო უნგრეთსა და ოსმალეთს შორის. მურად II-მ ყურანზე, ხოლო ვლადისლავ III-მ ბიბლიაზე ფიცი დადეს, რომ 10 წლის განმავლობაში არ დაარღვევდნენ მშვიდობიანობას. საზავო ხელშეკრულებით მურად II-ს სერბიის დესპოტისათვის გიორგი ბრანკოვიჩისათვის უნდა დაებრუნებინა ხულმი და ჰერცოგოვინა, სულთანს უნდა ეცნო უნგრეთის ხელისუფლება ვალახეთზე, ხოლო ალბანეთი უნდა გადაეცა სკანდერბეგისათვის და სხვ[25].

რომის პაპმა ევგენი IV და ბიზანტიის იმპერატორმა იოანე VIII

---

[23] Bistra Cvetkova, La Bataille memorable des peuples, Sofia, 1971, pp. 270 — 298; Mufassal Osmanlı Tarihi, Cilt, I. s. 312 — 316.

[24] იქვე.

[25] იქვე.

ყველა ზომა მიიღეს, რათა უნგრეთის მეფეს ვლადისლავ III-ს დაერღვია ზავი და ოსმალეთთან ომი განეახლებინა.

უნგრეთში გაიგზავნა ვენეციისა და გენუის რესპუბლიკების სპეციალური ელჩები, რომლებსაც ვლადისლავისათვის უნდა ეცნობებინათ, რომ მათი მთავრობები მზად არიან გაგზავნონ თავიანთი ფლოტი გალიპოლისში, რათა ხელი შეუშალონ ოსმალეთის ჯარის გადაყვანას აზიიდან ევროპაში.

ბუდაში გაგზავნილ იქნენ საფრანგეთის, ინგლისის, ესპანეთის, არაგონიის, ბურგუნდიის და ფლორენციის ელჩები, რათა დაეყოლიებინათ უნგრეთის მეფე და უნგრეთის პოლიტიკური მესვეურები ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობის საქმეში.

ბიზანტიის იმპერატორმა იოანემ პირადი წერილი გაუგზავნა ვლადისლავ III-ს, რომელშიაც ყოველგვარი არგუმენტებით ცდილობდა დაერწმუნებინა მეფე დაერღვია ზავი ოსმალეთთან.

რომის პაპი უნგრეთის მეფისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში არწმუნებდა უნგრეთის მეფეს, რომ მას შეუძლია დაარღვიოს დადებული ფიცი, როცა საქმე ეხება ურწმუნოებსა და ერეტიკოსებს. მათივე მტკიცებით, ჯვაროსნული ლაშქრობის დაწყებისთანავე იფეთქებდა აჯანყება ბალკანეთის ქვეყნებში ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ, რაც მნიშვნელოვნად გააადვილებდა ოსმალების დამარცხებას[26].

1443 წელს 40 წლის ოსმალეთის სულთანმა მურად II-მ უარი თქვა ტახტზე და ხელისუფლება გადასცა თავის ვაჟს 12 წლის მეჰმედს (შემდგომ მეჰმედ II-ს, „ფათიჰ"-ს, კონსტანტინოპოლის დამპყრობს), მურადმა დატოვა ადრიანოპოლი (დედაქალაქი) და მანისაში (მცირე აზია) გაემგზავრა. ქვეყანაში კრიზისული მდგომარეობა შეიქმნა. მცირეწლოვანი სულთანი დიდი ვეზირისა და დიდმოხელეთა სათამაშო გახდა. ოსმალთა სამეფო დინასტიის შთამომავალმა ორხანმა ტახტზე პრეტენზია განაცხადა და დახმარებისათვის ბიზანტიის იმპერატორს მიმართა. სულთანს კვლავ აუჯანყდა ყარამანიის გამგებელი.

დრო მეტად ხელსაყრელი იყო. ბიზანტიის იმპერატორმა იოანე VIII-მ და რომის პაპმა ევგენი IV-მ ოსმალეთის წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის გეგმა შეიმუშავეს: რომის პაპისა და ბიზანტიის გარდა ანტიოსმალურ კოალიციაში უნდა შესულიყო: უნგრეთი, ვენეცია, გენუა, პოლონეთი, ვალახეთი, სერბია, ალბანეთი, რაგუზა და ბურგუნდია. ვენეციის, რაგუზის, გენუის და ბურგუნდიის ფლოტი უნდა ჩასულიყო კონსტანტინოპოლში და იქიდან მოეხდინა სრუტეების ბლოკირება და არ მიეცა საშუალება ოსმალეთისათვის, ლაშქარი

[26] Bistra Cvetkova, დასახ. ნაშრომი, გვ. 280.

მცირე აზიიდან გადაეყვანა ევროპაში, ამავე დროს მოკავშირეთა ფლოტი უნდა შესულიყო შავ ზღვაში და ოსმალთა ციხეები დაეკავებინა და დახმარება აღმოეჩინა ჯვაროსნებისათვის, რომლებიც უნდა გასულიყვნენ შავი ზღვის სანაპიროზე. ჯვაროსანთა ძირითადი ლაშქარი ხმელეთით უნდა შეჭრილიყო ბალკანეთში და გაენთავისუფლებინა ბალკანეთის ქვეყნები ოსმალთა ბატონობისაგან.

1444 წელს 25 გემისაგან შემდგარი ჯვაროსანთა ფლოტი კონსტანტინოპოლს მიადგა. 1444 წლის სექტემბრის დამდეგს დაიძრა უნგრეთის 20000 არმია, ჰუნიადის სარდლობით, რომელშიაც შედიოდნენ გარდა უნგრელებისა, ჩეხები, პოლონელები, ვალახები და სხვ. ლაშქართან ერთად იმყოფებოდა უნგრეთის მეფე ვლადისლავ III და კოალიციის თავდადებული მომხრე რომის პაპის წარმომადგენელი კარდინალი იულიან ცეზარინი. ჯვაროსნებმა გადალახეს დუნაი, შეიჭრნენ დუნაისპირეთში, იქიდან ბულგარეთში და ქ. ვარნისაკენ გაემართნენ. ჯვაროსნები ვარნიდან აპირებდნენ ზღვით კონსტანტინოპოლში ჩასვლას და იქიდან გაერთიანებული ძალებით ოსმალეთისათვის დარტყმას. ჯვაროსნებს იმედი ჰქონდათ, რომ ოსმალეთის ბატონობის ქვეშ მყოფი ბალკანეთის ხალხები მხარს დაუჭერდნენ მოკავშირეებს. სერბიის დესპოტმა გიორგიმ უარი თქვა ანტიოსმალურ კოალიციაში მონაწილეობაზე და ოსმალეთს აცნობა ჯვაროსანთა გეგმები. ამასთანავე მან არ გაატარა თავის ტერიტორიაზე ალბანეთის გამგებლის სკანდერბეგის ლაშქარი, ჯვაროსნებთან შესაერთებლად მიმავალი.

მართალია, ანტიოსმალური გეგმა კარგად იყო შედგენილი, მაგრამ მის მონაწილეთა შორის არ იყო ერთიანობა და ყოველი მონაწილე თავის საკუთარ ინტერესებს სხვებზე მაღლა აყენებდა. აქ დროს განსაკუთრებით მწვავე ქიშპი იყო ვენეციელ და გენუელ ვაჭრებს შორის. კ. მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „Чем сильнее враждовал Мурад с венецианцами, тем ревностнее генуэзцы становились на его сторону“[27].

ოსმალეთმა მოხერხებულად გამოიყენა ევროპის სახელმწიფოებს შორის არსებული წინააღმდეგობანი.

ოსმალეთის მდგომარეობა მეტად კრიტიკული იყო, შექმნილ ვითარებაში უავგუსტოესის დივანმა თხოვნით მიმართა მურად II-ს კვლავ ხელში აეღო ძალაუფლება და ჩასდგომოდა სათავეში ლაშქარს, მურად II დათანხმდა. იგი სასწრაფოდ დაბრუნდა დედაქალაქში და ენერგიული ზომები მიიღო. მურად II-მ სრუტეებზე მცირე აზიიდან ევროპაში ჯარის ნაწილები გადაიყვანა. ოსმალებმა სრუტეებში ჯვაროსანთა რამდენიმე გემი ჩაძირეს და არ მისცეს ბოსფორის ბლო-

[27] К. Маркс и Ф. Энгельс, т. VI, М., 1939, с. 194.

კირების საშუალება. მურად II-მ, გენუელების გემების დახმარებით, გადაიყვანა აზიიდან ბალკანეთში 40000 ლაშქარი. გენუელებმა ამ სამსახურისათვის ყოველი ჯარისკაცის გადაყვანაში თითო დუკატი მიიღეს, ე. ი. სულ 40000 დუკატი[28].

ჯვაროსნები არ მოელოდნენ ოსმალთა ესოდენ დიდი არმიის გამოჩენას ბალკანეთში. 1444 წელს 10 ნოემბერს ვარნასთან დიდი ბრძოლა გაიმართა ოსმალებსა და ჯვაროსნებს შორის, ჯვაროსნები დამარცხდნენ. ბრძოლაში დაიღუპა უნგრეთის მეფე ვლადისლავ III. ვარნასთან მოპოვებულმა გამარჯვებამ განამტკიცა ოსმალეთის სამხედრო ძლიერება და განაპირობა ბიზანტიის სახელმწიფოს საბოლოო დაცემა. ვარნის ბრძოლამ დიდი გამოძახილი ჰპოვა იმდროინდელ ევროპაში და მის ფარგლებს გარეთაც[29].

მიუხედავად ჯვაროსნებზე მოპოვებული გამარჯვებისა, ოსმალებმა მაინც ვერ შესძლეს ბალკანეთში ძველი მდგომარეობის მთლიანად აღდგენა. ალბანეთში სკანდერბეგი განაგრძობდა ბრძოლას ოსმალო დამპყრობლებთან. მის წინააღმდეგ მოწყობილ იქნა ექსპედიცია, მაგრამ უშედეგოდ. 1446 წელს მურად II გაგზავნა ჯარები საბერძნეთში და პელოპონესი სასტიკად იქნა დარბეული; 1448 წელს იანოშ ჰუნიადიმ, ამჯერად როგორც უნგრეთის მეფის რეგენტმა, განაახლა ბრძოლა ოსმალთა წინააღმდეგ. უნგრეთის არმიის რიგებში, რომელსაც იანოშ ჰუნიადი სარდლობდა, უნგრელების გარდა შედიოდნენ ვალახები და აგრეთვე დაქირავებული გერმანელი ჯარისკაცებიც; იგი იმედოვნებდა შეერთებოდა კოსოვოს ველზე სკანდერბეგის ჯარებს. მაგრამ ვიდრე ალბანელები შეძლებდნენ იქ მოსვლას, ჰუნაიდის ლაშქარს მოულოდნელად დაეცა ოსმალეთის უზარმაზარი არმია და მთლიანად გაანადგურა იგი. იანოშ ჰუნიადიმ ძლივს შეძლო გაქცევით თავის გადარჩენა. ამ განადგურებამ, რომელიც მოხდა ვარნასთან, დამარცხების ოთხი წლის შემდეგ, მნიშვნელოვნად შეარყია უნგრეთის სამხედრო ძლიერება. როდესაც კონსტანტინოპოლი კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, იანოშ ჰუნიადიმ ვერაფრით შეძლო მისთვის დახმარების აღმოჩენა. ბალკანეთში, მხოლოდ ალბანეთის მთებში, არ წყდებოდა ბრძოლა ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ.

* * *

დაპყრობითი ომების დროს სულთნის მთავრობა მეტად მოქნილ და ელასტიურ პოლიტიკას ატარებდა.

---

[28] А. Д. Новичев, История Турции, т. I, с. 42.

[29] Bistra Cvetkova, op. cit., pp. 355—360.

ჰალილ ინალჯიკის დაკვირვებით, ოსმალთა დაპყრობითი ომების მსვლელობისას გამოიყოფა ორი ნათლად გამოკვეთილი ეტაპი. ოსმალები ჯერ ცდილობდნენ დაემყარებინათ რომელიმე სახის სუზერენიტეტი (ვასალური ურთიერთობა), შემდეგ კი მიისწრაფოდნენ უშუალო კონტროლის დაწესებას ქვეყანაზე. ამ მიზნით, ისინი გადააყენებდნენ ხოლმე ვასალური ქვეყნების გამგებლებს, ადგილობრივი დინასტიების წარმომადგენლებს და თავიანთ მოხელეებს ნიშნავდნენ. ოსმალთა უშუალო კონტროლი, არსებითად, გულისხმობდა თიმარული სისტემის შემოღებას დაპყრობილ ქვეყანაში, რომელიც დაფუძნებული იყო დავთრებში ქვეყნის მოსახლეობისა და რესურსების მეთოდურ აღრიცხვაზე[30].

ჰ. ინალჯიკის აზრით, დაპყრობილ ქვეყანაში თიმარული სისტემის შემოღება ყოველთვის არ გულისხმობდა ძველი სოციალურ-პოლიტიკური წყობილების ერთბაშად გარდაქმნას. სინამდვილეში ეს იყო შემრიგებლური შეთვისება ადგილობრივი პირობებისა და კლასებისა ოსმალურ ინსტიტუტებთან, თანდათანობითი ასიმილაციის მიზნით[31].

არსებითად, დაპყრობილი ქვეყნის აღწერა და მისი დავთრებში გატარება ადგილობრივი სოციალურ-პოლიტიკური სისტემის გაუქმებას ნიშნავდა. ცხადია, ამას არ შეიძლება არ გამოეწვია დაპყრობილი მოსახლეობის დიდი წინააღმდეგობა. ასეთ ვითარებაში დამპყრობელი იძულებული იყო „თანდათანობითი ასიმილაციის“ გზას დადგომოდა და ეს „შემრიგებლური შეთვისება“ ნაკარნახევი იყო შექმნილი ვითარებით და არა ოსმალო სულთნების ლოიალური პოლიტიკით, როგორც ეს სურს წარმოგვიდგინოს ჰ. ინალჯიკმა.

სულთნის მთავრობა, ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობის დაძლევის მიზნით, იძულებული იყო ზოგ შემთხვევაში წასულიყო კომპრომისზე დაპყრობილი ქვეყნის გაბატონებული კლასის ერთი ნაწილის მიმართ და მისთვის შეენარჩუნებინა მიწები მთლიანად ან ნაწილობრივ, თიმარებისა და ზეამეთების სახით. ამისათვის კი საჭირო იყო ორი პირობა: „მიწის მფლობელი უნდა ყოფილიყო სამხედრო (askeri) წარმოშობისა და მას უნდა დაემტკიცებინა სულთნისადმი ერთგულება“[32].

ოსმალური წყაროების მიხედვით, ფეოდალთა გაბატონებული კლა-

---

[30] H. Inalcik. Ottoman Methods of Conquest, „Studia Islamica“, Paris, 1954, № 2, p. 109.

[31] იქვე.

[32] იქვე.

სი მთლიანად სამხედრო (askeri) წოდებას შეადგენდა. იგი იყოფოდა ორ კატეგორიად „მახვილისა და კალმის“ კაცებად. გლეხებს (რაია), ექსპლოატირებულ კლასს არ ევალებოდა ომში მონაწილეობა. გლეხები ვალდებული იყვნენ დაემუშავებინათ მიწის ნაკვეთი და გადასახადები გადაეხადათ სახელმწიფოსა და ფეოდალის სასარგებლოდ. ამდენად, ოსმალეთის მთავრობა, როგორც წესი, მიწაზე მსხდომ გლეხებს ხელს არ ახლებდა, მათ, უპირველეს ყოვლისა, გადასახადებით ბეგრავდა. ასე რომ, მიწის გადანაწილება ძირითადად დაპყრობილი ქვეყნის ფეოდალთა კლასს შეეხებოდა.

აღმოსავლეთის ქვეყნებში და, კერძოდ, ოსმალეთში მიწის უზენაესი მესაკუთრე სულთანი იყო. ამიტომ დაპყრობილი ქვეყნის გაბატონებულ კლასს თავის მიწაზე მფლობელობის უფლება სულთნისაგან უნდა მიეღო სპეციალური ბარათით. ამისათვის კი, როგორც ზემოთ მივუთითეთ, ორი პირობის შესრულება იყო საჭირო. მაგალითად: „რადგან სანჯაყ ბეგმა მოგვახსენა, რომ უფლება თიმარის hisse-ზე (ნაწილზე), რომელიც ეკუთვნის ზემოხსენებულ მეჰმედს, გაუქმებულ იქნა, ეს უფლება გადაეცა ქრისტიან იფრადკოს, რადგან იგი წარმოშობით სიფაჰია (ფეოდალია — მ. ს.) და თავისი სამსახურით დაამტკიცა სულთნისადმი ერთგულება“[33].

კიდევ: „ვოინუქი ნიკოლა დუშანკას ძე, იამაკები ჯონი, მილანი და დიმიტრი, როგორც სიფაჰიების (ფეოდალების) შვილები ჩარიცხული არიან ვოინუქებად, მათ მფლობელობაში მყოფი კარმიდამოები, ვენახებითა და მიწებით. ჩაიწერა მუჰარემის თვეში 858 წ. (1452 წ.) ადრიანოპოლში“[34].

ამრიგად, დაპყრობილი ქვეყნის ფეოდალები ინარჩუნებდნენ თავიანთ მიწებსა და სოციალურ მდგომარეობას, თუ ისინი ოსმალეთის სულთანს ლოიალობას გამოუცხადებდნენ და ოსმალეთის ლაშქარში ჩაეწერებოდნენ. ამასთან მეტად საყურადღებოა ის, რომ ოსმალეთის მთავრობა დაპყრობითი ომების პირველ ეტაპზე არ მოითხოვდა მათგან მაჰმადიანობის მიღებას. ამას კი უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბალკანეთის ქვეყნების ფეოდალების თავის მხარეზე გადმოსაბირებლად და მოწინააღმდეგის ძალების გასათიშავად. ამის გამო იყო, რომ ბალკანეთის ქვეყნების ფეოდალების ნაწილი ოსმალეთის მხარეზე გადადიოდა, მის სამსახურში დგებოდა და უადვილებდა სულთანს ამ ქვეყნების დაპყრობა-დამორჩილებას.

---

[33] H. Inalcik, დასახ. ნაშრ., გვ. 109.

[34] იქვე, გვ. 115.

XV საუკუნის თურქული წყაროებიდან ირკვევა, რომ ბალკანეთის ქვეყნების ზოგ რაიონში დაახლოებით თიმარების ნახევარი ქრისტიანები იყვნენ: 1468 წელს ბრანიჩევის მხარეში 125 თიმარიოტიდან 62 ქრისტიანი იყო. 1431 წელს ალბანეთში 335 თიმარიოტიდან 60 ქრისტიანი იყო. ტირალას (თესალიაში) პროვინციაში 1455 წელს 182 თიმარიოტიდან 36 ქრისტიანი იყო, უეჭველია, რომ ეს შეფარდება ქრისტიანებსა და მაჰმადიან თიმარიოტებს შორის ამ რეგიონის დაპყრობის პირველი ეტაპისათვისაა დამახასიათებელი[35].

XV საუკუნიდან დაწყებული XVI საუკუნემდე ქრისტიანი ვოინუქები ბოსნიაში, სერბიაში, მაკედონიაში, ალბანეთში, თესალიასა და ბულგარეთში დიდი რაოდენობით შედიოდნენ ოსმალეთის ლაშქარში ასკერების (მეომრების) სტატუტით.

სულთნის დადგენილებებით ქრისტიანი თიმარიოტები და ვოინუქები ოსმალთა სახელმწიფოში ხშირად ინარჩუნებდნენ მდგომარეობას, რომელიც შეესაბამებოდა მათ უწინდელ სოციალურ სტატუტს. მათ ოსმალები მაქსიმალურად უნარჩუნებდნენ მიწათმფლობელობის უფლებას თიმარებისა და ზეამეთების სახით და როდესაც ისინი მაჰმადიანდებოდნენ, მათ ეძლეოდათ ბეგის ტიტული[36].

უნდა შევნიშნოთ, რომ თიმარის ქრისტიანი მფლობელნი და მათი გამაჰმადიანებული ჩამომავალნი, თუმცა საერთოდ ინარჩუნებდნენ თავიანთ მემკვიდრეობას მამულზე, იძულებული იყვნენ უარი ეთქვათ თავიანთი მამულის ნაწილზე და ზოგიერთ განსაკუთრებულ ფეოდალურ უფლებაზე ახალი ოსმალური თიმარული რეჟიმის პირობებში. ამის შედეგად დიდმა ფეოდალურმა ოჯახებმა უდიდესი ზარალი განიცადეს და ამან გამოიწვია გარკვეული წინააღმდეგობანი ბალკანეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ოსმალურ სამფლობელოებში.

რით იყო გაპირობებული ოსმალეთის მთავრობის ეს პრივილეგიები ბალკანეთის ქვეყნების ფეოდალთა ერთი ნაწილის მიმართ?

რა თქმა უნდა, ეს არ აიხსნება ოსმალეთის მთავრობის „ლოიალური პოლიტიკით“. ამ ლოიალობის (შემრიგებლობის) მიზეზი ის იყო, რომ ოსმალეთი მაქსიმალურად ცდილობდა დაპყრობილ რეგიონში თავისი პოზიციების განმტკიცებას. ამისათვის იგი მიმართავდა ამ ხერხსაც, რითაც თიშავდა ფეოდალთა რიგებს და გარკვეული შეღა-

---

[35] H. Inalcik, დასახ. ნაშრ., გვ. 115.

[36] Б. А. Цветкова, Новые данные о христианах-сипахиях на Балканском полуострове в период турецкого господства, „Византийский временник“, М., т. 13, 1958, с. 58.

ჟათებისა და პრივილეგიების შენარჩუნების გზით იმხრობდა თავის მხარეზე მოწინააღმდეგის გაბატონებული კლასის ერთ ნაწილს. დამახასიათებელია, რომ ამ პრივილეგიებსა და შეღავათებს ოსმალეთის სულთანი სამარადისოდ არ იძლეოდა და დროთა განმავლობაში, დაშორჩილებულ ქვეყანაში ძალაუფლების განმტკიცების შემდეგ, მათ თანდათანობით აუქმებდა.

სწორედ, ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ დიდებულთა ოჯახები ბალკანეთის ქვეყნებში ასიმილირებულ იქნენ ოსმალურ თიმარიოტების მასებთან და გახდნენ მუსლიმანები. უკვე XVI საუკუნეში ამ მხარეებში იშვიათად გვხვდება ქრისტიანი თიმარიოტები. უფრო მეტიც, პროფესორ ჰ. ინალჯიკის ცნობით, ამ საუკუნეში ქრისტიანი თიმარების არსებობამ ხალხი შეაძრწუნა და გამოიწვია სპეციალური გამოძიების ჩატარება, რათა გამოერკვიათ მათი წარმომავლობა (ჩამომავლობა). ფაქტიურად, ზოგი თიმარიოტის ქრისტიანული წარმოშობა მეღავნდება მხოლოდ მათ მიერ იშვიათად ხმარებული გვარის მეშვეობით[37].

ანალოგიურ პოლიტიკას ოსმალები ანხორციელებდნენ არა მარტო ბალკანეთის ქვეყნების მიმართ, არამედ ანატოლიაშიც. ადგილობრივმა ემირებმა და ფეოდალებმა, რომლებიც ოსმალთა სამსახურში ჩადგნენ, მიიღეს ბეგის ტიტული და დიდი თიმარები[38].

ოსმალეთის მთავრობა, რათა დაეძლია ქურთების წინააღმდეგობა, ქურთი ტომების ბელადებისა და ბეგების მიმართ დიდ დათმობებზე წავიდა. სულთანმა ტომის ბელადებს და ბეგებს თითქმის უცვლელად დაუტოვა მათ მფლობელობაში მყოფი მიწები, იურთლუკისა, ოჯაკლიკისა და ჰუქუმეთების სტატუტით, ხოლო ზოგიერთებს კი ტომის მოსახლეობის გადასახადების შემოსავალი თიმარებად უბოძა. ამრიგად, ოსმალებმა თიმარული სისტემა მიუსადაგეს აქ არსებულ მდგომარეობას.

ანატოლიაში თიმარული სისტემის დანერგვა ბალკანეთის ქვეყნებთან შედარებით უფრო უმტკივნეულად ტარდებოდა, რადგან ანატოლიის საემიროებს ბევრი რამ ჰქონდა საერთო ოსმალურ სისტემასთან; მით უფრო, რომ აქ გაბატონებულ ფეოდალთა კლასის უმრავლესობას მაჰმადიანები შეადგენდნენ.

სულთნის მთავრობა, ზოგ შემთხვევაში, კომპრომისზე მიდიოდა არა მარტო გაბატონებული კლასის, არამედ ადგილობრივი მოსახლეობის მიმართაც, გარკვეული შეღავათების მინიჭების გზით. მაგალითად,

---

[37] H. Inalcik. Ottoman Methods of Conquest, p. 115.

[38] იქვე.

ანთაეისუფლებდა მათ ზოგიერთი გადასახადებისაგან. თუმცა ასეთ პრივილეგიებს სამუდამოდ არ იძლეოდნენ და სულთნის ბრძანებით შეიძლებოდა მათი წართმევა. ზოგ განსაკუთრებულ შემთხვევაში მთელი ქალაქის მოსახლეობა თავისუფლდებოდა გადასახადებისაგან; ამით ოსმალეთის მთავრობა იმედოვნებდა მოსახლეობის ერთგულების მოპოვებას. მაგალითად, კონიისა და კაისერის საარქივო წიგნში აღნიშნული იყო, რომ აქ ქალაქების მოსახლეობა მთლიანად განთავისუფლებული იყო გადასახადებისაგან „იმ ერთგულებისათვის, რაც მათ გამოიჩინეს უზუნ ჰასანთან ბრძოლის დროს“. ამ შეღავათების წყალობით ოსმალებმა შესძლეს მნიშვნელოვან ქალაქებში ძალაუფლების განმტკიცება[39].

დაპყრობითი ომების პირველ ეტაპზე, როდესაც ოსმალები ჯერ კიდევ არ ერეოდნენ დაპყრობილი ქვეყნების საშინაო საქმეებში, ტოვებდნენ ადგილობრივ დინასტიებს, მოსახლეობას უნარჩუნებდნენ გარკვეულ პრივილეგიებსა და შეღავათებს. ყოველივე ამან ხელი შეუწყო ოსმალთა დაპყრობითი ომების წარმატებით მსვლელობას.

ბაიაზიდ I დროიდან ოსმალო სულთნები იწყებენ ინკორპორაციის (ანექსიის) პოლიტიკის განხორციელებას, რამაც დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია არა მარტო ქვეყნის გარეთ, არამედ მის შიგნითაც. ბაიაზიდ I-ის ძალისმიერი პოლიტიკა, ქვეყნის უნიფიკაცია, რამაც ესოდენ ძლიერი რეაქცია გამოიწვია, იყო რეალური მიზეზი მისი იმპერიის დამხობისა 1402 წელს[40].

დაპყრობითი ომების მეორე ეტაპზე ოსმალები იწყებენ ქვეყნის აღწერას და დავთრებში გატარებას. ეს კი ნიშნავდა ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის გაუქმებას, ოსმალური საგადასახადო სისტემისა და მის მართვა-გამგებლობის შემოღებას, რაც იწვევდა ადგილობრივი მოსახლეობის შეუნელებელ წინააღმდეგობას.

ბაიაზიდის მემკვიდრეებმა სულეიმანმა, მეჰმედ I-მა, მურად II-ჭ განაახლეს ზომიერი პოლიტიკა დაპყრობილი ქვეყნების მიმართ, მაგრამ 1451 წელს, როდესაც ტახტზე ავიდა მეჰმედ II, დაპყრობითი პოლიტიკა კვლავ სახელმწიფო დონეზე იქნა აყვანილი[41].

სულთნის მთავრობა, დაპყრობილ ქვეყნებში თავისი ხელისუფლების განმტკიცების მიზნით, ხშირად იყენებდა კოლონიზაციისა და მოსახლეობის მასობრივად გადასახლების (sürgün) შემუშავებულ სისტემას. იგი დიდად იყო დაინტერესებული ოსმალთა დასახლებით და-

---

[39] H. Inalcik. Ottoman Methods of Conquest, p. 107.

[40] იქვე, გვ. 108.

[41] იქვე.

პყრობილ ადგილებში. ოსმალურ წყაროებში ამის შესახებ არაერთი საყურადღებო ცნობა მოიპოვება. სულთნის მთავრობა მასობრივად ასახლებდა ოსმალურ მოსახლეობას ბალკანეთის ქვეყნებში, ხოლო ბალკახეთის მოსახლეობას — ანატოლიაში. ასეთსავე ღონისძიებას სულთანი მიმართავდა, აგრეთვე, თავისი იმპერიის აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართაც[42].

ამგვარი ღონისძიებების გატარებით, ოსმალეთის მთავრობას სურდა, ერთი მხრივ, მოეხდინა დაპყრობილი ხალხების ასიმილაცია, ხოლო, მეორე მხრივ, დაპყრობილ ქვეყნებში თურქული მოსახლეობის ჩასახლებით — აქ თავისი ძალაუფლების განმტკიცება.

ზოგიერთი მეცნიერი და განსაკუთრებით თურქი ისტორიკოსები აყალბებენ ისტორიას, არასწორად აშუქებენ და აფასებენ ოსმალთა დაპყრობით ომებსა და მათ შედეგებს. ისინი წერენ, რომ ხალხის მასები არ უწევდნენ წინააღმდეგობას დამპყრობლებს, პირიქით თურქოფილობდნენ. თითქოს უბრალო ხალხის მდგომარეობა ოსმალთა ბატონობის დროს გაუმჯობესდა, შემცირდა გადასახადები, გაუქმებულ იქნა ბატონყმობაც კი, განვითარდა ვაჭრობა-ხელოსნობა, მოსპობილ იქნა შიდაფეოდალური ომები. ამის გამო ხალხის მასები ადვილად ეგუებოდნენ ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვას და სხვა.

კ. მარქსი არა ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს ოსმალთა დაპყრობითი ომების გამანადგურებელ შედეგებს. კ. მარქსის სიტყვებით, ოსმალები „предавали огню и мечу города и села... и свирепствовали, как каннибалы“[43].

კ. მარქსი მთელი სიცხადით გვიჩვენებს, რომ ოსმალები სხვადასხვა პოლიტიკას ანხორციელებდნენ, ერთი მხრივ, დაპყრობილი ქვეყნების ხალხის მასების მიმართ, რომლებსაც ისინი დაუნდობლად ხოცავდნენ და მონებად აქცევდნენ, ხოლო, მეორე მხრივ, შეძლებული კლასის მიმართ, რომლის მიმხრობასაც ისინი ზოგჯერ ცდილობდნენ.

კ. მარქსის სიტყვით, ოსმალებმა სამხედრო ოკუპანტების[44] რე-

---

[42] Ö. L. Barkan. Osmanli Imperatorluğunda bir Iskan ve Kolonizasyon methods olarak Sürgündiler. IUIFM, t. XV, 1953, 1954, pp. 209—237; H. Inalcik. Ottoman Methods of Conquest, p. 111.

[43] К. Маркс. Хронологические выписки, Архив К. Маркса и Ф. Энгельса, т. VII, с. 202, 215.

[44] К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. IX, с. 374.

ჟიმი დაამყარეს დაპყრობილ ქვეყნებში. მათი ბატონობა ემყარებოდა შიშველ სამხედრო ძალას.

ოსმალთა ბატონობა ახშობდა და აბრკოლებდა დაპყრობილი ქვეყნების წინსვლას. კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ „Присутствие турок в Европе представляет собою серьезное препятствие для развития фракийско-иллирийского полуострова"[45].

კ. მარქსის ეს დებულება სავსებით შეიძლება გავრცელდეს ოსმალების მიერ დაპყრობილ სხვა ქვეყნებზედაც.

ოსმალთა ომების ერთ-ერთი მთავარი უარყოფითი შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ მან მთელი საუკუნეებით შეაჩერა დაპყრობილი ხალხების ეკონომიკური და კულტურული განვითარება.

---

[45] К. Маркс и Ф. Энгельс, соч. т. IX, с. 374.

კონსტანტინოპოლის დაპყრობა

1451 წელს 2 თებერვალს ადრიანოპოლში მოულოდნელად გარდაიცვალა მურად II. მეჰმედი მანისაში იმყოფებოდა, როდესაც მას აცნობეს გარდაცვალების ამბავი. მან დატოვა მანისა, გადალახა დარდანელის სრუტე და გალიპოლისში ჩავიდა, სადაც რამდენიმე დღე დაჰყო. იგი ჩქარობდა დედაქალაქში ჩასვლას, რადგან ტახტს სხვა რეალური პრეტენდენტი ჰყავდა. მან ბრძანება გასცა მოეკლათ მურად II-ის ქვრივის მცირეწლოვანი შვილი აჰმედი. 18 თებერვალს მეჰმედი საზეიმო ვითარებაში ადრიანოპოლში ჩავიდა და ტახტი დაიკავა. ამრიგად, 13 წლის მეჰმედ II (1451—1481) ოსმალეთის სულთანი გახდა.

მეჰმედის ბავშვობა არ იყო უდარდელი და ადვილი. დედით იგი იყო სომეხი მხევალი ქალის შვილი, ხოლო მისი ძმები ასაკით უფროსნი იყვნენ და მათი დედებიც დიდგვაროვან ოჯახებს ეკუთვნოდნენ და ამიტომ მასთან შედარებით უპირატესობა ჰქონდათ ტახტის დაკავებისა, მაგრამ თითქოს რაღაცა საიდუმლო ძალა სწყალობდა მომავალ სულთანს. მისი უფროსი ძმა აჰმედი 1437 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა. ექვსი წლის შემდეგ საიდუმლო ვითარებაში დაიღუპა მისი მეორე ძმა ალაედინი. მამამისმა იგი ორჯერ გამოაცხადა ტახტის მემკვიდრედ და უკან წაიღო თავისი გადაწყვეტილება და მხოლოდ მისმა არაჩვეულებრივმა ნიჭმა სულთანს საბოლოოდ გადააწყვეტინა თავისი არჩევანი. მეჰმედმა საკმაოდ კარგი განათლება მიიღო, იგი ერკვეოდა სხვადასხვა მეცნიერებებსა და ფილოსოფიაში. იცნობდა ისლამურ და ბერძნულ ლიტერატურას. მან შეისწავლა არაბული, სპარსული, ბერძნული და ლათინური ენები. მამამისმა იგი აზიარა სახელმწიფოს მმართველობის ხელოვნებას.

მეჰმედის ბავშვობას (კარზე შექმნილი ინტრიგებით აღსავსე ვითარება) უკვალოდ არ ჩაუვლია. მისი ხასიათი სწორედ ბავშვობის წლებმა განაპირობა: გულჩათხრობილობა, უნდობლობა, დასახული მიზნისაკენ შეუპოვარი სწრაფვა; გადმოგვცემენ, რომ არავის შეეძლო გადაეთქმევინებინა მისთვის რაიმე ან აეღებინა ხელი განზრახვაზე.

სამწუხაროდ, კონსტანტინოპოლის დაპყრობა იყო ის მიზანი, რომელიც მან დაისახა გამეფებამდე[1].

მეჰმედ II-ის ტახტზე ასვლის შემდეგ ევროპის ქვეყნებიდან ადრიანოპოლში ჩავიდნენ სხვადასხვა ქვეყნის ელჩები, რომლებმაც ახალ სულთანს მიულოცეს ტახტზე ასვლა. მეჰმედ II დიდი პატივით შეხვდა უცხო ქვეყნების დელეგაციებს და დაარწმუნა ისინი თავის მშვიდობისმყვარე პოლიტიკაში. მან მიიღო ვენეციის მისია და განაახლა ვენეციასთან ხუთი წლის წინათ დადებული სამშვიდობო ხელშეკრულება. მეჰმედ II-მ იანოშ ჰუნიადის წარმომადგენლებთან დადო სამი წლით დროებითი ზავი. სერბიის დესპოტს გიორგის დაუბრუნა არა მარტო ქალიშვილი (მურად II-ის ქვრივი), არამედ რამდენიმე ქალაქიც კი.

პატივით იქნენ მიღებული ვალახეთის გოსპოდარის, ქალაქ რაგუზის, კუნძულ როდოსის რაინდთა ორდენის, ლესბოსისა და ხიოსის წარმომადგენლები.

განსაკუთრებით კმაყოფილი იყვნენ ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე XI-ის ელჩები სულთანთან შეხვედრით. მეჰმედ II-მ დაიფიცა ყურანზე, რომ არ ხელყოფდა ბიზანტიის ტერიტორიის მთლიანობას. ამავე დროს დაპირდა იმპერატორს, რომ ყოველწლიურად გადაუხდიდა 300 ათას ასპერს ოსმალთა უფლისწულის ორხანის შესანახავად, ვიდრე იგი დარჩებოდა საპატიო ტყვეობაში კონსტანტინოპოლში.

ამ ფრთხილი და მშვიდობისმოყვარე პოლიტიკის მიზეზი ის იყო, რომ სულთანს არ სურდა აშკარად გამოემჟღავნებინა თავისი აგრესიული ზრახვები და ამით მოედუნებინა ბიზანტიისა და ევროპის ქვეყნების ყურადღება. ამასთანავე, ვიდრე იგი დაიწყებდა კონსტანტინოპოლის წინააღმდეგ ომისათვის სამზადისს, საჭირო იყო მცირე აზიაში დაწყებული აჯანყების ლიკვიდაცია, რათა ზურგი მტკიცე ჰქონოდა.

ყარამანიის ემირი იბრაჰიმ ბეი კვლავ აუჯანყდა სულთანს და ძოუწოდა აიდინის, გერმიანისა და მენთეშეს ემირებს მიებაძათ მისთვის. ამავე დროს იბრაჰიმი დასავლეთ ევროპის გამგებლებს არწმუნებდა, რომ მეჰმედ II ახალგაზრდაა, გამოუცდელი და ადვილად შესაძლებელია მისი დამარცხება. იბრაჰიმი თავისი ლაშქრით შეიჭრა ოსმალეთის სამფლობელოებში. ანატოლიის გამგებელმა ისჰაკ ფაშამ სთხოვა სულთანს თვითონ ჩასულიყო იქ, აჯანყებულთა დასაშოშმინებ-

[1] Ф. И. Успенский, История Византийской империи, т. III, с. 778, 779; F. Babinger, Mahomet II le Conquerant et son temps, Paris, 1954, pp. 5 — 16; Mufassal Osmanlı Tarihi, cilt, I, s. 384—389.

ლად. მეჰმედ II სასწრაფოდ ჩავიდა ანატოლიაში და აჯანყება ჩაქრობილ იქნა. ამასობაში იენიჩარების რიგებში დაიწყო მღელვარება, მათ მოითხოვეს ხელფასის მომატება. სულთანი იძულებული შეიქნა დაეკმაყოფილებინა იენიჩართა მოთხოვნა, მაგრამ იენიჩართა მეთაური გადააყენა.

კონსტანტინე XI-მ გადაწყვიტა ესარგებლა ამ ხელსაყრელი ვითარებით. ანატოლიაში აჯანყება ჩაქრობილი არ იყო, როდესაც მან მეჰმედ II-ს ელჩები გაუგზავნა საჩივრით, რომ ის თანხა, რომელიც საჭირო იყო უფლისწულის შესანახავად, ჯერ კიდევ არ არის გადახდილი. ელჩებს აგრეთვე დავალებული ჰქონდათ შეეხსენებინათ სულთნისათვის, რომ ბიზანტიის კარზე იმყოფებოდა ოსმალეთის ტახტის შესაძლო პრეტენდენტი. მართალია, მეჰმედ II-მ ელჩებთან საუბრის დროს თავი ვერ შეიკავა გაღიზიანებისაგან, მაგრამ მათ დაპირდა, რომ ადრიანოპოლში დაბრუნების შემდეგ განიხილავდა ამ საკითხს. კონსტანტინეს ასეთმა წინდაუხედავმა ნაბიჯმა ძალზე განარისხა სულთანი და უბიძგა მას დაეჩქარებინა კონსტანტინოპოლის წინააღმდეგ ომის სამზადისი.

ადრიანოპოლში დაბრუნების შემდეგ მეჰმედმა ბრძანება გასცა გაესახლებინათ ბერძენი ვაჭრები ქალაქებიდან და მოეხდინათ მთელი მათი ქონების კონფისკაცია.

1451 წლის ზამთარში სულთანმა ბრძანება გასცა, მთელ თავის სამფლობელოებში შეეკრიბათ ქვის საუკეთესო ხელოსნები და შავი მუშები და გაზაფხულისათვის თავი მოეყარათ ბოსფორის სანაპიროზე. ზამთრის დამთავრებისთანავე ანადოლუ-ჰისარის პირდაპირ ბოსფორის ევროპულ ნაწილში ოსმალები შეუდგნენ მოსამზადებელ სამუშაოებს, ხოლო 15 აპრილიდან დაიწყეს ციხე-სიმაგრის (რუმელი-ჰისარის) მშენებლობა.

სულთნის მოქმედებამ დიდი შეშფოთება გამოიწვია კონსტანტინოპოლში. აშკარა იყო, რომ ეს იყო პირველი ნაბიჯი, გადადგმული ქალაქის ალყის შემორტყმისათვის. იმპერატორმა სასწრაფოდ სულთანს ელჩობა გაუგზავნა, რომელსაც უნდა განეცხადებინა პროტესტი, რადგანაც სულთნის მხრიდან ეს იყო ხელშეკრულების აშკარა დარღვევა. ამავე დროს უნდა შეეხსენებინათ სულთნისათვის, რომ თავის დროზე სულთანმა ბაიაზიდ I-მ ნებართვა სთხოვა იმპერატორ მანუელს ანადოლუ-ჰისარის (ციხის) მშენებლობაზე. მეჰმედ II-ს აუდიენციის გარეშე უკან გააბრუნა ელჩები. 1452 წ. ივნისში კონსტანტინემ ახალი ელჩობა გაგზავნა. იმპერატორი მოითხოვდა მეჰმედისაგან გარანტიას, რომ ახლად აგებული ციხე არ იქნებოდა გამოყენებული კონსტანტინოპოლზე თავდასასხმელად. ამჯერად ელჩები

დააპატიმრეს, შემდგომ თავები მოკვეთეს. არსებითად ეს ნიშნავდა ომის გამოცხადებას.

1452 წელს 31 აგვისტოს დამთავრდა რუმელი-ჰისარის მშენებლობა. ერთდროულად სულთანმა გამოაცხადა, რომ ყოველი გემი, რომელიც გაივლიდა ბოსფორის სრუტეს, უნდა გაჩერებულიყო ციხესთან, გასინჯვისა და ბაჟის გადასახდელად. თუ კაპიტანი არ დაემორჩილებოდა ამ გადაწყვეტილებას, გემი ჩაძირული იქნებოდა. როგორც ვთქვით, ახალი სულთნისათვის არ არსებობდა რაიმე უკანდასახევი თავისი სურვილის განსახორციელებლად. მისი ხასიათის ეს თვისება საბედისწერო აღმოჩნდა. ამ გადაწყვეტილების რეალიზაციისათვის ახლად აგებულ ციხე-სიმაგრეში ჩადგეს სამი ზარბაზანი. ნოემბრის დამდეგს ვენეციის ორმა გემმა დაარღვია ეს წესი და არ დაეშორჩილა ამ დადგენილებას, მათ ზარბაზნები დაუშინეს, მაგრამ გემებმა შეძლეს უვნებლად გასვლა. ორი კვირის შემდეგ სრუტეში ვენეციის ახალი გემი გამოჩნდა. მისმა კაპიტანმა სცადა მიებაძა წინამორბედებისათვის, მაგრამ ამაოდ. გემი ჩაძირულ იქნა ზარბაზნების შურვებით, მისი მთელი ეკიპაჟი დაატყვევეს, ხოლო შემდეგ, სულთნის ბრძანებით, ყველას თავები მოჰკვეთეს[2].

1453 წლის იანვრის ბოლოს სულთანმა მიიღო გადაწყვეტილება დაეწყო ბრძოლა კონსტანტინოპოლისათვის. ქალაქის აღების საქმეში მეჰმედ II დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ფლოტს. ოსმალების ყველა წინა შეტევა ქალაქის აღების მიზნით ჩამოწყებული იყო ხმელეთიდან, კონსტანტინოპოლს ყოველთვის ჰქონდა შესაძლებლობა მიეღო დახმარება საზღვაო გზით. ამას გარდა, ოსმალები იძულებული იყვნენ დაექირავებინათ ქრისტიანებისაგან გემები თავიანთი ჯარების გადასაყვანად. სულთანმა გადაწყვიტა ამისათვის ბოლო მოეღო. მისი ბრძანებით, ეგეოსის ზღვის სანაპირო ქალაქებში რამდენიმე თვის განმავლობაში სასწრაფოდ შეიქმნა ოსმალეთის ფლოტი, ნაწილობრივ გემების აგებისა და ნაწილობრივ ძველი ხომალდების შეკეთების შედეგად. სხვადასხვა მონაცემებით, ოსმალეთის ფლოტი კონსტანტინოპოლის ალყის დაწყების წინ თავის რიგებში ითვლიდა 200—300 სხვადასხვა ტიპის გემს. სულთანმა ფლოტის სარდლად (ქაფუდან ფაშად) დანიშნა გალიპოლის გამგებელი სულეიმან ბალთოღლუ, წარმოშობით ბულგარელი. მარტის ბოლოს ოსმალეთის ფლოტმა გაიარა დარდანელი და მარმარილოს ზღვაში შევიდა.

თრაკიაში (ევროპაში) მიმდინარეობდა თურქეთის ქვეითი ჯარის ფორმირება. სულთანი დიდ ყურადღებას უთმობდა როგორც ფლო-

---

[2] Дука. История, с. 388; С. Рансимен, Падение Константинополя в 1453 г., с. 75, 76.

ტის, ისე არმიის აღჭურვის საქმეს. ამზადებდნენ კედლის გამრღვევ. და ქვის მსროლელ იარაღებს.

მეჰმედ II-ს კარგად ესმოდა, რომ კონსტანტინოპოლის სქელი კედლების გარღვევა ზარბაზნების გარეშე შეუძლებელი იყო. სულთანს ბედმა გაუღიმა. სწორედ ამ დროს მას ეახლა უნგრელი ინჟინერი ურბანი, ამ საქმის ჩინებული მცოდნე. საინტერესოა, რომ სულთანთან ჩასვლამდე უფრო ადრე ანალოგიური მიზნით მან ბიზანტიის იმპერატორი მოინახულა, მაგრამ კონსტანტინეს არც სახსრები გააჩნდა და არც საჭირო მასალა. როგორც ჩანს, ურბანისათვის ქრისტიანობის დაცვაზე უფრო ფასობდა კარგი გასამრჯელოს მიღება. სულთანმა იგი დიდი პატივით მიიღო და დიდი ჯამაგირი დაუნიშნა. პირველი დიდი ზარბაზანი, რომელიც მან ჩამოასხა, რუმელი-ჰისარის ციხეში ჩადგეს. სწორედ, ამ ზარბაზნით ჩაძირეს ვენეციის გემი ბოსფორის სრუტეში. ამან სულთანი კიდევ უფრო წაახალისა და სთხოვა ურბანს უფრო დიდი ზარბაზანი დაემზადებინა, თანაც ხელფასი გაუდიდა. მოკლე ხანში ჩამოასხეს უფრო დიდი ზარბაზანი, რომელიც, ურბანის სიტყვებით, გაარღვევდა კონსტანტინოპოლის კედელს. ამ უზარმაზარი ზარბაზნის წასაღებად საჭირო იყო 60 ხარი და 200 კაცი. სულთნის ბრძანებით, ზარბაზნის წასაღებად შეაკეთეს გზა და გაამაგრეს ხიდები[3].

23 მარტს მეჰმედ II-მ ადრიანოპოლი დატოვა და 5 აპრილს კონსტანტინოპოლის კედლის მახლობლად დაბანაკდა.

ოსმალეთის არმია, რომელიც მობილიზებული იყო კონსტანტინოპოლის დასაპყრობად, საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. ბერძნული წყაროების მიხედვით, მისი რაოდენობა 300—400 ათასი კაცი იყო, რაც, რა თქმა უნდა, ძალზე გადაჭარბებულია. ვენეციელების მონაცემებით კი, მისი რაოდენობა 150 ათას კაცს შეადგენდა. თურქული წყაროების ცნობით, ოსმალეთის რეგულარული არმია 80 ათას კაცს ითვლიდა. ამას თუ დავუმატებთ სხვადასხვა დამხმარე რაზმებს, რომლებიც ზურგში იმყოფებოდნენ, მაშინ ოსმალეთის არმიის საერთო რაოდენობა 100—120 ათას კაცამდე გაიზრდება[4].

ბიზანტიის იმპერიის ყოფნა-არყოფნის ბედი წყდებოდა. კონსტანტინეს კარგად ესმოდა შექმნილი მდგომარეობის სერიოზულობა. საკუთარი ძალებით ესოდენ მრისხანე მტრის წინააღმდეგობის დაძლევა შეუძლებელი იყო. საჭირო იყო ქრისტიანული ქვეყნებისაგან

---

[3] Дука. История. с. 388, 389, 393; С. Рансимен, Падение Константинополя, с. 64—84.

[4] С. Рансимен, Падение Константинополя, 82—84: Mufassal Osmanlı Tarihi, cilt. 1, s. 421.

დახმარების მიღება და ამ საქმეში რომის პაპის ავტორიტეტის გამოყენება. მაგრამ ამ დროს რომის პაპსა და ბიზანტიის ეკლესიას შორის განხეთქილება სუფევდა. საჭირო იყო ამ საკითხის მოგვარება.

1439 წელს ფლორენციის საერთაშორისო საეკლესიო კრებამ მიიღო დადგენილება კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიის უნიის (გაერთიანების) შესახებ, რომის პაპის მეთაურობით. ამ გადაწყვეტილებას ხელი მოაწერა ბიზანტიის იმპერატორმა იოანე VIII-მ და კონსტანტინოპოლის პატრიარქმა. ამ კონგრესს ესწრებოდა აგრეთვე კონსტანტინე (იმპერატორის ძმა). იმპერატორი დათმობაზე წავიდა იმის გამო, რომ რომის პაპი პირდებოდა დახმარებას ანტიოსმალური კოალიციის ორგანიზაციის საქმეში. ბიზანტიაში მტრულად შეხვდნენ ფლორენციის კრების დადგენილებას. კონსტანტინოპოლის პატრიარქი, რომელმაც ხელი მოაწერა ამ გადაწყვეტილებას, იძულებული შეიქნა გაქცეულიყო რომში (1450 წ.). მღვდლებს და ხალხის მასებს გაგონებაც არ უნდოდათ უნიის შესახებ. არც ლიტურგიაში, არც რწმენის სიმბოლოში არ იყო შეტანილი არავითარი ცვლილება. უნიას ფაქტიურად იცავდნენ მხოლოდ იმპერატორის კარზე. ყოველივე ეს კარგად იცოდა რომის პაპმა და სცადა ეკლესიების მოჩვენებითი გაერთიანება სინამდვილედ ექცია. 1452 წელს, ქალაქის ალყამდე ცოტა ხნით ადრე, კონსტანტინემ პაპთან გაგზავნა ელჩობა თხოვნით: მოეწოდებინა დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის — დახმარება აღმოეჩინათ კონსტანტინოპოლისათვის. ამის საფასურად რომის პაპი მოითხოვდა იმპერატორისაგან „წესრიგი დაემყარებინა ეკლესიაში“ და მიეღო რომის პაპის ლეგატი, რომელსაც უნდა მოესპო ყოველგვარი განსხვავების კვალი ეკლესიათა შორის. შექმნილ ვითარებაში კონსტანტინე იძულებული იყო დათანხმებოდა ამ პირობას.

1452 წელს 26 ნოემბერს კონსტანტინოპოლში ჩამოვიდა რომის პაპის ლეგატი კარდინალი ისიდორე. იგი დაუკავშირდა იმპერატორს, უმაღლეს სამღვდელოებასა და არისტოკრატიას, რომელთაც საესებით ჰქონდათ შეგნებული მოსალოდნელი საფრთხე. თითქოს ყველას კარგად ესმოდა, რომ ხსნა მდგომარეობს მხოლოდ უნიის მიღებაში. ეკლესიების გაერთიანებას კონსტანტინემ სცადა მიეცა დიდებული ზეიმის ხასიათი. ღვთისმსახურება დანიშნულ იქნა 1452 წ. 12 დეკემბერს წმინდა სოფიოს ტაძარში. ქალაქის მდაბიო ფენები უკმაყოფილო იყვნენ მეფის გადაწყვეტილებით და აცხადებდნენ, რომ მეფემ ოსმალების შიშით მიჰყიდა მათი სულების ხსნა ლათინელებს, აბობოქრებული ბრბო მიაწყდა პანკრატორის მონასტერს, სადაც ცხოვრობდა ბერად აღკვეცილი გიორგი სქოლარი, გენადით წოდებული, რომელიც ბერძნული ეკლესიის თავდადებული ერთგული იყო და არ სცნობდა

უნიას. მან გადასცა ხალხს პერგამენტი, რომელშიც უსაყვედურებდა კონსტანტინოპოლის მცხოვრებთ, რომ ისინი ხსნის იმედებს ამყარებდნენ ლათინელებზე და არა ღმერთზე. ქალაქში მღელვარება დაიწყო, იგი თანდათანობით ძლიერდებოდა და უმაღლეს წერტილს მიაღწია, როცა თურქებმა ხმელეთიდან ალყა შემოარტყეს კონსტანტინოპოლს.

ქალაქის შიგნით მდგომარეობა მეტად გართულებული იყო. უნიის მომხრე ბიზანტიელები[5] გამოცხადდნენ ერეტიკოსებად. საერო და სამღვდელო არისტოკრატია ამხედრებდა ხალხს იმპერატორისა და ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც ოსმალთაგან გადარჩენის მიზნით თანხმდებოდა ეკლესიების გაერთიანებაზე. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ამ მიმართულებით გენადი და საერო არისტოკრატიის წარმომადგენელი ლუკა ნოტარა. მას მიაწერენ სიტყვებს, „რომ მას ურჩევნია ქალაქში იხილოს სულთნის დოლბანდი, ვიდრე პაპის ტიარა".

ამის გამო ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა: „მხოლოდ მაძინ, როდესაც მოულოდნელად ეს სურვილი აღსრულდა, იგრძნო ყველამ და უეჭველია თვით ნოტარამაც ამ უგნური სიტყვის მთელი საშინელება, მაგრამ უკვე გვიან იყო"[6].

ბერძენთა წინააღმდეგობით განრისხებული რომის პაპიც ვერ გრძნობდა იმ საშიშროებას, რომელსაც კონსტანტინოპოლის ოსმალთა ხელში გადასვლა დასავლეთის ქრისტიანობასაც უმზადებდა, ღა ისიც, მძულვარებით დაბრმავებული, არ მალავდა, რომ მისთვის უკეთესი იქნებოდა კონსტანტინოპოლი ოსმალებს დაეპყროთ, ვიდრე „მწვალებლებისათვის" რაიმე დახმარება გაეწია[7].

კონსტანტინოპოლის ქრისტიანული (მართლმადიდებლური) მოსახლეობის ასეთი დამოკიდებულება რომის პაპისა და ლათინელების მართ გაპირობებული იყო პოლიტიკური და ეკონომიკური მიზეზებით. კ. მარქსი ამის შესახებ წერს: „ ...но религиозное возмущение против латинян образует, можно сказать, единую связь между различными народами, населяющими Турцию и проповедующими православие. В этом отношении ничуть не изменилось с того времени, как Магомет II осаждал Константинополь, с того времени, как Лука Нотара, греческий адмирал, самый влиятельный человек в Византийской империи публично заявил, что он охотнее

---

[5] Дука, История, с. 390, 391; С. Рансимен. Падение Константинополя, с. 63—74.

[6] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 65.

[7] იქვე.

увидит в столице триумф турецкого тюрбана, чем латинской шляпы"[8].

კონსტანტინე ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა მიეღო დახმარება დასავლეთისაგან, 1452 წელს შემოდგომაზე იტალიაში გაგზავნილ იქნენ ელჩები თხოვნით — დაუყოვნებლივი დახმარება აღმოეჩინათ ბიზანტიისათვის. მაგრამ კონსტანტინეს წარმომადგენლები ცივად მიიღეს. მაშინ გაგზავნილ იქნა ახალი ელჩობა, ამჯერად ვენეციაში. 16 ნოემბერს ვენეციის სენატმა განუცხადა კონსტანტინეს ელჩს: სენატი მეტად დამწუხრებულია აღმოსავლეთიდან მიღებული ცნობებით და თუ კი რომის პაპი და სხვა სახელმწიფოები რაიმეს მოიმოქმედებენ, მაშინ ვენეცია სიამოვნებით შეუერთდება მათ.

ბიზანტიის დესპანი ერთდროულად გაგზავნილ იქნა გენუაშიც. გენუა დაპირდა ერთი გემის გაშოყოფას. გენუის სენატმა ურჩია ბიზანტიის ელჩს უფრო არსებითი დახმარებისათვის მიემართა საფრანგეთის მეფისა და ფლორენციის რესპუბლიკისათვის. ნეაპოლის მეფემ ალფონს არაგონელმა ბიზანტიის ელჩს ნებართვა მისცა შეეძყიდა სიცილიაში ხორბალი და სასურსათო პროდუქტები კონსტანტინოპოლში გასაგზავნად. რაც შეეხება სხვა სახის დახმარებას, პასუხი მეტად ბუნდოვანი იყო.

1453 წ. 19 თებერვალს ვენეციის სენატმა მიიღო რა ახალი საგანგაშო ცნობები აღმოსავლეთიდან, გამოიტანა დადგენილება დაუყოვნებლივ გაეგზავნათ კონსტანტინოპოლში ორი სატრანსპორტო გემი, თითოეულ მათგანზე 400 ჯარისკაცით და შემდგომში გასაგზავნად მოემზადებინათ 15 გალერა. მაგრამ ამ გემების გაგზავნა რამდენჯერმე გადაიდო. ბოლოს, როდესაც გემებმა დასტოვეს ვენეცია, კონსტანტინოპოლი უკვე ორი კვირა ალყაშემორტყმული იყო.

აპრილის დასაწყისში რომიდან მოვიდა ცნობა, რომ პაპი აპირებდა აღმოსავლეთში ხუთი ხომალდის გაგზავნას, ხოლო მარტის ბოლოს პაპმა გენუის სამი გემით გაგზავნა ნაყიდი სურსათ-სანოვაგე და იარაღი.

ერთგვარი იმედი ჰქონდათ, რომ უნგრეთის რეგენტი იანოშ ჰუნიადი ისარგებლებდა იმით, რომ ოსმალებმა მთელი თავიანთი საზღვარი დუნაისპირეთში გააშიშვლეს და თავს დაესხმოდა მათ. მაგრამ ოსმალეთთან წინა ომებში უნგრეთი იმდენად იყო დასუსტებული, რომ ახალი ომის თავი აღარ ჰქონდა.

მოლდავეთის გოსპოდარები ურთიერთშორის ომით იყვნენ გართულნი, ხოლო ვალახეთის გოსპოდარი კი სულთნის ვასალი იყო და

[8] К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. IX, с. 669.

არ შეეძლო უნგრეთის დახმარების გარეშე ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლა.

სერბიის დესპოტი გიორგი კიდევ უფრო მეტად იყო დამოკიდებული ოსმალეთის სულთანზე. იგი იძულებული იყო თავისი ჯარისკაცები გაეგზავნა ოსმალეთის არმიაში, თუმცა თანაუგრძნობდა ერთმორწმუნე ბიზანტიელებს.

ევროპაში მხოლოდ სკანდერბეგი განაგრძობდა ბრძოლას ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ. მაგრამ მას უთანხმოება ჰქონდა ვენეციასთან, რაც ხელს უშლიდა ძალების მობილიზაციას. რაც შეეხება ეგეოსის ზღვის გამგებლებს და ჯვაროსან-იოანიტებს კუნძულ როდოსზე, მათ ყველას შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ კონსტანტინოპოლის დაცვაში, მაგრამ მხოლოდ რაიმე დიდი კოალიციის შემადგენლობაში. მორეის დესპოტი ხელებშებორკილი იყო, რადგან მის საზღვართან თავმოყრილი იყო ოსმალეთის ჯარები. რაც შეეხება ტრაპიზონის კეისარს, მან არავითარი ენთუზიაზმი არ გამოიჩინა დახმარებოდა თავის მოძმე ბიზანტიელებს. მართალია, ანატოლიის საემიროები მტრულად იყვნენ განწყობილი ოსმალეთის სულთანისადმი, მაგრამ დიდი ხანი არ იყო გასული მას შემდეგ, რაც მეჰმედ II-მ ისინი დააშოშმინა და არ აპირებდნენ მის წინააღმდეგ ახალ გამოსვლას, მით უფრო, რომ კონსტანტინოპოლის დაპყრობით საერთო მუსლიმანური საქმე კეთდებოდა.

მართალია, ევროპის სახელმწიფოებმა თავი აარიდეს უშუალო მონაწილეობას, მაგრამ აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც მზად იყვნენ ებრძოლათ ქრისტიანობისა და კონსტანტინოპოლისათვის. ვენეციის კოლონიამ კონსტანტინოპოლში იმპერატორს სრული მხარდაჭერა აღუთქვა. ვენეციელთა კრებაზე, რომელსაც ესწრებოდა კონსტანტინე, ვენეციის ბაილომ (კონსულმა) აიღო ვალდებულება აქტიური მონაწილეობა მიეღოთ ქალაქის დაცვაში და გაედევნებინა თვალყური, რომ არცერთ ვენეციის გემს არ დაეტოვებინა თვითნებურად ნავსადგური. ვენეციის ექვსი გემი და სამი კრიტოსიდან, რომელიც ამ დროს ვენეციის კოლონია იყო, მათი კაპიტნების თანხმობით, იდგნენ ნავსადგურში და გადაკეთდნენ საბრძოლო გემებად.

1453 წ. 29 იანვარს ქალაქში ჩამოვიდა გენუელთა პატარა რაზმი ჯოვანი ჯუსტინიანეს მეთაურობით. იგი იყო გენუელთა საკმაოდ გამოჩენილი ოჯახიდან. მან ჩამოიყვანა 700 კარგად შეიარაღებული ჯარისკაცი, აქედან 400 დაიქირავეს გენუაში, ხოლო 300 — ხიოსისა და როდოსის კუნძულებზე. ჯუსტინიანე ცნობილი იყო, როგორც ქალაქების დაცვის ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნე. იმპერატორმა ივი დანიშნა ქალაქის კედლების დაცვის უფროსად.

ჯარისკაცთა მცირე რაოდენობა ჩამოვიდა შედარებით დაშორებულ ქვეყნებიდან — შოტლანდიიდან, კასტილიიდან, ტოლედოდან, გერმანიიდან და სხვა.

უფლისწულმა ორხანმა, რომელიც ბავშვობიდან კონსტანტინოპოლში ცხოვრობდა, თავისი სამსახური შესთავაზა კონსტანტინეს. კონსტანტინოპოლში ჩავიდა, აგრეთვე, რამდენიმე ასეული კრიტოსელი, რომლებმაც თან ჩამოიტანეს პური და ღვინო. კონსტანტინეს ჰქონდა საფუძველი უფრო მეტად დაყრდნობოდა ლათინელებს, ვიდრე დედაქალაქში მცხოვრებ ბერძნებს. ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი უცნობია, ციფრი 200 000 უთუოდ გაზვიადებულია. როცა კონსტანტინემ მოითხოვა სია ბერძნებისა, რომელთაც შეეძლოთ იარაღის ტარება, ბერების ჩათვლითაც კი, გამოირკვა, რომ ასეთია მხოლოდ 4973 კაცი; მეფემ მწარედ ამოიოხრა, როცა ეს ციფრი გაიგონა. მებრძოლ ბერძენთა რაოდენობა, რომლებმაც ისურვეს მშობლიური ქალაქის დაცვა, მხოლოდ ორნახევარჯერ აღემატებოდა ლათინელების მოხალისეებსა და დაქირავებულ მეომართა რიცხვს. სახმელეთო და საზღვაო კედლების დასაცავად საჭირო იყო ასჯერ უფრო მეტი რაოდენობა ჯარისა, ვიდრე ის, რაც კონსტანტინეს განკარგულებაში იყო.

წყაროების მიხედვით, ქალაქის ალყის დაწყების წინ კონსტანტინოპოლის მოსახლეობა, რომელსაც შეეძლო იარაღის ტარება, დაახლოებით 7000 კაცს შეადგენდა, აქედან 2000 უცხოელი იყო.

იმპერატორმა ქალაქის უმთავრესი პუნქტების დაცვა დაავალა არა ბერძნებს, არამედ ლათინელებს. ბერძნები გაცილებით უარესად იყვნენ შეიარაღებული, ვიდრე ლათინელები.

დიდი როლი შეასრულეს ქალაქის დაცვაში ისიდორემ და მის განკარგულებაში მყოფმა გენუელებმა. ოქროს ყურეს დაცვას მან მოაწყო საკუთარი სახსრები. ასევე აქტიურობდნენ ვენეციელი მეზღვაურები, მათი სარდლები — მინოტო და ადმირალი ტრევიზანი. ოქროს ყურის ნაკლებად მნიშვნელოვან უბანში იდგა ლუკა ნოტარა; საერთოდ, მეორეხარისხოვან უბნებს იცავდნენ ბერძნები. ევგენიკარს კრიტოსელი მეზღვაურები ამაგრებდნენ. ამ კართან მდებარე კოშკიდან მოყოლებული, გალათას სანაპიროზე მდებარე კოშკამდე, ოქროს ყურე გადაღობილ იქნა მსხვილი რკინის ჯაჭვით, რომელიც ცურავდა მორებზე, მის უკან კი იდგა ექვსი ლათინური და ოთხი ბერძნული გემი (ამათგან სამი კრიტოსიდან). ლათინელები იცავდნენ აგრეთვე, აკროპოლის რაიონში ზღვისპირა სიმაგრეებს. თვით ოქროს კარიბჭეს მარმარილოს კოშკამდე, ამ მეტად მნიშვნელოვან უბანს, სადაც სახმელეთო გამაგრებები უკავშირდებოდა საზღვაოს, იცავდა

200 გენუელი. სახმელეთო კედლის გაყოლებით, ცხოველმყოფელ წყაროსთან, კვლავ იდგა შერეული რაზმი, შემდგარი იტალიელებისა და ბერძნებისაგან, სიცილიელის სარდლობით. შემდეგ მოდიოდნენ ბერძენთა რაზმები; ხოლო ცენტრალურ ნაწილს, წმინდა რომანის კარის ჩათვლით (თურქული თოფკაფი), ისევ ლათინელები იცავდნენ. შემდგომ ადრიანოპოლის კარამდე ყველა მონაკვეთს გენუელები დარაჯობდნენ. უკანასკნელ ნაკვეთს იცავდა შერეული რაზმი, რომელსაც მეთაურობდნენ ბერძენი თეოდორე და გერმანელი ინჟინერი გრანტი[9].

ქალაქის დამცველთა ასეთი შემადგენლობის გამო ფ. უსპენსკი დასძენს: „იქმნება უცნაური შთაბეჭდილება, თითქოს საქმე ეხება არა ბიზანტიის დედაქალაქის დაცვას, არამედ რომელიღაც ლათინურ-ბერძნული ქალაქისა, თითქოს 1453 წლისთვის ბიზანტია უკვე აღარ არსებობდა. მაგრამ სად იყო ნაციონალური ჯარი? პალეოლოგებისა და მათი წინამორბედების პოლიტიკამ, რომელიც ემყარებოდა ლათინელებისა და თურქების დაჭირავებულ ჯარს, თავისი შედეგი გამოიღო. ბიზანტიელებმა დაკარგეს ბრძოლის უნარი“[10].

ცუდად შეიარაღებული, სამხედრო აღჭურვილობას მოკლებული ბერძნები უფრო ხშირად ემორჩილებოდნენ ლათინელი მეთაურების განკარგულებას. მეფის შტაბში მთავარი ადგილი ლათინელებს ეჭირათ. დაცვის სულის ჩამდგმელი იყო ჯუსტინიანე. ცუდად შეიარაღებული ჯარი, ფულისა და ზარბაზნების უქონლობა (მართალია, მათ ჰქონდათ რამდენიმე ზარბაზანი, მაგრამ მათი დაყენება შეუძლებელი იყო ძველ და არამყარ კედლებზე), პურის ნაკლებობა, ყოველივე ეს განაპირობებდა ქალაქის დაცვის უიმედობას. მოსახლეობაც ასევე იყო განწყობილი: ზოგიერთს დაცვა ეჩვენებოდა ლათინელთა ოინად ღვთის გარდუვალი შურისძიების წინაშე[11]. მიუხედავად ყოველივე ამისა, ქალაქის დამცველებმა არნახული სიმამაცე და თავდადება გამოიჩინეს მტერთან ბრძოლაში.

1453 წლის აპრილის დამდეგს კონსტანტინოპოლში გაზაფხულის შესანიშნავი დარი იდგა. ბოსფორიდან თბილი ნიავი ქროდა. ქალაქის ბაღებში ხეხილი ყვაოდა. ცის ლაჟვარდში ფრინველების გუგუნი ისმოდა. ამ იდილიას არღვევდა ქალაქის ჩრდილოეთიდან გაუ-

---

[9] Ф. И. Успенский, История Византийской империи, т. III, с. 786, 787; С. Рансимен, Падение Константинополя, с. 74, 75.

[10] Ф. И. Успенский. История Византийской империи, с. 766.

[11] იქვე.

თავებელი გუეუნი უზარმაზარი არმიისა — ჯარისკაცების შეძახილები, ზარბაზნების გუგუნი. ცხენების თქარათქური, ურმების ჭრიალი.

5 აპრილს კონსტანტინოპოლში კედლებთან თავი მოიყარა ოსმალეთის არმიამ, სულთან მეჰმედ II-ის სარდლობით. ოსმალეთის არმიამ საბრძოლო პოზიციები დაიკავა. კონსტანტინოპოლის ალყა 53 დღეს გაგრძელდა. ქალაქის ერთ დამცველზე მოდიოდა 10—15 თურქი. მიუხედავად მტრის აშკარა სიჭრაელისა, ისინი გმირულად იბრძოდნენ და იგერიებდნენ ოსმალთა იერიშებს.

5 აპრილს სულთანმა, ისლამის წესის თანახმად, ქალაქში თეთრი დროშით გაგზავნა პარლამენტიორები. ქალაქის მოსახლეობისადმი გაგზავნილ მიმართვაში ნათქვამი იყო, რომ მაჰმადიანური კანონის მიხედვით, სულთანი ქალაქის მცხოვრებლებს შეუნარჩუნებდა ქონებასა და სიცოცხლეს, თუ ისინი ნებაყოფლობით დანებდებოდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში არ იქნებოდა არავითარი დანდობა. მაგრამ კონსტანტინოპოლელებმა არ ისურვეს ეღალატათ იმპერატორისათვის. მას შემდეგ, რაც ეს ფორმალობა შესრულებულ იქნა და ზარბაზნებმა დაიკავეს საბრძოლო პოზიცია, 6 აპრილიდან დაიწყო ქალაქის კედლების საშინელი დაბომბვა. ოსმალებმა ზარბაზნების მთავარი ცეცხლი მიმართეს ადრიანოპოლის კარის რაიონში. სწორედ, მის მახლობლად იმყოფებოდა სულთნის ბანაკი და ამ მიმართულებიდან აპირებდა იგი ქალაქის წინააღმდეგ მთავარი იერიშის მიტანას.

ადრიანოპოლის კარის მახლობლად მდებარე კედლები სერიოზულად იქნა დაზიანებული, მაგრამ ქალაქის დამცველებმა ისარგებლეს ღამის სიბნელით და აღადგინეს ისინი. მაშინ სულთანმა გადწყვიტა, ზარბაზნების უფრო მეტი რაოდენობისათვის მოეყარა თავი და დაეწყო ახალი იერიში. 11 აპრილს მეჰმედმა ადრიანოპოლის კართან თავი მოუყარა მთელ თავის არტილერიას.

12 აპრილს ოსმალებმა ახალი ძალით აამოქმედეს თავიანთი ზარბაზნები. ამან შემზარავი შთაბეჭდილება მოახდინა ქალაქის მცხოვრებლებზე. ურბანის დიდი ზარბაზანი ისროდა დღეში მხოლოდ შვიდჯერ. მის გამართვას რამდენიმე საათს უნდებოდნენ. სულ ოსმალთა ზარბაზნები დღეში ისროდნენ 100 ჯურვს. ანგრევდნენ ქალაქის კედლებს, აგებულს V საუკუნეში. სატყორცნი იარაღები ისროდნენ ათასობით ისარს. ქალაქის დამცველები იბრძოდნენ დღე და ღამე. მათ ეკავათ ამაღლებული ტერასა გალავნის ორ კედელს შუა. დიდი ზარბაზანი გასკდა და დაჭრა ურბანი, მაგრამ სულთნის ბრძანებით, მალე ახალი ზარბაზანი ჩამოასხეს. დამცველები გმირულად იბრძოდნენ, იშველიებდნენ ქვებს, ისრებს, შუბებს, ადუღებულ ფისს. მთელი დღე გრძელდებოდა უშედეგო შეტევა. 12 აპრილს ოსმალებმა ზღვიდა-

ნაც მიიტანეს იერიში და შეეცადნენ გაერღვიათ რკინის ჯაჭვი და შეჭრილიყვნენ ოქროს ყურეში, მაგრამ ცხარე ბრძოლების შედეგად ოსმალები აქედანაც უკუგდებულ იქნენ. მათ დიდი ზარალი განიცადეს.

18 აპრილს ოსმალები შეტევაზე გადავიდნენ ქალაქის კედლების იმ რაიონში, სადაც იბრძოდნენ ჯუსტინიანეს რაზმები. იერიში დაიწყო მზის ჩასვლის შემდეგ. მაშხალების შუქზე, დაფდაფებისა და დუდუკების ხმაურით, კედელთან ცეცხლის დანთებით ოსმალები ცდილობდნენ პანიკა შეეტანათ დამცველთა რიგებში და ქალაქში შეჭრილიყვნენ, მაგრამ ამაოდ.

15 აპრილს გენუის სამი გემი, რომის პაპის მიერ დაქირავებული და დატვირთული, იარაღითა და სურსათ-სანოვაგით კუნძულ ხიოსიდან კონსტანტინოპოლისაკენ გაემართა. სრუტესთან მათ შეუერთდა იმპერატორის დიდი სატვირთო გემი, ხორბლით დატვირთული, რომელიც ბიზანტიელებმა სიცილიაში შეისყიდეს. დარდანელს არავინ დარაჯობდა, რადგან ოსმალეთის მთელი ფლოტი თავმოყრილი იყო კონსტანტინოპოლთან. გემები სწრაფად შევიდნენ მარმარილოს ზღვაში. 20 აპრილს გემები ქალაქს უახლოვდებოდნენ. ამ დროს ოსმალებმა ისინი შეამჩნიეს. სულთანმა უბრძანა ოსმალეთის ფლოტის სარდალს ბალთოღლუს ხელთ ეგდო გემები და თუ ვერ შესძლებდნენ — ჩაეძირათ ისინი და, რაც მთავარია, არავითარ შემთხვევაში არ შეეშვათ კონსტანტინოპოლში. ოსმალეთის გემებმა მათ რკალი შემოარტყეს. თვით სულთანი თვალყურს ადევნებდა ამ ბრძოლას ნაპირიდან და ისე გაცხარდა, რომ ცხენითაც კი შეიჭრა ზღვაში. ამ საზღვაო ჭიდილს თვალყურს ადევნებდა, აგრეთვე, კონსტანტინოპოლის მოსახლეობაც. გენუელები უფრო დახელოვნებული და გამოცდილი მეზღვაურები იყვნენ, ამავე დროს მათი გემების ნაპირები უფრო მაღალი იყო და ოსმალებმა ვერ შესძლეს მათი აბორდაჟზე აყვანა. ცხარე ბრძოლის შედეგად მათ შესძლეს გაერღვიათ რკალი და ოთხივე გემი ოქოს ყურეში შევიდა. მთელი ქალაქი ზეიმობდა ამ გამარჯვებას[12].

განრისხებულმა სულთანმა ბრძანა სიკვდილით დაესაჯათ ფლოტის სარდალი ბალთოღლუ.

კ. მარქსი „ქრონოლოგიურ ამონაწერებში“ აღნიშნავდა, რომ

---

[12] Дука, История, с. 394, 395; Георгий Франзи, Большая хроника, с. 415; С. Рансимен, Падение Константинополя, с. 95 — 97.

„с начала апреля 1453 г. турецкая осада велась безуспешно и с большими потерями“[13].

მეჰმედ II-მ გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ხელთ ეგდო ოქროს ყურე და შიგ თავისი გემები შეეყვანა. მას შემდეგ, რაც ზღვიდან იერიში მარცხით დამთავრდა, მან განიზრახა გემები ბოსფორიდან ხმელეთით ოქროს ყურეში გადაეტანა. ამ მიზნით აქ თავი მოუყარა ათასობით დურგლებსა და მუშებს. მათ სასწრაფოდ მორებისაგან გააკეთეს იატაკი, მოასხეს ზეთი და ბაგირების დახმარებით ერთი ღამის განმავლობაში 70 გემი გადაიტანეს. 23 აპრილს ბერძნებმა იხილეს „ახალი ქსერქსეს“ გემები ოქროს ყურეში. საკვირველია, რომ გალათაში მცხოვრებმა გენუელებმა (გალათა ოქროს ყურის ნაპირთან ჩრდილოეთით ბორცვზე მდებარეობს) დროზე „ვერ შეამჩნიეს“ ოსმალთა ეს საქმიანობა და არ აცნობეს ქალაქის დამცველებს.

შექმნილი ვითარების გამო, სასწრაფოდ მოწვეულ იქნა თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ ლათინელი და ბერძენი კაპიტნები. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება — მოესპოთ ოსმალთა გემები. გენუელი კაპიტნის კოკოს წინადადებით, ღამით შეუმჩნევლად უნდა წაეკიდებინათ ცეცხლი ოქროს ყურეში მყოფი სულთნის გემებისათვის. სამწუხაროდ, მოღალატე გენუელებმა ეს გეგმა სულთანს შეატყობინეს. სულთანმა არ დააყოვნა მოქმედება, დაუშინა ყუმბარები კოკოს გემს და ჩაძირა იგი. ამის გამო ვენეციელებსა და გენუელებს შორის ატყდა ჩხუბი და მხოლოდ იმპერატორ კონსტანტინეს ჩარევამ იხსნა ისინი სისხლისღვრისაგან[14].

კ. მარქსი „ქრონოლოგიურ ამონაწერებში“ დიდი ყურადღებით აანალიზებს გენუელების პოზიციას, რომელიც მათ დაიკავეს კონსტანტინოპოლის ალყის დღეებში. იგი წერს: „Подобно Джованни Джустиниани, другие генуэзцы тоже вели себя в Галате весьма двулично, днем оказывали помощь грекам, ночью—туркам; они преспокойно допустили перевозку турецких судов на катках сушей окружным путем, вокруг Галаты в т. н. Золотой Рог (внутреннюю гавань Константинополя) ...Предместье генуэзцев Галата было пощажено турками. Генуэзцы по прежнему вели там свою тор-

---

[13] К. Маркс, Хронологические выписки, Архив К. Маркса и Ф. Энгельса, т. VI, с. 207.

[14] Дука, История, 397, 398; Георгий Франзи, Большая хроника, с. 414 — 418; С. Рансимен, Падение Константинополя, с. 95—104.

говлю, они пользовались рядом привилегий, как и венецианцы. Генуэзцы храбро сражались как воины, но их дипломаты вступали в соглашение с Мухаммедом"[15].

ოსმალების მიერ ოქროს ყურის დაკავებამ გაართულა კონსტანტინოპოლის დაცვა. ნავსადგურის აღების შემდეგ, მეჰმედის ბრძანებით, ოქროს ყურის ზედა ნაწილში აგებულ იქნა პონტონის ხიდი — ჯარების გადასაყვანად.

მეჰმედ II გადაწყვიტა ქალაქის აღება არა ზღვიდან, როგორც ეს განახორციელეს ჯვაროსნებმა 1204 წელს, არამედ ხმელეთიდან. სულთნის ეს განზრახვა გამართლებული იყო იმით, რომ იმ დროისათვის თურქეთის ფლოტი არ გამოირჩეოდა ხომალდების ხარისხითა და მეთაურების გამოცდილებით. ოსმალების ცალკეულმა თავდასხმებმა ქალაქზე წარმატებები არ იქონია. მეჰმედის არმიაში მოხდა ზოგი ცვლილება: მწყობრიდან გამოსული დიდი ზარბაზანი შეიცვალა ახლით, უნგრეთის ელჩმა მათ ასწავლა მიზანში ზუსტი ტყორცნა. გამოჩნდნენ საინჟინრო საქმის მცოდნენიც. თურქები იყენებდნენ ტყავით შემოკრულ ხის კოშკებს. ერთ-ერთი მათგანი გალავნის კედელზე უფრო მაღალი იყო; დამაგრებული ჰქონდა ბაგირის ხიდი, რომლითაც შეიძლებოდა გალავანზე ასვლა და ძლიერი ტარანით კედლის გარღვევა. მაგრამ მიუხედავად ამ სიახლეებისა, მათი მორიგი ცდა ქალაქის აღებისა მარცხით დამთავრდა. ღამით თურქები გაიქცნენ, გმირმა დამცველებმა კოშკი დაწვეს და კედელი გაამაგრეს.

ჯერ კიდევ 26 იანვარს, კონსტანტინეს დავალებით, ვენეციის ბაილომ მინოტომ გაგზავნა ვენეციაში წერილი ქალაქისათვის დახმარების აღმოსაჩენად. ამ თხოვნის შესრულებას ვენეცია არ ჩქარობდა. წერილის მიღებიდან (19 თებერვალი) მხოლოდ ორი თვის შემდეგ ეს ფლოტი 7 მაისს გამოვიდა ვენეციიდან გენერალ-კაპიტნის ლორედანის სარდლობით. ფაქტიურად, ეს „დახმარება" ვენეციელთა ორჭოფული პოლიტიკის აშკარა გამოვლენა იყო. ფლოტს მიცემული ჰქონდა ინსტრუქცია მისულიყო კ. ტენედოსთან და იქ დარჩენილიყო 20 მაისამდე. აქ მას უნდა შეეკრიბა ცნობები თურქეთის ფლოტის შესახებ. ამასობაში მას შეუერთდებოდნენ სხვა გალერები და კრიტოსის გემები და მხოლოდ ამის შემდეგ ფლოტი უნდა დაძრულიყო დარდანელისაკენ. ლორედანს უნდა გამოეჩინა სიფრთხილე, არ აჰყოლოდა ოსმალთა შესაძლო პროვოკაციებს, ვიდრე არ ჩავიდოდა კონსტანტინოპოლში, სადაც იგი დაემორჩილებოდა იმპერატორის განკარგულებებს. ვენე-

---

[15] К. Маркс, Хронологические выписки, Архив К. Маркса и Ф. Энгельса, соч., т. VI, с. 207.

ციის ვერაგობას ისიც ადასტურებდა, რომ ლორედანთან ერთად გამოემგზავრა ელჩი ბართოლემეო მარჩელო, რომელიც უნდა ჩასულიყო პირდაპირ სულთანთან და დაერწმუნებინა იგი თავისი რესპუბლიკის კეთილგანწყობილებაში. ლორედანს მიუთითეს, რომ მისი მისია მდგომარეობს ლევანტიდან მომავალი ვენეციელების სავაჭრო გემების და ვენეციის კანონიერი ინტერესების დაცვაში. ლორედანის მისია უფრო დიპლომატიური იყო, ვიდრე სამხედრო: მას უნდა დაეყოლიებინა სულთანი დათანხმებოდა იმპერატორთან ზავს, ხოლო იმპერატორი დაერწმუნებინა, რომ მისთვის ერთადერთი გამოსავალია მიიღოს ზავის მეტნაკლებად ხელსაყრელი პირობები. მაგრამ თუ მეჰმედი ამას არ დათანხმდებოდა, ელჩს უნდა გამოეჩინა სიფრთხილე და ყველაფერი ეცნობებინა სენატისათვის.

საკვირველი ინერტულობა და პასიურობა გამოიჩინა რომის პაპმა, მან მხოლოდ 5 ივლისს (გავიხსენოთ, რომ კონსტანტინოპოლი აღებულ იქნა 29 მაისს) მიმართა სენატს თხოვნით — მიეცათ მისთვის ხუთი გალერა კონსტანტინოპოლის დასახმარებლად[16].

ქრისტიანთა შორის ძლიერდებოდა სასოწარკვეთილება, ოსმალთა ბანაკშიც ძლიერდებოდა უკმაყოფილება. ბრძოლები დედაქალაქის მისადგომებთან უკვე შვიდი კვირა გრძელდებოდა. თურქეთის არმიამ. აღჭურვილმა შესანიშნავი ტექნიკით, ბევრს ვერაფერს მიაღწია. ორიენ ბანაკი — ბიზანტიელებიცა და თურქებიც მძიმე პირობებში აღმოჩნდნენ. ნათელი იყო, რომ ალყაშემორტყმულნი დაიქანცნენ, განიცდიდნენ ცოცხალი რესურსებისა და სურსათ-სანოვაგის ნაკლებობას; ქალაქის გალავანი საგრძნობლად იყო დაზიანებული, მაგრამ აქამდე ვერც ერთმა თურქმა ვერ შეაღწია. არსებობდა კიდევ დასავლეთიდან დახმარების შესაძლებლობა. გავრცელდა ხმები, რომ ვენეციელთა ფლოტი გამოვიდა და მიაღწია ხიოსს. ჯერ კიდევ იყო იმედი უნგრელთა შემოტევის საშიშროებისა. სულთანთან გამოცხადდა იანოშ ჰუნიადისგან გაგზავნილი ელჩობა, რომელმაც მოახსენა, რომ ჰუნიადი აღარ არის უნგრეთის რეგენტი და შეთანხმება სამწლიანი ზავის შესახებ ითვლება გაუქმებულად.

თავის მხრივ, თურქეთის ჯარმა საბრძოლო სულისკვეთება თითქმის დაკარგა. ფლოტმა განიცადა რამდენიმე სამარცხვინო დამარცხება. ჯარმა ვერ მიაღწია ვერცერთ გამარჯვებას, ეცემოდა სულთნის პრესტიჟიც. სულთნის კარზე მოსული ვეზირი ჰალილი და მისი მეგობრები კლავ უარყოფითად იყვნენ განწყობილი ამ ამბებისადმი.

---

[16] С. Рансимен, Падение Константинополя, с. 105, 106.

ყოველივე ამის გამო, სულთანმა უკანასკნელად შესთავაზა კონსტანტინეს ზავი, მისთვის სასურველი პირობის დაკმაყოფილებით. ამ მიზნით მან გაგზავნა გამაჰმადიანებული ბერძენი ისმაილი, რომელსაც სულთანმა უბოძა სინოპი. ბერძნებმა თავისი მხრიდან გაგზავნეს კაცი სულთანთან, რომლის სახელი უცნობია. სულთანმა საკმაოდ კარგად მიიღო იგი და გაატანა მას წერილი, სადაც ალყის მოხსნის შედეგად იგი თბოულობდა ყოველწლიურ ხარკს 100 ათასი ოქროს ფულის რაოდენობით; ან თუ მოსახლეობა დატოვებდა ქალაქს, წაიღებდა მთელ მოძრავ ქონებას, სულთანი იძლეოდა პირობას, რომ არავის არ მიაყენებდნენ ზიანს. თურქულ წყაროებში დაცულია ცნობა, რომ იმპერატორმა შესთავაზა სულთანს გადაეცა მისთვის ყველაფერი, რასაც იგი ფლობდა, გარდა ქალაქისა. ამაზე კი სულთანმა უპასუხა: ერთადერთი არჩევანი, რომელიც შეიძლება ჰქონდეთ ბერძნებს, ესაა ქალაქის ჩაბარება ან სიკვდილი, ან მაჰმადიანობის მიღება[17].

26 მაისს მეჰმედმა მოიწვია საბჭო. ჰალილ ფაშამ მოითხოვა ალყის მოხსნა. მან განაცხადა, რომ იგი ყოველთვის იყო ომის წინააღმდეგი და მისმა მსვლელობამ დაამტკიცა, რომ თურქებმა ვერაფერს მიაღწიეს, განიცადეს სამარცხვინო დამარცხებები. ბიზანტიას შეიძლება დახმარება აღმოუჩინონ დასავლეთის სახელმწიფოებმა: ვენეციამ უკვე გამოაგზავნა ფლოტი. ჰალილს საუკეთესო გამოსავლად მიაჩნდა ზავის შეთავაზება იმპერატორისათვის. მისთვის მისაღები პირობებით. როგორც ჩანს, მისმა სიტყვებმა შთაბეჭდილება მოახდინეს დამსწრეებზე. გამოცდილი სახელმწიფო მოღვაწის აზრი დაუპირისპირდა მეტად ახალგაზრდა 21 წლის სულთნის პატივმოყვარე. ზრახვებს. შემდეგ სიტყვა აიღო ჰალილის მოწინააღმდეგე ზაგანოს ფაშამ, მან გააქარწყალა ჰალილის სიტყვები. მისი აზრით, დასავლეთის სახელმწიფოების დახმარება არარეალური იყო, მან მოიშველია ალექსანდრე მაკედონელის მაგალითი, რომელმაც სულ ახალგაზრდამ დაიპყრო მსოფლიო. ფაშას მხარი დაუჭირეს ახალგაზრდა მხედართმთავრებმა, რამაც ძალზე გაახარა მეჰმედი და მან გასცა განკარგულება — დაეწყოთ მზადება შეტევისათვის[18].

მეჰმედი ემზადებოდა შეტევისათვის. მისი ბრძანებით ქალაქის ირგვლივ დაანთეს კოცონები, რამაც მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა

---

[17] Дука, История, с. 389, 399; С. Рансимен. Падение Константинополя, с. 113—115.

[18] Дука, История, с. 340; Георгий Франзи, Большая хроника. с. 421, 422; С. Рансимен. Падение Константинополя. с. 118—120.

ქალაქის მოსახლეობაზე. დამცველები სასწრაფოდ ამაგრებდნენ კედლებს, განსაკუთრებით ადრიანოპოლის კართან, სადაც ოსმალთა მხრიდან იდგნენ ჯარის რჩეული ნაწილები და ზარბაზნების დიდი რაოდენობა. სულთანმა გადაწყვიტა იერიში დაეწყო 29 მაისს. შეტევის დაწყების წინ მან შეძოუარა თავის ჯარს. ჰპირდებოდა ბრძოლაში დაცემულთ სამოთხის ნეტარებას, ხოლო ცოცხლებს — კონსტანტინოპოლის მოსახლეობას, ძვირფას საჩუქრებს და სხვა.

28 მაისს კონსტანტინემ მოიწვია ყველა მხედართმთავარი და ურჩევდა მათ გამოეჩინათ ბრძოლაში სიმტკიცე, დაეცვათ წმინდა ქალაქი, საშობლო, სარწმუნოება და თავიანთი ოჯახები. ყოველი მამაკაცი, რომელსაც შეეძლო იარაღის ტარება, სასწრაფოდ დადგა თავის პოსტზე. მთელი მოსახლეობა — ქალები, მოხუცები, ბავშვები — როგორც შეეძლოთ ეხმარებოდნენ დამცველებს.

29 მაისს ღამის 2 საათზე ოსმალები შეტევაზე გადავიდნენ. ხმელეთიდან და ზღვიდან უშენდნენ ყუმბარებს ქალაქის გალავანს, მეზღვაურების სპეციალური კიბეებით ადიოდნენ კედლებზე, ზაგანოს ფაშამ პონტონის ხიდით გადაიყვანა ჯარი ოქროს ყურეში. დამცველები თავდადებით იბრძოდნენ, საათობით გრძელდებოდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ოსმალთა პირველი რაზმები განადგურებულ იქნა. სულთანი იძულებული იყო ბრძოლაში ჩაება რეზერვები. ოსმალებს იერიში იერიშზე მიჰქონდათ. დამცველთა რიგები თხელდებოდა. ქალაქის დამცველთა მდგომარეობა უიმედო აღმოჩნდა მას შემდეგ, რაც დაჭრილმა ჯუსტინიანემ, რომელიც მანამდე ენერგიულად და დიდი წარმატებით ხელმძღვანელობდა დაცვას, მიუხედავად იმპერატორის თხოვნისა, მიატოვა თავისი პოსტი და გაემართა გალათაში, მას გაჰყვა მრავალი გენუელი. ჯუსტინიანეს და მისი მომხრეების წასვლამ ქალაქის დამცველებს თავზარი დასცა და მათი რიგები შედრკა. ამით ოსმალებმა ისარგებლეს და ერთი რაზმი ქალაქის კედელზე ავიდა. საერთო პანიკით შეპყრობილი დამცველების დაუდევრობით (თუ ღალატით) ღია დარჩათ კერკოპორტას კარი, ოსმალებმა არ დააყოვნეს და აქედან შეიჭრნენ. ქალაქის დამცველები განაგრძობდნენ უთანასწორო, გმირულ ბრძოლას. დამცველთა უმრავლესობა ბრძოლის ველზე დაიღუპა, მათ შორის ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე XI. ქალაქის აღების შემდეგ ბრძოლაში დაღუპული იმპერატორი ძლივს იცნეს მრავალ დახოცილთა შორის.

სულთანი მეჰმედ II მრავალრიცხოვანი ამალით საზეიმო ვითარებაში ადრიანოპოლის კარით კონსტანტინოპოლში შევიდა, წმინდა სოფიოს ტაძრისაკენ გაემართა და შიგ შევიდა. „მისი ბრძანებისამებრ

მოლამ ამბიონითგან, საიდანაც მუდამ საქრისტიანო ლოცვა ისმოდა, მაჰმადიანთა მრწამსი წარმოთქვა, ხოლო თვით „ურჯულო“ სულთანი მკრეხელი თავმომწონებით საკურთხეველში შევიდა და დაწესებული ლოცვა შეასრულა“[19]. ამიერიდან წმინდა სოფიოს ტაძარი მეჩეთად იქნა გადაქცეული.

იმპერატორ კონსტანტინეს მოკვეთილი თავი მიართვეს სულთანს. მეჰმედის ბრძანებით, იგი მოათავსეს თვალსაჩინო ადგილას, რათა ბიზანტიელები დარწმუნებულიყვნენ თავიანთი იმპერატორის დაღუპვაში. შემდეგ კონსტანტინეს მოკვეთილი თავი გაუგზავნეს სხვადასხვა მუსლიმ მთავრებს, რათა მათთვის ცხადი ყოფილიყო სულთნის გამარჯვება. კონსტანტინოპოლის აღების აღსანიშნავად მეჰმედ II-ს შეარქვეს ზესახელი ფათიჰი (დამპყრობელი).

კონსტანტინოპოლის ჭუჩებსა და სახლებში გამარჯვებისაგან თავბრუდახვეული, სისხლისაგან მთვრალი თურქები დაერივნენ ქალაქის მოსახლეობას, დაუნდობლად ხოცავდნენ ქალებს, ბავშვებს, კაცებს, სხვებს მიერეკებოდნენ მონობაში. ამის გამო კ. მარქსი წერდა: „Отчасти вырезав, отчасти продав в рабство константинопольскую чернь“[20]...

29 მაისის საღამოსათვის, წერს დუკა, მთელი კონსტანტინოპოლი უდაბნოს დაემსგავსა: ქალაქში არ ისმოდა არც ადამიანის ხმა, არც საქონლის ბღავილი, არც ფრინველის ჭიკჭიკი[21].

სულ კონსტანტინოპოლიდან გაყვანილ იქნა 60 000-მდე ტყვე. დაუნდობლად ძარცვავდნენ ქალაქს. დუკას ცნობით, თურქები — ყველანი, მეჯინიბეებიცა და პურის მცხობელებიც კი — ხოცავდნენ, ძარცვავდნენ და მიათრევდნენ ნადავლს[22]. სამი დღის შემდეგ სულთანმა გადარჩენილ მოსახლეობას უბოძა პატიება და მოუწოდა ლტოლვილთ დაბრუნებულიყვნენ ქალაქში, ჰპირდებოდა მათ უშიშროებას და ურჩევდა განეგრძოთ თავიანთი საქმიანობა. სულთნის ეს გადაწყვეტილება ნაკარნახევი იყო არა ჰუმანური მოტივით, არამედ მას სურდა აღედგინა ქალაქში ნორმალური ცხოვრება, დაებრუნებინა ახალი დედაქალაქისათვის წარსული სიდიადე. დაცარიელებულ

---

[19] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, გვ. 64.

[20] К. Маркс, Хронологические выписки, Архив К. Маркса и Ф. Энгельса, т. VII, с. 200.

[21] Дука, История, с. 407.

[22] Дука, История, с. 401—403; Г. Франзи, Большая хроника, с. 428, 429; С. Рансимен, Падение Константинополя, с. 121—130.

ქალაქში, მოსახლეობის გაზრდის მიზნით, მან ჩაასახლა ბერძნები ეგეოსის კუნძულებიდან, მორეასა და შავიზღვისპირეთიდან, სომხები — ბურსადან და თურქები — აკრადან.

მეჰმედ II-სათვის ნათელი იყო, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქალაქის განვითარებისათვის ვაჭრობას და ამ საქმეში რა წვლილი მიუძღოდა ბერძენ ხელოსნებსა და ვაჭრებს. ამიტომ მან უცვლელად დატოვა ბიზანტიის იმპერიაში მოქმედი ყველა კანონი ვაჭრობა-ხელოსნობის შესახებ.

ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობამ თავზარი დასცა ქრისტიანულ სამყაროს.

კ. მარქსი აღნიშნავდა რა ოსმალთაგან კონსტანტინოპოლის დაპყრობის მნიშვნელობას, მიუთითებდა იმასაც, რომ „султаны османов получили с той поры флот и употребляли своих греческих рабов для всех функций, требующих высокого технического и умственного образования"[23].

ოსმალთა ხელში მნიშვნელოვანი სამხედრო-სტრატეგიული ქალაქისა და ევროპასა და აზიას შორის სავაჭრო-სატრანსპორტო ცენტრის გადასვლამ საგრძნობლად შემატა მათ ძლიერება, რის გამოც მკვეთრად გაზარდა ბალკანეთის, ცენტრალური, სამხრეთ-დასავლეთ ევროპისა და შავი ზღვისპირა ქვეყნების დაპყრობის საშიშროება.

ბიზანტიის იმპერიის დაცემის შედეგად დამთავრდა კაცობრიობის საზოგადოების განვითარების ისტორიის გარკვეული პერიოდი და დაიწყო ევროპისა და აზიის მრავალი ხალხის ისტორიაში ახალი ეტაპი, განპირობებული ოსმალთა ბატონობით.

ზოგიერთი მეცნიერი და განსაკუთრებით თურქი ისტორიკოსები არასწორად აშუქებენ ოსმალთაგან კონსტანტინოპოლის დაპყრობასა და ბიზანტიის იმპერიის დაცემას, აიდეალებენ მეჰმედის სახელს. მათი მტკიცებით, ოსმალთა დაპყრობამ კეთილდღეობა მოუტანა იმპერიას, რადგან ოსმალებმა ბოლო მოუღეს მრავალსაუკუნოვან ანარქიას, რომელიც სუფევდა ბიზანტიაში, გააერთიანეს დაპყრობილი ხალხები ერთიან სახელმწიფოდ და უზრუნველყეს მათი

---

[23] К. Маркс, Хронологические выписки, Архив К. Маркса и. Ф. Энгельса, т. V, с. 193.

ეკონომიკური აყვავება. ყოველივე ეს არ შეესაბამება სინამდვილეს და ისტორიის აშკარა გაყალბებაა.

კონსტანტინოპოლის დაცემით ოსმალებმა ბოლო მოუღეს ბიზანტიას, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა მსოფლიოს კულტურის ისტორიაში[24].

---

[24] Византийские историки Дука и Франзи о падении Константинополя (Перевод и предисловие А. С. Степанова); „Византийский временник", т. VII, 1953, с. 385—430; далее Дука, История; Лаоник Халкокондил, История (Перевод и предисловие Е. Б. Веселого), „Византийский временник", т. VII, 1953, с. 431 — 444; Ф. И. Успенский, История Византийской империи, т. III; С. Рансимен, Падение Константинополя в 1453 г., перевод с английского Л. Б. Петрушевской, М., 1983; М. М. Стасюлевич, Осада и взятие Византии турками, СПб., 1854; М. В. Левченко, Завоевание турками Константинополя в 1453 г. и исторические последствия этого события, „Византийский временник", 1953, т. VII, с. 3—8; Н. А. Смирнов, Историческое значение русской „повести" Нестора Искандера о взятии турками Константинополя в 1453 г. „Византийский временник", 1953, т VII, с. 50—71; F. Babinger, Mahomet II le Conquerant et son temps, pp. 1—4; Mufassal Osmanli Tarihi, cilt I, s. 374—464.

ოსმალეთის სახელმწიფოს მართვა-გამგებლობა

ოსმალეთის სახელმწიფოს მართვა-გამგებლობა და მისი სათანადო ინსტიტუტები ძირითადად ჩამოყალიბდა მეჰმედ II ფათიჰის დროს.

ოსმალეთის სახელმწიფო იყო თვითმპყრობელური სამხედრო-დესპოტური აბსოლუტური მონარქია, რომლის სათავეშიც სულთანი იდგა. სულთნის (მისი სხვა ტიტულებია — ხანი, ხაკანი, ფადიშაჰი, ხონთქარი) ძალაუფლება სრულიად შეუზღუდველი იყო. მას შეეძლო თავისი სურვილისამებრ არა მარტო დაენიშნა და გადაეყენებინა ესა თუ ის დიდმოხელე, არამედ სიკვდილითაც კი დაესაჯა იგი. სულთანი იყო არა მარტო უმაღლესი საერო ხელისუფლება, არამედ საეკლესიოც — სუნიტთა რელიგიის მეთაური „მართლმორწმუნეთა ემირი", „ემირულ-მუმინი", შემდგომში მიითვისა ხალიფას ტიტულიც.

სულთანი იყო, აგრეთვე, ისლამური ლაშქრის მხედართმთავარი, რომელიც მოწოდებული იყო ეწარმოებინა „საღვთო ომი ურჯულოთა წინააღმდეგ", დაემორჩილებინა ისინი და დაეპყრო მათი ქვეყნები. ამასთან დაკავშირებით ნიშანდობლივია წესი, რომელსაც ასრულებდა სულთანი ტახტზე ასვლისას კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ. ახალი სულთანი მიდიოდა ეიუბეს მეჩეთში, კონსტანტინოპოლის მახლობლად, ოქროს ყურეს ნაპირზე და იქ სრულდებოდა წესი სულთნის წელზე „წმინდა მახვილის" შემორტყმისა. შემდეგ სულთანი გაივლიდა იენიჩართა ყაზარმების წინ და ამ დროს მშვილდოსან იენიჩრების ერთ-ერთი მეთაური მიაწვდიდა სულთანს შერბეთით სავსე თასს, იგი შესვამდა შერბეთს, გაავსებდა ჯამს ოქროს მონეტებით და წარმოსთქვამდა ტრადიციულ ფრაზას: „ჩვენ კვლავ შევხვდებით ოქროს ვაშლის ქვეყანაში"[1]. ოქროს ვაშლი წარმოადგენდა ალეგორიას ქრისტიანი ქვეყნებისა, ე. ი. სულთანი ჰპირდებოდა თავის ჯარს ახალ ლაშქრობებს ქრისტიანი სახელმწიფოების წინააღმდეგ[2].

---

[1] А. Д. Новичев, История Турции, т. I, с. 64, 65.

[2] სხვა მუსლიმური სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, ოსმანის დინასტიის ხელისუფლება მყარი აღმოჩნდა; აღმოსავლეთის ქვეყნებში განუწყვეტლივ მიმდინარეობდა ბრძოლა მემკვიდრეებს შორის, ხოლო ოსმალეთის სახელმწიფოში, მისი დაარსებისთანავე, დამყარდა ერთხელისუფლებიანობა. მურად I-მა და მისმა

ოსმალეთის სახელმწიფოს ხელისუფლების განმტკიცების საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უავგუსტოესის დივანს ანუ დივანი ჰუმაიუნს. ოსმალეთის სახელმწიფოში უმაღლესი ძალაუფლება სულთნის ხელთ იყო. „იურიდიული უფლებები, ისევე როგორც სხვა სახელმწიფოებრივი პრეროგატივები, სულთანს ეკუთვნოდა. დედაქალაქში ფადიშაჰის სახელით ეს უფლება დიდი ვეზირის, ხოლო პროვინციებში — ბეგლარბეგების მეშვეობით ხორციელდებოდა“[3].

სახელმწიფოს მნიშვნელოვანი საქმეების გადასაწყვეტად სულთანთან შეიქმნა დივან-ი ჰუმაიუნი (სახელმწიფო საბჭო), რომელიც კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ იმყოფებოდა თოფ კაფის სასახლეში.

დასაწყისში დივანი ჰუმაიუნი სულთნის თავმჯდომარეობით იკრიბებოდა, ხოლო სულთან მეჰმედ II-ის დროიდან, მისი თავმჯდომარეობა დიდ ვეზირს გადაეცა. მართალია, მეჰმედ ფათიჰის დროიდან დივანის სხდომებს სულთანი აღარ ესწრებოდა, მაგრამ მას ყოველთვის შეეძლო მოესმინა სხდომებისათვის. დივანი ჰუმაიუნის დარბაზს კედელზე სპეციალურად ჰქონდა გაკეთებული პატარა სარკმელი (ხვრელი), რომელიც სულთნის ოთახში გადიოდა და მას თავისუფლად შეეძლო, როცა კი მოისურვებდა, თვალყური ედევნებინა სხდომების მსვლელობისათვის[4]. დიდი ვეზირი სახელისუფლო სა-

---

შვილმა ბაიაზიდ I, რათა თავიდან აეცილებინათ ტახტის პრეტენდენტები, დაახოცინეს თავიანთი ძმები. სულთან მეჰმედ II-მ 1478 წელს გამოსცა სპეციალური კანონი, რომლის მიხედვითაც „ტახტზე ასულ ახალ სულთანს უფლება ჰქონდა დაეხოცა თავისი ძმები, რათა ქვეყანაში სიმშვიდე ყოფილიყო“.

ეს კანონი გააუქმა აჰმედ I-მა (1603—1617). მან შეცვალა მემკვიდრეობის წესი. ამიერიდან ტახტის მემკვიდრე შეიძლება ყოფილიყო არა სულთანის ვაჟი, არამედ დინასტიის რომელიმე წევრი, ასაკით უფროსი. ამ დროიდან დაწყებული, უფლისწულები ჰარამხანაში იყვნენ გამოკეტილნი. მათ უფლება არ ჰქონდათ ჰყოლოდათ ცოლშვილი, მაგრამ ჰყავდათ მხევლები. ტახტი ეკუთვნოდა უფროს ვაჟს ოსმანთა გვარიდან. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ თურქეთში ოსმანის დინასტია არ შეცვლილა ოსმალეთის სახელმწიფოს დაარსებიდან სულთნის ხელისუფლების გაუქმებამდე (1922 წ.).

[3] Sïdik Sami Onar, Les transformations de la structure administrative et juridique de la Turquie et son état actuel, Revue International des sciences administrative, Paris, 1955, n 4, 750.

[4] ამის გამო ჟან ბატისტ ტავერნიე შენიშნავს: „დიდი სენიორი (სულთანი — მ. ს.) ამ სხდომებს ხშირად ესწრება ფარულად, ამით მას მუდმივ შიშისქვეშ ჰყავს დიდი ვეზირიც და სხვა ვეზირებიც. სხდომების მიმდინარეობის დროს დიდ სენიორს შეუძლია დივნის მოსაზღვრე გალერეის ფარდაჩამოფარებულ ფანჯრის ქვეშ იჯდეს, ყველასაგან შეუმჩნეველად უსმინოს სხდომას და მხოლოდ მაშინ გამოჩნდეს, როცა მსჯელობა მოეწონება“ (ჟან ბატისტ ტავერნიე, დიდი სენიორის სასახლის

ხელმწიფოს მთელი საქმეების პირველ ინსტანციას წარმოადგენდა. ვეზირის თანამდებობა ოსმალებმა სელჩუკებისაგან გადაიღეს. დასაწყისში იყო მხოლოდ ერთი ვეზირი, რომელიც საშოქალაქო საქმეებს განაგებდა. დროთა განმავლობაში ვეზირების რიცხვი გაიზარდა, მურად I დროს სამი ვეზირი იყო, ხოლო მეჰმედ I-ის — ხუთი.

ლალა შაჰინ ფაშას გარდაცვალების შემდეგ, უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელობა ჩამოერთვა ბეგლარბეგს და გადაეცა ვეზირს ყარა ჰალილ ჰაირუდინ ჯანდარალის. ამგვარად, უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელობაც, XIV საუკუნის მეორე ნახევრიდან, დიდი ვეზირის ხელთ აღმოჩნდა, მანამდე იგი სამხედრო საქმეებში არავითარ როლს არ თამაშობდა, ამიერიდან კი იგი, სულთნის შემდეგ, სახელმწიფოს უმაღლესი მოხელე გახდა. ამ დროიდან შემოიღეს დიდი ვეზირის (ვეზირ-ი აზაჰის), ანუ პირველი ვეზირის თანამდებობა.

ოსმალეთის შეირაღებული ძალების მთავარსარდალი იყო სულთანი, მაგრამ მას შემდეგ, რაც სულთნები აღარ იღებდნენ მონაწილეობას ომში, ჯარების მთავარსარდლობა დიდი ვეზირის ხელში გადავიდა. რადგან ომის დროს დიდი ვეზირი, ჩვეულებრივ, ლაშქრის მთავარსარდალი იყო, მას ანიშებდნენ სადრ-ი ეკრემის ტიტულს. ომის დროს სადრ-ი აზამთან ერთად ფრონტზე მიემგზავრებოდა ყველა ვეზირი[5].

დიდი ვეზირის დედაქალაქიდან წასვლის შემდეგ, მის მოვალეობას დროებით კაიმაკამი ასრულებდა... „ოსმალეთისაგან განსხვავებით, სადაც დიდი ვეზირი იმავე დროს იყო ჯარის მთავარსარდალი, სეფიანთა სახელმწიფოში დიდი ვეზირის თანამდებობა წმინდა სამოქალაქო ხასიათისა იყო“[6]. ეს, უპირველეს ყოვლისა, აიხსნება იმით, რომ ოსმალეთის სახელმწიფო თავისი ბუნებით სამხედრო-ფეოდალურ სახელმწიფოს წარმოადგენდა. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ „ოსმალეთის იმპერიაში სამოქალაქო და სამხედრო ადმინისტრაცია ერთი და იგივე პირის ხელთ იყო. პროვინციებში უმაღლესი ფუნქციების შემსრულებელნი, ე. ი. ბეგლარბეგები და სანჯაყბეკები, ერთნაირად იყოფდნენ ამ იერარქიას. დიდი ვეზირიც, ბუნებრივია, ითავსებდა ამ ფუნქციებს. ეს იერარქია იყო ძირითადი ბირთვი იმპერიისა“[7].

ახალი აღწერა, ფრანგულიდან კ. გურულმა, თბ., 1974, გვ. 77). ადვილი წარმოსადგენია მბრძანებლის რეაქცია, როცა მას რამე არ მოეწონებოდა!

[5] ო. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან, გვ. 163, 164.

[6] История Ирана с древнейших времен до конца 18 века, под редакцией Струве В. В., Ленинград, 1957, с. 292; ე. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, გვ. 335.

[7] H ü s e y i n N a m i o O r k u n, Türk tarihi. c. IV. Ankara. 1946, s. 272.

მიუხედავად იმისა, რომ დიდი ვეზირი სარგებლობდა ფართო უფლებებითა და დიდი გავლენით, სულთანს, თავისი სურვილისამებრ, ყოველთვის შეეძლო მისი გადაყენება და სიკვდილით დასჯაც კი[8]. ოსმალური წყაროების მიხედვით, სულთანი ცხრა თუღას[9] ატარებდა. თუღათა რაოდენობა არ იყო დაკანონებული, მაგრამ არ შეიძლებოდა ფადიშაჰს შვიდ თუღაზე ნაკლები ჰქონოდა. დიდ ვეზირს ხუთი თუღა ჰქონდა ნაბოძები, ხოლო ვეზირებს კი სამი თუღა[10].

შეიხ-ულ ისლამი ოსმალეთის სახელმწიფო იერარქიაში დიდი ვეზირის შემდეგ მეორე პირს წარმოადგენდა. იგი იყო სულთნის მოადგილე სასულიერო დარგში და მისი მრჩეველი, რომლის აზრს ფადიშაჰი ანგარიშს უწევდა. ხონთქარი ფეხზე დგებოდა მხოლოდ შეიხ-ულ ისლამის მიღების დროს[11]. შეიხ-ულ ისლამი სათავეში ედგა მუსლიმურ სამღვდელოებას, ანუ ე. წ. „სწავლულთა კორპუსს“ („ორგანიზაციას“). ამ კორპუსის ფუნქციებში შედიოდა: 1. ფეთვების გამოცემა, 2. სწავლა-განათლების ხელმძღვანელობა, 3. შარიათისა და ადათის საფუძველზე სასამართლო საქმეების წარმართვა.

შეიხ-ულ ისლამის უშუალო ხელქვეითები იყვნენ პროვინციებში მომუშავე მუფტიები. შეიხ-ულ ისლამი იყო სტამბულის დიდი მუფთი და მუფთიებს შორის უპირველესი. ის ნიშნავდა ეიალეთების

---

[8] ოსმალეთის სახელმწიფოს არსებობის მთელ მანძილზე გამოიცვალა 184 დიდი ვეზირი. მათ შორის იყო 14 თურქი, 22 ალბანელი, 10 ქართველი, 1 რუსი, 1 ბულგარელი და სხვა. ო. გიგინეიშვილი დასახ. ნაშრომი, გვ. 163 — 164; I. H. Danişmend, Izahlı Tarihi kronolojisi, c. I, S. 435.

[9] Hüseyin Namik Orkun, Türk tarihi, c. IV, S. 242.

[10] თუღი ოსმალეთის იმპერიაში მაღალი თანამდებობის პირთათვის სახელმწიფოსაგან მინიჭებული ძალაუფლების ნიშანი იყო. იგი წარმოადგენდა კვერთხს, რომელსაც თავზე ეკეთა სპილენძის მოოქროვილი ბირთვი, ხანდახან ვერცხლის ნახევარმთვარე, იყო უბირთვო თუღებიც. თუღი ბოლოდებოდა ცხენის ძუის კონით. კანონი ზუსტად განსაზღვრავდა, თუ რომელ თანამდებობას ეკუთვნოდა თუღი და რამდენი და როგორი, ბირთვიანი თუ უბირთვო. ყველაზე დიდი რაოდენობა თუღებისა, რომელიც შეიძლებოდა ჰქონოდა თანამდებობის პირს, იყო სამი. მხოლოდ სულთანს ჰქონდა 6 თუღი. თუღების რაოდენობა განისაზღვრებოდა მოხელის მდგომარეობით ოსმალეთის სახელმწიფო სისტემის იერარქიაში. თუღი ეკუთვნოდათ როგორც სამხედრო-ადმინისტრაციული სამსახურის უმაღლესი რანგის მოხელეებს, ასევე იმათ, ვისაც მაღალი თანამდებობა ეკავა საკანცელარიო ბიუროკრატიულ აპარატში და სასულიერო იერარქიის ზედა საფეხურზე მყოფთ. თუღები ჰქონდათ იმ დიდ თანამდებობის პირებსაც, რომლებიც ქრისტიანები იყვნენ, მაგ., მოლდავეთისა და ვლახეთის მთავრებს. თუღის მქონე პირს ეკუთვნოდა შესატყვისი ამალა, თუღების რაოდენობის შესაბამისად. თუღი დროშის (ალმის) ფუნქციასაც ასრულებდა, (ო. გიგინეიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 162.).

[11] ჟან ბატისტ ტავერნიე, დიდი სენიორის სამეფო კარის ახალი აღწერა, გვ. 45.

მუფთიებს. შეიხ-ულ ისლამი არ იყო დივან-ი ჰუმაიუნის წევრი დ. მას არ გააჩნდა სასამართლო ძალაუფლება. მის ფუნქციებში შედიოდ. ფეთვის გამოცემის საშუალებით კანონის ძალაში შეყვანა და სულთნის ბრძანებულებების კანონიერების დამოწმება და კანონის ინტერპრეტაცია სწავლიმური რელიგიური დოგმების საფუძველზე[12].

სტამბულის დიდი მუფთი იყო არა მარტო რელიგიური, არამედ სამოქალაქო სამართლის კარგი მცოდნეც. იგი იყო იმპერიის ყველა მსაჯულთა საპატიო უფროსი და ყურანის განმმარტებელი და დიდად დაფასებული და პატივცემული მთელს იმპერიაში[13].

დივან-ი ჰუმაიუნში დიდი ვეზირის შემდეგ თავისი მდგომარეობით მეორე პირი იყო კაზიასკერი (უმაღლესი სამხედრო მოსამართლე). ეს თანამდებობა შემოღებულ იქნა მურად I-ის დროს. კაზიასკერი არჩევდა სასამართლო საქმეებს ჯარში და ადგენდა კანონებს შარიათის მიხედვით. იგი პასუხისმგებელი იყო სწავლა-განათლებისათვის, ნიშნავდა და ხსნიდა ყადიებს (მოსამართლეებს). მართლმსაჯულებისა და შარიათის საქმეები კაზიასკერის კომპეტენციას შეადგენდა. ოსმალეთის სულთნები დიდ ყურადღებას უთმობდნენ არმიაში დისციპლინის საქმეს და ამიტომ ცდილობდნენ კაზიასკერებისათვის შეექმნათ ავტორიტეტი. კაზიასკერებად ნიშნავდნენ ულემებს.

დივან-ი ჰუმაიუნში დასაწყისში ერთი კაზიასკერი იყო, მეჰმედ ფათიჰის დროს კი, 1480 წლიდან — ორი. კაზიასკერები უშუალოდ მთავარ მუფთის ანუ შეიხ-ულ ისლამს ექვემდებარებოდნენ. რუმელიის (ოსმალეთის ევროპული ნაწილი) სასამართლო საქმეებს რუმელიის კაზიასკერი არჩევდა, ანატოლიაში კი — ანატოლიის კაზიასკერი. თავისი თანამდებობით რუმელიის კაზიასკერი აღემატებოდა ანატოლიის კაზიასკერს. დივან-ი ჰუმაიუნში კაზიასკერები დიდი ვეზირის გვერდით ისხდნენ.

სახელმწიფოს იერარქიაში კაზიასკერის შემდეგ ბაშდეფთერდარი იდგა. იგი სახელმწიფოს მთელ საფინანსო საქმეებს განაგებდა — ოსმალეთის სახელმწიფოში ამ უწყებას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან სახელმწიფოს შემოსავლის ძირითად წყაროს დაპყრობილი და საკუთარი ხალხების ძარცვა წარმოადგენდა. XVII ს-ის დამდეგს ცნობილი თურქი მოღვაწის კოჩი ბეი გორიჯელის აზრით, „პირველი, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია — ეს სახელმწიფო ხაზინაა“[14].

დასაწყისში ერთი დეფთერდარი იყო, შემდგომში მათი რიცხვი

---

12 ო. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 167.

13 ჟ. ტ ა ვ ე რ ნ ი ე, დიდი სენიორის სამეფო კარის ახალი აღწერა, გვ. 49.

14 Koçi Bey risalesi. Istanbul, 1939, s. 46.

სამამდე გაიზარდა. ესენი იყვნენ: ბაშ დეფთერდარი (მთავარი დეფთერდარი), რუმელიისა და ანატოლიის დეფთერდარები. ბაშდეფთერდარი ხელმძღვანელობდა სახელმწიფოს მთელ ფინანსებს, აწესრიგებდა სახელმწიფო ხაზინის მთელ შემოსავალ-გასავალს, ამზადებდა სულთნის დადგენილებათა პროექტებს საფინანსო დარგში და სხვა.

დეფთერდარის თანამდებობა არსებობდა ყველა მუსლიმურ სახელმწიფოში, საიდანაც გადმოიღეს თურქ-ოსმალებმაც. ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, რომ დეფთერდარის თანამდებობა თურქეთში შემოღებული უნდა ყოფილიყო ორხანის დროს, როდესაც პირველად (1328 წ.) მოჭრილ იქნა ვერცხლის მონეტა (ახჩა).

ომის დროს დეფთერდარი ლაშქართან ერთად იმყოფებოდა და ადგილზე ხელმძღვანელობდა ახლად დაპყრობილი ქვეყნის აღწერასა და მის რეესტრებში (დავთრებში) გატარების საქმეს.

ყოველგვარი გადასახადის გაწერა ბაშდეფთერდარის ხელმძღვანელობით წარმოებდა. მისი ნებართვის გარეშე არავის ჰქონდა უფლება აეღო ან გაეცა ერთი ახჩაც კი. მას ემორჩილებოდა ყველა მოხელე, რომლებიც ფადიშაჰის სალაროს განაგებდნენ და არავის ჰქონდა უფლება ჩარეულიყო მის კომპეტენციაში.

ბაშდეფთერდარს თავისი ადმინისტრაციული მდგომარეობით მოსდევდა ნიშანჯი, რომელიც ხელმძღვანელობდა სახელმწიფო კანცელარიას. ნიშანჯი ადგენდა ფადიშაჰის ყველა მნიშვნელოვან ბრძანებულებას, ფირმანს, ბარათსა და მისთ. მის მოვალეობაში შედიოდა ფადიშაჰისგან ხელმოწერილი საბუთებისათვის თუღრის (ბეჭდის) დასმა. ნიშანჯი პასუხისმგებელი იყო რეისულ ქუთაბის (რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს „მდივნების მეთაურს") საქმიანობისათვის, რეისულ ქუთაბი იგივეა, რაც სელჩუკთა სახელმწიფოში „მელიქ ულ ქუთაბი", — დივნების ემირი. ეს თანამდებობა ოსმალებმა სელჩუკთა სახელმწიფოდან გადაიღეს[15].

რეისულ ქუთაბი სათავეში ედგა დივან-ი ჰუმაიუნის მთელ საქმეთა წარმოებას. იგი უდრიდა თანამედროვე საქმეთა მმართველს. მას ემორჩილებოდა აგრეთვე დივან-ი ჰუმაიუნის თარჯიმანთა კორპუსი, ევალებოდა საგარეო საქმეებიც. მისი საშუალებით წარმოებდა უცხო სახელმწიფოების ელჩებთან ურთიერთობა. მიუხედავად იმისა, რომ იგი არ იყო დივან-ი ჰუმაიუნის წევრი, ოსმალეთის იმპერიაში რეისულ ქუთაბი იყო ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავლენიანი

---

[15] В. А. Гордлевский. Государство сельджукидов в Малой Азии, избр. соч., т. I, с. 167, 168.

პირი, რომელსაც საკანცელარიო ბიუროკრატიულ სისტემაში მეორე ადგილი ეკავა ნიშახჯის შემდეგ[16].

დივან-ი ჰუმაიუნის წევრი იყო იენიჩართა აღა, იენიჩართა კორპუსის მეთაური. იგი დიდი გავლენით სარგებლობდა სახელმწიფოში და იოლებოდა ერთ-ერთი უმაღლესი თანამდებობის პირად. ოსმალეთის სახელმწიფოს არსებობის პირველ პერიოდში იენიჩართა აღა თავისი მდგომარეობით უტოლდებოდა სანჯაყბეგს. იენიჩართა კორპუსის გავლენის ზრდასთან ერთად, იზრდებოდა მისი მნიშვნელობა და ავტორიტეტიც. იენიჩართა აღა ჯერ გაუთანაბრეს ბეგლარბეგს, ხოლო XVII საუკუნის შუა წლებიდან ვეზირობასაც აძლევდნენ[17].

დივან-ი ჰუმაიუნის წევრი იყო, აგრეთვე, ქაფუდან ფაშა (სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდალი). მის გამგებლობაში იყო სავაჭრო ფლოტიც. თავდაპირველად ამ თანამდებობის პირს „დერია ბეი“ (ე. ი. „ზღვის გამგებელი“) ეწოდებოდა, რადგან პირველად გემთმშენებლობა ოსმალეთში გალიპოლიის (გელიბოლუს) ნახევარკუნძულზე დაიწყეს, ამიტომ დერია ბეის წოდებაც პირველად გალიპოლიის მფლობელმა მიიღო. სამხედრო-საზღვაო ფლოტის გაზრდა-გაძლიერებასთან შესაბამისად ტერმინი „ბეი“ იტალიურიდან ნასესხებმა ტერმინმა „კაპიტანმა“ შეცვალა და ხმარებაში „კაპიტან-ი დერია“ შემოვიდა. შემდეგში, როცა სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდლის თანამდებობა ოსმალეთში ერთ-ერთი ვეზირის სახელო გახდა, „კაპიტანს“ „ფაშაც“ დაემატა და „დერეიაბეის“ პარალელურად ხმარებაში „კაპიტან-ფაშა“, ანუ ქაფუდან-ფაშა შემოვიდა. XVI საუკუნის დასასრულიდან ქაფუდან ფაშები უკვე ვეზირები და დივან-ი ჰუმაიუნის წევრებია. მათი რეზიდენცია სტამბული იყო[18].

დივან-ი ჰუმაიუნის შემადგენლობაში შედიოდნენ აგრეთვე სანდალიესიზ — უსავარძლო ვეზირები. მათ ეწოდებოდათ კუბე ვეზირებიც — თაღის, გუმბათის ვეზირები; ასეთ ვეზირებს არავითარი გარკვეული სახელმწიფო თანამდებობა არ ეკავათ. მათი მდგომარეობა, დაახლოებით, დღევანდელი უპორთველო მინისტრის თანაბდებობას მოგვაგონებს. დასაწყისში დივან-ი ჰუმაიუნში დიდი ვეზირის გარდა შედიოდა სამი კუბე ვეზირი; ხოლო XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან მათი რიცხვი შვიდამდე გაიზარდა, მათი რაოდენობა ამ რიცხვს არასოდეს არ გასცილებია[19].

---

16 ო. გიგინეიშვილი, ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან, გვ. 163.

17 იქვე, გვ. 162.

18 ო. გიგინეიშვილი, ნარკვევები.., გვ. 166; ჟან ბატისტ ტავერნიე, დიდი სენიორის სასახლის აღწერა, გვ. 209.

19 მ. სვანიძე, ოსმალეთის იმპერიის ადმინისტრაციული წყობა და პროვინ-

დივნის სხდომებში მონაწილეობას იღებდა, აგრეთვე, ჩაუშიბაში, რომელიც თავისი ხალხის დახმარებით ასრულებდა წმინდა პოლიციურ ფუნქციებს. ჩაუშებს ხელში ეჭირათ ვერცხლის კვერთხი, ხელისუფლების სიმბოლო. ჩაუშიბაში დივნის სხდომების დროს თვალყურს ადევნებდა წესრიგს, იძახებდა მომჩივანებს, კითხულობდა მათ საჩივარს, რჩევა-დარიგებას აძლევდა მომჩივანებს და სხვა. კანონიჩაუში ითვლებოდა დივნის მოხელედ[20].

დასაწყისში დივან-ი ჰუმაიუნის სხდომები ყოველდღიურად ტარდებოდა, ხოლო XVI საუკუნიდან დაწყებული, კვირაში ოთხჯერ: შაბათს, კვირას, სამშაბათსა და ოთხშაბათს.

დივან-ი ჰუმაიუნის სხდომებზე ხშირად ცხარე კამათი იმართებოდა. დიდი ვეზირი დივანის სხდომის დამთავრების შემდეგ სულთანს მოახსენებდა მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და ისინი ძალაში შედიოდა, მხოლოდ მას შემდეგ, როცა სულთანი მოიწონებდა და დაამტკიცებდა ამ დადგენილებებს. ფაქტიურად, დივან-ი ჰუმაიუნი მთავრობის ფუნქციებს ასრულებდა. დივან-ი ჰუმაიუნს არაბულად „ბაბ-ი ალის" („მაღალი კარი") უწოდებდნენ[21]. ფრანგებმა ეს სახელწოდება თარგმნეს „la Porte — კარი, la Porte Sublime" — „ბრწყინვალე კარი", აქედან რუსულში გავრცელდა „Порта", „Блистательная Порта". ამ სახელის ქვეშ იგულისხმება ოსმალეთის მთავრობა, ე. ი. „დივან-ი ჰუმაიუნი". ზოგჯერ თურქები დივან-ი ჰუმაიუნს „ფაშა კაფისისაც" („paşa kapisi") „ფაშას კარი" უწოდებდნენ, ე. ი. „დიდი ვეზირის კარი".

ცენტრალური ხელისუფლების ორგანიზაცია და მისი მმართველობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული პროვინციების მართვა-გამგებლობასთან, რომლის საშუალებითაც ადგილზე ხორციელდებოდა სულთნისა და დივან-ი ჰუმაიუნის გადაწყვეტილებანი.

დასაწყისში ოსმალეთის მთავრობა დაპყრობილ ქვეყნებს, მათი მართვა-გამგებლობისა და ექსპლოატაციის მიზნით, როგორც წესა-

---

ციული მართვაგამგეობა XVI საუკუნეში, მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, 1963, გვ. 92.

[20] ო. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან, გვ. 163.

[21] სელჩუკთა სულთნის აუდიენციის ადგილს ეწოდებოდა კაფუ (კარი, შესასვლელი). როგორც ჩანს, ეს იყო მომთაბარე ყოფის ანარეკლი, როდესაც ტომის წარჩინებულნი კარვის შესასვლელთან იკრიბებოდნენ და შემდეგ შედიოდნენ შიგ. ეს ტერმინი დამკვიდრდა ოსმალეთშიც, მაგრამ არაბულ-სპარსული ფორმით. ოსმალეთის მთავრობას ეწოდებოდა „ბაბ-ი ალი" — „მაღალი კარი". Д. Е. Еремеев, Этногенезис турок, М., 1971, с. 81. T a l b o t R. T. The Seljuks in Asia Minor, London, 1961, p. 85.

სანჯაყებად (ლივებად) ყოფდა. მაგრამ, დროთა განმავლობაში, ევროპასა და აზიაში მრავალი ქვეყნის დაპყრობათა შედეგად, ოსმალეთის მთავრობამ გადაწყვიტა, დამორჩილებული ქვეყნების უკეთ მართვის მიზნით, მთელი ტერიტორია ორ ძირითად ნაწილად — რუმელიისა და ანატოლიის საბეგლარბეგოებად დაეყო. ა. ჰეიდბორნის აზრით, ოსმალეთის იმპერიის ორ საბეგლარბეგოდ (რუმელიისა და ანატოლიის) დაყოფა ოსმალებმა ბიზანტიელებისაგან გადაიღეს[22].

რუმელიის საბეგლარბეგო დაარსდა ედირნეს (ადრიანოპოლის) დაპყრობის (1362 წ.) შემდეგ[23]. ამ დროისათვის ოსმალებმა ევროპაში შექმნეს შემდეგი სანჯაყები: გალიპოლია (გალიპოლისი), ჩერმენ, ეოზა, კირკილესი და ედირნე. ეს შეადგენდა რუმელიის საბეგლარბეგოს თავდაპირველ ტერიტორიას. რუმელიის საბეგლარბეგოს პირველი ბეგლარბეგი იყო ლალა-შაჰინ ფაშა.

რუმელიის ბეგლარბეგის რეზიდენცია პირველად ქ. ედირნეში იმყოფებოდა, შემდეგ კი — ქ. პლოვდივში, კონსტანტინოპოლის დაპყრობამდე. XV საუკუნის შუა წლებში კონსტანტინოპოლი იქცა ოსმალეთის იმპერიის დედაქალაქად, ხოლო ედირნე — რუმელიის ბეგლარბეგის რეზიდენციად. ასე გაგრძელდა XVI საუკუნემდე, ვიდრე რუმელიის ბეგლარბეგის რეზიდენციას ქ. სოფიაში გადაიტანდნენ.

ოსმალები დაპყრობით ომებს აწარმოებდნენ არა მარტო ევროპაში, არამედ აზიაშიც. ბაიაზიდ I-ის ზეობის დასაწყისში ანატოლიაში დასრულდა ოსმალური პროვინციების ცენტრალიზაცია და 1393 წელს დაარსდა ანატოლიის საბეგლარბეგო, რომლის ცენტრი ქუთაჰია იყო. უფრო გვიან იგი ანკარაში იქნა გადატანილი, მაგრამ 1451 წელს რეზიდენციად კვლავ ქუთაჰია აირჩიეს[24]. ანატოლიის საბეგლარბეგოს პირველ ბეგლარბეგად დაინიშნა თემურთაშ ფაშა. იგი ამ თანამდებობაზე დარჩა ანგორის (1402) ბრძოლამდე[25].

XV საუკუნეში ოსმალური სანჯაყები დაარსდა როგორც რუმელიაში, ისე ანატოლიაში, ე. ი. ევროპასა და აზიაში. ამის შესაბამისად, ოსმალეთის იმპერია დაყოფილი იყო ორ უმაღლეს სამმართველო ერთეულად — რუმელიისა და ანატოლიის საბეგლარბეგოებად.

XV—XVI საუკუნეებში, ახალ დაპყრობათა შედეგად, ოსმალე-

---

[22] A. Heidborn, Manuel de Droit public et administratif de l'Empire Ottoman, Vienne—Leiprig, 1919. v. I, 147.

[23] M. T. Gökbilgin, XV—XVI asırlarda Edirne ve paşa livası, Ankara, 1952, s. 15.

[24] I. H. Uzunçarşılı, Osmanlı devletinin Merkez ve Bahriye Teşkilatı, s. 228.

[25] იქვე, გვ. 290.

თის სახელმწიფოს ტერიტორიულმა ზრდამ მოითხოვა, ორი მთავარი საბეგლარბეგოს გარდა, ახალი საბეგლარბეგოების შექმნა. ამიტომ, ახალი ადმინისტრაციული ერთეულის აღსანიშნავად, გაჩნდა ახალი ტერმინი ეიალეთი (მხარე, ქვეყანა)[26]. მ. დ' ოსონის აზრით, ასეთი ახალი ადმინისტრაციული დანაწილება მურად III (1574—1595) დროს მომხდარა. იგი წერს, რომ მურად III-მ „იმპერია დაჰყო დიდ საბეგლარბეგოებად (ეიალეთებად), რომელიც რამდენიმე ლივისაგან შედგებოდა"[27]. საჭიროა აღინიშნოს, რომ ოსმალურ წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში ჩვენ არსად არ შეგვხვედრია ცნობა იმის შესახებ, თუ როდის შემოდის კონკრეტულად ტერმინი ეიალეთი, უმაღლესი ადმინისტრაციული ერთეულის მნიშვნელობით. ვიცით მხოლოდ, რომ ოსმალეთის იმპერიის პროვინციების აღწერის დავთრებში, რომლებიც შედგენილია XVI საუკუნის მიწურულსა და XVII საუკუნის პირველ ნახევარში (აინი ალი, კოჩი ბეი, ალი ჩაუში), როგორც წესი, ოსმალეთის იმპერიის უმაღლეს ადმინისტრაციულ ერთეულად მოხსენიებულია ეიალეთი[28]. ამის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ XVI საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან, როგორც ჩანს, ოსმალეთის უმაღლესი ადმინისტრაციული ერთეულის აღსანიშნავად იხმარება ეიალეთი.

საბეგლარბეგო, ეიალეთი, ანუ საფა'მო იყო უმაღლესი სამმართველო ერთეული ოსმალეთის იმპერიაში. ტერმინს საბეგლარბეგოსა და ეიალეთს ჰქონდა უმაღლესი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულის მნიშვნელობა. ამ სამმართველო ერთეულებად იყოფოდა ოსმალეთის სახელმწიფო XVI საუკუნიდან XIX საუკუნემდე (თანზიმათის რეფორმებამდე), როდესაც ეიალეთი გადაკეთდა ვილაიეთად.

ამ ორ ტერმინს (საბეგლარბეგო, ეიალეთი) შორის ის განსხვავებაა, რომ საბეგლარბეგო ძველი სახელწოდებაა და მას უფრო ფართო მნიშვნელობა ჰქონდა. იგი აღნიშნავდა არა მარტო ტერიტორიას, რომელსაც განაგებდა ბეგლარბეგი, ფაშა და უფრო გვიან, ზოგიერთ შემთხვევაში, ვეზირი, არამედ მის წოდებასაც და რანგს. სახელწოდება ეიალეთი კი გამოყენებული იყო მხოლოდ უმაღლესი თურ-

---

[26] Gibb H. A. and Harold Bowen, Islamy Society and the West, London—New-York, 1931; p. 140 — 141; ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII სს. გვ. 335.

[27] M. D'O h s s o n, Tableau general de l'Empire Ottoman, Paris, 1820, v. VII, p. 276, 277.

[28] ო. ბ ა რ კ ა ნ ის მიერ გამოქვეყნებულ XV—XVI სს. ოსმალეთის იმპერიის კანუნ-ნამეებში ტერმინი ეიალეთი არ გვხვდება.

ქული სამმართველო ერთეულის მნიშვნელობით, რომელსაც შემდგომში ოფიციალურად იგივე სახელი დაერქვა. სახელწოდება საფაშო იქიდან წარმოდგება, რომ ბეგლარბეგები, ანუ მირი-მირანები, რომლებიც მართავდნენ ცალკე აღებულ ეიალეთს, ატარებდნენ ფაშის ტიტულს. რის გამო მათ გამგებლობის ქვეშ მყოფ ტერიტორიას საფაშო ეწოდებოდა[29].

საჭიროა შევნიშნოთ, რომ სახელწოდება ეიალეთთან ერთად ოფიციალურ დოკუმენტებსა და ნარატიულ წყაროებში (სელიანიქი, ფეჩევი, ნაიმა და სხვ.) გვხვდება ვილაიეთი. ეიალეთი და ვილაიეთი წყაროებში სინონიმების მნიშვნელობით იხმარებიან. ტერმინი ვილაიეთი (ქვეყანა, მხარე) გამოიყენება ეიალეთის მნიშვნელობით XVIII საუკუნეში და XIX საუკუნის პირველ ნახევარში უფრო ხშირად გვხვდება და იგი თანდათან ეიალეთის ადგილს იჭერს. მაგრამ ტერმინი ვილაიეთი ეიალეთის მნიშვნელობით ყოველთვის როდი იხმარებოდა. ოსმალეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბების პირველ პერიოდში ვილაიეთი მცირე სამმართველო ერთეულს უნდა აღნიშნავდეს. მაგალითად, ჰ. ინალჯიკის მიერ გამოცემული ალბანეთის დავთრის (1431 წ.) მიხედვით, ალბანეთის სანჯაყი ცხრა ვილაიეთად იყოფოდა[30].

ამ დროს ვილაიეთი აღნიშნავდა სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულს, ოღონდ სანჯაყზე უფრო მცირეს, მაგრამ ნაჰიეზე უფრო დიდს.

XV—XVI საუკუნეებში ვილაიეთი სანჯაყის (ლივას) მნიშვნელობითაც იხმარებოდა. ეს ჩანს ო. ბარკანის მიერ გამოქვეყნებული XV—XVI საუკუნეების ოსმალეთის იმპერიის კანუნნამეებიდან[31].

ჰ. შაბანოვიჩი, ტერმინ ვილაიეთის მნიშვნელობის ასეთ მოდიფიკაციასთან დაკავშირებით წერს: „სხვადასხვა დოკუმენტებში, განსაკუთრებით კი აღწერის დავთრებსა და კადასტრებში, გადასახადების დავთრებსა და სხვაგან ვილაიეთი გამოყენებული იყო როგორც ეიალეთის, საბეგლარბეგოს ან საფაშოს და სანჯაყის ან ლივას მნიშ-

---

[29] მ. სვანიძე, ოსმალეთის იმპერიის ადმინისტრაციული წყობა და პროვინციული მართვაგამგეობა XVI საუკუნეში, მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, გვ. 95,96.

[30] Suret-i Detter-i Sancak-i Arvanid 835 (1431), çeviren H. Inalcik, Ankara, 1954.

[31] Ö. L. Barkan, XV ve XVI inci asirlarda Osmanli Imparatorluğunda Ziraî Ekonominin Hukukî ve Malî esasları, c. I, Kanunlar, Istanbul, 1943, s. 115, 161, 163.

ვნელობით, ასევე უმდაბლესი სამმართველო ერთეულის მნიშვნელობითაც"[32].

აქრიგად, ტერმინი ვილაიეთი გამოყენებული იყო როგორც ეიალეთის (საბეგლარბეგოს) და სანჯაყის (ლივას) მნიშვნელობით, ასევე მცირე სამმართველო ერთეულის მნიშვნელობითაც. ეს უპირველესად ყოვლისა, იმით აიხსნება, რომ სიტყვა ვილაიეთი არასოდეს არ აღნიშნავდა რომელიმე მყარსა და ნათლად ჩამოყალიბებულ ადმინისტრაციულ ან გეოგრაფიულ ერთეულს; ტერმინმა გარკვეული ზუსტი მნიშვნელობა შეიძინა მხოლოდ XIX საუკუნეში, თანზიმათის რეფორმების დროს, როცა მან მიიღო უმაღლესი სამმართველო-ადმინისტრაციული ერთეულის მნიშვნელობა[33].

ქვეყნის მართვა-გამგებლობის სისტემის მიხედვით ოსმალეთის იმპერიაში ეიალეთები ორი სახისა იყო: 1. სალიანეს არმქონე და 2. სალიანეს მქონე. სალიანეს არმქონედ ითვლებოდა ისეთი ეიალეთი, რომელსაც არ ჰქონდა შეწერილი „წლიური" გადასახადი (ხარკი) და რომელშიაც გავრცელებული იყო თიმარიოტული სისტემა, ე. ი. ხასები, ზიამეთები და თიმარები იყვნენ წარმოდგენილი. სალიანეს არმქონე ეიალეთებში გაბატონებული იყო ოსმალეთის სოციალურ-პოლიტიკური სისტემა, მისთვის დამახასიათებელი შესაბამისი ინსტიტუტებით. ასეთი ეიალეთები საკუთრივ ოსმალეთის მიწაწყალზე იყო შექმნილი და იმ დაპყრობილ ქვეყნებში, რომელშიაც ოსმალებმა შედარებით მტკიცედ მოიკიდეს ფეხი და იქ თავიანთი სოციალურ-პოლიტიკური სისტემა დანერგეს.

სალიანეს მქონე ეიალეთებში თიმარული სისტემა არ იყო გავრცელებული, ტერიტორია არ იყო დანაწილებული ზიამეთებად და თიმარებად. ასეთი სახის ეიალეთები იმ დაპყრობილ ქვეყნებში იყო დაარსებული, რომელთა გამგებლები ნახევრად დამოუკიდებლად განაგებდნენ ქვეყანას, თვითონ კრეფდნენ გადასახადებს, ხოლო გადასახადის გარკვეულ ნაწილს ყოველწლიურად გზავნიდნენ ოსმალეთის სახელმწიფოს ხაზინაში. ამიტომ ასეთ ვილაეთებს „სალიანე" ეწოდებოდა, რაც ყოველწლიურ გადასახადს ნიშნავს. „სალიანე" ფაქტიურად ხარკს წარმოადგენდა. ეს გადასახადი ზოგიერთ ქვეყანაში ბეგლარბეგის ხაზინაში შედიოდა, ადგილობრივი გარნიზონების შესანახავად, ზოგიერთ ვილაეთიდან კი იგი მთლიანად სტამბულში იგზავნებოდა.

სალიანეს მქონე ვილაეთები, როგორც წესი, არ იყო დაყოფილი სანჯაყებად, გამგებლები მათ მულქის საფუძველზე ფლობდნენ. ეს

---

[32] H. Šabanović, Bosanski Pašaluk, Sarayevo, 1959, s. 111, 112.

[33] ვ. სვანიძე, ოსმალეთის იმპერიის ადმინისტრაციული წყობა... გვ. 97.

ფაქტი კი იმის დამადასტურებელია, რომ სალიანეს მქონე ვილაეთები მფლობელების საკუთრებაში იმყოფებოდნენ და რომ იქ ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური სისტემა, ძირითადად, ხელუხლებელი რჩებოდა. თუმცა ამ ეიალეთებზე მფლობელობის უფლება ოსმალეთის სულთნისაგან უნდა მიეღოთ, მაშასადამე, ეს ეიალეთები ფაქტიურად ნახევრად დამოუკიდებელ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ[34].

ამრიგად, სალიანეს მქონე ეიალეთებში ადგილობრივი სოციალურ-პოლიტიკური სისტემა ძირითადად შენარჩუნებული იყო და ოსმალური წესები სუსტად იყო დანერგილი. სალიანეს მქონე ეიალეთების სტატუსი ისეთ დაპყრობილ ქვეყნებს ეძლეოდათ, რომლებშიაც ოსმალთა გაელენა სუსტი იყო და მათში პოლიტიკური დამოკიდებულების ფორმა უფრო მსუბუქი იყო და ასეთი ეიალეთები ნახევრად დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ და შემოსავლის ნაწილს „სალიანეს“ სახით ოსმალეთის ხაზინაში გზავნიდნენ.

სანჯაყი (ლივა). უფრო მცირე სამმართველო ერთეული, რომელზედაც იყოფოდა ცალკეული ეიალეთი, სანჯაყი ანუ ლივა იყო. თურქული სახელწოდება სანჯაყი და არაბული ლივა სინონიმებია და თავდაპირველად დროშას აღნიშნავდნენ, ამ სამმართველო ტერმინით იწოდებოდა ის ტერიტორია (ოლქი), რომელსაც განაგებდა სანჯაყბეგი ანუ მირილივა. სანჯაყი ძირითადი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული იყო. ოსმალეთის სახელმწიფოს არსებობის პირველ ხანებში სანჯაყები ყველაზე უფრო მსხვილ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს წარმოადგენდნენ. ცალკეული სანჯაყბეგები, XVI საუკუნის ბოლოდან და განსაკუთრებით XVII საუკუნეში, ცდილობდნენ ფაშის ტიტულის მიღებას, რაც დაკავშირებული იყო ცენტრიდანული ძალების გაძლიერებასა და ოსმალეთის სახელმწიფოს დასუსტებასთან. ცნობილია ისეთი სანჯაყებიც, რომლებიც უშუალოდ ცენტრალურ ხელისუფლებას, სტამბულს ემორჩილებოდა. მაგალითად, კაფას სანჯაყი ყირიმში და სხვ.

ყაზა (ყადილუკი). სანჯაყი ყაზებად იყოფოდა. თითოეულ სანჯაყში რამდენიმე ყაზი იყო. არაბული სიტყვა ყაზა, როგორც სამმართველო ტერმინი, თურქულ-ადმინისტრაციული დაყოფის სისტემაში აღნიშნავდა ტერიტორიას, რომელიც ეკუთვნოდა ერთ ყადის. იმავე მნიშვნელობის გამომხატველი იყო ყადილუკი (არაბულ ყადისაგან „ყადი“, „მსაჯული“, „მოსამართლე“ და თურქული სუფიქსი ლუკ). ამ ტერმინით აღინიშნებოდა, აგრეთვე, თვით ყადის წოდებაც. თურ-

---

[34] მ. სვანიძე, ოსმალეთის იმპერიის ადმინისტრაციული წყობა და პროვინციული მართვა-გამგებლობა..., გვ. 98.

ქულ სახელმწიფოებრივ აპარატში ყადიები იყვნენ მართლმსაჯულების წარმომადგენლები, ამისდა მიხედვით ყაზა ანუ ყადილუკი შეადგენდა სასამართლო აპარატის ერთეულს. ხოლო, რადგანაც ოსმალეთში ყადიები ხშირად ფლობდნენ მმართველობის უფლებებსაც, ამიტომ ყაზა ანუ ყადილუკი, როგორც ტერიტორია განკუთვნილი ყადისადმი, წარმოადგენდა რიგით სამმართველო ერთეულს.

ნაჰიე. სანჯაყები ნაჰიებად ან ყადილუკებად იყოფოდა. ნაჰიე თურქულ ადმინისტრაციაში აღნიშნავდა უმცირეს თურქულ სამმართველო ერთეულს. ნაჰიე თავის სამმართველოში რამდენიმე სოფელს აერთიანებდა.

ოსმალეთის სახელმწიფოში, ჩვენს მიერ ზემოთ განხილული სამმართველო-ადმინისტრაციული ერთეულების გარდა, არსებობდა სხვა სამმართველო ერთეულებიც: თავისუფალი სამირმირანოები, იურთლუკისა და ოჯაკლიკის სანჯაყები, ჰუქუმათები, ვოევოდალუკები, სუბაშლიკები და სხვა. მაგრამ ასეთი სამმართველო ერთეულები არ იყო ტიპიური და ისინი მრავალი თავისებურებით ხასიათდებოდნენ.

ოსმალეთის სახელმწიფოს ამგვარი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა შენარჩუნებულ იქნა თანზიმთის რეფორმებამდე (XIX ს.).

პროვინციული მართვა-გამგეობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ოსმალეთის სამხედრო-ლენურ ანუ თიმარული მიწისმფლობელობისა და მიწათსარგებლობის წესებთან.

ეიალეთის მართვა-გამგებლობა ბეგლარბეგის ხელთ იმყოფებოდა. ბეგლარბეგს სულთანი ნიშნავდა და იგი უშუალოდ მას ემორჩილებოდა. ბეგლარბეგი განაგებდა სამოქალაქო, სამხედრო და ნაწილობრივ სასამართლო საქმეებს. ვილაეთის შემადგენლობაში შემავალი სანჯაყბეგები ეიალეთის ბეგლარბეგს ემორჩილებოდნენ. ბეგლარბეგი ეიალეთის ცენტრში იჯდა, მრავალრიცხოვანი ამალა ჰყავდა. ეიალეთის საქმეების განსახილველად ბეგლარბეგის თავმჯდომარეობით იკრიბებოდა დივანი, რომელსაც „ფაშა დივანსაც“ უწოდებდნენ, დივანის საქმეებს დივანის ეფენდი აწესრიგებდა. ეიალეთის გადასახადების, სახელმწიფოს შემოსავლის საქმეებს „დეფთერდარი“ ანუ „ბაზინე დეფთერდარი“ აწესრიგებდა. მის კომპეტენციაში შედიოდა სამონეტო საქმე, ნაღდი ფულის მიღება და გასტუმრება, ფეოდალური საკარგავების, ფინანსების მოწესრიგება, რამდენადაც საკარგავები გულისხმობდა ჯამაგირის მაგიერ სარჩოს (დირლიქის) გაცემას. ეიალეთის ზაიმების საქმეებს — „თიმარის ქეთხოდა“ და თიმარის საქმეებს კი — „თიმარის დეფთერდარი“ განაგებდა. ვილაიეთის დივანში, თიმარ დეფთერდარის და თიმარ ქეთხოდას მსგავსი

მოხელეების გარდა, შედიოდნენ აგრეთვე ყადი, სუბაში და ფაშის თეზქერეჯიებიც.

რულიგიისა და სასამართლოს საქმეებს ეიალეთის ცენტრში მჯდომი ყადი განაგებდა. იგი გასამართლებას შარიათის მიხედვით აწარმოებდა. მისი განაჩენი სისრულეში მოჰყავდათ სუბაშებს. მათ ევალებოდათ საპოლიციო სამსახური და წესრიგის დაცვა. გარდა ამისა, სუბაშები თვალყურს ადევნებდნენ ვაჭრობას და სხვა.

ეიალეთის დივანში მოსახლეობის საჩივრებსაც იხილავდნენ. თუ ეიალეთის დივანში მიღებული გადაწყვეტილება მომჩივანს არ აკმაყოფილებდა, მაშინ მას შეეძლო იგი დივან-ი ჰუმაიუნისათვის გაეგზავნა.

ოსმალეთის სახელმწიფოში, მცირე გამონაკლისის გარდა, დაუშვებელი იყო პროვინციების გამგებლების მემკვიდრეობითი წესი. მ. დ'ოსონის ცნობით, ბეგლარბეგობას გარკვეული ვადით უბოძებდნენ ხოლმე, ჯერ სამი წლით, შემდეგ ორით და ბოლოს ერთი წლით. მიუხედავად ამისა, ამ გამგებელთა ძალაუფლება სულ უფრო მეტად ძლიერდებოდა, ამიტომ ოსმალეთის მთავრობა ერიდებოდა მის განმტკიცებასა და გახანგრძლივებას[35].

რწმუნების ვადის გასვლის შემდეგ, თუ არ მოხდებოდა ფირმანის განახლება, ფაშა ჰკარგავდა პროვინციის მმართველობის უფლებას. ამით, როგორც ზემოთ ითქვა, ოსმალეთის სულთანს სურდა მუდმივ მორჩილებაში ჰყოლოდა პროვინციის გამგებლები, არ დაეშვა მათი ძალაუფლების გაძლიერება. მაგრამ ამ ღონისძიების გატარებას სულთნის მთავრობა ცხოვრებაში ვერ ახერხებდა[36].

ეიალეთის გამგებლობა, სულთან სულეიმან კანუნის სიკვდილამდე, ბეგლარბეგებს, ე. ი. ორ თუღიან ფაშებს ეძლეოდათ, ხოლო უფრო გვიან, ეიალეთებში ვეზირის ხარისხით (სამთუღიანი) ბეგლარბეგის დანიშვნა დაწესდა. ამის გამო ოსმალეთში ვეზირები ორად გაიყო — საგარეო და საშინაო ვეზირებად. საგარეო ვეზირები ეიალეთებს განაგებდნენ. საშინაო ვეზირები იგივე უსავარძლო ვეზირებია (სანდალიესზ), რომლებიც დივან-ი ჰუმაიუნში იყვნენ[37].

„არსებობდა ფაშის სამი ხარისხი. ხარისხის განმასხვავებელი ნიშანი თუღების რაოდენობა იყო. იყო ერთი, ორი და სამთუღიანი ფაშები. ფაშის წოდებაც და ხარისხიც ენიჭებოდათ დაკავებული თანამდებობის მიხედვით. ფაშობა სამხედრო-ადმინისტრაციული სამ-

---

35 M. D'Osson, Tableau général de l'Empire Ottoman, v, VII, p. 277.

36 А. Д. Новичев. История Турции, т. I, с. 241.

37 I. H. Uzunçarşılı, Osmanlı Tarihi, c. III, kısım., 2, s. 291.

სახურის მოხელეს ეკუთვნოდა სანჯაყბეგის თანამდებობიდან დაწყებული. სანჯაყბეგი იყო ერთთუღიანი ფაშა, ბეგთაბეგი ორი, ხოლო ვეზირი სამი. თანამდებობაზე მოხელეები ინიშნებოდნენ გარკვეული ვადით. ფაშობა და თუღი ეძლეოდათ უვადოდ. იმ შემთხვევაში, თუ სანჯაყბეგს დანიშნავდნენ უფრო მაღალ თანამდებობაზე, მაშინ თუღების რაოდენობა მას მოემატებოდა, მაგრამ თუ გადააყენებდნენ უფრო დაბალ თანამდებობაზე სხვა თანამდებობის უქონლობის გამო, მას, როგორც წესი, რჩებოდა წოდებაც და ხარისხიც. თუ ვეზირს გადაიყვანდნენ ბეგთაბეგად, მას რჩებოდა წოდებაც და ხარისხიც... რაიმე დანაშაულის შემთხვევაში, რაც თანამდებობიდან მოხსნით მთავრდებოდა, მოხელე კარგავდა წოდებასა და ხარისხსაც"[38].

როდესაც ბეგლარბეგი ომში სალაშქროდ მიდიოდა, მის თანამდებობაზე რწმუნებული რჩებოდა, რომელსაც მუთესალიმი ეწოდებოდა. ომში ეიალეთის ბეგლარბეგის მეთაურობით მონაწილეობას იღებდნენ ეიალეთში შემავალი სანჯაყბეგები, ზაიმები, თიმარიოტები თავიანთი ლაშქრით. სანჯაყის მართვა-გამგებლობა დაახლოებით იგივე იყო, როგორც ეიალეთისა, მხოლოდ უფრო მცირე მასშტაბით. ოსმალეთის პროვინციების მართვა-გამგებლობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ოსმალური მიწისმფლობელობის წესებთან. ოსმალეთის სულთნის მიერ ბეგლარბეგებს და სანჯაყბეგებს სამხედრო-ადმინისტრაციული სამსახურისათვის ხელფასის (დირლიქი) ნაცვლად ხასი ეძლეოდათ. ბეგლარბეგის ხასის წლიური შემოსავალი 400 000 ახჩაზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო, ხოლო სანჯაყბეგებისა — 200000-დან 400000 ახჩამდე[39].

ომის დროს სანჯაყბეგს თავისი სანჯაყის თიმარებისა და ზიამეთების მფლობელები უნდა შეეკრიბა და თავის ლაშქარს სათავეში უნდა ჩასდგომოდა. სანჯაყებში შეგროვებული ლაშქარი ბოლუქებად (ასეულებად) იყოფოდა. ბოლუქის მეთაური სუბაში იყო, ხოლო ყოველი ათი ბოლუქისა — ალიბეგი. სანჯაყის ლაშქარი თავს იყრიდა ეიალეთის ბეგლარბეგის სარდლობის ქვეშ. თიმარული სისტემის საფუძველზე, ლენის მფლობელებს XV საუკუნის პირველ ნახევარში 60 000 მხედარი უნდა გამოეყვანათ, ხოლო XVII საუკუნის დამდეგისათვის მათი რიცხვი 200000-მდე გაიზარდა[40].

ოსმალეთის სახელმწიფოს შემოსავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს შეადგენდა დაპყრობილი ქვეყნებისა და მათი მოსახლეობის

---

[38] ო. გიგინეიშვილი, ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან, გვ. 165.

[39] İ. H. Uzunçarşılı, Osmanlı Tarihi, c. III, s. 674; Aynî ALi, Risalesi, s. 23.

[40] იქვე.

სასტიკი ექსპლოატაცია. ამის გამო ოსმალეთში საკმაოდ კარგად იყო შემუშავებული დაპყრობილი ქვეყნის შემოსავლისა და მისი მოსახლეობის აღწერისა და დავთრების შედგენის წესები. ოსმალეთის მთავრობა ამ საქმეს უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

სულთნის ბრძანებით ინიშნებოდა სპეციალური კომისია და ტარდებოდა დაპყრობილი ქვეყნის აღწერა და დავთრებში გატარება. აღწერის შედეგად ადგილზე აღირიცხებოდა ყველა ის რესურსი, რომლის გადასახადებით დაბეგვრა შეიძლებოდა.

აღწერის ჩატარების შედეგად დგებოდა ორი სახის დავთარი: პირველი გვიჩვენებდა გადასახადებს, მათი წყაროების დეტალური, დაწვრილებითი ჩვენებით — დიდი დავთარი; მეორეში აღნიშნული იყო წლიური შემოსავლის განაწილება მხედართა (ფეოდალთა) შორის, ე. წ. მცირე დავთარი. ეს დავთრები არა მარტო განსაზღვრავდნენ ცალკეული გლეხისაგან ასაკრეფი გადასახადების რაოდენობას, არამედ მათ იყენებდნენ, აგრეთვე, როგორც ოფიციალურ საბუთებს, რომელთა მიხედვით წესდებოდა მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ოსმალური იურიდიული ნორმები. დიდ დავთარს, როგორც წესი, წამძღვარებული ჰქონდა კანუნნამე (კანონთა წიგნი). მასში ჩამოყალიბებული იყო აღწერილი ქვეყნის მოსახლეობის უფლება-მოვალეობანი, ოსმალური საგადასახადო სისტემის შემოღებასთან დაკავშირებით და სხვ. მას შემდეგ, როცა შედგებოდა დიდი და მცირე დავთრები, ისინი იგზავნებოდა სტამბულში და მათ ამტკიცებდნენ სულთნის ბრძანებით და თუღრის დასმით. დავთრები ორ-ორ ცალად იწერებოდა. დამტკიცების შემდეგ ერთი ცალი რჩებოდა სტამბულში, ხოლო მეორე იგზავნებოდა ადგილზე, იმ მხარის ადმინისტრაციულ ცენტრში, სადაც იგი იყო შედგენილი. ამ დავთრების საფუძველზე ადგილობრივი ხელისუფლება ანხორციელებდა მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის წესებს და სხვ.

ახლად დაპყრობილი ქვეყნის აღწერა, უპირველესად ყოვლისა, ნიშნავდა ადგილობრივი სოციალურ-პოლიტიკური სისტემის გაუქმებას, ოსმალური მიწისმფლობელობისა და საგადასახადო სისტემის და მისი მართვა-გამგებლობის შემოღებას, თიმარული სისტემის დანერგვას.

ოსმალეთში აღწერა შეიძლება ყოფილიყო საერთო-საკადასტრო, ოსმალეთის იმპერიის მთელი მიწებისა და ნაწილობრივი — ცალკეული პროვინციისა. აღწერა ტარდებოდა ყოველი ახალი სულთნის ტახტზე ასვლის დროს ან 30—40 წელიწადში ერთხელ. ცალკეული პროვინციის აღწერას მნიშვნელობა ჰქონდა გარკვეული ტერიტორიული ერთეულისათვის. ასეთი აღწერის დროს გათვალისწი-

ნებული იყო იქ მომხდარი ცვლილებები, ტერიტორიული ზრდა, აკრეფა სხვადასხვა გადასახადებისა, ლენური მიწების გადანაწილება სიფაჰიებს (ფეოდალებს) შორის და სხვ[41].

ამით ოსმალეთის მთავრობა დედაქალაქსა და პროვინციებში საფინანსო მოხელეების საშუალებით აკონტროლებდა სახელმწიფოს შემოსავალ-გასავალს, მიწის ფონდისა და გადასახადების მიღების მდგომარეობას, ლაშქრობაში მონაწილეთა რაოდენობას და სხვა.

ოსმალეთში დიდმოხელეებისათვის ხელფასის (დირლიქის) სანაცვლოდ ბოძებული ხასი მემკვიდრეობით არ გადადიოდა. მფლობელის სიკვდილის შემდეგ სახელმწიფოს უბრუნდებოდა არა მარტო ხასი, არამედ მთელი მისი სიმდიდრე და ქონება. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ ოსმალეთში არ არსებობდა მემკვიდრეობითი არისტოკრატია.

ოსმალეთის ამ სპეციფიკურ თავისებურებას ყურადღება მიაქცია XVII საუკუნის ფრანგმა მოგზაურმა ჟან ბატისტ ტავერნიემ: „იქ (ოსმალეთში — მ. ს.), — წერს ჟ. ტავერნიე, — დიდებულები წარმოადგენენ სულთნის მონებს, რომლებიც ან ომის დროს ჩაიგდეს ტყვედ, ან საჩუქრად მიიღეს პროვინციების მმართველების ან ფაშებისაგან. აქ მოხელეთა ქონება და დოვლათი სიკვდილის შემდეგ უბრუნდება დიდ სენიორს (სულთანს — მ. ს.), რომლისაგანაც მათ იგი სხვადასხვა დროს მიუღიათ. მოხელეები, როგორც უკვე ვთქვით, ბავშვობაში მოიყვანეს სერალში, რათა აღეზარდათ და დაეწინაურებინათ, ხოლო იმის იმედი, რომ ქონებას შეიძენდნენ და თანამდებობას მემკვიდრეობით გადასცემდნენ თავიანთ შვილებს, მათ არასოდეს ჰქონიათ. ამ საკითხში ოსმანთა კარის პოლიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ ერთ რომელიმე გვარს არ მიეცეს აღზევებისა და გაძლიერების საშუალება, რათა არ მოახდინონ დაჯგუფება და იმპერატორის (სულთნის — მ. ს.) ტახტის შერყევა. ამიტომაა, რომ კეთილშობილება და გვარის სიძველე თურქეთში მხოლოდ ოსმანთა სახლის შესახებ ითქმის. იქ თანამდებობა ეძლევა მხოლოდ თავისი პირადი დამსახურებისა და ნიჭის მიხედვით, ყოველგვარი შთამომავლობისა და მემკვიდრეობის გარეშე. ისიც ხდება, რომ იმპერატორის (სულთნის — მ. ს.) მინი-

---

[41] ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი 1694—1732 წწ. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ც. აბულაძემ, გამოკვლევა დაურთო მ. სვანიძემ, თბ. 1979, გვ. 25—43; Б. А. Цветкова, Османские tahrir defterleri като извори за историята България Балканските истории, Известия на държавните архиви, кн. 30, София, 1975, с. 127—157; Ö. L. Barkan, Defteri Khakâni, The Encyclopedia ot Islam, V. II, p. 81; H. Inalcik, Suret-i Defter-i Sancak-i Arvanid, pp. I—XXI; H. Inalcik, Ottoman Methods of Conquest, pp. 105—116.

სტრობას აღწევენ მწყემსის შვილები... ამ მოხელეებმა იციან, რომ ყოველგვარ სიკეთეს, ქონებასა და თანამდებობას ისინი უნდა უმადლოდნენ არა თავის დაბადებას, არამედ აღზრდასა და დიდ სენიორს (სულთანს — მ. ს.)"[42].

გვაროვნული არისტოკრატიის არარსებობა, სულთნის მოქმედებას განუსაზღვრელ თავისუფლებას ანიჭებდა. მისი ბრძანებით დაბალი ფენიდან კაცი (მონა, ჯარისკაცი) შეიძლებოდა დიდ მოხელედ ექცათ და პირუკუ. საუკუნეთა განმავლობაში დამკვიდრებული ეს წესი გავლენას ახდენდა ადამიანის ფსიქიკაზე, მის ხასიათზე. აი როგორ აგვიწერს ჟან ბატისტ ტავერნიე სიკვდილით დასჯის პროცესს: „ბუნებრივია, გაიფიქრებთ, როცა ფაშა სიკვდილით დასჯის შესახებ სულთნის ბრძანებას მიიღებს, საშინლად უნდა შეძრწუნდესო, მაგრამ წარმოიდგინეთ, მის სახეზე ერთი ძარღვიც არ ატოკდება, რადგან მან კარგად იცის, რომ ამ განაჩენს მის ამხანაგთაგან იშვიათად თუ გადაურჩება ვინმე და მის ადგილზე დანიშნულსაც იგივე ბედი ეწევა. ამას გარდა, იგი აღზრდილია თურქული ცბიერი პოლიტიკითა და შთაგონებულია მაჰმადიანური რელიგიის მიერ, ვინც სულთნის ბრძანებით სიკვდილს გულწრფელად და მტკიცედ შეხვდება, აუცილებლად სამოთხეში მოხვდება... „ჩემი მბრძანებლის სურვილი შესრულებული იქნება, მხოლოდ ნება მომეცით, ვილოცო"[43].

ო. გიგინეიშვილი ოსმალეთის სახელმწიფოს მმართველობის ამ თავისებურებების შესახებ წერს: „ოსმალეთში არ არსებობდა მემკვიდრეობითი ფეოდალური არისტოკრატია გარდა ოსმალთა დინასტიისა. ამიტომ კანონით სახელმწიფოში არსებული ყველა თანამ-

---

[42] ჟან ბატისტ ტავერნიე, დიდი სენიორის სამეფო კარის ახალი აღწერა, გვ. 74, 75.

[43] ჟან ბატისტ ტავერნიე, დიდი სენიორის სამეფო კარის ახალი აღწერა, გვ. 130, 132. შემდეგ ჟ. ტავერნიეს აღწერილი აქვს როგორ ხდებოდა სიკვდილით დასჯა: ფაშას მოკლე ლოცვის წარმოთქმის ნებას აძლევდნენ. ლოცვის დამთავრებისთანავე ორი კაფიჯი ფაშას ხელებს დაუჭერს, ხოლო კაფიჯი-ბაში შემოხსნის ქამარს, რომლის ბოლოზე კვანძებს, ხოლო შუაში ყულფს გაუკეთებს და ფაშას კისერზე ჩამოაცმევს. დანარჩენი ორი კაფიჯი ქამრის ბოლოებს ხელს სტაცებენ, თავთავის მხარეს გასწევენ და განწირულს ერთ წუთში სულს გააფრთხობინებენ. თუ ამ საქმისათვის ქამრის გამოყენება არ სურთ, სიკვდილმისჯილს მშვილდის საბლის დასაჭიმი ბეჭდის საშუალებით, რომელსაც ჩვეულებრივ მარჯვენა ხელის ცერზე ატარებენ, უელზე მოუჭერენ ცხვირსახოცს, შემდეგ ხელს ჩაუყოფენ ცხვირსახოცსა და კისერს შუა, ძლიერად დასწევენ და გადაუტეხენ კისრის ძვალს. ამგვარად კლავენ კაცს, რითაც ფიქრის საშუალებას უსპობენ, რომ სულთნის ერთგული მოკვდეს და არ იტანჯოს, როგორც ჩვეულებრივ სახრჩობელებზე იტანჯებიან (ჟ. ბ. ტავერნიე, აღწერა... გვ. 130). როგორც ეხედავთ, ოსმალები დიდ „ჰუმანურობას" იჩენდნენ სიკვდილით მსჯავრდადებულის მიმართ.

დებობა, ფეოდალური იერარქიის ყველა საფეხური გარდა სულთნობისა, თეორიულად თითქმის მისაწვდომი იყო ყველა მუსლიმანისათვის. ხშირად იყო შემთხვევა, როდესაც გუშინდელი მონა სახელმწიფოს უმაღლეს, დიდი ვეზირის თანამდებობას იკავებდა, რომ არაფერი ვთქვათ ვეზირის, ვალის თუ სანჯაყბეგის თანამდებობაზე. ამისათვის არ ჰქონდა მნიშვნელობა არც სოციალურ მდგომარეობას და არც ეთნიკურ წარმოშობას, საჭირო იყო მხოლოდ ერთი პირობა — მაჰმადიანობა, რომლის მიღება არავის ჰქონდა აკრძალული. სწორედ ეს იყო ოსმალთა სახელმწიფოს დემოკრატიულ-დესპოტური საწყისები, რომელზედაც მიუთითებდა კ. მარქსი"[44].

ერთი სიტყვით, ოსმალეთის სახელმწიფოს მართვა-გამგებლობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ოსმალურ მიწისმფლობელობასა და სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფოს ორგანიზაციასთან.

ოსმალეთის სახელმწიფოს მმართველობის დესპოტური რეჟიმი ქვეყნის სამხედრო ძლიერების დასუსტებასთან ერთად თანდათანობით გახრწნის გზას დაადგა და მექრთამეობა და კორუფცია, თითქმის, სახელმწიფო სისტემად იქცა.

---

44 ო. გიგინეიშვილი, ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან, გვ. 46.

ოსმალთა მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობა ქართული წყაროების მიხედვით[1]

1453 წლის 29 მაისს ოსმალებმა დაიპყრეს ბიზანტიის დედაქალაქი კონსტანტინოპოლი და საბოლოოდ მოსპეს ბიზანტიის იმპერია. ბიზანტიის დაცემის შედეგად ოსმალეთი გაბატონდა წინა აზიაში და კიდევ უფრო გაძლიერდა მეზობელი ქვეყნების დაპყრობის საშიშროება.

შუა საუკუნეების უძველესი კულტურული სახელმწიფოს განადგურებამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა თანამედროვეებზე და ასახვა ჰპოვა მრავალი ქვეყნის წერილობით წყაროებში[2].

განსაკუთრებით მძიმე იყო ბიზანტიის სახელმწიფოს დაცემა საქართველოსათვის. „ოსმალო-თურქების მიერ კონსტანტინოპოლის აღებამ ყოველმხრივ გააუარესა საქართველოს მდგომარეობა. მეტად ცუდი გავლენა მოახდინა ამ ახალმა გარემოებამ საქართველოს ეკონომიკურ ვითარებაზე. დაქვეითდა შინაგანი აღებმიცემა და საქალაქო ცხოვრება, დიდად შემცირდა ქალაქების რიცხვი, დაკნინდა დარჩენილი ქალაქები. საგარეო ვაჭრობაც ძალზე შემცირდა. აოხრებულ ქვეყანას თავისთვისაც კი აღარაფერი ჰქონდა სამყოფი და უცხოეთში გასატანს, მით უმეტეს, რას დაამზადებდა“[3].

---

[1] შემოკლებით დაბეჭდილია: „ცისკარი“, 1985 წ. № 4, გვ. 135—138.

[2] Византийские историки Дука и Франдзи о падении Константинополя; „Византийский временник“, 1953, т. VII, с. 384—420; М. Н. Сперанский, Повести и сказания о взятии Царьгорода турками (1453) в русской письменности XVI—XVII вв. ТОДРЛ, т. 10, т. 12; М. О. Скрипиль, „История о взятии Царьгорода турками“ Нестора Искандера, там же, т. 10, Н. А. Смирнов, Историческое значение русской „Повести“ Нестора Искандера о взятии турками Константинополя в 1453 г. „Византийский временник“, 1953, т. VII, с. 59—81; А. С. Анасян, Армянские хронисты о падении Константинополя, „Византийский временник“, 1953, т. VII, с. 444 — 466; Абрам Анкирский. Плач на взятие Константинополя, Ереван, 1938, Записки янычара, написаны Константином Михайловичем из Острявы; введение, перевод и комментарии А. И. Рогова, М., 1978.

[3] საქართველოს ისტორია (დამხმარე სახელმძღვანელო), თბ., 1958, გვ. 258.

ბიზანტიასთან საქართველოს მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა ჰქონდა. ამიერიდან საქართველოს დაეხშო გზა ერთმორწმუნე დასავლეთ ევროპასთან და დიდი კულტურული ტრადიციების მქონე სახელმწიფოს ნაცვლად გაუმეზობლდა უაღრესად აგრესიული, განვითარების დაბალ დონეზე მყოფი მაჰმადიანური სახელმწიფო, რომელიც მას მოსპობით ემუქრებოდა. „ამიტომ, — შენიშნავს ივანე ჯავახიშვილი, — სწორედ განსაცვიფრებელია, რომ ქართულ საისტორიო წყაროებში კონსტანტინოპოლის აღების შესახებ ასე მცირე და მხოლოდ მშრალი მატიანისებური ცნობები მოგვეპოვება“[4].

განსაკუთრებით აღსანიშნავია, აგრეთვე, ისიც, რომ ქართულ ქრონიკებში, კინკლოსების ისტორიულ მინაწერებში, ანუ მცირე ქრონიკებსა და ნარატიულ (თხრობით) წყაროებში ოსმალთა მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობის თარიღი შეცდომით 1444 წლით არის მითითებული. მაგალითად, ქართულ ქრონიკებში, კინკლოსების ისტორიულ მინაწერებში, ანუ მცირე ქრონიკებში ჩაწერილია: „ქრონიკონსა რლბ (132) 1444 წ. აქ კონსტანტინეპოლი დაიჭირეს თურქთა“[5]. ზოგან „თურქთა“ ნაცვლად მითითებულია „ურუმთა“, „ოთმანთა“, „თათართა“. იგივე თარიღია „პარიზის ქრონიკაშიც“[6].

ზოგიერთ ქრონიკაში გვხვდება 1445 წ.[7] და 1457 წელიც[8].

ქართულ ქრონიკებში ოსმალებისაგან კონსტანტინოპოლის დაპყრობის თარიღის ასეთი შეუსაბამობის გამო ივ. ჯავახიშვილი წერდა: „გასაოცარია, მაგრამ იმდროინდელ ქართულ კინკლოსებს თუ დავაკვირდებით, ისეთს შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს ქართველებს ყველა ეს ამბავი გამოჰპარვოდათ, თითქოს შინაური ბრძოლითა და ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტვით გართულნი, ისინი ვერც კი ამჩნევდნენ როგორ შეიქმნა მათ მახლობლად ახალი, დიდი და ძლიერი ოსმალეთის სახელმწიფო, რომელმაც შეუჩერებელი ძლევამოსილებით

---

[4] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი IV, გვ. 66.

[5] თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, ტ. II, ტფ., 1897, გვ. 255; მცირე ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინაწერები), ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯუმბერ ოდიშელმა, თბ., 1968, გვ. 27, 29, 33, 37, 45, 47, 49, 55, 65.

[6] ცხოვრება საქართველოსა (პარიზის ქრონიკა). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გიული ალასანიამ, თბ., 1980, გვ. 39.

[7] თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, გვ. 256; ჯ. ოდიშელი, მცირე ქრონიკები, გვ. 47.

[8] ჯ. ოდიშელი, მცირე ქრონიკები, გვ. 10, 37.

დედამიწის ზურგითგან აღგავა ოდესღაც ბრწყინვალე მბრძანებელი ბიზანტია"[9].

ცნობილმა მეცნიერებმა სენ-მარტენმა და მარი ბროსემ ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებას, რომ ქართულ ქრონიკებში ხშირად თარიღები შეცდომითაა მითითებული. ამის გამო მარი ბროსე წერდა: „მეტად არეული და რთული საქმეა ქართული ქრონოლოგიის შესწავლა, რადგანაც არაა დაცული თანმიმდევრობა და სიზუსტე ფაქტების დათარიღებაში"[10]. ხოლო სენ-მარტენი შენიშნავდა: „მთელ XV საუკუნემდელ ქართულ ქრონოლოგიაში ჩვენ ვხედავთ უხეშ შეცდომებს 10 წლის ფარგლებში დაახლოებით მეტს ან ნაკლებს, რომლის მიზეზის ახსნა ჩვენ არ ძალგვიძსო"[11].

ქართული ქრონიკების ამ შეცდომების გამო ჯ. ოდიშელი მსჯელობს: „კონსტანტინეპოლის შესახებ ცნობის მაგალითზე ეს შეცდომა XV ს-შიც გრძელდება. ამავე დროს შეცდომის კანონზომიერების, თუ კი მას ასეთი კანონზომიერება აქვს, დადგენა ძალიან ძნელია, ვინაიდან თუ კონსტანტინეპოლის დაცემის თარიღი მცდარად არის მითითებული, ჯვაროსანთაგან მისი დაპყრობა 1204 წელს ზუსტად არის მინიშნებული იმავე ხელნაწერში"[12].

სენ-მარტენის აზრით, ქართულ ქრონიკებში დაშვებული შეცდომა ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობის დათარიღებაში, უნდა მომდინარეობდეს თარიღის გადმოყვანის გამო[13]. საეჭვოა, რომ თარიღის გადაყვანის დროს ასეთი დიდი შეცდომა (9 წელი) მოსვლოდათ „ქრონიკებში", ჩვეულებრივ, შეცდომა 1—2 ან 3 წლის ფარგლებშია.

მარი ბროსე „პარიზის ქრონიკის" ერთ-ერთ ნაკლად ქრონოლოგიურ ეჩვენებას თვლიდა და მოჰყავდა მაგალითი — კონსტანტინოპოლის აღების თარიღი — 1444 წელი, ნაცვლად 1453 წლისა[14].

დადგენა იმისა, თუ როდის არის კონკლოსზე გაკეთებული მინაწერები, ძალზე ძნელია. „შენიშვნები კონკლოსთა გამოცემებს როგორც ცნობილი არცერთი მკვლევარი არ ცდილა დაედგინა მათი ურთიერთმიმართება იმ თვალსაზრისით, თუ რომელი კონკლოსი წარმოად-

---

[9] ივ. ჯავახიშვილი. ქართული ერის ისტორია. წიგნი IV. გვ. 63.

[10] M. Brosset, De la chronologie technique géorgienne. ecclésiastique et civil. Mélanges asiatique bulletin de l'Academie Imperial. VIII, 1875.

[11] M. G. Saint-Martin. Memoire historique et géographique sur l'Armenie Paris, 1819, p. 257.

[12] ჯ. ოდიშელი, მცირე ქრონიკები, გვ. 11.

[13] Saint-Martin, Tskovreba Sakarthveloïsa. Journal de Savants, Paris, 1831, pp. 91, 92.

[14] ცხოვრება საქართველოსა (პარიზის ქრონიკა), გვ. 128.

გენს წყაროს მეორისათვის. ამის შეუძლებლობა ნათელი გახდა, როდესაც კინკლოსურ მასალას თავი მოვუყარეთ და ერთმანეთს შევუჯერეთ. აპრიორულად შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ზუსტი თანადამთხვევები განსხვავებული კინკლოსების მთელი ისტორიული მასალისა, ამ მასალის შედგენილობის კომპილაციური ხასიათის, ერთი და იგივე კინკლოსის ისტორიული მინაწერების მრავალავტორიანობის გამო არც იყო მოსალოდნელი"[15].

ყოველივე ამის გამო ჯ. ოდიშელს კინკლოსების ისტორიული მინაწერები ხელნაწერების ქრონოლოგიური პრინციპის მიხედვით აქვს დალაგებული და გამოცემული.

უნდა ვიფიქროთ, რომ თავდაპირველად ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობის თარიღი 1444 წელი თანადროულ კინკლოსში უნდა ყოფილიყო მიწერილი[16], შემდეგ კი ეს თარიღი მექანიკურად იქნა გადატანილი უფრო გვიანდელ (XVI—XVII სს-ში) ქრონიკებსა და კინკლოსებში.

ქართულ ქრონიკებსა და კინკლოსების ისტორიულ მინაწერებში, მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება კონსტანტინოპოლის დაპყრობის მეორე თარიღიც (1457 წ.)[17]. ჩვენი აზრით, ეს თარიღიც თავდაპირველად თანადროულ კინკლოსებში უნდა ყოფილიყო ჩაწერილი და მომდევნო საუკუნეების კინკლოსებში გადატანილა. მაგრამ როგორც კინკლოსებისა და სხვა მასალის ანალიზიდან ჩანს, ამ თარიღს (1457 წ.) მცდარად, „უმართლოდ" თვლიდნენ.

ჯ. ოდიშელის ცნობით, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია ერთი ხელნაწერის ფრაგმენტი — მხოლოდ პაქსალური ცხრილი, რომელშიც 1457 წლის გასწვრივ ჩაწერილია „აქა კონსტანტინოპოლი ხვანთქართ დაიჭირა ზემოთ ეწერა, მაგრამ ეს უმართლოა, — აქა უნდოდაო"[18]. ამგვარად, დაასკვნის ჯ. ოდიშელი, შეცდომა მინაწერის ავტორსაც დაუნახავს (ფრაგმენტს XVI—XVII სს. ათარიღებენ), მაგრამ ნამდვილი თარიღი თვითონაც არ სცოდნიაო[19].

ამ მინაწერის ავტორის ეჭვი იმითაა გამოწვეული, რომ იმდროინდელ ქართველ მემატიანეებისათვის კონსტანტინოპოლის დაცემის

---

15 ჯ. ოდიშელი, მცირე ქრონიკები, გვ. 8.

16 XIII—XIV სს. მხოლოდ ერთი კინკლოსური ხელნაწერია შემორჩენილა, რომელშიაც 1444 წელია მითითებული, დანარჩენი კინკლოსები XVI—XVIII საუკუნეებშია შედგენილი. იხ. ჯ. ოდიშელი, მცირე ქრონიკები, გვ. 26, 27, 33, 37, 39, 45, 47, 55, 65.

17 თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, გვ: 115; ჯ. ოდიშელი. მცირე ქრონიკები, გვ. 37; ს. კაკაბაძე, ქრონიკა იაორთის № 6 ჟამგულანი, თფ., 1912.

18 ჯ. ოდიშელი. მცირე ქრონიკები, გვ. 10, 11, 37.

19 იქვე, გვ. 10, 11.

თარიღად 1444 წ. იყო მიჩნეული და დოკუმენტის ცნობა, თუმცა ისიც არაზუსტი (1457 წ. ნაცვლად 1453 წლისა), მაგრამ ნამდვილ ვითარებასთან უფრო ახლოს მდგომი, ავტორმა შეცდომად ჩათვალა.

ჯ. ოდიშელი, რომელსაც სპეციალურად აქვს შესწავლილი კინკლოსური ქრონიკები, ამ საკითხთან დაკავშირებით წერს: 1444 წლის გასწვრივ კინკლოსში აღნიშნულია: „აქა კონსტანტინოპოლი დაიჭირეს თურქთა". ეს არის ქართულ კინკლოსებში აღნიშნული ერთ-ერთი არამრავალთაგანი ცნობა, რომელიც საქართველოს მის გარემომცველ სამყაროსთან აკავშირებს. ფაქტი კონსტანტინოპოლის დაცემისა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო საქართველოსა და მთელი მახლობელი აღმოსავლეთისათვის, მან წარუშლელი დაღი დააჩნია მომდევნო პერიოდის მთელ ისტორიას. ყველა ქართული კინკლოსი, XV საუკუნის ორმოციანი წლების მასალის შემცველი, აუცილებლად აღნიშნავს კონსტანტინოპოლის ხონთქრისაგან, ურუმთაგან, ან თურქთათართაგან დაპყრობას. უფრო მეტიც, ყანჩაეთის გულანი... საერთოდ ამ ფაქტის აღნიშვნით იწყებს კინკლოსურ ქრონიკას. მაგრამ იმ დროს, როდესაც კარგად არის ცნობილი, რომ კონსტანტინოპოლი თურქებმა 1453 წ. 29 მაისს დაიპყრეს, ყველა ხელნაწერი ამ ამბავს 1444 წელს აღნიშნავს[20].

ქრონიკებისა და კინკლოსების ისტორიული მინაწერების ანუ მცირე ქრონიკების ანალიზის შედეგად ჯ. ოდიშელი დაასკვნის: „ამრიგად, ნათელია, რომ საქმე გვაქვს პაქსალური ციკლების ისტორიული მინაწერების საკმაოდ მყარ ტრადიციულ 9 წლიან შეცდომასთან"[21].

ჯ. ოდიშელის ამ თვალსაზრისს ჩვენ ვერ გავიზიარებთ. ძნელია დავიჯეროთ, რომ საქმე გვქონდეს „ქრონიკების" „საკმაოდ მყარ ტრადიციულ 9 წლიან შეცდომასთან". არ შეიძლება ასეთი ქრონოლოგიური აღრევა „მყარ საფუძველს ემყარებოდეს". მით უფრო, რომ ასეთი ანაქრონიზმი სხვა შემთხვევაში ჩვენ არსად არ გვხვდება.

ჯ. ოდიშელის ეს დებულება ეწინააღმდეგება მის მიერ სხვა ადგილას გამოთქმულ აზრს: „კინკლოსური ქრონიკების ერთი ან ორწლიანი მცირე შეცდომების ახსნა მარტივად არის შესაძლებელი. შეცდომის საფუძველი სუბიექტურ ნიადაგზეა წარმომდგარი — ისტორიული მინაწერი სხვადასხვა პირმა, მინაწერის გრაფიკული პოზიციის, მისი ხასიათის გამო, შეიძლება სხვადასხვა სტრიქონს მიაკუთვნოს და განსხვავება ერთ ან ორ წელიწადში იქნება. საშუალო საუკუნეებში ცნობილია, რომ პლაგიატის გაგება არ არსებობდა. უმეტესი ნაწილი ქრონიკებისა პირწმინდადაა გადმოღებული სხვა ქრო-

---

[20] ჯ. ო დ ი შ ე ლ ი, მცირე ქრონიკები, გვ. 10.

[21] იქვე, გვ. 11.

ნიკებიდან, ან სხვა ქრონიკის ცნობათა კომპილაციაა. ერთი კინკლოსური ქრონიკიდან მეორეში ისტორიული მინაწერის გადატანისას გადამწერებს შეეძლოთ დაეშვათ და დაშვებულიც აქვთ შეცდომები, როგორც მინაწერის შესაბამის სტრიქონთან გაკეთების თვალსაზრისით, ისე სიტყვათა კალმისმიერ დამახინჯებულ გზით"[22].

ამრიგად, „ქრონიკებში" დაშვებული 1—2 ან სამწლიანი შეცდომა სავსებით ბუნებრივია და არავითარ ეჭვს არ იწვევს, მაგრამ რაც შეეხება 9 წლიან შეცდომას, ეს ფაქტი არავითარ კანონზომიერებას არ ემყარება და მისი მიზეზი სხვაგანაა საძიებელი.

თ. ჟორდანია ფიქრობდა, რომ „ქრონიკებში" მითითებული 1444 წელი უნდა ეხებოდეს არა კონსტანტინოპოლის დაპყრობას, არამედ თურქებისაგან ბოსფორის სრუტის დაკავებას[23].

ჯ. ოდიშელი არ იზიარებს თ. ჟორდანიას ამ შეხედულებას და შენიშნავს: შეუძლებელია ცნობათა აღრევა ისე მომხდარიყო, რომ ბოსფორის სრუტის დაპყრობა აღნიშნულიყო და შემდეგ კვლავ არ ყოფილიყო ცნობა საკუთრივ კონსტანტინოპოლის აღების შესახებ[24]. ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ჯ. ოდიშელს ამ საკითხში; მართლაც, თუ 1444 წლის თარიღის ქვეშ იგულისხმება ოსმალების მიერ ბოსფორის სრუტის დაკავება, მაშინ „ქრონიკების" მიხედვით 1445 ან 1457 წლის ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს კონსტანტინოპოლის დაპყრობის თარიღი (ამის შესახებ ცოტათი უფრო ქვემოთ გვექნება მსჯელობა).

დღეს ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლისა და სრუტეების დაპყრობის ცდები და დაპყრობა ზედმიწევნით არის შესწავლილი.

პირველად ოსმალებმა კონსტანტინოპოლის დაპყრობა სცადეს 1391 წელს, მეორედ — 1395 წელს, მაგრამ ამ დროს ოსმალეთის წინააღმდეგ შეიქმნა ჯვაროსანთა კოალიცია და ბაიაზიდ I იძულებული გახდა კონსტანტინოპოლისათვის ალყა მოეხსნა და ჯვაროსანთა წინააღმდეგ საბრძოლველად წასულიყო. 1396 წ. ბაიაზიდმა ნიკოპოლთან სასტიკად დაამარცხა ჯვაროსნები და 1397 წელს ოსმალებმა მესამედ შემოარტყეს ალყა ბიზანტიის დედაქალაქს. სწორედ ამ დროს სულთანმა ბაიაზიდ I-მა ბოსფორის სრუტის აზიური ნაწილი მთლიანად დაიკავა და იქ ააგო ციხე-სიმაგრე ანადოლუ ჰისარი. მეოთხედ კონსტანტინოპოლის აღებას თურქები შეეცადნენ 1400 წელს, შემდეგ — 1412 წელს, მაგრამ ასევე უშედეგოდ. მეექვსედ შეუტიეს ქალაქს 1422 წელს და ბოლოს 1453 წელს მათი შეუპოვარი ბრძოლა

---

[22] ჯ. ოდიშელი, მცირე ქრონიკები, გვ. 7.
[23] თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, გვ. 256.
[24] ჯ. ოდიშელი, მცირე ქრონიკები, გვ. 10.

გამარჯვებით დამთავრდა. 29 მაისს ოსმალებმა კონსტანტინოპოლი დაიპყრეს[25].

ასე რომ, 1444 წელს ოსმალებს არც ბოსფორის სრუტე დაუკავებიათ და არც კონსტანტინოპოლი. მაგრამ ამ წელს მოხდა მნიშვნელოვანი ამბავი, რომელმაც საქართველომდეც მოაღწია და ქართული კინკლოსების ავტორებმა „ქრონიკებში" ეს ფაქტი ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის აღებად ჩათვალეს.

1437—1439 წწ. ფერერა-ფლორენციაში, რომის პაპის ინიციატივით, ჩატარდა მსოფლიოს საეკლესიო კრება კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლების მონაწილეობით. ამ კონგრესის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ბიზანტიის იმპერატორმა იოანე VIII-მ და კონსტანტინოპოლის პატრიარქმა. საქართველოდან კონგრესზე გაგზავნილ იქნა სამი წარმომადგენელი: ორი საეკლესიო პირი — ეპისკოპოსები გრიგოლი და იოანე და, აგრეთვე, გამოჩენილი სამოქალაქო მოხელე, რომლის სახელიც ცნობილი არ არის.

ბიზანტიისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები ჩავიდნენ იტალიაში, უპირველეს ყოვლისა, ოსმალეთის წინააღმდეგ დახმარების მიღების მიზნით. რომის პაპმა კი გადაწყვიტა ესარგებლა მართლმადიდებლური ქვეყნებისათვის შექმნილი მძიმე პოლიტიკური მდგომარეობით და ყველა ზომას მიმართა, რათა აეძულებინა აღმოსავლეთის ეკლესიების წარმომადგენლები ეცნოთ ეკლესიების გაერთიანება პაპის მეთაურობით: მოსყიდვა, ფარული და აშკარა ძალდატანება, ეკონომიური ზეგავლენა, მუქარა და მუდარა, საპყრობილეში ჩასმა, მოწამვლა — ყველაფერი იყო გამოყენებული დასახული მიზნის მისაღწევად.

იტალიაში ჩასული საქართველოს წარმომადგენლების შესახებ მეტად საყურადღებო ცნობებია დაცული. მაგალითად, მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქიის ჩამოთვლის დროს საქართველოს წარმომადგენელს მიტროპოლიტს უწოდებდნენ და მეხუთე საფეხურზე აყენებდნენ კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ეფესისა და იერუსალიმის პატრიარქების შემდეგ. უდავოა, რომ ეს საკმაოდ მაღალი ადგილია საეკლესიო იერარქიაში და მაჩვენებელი იმისა, რომ საქართველოს ეკლესია ამ დროს ერთ-ერთი ძლიერი და გავლენიანი ორგანიზაცია იყო. საყურადღებოა ისიც, რომ სერბიისა და საქართველოს ელჩებს ჩაბარებული ჰქონდათ ტრაპიზონის იმპერატორის მანდატი, რომელიც მათ მისი სახელით მოქმედების უფლებას აძლევდა. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყობს აგრეთვე საქართველოს საერო წარმომადგენლის ჩაცმულობა, რომელიც თავისი სიმდიდრით გამოირჩეოდა.

[25] С. Рансимен. Падение Константинополя в 1453 г. с. 199; Mufassal Osmanlı Tarihi, s. I, s. 390—465; I. H. Danişmend, Izahlı Osmanlı Tarihi kronolojisi, s. I, s. 125—168.

იბერიის მეფის ორატორს, ნათქვამია ლათინურ დოკუმენტში, ყველა სხვებთან შედარებით განსხვავებული ტანსაცმელი აცვია, მრგვალი ქუდი ხურავს, მრავალი ძვირფასი ქვით დამშვენებული და ოქროთი მოქარგული. ამ წყაროდან ვიგებთ, რომ ქართველი ელჩის ქუდი თავისი სიმდიდრითა და მოკაზმულობით არ ჩამოუვარდებოდა ბიზანტიის იმპერატორის ქუდს. საეკლესიო კრებამ, დიდი კამათის შემდეგ, მიიღო დადგენილება — შექმნილიყო კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიის უნია (კავშირი), რომის პაპის მეთაურობით. ამ დადგენილებას ხელი არ მოაწერა მართლმადიდებლური ეკლესიის ზოგმა წარმომადგენელმა და მათ შორის საქართველოს ეპისკოპოსმაც. ბიზანტიის იმპერატორი დათმობაზე წავიდა იმის გამო, რომ რომის პაპი მას ჰპირდებოდა დახმარებას ანტიოსმალური კოალიციის ორგანიზაციის საქმეში.

ბიზანტიაში მტრულად შეხვდნენ ფერერა-ფლორენციის საეკლესიო კრების დადგენილებას. კონსტანტინოპოლის პატრიარქი, რომელმაც ხელი მოაწერა ამ დოკუმენტს, გადაყენებულ იქნა პატრიარქობიდან. ქვეყანაში განხეთქილება ჩამოვარდა. იმპერატორ იოანე VIII მდგომარეობა შეირყა[26]. ასეთ ვითარებაში ბიზანტიის იმპერატორის მთავარი საზრუნავი იყო შეეკრა ანტიოსმალური კავშირი და ამით აემაღლებინა თავისი შერყეული ავტორიტეტი. მალე ამ გეგმის განსახორციელებლად მეტად ხელსაყრელი მდგომარეობა შეიქმნა.

1443 წ. 40 წლის ოსმალეთის სულთანმა მურად II უარი თქვა ტახტზე და ხელისუფლება გადასცა თავის ვაჟს, 12 წლის მეჰმედს (შემდგომ მეჰმედ II — კონსტანტინოპოლის დამპყრობს). მურადმა დატოვა ადრიანოპოლი (დედაქალაქი) და მანისაში (მცირე აზია) გაემგზავრა. ქვეყანაში კრიზისული ვითარება შეიქმნა. მცირეწლოვანი სულთანი დიდი ვეზირისა და დიდმოხელეების სათამაშო გახდა. ოსმალთა სამეფო გვარის შთამომავალმა ორჰანმა ტახტზე პრეტენზია განაცხადა და დახმარებისათვის კონსტანტინოპოლს მიმართა, მორჩილებიდან გამოვიდა ყარამანიის გამგებელი და სხვა.

დრო მეტად ხელსაყრელი იყო. ბიზანტიის იმპერატორმა და რო-

---

[26] ფერერა-ფლორენციის საეკლესიო კრების შესახებ იხ. ო. ჟუჟუნაძე, XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის, ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, ტ. I, თბ., 1970. გვ. 5—77; ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, თბ., 1974, ტ. I, გვ. 101, 102; З. В. Удальцова. Борьба византийских партий на Флорентийском соборе и роль Виссариона Никейского в заключении унии, „Византийский временник", 1950, т. III, с. 125 — 143; Ф. И. Успенский, Византийская империя, т. III, 770 — 777.

მის პაპმა ოსმალეთის წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის გეგმა შეიმუშავეს: რომის პაპისა და ბიზანტიის გარდა ანტიოსმალურ კოალიციაში უნდა შესულიყო ვენეცია, უნგრეთი, პოლონეთი, ვალახეთი, სერბია, ალბანეთი, რაგუზა და ბურგუნდია. ვენეციის, რაგუზისა და ბურგუნდიის ფლოტი უნდა ჩასულიყო კონსტანტინოპოლში და იქიდან მოეხდინა ბოსფორის სრუტის ბლოკირება და არ მიეცა საშუალება ოსმალეთისათვის, რათა ლაშქარი მცირე აზიიდან გადაეყვანა ევროპაში. წარმატების შემთხვევაში, მოკავშირეთა ფლოტი უნდა შესულიყო შავ ზღვაში და ციხე-სიმაგრეები დაეკავებინა. ჯვაროსანთა ძირითადი ლაშქარი ხმელეთით უნდა შეჭრილიყო ბალკანეთში და გაენთავისუფლებინა ბალკანეთის ქვეყნები ოსმალთა ბატონობისაგან.

1444 წ. 25 გემისაგან შემდგარი ჯვაროსანთა ფლოტი კონსტანტინოპოლს მიადგა. 1444 წ. სექტემბრის დამდეგს უნგრეთის 20000 ლაშქარი, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ, აგრეთვე, ჩეხები, პოლონელები, ვალახები და სხვ. იანოშ ჰუნიადის (ვალახეთის ვოევოდა) სარდლობით ბულგარეთში შეიჭრა და ქ. ვარნასაკენ გაემართა. ლაშქართან ერთად იმყოფებოდა უნგრეთის მეფე ვლადისლავ III და ფერერა — ფლორენციის უნიის აქტიური წევრი და ანტიოსმალური კოალიციის თავდადებული მომხრე, რომის პაპის წარმომადგენელი კარდინალი იულიან ცეზარინი. ჯვაროსნები ვარნიდან აპირებდნენ ზღვით კონსტანტინოპოლში ჩასვლას და იქიდან ოსმალებისათვის დარტყმას. სერბიამ უარი თქვა ანტიოსმალურ კოალიციაში მონაწილეობაზე და აცნობა ოსმალეთს ჯვაროსანთა გეგმები.

მართალია, ანტიოსმალური გეგმა კარგად იყო შედგენილი, მაგრამ მის მონაწილეთა შორის არ არსებობდა ერთიანობა და ყოველი მონაწილე თავის საკუთარ ინტერესებს სხვაზე მაღლა აყენებდა. ამ დროს განსაკუთრებით მწვავე ქიშპობა იყო ვენეციელ და გენუელ ვაჭრებს შორის.

ოსმალეთმა მოხერხებულად გამოიყენა ევროპის სახელმწიფოებს შორის არსებული წინააღმდეგობანი.

ოსმალეთის მდგომარეობა მეტად კრიტიკული იყო. შექმნილ ვითარებაში უავგუსტოესის დივანმა თხოვნით მიმართა მურად II კვლავ ხელში აეღო ძალაუფლება და ჩასდგომოდა სათავეში ლაშქარს. მურად II დათანხმდა. იგი სასწრაფოდ დაბრუნდა დედაქალაქში და ენერგიული ზომები მიიღო. მურად II-მ ბოსფორის ევროპულ სანაპიროზე გადაიტანა ზარბაზნები და ანადოლუ ჰისარის (აზიური სანაპირო) პირდაპირ, ბოსფორის ყველაზე ვიწრო გასასვლელში, ზარბაზნები განალაგა. ზარბაზნების ჯვარედინა ცეცხლით ოსმალებმა ჯვაროსანთა რამდენიმე გემი ჩაძირეს და არ მისცეს მათ ბოსფორის ბლო-

ქირების საშუალება. მურად II, გენუელების ფლოტის დახმარებით, ბოსფორის სრუტით მცირე აზიიდან ბალკანეთში 40000 ლაშქარი გადაიყვანა. გენუელებმა ამ დახმარებისათვის 40000 დუკატი მიიღეს.

1444 წ. 10 ნოემბერს ვარნასთან დიდი ბრძოლა მოხდა. ჯვაროსნები დამარცხდნენ. ბრძოლაში დაიღუპა უნგრეთის მეფე ელადისლაჯი[27].

ფაქტიურად, ეს იყო უკანასკნელი დიდი ბრძოლა ოსმალთა გარემოცვისაგან კონსტანტინოპოლის განთავისუფლებისათვის. ვარნასთან მოპოვებულმა გამარჯვებამ განამტკიცა ოსმალეთის სამხედრო ძლიერება და განაპირობა ბიზანტიის სახელმწიფოს საბოლოოდ დაცემა. ვარნას ბრძოლამ დიდი გამოძახილი ჰპოვა იმდროინდელ ევროპაში და, როგორც ირკვევა, მის ფარგლებს გარეთაც.

როგორც ჩანს, ამ ბრძოლის შესახებ ხმები საქართველოშიაც გავრცელდა. ამ დროს გენუელებს შავი ზღვის საქართველოს სანაპიროზე სოხუმში, ბათუმსა და გონიოში თავიანთი სავაჭრო ფაქტორიები ჰქონდათ. შესაძლებელია, გენუელებმა ეს ამბავი, შეცდომით, ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობად მიიჩნიეს ან განგებ გაავრცელეს (გენუელები ხომ ოსმალთა მოკავშირეებად გამოდიოდნენ). ასეთ ვითარებაში არ არის გამორიცხული, რომ ოსმალთა მრავალრიცხოვანი ლაშქრის გადაყვანა ბოსფორზე, კონსტანტინოპოლის მახლობლად, ბიზანტიის დედაქალაქის დაპყრობად ჩათვალეს, ხოლო უნგრეთის მეფის სიკვდილი ბრძოლის ველზე — ბიზანტიის იმპერატორის დაღუპვად. ქართველებს ამ ამბების შესახებ ინფორმაცია გენუელებისაგან უნდა ჰქონოდათ მიღებული. ამასთან დაკავშირებით საფიქრებელია, რომ კონსტანტინოპოლის დაპყრობის შესახებ ცნობა ქრონიკებში თავდაპირველად უნდა შეეტანათ დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში[28].

---

[27] Bistra Cvetkova, La Bataille mémorable de peuples, p. 129.

[28] 1444 წლის დამდეგს ბურგუნდიის საჰერცოგოს (საფრანგეთის) ფლოტი, რომელიც ხუთი კატარღისაგან შედგებოდა, შავ ზღვაში შევიდა. ორი კატარღა, მდ. დუნაის შესართავისაკენ გაემართა, სადაც დაბანაკებული იყვნენ ჯვაროსნები, ხოლო სამმა კატარღამ, რომელსაც მეთაურობდა ჟოფრუა დე ტუსი, შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს გაყოლებით ტრაპიზონისაკენ აიღო გეზი. გზაში მათ თურქეთის სანაპიროზე აიღეს და დაარბიეს ერთი ციხე-სიმაგრე, აქედან გაემართნენ ტრაპიზონისაკენ, შემდეგ კი — საქართველოს სანაპიროსაკენ და თავს დაესხნენ ქ. ბათუმს (ვატი). ქართველებმა, გურიელის მეთაურობით, მტერს ბრძოლა გაუმართეს და ჟოფრუა დე ტუსი ტყვედ ჩაიგდეს. ტრაპიზონის მეფის იოანე IV შუამავლობით ჟოფრუა დე ტუსი ტყვეობიდან იქნა განთავისუფლებული იმ პირობით, რომ იგი აღარ დაესხმოდა თავს საქართველოს. ზოგიერთი წყაროს მონაცემით, ჟოფრუა დე ტუსი ტყვედ ჩაიგდეს მდ. ფაზისთან, ფოთის მახლობლად და განთავისუფლებულ იქნა გენუის შავი ზღვის

ამგვარად, ჩვენი დაკვირვებით, 1444 წელს ოსმალების გამარჯვება ჯვაროსნებზე ვარნასთან ქართული ქრონიკის შემდგენელმა შეცდომით ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის აღებად ჩათვალა.

საყურადღებოა, რომ ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის აღებასთან დაკავშირებით იკორთის ჟამგულანში ორი თარიღია მითითებული 1444 წ. და 1457 წ. ამის გამო თ. ჟორდანია ფიქრობდა, რომ მეორე თარიღში (1457 წ.) უნდა იგულისხმებოდეს ტრაპიზონის აღება ოსმალთაგან[29], რასაც ჩვენ ვერ გავიზიარებთ. ტრაპიზონი ოსმალებმა 1461 წელს დაიპყრეს და არც ჟამგულანში და არც სხვა ქართულ ქრონიკაში არაა მითითებული მისი აღების თარიღი. რით უნდა ავხსნათ იკორთის ჟამგულანში ერთდროულად კონსტანტინოპოლის დაპყრობის ორი თარიღის არსებობა? ცხადია, ერთ-ერთი მათგანი შეცდომით უნდა იყოს შეტანილი.

იკორთის ჟამგულანში შეტანილი პირველი თარიღი (1444 წ.), როგორც ზემოთ გავარკვიეთ, გულისხმობს არა ოსმალთაგან კონსტანტინოპოლის დაპყრობას, არამედ ჯვაროსანთა დამარცხებას ვარნასთან ბრძოლაში. ხოლო მეორე თარიღი — 1457 წელი უნდა აღნიშნავდეს ოსმალთა მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობას. ვფიქრობთ, მეორე შემთხვევაში, საქმე გვაქვს ქრონიკების ტრადიციულ შეცდომასთან, რომლის ციკლი 3—4 წელი იყო.

ამრიგად, ქართულ ქრონიკებში მითითებულია კონსტანტინოპოლის დაპყრობის ორი თარიღი — 1444 წ. და 1457 წ. პირველი თარიღის ქვეშ იგულისხმება ოსმალების მიერ ჯვაროსანთა დამარცხება ვარნასთან, ხოლო მეორე — აღნიშნავს ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობას. XVI—XVIII საუკუნეებში საქართველოში კონსტანტინოპოლის დაპყრობის მეორე თარიღს (1457 წ.) „უმართებულოდ“ თვლიდნენ და სწორ თარიღად მიჩნეული იყო 1444 წელი.

როგორია ამ მხრივ მდგომარეობა ქართულ ნარატიულ წყაროებში?

ცნობილია, რომ XIV—XVII საუკუნეებში უცხოელი დამპყრო-

საკმაო ფაქტორის მაღალი თანამდებობის პირის შუამდგომლობით (თ. ბერაძე, ერთი უცნობი ფაქტი, ლიტერატურული საქართველო, 1983 წ. 12 აგვისტო; С. П. Карпов, Трапезундская империя и западно-европейские государства в XII—XV вв. М., 1981, с. 156, 157, 188).

შავი ზღვის საქართველოს სანაპიროზე ბურგუნდიელების თავდასხმისა და ჟოფრუა დე ტუსის ტყვეობიდან განთავისუფლების მიზნით გამართული მოლაპარაკების შედეგად, ქართველ მესვეურებს არ შეიძლება არ გაეგოთ ბურგუნდიის ფლოტის შავ ზღვაზე გამოჩენის მიზეზი. ცხადია, ქართველები ყურადღებით ელოდებოდნენ, რით დამთავრდებოდა ჯვაროსანთა ლაშქრობა ოსმალთა წინააღმდეგ.

[29] თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, გვ. 271.

ბლების შემოსევებისა და ჟამთა სიავის გამო ქართული წყაროების დიდი ნაწილი განადგურდა, ხოლო XVIII საუკუნეში შედგენილ ნარატიულ წყაროებში, რომლებშიც უფრო ადრინდელი ამბებია აღწერილი, ზოგიერთ შემთხვევაში თარიღები შეცდომითაა მითითებული. ეს აიხსნება იმით, რომ ვახტანგ VI-ის „სწავლულ კაცთა“ კომისიასა და ვახუშტი ბატონიშვილს გამოყენებული აქვთ ქართული ქრონიკები, კინკლოსების ისტორიული მინაწერები, ანუ მცირე ქრონიკები, რომლებშიც ხშირად შეცდომებია დაშვებული.

ირკვევა, რომ „ახალი ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებებში ოსმალთა მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობის თარიღი ქართული ქრონიკებიდანაა გადმოღებული.

მაგალითად, „ახალი ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტში ვკითხულობთ: „ამისა შემდგომად განიგულეს ბრძოლა დიდისა ტახტისა და სამეუფოსა დედაქალაქისა კონსტანტინოპოლისა და იყო ურთიერთას შორის დაუცადებელი ბრძოლა ძლიერი. და სძლიეს ოსმალთა ხვანთქარმან სულთან მაჰმად. და მიდრკეს ბერძენნი. შეაწრეს ფრიად კეისარი მძუნვარედ ზედა-დასხმითა, რომელნი გარე მოადგეს კოსტახტინეპოლის, ქალაქსა მას სამეფოსა. სძლიეს და აღიღეს კოსტანტინეპოლი ოსმალთა ქრონიკონსა — რ˝ლბ (1444 წ.) ქრისტეს აქეთ ჩ˝უმე.

ხოლო იყო ჟამსა მას კეისარი, სახელით კოსტანტინე პოლეოლოღოს. და იყო პატრიაქი აღსრულებულ. მაშინ აღიხუნეს და დაიპყრეს სრულად საბერძნეთი ოსმალთა. და ოდეს აღიღეს კონსტანტინეპოლი, მას ჟამს დაბნელდა მზე, რომლისა ამბავნი ერცლად წერილ არს ცხოვრებასა ბერძენთასა“[30].

როგორც ვხედავთ, ბერი ეგნატაშვილი ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობას შეცდომით 1445 წლით ათარიღებს. მართალია, ბერი ეგნატაშვილი შენიშნავს, რომ ოსმალთა მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობის „ამბავი ერცლად წერილ არს ცხოვრებასა ბერძენთა“, მაგრამ იგი იმდენად ღრმად ყოფილა დარწმუნებული ქართული „ქრონიკების“ სიმართლეში, რომ ეჭვიც არ შეიტანა თარიღის სისწორე˝ში და არ ჩათვალა საჭიროდ შეემოწმებინა ბერძნული წყაროების მონაცემები ამ თარიღის დასაზუსტებლად.

ჩანს, საერთოდ, ამ დროს საქართველოში არ იცოდნენ კონსტანტინოპოლის დაპყრობის ზუსტი თარიღი.

ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ გადამწერს ტექ-

---

[30] ბ ე რ ი ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი, ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 475.

სტზე, გვერდით არშიაზე ხელით მიუწერია: „კოსტანტიპოლე რომ დაუპერიათ ურუმებსა, იმას აქეთ გამოსულა წელისადი (sic!) ორას ოთხმოცდა თერთმეტი 291 ს˘ჟა. წელიწადი ქრისტეს აქეთ ჩღლვ 1735 ამაში შიგ ვსდგავართ. ჯ˘სმდ დასაბამითაგან 7244“[31].

როგორც ტექსტიდან ჩანს, ეს მინაწერი 1736 წელსაა გაკეთებული: ე. ი. 1736 წელს თუ გამოვაკლებთ 291 წელს (1736—291-1445), გამოდის, რომ, გადამწერის აზრით, ოსმალებმა კონსტანტინოპოლი 1445 წელს დაიპყრეს.

ამრიგად, ქართულ ქრონიკებსა და ნარატიულ წყაროებში ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის აღების თარიღი შეცდომითაა მითითებული, მაგრამ ეს ჯერ კიდევ სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ქართველებმა დროზე ვერ შეიტყვეს კონსტანტინოპოლის დაპყრობის ამბავი და არ შეიტანეს თანადროულ მატიანეში.

საქართველოს ძველთაგანვე მჭიდრო პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა ჰქონდა ბიზანტიასთან, რომელიც არ შემწყდარა იმპერიის არსებობის უკანასკნელ წლებამდე.

1448 წელს ბიზანტიის ტახტზე ავიდა კონსტანტინე XI (1448—1453). ამ დროს იმპერიის მდგომარეობა მეტად კრიტიკული იყო.

1449 წელს კონსტანტინე XI-ის დავალებით, გიორგი სფრანძესი, იმპერატორის ყრმობის მეგობარი და ისტორიკოსი, გაემგზავრა ტრაპიზონსა და იბერიაში კონსტანტინესათვის სარძლოს გამონახვის მიზნით. 1449 წლის ოქტომბერს, წერს გ. სფრანძესი, „ჩემი ბატონის (კონსტანტინე XI — მ. ს.) მიერ გაგზავნილ ვიქმენ იბერიის ბატონთან გიორგი მეფესთან (გიორგი VIII — მ. ს.), რომელსაც ჩვენში უწოდებენ „რექს“ და ტრაპეზუნის მეფესთან ბატონ კომნენოსთან (იოანე IV — მ. ს.), ბრწყინვალე საჩუქრებით და დიდი ძღვენით: თან მახლდნენ დიდებულები და მხედრები, ბერ-მონაზონები დ მონაზონები, მგალობელ-მომღერალნი და ექიმები“[32].

ამ ელჩობის შესახებ გ. სფრანძესი მოგვითხრობს: „წავედი მე იმ მხარეში დამძახლების მიზნით, თუ იმ ორი დიდებულის ოჯახიდან რომელს ჩავთვლიდი უფრო სასურველად საქორწინო კავშირისათვის“[33].

---

[31] ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 341, შენ. № 1.

[32] გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბ., 1970, ტ. VIII, გვ. 42, 49, 53; შემდგომ გიორგი სფრანძესი, მცირე ქრონიკა.

[33] იქვე.

ს. ყაუხჩიშვილი, გ. სფრანძესის ამ დიპლომატიურ მისიასთან დაკავშირებით, შენიშნავს: „რომ უფრო საღად შევხედოთ გ. სფრანძესის ამ ცნობებს და მისი მოგზაურობის რეალური დანიშნულება გამოვიცნოთ, საჭიროა გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოებები: 1. გ. სფრანძესი იგზავნება კონსტანტინოპოლიდან იბერიასა და ტრაპიზონის სამეფოში იმ წლებში (1449—1451), როდესაც ოსმალეთი ზედ კონსტანტინოპოლის ზღურბლთან არის მომდგარი". უსპენსკის ნაშრომზე დაყრდნობით, ს. ყაუხჩიშვილი შემდეგნაირად ახასიათებს ბიზანტიის მდგომარეობას: „ჯერ კიდევ 1446 წელს სულთანმა მურად II ალყა შემოარტყა პატრასს, აქედან იგი წავიდა თებეში და 60 000 ტყვე-ქრისტიანი წაასხა. სეფეწულები, თეოდორა და თომა სულთან'ს ეახლნენ და აღუთქვეს ხარაჯა, რაც პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე ხელის აღებას უდრიდა. ბიზანტიის მდგომარეობა უიმედო იყო[34].

„ასეთ ვითარებაში, — განაგრძობს ს. ყაუხჩიშვილი, — ძნელი წარმოსადგენია, რომ თავისი ძმის, იოანე VIII-ის გარდაცვალების შემდეგ (1448), ტახტზე ასული კონსტანტინე XI საქართველოში აგზავნის ელჩად გიორგი სფრანძესს მხოლოდ იმიტომ, რომ საცოლე შეურჩიოს"[35].

ოსმალთა საშიშროების თავიდან აცდენის მიზნით, ხომ ბიზანტია დასავლეთთან მოლაპარაკებას აწარმოებდა. უნიატურმა მოლაპარაკებამ დასავლეთთან ნაყოფი ვერ გამოიღო და თურქების წინააღმდეგ საბრძოლველად დახმარების იმედი დასავლეთის სახელმწიფოების მხრივ საბოლოოდ უნდა გამქრალიყო და ამ დროს ფართო შემადგენლობის ელჩობის გაგზავნა იბერიასა და ტრაპიზონში (ე. ი. ქრისტიანული სამყაროს სახელმწიფოებში) უთუოდ პოლიტიკურ მიზნებსაც ისახავდა. ჩვენ უსაფუძვლოდ არ მიგვაჩნია თ. უსპენსკის მიერ გაკვრით ნათქვამი[36]: გ. სფრანძესი გაგზავნილ იქნა საქართველოსა და ტრაპიზონში, რათა მოეწახა თავისი მონარქისათვის შესაფერისი საცოლო; მას თან გაჰყვა დიდი ამალა, სასულიერო პირები და მუსიკოსებიც კი, რათა შთაბეჭდილება მოეხდინათ აღმოსავლეთის სამეფო კარზე, კონსტანტინეს ესაჭიროებოდა ფული და პოლიტიკური კავშირი[37].

სახელოვანი მეცნიერების ეს ვარაუდი სრულიად საფუძვლიანად მიგვაჩნია. ამ დროს საქართველო გარკვეულ ძალას წარმოადგენდა

---

34 გიორგი სფრანძესი, მცირე ქრონიკა, გვ. 42, 43; Ф. И. Успенский, История Византийской империи, с. 476.

35 გიორგი სფრანძესი, მცირე ქრონიკა, გვ. 43.

36 იქვე.

37 იქვე; Ф. И. Успенский, История Византийской империи, с. 778.

ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში და მასთან ბიზანტიის იმპერატორის დამოყვრება პოლიტიკური კავშირის დადებასაც მოასწავებდა.

განვიხილოთ, რით დამთავრდა გ. სფრანძესის ეს მისია.

1449 წლის 4 ოქტომბერს გ. სფრანძესი კონსტანტინოპოლიდან გემით გაემგზავრა და ჩავიდა საქართველოში. იბერიაში მას დიდი პატივითა და სიხარულით შეხვდნენ. გ. სფრანძესს გიორგი მეფის ასული მოსწონებია იმპერატორისათვის სარძლოდ. გიორგი მეფემ კონსტანტინეს დესპანს სფრანძესს განუცხადა, რომ საქართველოში მიღებული წესის მიხედვით საქმროს მზითვს არ ატანენ, პირიქით, საქმროს მოაქვს ქონება საცოლისათვის, მაგრამ იმის დასამტკიცებლად, რომ ქართველი მეფე ქორწინების მხურვალე მომხრეა, „პირობას ვდებ, განაცხადა გიორგიმ, რომ მივცემ ჩემს ქალს, გარდა ვერცხლისა და ოქროს ძვირფასი ჭურჭლისა და ძვირფასი თვლებისა და მარგალიტის და ოქროს ყელსაბამებისა და სხვა თვლებისა, გარდა ტანსაცმლებისა და მრავალნაირი მისთვის განკუთვნილი ქსოვილებისა, ოქროს ფულს ორმოცდათექვსმეტ ათასს; აგრეთვე დამატებით ექნება ყოველწლიურად სამი ათასი ოქრო, რომელსაც მოიხმარს ღარიბთათვის წყალობის გასაცემად ან როგორც მას მოესურვება“[38].

თვით გ. სფრანძესს, როგორც ამ საქმის შუამავალს, გიორგი შეპირდა, როდესაც ის მომავალ გაზაფხულზე იმპერატორის საცოლის წასაყვანად მოვიდოდა, საჩუქრად მისცემდა ოთხ საპალნე აბრეშუმს, ხოლო ყოველი საპალნე ხუთას ოქროს ფულს ფასობდა[39].

საქართველოდან გიორგი სფრანძესი ტრაპიზონში ჩავიდა, სადაც შეიტყო სულთან მურად II-ის გარდაცვალების ამბავი[40].

ტრაპიზონის მეფე იოანე IV გახარებული იყო სულთან მურად II-ის სიკვდილით და იმედი ჰქონდა, რომ ახალი სულთანი მშვიდობიან პოლიტიკას გაატარებდა მეზობელი ქვეყნების მიმართ. გიორგი სფრანძესმა არ გაიზიარა ეს და უთხრა: „ჩემო ბატონო, ეს ამბავი სასიხარულო კი არ არის, არამედ ძალზე სამწუხაროა... იმიტომ რომ გარდაცვლილი ამირა ბებერი იყო და ქალაქის წინააღმდეგ მას უცდია საქმარისად და არ სურდა ხელყოფა მისი, არამედ უნდოდა უფრო

---

[38] გიორგი სფრანძესი, მცირე ქრონიკა, გვ. 66.

[39] იქვე, გვ. 67.

[40] იქვე, გვ. 58. მურად II გარდაიცვალა 1451 წელს 4 თებერვალს. გ. სფრანძესი სხვაგან წერს, რომ მან მურად II-ის გარდაცვალების ამბავი შეიტყო „ჯერ კიდევ იბერიაში ყოფნის დროს“ (გვ. 54). უფრო დასაჯერებელია, რომ სფრანძესმა სულთნის გარდაცვალების ამბავი გაიგო ტრაპიზონში, თუმცა არც მეორე შესაძლებლობაა გამორიცხული. გიორგი სფრანძესი ტრაპიზონში 1451 წლის გაზაფხულზე ჩავიდა.

დაზავებოდა; ხოლო ახალი ამირა (სულთანი) ახალგაზრდაა და ბავშვობიდანვე მტერი იყო ქრისტიანებისა, სავსე სიამაყითა და მუქარით, და ამბობდა, რომ, როდესაც ხელთ იგდებს მოხერხებულ დროს და თვითონ აიღებს ხელში საშეფო ძალაუფლებას, რომაელებისა და ყველა ქრისტიანთა სამფლობელოს მოსპობს და გააქრობს"[41].

ტრაპიზონის მეფისაგან გიორგი სფრანძესმა შეიტყო, რომ მურად II-ის ქვრივი, სერბიის მეფის ქალიშვილი, ქმრის სიკვდილის შემდეგ დიდი პატივითა და საჩუქრებით დააბრუნეს თავის მშობლებთან. გიორგი სფრანძესმა ჩათვალა, რომ ეს ასული საუკეთესო საცოლე იქნებოდა იმპერატორისათვის. როგორც ჩანს, გიორგი სფრანძესი უფრო დიპლომატი იყო, ვიდრე დარბაისელი კაცი, თავისი სიტყვის პატრონი, ამიტომ მან სწრაფად დაივიწყა ის, რომ გიორგი მეფეს მისი ასული სთხოვა იმპერატორის საცოლედ და ენერგიულად ურჩევდა კონსტანტინეს ცოლად შეერთო მურად II-ის ქვრივი. ამ არჩევანს იმით ასაბუთებდა, რომ ქალი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და მდიდარი. იგი პოპულარობით სარგებლობს სულთნის კარზე და მას გავლენა აქვს თავის გერზე — ახალ სულთანზე. გიორგი სფრანძესმა წერილი მისწერა კონსტანტინეს, რომ იმპერატორისათვის არ იქნება უღირსი ჯვარი დაიწეროს ურწმუნოთა ხელმწიფის ქვრივზე, მით უფრო, რომ ამის მაგალითი ცნობილი იყო: კონსტანტინეს ბებია, იმპერატორ იოანეს მეორე ცოლი, იყო თურქმენთა მბრძანებლის ცოლი.

გიორგი სფრანძესმა იმპერატორისადმი წერილი თავის მსახურს გაატანა და სასწრაფოდ კონსტანტინოპოლში გაგზავნა და სურდა, რაც შეიძლება მალე განეხორციელებინა ეს გეგმა; მაგრამ მას შესრულება ბედად არ ეწერა; მურადის ქვრივს ფიცი ჰქონდა დადებული, რომ თუ იგი შესძლებდა ჰარამხანადან თავის დაღწევას, მთელ თავის დარჩენილ სიცოცხლეს შესწირავდა საღვთო საქმეებს და ხელმეორედ აღარ გათხოვდებოდა.

მაშინ კონსტანტინემ თავისი არჩევანი კვლავ გიორგი მეფის ასულზე შეაჩერა.

1451 წელს 14 სექტემბერს გ. სფრანძესი კონსტანტინოპოლში დაბრუნდა. მას თან ჩამოყვა იბერიის მეფის წარმომადგენელი. საქორწინო შეთანხმება დაიდო: „შედგა ოქრობეჭედი და ხელი იქნა მოწერილი, რომ იმის ასული ყოფილიყო მისი ცოლი და კონსტანტინოპოლის დედოფალი, ხოლო ეს ყოფილიყო მისი ქმარი, იმ შეთანხმებათა მიხედვით, რომლებიც ჩემთან დასდო იბერიის მეფემ და როდესაც ის მოიხმეს, ჩვენთან ერთად გამოგზავნილი მისი მთავარი...

---

[41] გიორგი სფრანძესი, მცირე ქრონიკა, გვ. 57, 76, 77.

და მეფემ და ჩემმა ბატონმა საკუთარი ხელით მის თანდასწრებით საში ჯვარი დასხა სინგურით ოქრობეჭდის ზომითა შუბლზე ნიშნად დამტკიცებისა"[42].

მომავალი წლის გაზაფხულზე (ე. ი. 1452 წ.) გ. სფრანძესი უნდა წასულიყო საქართველოში, კონსტანტინესათვის სარძლოს ჩამოსაყვანად[43].

მაგრამ ამ დროს დედაქალაქის მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. ახალმა სულთანმა დაიწყო მზადება კონსტანტინოპოლის ალყისათვის. ასეთ ვითარებაში კონსტანტინემ დასავლეთ ევროპას დახმარებისათვის მიმართა, ხოლო გ. სფრანძესი პელოპონესში გაგზავნა, რათა იმპერატორის ძმა სასწრაფოდ დედაქალაქში დაბრუნებულიყო, იქიდან კი გ. სფრანძესი კუნძულ კვიპროსზე უნდა წასულიყო დედოფალთან, კონსტანტინეს ძმისშვილთან და მხოლოდ კვიპროსიდან დაბრუნების შემდეგ გამგზავრებულიყო იბერიაში[44].

1452 წლის გაზაფხულზე, როდესაც გ. სფრანძესი, ქართველ დესპანთან ერთად საქართველოში უნდა წამოსულიყო, კონსტანტინესათვის სარძლოს წასაყვანად, ოსმალებმა კონსტანტინოპოლის მახლობლად, ბოსფორის სანაპიროს ევროპულ ნაწილში რუმელი-ჰისარის (ციხე-სიმაგრის) მშენებლობა დაიწყეს და შეუდგნენ ბიზანტიის დედაქალაქის წინააღმდეგ იერიშისათვის მზადებას. ბიზანტიის იმპერიის არსებობის დღეები დათვლილი იყო.

ცხადია, ასეთ ვითარებაში კონსტანტინეს და მის სამეფო კარის წევრებს პატარძლისათვის აღარ ეცალათ.

1452 წლის ზაფხულში კონსტანტინოპოლიდან წამოსული ქართველი დესპანი სამშობლოში მარტო ჩამოვიდა. ბუნებრივია, მეფის კარი შეიტყობდა ქორწინების ჩაშლის ნამდვილ მიზეზს, ბიზანტიის უკიდურეს ტრაგიკულ მდგომარეობას მომავალი საფრთხის წინაშე. უთუოდ, ქართველების გულისყური კონსტანტინოპოლისაკენ იქნებოდა მიმართული, რომლის დაცემა თუ გამარჯვება აირეკლებოდა საქართველოს ბედ-იღბალზე. ამიტომ გამორიცხულად მიგვაჩნია, საქართველოში დროულად არ შეეტყოთ ბიზანტიის იმპერიის დამხობა.

ეჭვს გარეშეა, რომ ეს მნიშვნელოვანი ამბავი შევიდოდა თანადროულ ქართულ საისტორიო მატიანეებში, რომლებმაც ჟამთა სიავის გაძო ჩვენამდე ვერ მოაღწიეს.

ცნობილია, აგრეთვე, რომ საქართველოს მეფე-მთავრები კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ანტი-

---

[42] გიორგი სფრანძესი, მცირე ქრონიკა, გვ. 84.

[43] იქვე, გვ. 80.

[44] იქვე. გვ. 87, 88.

ოსმალური კოალიციის შექმნის საქმეში. სწორედ, ამ მიზნით, 1456 წელს საქართველოში ჩამოვიდა რომის პაპის წარმომადგენელი ლუდოვიკო ბოლონიელი. ცხადია, ქართველებს რომ გამოპაროდათ ოსმალთა მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობა, ამას რომის პაპის ლეგატისაგან შეიტყობდნენ.

თანადროული ქართული წყაროების განადგურებამ და ქრონიკებში კონსტანტინოპოლის დაცემის თარიღის შეცდომით შეტანამ გამოიწვია ის, რომ საქართველოში XVI—XVII საუკუნეებში და XVIII ს-ის 40-იან წლებამდე არ იცოდნენ ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობის ზუსტი თარიღი.

ქართულ წყაროებში ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობის სწორი თარიღი მხოლოდ ვახუშტი ბატონიშვილის „ისტორიაშია". მოცემული: „კუალად ამის ჟამსა შინა განრისხნა ღმერთი ქრისტიანეთა ზედა ცოდვათა ჩუენ ქრისტიანეთათვს და აღიღო მაჰმად კოსტანტინეპოლი ქისა ჩ~უნგ (1453 წ.) ქართულსა რ~მა"[45]. კიდევ „მოკუდა მურად ქ~სა ჩ~უნა (1451 წ.) და დაჯდა შემდგომად მისა ძე მისი მაჰმად. ამან მაჰმად მეორესა წელსა მეფობისა თჳსისასა წარიღო სამეფო ქალაქი. გარნა წაღება ესე დაუსახვიდა საქართველოს დიდსა ბოროტსა, რომელიცა ქუემორე შეუდგების"[46].

საიდან აქვს აღებული ვახუშტი ბატონიშვილს ეს ცნობა?

საფიქრებელია, რომ ვახუშტის ხელთ ჰქონდა რაიმე სხვა „ქრონიკა", რომელიც შემდგომ დაიკარგა. ამის სასარგებლოდ მეტყველებს ის, რომ ვახუშტის „ისტორიაში" შეტანილია ცნობა, რომლის მიხედვით 1451 წელს, ე. ი. 2 წლით ადრე კონსტანტინოპოლის დაპყრობამდე, ოსმალები თავს დასხმიან სოხუმსა და შავი ზღვის საქართველოს სანაპიროს. ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი, სხვა ქართულ წყაროებში არაა დამოწმებული.

ვახუშტი ბატონიშვილმა „საქართველოს ცხოვრება" დაამთავრა მოსკოვში, 1745 წელს. მოსკოვში ყოფნის დროს ვახუშტის საშუალება ჰქონდა გაცნობოდა რუსულ და ევროპულ წყაროებს და მათ საფუძველზე დაეზუსტებინა საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხები. მათ შორის ოსმალთაგან კონსტანტინოპოლის დაპყრობის თარიღიც. კერძოდ, ვახუშტი ბატონიშვილს თავისი „ისტორიის" დაწერისას გამოყენებული აქვს „ცხოვრება ოსმალთა", „პოლშის მატიანე" და სხვა. ვ. გაბაშვილის დაკვირვებით, „ოსმალთა ცხოვრების"

---

45 ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა..., ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 284.

46 იქვე, გვ. 285.

ქვეშ ნაგულისხმები უნდა იყოს ინგლისელი ისტორიკოსის რიკოტი, „ოტომანთა იმპერიის ისტორია“, რომლის რუსული თარგმანი დაიბეჭდა მოსკოვში 1741 წელს.

განსათვალისწინებელია აგრეთვე დიმიტრი კანტემირის ამავე სახელწოდების ლათინურად დაწერილი თხზულება, რადგან ვახუშტი ფლობდა ლათინურ ენას და სარგებლობდა ლათინური წიგნებით, ძნელი არ იქნებოდა მისთვის „პოლშური მატიანის“ მიგნებაც[47].

სავსებით დასაშვებია, რომ ამ წყაროების გაცნობის შედეგად, ვახუშტი ბატონიშვილმა თავის „ისტორიაში“ მოგვცა კონსტანტინოპოლის დაცემის ზუსტი თარიღი.

---

[47] ვ. გაბაშვილი, ვახუშტი ბაგრატიონი, თბ., 1969, გვ. 122.

ოსმალთა პირველი თავდასხმა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე

კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ, მეჰმედ II-მ თავის ერთ-ერთ ამოცანად დაისახა დაემორჩილებინა შავიზღვისპირა ქვეყნები და ხელთ ეგდო ვაჭრობა შავ ზღვაზე. მაგრამ ამ დიდი ამოცანის გადაჭრა, ერთბაშად, ხელის ერთი მოსმით არ შეიძლებოდა, იგი თანდათანობით უნდა განხორციელებულიყო.

XIII საუკუნემდე შავ ზღვაზე ბიზანტია ბატონობდა და მთელი ვაჭრობა არსებითად ბერძნების ხელთ იმყოფებოდა. შავი ზღვა ჩაკეტილი იყო არაშავიზღვისპირა ქვეყნებისათვის.

ჯვაროსანთა ლაშქრობებისა და ბიზანტიის დასუსტების შედეგად შავ ზღვაზე თანდათანობით ვითარება იცვლება. 1169 წელს გენუელებმა, ხოლო შემდგომ ვენეციელებმა სავაჭრო უბნები ჩაიბარეს კონსტანტინოპოლში. იმავე წელს გენუელებმა უფლება მიიღეს თავიანთი გემებით შესულიყვნენ და ევაჭრათ შავ ზღვაზე. 1261 წელს გენუელებმა ნებართვა მოიპოვეს უბაჟოდ ევაჭრათ იმპერიის მთელ ტერიტორიაზე, ხოლო 1267 წელს მათ კონცესია უბოძეს კონსტანტინოპოლის პირდაპირ, ოქროს ყურის ჩრდილოეთ ნაპირზე გალათაში (პერაში). გენუელებმა აქ დააარსეს თავისი სავაჭრო ფაქტორია, გარშემო გალავანი შემოარტყეს და იგი, ფაქტიურად, დამოუკიდებელი ქალაქი გახდა. გალათას განაგებდა პოდესტა (კომისარი), რომელსაც გენუის რესპუბლიკის მთავრობა ნიშნავდა. მალე გალათა ვაჭრობის მნიშვნელოვანი ცენტრი გახდა. აქედან გენუელებმა თანდათანობით თავიანთი სავაჭრო ფაქტორიები გახსნეს შავი ზღვის ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში. გენუელებს არ ჩამორჩნენ ვენეციელებიც და შავ ზღვაზე ვაჭრობა გააჩაღეს. მათ შორის დაიწყო მწვავე სავაჭრო კონკურენცია. მალე გენუელებმა შავ ზღვაზე გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვეს. მათი მთავარი სავაჭრო ცენტრი გახდა კაფა (ყირიმში). აქ იმყოფებოდა გენუელების კონსული, რომელსაც ემორჩილებოდა შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე სავაჭრო ფაქტორიები. შავიზღვისპირეთის თითქმის ყოველ რეგიონში გენუელებს თავიანთი სავაჭრო კოლონიები ჰქონდათ გახსნილი.

XIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში გენუელმა ვაჭრებმა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე სოხუმში (სებასტოპოლისი), ბათუმში, ბიჭვინთაში, ახალ ათონში, გაგრაში, გონიოში, გუდაუთაში და სხვ. თავიანთი სავაჭრო ფაქტორიები დააარსეს და აქტიური სავაჭრო ურთიერთობა გააბეს ქართველებთან[1].

შავ ზღვაზე ვაჭრობა წარმოებდა არა მარტო შავიზღვისპირა ქვეყნებს შორის, არამედ აქ გადიოდა მნიშვნელოვანი საერთაშორისო სავაჭრო გზები აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთის ქვეყნებს შორის. შავიზღვისპირა ქალაქებში ვაჭრები ჩამოდიოდნენ ჩინეთიდან, ინდოეთიდან, შუა აზიიდან, ირანიდან, აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან, რუსეთიდან, სირიიდან, ეგვიპტიდან, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან და სხვა. გაცხოველებულ ვაჭრობას ეწეოდნენ ქალაქები: კაფა (ფეოდოსია), ტრაპიზონი, აზოვი (ტანა), სოგდეა (სუდაკი), სოხუმი, აკერმანი (მონკასტრო) და სხვა.

გენუელ და ვენეციელ ვაჭრებს შავი ზღვის ქალაქებში სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოჰქონდათ საქონელი, აგრეთვე, ადგილობრივ პროდუქციას ყიდულობდნენ და თავიანთი გემებით გაჰქონდათ ნავაჭრი იტალიასა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. თავის მხრივ, იტალიელ ვაჭრებს დიდი რაოდენობით შეჰქონდათ თავიანთი სამრეწველო საქონელი, ნაწილი ადგილზე იყიდებოდა, ხოლო დანარჩენი გაჰქონდათ შორეულ ქვეყნებში.

შავი ზღვის რეგიონიდან იტალიის ქალაქებსა და დასავლეთ ევროპაში გაჰქონდათ აბრეშუმი, ბეწვეული, ხმელი თევზი, ხიზილალა, მარცვლეული, ბრინჯი, თაფლი, ცვილი, ზეითუნი, ზეითუნის ზეთი, ერბო, ჭონი, ტყავი, ხილი, გემების საშენი ხე-ტყე და სხვა. სავაჭრო ექსპორტის ერთ-ერთი მთავარი საგანი იყო „ცოცხალი საქონელი", მონები. იტალიის ქალაქებიდან აქ შემოჰქონდათ ტილო, ხალიჩები, აბრეშუმისა და შალის ქსოვილები და სხვა ნაწარმი. აღმოსავლეთის ქვეყნებიდან აქ მოჰქონდათ ძვირფასი ქვები, მარგალიტი, სანელებლები, აბრეშუმი, ხავერდი, ბამბის ნაწარმი, საღებავები, სამკურნალო ნივთიერებები და სხვა. დიდი მოთხოვნილება იყო რუსეთიდან ჩამოტანილ ბეწვეულზე, ვერცხლის წყალზე და სხვა.

---

[1] თ. ბერაძე, ზღვაოსნობა ძველ საქართველოში, თბ., 1981; თ. ბერაძე, საქართველოს საზღვაო ვაჭრობის ისტორიიდან, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის სერია, 1983 წ. № 2, გვ. 22 — 25; Е. Зевакин и Н. Пенко, Из истории социальных отношений в Генуэзских колониях Северного Причерноморья в XV в., Исторические записки, № 7, 1940 г., З. В. Анчабадзе. Из истории средневековой Абхазии (VI—XVII вв.), Сухуми, 1959, с. 243—249; W. Heyd, Histoire du commerce du Levant au moyen-âge, Leipzig, 1886, pp. 413—407.

XIII—XV საუკუნის პირველ ნახევარში გენუელები და ვენეციელები გაცხოველებულ ვაჭრობას ეწეოდნენ შავ ზღვაზე, რის შედეგადაც დიდი შემოსავალი ჰქონდათ[2]. ასეთი იყო ვითარება ამ რეგიონში ოსმალეთის გაბატონებამდე.

1452 წლის ზაფხულ'ში, სულთნის ბრძანებით, ბოსფორის სრუტის ევროპულ სანაპიროზე აგებულ იქნა ციხე-სიმაგრე რუმელი-ჰისარი. ამასთანავე მეჰმედ II გამოსცა დადგენილება, რომ ყოველი გემი, რომელიც სრუტეში შევიდოდა, ვალდებული იყო შეჩერებულიყო, გაევლო საბაჟო შემოწმება და გადაეხადა ბაჟი. წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში გემი ჩაძირული იქნებოდა. ამ გადაწყვეტილების გასაძლიერებლად სულთანმა ბრძანება გასცა — ბოსფორის სანაპიროზე განელაგებინათ ზარბაზნები. იმავე წლის ნოემბერში შავი ზღვიდან მომავალმა ვენეციის ორმა გემმა უარი თქვა დამორჩილებოდა სულთნის დადგენილებას. მათ ზარბაზნები დაუშინეს, მაგრამ შესძლეს უვნებლად გასულიყვნენ სრუტიდან.

ორი კვირის შემდეგ სრუტეში გამოჩნდა ვენეციის მესამე გემი და მანაც სცადა ხელიდან გასხლტომოდა ოსმალებს, მაგრამ ზარბაზნების ცეცხლით გემი ჩაძირულ იქნა, ხოლო მისი შემადგენლობა დატიმრებული. სულთნის ბრძანებით, მათ თავები მოჰკვეთეს, გემის კაპიტანი კი სარზე ჩამოაცვეს და გზაზე საჩვენებლად დატოვეს[3].

მართალია, სულთნის ეს ღონისძიება მიზნად ისახავდა ალყაშემორტყმული კონსტანტინოპოლის ბლოკირებას, მაგრამ არავინ იცოდა, ბიზანტიის დედაქალაქის დაპყრობის შემთხვევაში, ვითარება როგორ წარიმართებოდა.

როდესაც ვენეციასა და გენუაში ცნობილი გახდა ეს ფაქტები, ამან დიდი შეშფოთება გამოიწვია. მათ აწუხებდათ არა მარტო ის, რომ კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემთხვევაში ისინი დაკარგავდნენ თავიანთ სავაჭრო პრივილეგიებს, რომლებიც მათ ჰქონდათ ბი-

---

[2] В. В. Бадян, А. М. Чиперис. Торговля Каффы в XIII—XV вв., в кн. Феодальная Таврика, Киев, 1974; Э. В. Данилов, Каффа в начале второй половины XV в., Феодальная Таврика; Киев, 1974, А. Л. Якобсон, Крым в средние века, М., 1973; М. В. Габашвили. Генуэзские документы XIII в. как исторический источник, Актуальные проблемы изучения и издания письменных исторических источников, Всесоюзная научная сессия 17—19 октября 1985 г. Батуми, тезисы докладов, с. 36, 37; W. Heyd, Histoire du commerce du Levant, v. II, p. 303; Mihnea Berindei et 'Gilles Vintein, La Tana-Azaq de la présence italiènne à l'Empire Ottoman, „Turcica", t., VII/2, Paris, 1976, pp. 110—203.

[3] Дука, История. с. 388, 389; W. Heyd, Histoire du commerce du Levant, v, II, p. 303.

ზანტიის დედაქალაქში, არამედ, ამას არ მოჰყოლოდა სრუტეებზე ნაოსნობის შეზღუდვა და შავი ზღვის სავაჭრო კოლონიების დაკარგვა.

განსაკუთრებით შეშფოთებული იყვნენ გენუელები, რომელთაც ეშინოდათ, არ დაეკარგათ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სავაჭრო ქალაქი — ნავსადგური პერა, კონსტანტინოპოლთან მდებარე.

გენუის რესპუბლიკის სენატმა ქალაქ გალათას (პერას) პოდესტას (კომისარს) გაუგზავნა მითითება, რომ შექმნილ რთულ ვითარებაში თურქების მიმართ გაეტარებინა ისეთი პოლიტიკა, რომელსაც იგი ჩათვლიდა საჭიროდ, ხოლო კონსტანტინოპოლის დაცემის შემთხვევაშიც უნდა მიეღო ყოველგვარი ღონისძიება აქ კოლონიის შესანარჩუნებლად. სწორედ ამით აიხსნება პერას მოსახლეობის ორჭოფული პოლიტიკა კონსტანტინოპოლის ალყის დროს (იხ. გვ. 123).

კონსტანტინოპოლის დაპყრობისთანავე სულთანმა მეჰმედ II-მ უბრძანა ზაგანოს ფაშას წასულიყო გალათაში და არ მიეცა საშუალება გენუელებისათვის გემები გაეყვანათ ნავსადგურიდან; ქალაქის მცხოვრებნი უნდა დარჩენილიყვნენ თავიანთ ადგილებზე და მათ ეკრძალებოდათ გემებში ჩასხდომა და ქალაქის მიტოვება[4].

კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ, გალათაში პანიკა დაიწყო. მოსახლეობის ნაწილმა ქალაქი მიატოვა და გემებით თავს უშველა. გალათას პოდესტამ ანჯელო ლომენილომ, როგორც კი შეიტყო კონსტანტინოპოლის დაპყრობის ამბავი, ოსმალთა ჯარის მოსალოდნელი შეტევისაგან თავის დაღწევის მიზნით, დაუყოვნებლივ გაგზავნა სულთანთან თავისი ორი წარმომადგენელი. მათ სულთანს მიულოცეს გამარჯვება, მიართვეს ქალაქის გასაღები და სთხოვეს დაემტკიცებინა ქალაქისათვის ის პრივილეგიები და შეღავათები, რომლებიც მას ჰქონდა ბიზანტიელების დროს. წარმომადგენლების მისვლამ სულთნის უკმაყოფილება გამოიწვია. მეჰმედი განრისხებული იყო იმის გამო, რომ პერა დატოვა მრავალმა გემმა, აგრეთვე, მოსახლეობის ორჭოფული პოლიტიკით. ამ მისიის ჩაშლის შემდეგ კოლონიის მესვეურებს ფარხმალი არ დაუყრიათ და მეჰმედთან კვლავ გაგზავნეს თავიანთი წარმომადგენლები. ეს მისია ამჯერად შედეგიანი აღმოჩნდა[5]. ზაგანოს ფაშამ პერას წარმომადგენლებს გადასცა სულთნის ფირმანი (ფიქრობენ, რომ იგი შედგენილი იყო 30 მაისს ან ივნისის პირველ რიცხვებში), რომლის საფუძველზედაც ქალაქი უნდა გადასულიყო

---

[4] Лаоник Халкокондилас, Большая хроника, с. 442, 443.

[5] Там же, С. Расимен. Падение Константинополя. с. 145; Mufassal Osmanli Tarihi, с. IV, s. 462, 463; W. Heyd, Histoire du commerce du Levant, v. II, p. 303.

ოსმალთა ხელში. ამ ფირმანით სულთანი ჰპირდებოდა პერას მოსახლეობას, რომ ქალაქი არ იქნებოდა დანგრეული და მისი მოსახლეობა აყრილ-აწიოკებული, მცხოვრებლები შეინარჩუნებდნენ თავიანთ დუქნებს, წისქვილებს, ბაღ-ვენახებს, გემებს. მაგრამ ვალდებული იყვნენ ჩაებარებინათ იარაღი, დაენგრიათ წმინდა ჯვრის კოშკი და ნაწილობრივ ქალაქის გალავანი. ციხის კედლები შენარჩუნებული უნდა ყოფილიყო მხოლოდ ზღვის სანაპიროზე. არავინ ახლებდა ხელს მათ ცოლებსა და ბავშვებს. ვაჟებს არ წაიყვანდნენ იენიჩარებად. მათ ეძლეოდათ უფლება ესარგებლათ თავიანთი ეკლესიებით, მაგრამ ეკრძალებოდათ ხარების რეკვა, ახალი ეკლესიების აგება. არცერთი თურქი არ იცხოვრებდა მათ შორის, გარდა თურქი მოხელეებისა. მათ უფლება ჰქონდათ ეევაჭრათ სულთნის სამფლობელოებში, როგორც ზღვით, ისე ხმელეთით. გენუის მოქალაქეებს ასევე თავისუფლად შეეძლოთ შესულიყვნენ გალათაში. გალათაში მცხოვრები გენუელები თავისუფლდებოდნენ სპეციალური გადასახადებისაგან, მაგრამ კოლონიის ყოველ მამაკაცს უნდა გადაეხადა სულადი გადასახადი (ჯიზიე). გენუელებს შეეძლოთ შეენარჩუნებინათ თავიანთი სავაჭრო წესები, მაგრამ სხვა მხრივ უნდა დამორჩილებულიყვნენ სულთნის კანონებს. მათ უნდა ამოერჩიათ თავიანთი უხუცესი ან მამასახლისი, რომელიც შეთვალყურეობას გაუწევდა ვაჭრობას და დაამყარებდა კონტაქტს თურქეთის ხელისუფლებასთან[6].

სულთნის ფირმანის გამოქვეყნების შემდეგ ზაგანოს ფაშა თავისი ჯარით შევიდა პერაში დ მის გამგებლად დანიშნულ იქნა ოსმალო მოხელე. ქალაქი გენუელთა გამგებლობიდან ოსმალთა მმართველობის ქვეშ გადავიდა. 3 ივნისს გალათას ეწვია მეჰმედ II. გალათა სტატუსით დაემსგავსა იმ ქალაქებს, რომლებიც ნებაყოფლობით დანებდნენ მუსლიმებს.

კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ, 1453 წელს ზაფხულის ბოლოს, მეჰმედ II ადრიანოპოლში დაბრუნდა. აქ მასთან გამოცხადდნენ მეზობელი ქვეყნების ელჩები ძვირფასი საჩუქრებით და სულთანს მორჩილება გამოუცხადეს. ზოგიერთ მათგანს სხვა მიზანიც ამოძრავებდა — დატყვევებული ნათესავების განთავისუფლება და სხვა.

ბიზანტიელი მემატიანე დუკა, რომელიც დაწვრილებით აგვიწერს ადრიანოპოლში უცხო ქვეყნების წარმომადგენლების ჩამოსვლას, წერს: „ტრაპიზონისა და პონტოს ზღვის მცხოვრებლებს ნაბრძანები ჰქონდათ ყოველწლიურად ჩასულიყვნენ მასთან (სულთანთან — მ. ს.),

---

[6] N. Heyd, Histoire du commerce du Lévant, v. II, p. 303.

თაყვანი ეცათ მისთვის, მიერთმიათ საჩუქრები და გადაეხადათ ხარკი"[7]. კერძოდ, ტრაპიზონის იმპერატორს ოსმალეთის სასარგებლოდ ყოველწლიურად უნდა გადაეხადა 2000 დუკატი[8].

მართალია, წყაროში არაა ნახსენები საქართველო და აგრეთვე მოლდავეთი, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ შავიზღვისპირა ქვეყნებს შორის საქართველო და მოლდავეთიც არის ნაგულისხმევი.

ცნობილია, რომ არც ტრაპიზონის სამეფო და არც საქართველო, კონსტანტინოპოლის დაპყრობამდე, ოსმალეთის მოხარკე ქვეყნები არ ყოფილან. ცხადია, სულთნის ეს მოთხოვნა სამხედრო მუქარაზე იყო დამყარებული.

ამრიგად, მეჰმედ II-მ კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ გადაწყვიტა შავიზღვისპირა ქვეყნები ოსმალეთის მოხარკეებად ექცია.

ადრიანოპოლში სულთანთან არ გამოცხადებულან ტრაპიზონის იმპერატორისა და საქართველოს მეფის ელჩები. თუმცა ზოგიერთი ისტორიკოსი წერს, რომ იქ ჩავიდნენ სამეგრელოს, იმერეთისა და აფხაზეთის წარმომადგენლები[9], მაგრამ ეს ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია.

ჩანს, მეჰმედ II-მ არ დააყოვნა „ურჩი" მეზობლის წინააღმდეგ ზომების მიღება.

1453 წლის 9 ოქტომბერს ვენეციიდან რომის პაპს აცნობეს, რომ ოსმალეთის არმია და ფლოტი სერიოზულად ემზადებიან ტრაპიზონის იმპერატორის წინააღმდეგ ლაშქრობისათვის, რაც მოასწავებდა ოსმალთა ექსპანსიის ახალ ეტაპს შავ ზღვაზე[10]. მაგრამ ამ პერიოდში სულთანმა ვერ გაბედა დაელაშქრა ტრაპიზონი. ამის შესახებ წყაროებში არავითარი ცნობები არ მოიპოვება, არც ისაა ცნობილი, რომ ტრაპიზონის სამეფო ამ დროს ოსმალეთის მოხარკე ქვეყანა გამხდარიყო (ეს უფრო გვიან მოხდა). ჩანს, სულთანმა შესცვალა თავისი გადაწყვეტილება და ეს გეგმა მომავლისათვის გადაიტანა.

პერას დაკავებამ და შავი ზღვის სრუტეებზე ოსმალეთის გაბატონებამ დიდი შეშფოთება გამოიწვია იტალიის საბაჭრო ქალაქებში, რომელთაც მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდათ

---

[7] Дука История, с. 408. სულთანმა ანალოგიური მოთხოვნა წაუყენა ეგეოსის ზღვაზე მდებარე კუნძულების გამგებლებს და მხოლოდ იონიტ-რაინდებმა განუცხადეს სულთანს უარი გამხდარიყვნენ მისი ვასალები და ეხადათ ხარკი.

[8] Дука, История, с. 408.

[9] С. Рансимен, Падение Константинополя, с. 121; F. Babinger, Mahomet le Conquerant et son temps, p. 25; Kritovoulos, History of Mehmed the Conqueror, Princeton, 1954, p. 46.

[10] С. П. Карпов. Трапезундская империя..., с. 142.

შავიზღვისპირა ქვეყნებთან. განსაკუთრებით შეშფოთებული იყვნენ გენუელი ვაჭრები, რომლებსაც მანამდე გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ აქ. გამოჩენილი თურქი მოგზაურის ევლია ჩელების ცნობით, გენუელთა ხელთ იმყოფებოდა შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე შვიდას სამოცდაათი, შვიდას სამოცი ციხე-ქალაქი[11].

გენუელებს ესმოდათ, რომ კონსტანტინოპოლის დაპყრობა, რასაც მოჰყვა პერას დაცემა, გამოიწვევდა შავ ზღვაზე მთელი მათი კოლონიების დაკარგვას[12].

გენუის რესპუბლიკა ამ დროს დასუსტებული იყო მეფე ალფონს არაგონელთან ომებით და ოსმალეთის წინააღმდეგ რაიმე სამხედრო აქციების მოწყობაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. საჭირო იყო დიპლომატიური ნაბიჯის გადადგმა. გენუის დოჟმა და ქალაქის დიდებულებმა მიმართეს წმინდა გიორგის ბანკს თხოვნით — აღმოეჩინა ფინანსური დახმარება სულთანთან საზეიმო ელჩობის გაგზავნის მიზნით.

გენუაში იმედოვნებდნენ, რომ ისინი შესძლებდნენ არა მარტო კაფას გადარჩენას, არამედ შეინარჩუნებდნენ გალათასაც კი. მაგრამ, როდესაც ეს ელჩობა სულთანთან გამგზავრებას აპირებდა, გენუის რესპუბლიკამ შეიტყო ჯერ კონსტანტინოპოლის დაცემა, შემდეგ კი — პერას და გადაწყვიტა, ასეთ ვითარებაში არავითარი აზრი არ ჰქონდა სულთანთან ჩასვლას.

შავი ზღვის გენუელთა კოლონიების მდგომარეობა უარესდებოდა. მეზღვაურებს არ სურდათ შავი ზღვის სრუტეებით ნაოსნობა, ხოლო ვაჭრებს სრუტეებზე ბაჟის გადახდა. კაფაში ორი წლის განმავლობაში (1453 წლიდან 1455 წელს ზაფხულამდე) არცერთი გემი არ ჩასულა არც გენუიდან და არც პერადან[13].

გენუის რესპუბლიკის მთავრობის ფინანსური მდგომარეობა სავალალო იყო. შავი ზღვის კოლონიების მმართველობა და განსაკუთრებით მაჟი დაცვა დიდ ხარჯებს მოითხოვდა, ქალაქის ზოგიერთი გამოცდილი მოქალაქის რჩევით, სენატმა წინადადებით მიმართა წმინდა გიორგის ბანკის მესვეურებს, რათა შავ ზღვაზე მათი კოლონიების მმართველობისა და ფლობის უფლება გადასცემოდა ბანკს.

---

[11] Эвлия Челеби, Книга путешествия (Извлечения из сочинения турецкого путешественника XVII века). Перевод и комментарии, вып. 2, Земли Северного Кавказа, Поволожья и Подонья, составитель и ответственный редактор А. Д. Желтяков, М., 1979, с. 194.

[12] М. Волков. Четыре года Каффы (1453, 1454, 1455 и 1456), Записки Одесского Общества Истории и Древностей, т. VIII, 1882, с. 109.

[13] იქვე.

1453 წელს 10 ნოემბერს სენატმა ამ წინადადებით მიმართა ბანკს. ბანკის მესვეურებმა გადაწყვიტეს, რომ ჯერ კიდევ შეიძლებოდა საქმაო სიმდიდრის დაგროვება შავი ზღვის კოლონიების ექსპლოატაციის ხარჯზე და მიიღეს ეს წინადადება.

1453 წლის 12 ნოემბერს გენუის სენატმა მიიღო დადგენილება, რომლის ძალით წმინდა გიორგის ბანკმა სრულ საკუთრებად მიიღო შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე გენუელთა დასახლება. საბოლოო აქტი ამ კოლონიების გაფორმების შესახებ დამტკიცებულ იქნა 15 ნოემბერს. ბანკის მფლობელობაში გადავიდა კაფა, მიმდებარე მიწებით, სოფლებით, ციხე-სიმაგრეებით, ნავსადგურებით. ბანკმა მიიღო, აგრეთვე, საბაჟო გადასახადების აკრეფის უფლება კაფასა და სხვა ნავსადგურებში. ბანკის ხელთ აღმოჩნდა იურიდიული ძალაუფლება შავი ზღვის რეგიონში მყოფ გენუელთა კოლონიებზე[14].

ამასობაში მეჰმედ II შავიზღვისპირა ქვეყნების წინააღმდეგ ლაშქრობისათვის ემზადებოდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი აპირებდა ტრაპიზონზე თავდასხმას, მაგრამ შემდეგ შეცვალა თავისი გადაწყვეტილება. შავიზღვისპირა ქვეყნებს შორის ერთ-ერთ რეალურ საშიშროს ძალას ყირიმის სახანო წარმოადგენდა[15]. ყირიმის ხანის დამორჩილება ამ ეტაპზე სულთნის გეგმებში არ შედიოდა. პირიქით, სულთანმა გადაწყვიტა ერთმორწმუნე ყირიმის ხანი თავისი ინტერესების სასარგებლოდ გამოეყენებინა და მისი დახმარებით ხელთ ეგდო ქალაქი კაფა, გენუელების მთავარი საყრდენი შავ ზღვაზე.

ამ მიზნით მეჰმედ II ურთიერთობა დაამყარა ყირიმის ხანთან ჰაჯი გირეისთან, რომელიც თავის მხრივ, დაინტერესებული იყო, რომ ყირიმის სანაპიროზე მდებარე იტალიელთა სავაჭრო კოლონიები თავისი ხელისუფლებისათვის დაემორჩილებინა და ამით გაეზარდა შემოსავალი. სწორედ ამ ნიადაგზე მოხდა სულთნისა და ყირიმის ხანის დაახლოება.

1454 წლის დამდეგს მეჰმედ II-სა და ყირიმის ხანს ჰაჯი გირეის შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ოსმალები

---

[14] М. Волков, Четыре года города Каффы..., с. 110, 111.

[15] 1223 წელს თათარ-მონღოლებმა ყირიმი დაიპყრეს და იქ შეიქრნენ და დასახლდნენ. XIII—XIV საუკუნეთა მიჯნაზე იქ შეიქმნა ნახევრად დამოუკიდებელი საგამგებლო, რომლის რეზიდენცია სოლხატში იმყოფებოდა. 1443 წელს ყირიმი გამოეყო ოქროს ურდოს და დამოუკიდებელი სახანო შეიქმნა, რომელსაც გირეები განაგებდნენ. ყირიმის ხანის ცხენოსანი ლაშქარი საკმაოდ მრისხანე ძალას წარმოადგენდა, ყირიმელი ხანები გამუდმებით თავს ესხმოდნენ მეზობელ ხალხებს და მოსვენებას არ აძლევდნენ მათ. ხანების შემოსავლის ძირითადი წყარო ალაფი იყო.

გენუელების წინააღმდეგ კაფაზე იერიშს ზღვიდან მიიტანდნენ, ხოლო ყირიმის ხანი — კი ხმელეთიდან[16].

ჩანს, სულთანი არ დაკმაყოფილდა მხოლოდ კაფაზე იერიშის მიტანით. მან გადაწყვიტა გაეფართოებინა თავისი მოქმედების ასპარეზი. ადრიანოპოლში სულთანთან არ გამოცხადებულან საქართველოსა და მოლდავეთის წარმომადგენლები და მისთვის მორჩილება არ გამოუცხადებიათ. მეჰმედ II-მ გადაწყვიტა მათი დასჯა და მორჩილებაში მოყვანა. ამასთანავე ამ ქვეყნების საზღვაო სანაპიროებზე განლაგებული იყო გენუელთა სავაჭრო ფაქტორიები. მათზე თავდასხმით სულთანი ორ მიზანს აღწევდა: დაიმორჩილებდა როგორც ამ ქვეყნების გამგებლებს, ისე გენუელთა სავაჭრო ფაქტორიებსაც.

ოსმალთა ამ თავდასხმის შესახებ საყურადღებო ცნობებს ვპოულობთ იტალიურ წყაროებში. ეს ცნობები სანდოა, რადგანაც მათი ავტორები მომხდარი ფაქტების თვითმხილველები და მონაწილენი არიან — გენუელთა საკონსულოს მდივანი კაფაში და კაფას ეპისკოპოსი[17]. თურქულ წყაროებში ამ თავდასხმის შესახებ არაფერია შემონახული.

1454 წლის ზაფხულის დამდეგს ოსმალეთის დიდი ფლოტი, რომელიც 56 გემისაგან შედგებოდა, ბოსფორიდან გავიდა, ჯერ მონკასტროსაკენ (აკერმანი) გაემართა, იერიში მიიტანა ქალაქზე, რომლის მოსახლეობამ ენერგიული წინააღმდეგობა გაუწია, შემდეგ აღმოსავლეთისაკენ, კავკასიის სანაპიროსაკენ აიღო გეზი, სოხუმს (სებასტოპოლის) თავს დაესხა და გაძარცვა. სოხუმიდან ოსმალეთის ფლოტი ყირიმისაკენ გაემართა და 11 ივლისს ღუზა კაფას ნავსადგურის მახლობლად ჩაუშვა[18].

ოსმალთა ეს თავდასხმა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე ვახუშტი ბაგრატიონის „ისტორიაში“ შემდეგნაირადაა აღწერილი: „ქ-სა 1451 წელს, — წერს ვახუშტი, — გამოვიდნენ ორმოცდა ათნი კატარღანი სავსენი სპითა სულტან მურადისა, მაჰმადის ძისა და აღაოჭრნეს და მოსწყუჳდნეს ცხომი და აფხაზეთი და ზღჳს პირნი. უკუნიქცნენ და წარვიდნენ“[19].

---

[16] М. Волков. Четыре года города Каффы..., с. 113; W. Heyd, Histoire du commerce du Levant, v. II, p. 383, № 1.

[17] W. Heyd, Histoire du commerce du Levant, v. II, p. 382, 383.

[18] М. Волков, Четыре года города Каффы..., с. 121; W. Heyd, Histoire du commerce du Levant, v. II, p. 483.

[19] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. 4, გვ. 285.

ვახუშტის ამ ცნობაში რამდენიმე შეცდომა აქვს დაშვებული. ჯერ ერთი, ამ დროს ოსმალეთის სულთანი მურადი კი არ იყო, არამედ მეჰმედ II; ეს თავდასხმა მოხდა არა 1451 წელს, არამედ 1454 წელს. კონსტანტინოპოლის დაპყრობამდე (1453 წ.) ოსმალთა თავდასხმა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე ნაკლებად მოსალოდნელია, რადგანაც ამ დროს ოსმალეთის ინტერესები შავი ზღვის რეგიონში მეტად შეზღუდული იყო და ოსმალეთს არ გააჩნდა სათანადო ფლოტი ასეთი დიდი მასშტაბის საზღვაო ოპერაციის ჩასატარებლად[20].

ჩვენი ვარაუდით, ოსმალთა თავდასხმა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე უნდა მომხდარიყო 1454 წლის ივნისის ბოლოს ან ივლისის დასაწყისში[21].

უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე ოსმალთა თავდასხმასთან დაკავშირებით თანამედროვე თურქ ისტორიკოსს მ. კირზიოღლუს მოაქვს ცნობები ქართული და იტალიური წყაროებიდან და მათ შორის არსებულ ქრონოლოგიურ განსხვავებას იმით ხსნის, რომ 1451 წელს, ოსმალების მიერ აფხაზეთისა და სამეგრელოს დაპყრობისა და ხარაჯას დადების შემდეგ, ადგილობრივი მოსახლეობა ოსმალეთს არ დაემორჩილა, უარი თქვა ხარაჯას გადახდაზე და ამიტომ სულთანი იძულებული შეიქნა 1454 წელს მოეწყო ახალი ლაშქრობა მათ დასამორჩილებლად[22].

ჯერ ერთი, მ. კირზიოღლუ, როდესაც პირველად იმოწმებს ვახუშტის ამ ცნობას, იქვე შენიშვნაში მიუთითებს, რომ ქართულ წყაროებში ხშირად ფაქტები 2—3 წლით შეცდომითაა დათარიღებული[23]. ასე რომ, მ. კირზიოღლუსთვის სავსებით ნათელია, რომ ვახუშტის აქ დაშვებული აქვს ქრონოლოგიური შეცდომა, მაგრამ შემდეგ რატომღაც „ივიწყებს" ამას და 1451 წლით დათარიღებულ ვახუშტის ცნობას ოსმალთა მიერ საქართველოზე თავდასხმის შესახებ მართებულად თვლის და არავითარ ეჭვს აღარ გამოთქვამს.

1451 წლის თებერვლის დასაწყისში ტახტზე ავიდა მეჰმედ II და თავის მთავარ ამოცანად დაისახა კონსტანტინოპოლის დაპყრობა და ყველა მისი ცდა და მოქმედება აქეთკენ იყო მიმართული. ასეთ ვითარებაში გამორიცხულად მიგვაჩნია, რომ ოსმალებს ამ წელს თავდასხმა მოეწყოთ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე.

---

[20] М. Х. Сванидзе, Из хронологии Вахушти Багратиони (Первое вторжение турок на Черноморское побережье Грузии), Источниковедческие разыскания, 1982. Тб., 1985, с. 107—111.

[21] М. Х. Сванидзе, указ. соч., с. 110.

[22] M. F. Kırzıoğlu, Osmanlıların Kafkas-elleri'ni fethi (1451—1590), Ankara, 1976, s. 1—7.

[23] იქვე, გვ. 1.

მ. კირზიოღლუ ვახუშტის ამ ცნობის საფუძველზე დაასკვნის, რომ ოსმალებმა 1451 წელს დაიპყრეს აფხაზეთი და სამეგრელო, გაიხადეს ისინი თავის მოხარკეებად და ამ დროიდან მოყოლებული 375 წლის განმავლობაში, 1829 წლამდე ადრიანოპოლის ზავის დადებამდე, ეს ქვეყნები ოსმალეთს ემორჩილებოდა[24].

ეს ისტორიული სინამდვილის აშკარა დამახინჯებაა.

ვახუშტი, საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე ოსმალთა მარბიელი თავდასხმის ამბის გადმოცემის შემდეგ გვაუწყებს: „ამისი მცნობელი მეფე გიორგი წარვიდა, მოსწრაფედ, არამედ ვერა რაჲსაღა ეწია. გარნა მკჳდრნივე დასხნა და უქმნა სიმაგრენი და განაგნა მუნებურნი და მოვიდა გეგუთს“[25].

როგორც ვხედავთ, როდესაც საქართველოს მეფემ შეიტყო ოსმალთა თავდასხმა, სასწრაფოდ გაემართა მათ წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ როცა იგი იქ ჩავიდა, ოსმალები უკვე წასულიყვნენ, მეფემ დაიხსნა ტყვეები და გაამაგრა ციხეები. ვახუშტის ამ ცნობის საფუძველზე არ შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ საქართველოს მეფემ მორჩილება და ხარკის გადახდა აღუთქვა ოსმალებს. ქართულ, ევროპულ და თურქულ წყაროებში არაა დაცული ცნობები იმის შესახებ, რომ ოსმალთა ამ თავდასხმის შედეგად დასავლეთ საქართველო ოსმალეთის მოხარკე ქვეყანა გახდა. საჭიროა აღინიშნოს, რომ, საერთოდ, თურქულ წყაროებში ამ თავდასხმის შესახებ არავითარი ცნობა არ მოიპოვება.

ამრიგად, 1451 წელს ოსმალები არ დასხმიან თავს დასავლეთ საქართველოს. ვახუშტის მიერ აღწერილი ამბავი მოხდა არა 1451 წელს, არამედ — 1454 წელს. ეს იყო ოსმალთა პირველი თავდასხმა საქართველოს მიწა-წყალზე და ამ თავდასხმის შედეგად საქართველოს ოსმალეთის სასარგებლოდ ხარკის გადახდა არ უკისრია.

ოსმალეთის ფლოტი სოხუმიდან ყირიმისაკენ გაემართა, 11 ივლისს ღუზა კაფას ნავსადგურში ჩაუშვა და ელოდებოდა ყირიმის ხანის ლაშქრის მოსვლას. 16 ივლისს ყირიმის ხანი 6000 ლაშქრით

---

[24] M. F. K ı r z ı o ğ l u, Osmanlıların Kafkas..., fethi. s. 6, 7.

[25] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 284.

მოვიდა და კაფას ხმელეთიდან ალყა შემოარტყა. ქალაქი კარგად იყო გამაგრებული და მიუხედავად არა ერთი იერიშისა, მისი აღება ვერ შეძლეს. გენუელებს არსაიდან დახმარების იმედი არ ჰქონდათ და შექმნილ ვითარებაში გენუის კონსულმა ამჯობინა დაზავებოდა მტერს და მოლაპარაკება დაეწყო. დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც კაფას კონსული ვალდებული იყო ყოველწლიურად ყირიმის ხანის სასარგებლოდ გადაეხადა 600 სომი (რომელიც შეესატყვისება 1600 დუკატს ან 13140 ლირას), ქალაქი სამასტრა, რომელიც მანამდე გენუელებს ეკუთვნოდათ, ოსმალთა მფლობელობაში გადადიოდა[26].

მეჰმედ II უკმაყოფილო იყო საზღვაო ლაშქრობის შედეგებით. მან ბოსფორის სრუტე ჩაკეტა. გენუელები არც კი ცდილობდნენ საზღვაო გზით დაკავშირებოდნენ შავ ზღვაზე მდებარე თავის კოლონიებს. თავიანთ წარმომადგენლებს კაფაში სახმელეთო გზით გზავნიდნენ. ამ დროს კაფას შიმშილი ემუქრებოდა, 1455 წელი მოუსავლიანი იყო. კაფას მცხოვრებნი მოითხოვდნენ დახმარებას, სურსათსანოვაგის სახით, რომელიც უნდა მოეწოდებინათ მათთვის ან საზღვაო გზით (ეს კი ნაკლებად რეალური იყო), ან ხმელეთიდან უნგრეთისა და პოლონეთის გავლით.

გენუიდან, კაფისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით, გაიგზავნა 2 გემი 800 ჯარისკაცით. კაფაში ამის შესახებ არაფერი არ იცოდნენ.

შექმნილ ვითარებაში კაფის კონსულმა გადაწყვიტა დაეწყო სულთანთან მოლაპარაკება და ამ მიზნით ელჩი გაუგზავნა. მეჰმედ II ამ დროს ადრიანოპოლში იმყოფებოდა. მოლაპარაკების შედეგად დადებულ იქნა შეთანხმება. ხელშეკრულებით კაფა ვალდებული იყო ყოველწლიურად სულთნისათვის გადაეხადა 3000 ვენეციური დუკატი, როგორც ხარკი (ხარაჯა). ქალაქი სამასტრა, რომელიც გენუელებს ეკუთვნოდათ, ოსმალთა მფლობელობაში გადადიოდა[27].

ამრიგად, გენუელთა მთავარი საყრდენი ფაქტორია შავ ზღვაზე ოსმალეთის მოხარკე გახდა.

რაც დრო გადიოდა, გენუელთა მდგომარეობა შავ ზღვაზე სულ უფრო მეტად უარესდებოდა. ახლა უკვე გენუელი ვაჭრები და მეზ-

[26] М. Волков, Четыре года города Каффы..., с. 114; W. Heyd, Histoire du commerce du Levant, v. II, p. 383.

[27] М. Волков, Четыре года города Каффы..., с. 122.

ღვაურები ნაკლებ ინტერესს იჩენდნენ აღებ-მიცემის საქმეში, რადგანაც იგი ნაკლებად სარფიანი გახდა. მათი მდგომარეობა განსაკუთრებით გაუარესდა მას შემდეგ, რაც ოსმალებმა 1475 წელს დაიპყრეს ყირიმი, შემდეგ აზოვის ზღვის სანაპირო, ქალაქ ტანათი (აზოვი), ხოლო 1484 წელს კილია და აკერმანი (მონკასტრო).

სულ რაღაც ნახევარი საუკუნის განმავლობაში გენუელთა სავაჭრო იმპერია შავ ზღვაზე გაჰქრა თურქეთისა და მისი მოკავშირე ყირიმელი თათრების დარტყმების შედეგად[28].

შავ ზღვაზე ოსმალეთი გაბატონდა, იგი „ოსმალეთის ტბად“ იქცა და მთელი ვაჭრობა მის ხელში გადავიდა.

შავ ზღვაზე ოსმალეთის გაბატონებამ და საერთაშორისო ვაჭრობის შეზღუდვამ უარყოფითი გავლენა მოახდინა საქართველოზე.

---

[28] W. H e y d, Histoire du commerce du Levant, v. II, pp. 365—407.

საქართველოსა და მცირე აზიის ქვეყნების ელჩობა დასავლეთ ევროპაში ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მიზნით (1459—1461)

ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მთელ ქრისტიანულ სამყაროზე. ყველასათვის ნათელი გახდა, თუ რაოდენ სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა ოსმალეთი ქრისტიანული ქვეყნებისათვის. განსაკუთრებით საშიში იყო იგი მისი მეზობლებისათვის — მცირე აზიის, შავი ზღვის სანაპიროს, აღმოსავლეთ ევროპის, აპენინისა და ბალკანეთის ნახევარკუნძულების ხალხებისათვის. მაგრამ ამ ქვეყნების დარაზმვა ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად მეტად რთული საქმე იყო. მათი გაერთიანება საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად მხოლოდ ქრისტიანობის დაცვის მიზნით იყო შესაძლებელი. ამიტომ იყო, რომ ანტიოსმალური კოალიციის შექმნის ინიციატორად კვლავ რომის პაპი გამოვიდა.

1453 წლის 30 სექტემბერს რომის პაპმა ნიკოლოზ V გამოსცა ბულა ჯვაროსნული ლაშქრობის შესახებ. იგი მოუწოდებდა ევროპის მეფე-მთავრებს, დაეღვარათ თავისი და თავიანთი ქვეშევრდომების სისხლი და გაეღოთ შემოსავლის მეათედი ამ საღვთო საქმისათვის. რომის პაპის კარდინალები და ლეგატები სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობდნენ და აგიტაციას ეწეოდნენ ჯვაროსნული ლაშქრობის სასარგებლოდ. 1454 წლის ზაფხულში ენეა სილვიო პიკოლომინი, შემდგომში პაპი პიუს II (1458—1464), წერდა უნგრელ ეპისკოპოსს იანოშ ვიტეზს: „დადგა დრო მთელი მსოფლიო გაერთიანდეს თურქეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. უნგრეთთან, რუსეთთან, გერმანიასთან ერთად შეიძლება იმედი ვიქონიოთ პაპის, ვენეციის, გენუის, ტრაპიზონის იმპერატორისა და ქართველთა მეფესი“[1]. თავის ერთ-ერთ სიტყვაში სილვიო პიკოლომინი აცხადებდა: მეჰმედ II-ს აზიის ყველა ქრისტიანი ქვეყანა არ დამორჩილებია, მათ შორის საქართველო, ტრაპიზონი, სომხეთი, რომლებიც ქრისტეს სჯულს იზია-

---

[1] ლ ა ო შ ტ ა რ დ ი, უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში, თბ., 1980, გვ. 25.

რებენ და არ დააყოვნებენ აიღონ ხელში იარაღი სარწმუნოების დასაცავად[2].

1455 წლის დამდეგს ნიკოლოზ V გარდაიცვალა და რომის პაპი გახდა კალიქსტ III (1455—1458). მიუხედავად ხანდაზმულობისა, მან ენერგიული ზომები მიიღო ოსმალების წინააღმდეგ საბრძოლველად. მან აღჭურვა და გაგზავნა ფლოტი ეგეოსის ზღვაზე, რომელმაც შესძლო დაეკავებინა კუნძულები ნიკოსი, ლემნოსი და სხვა. მაგრამ არცერთმა ქრისტიანულმა სახელმწიფომ არ გამოთქვა სურვილი დაუფლებოდა მათ და მალე ისინი კვლავ ოსმალეთის ხელთ გადავიდნენ. ევროპის ამ რეგიონში ყველაზე დიდი გავლენით ვენეცია და გენუა სარგებლობდნენ, მაგრამ მათ მთავრობებს არ სურდათ ოსმალეთთან ურთიერთობის გამწვავება და ცდილობდნენ სულთანთან მოლაპარაკების გზით დაეცვათ თავიანთი სავაჭრო ინტერესები. რომის პაპის კალიქსტ III-ის დავალებით, იოანე კაპისტრანოელმა იმოგზაურა უნგრეთსა და მის მეზობელ ქვეყნებში ჯვაროსნული ლაშქრობის ორგანიზაციის მიზნით. მისმა პროპაგანდამ გარკვეული ნაყოფი გამოიღო. ამ რეგიონის ქვეყნებმა ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად გარკვეული ნაბიჯები გადადგეს.

ოსმალებთან ბრძოლაში შესამჩნევ წარმატებას მიაღწია იანოშ ჰუნიადიმ. ოსმალეთის ჯარები სერბიაში შეიჭრნენ და აპირებდნენ ბელგრადის დაპყრობას, ხოლო აქედან უნგრეთის წინააღმდეგ შეტევის დაწყებას. 1456 წლის 27 ივლისს უნგრეთის, ჩეხებისა და გერმანელების გაერთიანებულმა ლაშქარმა, იანოშ ჰუნიადის სარდლობით, ბელგრადთან სასტიკად დაამარცხა ოსმალეთის ჯარები; ამით რამდენიმე ათეული წლით გადაურჩა უნგრეთი ოსმალთა აგრესიას. მარცხით დამთავრდა აგრეთვე ოსმალთა ცდა დაემორჩილებინათ ალბანეთი. ამ გამარჯვებებმა ანტიოსმალური კოალიციის მომხრეებს დიდი იმედები ჩაუსახა[3].

---

[2] M. Brosset, Addition et éclaircissement à l'Histoire de la Géorgie depuis l'Antiquité jusqu'au 1469 de J. C., St.-Petersbourg, 1851, p. 408; Jorga N., Notes et extraits pour servir à l'Histoire des croisades au XV[e] siècle serie IV (1453—1476), Bucarest, 1915, p. 153.

[3] 1457 წლის 22 დეკემბერს პაპი კალიქსტ III ყვარყვარე ათაბაგისადმი მიწერილ საპასუხო წერილში აცნობებდა: „მთელმა მსოფლიომ იცის, მცირერიცხოვანმა ქრისტიანებმა ტრანსილვანიის ვოევოდას — იოანე (იანოშ) დე ჰუნიადის თავკაცობითა და ღირსეული ძმის, ნეტარი ფრანცისკოს ორდენიდან, იოანე დე კაპისტრანის მეთაურობით დიადი საქმე გააკეთეს. როდესაც ბელგრადთან, უნგრულ ქალაქთან, მცირერიცხოვანმა ქრისტიანებმა თურქთა მმართველის მაჰმედ-ბეის (მეჰმედ II — მ. ს.) უზარმაზარი ლაშქარი დაამარცხეს და გააქციეს, დახოცეს 80000 კაცი და ამდენივე ტყვედ ჩაიგდეს. ძნელი წარმოსადგენია, რამდენი აღჭურ-

1456 წელს რომის პაპის კალიქსტ III-ის დავალებით, მარონიტების წესის ფრანცისკანელი ბერი ლუდოვიკო ბოლონიელი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში გაემგზავრა ოსმალეთის წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის ორგანიზაციის მიზნით[4]. იგი საქართველოში ჩამოსულა და ქართველ მეფე-მთავრებს შეხვედრია. ამ დროს საქართველო, ფაქტიურად, ცალკეულ სამეფო-სამთავროებად იყო დაყოფილი: საქართველოს მეფის გიორგი VIII-ის ხელისუფლება დასავლეთ და

ულობა. რამდენი ოქრო, ვერცხლი და სხვა სიმდიდრე გადმოვიდა ჩვენს ქრისტიანთა ხელთ. უკანასკნელ დღეებში იგივე მაჰომედ ბეიმ გადაწყვიტა დაეპყრო ქრისტიანული პროვინცია ალბანეთი და იქითკენ თავისი ლაშქრის, რომელიც ბელგრადთან განცდილი დამარცხების შემდეგ ის-ის იყო მოსულიერდა, უმეტესი ნაწილი გაგზავნა. მაგრამ მის წინააღმდეგ გაილაშქრა ალბანეთის ქრისტიანმა მმართველმა და ხელმწიფემ — სკანდერბეგმა. მან ღმერთის დახმარებითა და წყალობით მარტომ შესძლო საგმირო საქმე. თურქებს იმდენად მძიმე მარცხი მიაყენა, რომ მხოლოდ ცოტა მათგანმა გაქცევით უშველა თავს. ამას გარდა ამ სულთანმა დიდი ჯაფითა და ხარჯით აღუჩენა მრავალი ტრირემა თუ კატარღა და სხვა ხომალდი, სულ 200-მდე. იმედოვნებდა რა ხმელეთზე განცდილი მარცხის შემდგ წარმატება ზღვაზე მოეპოვებინა, ეს ფლოტი კუნძულ მითილენის მიმართულებით დაიძრა, სადაც, მისი ცნობით, ქრისტიანები ცოტანი იყვნენ, მაგრამ სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ ჩვენებმა მრავალი მათგანი დახოცეს, ხელთ ჩაიგდეს მათი ხომალდებისა და ტრირემის ნაწილი, ფლოტის დანარჩენი ნაწილი კი აიძულეს უწესრიგოდ -გაქცეულიყო შინისაკენ" (დ. პაიჭაძე, ლუდოვიკო და ბოლონია და ქართველთა ელჩობა დასავლეთ ევროპაში, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1983, № 4, გვ. 56). მართალია, ამ წერილში ფაქტები გაზვიადებულია, მაგრამ იგი ძირითადად სწორად ასახავს საერთო სურათს.

[4] ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს საკითხი შესწავლილი აქვთ: მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902;; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი IV თბ., 1948, გვ. 66—77; კ. კეკელიძე. Отклики в Грузии на падение Константинополя (к 500-летию взятия Константинополя турками). ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. III, თბ., 1955; ე. მამისთვალიშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV ს-ის მეორე ნახევარსა და XVI ს-ში, თბ., 1981, გვ. 38—58; ი. ბერაძე, ჯვაროსნული ლაშქრობისა და ანტიოსმალურ კოალიციაში საქართველოს მონაწილეობის შესახებ, „მაცნე", 1965, № 4, გვ. 59—67; დ. პაიჭაძე, ლუდოვიკო და ბოლონია და ქართველთა ელჩობა დასავლეთ ევროპაში, „მაცნე", ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1983, № 4, გვ. 49—70; მისივე, ფრიდრიხ III-ის წერილი საქართველოს მეფე გიორგი VIII-ისადმი, „მაცნე", ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1981, № 4, გვ. 100—108; მისივე, საქართველოსა და მცირე აზიის ზოგიერთი ქვეყნის ელჩობა ევროპაში (1460—1461 წწ.). „ევროპის ქვეყნების ისტორიის პრობლემები, თბ., 1983, გვ. 135—148; მისივე „ევროპის" ქვეყნების ანტიოსმალური კოალიცია და საქართველო XV ს-ის 66-იან წლებში, თბ., 1989.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოზე ნომინალური იყო. იმერეთის მეფობას ბაგრატი იჩემებდა, სამეგრელოს სამთავროს — დადიანი, გურიის — მამია გურიელი, აფხაზეთიც დამოუკიდებელ ერთეულად ჩანს. სამცხის ათაბაგი ყვარყვარეც ასევე დამოუკიდებელი ქვეყნის გამგებლად გრძნობდა თავს. ამ ნიადაგზე მეფე-მთავრებს შორის გაუთავებელი ბრძოლა მიმდინარეობდა. 1454 წლის ზაფხულში ოსმალთა თავდასხმამ აფხაზეთისა და სამეგრელოს შავი ზღვის სანაპიროზე ქართველი მეფე-მთავრები დიდად შეაშფოთა. სწორედ ამ დროს საქართველოში ჩამოვიდა რომის პაპის წარმომადგენელი ლუდოვიკო ბოლონიელი, რომელმაც მათ ოსმალეთის წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის გეგმა გააცნო. საქართველოს მეფე-მთავრები დადებითად შეხვდნენ რომის პაპის ამ წინადადებას. ლუდოვიკო ბოლონიელის შუამავლობით ქართველ მეფე-მთავრებს ურთიერთშორის ბრძოლა შეუწყვეტიათ და ზავი დაუდიათ. ყვარყვარე ათაბაგი ბურგუნდიის ჰერცოგისადმი გაგზავნილ ეპისტოლეში წერდა: „შევურიგდი ყველა ჩემს მეზობელს ქრისტიან მთავრებს და გადავწყვიტე მთელი ჩემი ღონე და შესაძლებლობა მოვახმარო ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლას“[5].

1457 წლის დამლევს ლუდოვიკო ბოლონიელი რომში დაბრუნდა და თან ჩამოიტანა ქართველი მეფე-მთავრების წერილები. რომის პაპი კმაყოფილი დარჩა ლუდოვიკო ბოლონიელის მახლობელ აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობით, განსაკუთრებით საქართველოს შესახებ მიწოდებული ინფორმაციით. პაპმა გადაწყვიტა, კვლავ გაეგზავნა ლუდოვიკო ბოლონიელი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში და ამ მიზნით 1457 წლის 14 დეკემბერს მას ოფიციალური საშვი უბოძა. ამავე დროს პაპმა წერილები შეადგინა საქართველოს მეფე-მთავრებისათვის გადასაცემად. ამ წერილებიდან ირკვევა, რომ ლუდოვიკო ბოლონიელს პაპისათვის უცნობებია, რომ საქართველოში მრავლად ცხოვრობენ კათოლიკები და მისდევენ „ჭეშმარიტებისა და საუკუნო ცხოვრების გზას“. პაპს ესიამოვნა, აგრეთვე, ქართველების სურვილი, რომ მათთვის მიეცა უფლება საკუთარი პატრიარქის არჩევისა. ლუდოვიკოსათვის გადაცემული წერილით იგი აცნობებდა, რომ მათ უფლება ეძლევათ პატრიარქად ის პიროვნება აირჩიონ, ვისაც თვითონ მოისურვებენ და წარმოდგენილი კანდიდატის დამტკიცებას ჰპირდებოდა. ამასთანავე პაპი თხოვდა ქართველებს ლუდოვიკო ბოლონიელისათვის აღმოეჩინათ დახმარება, რათა მას პაპის ყველა დავალების შესრულება გაადვილებოდა[6].

---

[5] მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 58..

[6] მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 50, 51; დ. პაიჭაძე, ლუდოვიკო

რომის პაპის მიერ საქართველოს მეფე-მთავრებისათვის მიწერილი საპასუხო წერილებიდან ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ ერთი ეპისტოლე. ესაა 1457 წლის 22 დეკემბერს დაწერილი პაპის კალიქსტ III-ის პასუხი სამცხის ათაბაგის ყვარყვარე II-სადმი[7]: „შენი წერილი მოგვართვა ლუდოვიკო დე ბოლონიამ... ჩვენმა ნუნციომ. დიდი სიამოვნებით დავრწმუნდით შენს ერთგულებაში აპოსტოლური ტახტისა და ჩვენს-უფლისა იესო ქრისტეს დედამიწაზე მოადგილისა და წარმომადგენლის მიმართ. ჩვენმა ნუნციომ ისიც მოგვახსენა, თუ რაოდენი მორჩილებით შეხვდი შენ ჩვენს მითითებებსა და შეგონებებს ქრისტეს მიერ ჩვენს უძვირფასეს შვილთან საქართველოს მეფესთანა და იმ ადგილების სხვა მმართველებსა და ქრისტიან ერებთან მშვიდობიანობის შესახებ. ამ მშვიდობის საშუალებით თქვენ ადვილად შეძლებთ შეუდგეთ ურწმუნო ბარბაროსთა გაწყვეტას, რომლებიც თქვენთან ახლოს ცხოვრობენ. იმავე ნუნციოს მონათხრობიდან შევიტყვეთ შენი პირობა — გააგრძელო ომი ყველა ქრისტიანის მტრის — თურქების წინააღმდეგ, რომელსაც როგორც აბობ, ბრძოლის ველზე ყოველთვის ამარცხებდი ხოლმე და ჩვენთვის ძალზე სასიამოვნოა, თუ შენ შენი დანაპირების აღსრულებაში სიმტკიცეს გამოიჩენ, რისი იმედიც ჩვენ გვაქვს, ყოვლის შემძლე ღმერთი მტერზე უფრო დიდ გამარჯვებასა და ალფაზს მოგვანიჭებს"[8]. შემდეგ რომის პაპი მოუწოდებს ათაბაგს მშვიდობიანი ურთიერთობა დაამყაროს თავის მეზობლებთან, გაერთიანდნენ, ხოლო, თავის მხრივ, დასავლეთის ქრისტიანული ქვეყნებიც გაერთიანდებიან და ერთობლივად დაამარცხებენ მტერს: „ოღონდაც თქვენს შორის, იქური ქვეყნების ქრისტიანებს შორის მშვიდობა და თანხმობა იყოს, რისთვისაც ჩვენ მოგიწოდებთ უფლის მიერ და ღმერთის ნებით. უმოკლეს ხანში თქვენი გაერთიანების დიად ნაყოფს შეუერთდება უფრო დიდი, დასავლეთის ქრისტიანთა ძალების მეშვეობით, რომლებიც გაცხარებულნი დაესხმიან თურქებს მეორე მხრიდან. ვინაიდან

და ქართველთა ელჩობა.., გვ. 54; ე. მამისთვალიშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV საუკუნის მეორე ნახევარსა..., გვ. 47, 41; A. Bryer, Ludovico da Bologna and the Georgian and Anatolian Embassy of 1460—1461, „Bedi Kartlisa revue de Kartvelologie", XIX—XX, Paris, 1965, pp. 179, 180.

[7] A. Bargellesi Severi. Nuvoi documenti sur Lodovico da Bologna, al secolo Lodovico Severi nunzio Apostolico in Oriente 1455—1457, Archivum Franciscanum historicum, 96, 1976, pp. 20—22; ეს წერილი ქართულად თარგმნა და გამოაქვეყნა დ. პაიჭაძემ. ლუდოვიკო და ქართველთა ელჩობა..., გვ. 55, 56.

[8] იქვე.

დასავლეთის ყველა ხელმწიფეებსა და ხალხებს მოვუწოდებთ წერილობით, რათა შეიკრიბონ ჩვენთან, დედასა ქალაქს რომში და უფლის წინამძღოლობით მონაწილეობა მიიღონ დიდ ლაშქრობაში თურქების განადგურებლად. ასე რომ, ჩვენ ვიმედოვნებთ ვიხილოთ, თუ როგორ შეუერთდება ჩვენი დასავლეთის ლაშქარი, თქვენსას, აღმოსავლეთისას ბარბაროსთა დასამარცხებლად და განადგურებლად"[9].

ლუდოვიკო ბოლონიელის რომიდან გამგზავრების წინ კალიქსტ III გარდაიცვალა, რის გამო ლუდოვიკო იძულებული შეიქნა ახალი პაპის არჩევას დალოდებოდა. 1458 წლის 19 აგვისტოს კონკლავმა პაპად აირჩია პიუს II. იგი კიდეე უფრო ენერგიულად შეუდგა ჯვაროსნული ლაშქრობის ორგანიზაციას.

1458 წლის 4 ოქტომბერს პიუს II შეჯამა და მოიწონა ლუდოვიკოს საქმიანობა აღმოსავლეთის ქვეყნებში; მან შეაკავშირა და უნიაზე დაითანხმა შემდეგი მღვდელმთავრები: ანტიოქიაში სამი პატრიარქი (1. აღმოსავლეთ-ბერძნული ეკლესიის, 2. მარონიტების, 3. სომხთა, ბაბილონელთა და ქალდეველთა); ალექსანდრიის იაკობიტი პატრიარქი; იერუსალიმის მართლმადიდებელი პატრიარქი და ქართველთა კათოლიკოსი. მათთან შეკავშირებული ყოფილან „მეფე სპარსთა, მეფე ქართველთა, მეფე მეგრელთა და ტრაპიზონის კეისარი, აგრეთვე, „სპარსეთის ერი". 5 ოქტომბერს ლუდოვიკო პაპის ბულით დამტკიცებულ იქნა აღმოსავლეთის კათოლიკეთა პატრიარქად. ამავე დროს პაპმა ქართველ და „სპარს" კათოლიკებს თავისი წინამორბედის წერილები განუახლა[10].

1458 წლის მიწურულს ლუდოვიკო ბოლონიელმა დატოვა რომი და მცირე აზიის ქვეყნებსა და საქართველოში გამოემგზავრა[11]. მას დავალებული ჰქონდა ამ ქვეყნების მონაწილეობით შეედგინა ანტიოსმალური ლიგა და ამ ლიგის წარმომადგენლები ჩამოეყვანა მანტუაში, სადაც დეტალურად შეიმუშავებდნენ ოსმალეთის წინააღმდეგ მოქმედების გეგმას.

პიუს II კი მანტუაში გაემგზავრა, სადაც უნდა შეკრებილიყვნენ ევროპის სახელმწიფოს წარმომადგენლები ჯვაროსნული ლაშქრობის

---

[9] დ. პაიჭაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 56.

[10] შ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 51; დ. პაიჭაძე, ლუდოვიკო და ქართველთა ელჩობა..., გვ. 57, 58; A. Bryer, დასახ. ნაშრომი, გვ. 180.

[11] არ უნდა იყოს სწორი დ. პაიჭაძე როდესაც წერს, რომ 1457 წლის დასასრულს ლუდოვიკო აღმოსავლეთის ქვეყნებში გაემგზავრა და ამ მოგზაურობიდან 1458 წლის სექტემბრისათვის დაბრუნდა; დ. პაიჭაძე, ლუდოვიკო და ქართველთა ელჩობა..., გვ. 57. ამ დროს ლუდოვიკო აღმოსავლეთში აღარ გამგზავრებულა, რადგან გარდაიცვალა რომის პაპი. იგი დაელოდა ახალი პაპის არჩევას და მხოლოდ ამის შემდეგ გაემგზავრა მცირე აზიასა და საქართველოში.

ორგანიზაციის მიზნით. პაპის ამ გეგმის შესახებ ივ. ჯავახიშვილი წერდა: „წინამოსაყდრე პაპთა გეგმის დამსხვრევისდა მიუხედავად პაპს პიუს II-ის ჯვაროსანთა ომის მოსაწყობად უფრო ფართო და რთული გეგმა შეუმუშავებია. მას მთელი აღმოსავლეთ-დასავლეთის საქრისტიანო ქვეყნების ამოძრავება განუზრახავს და შეუგნია, რომ კონსტანტინოპოლის დასაბრუნებლად თურქების მთელი ძლიერების დამხობა იყო საჭირო, რაც მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა მოსახერხებელი, თუ ოსმალებს მცირე აზიაშიც ნიადაგი ფეხებითგან გაძოეცლებოდათ. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებლად საჭირო იყო ევროპის ჯვაროსნების ოსმალთა საწინააღმდეგოდ ამხედრებას მცირე აზიაში მყოფი ქრისტიანებიც მიმხრობოდნენ. ამ საქმის მოსაწყობად პაპს მინორიტების მოწესეთაგან ლუდოვიკო ბილონიელი გამოუგზავნია მახლობელ აზიაში. ის საქართველოშიაც მოსულა და აქ უამბნია, რომ რომის პაპი მანტუაში წაბრძანდა საეკლესიო კრების მოსაწყობად და თურქთა ხელმწიფის მუჰამედის წინააღმდეგ ომის მოსაწყობად“[12].

როდესაც ლუდოვიკო ბოლონიელი საქართველოში მეორედ ჩამოვიდა, აქ ვითარება კიდევ უფრო ხელსაყრელი იყო. ქართველი მეფე-მთავრები მსურვალედ გამოეხმაურნენ რომის პაპის გეგმას. 1459 წელს საქართველოს მეფე-მთავრებს შორის უკვე მშვიდობიანობა იყო დამყარებული. გიორგი VIII ბურგუნდიის ჰერცოგს ფილიპეს 1459 წელს ატყობინებდა: „ჩვენ ყველა ქრისტიანმა მთავრებმა, რომლებიც ამ ქვეყანაში ვცხოვრობთ, ურთიერთშორის ზავი, კავშირი და ერთობა დავდეთ და ერთმანეთს შევფიცეთ მთელი ჩვენი ცოდნითა და ძალღონით თურქებს ვეომოთ, განსაკუთრებით იმათ, რომელნიც კონსტანტინოპოლში არიან, რადგან ისინი ქრისტიანთა ყველაზე უფრო მოძულენი არიანო“[13]. დაახლოებით იმავე შინაარსის წერილი გაუგზავნა ყვარყვარე II-მ ბურგუნდიის ჰერცოგს[14].

წყაროებიდან ირკვევა, რომ ქართველი პოლიტიკოსები არ დაკმაყოფილებულან რომის პაპის მიერ შემოთავაზებული წინადადებით და მათ ოსმალეთის განადგურების უფრო ფართო გეგმა შეუმუშავებიათ: „ქართველ-მეფე მთავრებს უნდოდათ საქმე ისე მოეწყოთ, რომ ოსმალთა სრული დამარცხება, საბოლოო განადგურება და თვით სახსენებლის მოსპობაც — კი, შესაძლებელი გამხდარიყო. ამისათვის ქართველებს ოსმალთა წინააღმდეგ ერთობლივი შეთანხმე-

---

[12] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, გვ. 66, 67.

[13] ი. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 61, 536; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, გვ. 67.

[14] იქვე.

ბული მოქმედების მოწყობა მიაჩნდათ საჭიროდ ისე, რომ ოსმალეთისათვის ორთავე მხრით შეეტიათ და სამხედრო მოქმედება ეწარმოებინათ. ოსმალთა მცირე აზიის სამფლობელოში, ანატოლიაში, ქართველები უნდა შეჭრილიყვნენ თავიანთი მოკავშირეებითურთ, დანარჩენებს კი — საბერძნეთისა და შავი ზღვის ნაწილს, ქართველი პოლიტიკოსები დასაელეთი ევროპის ჯვაროსან ქრისტიანებს უტოვებდნენ სამოქმედო ასპარეზად. ამგვარად შემუშავებული სამხედრო გეგმის განხორციელება ქართველებს სრულ იმედს აძლევდა, ვითომც ერთს ზაფხულში მთელს ანატოლიასა და მცირე აზიაში მყოფ სამფლობელოებს ოსმალთა ხელითგან გამოგლეჯას შესძლებდნენ, და რაკი ოსმალეთზე ამასთანავე ორთავე მხრითგან იქნებოდა იერიში მიტანილი, ორ ჯარს შუა მოქცეული წინააღმდეგობის გაწევას ნაკლებად შესძლებს, მალე დამარცხდება და თვით მათ სახელებსაც — კი მოვსპობთ დედამიწის ზურგზეო"[15].

1459 წელს ყვარყვარე II ათაბაგი ბურგუნდიის ჰერცოგს წერდა: „გპირდებით, რომ ერთი ზაფხულის განმავლობაში დავიპყროთ მთელი ანატოლია და ყველა ქალაქი, რომელნიც კონსტანტინოპოლელ ოსმალოს ამ მხარეს უკავია, ხოლო იმის მეორე ადგილები, რომელშიც საბერძნეთი და რომელსაც შავი ზღვა ჰყოფს. თქვენ დაგიტოვეთ დასაპყრობად: მისი აღება ადვილი იქნება, რადგან, როდესაც სულთანი ასე ორ ჯარს შუა მოექცევა, ვეღარ გაუძალდება, მალე დაიძლევა და ამნაირად, მის სახელს ქვეყანაზე მოვსპობთ"[16].

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ყვარყვარე ათაბაგი რომის პაპს კალიქსტს თხოვდა, რომ იგი დაენიშნათ ჯარების მთავარსარდლად. „რაც შეეხება შენთვის მთავარსარდლობის ბოძებას მთელ სამხედრო ძალებზე, — წერდა რომის პაპი ყვარყვარე ათაბაგს, — რასაც თქვენი ქვეყნების ქრისტიანებში ბარბაროსებზე სალაშქროდ მოაგროვებენ, ჩვენ შენ ამისათვის სავსებით ღირსეულად გთვლით და შენ შეგიძლია მამაშვილის მსგავსად მთავარსარდალი იყო. ასე, რომ ჩვენ ამ წოდებას გიწყალობებთ"[17].

ჩანს, სამცხის ათაბაგები, საქართველოს ძველი ტრადიციის შესაბამისად, ჯარების სარდლობას ჩემულობდნენ.

წყაროების ანალიზის შედეგად ივ. ჯავახიშვილმა დაადგინა ქართველ მეფე-მთავართა სია, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს ანტიოსმალურ კოალიციაში მიეღოთ მონაწილეობა. ესენია: საქართველოს მეფე გიორგი VIII, სამცხის ათაბაგი ყვარყვარე II, სამეგრე-

---

15 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, გვ. 71, 72.
16 მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 58, 59.
17 დ. პ აი ჭ ა ძ ე, ღუდოვიკო და ქართველთა ელჩობა..., გვ. 55, 56.

ლოს მთავარი ბედიანი, გურიის მთავარი მამია, ანაკოსიის (აფხაზეთის) ერის მთავარი რაბაი (ფაბია). ზოგიერთ დოკუმენტში მითითებულია, აგრეთვე, ქუთაისის (იმერეთის) მეფე ბაგრატი[18]. მაგალითად, 1460 წელს ყვარყვარე ათაბაგის მიერ ვენეციის დოჟისადმი გაგზავნილ წერილში მოხსენიებულია ქუთაისის მეფე პანკრატიოსი[19] (ბაგრატი), სხვა წერილებში — „ბაგრატ მეფე იბერიისა“[20]. ეს მეტად საყურადღებო ცნობაა ბაგრატის ბიოგრაფიის დასადგენად, რადგან ქართულ ისტორიოგრაფიაში ბაგრატს ზოგი ისტორიკოსი თელის ერისთავად, ზოგი — მეფის შთამომავლად[21]. ამ წერილების მიხედვით, ბაგრატი უფრო მეტად მეფის გვარისა ჩანს.

ამგვარად, ანტიოსმალურ კოალიციაში მონაწილეობას იღებდა საქართველოს ყველა მეფე-მთავარი. ქართველების ასეთი დიდი ეპოქის ანტიოსმალურ კოალაციაში მონაწილეობისა, რა თქმა უნდა, არ უნდა მივაწეროთ მხოლოდ ლუდოვიკო ბოლონიელის დიპლომატიურ ნიჭს. ჩანს, ქართველ მეფე-მთავრებს კარგად ჰქონდათ შეგნებული, რამდენად დიდი საფრთხე ემუქრებოდათ მათ ოსმალეთის მხრიდან. ვფიქრობთ, რომ ამ რწმენის განმტკიცებაში დიდი როლი შეასრულა 1454 წელს ოსმალთა თავდასხმამ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე.

საქართველოს მეფე-მთავრებს საკმაოდ მრავალრიცხოვანი ლაშქარი უნდა გამოეყვანათ ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მეფე გიორგის — 40000 ცხენოსანი, ყვარყვარეს — 20000. ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, სამეგრელო-აფხაზეთის მთავრებს უნდა გამოეყვანათ დაახლოებით 10000 მეომარი[22]. წყაროებში არაა მითითებული, აგრეთვე, თუ რამდენი მეომარი უნდა გამოეყვანა იმერეთის მეფესა და გურიის მთავარს. უნდა ვივარაუდოთ, რომ მათ სულ მცირე 10000 ცხენოსანზე ნაკლები არ უნდა გამოეყვანათ. ამრიგად, საქართველოს ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად 80000-იანი ლაშქარი უნდა გამოეყვანა[23].

---

18 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, გვ. 68.

19 დ. პაიჭაძე, ლუდოვიკო და ქართველთა ელჩობა..., გვ. 59, 60.

20 მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 62.

21 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, გვ. 80—83; ს. კაკაბაძე, გენეალოგია ბაგრატ VI აფხაზთა და ქართველთა მეფის.. ტფ., 1912, გვ. 1—2.

22 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, გვ. 72.

23 ქართველ მეფე-მთავართა მიერ გამოსაყვანი ლაშქრის განსხვავებული რაოდენობა მოცემულია ტრაპიზონის იმპერატორის დავითის ბურგუნდიის ჰერცოგისადმი გაგზავნილ წერილში, 1459 წ. 22 აპრილს, რომლის მიხედვით, გიორგი მეფეს უნდა გამოეყვანა 60 000 მებრძოლი, ყვარყვარეს, 20000, სამეგრელოს მთავარს თავის

გიორგი მეფის დროშის ქვეშ უნდა დარაზმულიყვნენ, აგრეთვე, ჯიქები და ჩრდილოეთკავკასიელი ალანები (ოსები)[24].

ამ დროს ოსმალეთის მხრიდან ყველაზე მეტად საშიშროება ემუქრებოდა ტრაპიზონის სამეფოს. ცხადია, ტრაპიზონის იმპერატორი დავით კომნენი დიდად იყო დაინტერესებული ანტიოსმალური კოალიციის მოწყობით და იგი მონდომებით გამოეხმაურა ლუდოვიკო ბოლონიელის წინადადებას.

1459 წლის 22 აპრილს დავით კომნენის მიერ ბურგუნდიის ჰერცოგისადმი გაგზავნილი წერილებიდან ირკვევა, რომ იგი შეუერთდა ანტიოსმალურ ლიგას და მზად იყო ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად გამოეყვანა — 20000 მეომარი და 30 გალერა[25].

ანტიოსმალურ კოალიციას შეუერთდა, აგრეთვე, მცირე სომხეთის გამგებელიც, რომელიც პირდებოდა 20000 მებრძოლის გამოყვანას[26]. მცირე სომხეთის ქვეშ იგულისხმება კილიკიის სომხეთი, სადაც ამ დროს ადანის საემირო არსებობდა.

ამრიგად, აღმოსავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებს ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად უნდა გამოეყვანათ 120—130 ათასი მებრძოლი.

ივ. ჯავახიშვილი სავსებით სამართლიანად შენიშნავს, რომ „ქართველი პოლიტიკოსები მარტო ქრისტიან მეზობელთა თანამშრომლობით არ დაკმაყოფილებულან და თავიანთი გეგმა სარწმუნოებრივი ზღუდეებით კი არ შემოუფარგლავთ, არამედ ამ საქმის განხორციელების დროს საფუძვლად პოლიტიკური თვალსაზრისით უხელმძღვანელიათ. ქართველ მეფე-მთავრებს მაჰმადიან თურქ მთავრებისათვისაც მიუმართავთ და უთხოვიათ ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში მათაც მონაწილეობა მიეღოთ. ქართველებს იმ გარემოებით უსარგებლიათ, რომ მათ გულში სტამბოლის თურქთა წინააღმდეგ

შვილთან ერთად — 60000, აფხაზეთის მთავარს, თავის ძმებითა და თავადებით — 30000 (ი. ბერაძე, ჯვაროსნული ლაშქრობისა და ანტიოსმალურ კოალიციებში საქართველოს მონაწილეობის შესახებ, მაცნე, 1965, № 4, გვ. 63; Ф. И. Успенский, Очерки из истории Трапезунтской империи, Ленинград, 1929, с. 135 იქვე, A. Bryer, დასახ. ნაშრ., გვ. 181, 182, 196—198). ამრიგად, გამოდის, რომ ქართველთა ლაშქრის რაოდენობა 170000 მეომარს შეადგენდა. ეს რიცხვი, რა თქმა უნდა, ძალზე გაზვიადებულია.

[24] ვ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 54; Ф. И. Успенский, Очерки из истории Трапезунтской империи, с. 135; M. Brosset, Additions..., p. 408; A. Brayer, op. cit, p. 198.

[25] ი. ბერაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 56; Ф. И. Успенский, Очерки из истории Трапезунтской империи. с. 135; A. Bryer, დასახ. ნაშრ., გვ. 180, 198.

[26] იქვე.

იმდენად ძლიერი მტრული გრძნობა ღვიოდა, რომ მათ დასამხობად ქრისტიანებსაც სიამოვნებით შეუერთდებოდნენ"[27].

მუსლიმურ ქვეყნებს შორის ყველაზე რეალური ძალა ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად თეთრბატკნიანთა გამგებელს უზუნ ჰასანს გააჩნდა. იგი თავის თავს ირანის შაჰების მემკვიდრედ თვლიდა და იბრძოდა ირანის გაერთიანებისათვის. მისი ანტიოსმალურ კოალიციაში ჩაბმა არ იყო რთული საქმე, რადგან იგი დიდად იყო დაინტერესებული სულთნის წინააღმდეგ ბრძოლით, რომელიც საფრთხეს უქმნიდა მის სამფლობელოებს. ჯვაროსნულ ლაშქრობაში მის მონაწილეობას ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რომ უზუნ ჰასანს ნათესაური ურთიერთობა ჰქონდა ტრაპიზონის იმპერატორთან. მას ცოლად ჰყავდა იმპერატორ იოანე IV-ის ქალიშვილი თეოდორა.

უნდა ვიფიქროთ, რომ ანტიოსმალურ კოალიციაში უზუნ ჰასანის ჩაბმის საქმეში გარკვეული როლი ითამაშა ტრაპიზონის მეფემ. სწორედ ტრაპიზონის იმპერატორი დავითი აცნობებდა ბურგუნდიის ჰერცოგს, რომ უზუნ ჰასანი მზად იყო ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად გამოეყვანა 40000-იანი ლაშქარი[28].

ოსმალთა სულთნების წინააღმდეგ განსაკუთრებით თავგამოდებით იბრძოდნენ ყარამანიის ემირები, რომლებიც ცდილობდნენ თავი დაეცვათ ოსმალთა ხელყოფისაგან. როგორც აღვნიშნეთ, ყარამანიის ემირებს განუწყვეტელი ბრძოლა ჰქონდათ ოსმალეთის სულთნებთან. უკანასკნელად ემირი აღუდგა მეჰმედს — 1451 წ., როდესაც იგი ტახტზე ავიდა. ამ დროს მეჰმედ II-ის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა კონსტანტინოპოლის დაპყრობა, ამიტომ სულთანი ყარამანიის ემირის წინაშე გარკვეულ დათმობაზე წავიდა და კონფლიქტი მშვიდობიანი გზით იქნა მოგვარებული. მაგრამ კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ სულთანმა შეცვალა თავისი ურთიერთობა მასთან და მიისწრაფოდა ყარამანიის საემიროს სრული ინკორპორაციისაკენ. ცხადია, ასეთ ვითარებაში ყარამანიის გამგებელი ხალისით შეუერთდებოდა ოსმალეთის წინააღმდეგ მიმართულ კოალიციას.

ასეთივე საფრთხე ემუქრებოდა ტრაპიზონის მეზობელ სინოპის საემიროსაც. მართალია, სინოპის გამგებელი ოსმალეთის მოხარკე იყო, მაგრამ სულთანი აღარ კმაყოფილდებოდა მოხარკეობით და ცდილობდა საემიროს გაუქმებას.

---

27 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, გვ. 73.

28 ი. ბერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 63; Ф. И. Успенский, указ. соч., с. 135; A. Bryer, დასახ. ნაშრომი, გვ. 180.

ტრაპიზონის მეფის დავითის მიერ ბურგუნდიის ჰერცოგისადმი გაგზავნილი წერილიდან ირკვევა, რომ ყარამანიისა და სინოპის გამგებლები „მუდამ იმის ძიებაში არიან როგორმე შური იძიონ „თურქებზე“[29].

ამრიგად, მაჰმადიანური ქვეყნებიდან ანტიოსმალურ კოალიციაში გაერთიანდნენ აყ-ყოინლუს (თეთრბატკნიანთა) გამგებელი უზუნ-ჰასანი, ყარამანიისა და სინოპის გამგებლები.

ყარამანიის საემირო სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში, ხმელთაშუაზღვის სანაპიროზე გადიოდა, სინოპის საემირო — შავ ზღვაზე, მათ შორის აყ-ყოინლუს სახელმწიფო მდებარეობდა (წერილებში უზუნ ჰასანი, ზოგჯერ მესოპოტამიის მეფედაც არის მოხსენიებული). ამრიგად, ოსმალეთის წინააღმდეგ აღმოსავლეთ ანატოლიაში სამხრეთიდან (ხმელთა შუაზღვის სანაპიროდან) ჩრდილოეთამდე (შავი ზღვის სანაპირომდე) ერთიანი ფრონტი იქმნებოდა. მთავარი შეტევა ცენტრალური ანატოლიიდან უნდა დაწყებულიყო. უზუნ ჰასანის ჯარებს უნდა დაეკავებინათ ქალაქი ბურსა და იქიდან გასულიყვნენ ეგეოსის ზღვის სანაპიროზე.

ამავე დროს მაჰმადიანი გამგებლები იძლეოდნენ პირობას, რომ თავიანთ ქვეყნებზე „მისცემდნენ გასასვლელს“[30] ქრისტიანთა ქვეყნების ჯარებს, რათა ოსმალეთის წინააღმდეგ შეტევა დაეწყოთ. ამას კი უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ანტიოსმალური გეგმის პრაქტიკულად რეალიზაციის შემთხვევაში.

როგორც დავინახეთ, როდესაც ლუდოვიკო ბოლონიელი მახლობელ აღმოსავლეთის ქვეყნებსა და საქართველოში ჩამოვიდა, აქ მეტად ხელსაყრელი ვითარება დახვდა ოსმალთა წინააღმდეგ კოალიციის შესაქმნელად. საფიქრებელია, რომ მან საქართველოს პოლიტიკური მესვეურებისა და ტრაპიზონის მეფის ხელისშეწყობით ანტიოსმალური კოალიცია შეადგინა. მასში გაერთიანდნენ როგორც ქრისტიანული, ასევე მაჰმადიანური ქვეყნები: საქართველო, ტრაპიზონი, მცირე სომხეთი, აყ-ყოინლუ, ყარამანიისა და სინოპის საემიროები. კოალიციის მონაწილეებს ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად უნდა გამოეყვანათ დაახლოებით 200 ათასამდე მებრძოლი.

ანტიოსმალური კოალიციის მოწყობის მიზნით მცირე აზიისა და საქართველოს მეფე-გამგებლებმა დასავლეთ ევროპაში შემდეგი წარმომადგენლები მიავლინეს: ტრაპიზონის კეისარმა დავით კომნენმა — მიქაელ ალიგიერი, საქართველოს მეფემ გიორგი VIII —

---

[29] ი. ბერაძე, დახახ. ნაშრ., გვ. 63; მ. თამარაშვილი, დახახ. ნაშრ., გვ. 59; A. Bryer, დახახ. ნაშრ., გვ. 181.

[30] იქვე.

ნიკოლოზ თბილელი, ყვარყვარე II ათაბაგმა — ფარსადანი, აყყოინლუს ვაჟმა — უზუნ ჰასანმა — მოჰამედ თურქმანი, მცირე სომხეთის გამგებლებმა — მორად არმენიელი[31].

„ქართველი მეფე-მთავრები და მათი მოკავშირენი, — წერს ივ. ჯავახიშვილი, — ისე დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ოსმალთა წინააღმდეგ დასავლეთ-აღმოსავლეთის ქრისტიანთა შეერთებული და თანხმობრივი სამხედრო მოქმედება მოეწყობოდა, რომ დასავლეთში თავიანთი დესპანები გაისტუმრეს ეპისტოლეებითა და სიტყვიერი დავალებით დატვირთულნი“[32].

საფიქრებელია, რომ დასავლეთ ევროპაში აღმოსავლელთა ელჩობა უნდა გამგზავრებულიყო 1459 წლის მიწურულს, რადგან საქართველოს მეფე-მთავრების წერილები დათარიღებულია 1459 წლის ნოემბრით, ე. ი. მათი გამგზავრება უნდა მომხდარიყო ამ წერილების შედგენის შემდეგ, დეკემბერში. ჩანს, ლუდოვიკო ბოლონიელის მეთაურობით ევროპაში მიმავალი ელჩობა საქართველოში ჩამოსულა და აქედან გაემგზავრა ევროპაში, ალბათ, ისინი დასავლეთ საქართველოდან გემით უნდა წასულიყვნენ აზოვამდე. წყაროების მიხედვით: დატოვეს კოლხეთი, გაიარეს სკვითთა ქვეყანა და დონისა და დუნაის გავლით ჩავიდნენ უნგრეთში[33]. უნგრეთის მეფემ მათიაშ კორვინმა გულითადი მიღება მოუწყო მათ და მოლაპარაკების შედეგად ერთსულოვნად წამოწყებული საქმის სასურველ წარმატებაში ოპტიმისტურმა იმედმა შეიპყრო ყველა[34].

უნგრეთიდან აღმოსავლელი ელჩები 1460 წლის ოქტომბერში ვენაში ჩავიდნენ, სადაც შეხვდნენ გერმანიის იმპერატორს ფრიდრიხ III-ს (1452—1453). იმპერატორი კარგად იყო ორიენტირებული შექმნილ ვითარებაში, მისთვის სავსებით ნათელი იყო, თუ რაოდენ სერიოზული საფრთხის ქვეშ იმყოფებოდა უნგრეთი, ხოლო უნგრეთის დაცემის შემთხვევაში — მთელი დასავლეთის ქრისტიანობა კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. ფრიდრიხი უძლური და ღარიბი იყო, რადგან არ გააჩნდა რეალური ძალაუფლება გერმანიის თავადების მიმართ, არც პოლიტიკური და არც ფინანსური თვალსაზრისით. მას განსაკუთრებით დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა

---

31 მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 60, 61; ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 68—71; დ. დ. პაიჭაძე, ლუდოვიკო და ქართველთა ელჩობა.., გვ. 62, A. Bryer, დასახ. ნაშრ., გვ. 181.

32 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 75.

33 დ. პაიჭაძე, ლუდოვიკო და ქართველთა ელჩობა.., გვ. 59; A. Bryer, დასახ. ნაშრ., 120.

34 ლ. ტარდი, უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა, გვ. 21.

უნგრეთის მეფესთან მატიაშ კორვინთან. მიუხედავად ყოველივე ამისა, ფრიდრიხ III დადებითად შეხვდა აღმოსავლელთა ელჩობას და საქართველოს მეფეს გიორგი VIII-ს წერილით მიმართა: „ეჭვიც არ გვეპარება, რომ სხვა ერთგულნი და აღთქმის დამდები ქრისტიანები აღდგებიან ჩვენი რწმენის დასაცავად, მტრის დასამარცხებლად და გასაძევებლად. კონსტანტინეპოლის უბედურების დღიდან მოყოლებული ჩვენ ზრუნვითა და პატრონობით ერთგულად ვუწყობთ ხელს ძლიერი მხედრობის შექმნას ქრისტიანი ხალხის გასამარჯვებლად“[35].

იმპერატორი დათანხმებულა, რომ თურქეთთან ომში ძლიერ ჯარს გამოიყვანდა[36], მაგრამ ეს მხოლოდ ტკბილი სიტყვა იყო და საქმით არაფერი გაუკეთებია. ვენიდან ლუდოვიკო ბოლონიელი და მისი თანმხლები პირები იტალიაში გაემგზავრნენ და ჩავიდნენ ვენეციაში. ვენეციის სენატმა ელჩები დიდი პატივით მიიღო. ყვარყვარეს ელჩმა ვენეციის დოჟს გადასცა ათაბაგის წერილი[37]. იგი აცნობებდა ვენეციის რესპუბლიკას, რომ „ჩვენ ამ ადგილების მცხოვრებმა ყველა ქრისტიანმა, ხელშეკრულება დავდეთ ურწმუნოთა წინააღმდეგ მთელი ჩვენი ძალებით ერთობლივად გამოსვლის შესახებ“. შემდეგ წერილში ჩამოთვლილი იყო ანტიოსმალური კოალიციის წევრები როგორც ქრისტიანი, ისე მაჰმადიანური ქვეყნებისა. „ჩვენ, — წერს ათაბაგი, — მზად ვართ და შეგვიძლია თქვენი ნებისმიერი ბრძანება აღვასრულოთ, რაც თქვენ ელჩების მეშვეობით შეგვატყობინეთ“[38].

ვენეციიდან ელჩები ფლორენციაში ჩავიდნენ და 1460 წელს 14 დეკემბერს ისინი მიიღო ქალაქის სენატმა. მათ სენატს გადაასცეს საქართველოს მეფის, ტრაპიზონის კეისრისა და ყვარყვარე ათაბაგის წერილები. სენატის წინაშე ლათინურ ენაზე სიტყვით გამოვიდა ტრაპიზონის კეისრის ელჩი მიქაელ ალიგიერი, რომელმაც სენატს გააცნო ლუდოვიკოს მოღვაწეობა აღმოსავლეთში. მან შეაკავშირა აღმოსავლეთის მმართველები, რომლებიც მტრობდნენ ერთმანეთს, მაგრამ პაპის ავტორიტეტისა და ლუდოვიკოს მითითების წყალობით დაზავდნენ და ხელშეკრულება დასდეს. მათ შეუერთდნენ მაჰმადიანი გამგებლებიც. მათ სურდათ ომის დაწყება, მაგრამ ეს საქმე

---

35 ეს წერილი თარგმნა და გამოსცა დ. პაიჭაძემ, ფრიდრიხ III წერილი..., გვ. 104.

36 დ. პაიჭაძე, საქართველოსა და მცირე აზიის ელჩობა..., გვ. 139.

37 ეს წერილი თარგმნა დ. პაიჭაძემ, ლუდოვიკო და ქართველთა ელჩობა, გვ. 59, 60.

38 იქვე.

გადადეს, ვიდრე არ გაგზავნიდნენ ელჩებს პაპთან და დასავლეთის ხელმწიფეებთან და მათ პასუხს არ შეიტყობინებდნენ[39].

ფლორენციის სენატი კმაყოფილი დარჩენილა აღმოსავლეთის ქვეყნების ელჩობით და მეორე დღეს სენატმა აღნიშნულ მთავრობებთან წერილები შეადგინა. მაგალითად, ტრაპიზონის იმპერატორისადმი გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „უდიდესი სიხარულით მოვისმინეთ თქვენი ელჩის... მოხსენება რომელიც... ყველა ქრისტიანის თაყვანისცემასა და სიყვარულს იმსახურებს... ჩვენ უზენაეს პონტიფიკოსსა და სხვა ქრისტიან ხელმწიფეებთან ერთად არ დავაყოვნებთ მონაწილეობის მიღებას ასეთ აღსანიშნავსა და მხსნელ საქმეში, რომელიც კათოლიკური სარწმუნოების ასამაღლებლადაა მიმართული“[40].

ტრაპიზონის სამეფო კარის ყურადღება ფლორენციის რესპუბლიკის მიმართ გაპირობებული იყო იმ შიშით და საფრთხის გაძლიერებით, რომელიც მას ოსმალეთმა შეუქმნა. იმ პერიოდში ტრაპიზონთან ვაჭრობაში წამყვანი ადგილი გენუელებსა და ვენეციელებს ეკავათ, განსაკუთრებით კი — გენუის რესპუბლიკას, რომელიც დიდი პრივილეგიებითა და შეღავათებით სარგებლობდა. მაგრამ შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაში გენუა და ვენეცია თავს . იკავებდნენ ოსმალეთის წინააღმდეგ აშკარა გამოსვლისაგან, რადგან მასთან ომის შემთხვევაში, მათ ეშინოდათ არ დაეკარგათ თავიანთი სავაჭრო კოლონიები შავი ზღვის სანაპიროზე. ასეთ ვითარებაში დავით კომნენმა გადაწყვიტა ფლორენციის რესპუბლიკა დაეინტერესებინა ტრაპიზონთან ვაჭრობით და ამის საფასურად ჩაება ივი ანტიოსმალურ კოალიციაში.

ფლორენციელი ვაჭრები შავ ზღვაზე გამოჩნდნენ გაცილებით გვიან, ვიდრე გენუელები და ვენეციელები. XIV საუკუნეში ფლორენციის რესპუბლიკას ჯერ კიდევ არ გააჩნდა ამ რეგიონში თავისი სავაჭრო ფაქტორიები. მიუხედავად ამისა, XIV საუკუნის შუა წლებში ფლორენციელები ვაჭრობდნენ ტრაპიზონში, ტანაში, სევასტიაში. XIV საუკუნის დამლევს ფლორენციელი ვაჭრები ცდილობენ შეიჭრან შავ ზღვაზე გენუელთა და ვენეციელთა ბაზრებზე. XV საუკუნის 30-იანი წლებიდან ფლორენცია მიისწრაფოდა დამოუკიდებლად ევაჭრა ლევანტის ქვეყნებთან: 1429 წელს გაგზავნილ იქნა ფლორენციელთა პირველი გემი კონსტანტინოპოლში, ხოლო 1439 წელს იქ დაარსდა მათი საკონსულო[41]. აქედან ფლორენციელები

---

39 დ. პაიჭაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 61.

40 იქვე, გვ. 186.

41 С. П. Карпов, Трапезундская империя и западноевропейские госу.

ტრაპიზონშიაც ჩადიოდნენ სავაჭროდ. თანდათანობით ფლორენციელები დიდ ინტერესს ამჟღავნებდნენ ტრაპიზონთან ვაჭრობაში. 1460 წლის 24 ივლისს, ალიგიერის ჩასვლამდე, ფლორენციის გემი პიზიდან გაიგზავნა ტრაპიზონში[42].

ამრიგად, იმ დროს, როდესაც აღმოსავლელი ელჩები ფლორენციაში ჩავიდნენ, მეტად ხელსაყრელი პირობები არსებობდა ფლორენცია-ტრაპიზონის დაახლოების საქმეში.

როგორც ზემოთ მივუთითეთ, ლუდოვიკო ბოლონიელის ფლორენციაში ელჩობის მიზანი იყო რესპუბლიკის ჩაბმა ანტიოსმალურ კოალიციაში. ყურადღებას იმსახურებს ის, რომ ტრაპიზონის კეისრის ელჩი მიქაელ ალიგიერი ფლორენციელი იყო, დიდი იტალიელი პოეტის დანტე ალიგიერის შორეული ნათესავი. ინგლისელი მეცნიერის ა. ბრაიერის ცნობით, მიქაელ ალიგიერი მონაწილეობას იღებდა შავი ზღვის ვაჭრობაში და დაინტერესებული იყო ტრაპიზონის სამეფოსთან სავაჭრო ხელშეკრულების დადებით. ადვილად შესაძლებელია, რომ იგი იმყოფებოდა ტრაპიზონის სამეფოს სამსახურში, ანდა იმპერატორისაგან მიიღო სპეციალური დიპლომატიური დავალება[43]. 1460 წელს 14 დეკემბერს ტრაპიზონის მეფის დავით კომნენოსის სახელით ალეგიერიმ დასდო სავაჭრო ხელშეკრულება ფლორენციასთან. ამ ხელშეკრულებით ვენეციელებისა და გენუელების პრივილეგიები გავრცელდა ფლორენციელებზედაც: ხელშეკრულებით ფლორენციას უფლება ეძლეოდა ჰქონოდა ტრაპიზონში საცხოვრებელი. ფლორენციელებმა მიიღეს თანასწორი უფლებები ვენეციელებისა და გენუელების მსგავსად ადმინისტრაციული და სასამართლო იმუნიტეტის სფეროში. მათ, აგრეთვე, მიიღეს ნებართვა გაეხსნათ საკონსულო. ახალი და მნიშვნელოვანი იყო სატრანზიტო ბაჟის შეცვლა: ფლორენციელებს, ისევე როგორც გენუელებსა და ვენეციელებს, შემოტანილ საქონელზე უნდა გადაეხადათ საქონლის ღირებულების 2%. საქონლის გატანაზე ბაჟი საერთოდ გაუქმებულ იქნა. ისევე, როგორც ადრე ვენეციელებთან დადებული ხელშეკრულებით, 1460 წლის ხელშეკრულებითაც გადასახადით არ იბეგრებოდა სავაჭრო ოპერაციები კოლონიის შიგნით ვაჭრობის დროს, ასევე არარეალიზებულ საქონელზე ბაჟს არ იხდიდნენ[44].

дарства, с. 160; W. Heyd, Histoire du commerce du Levant, v. II, pp. 362, 363; A. Bryer, op. cit., p. 185.

[42] A. Bryer, დასახ. ნაშრ. გვ. 185, 186.

[43] С. П. Карпов, Трапезундская империя..., с. 161; W. Heyd, Histoire du commerce du Levant, v. II, pp. 362, 363; A. Bryer, op. cit., p. 186.

[44] იქვე.

თავისთავად ცხადია, რომ ფლორენციასთან ხელსაყრელი სავაჭრო ხელშეკრულების დადებით დავით კომნენს სურდა მიეღო მისგან დახმარება ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ეს ხელშეკრულება ქაღალდზე დარჩა; მისი მოწერიდან ერთი წელიც კი არ იყო გასული, რომ ტრაპიზონის სამეფო ოსმალეთმა დაიპყრო.

აღსანიშნავია ის, რომ აღმოსავლელთა ელჩობა გენუაში არ წავიდა. ჩანს, ელჩობის წევრებმა კარგად იცოდნენ გენუის სენატის უარყოფითი დამოკიდებულება ანტიოსმალური კოალიციის შექმნის საკითხში და მათ გადაწყვიტეს დრო არ დაეკარგათ.

ფლორენციიდან ლუდოვიკო ბოლონიელი ელჩებითურთ პირდაპირ რომისაკენ გაემართა და 20 დეკემბერს „სამარადისო ქალაქში" ჩავიდნენ. ელჩები გამოირჩეოდნენ არა მარტო თავიანთი უჩვეულო მანერებით, არამედ საოცარი და საკვირველი ჩაცმულობითაც. ეს იმდენად უცხო სანახაობა იყო, რომ ყველა მათზე ხელით უთითებდა და ბავშვების დიდი ჯგრო ყიჟინით მისდევდა უკან[45]. რომის პაპი პიუს II მათ შემდეგნაირად აგვიწერს: „სპარს ელჩს თავი გადაპარსული ჰქონდა, გარდა თმის პატარა წრისა, ჩვენი ბერების მსგავსად, მესოპოტამიელს იგივე გარდა იმისა, რომ თავის კორტოხზე თმის პატარა ბუჩქი ჰქონდა, როგორც თვით მათი სიტყვებით წარმართი ქურუმები ატარებდნენ ქუდებზე... აქვე უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი მათგანი ყოველდღე ჰამდა 20 გირვანქა ხორცზე მეტს თითოეული"[46].

ბუნებრივია, აღმოსავლეთის წარმომადგენელთა ასეთი აღწერა რომაელთა მიერ მათდამი დამოკიდებულების განმსაზღვრელი უნდა იყოს. არა გვგონია, რომ იგი სრულ სინამდვილეს შეესაბამებოდეს, ამაში კი აირეკლა — რომაელთათვის ჩვეული ქედმაღლობა და ამპარტავნობა სხვათა მიმართ.

რომში მათ მიეგებნენ სასულიერო დასნი და ეპისკოპოსები და დიდის პატივით მიიღეს, როგორც მეფეთა ელჩნი, დააყენეს სამთავრო სასახლეში და მთავრობის ხარჯითვე შეინახეს[47].

ელჩებმა პიუს II განუცხადეს, რომ ისინი მხარს უჭერენ მანტუას საეკლესიო კრების გადაწყვეტილებას, რომელიც მიზნად ისახავს ოსმალეთის წინააღმდეგ კოალიციის შექმნასა და გაერთიანებული ძალებით ომის დაწყებას. „ეს ამბავი ძლიერ ესიამოვნა ჩვენს მთავრებს, განუცხადეს პაპს ქართველმა ელჩებმა, რადგან მათ

---

45 დ. პაიჭაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 62; A. Bryer, დასახ. ნაშრ., 182.

46 იქვე.

47 ვ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 61.

სძულთ ოსმალები და თქვენ კი უყვარხართ და პატივს გცემენ ისე, როგორც ქრისტეს ნაცვალს. მზად არიან თქვენი ბრძანების აღსრულებისათვის. ჩვენს მთავრებს ერთმანეთში მძულვარება და ომი ჰქონდათ, მაგრამ თქვენმა ნუნციომ რომ უბრძანა, მაშინვე შერიგდნენ და აწ მზად არიან დაუწყონ ომი ოსმალებს, როდესაც კი თქვენ უბრძანებთ"[48]. ამასთანავე ელჩებს პაპისათვის უცნობებიათ, რომ ისინი მზად არიან ოსმალეთის წინააღმდეგ 120 ათასიანი არმია გამოიყვანონ საბრძოლველად. ამავე დროს ქართველებს თავიანთი მოთხოვნაც წაუყენებიათ. მათ ოსმალეთთან ომში მხოლოდ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მონაწილეობა არ აკმაყოფილებდათ და მოითხოვდნენ რომის პაპსაც მიეღო მონაწილეობა. მათ პაპს განუცხადეს, ჩვენ ომს მაშინ დავიწყებთ, როდესაც თქვენ ინებებთ და დასავლეთის ქვეყნებთან ერთად ეომებით ოსმალებს. ამავე დროს პაპს სთხოვეს, რათა ლუდოვიკო აღმოსავლეთის კათოლიკთა პატრიარქად დაემტკიცებინა[49].

პიუს II-მ აღმოსავლეთის წარმომადგენლებს განუმარტა, რომ მას მანტუაში ძალა და ღონე არ დაუშურებია დასავლეთის ქვეყნების გაერთიანებლად, მაგრამ მისი ცდა ამაო გამოდგა. ამისათვის ელჩები თავად უნდა გამგზავრებულიყვნენ საფრანგეთსა და ბურგუნდიაში, ვინაიდან კარლოს VII-სა და ფილიპე კეთილის გარეშე ამგვარი ომის წარმოება წარმოუდგენელი იქნებოდა. პიუსი წერს, რომ ელჩები დათანხმებულან, ოღონდ უთხოვიათ მათთვის სამგზავრო ფული და ლუდოვიკოს პატრიარქად დამტკიცება. პაპმა მათი ორივე თხოვნა დააკმაყოფილა და 1461 წ. 9 იანვარს ბულა გამოსცა, რომლის ძალითაც ლუდოვიკო ბოლონიელი ინიშნებოდა ანტიოქიის პატრიარქად, მაგრამ ამ გადაწყვეტილებას ძალა არ ექნებოდა, სანამ ლუდოვიკოს ახალი მისია წარმატებით არ დაგვირგვინდებოდა და პაპი მის საპატრიარქოს საზღვრებს არ დააზუსტებდა[50].

1461 წელს 13 იანვარს პიუს II ლუდოვიკოსა და მის თანხმლებ პირებს დასავლეთში სამოგზაუროდ სარეკომენდაციო წერილები უბოძა[51]. მაგალითად, პაპმა წერილი მისწერა ბურგუნდიის ჰერცოგს ფილიპეს, რომელშიაც მოუწოდებდა მას ყურადღებით მოესმინა აღ-

---

48 ვ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 62, 62; პაიჭაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 62; ე. მამისთვალიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 51; A. Bryer, დასახ. ნაშრ., გვ. 182.

49 იქვე.

50 დ. პაიჭაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 64; A. Bryer, დასახ. ნაშრ., გვ. 150.

51 იქვე.

შოსაველეთის ელჩებისათვის და არ დაეყოვნებინა ოსმალთა წინააღმდეგ გამოსვლა[52].

სარეკომენდაციო წერილების მიღების მეორე კვირას ლუდოვიკო და აღმოსავლეთის ელჩები რომიდან ფლორენციაში გაემგზავრნენ, იქიდან მილანში, ხოლო მილანიდან კი საფრანგეთისაკენ აიღეს გეზი და 1461 წლის დამდეგს პარიზში ჩავიდნენ, სადაც შეხვდნენ საფრანგეთის მეფეს კარლოს VII. ლუდოვიკომ მეფეს მოახსენა თავიანთი ელჩობის მიზანი. მოხუც მეფეზე ანტიოსმალურმა გეგმამ მაინცდამაინც დიდი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. იგი დაკავებული იყო თავისი ქვეყნის აღდგენით, ინგლისთან ხანგრძლივი და გამაპარტახებელი ომის გამო. ოსმალები მისი ქვეყნიდან შორს იმყოფებოდნენ, ხოლო მას ჰქონდა უფრო მნიშვნელოვანი და გადაუდებელი საქმეები თავის საკუთარ ქვეყანაში — ომის შემდეგ მოშლილი მეურნეობის აღდგენა.

პარიზიდან აღმოსავლელი ელჩები გაემგზავრნენ ბურგუნდიაში და 1461 წლის 29 მაისს სენტ-ომერში ჩავიდნენ, სადაც ბურგუნდიის ჰერცოგმა ფილიპემ დიდი პატივით მიიღო[53].

ბურგუნდიის ჰერცოგი ფილიპე III — კეთილი (1419—1467) ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი და გავლენიანი პიროვნება იყო. 1435 წელს საფრანგეთის მეფემ კარლოს VII ფილიპეს დამოუკიდებლობა აღიარა. მალე მან ნიდერლანდების მნიშვნელოვანი პროვინციებიც შეიერთა. ბურგუნდია ამ დროს ევროპის ძლიერ სახელმწიფოდ იქცა. ფილიპე აღარ კმაყოფილდებოდა „დასავლეთის დიდი ჰერცოგის“ ტიტულით და იღვწოდა მიეღო რომის პაპისაგან მეფის გვირგვინი. ამიტომ იყო, რომ ფილიპე ყოველნაირად ცდილობდა რომის პაპთან კარგი ურთიერთობა ჰქონოდა. სწორედ ამით აიხსნება ისიც, რომ იგი ყოველთვის მხარს უჭერდა რომის პაპის მოწოდებას საღვთო ომი ეწარმოებინათ ურჯულოების წინააღმდეგ.

ბურგუნდიის ჰერცოგი ფილიპე III ითვლებოდა ოსმალების წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობის ერთ-ერთ თავგამოდებულ დამცველად. 1443 წელს ფილიპე III-მ შალონაში მიიღო ბიზანტიის ბაზილეოსის ელჩობა, რომელმაც მას დახმარება სთხოვა ოსმალების წინააღმდეგ საბრძოლველად. მან მხარი დაუჭირა ამ წინადადებას. ფილიპეს ბრძანებით, ვალერიან დე ვავრინის მეთაურობით შავ ზღვაზე გაგზავნილ იქნა საზღვაო ექსპედიცია, რომელსაც დახმარება უნდა აღმოეჩინა უნგრეთის მეფე ვლადისლავ III-ისა

---

[52] E. Janssens, Trébizonde en Colchide, Bruxelles, 1969, pp. 149, 150.

[53] დ. პაიჭაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 64; A. Bryer, დასახ. ნაშრ., გვ. 192.

და იანოშ ჰუნიადისათვის ბალკანეთში. მაგრამ 1444 წელს ვარნასთან ჯვაროსნების დამარცხების შემდეგ ამ ექსპედიციამ დაკარგა თავისი აქტუალობა, თუმცა განაგრძობდა ოსმალების წინააღმდეგ მოქმედებას, უმთავრესად მდ. დუნაის შესართავთან. ბურგუნდიის გემების ერთი რაზმი გამოჩნდა ტრაპიზონის სამეფოს ნაპირებთანაც. გარდა ოსმალებისა ისინი თავს ესხმოდნენ გენუელთა გემებსა და ნავსადგურებს და ეწეოდნენ მეკობრეობას. ტრაპიზონიდან გალერები კაპიტან ჟოფრუა დე ტუსის მეთაურობით გამოემართნენ კავკასიის სანაპიროსაკენ და თავს დაესხნენ ბათუმს. ამ თავდასხმის დროს ჟოფრუა დე ტუსი დაატყვევეს ქართველებმა (იხ. გვ. 93—94). ბურგუნდიის ჰერცოგმა ფილიპემ თხოვნით მიმართა ტრაპიზონის იმპერატორს იოანე IV დასმარება აღმოეჩინა ჟოფრუა დე ტუსის განთავისუფლების საქმეში. იოანე IV-მ გადაწყვიტა არ ჩამოეგდო კონფლიქტი ბურგუნდიასთან და მიეღო მისგან დახმარება საერთო მტრის ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, ამიტომ გამოიჩინა ინიციატივა დე ტუსის გამოსახსნელად. ტრაპიზონის იმპერატორის თხოვნით, ქართველებმა გაანთავისუფლეს ბურგუნდიის გემის კაპიტანი[54]. ასეთი იყო პირველი კონტაქტი ბურგუნდიელებისა ტრაპიზონთან და ქართველებთან.

1452 წელს ბურგუნდიის ჰერცოგმა ფილიპე III გადაწყვიტა, რომ დადგა ხელსაყრელი დრო აღმოსავლეთში ლაშქრობის მოსაწყობად. ამ დროისათვის ასწლიანი ომი დასასრულს უახლოვდებოდა. მან მოწოდებით მიმართა საფრანგეთის მეფეს კარლოს VII გაელაშქრათ სულთნის წინააღმდეგ. ჰერცოგის კარზე მიაჩნდათ, რომ აღმოსავლეთის ქრისტიანი ქვეყნები იქნებოდნენ დასავლეთის მოკავშირეები: ტრაპიზონის საკეისრო, საქართველო და სომხეთი. დასავლეთში ვარაუდობდნენ, რომ საქართველოს შეეძლო გამოეყვანა 50000 მებრძოლი, ხოლო ტრაპიზონს — 25000[55].

1453 წელს დამთავრდა ასწლიანი ომი. სწორედ ამავე წელს ოსმალებმა დაიპყრეს კონსტანტინოპოლი. ჩანს, ფილიპეს ჰქონდა იმედი, რომ საფრანგეთის მეფე აქტიურად ჩაებმებოდა „ურჯულო“ ოსმალეთთან ომში. მაგრამ საფრანგეთის მეფე არ აპირებდა ოსმალეთის წინააღმდეგ გამოსვლას. ფილიპე III-ის მოლაპარაკება კარლოს VII-თან უშედეგოდ დამთავრდა. მიუხედავად ამისა, 1454 წელს

---

[54] С. П. Карпов, Трапезундская империя..., с. 155—158; A. Bruer, დასახ. ნაშრ., გვ. 190, 191.

[55] С. П. Карпов, Трапезундская империя..., с. 158, 159; A. Bruer, დასახ. ნაშრომი, გვ. 197.

ბურგუნდიის ჰერცოგმა „მიიღო ჯვარი“ და 1457 წელს შეუდგა ჯვაროსნული ლაშქრობისათვის სამზადისს[56].

აღმოსავლელმა ელჩებმა ფილიპე კეთილს რომის პაპისა და თავიანთი მეფე-მთავრების წერილები გადასცეს. აღსანიშნავია, რომ ტრაპიზონის კეისარი დავითი, ბურგუნდიის ჰერცოგ ფილიპესადმი გაგზავნილ წერილში პირდებოდა, რომ ოსმალებზე გამარჯვების შემთხვევაში, მას იერუსალიმის მეფედ გახდიდა, ჯვაროსნული ტრადიციის თანახმად. ამან ფილიპე იმდენად გაიტაცა, რომ თავის ანდერძში დაიბარა, რომ მისი გული იერუსალიმში დაეკრძალათ[57].

ბურგუნდიის ჰერცოგს ფილიპეს აღმოსავლელი ელჩებისათვის დიდი დაპირებები მიუცია, დაურწმუნებია თავის სურვილში, შური იძიოს ურჯულოებზე ქრისტიანული სარწმუნოების ხელყოფისათვის და დაპირებია, რომ თუ საფრანგეთის მეფე კარლოს VII უზრუნველყოფდა მისი სამფლობელოების უშიშროებას, იგი სიამოვნებით მიიღებდა მონაწილეობას ოსმალთა წინააღმდეგ კოალიციაში[58]. ფილიპემ ელჩებს ძვირფასი საჩუქრები მიართვა[59].

მიუხედავად ფილიპეს ასეთი ანტიოსმალური განწყობილებისა, მას არავითარი რეალური ნაბიჯები არ გადაუდგამს ამ ამოცანის განსახორციელებლად.

ბურგუნდიიდან აღმოსავლელი ელჩები ფლანდრიაში წავიდნენ და 1461 წლის 4 ივლისს გენტში ჩავიდნენ. მათ დაათვალიერებინეს ქალაქი, აჩვენეს ხელოვნების ნიმუშები, ქალაქის მუნიციპალიტეტის შენობაში გენტის პრივილეგიები და უფლებები გააცნეს. მათ საპატივცემულოდ მოწვეულ იქნა ტურნირი წყალზე მდ. ლისის ხიდებს შორის. აქ გათამაშდა ქალაქის საბჭოს მიერ დაწესებული ჯილდოები. ზეიმი დიდებული იყო. მაგრამ ამ ელჩობას შედეგი არ ჰქონდა.

1461 წელს 22 ივლისს გარდაიცვალა საფრანგეთის მეფე კარლოს VII. ლუდოვიკომ და აღმოსავლეთის ელჩებმა, როდესაც შეიტყვეს ეს ამბები, იმედი მიეცათ, რომ ახალი მეფე უფრო დადებითად განეწყობოდა ანტიოსმალური კოალიციის მიმართ და ისინი კვლავ საფრანგეთში გაემგზავრნენ[60].

---

56 დ. პაიჭაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 64; A. Bryer, გვ. 192.

57 დ. პაიჭაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 64, 65; Ф. И. Успенский, Очерки из истории Трапезунтской империи, с. 136.

58 დ. პაიჭაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 64, 65; A. Bryer, დასახ. ნაშრ., გვ. 192.

59 С. П. Карпов, Трапезундская империя..., с. 159.

60 დ. პაიჭაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 65; A. Bryer, დასახ. ნაშრ.. გვ. 192.

1461 წლის 13 აგვისტოს ისინი რეიმსში დაესწრნენ საფრანგეთის ახალი მეფის ლუი XI კორონაციას. საფრანგეთის ახალმა მონარქმა არავითარი ინტერესი არ გამოიჩინა ჯვაროსნული ლაშქრობისადმი და აღმოსავლეთის ელჩებმა დატოვეს საფრანგეთი და ხელცარიელნი უკან გამობრუნდნენ. პიუს II-მ, რათა პასუხისმგებლობა მოეხსნა ახტიოსმალური კოალიციის ჩაშლის საქმეში, ყველაფერი ლუდოვიკო ბოლონიელს გადააბრალა. პაპმა ბრალი დასდო ლუდოვიკოს თაღლითობასა და ელჩობის ფალსიფიკაციაში და ბრძანა მისი დაპატიმრება, ლუდოვიკომ გაქცევით უშველა თავს[61].

ამრიგად, აღმოსავლეთის ქვეყნების ელჩობა დასავლეთ ევროპაში ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მიზნით უშედეგოდ დამთავრდა. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით: „არც ერთი მთავართაგანი თავის ქვეყნითგან ფეხის დაძვრას არ აპირებდა. საფრანგეთში ჯერ ერთი შინაურობაში უთანხმოება ჰქონდათ. ოსმალეთის გაძლიერება კი მათთვის ისეთ ცხადად საგრძნობსა და დასანახ საფრთხეს არ წარმოადგენდა, როგორც მთელი თავისი არსებით შეიძლება ეგრძნოთ და დაენახათ ქართველებს. მათთვის ეს განყენებული და შორეული პოლიტიკური გეგმა იყო, ქართველებისათვის — კი ხორცშესხმული საშინელი სინამდვილის აუცილებელი საჭიროება და ამიტომაც იყო, რომ მთელი ეს გეგმა ასე უწყალოდ დაიმსხვრა და ქართველთა და მათ მოკავშირეთა თანხმობრივი ერთობლივი სამხედრო მოქმედება ოსმალთა სამუდამო დასამარცხებლად შეუძლებელი შეიქმნა“[62].

საჭიროა აღინიშნოს, რომ ევროპელი მეცნიერების უმრავლესობა, რომის პაპის პიუს II-ის „მემუარებზე“ დაყრდნობით, ლუდოვიკო ბოლონიელს თაღლითად და ავანტიურისტად მიიჩნევს და მათი აზრით, აღმოსავლელი ელჩების მიერ ევროპაში ჩატანილი წერილები შეთხზული და ფალსიფიცირებულია თვით ლუდოვიკოსა და მისი თანხმლები პირების მიერ. ამ მოსაზრების დასაბუთება ორი ათეული წლის წინათ კიდევ ერთხელ სცადა ბირმინჰემის უნივერსიტეტის პროფესორმა ანტონი ბრაიერმა თავის წერილში „ლუდოვიკო ბოლონიელი და ქართველთა და აღმოსავლელთა ელჩობა 1460—1461 წლებში“. იგივე თვალსაზრისი გაიმეორა საბჭოთა ბიზანტიოლოგმა ს. კარპოვმა. „საბოლოო ჯამში, — წერს იგი, — „ელჩობა“ აღმოჩნდა ავანტურისტებისა და გამომძალველთა თავშეყრა, ხოლო გაქ-

---

[61] დ. პაიჭაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 63—69.

[62] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, გვ. 77.

ნილმა თაღლითმა ლუდოვიკომ აიღო რა თავისი წილი, საკმაოდ დიდი თანხა, გაექცა პაპის რისხვას"[62].

ასეთი აშკარა უარყოფა ამ ელჩობისა ძალზე გაზვიადებულია და უმართებულოა. თუმცა, ლუდოვიკო ბოლონიელი საკმაოდ გაქნილი, ეშმაკი და სახიფათო თავგადასავლების მოყვარული პიროვნება ჩანს, მაგრამ რთულ სიტუაციაში თავის დაძვრენა, არამც თუ შუა საუკუნეების პოლიტიკოსთა არსენალში გვხვდება, არამედ უფრო მოგვიანო ხანაშიც, გავიხსენოთ თუნდაც ტალეირანი. ამიტომ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ეს ელჩობა მნიშვნელობას მოკლებული იყო და მთლიანად ლუდოვიკოს მიერ იყო ინსცენირებული.

ამ საკითხზე სრულიად საწინააღმდეგო შეხედულებაა დამკვიდრებული ქართულ ისტორიოგრაფიაში. მ. თამარაშვილი, ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ი. ბერაძე, ე. მამისთვალიშვილი და სხვ. იმ თვალსაზრისისა არიან, რომ ქართველმა მეფე-მთავრებმა და აღმოსავლეთის სხვა გამგებლებმა თავიანთი ელჩები გაგზავნეს დასავლეთ ევროპაში ანტიოსმალური კოალაციის შექმნის მიზნით და არავითარი ეჭვიარ ეპარებათ ამ ელჩობის ჭეშმარიტებაში. ამავე თვალსაზრისს იზიარებენ ტრაპიზონის ისტორიის საკითხებზე მომუშავე რუსი და ევროპელი მეცნიერები ფ. უსპენსკი, ჟ. ფალმერაიერი, ვ. მილერი, ფ. ბაბინგერი.

დ. პაიჭაძემ[64] გაანალიზა ორივე ეს თვალსაზრისი და წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის შედეგად, ჩვენს ისტორიოგრაფიაში პირველად დაასაბუთა, რომ დასავლეთ ევროპაში საქართველოდან და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებიდან გაგზავნილი ელჩები თავიანთი სახელმწიფოების წარმომადგენლები იყვნენ და რომ ეს ელჩობა არ იყო ფალსიფიცირებული ლუდოვიკო ბოლონიელის მიერ.

---

[63] С. П. Карпов, Трапезундская империя..., с. 143.

[64] დაწვრილებით იხ. დ. პაიჭაძე, ევროპის ქვეყნების ანტიოსმალური კოალიცია და საქართველო XV ს-ის 60-იან წლებში. გვ. 126—141.

1461 წელს ოსმალთაგან ტრაპიზონის დაპყრობა და მისი მნიშვნელობა საქართველოსათვის

1204 წელს დაარსებულ იქნა ტრაპიზონის სამეფო და ამ საქმეში გარკვეული წვლილი შეიტანა თამარ მეფემ. ქართველები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მის პოლიტიკურ ცხოვრებაში, თუმცა საკვირაოს არსებობის ბოლო ეტაპზე მათი როლი საგრძნობლად იყო შემცირებული.

ტრაპიზონის საკვირაო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახელმწიფო იყო შავი ზღვის რეგიონსა და მცირე აზიაში. მის ძირითად პირთვს წარმოადგენდა პონტოს ოლქი, რომელიც გადაჭიმული იყო შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მდ. ჭოროხიდან, ბათუმიდან სინოპამდე.

ორნახევარი საუკუნის არსებობის მანძილზე ტრაპიზონის იმპერიის ისტორია აღსავსეა მეტად მძაფრი მოვლენებით. ამ პატარა სახელმწიფომ გაუძლო სელჩუკებთან ბრძოლას, შესძლო გამკლავებოდა მონღოლ-თათართა შემოსევებს. მოწამე იყო თემურლენგის ურდოების მოსვლისა მახლობელ აღმოსავლეთში და სხვა. თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ტრაპიზონის იმპერია იყო შუამავალი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ვაჭრობის საქმეში. მის ტერიტორიაზე დაარსებულ იქნა იტალიელთა სავაჭრო ფაქტორიები, რომლებიც გაცხოველებულ ვაჭრობას ეწეოდნენ აღმოსავლეთსა და დასავლეთთან.

XV საუკუნის შუა წლებისათვის, როდესაც ოსმალეთმა უშუალო საფრთხე შეუქმნა ტრაპიზონის სახელმწიფოს, იგი ძალზე იყო დასუსტებული[1].

კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ სულთანს განზრახული ჰქონდა ტრაპიზონის სამეფოს მოსპობაც. იგი სათანადო სამზადისს შეუდგა, მაგრამ მალე გადაიფიქრა. ამ დროს მეჰმედ II-ს უფრო

[1] Ф. И. Успенский, Очерки из истории Трапезунтской империи; С. П. Карпов, Трапезундская империя и западноевропейские государства в XIII—XV вв.; E. Janssens, Trébizond en Colchide, Bruxelles, 1969; Miller William, Trebizond: The Lest Greek Empire, London, 1926.

მნიშვნელოვანი საქმეები ჰქონდა ევროპაში და მან მთელი ყურადღება იქითკენ გადაიტანა. ამის გამო ოსმალთა საფრთხე ტრაპიზონის მიმართ დროებით შენელდა.

1456 წლის გაზაფხულზე შეიხ გუნეიდინ რაფიზ თურქმენი ტრაპიზონის იმპერიის სამფლობელოებში შეიჭრა, აღჩაკალა აიღო, მის წინააღმდეგ გაგზავნილი ლაშქარი დაამარცხა, ტრაპიზონს ალყა შემოარტყა, მაგრამ ქალაქი კარგად იყო გამაგრებული და მან იგი ვერ აიღო. ამ დროს მის წინააღმდეგ გაემართა რუმის ბეგლარბეგი ჰიზის ბეი. გუნეიდინმა ოსმალებთან ბრძოლას თავი აარიდა, ტრაპიზონს ალყა მოხსნა და უზუნ ჰასანთან წავიდა[2].

ტრაპიზონის იმპერატორმა იოანემ ამ „სამსახურისათვის“ ოსმალეთის სასარგებლოდ ყოველწლიურად 2000 ოქროს (ხარაჯას) გადახდა იკისრა და ოსმალეთის მფარველობის ქვეშ შევიდა[3].

ერთი წლის შემდეგ, როდესაც მეჰმედ II სერბიიდან დედაქალაქში დაბრუნდა, იმპერატორმა იოანემ თავისი ძმა დავითი სტამბულში გაგზავნა. სულთანი არ იყო კმაყოფილი ტრაპიზონთან დადებული შეთანხმებით. მან დავითს მოსთხოვა, რომ საკეისროს მისთვის ყოველწლიურად 3000 ოქრო გადაეხადა[4].

ამრიგად, ერთდროულად ტრაპიზონის სამეფო ორ ცეცხლს შორის აღმოჩნდა: სამხრეთ-დასავლეთიდან მას აყ-ყოინლუს (თეირბატკნიანთა) სახელმწიფო დაემუქრა, ხოლო დასავლეთიდან — ოსმალეთი. მდგომარეობა მეტად მძიმე იყო.

სწორედ ამ დროს მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში ჩამოვიდა რომის პაპის ლეგატი ლუდოვიკო ბოლონიელი. მას პაპისაგან დავალებული ჰქონდა აღმოსავლეთის ქვეყნების მონაწილეობით შეედგინა კოალიცია ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. ლუდოვიკო ბოლონიელი ტრაპიზონში ჩავიდა. ტრაპიზონის სამეფო

---

[2] Yaşar Yücel, Fatih'in Trabzon'u öncesinde Osmanlı—Trabzon—Akkoyunlu ilişkileri, „Belleten“, 1985, c. XXV! n 102 s. 292; M. F. Kırzioğlu., Osmanlılar'ın Kafkas—elleri'ni fethi, s. 25.

სწორედ ამაეე წელს უზუნ ჰასანმა ქართლში გაილაშქრა. „1456 წ. ქრონიკონსა რ^მდ (144) უზუნ-ჰასან მოუხდა ქართლს და ამოსწყვიტა და იავარყო ვიდრე ტაშისკარამდე“ (ცხოვრება საქართველოსა (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, გვ. 39; შდრ. ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 478). საფიქრებელია, რომ უზუნ ჰასანი და გუნეიდინი შეთანხმებულად მოქმედებდნენ, მით უფრო, რომ გუნეიდინი ტრაპიზონზე ლაშქრობის შემდეგ უზუნ ჰასანთან მივიდა.

[3] Y. Yücel, დასახ. ნაშრომი, გვ. 232; M. F. Kırzioğlu, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

[4] იქვე.

კარზე რომის პაპის გეგმას დადებითად შეხვდნენ. ჩანს, ტრაპიზონის მეფემ, ითავა მცირე აზიის მაჰმადიანური ქვეყნების გაერთიანება ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მათ შორის ყველაზე რეალურ ძალას უზუნ ჰასანის თეთრბატკნიანთა (აყ-ყოინლუს) სახელმწიფო წარმოადგენდა.

იოანემ გადაწყვიტა „უზუნ ჰასანთან დაახლოებისა და მისი ანტიოსმალურ კოალიციაში ჩაბმის მიზნით" მისთვის მიეთხოვებინა თავისი ულამაზესი ქალიშვილი დესპინე (კატერინა). ამ საქმის მოსაგვარებლად იოანემ თავისი ძმა დავითი უზუნ ჰასანთან გაგზავნა. თავის მხრივ, უზუნ ჰასანი დაინტერესებული იყო ტრაპიზონის სამეფოსთან დაახლოებით, რითაც მას საშუალება ეძლეოდა მიეღო შავ ზღვაზე თავისუფალი გასასვლელი, რომელსაც მისი სახელმწიფოს ვაჭრობისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. უზუნ ჰასანმა სიამოვნებით მიიღო ტრაპიზონის კეისრის იოანეს წინადადება და ცოლად შეირთო მისი ქალიშვილი[5]. ამ ქორწინების შემდეგ უზუნ ჰასანი ტრაპიზონს თავის სამზითვო ქვეყნადაც კი თვლიდა. აგრეთვე უზუნ ჰასანი, თეთრბატკნიანთა სახელმწიფოს გამგებელი, დაინტერესებული იყო ოსმალეთის წინააღმდეგ კოალიციის შექმნით. რადგანაც მას ოსმალეთი თავის ძირითად მეტოქედ მიაჩნდა. უზუნ ჰასანი ხელს უწყობდა, აგრეთვე, მცირე აზიის სამთავროების ბრძოლას ოსმალეთისაგან დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. მეჰმედ II-ის მიერ დამარცხებული ბეგები ხშირად თავშესაფარს თეთრბატკნიანთა სახელმწიფოში პოულობდნენ.

ერთი სიტყვით, ამ დროს მცირე აზიაში მეტად ხელსაყრელი პირობები იყო ანტიოსმალური კოალიციის შესადგენად.

1458 წელს გარდაიცვალა იოანე IV. მისი ვაჟი ალექსი ოთხი წლისა იყო და იმპერატორი გახდა იოანეს ძმა დავითი. იგი კიდევ უფრო ენერგიულად შეუდგა ოსმალეთის წინააღმდეგ კავშირის ორგანიზაციას. 1459 წლის გაზაფხულზე დავითის აქტიური მონაწილეობით შეიქმნა ანტიოსმალური კოალიცია, რომელშიაც შევიდნენ ტრაპიზონის მეფე დავითი, აყ-ყოინლუს გამგებელი უზუნ ჰასანი, ყარამანიისა და სინოპის გამგებლები და მცირე სომხეთის მთავარი. ამ კოალიციას შეუერთდნენ საქართველოს მეფე-მთავრები.

1459 წლის მიწურულს აღმოსავლეთის ქვეყნების ელჩობა, ლუდო-

---

[5] დესპინემ (კატერინამ) გათხოვების შემდეგ შეინარჩუნა ქრისტიანობა და დიდი გავლენა ჰქონდა როგორც თავის მეუღლეზე, ისე სამეფო კარზე. განსაკუთრებით დიდ პატივს სცემდნენ მას უზუნ ჰასანის სამეფო კარზე მყოფი ევროპის სახელმწიფოების წარმომადგენლები. იგი გამოირჩეოდა თავისი სილამაზით, დარბაისლობით. ინტელექტით. მის შესახებ ევროპაში ლეგენდები გავრცელდა.

ვიკო ბოლონიელის მეთაურობით, დასავლეთ ევროპაში გაემგზავრა (დაწვრილებით იხ. გვ. 116—138).

ტრაპიზონის იმპერატორი დავით კომნენი იმდენად იყო დარწმუნებული ანტიოსმალური კოალიციის წარმატებაში, რომ განიზრახა შეეწყვიტა ოსმალეთისათვის ხარკის მიწოდება, რომელსაც მისი ძმა იოანე IV სულთანს 1456 წლიდან უხდიდა. კიდევ უფრო მეტი, დავითმა მოსთხოვა თავის მოკავშირეს უზუნ ჰასანს მხარი დაეჭირა ამ საკითხში და სულთანთან ამ მიზნით სპეციალური ელჩობა გაეგზავნათ. ბიზანტიელი ისტორიკოსი ლაონიკე ხალკოკონდილე გადმოგვცემს: „დავით მეფემ სთხოვა ჰასანს შუამდგომლობა მეჰმედ მეფის წინაშე, რომ ტრაპიზონს აღარ ეძლია მისთვის ხარკი, მაგრამ უფრო მეტად, რომ მეჰმედ მეფეს ჰასანისათვის წყალობა არ მოეკლო“[6]. დავითის ასეთი ნაბიჯი მოუფიქრებელი და მცდარი იყო, რამაც კიდევ უფრო დააჩქარა სულთნის გამოსვლა ტრაპიზონის სახელმწიფოს წინააღმდეგ.

უზუნ ჰასანმა სიამოვნებით მიიღო დავითის ეს წინადადება. კიდევ უფრო მეტი. მან თავის მხრივაც პრეტენზიები წამოუყენა სულთანს. 1460 წელს ამ მიზნით უზუნ ჰასანმა სტამბულში მეჰმედ II-თან გაგზავნა მურადი, თავისი ძმისშვილი[7]. ბიზანტიელი მემატიანე ამ ელჩობის შესახებ მოგვითხრობს: „კომნელთაგან და უზუნ ჰასანისაგან... ელჩები გაიგზავნენ (მეჰმედთან) და მოითხოვდა (უზუნ ჰასანი) მისგან რაღაც უმნიშვნელო რამეებს და ეუბნებოდა, რომ მას მისი მართებს ხარკი 60 წლისაზე მეტი, წლიური 1000 ჩული, მისი ცხენების გადასაფარებელი, 1000 ხალიჩა და 1000 დოლბანდი, როგორც დაწესებული იყო და ყოველწლიურად უხდიდა ამას (მეჰმედის) პაპა იმის (უზუნ ჰასანის) პაპას“[8]. უზუნ ჰასანის ელჩები ამითაც არ დაკმაყოფილებულან და „სთხოვეს აგრეთვე ისიც, რომ კოლხიდის (ტრაპიზონის — მ. ს.) ქვეყნის ხარკი მათთვის გადაეცა“[9].

სულთანი აღშფოთებული იყო უზუნ ჰასანის ელჩების თავხედობით, მაგრამ თავი შეიკავა და წყნარად უპასუხა: „დამშვიდებული

---

[6] ლაონიკე ხალკოკონდილე, გეორგიკა, ტ. VIII, გვ. III.

[7] V. Minorsky, The Turks, Iran and Caucasus in the Middle Ages, La Perse au XV^e siècle entre la Turqui et Venis, London, 1978, XII, p. 9; Y. Yücel, დასახ. ნაშრ., გვ. 298,9; M. F. Kırzıoğlu, დასახ. ნაშრ., გვ. 25.

[8] დუკა, ისტორია, გეორგიკა, ტ. VIII, გვ. 29; შდრ. Y. Yücel, დასახ. ნაშრ., გვ. 299; M. F. Kirzloğlu, დასახ. ნაშრ., გვ. 25; F. Babinger, დასახ. ნაშრომი, გვ. 233; W. Miller, დასახ. ნაშრ., გვ. 99.

[9] ლაონიკე ხალკოკონდილე, გეორგიკა, ტ. VIII, გვ. 111; Y. Yücel, დასახ. ნაშრ., გვ. 299.

ბრძანდებოდეთ, მომავალ წელს ვიზრუნებ იმაზე და ვალს გადაგიხდიო“[10].

მეჰმედ II-სათვის ნათელი გახდა, რომ უზუნ ჰასანი და დავით მეფე მის წინააღმდეგ შეთანხმებით მოქმედებდნენ. ამასთანავე არ შეიძლებოდა მას არ სცოდნოდა, რომ დასავლეთ ევროპასა და მცირე აზიაში ანტიოსმალური კოალიცია იქმნებოდა. სულთანს საიდუმლო აგენტები ჰყავდა არა მარტო მეზობელ ქვეყნებში, არამედ ევროპაშიც, რომლებიც მას დაწვრილებით ინფორმაციას აწვდიდნენ.

მეჰმედ II გადაწყვიტა რადიკალური ზომები მიეღო მცირე აზიაში თავისი მოწინააღმდეგეების მიმართ და ლაშქრობისათვის სამზადისს შეუდგა.

1461 წლის გაზაფხულზე მეჰმედს მზად ჰყავდა მრავალათასიანი ლაშქარი და 200-მდე სხვადასხვა ტიპის გემი. ისინი სულთნის ბრძანებას ელოდნენ. არავინ იცოდა, თუ რომელი ქვეყნის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული სულთნის მახვილი. თვით მისმა უახლოესმა პირებმაც კი. მეჰმედ II-ის მასწავლებელი, რომელიც მსაჯულთუხუცესის მოვალეობას ასრულებდა და დიდად იყო სულთანთან დაახლოებული და მისი პატივისცემით სარგებლობდა, გაკადნიერდა და ჰკითხა: „უფალო! მებრძოლი რაზმები ზღვისა და ხმელეთისაც უკვე მზად არიან, საით ბრძანებთ მათ გალაშქრებას“? მეჰმედმა თითქმის ბრაზმორეულმა, გადახედა მას და უპასუხა: „შენ უნდა იცოდე, რომ თუ კი ჩემი საიდუმლოება ყველასათვის გახდება ცნობილი, მაშინ მე წვერებს ისე დამაგლეჯენ, რომ ერთ თმასაც კი არ შემარჩენენ და ცეცხლსაც მივეცემიო“[11]! სულთნის მასწავლებელი შენიშნავს: „ამდენად ქვეშქვეშა და ბრაზიანი კაცი იყო დესპოტი! შეშინდა მთელი მოსახლეობა: ლიკოსტომში ვალახები, კაფას მცხოვრებნი, ტრაპიზონელები, სინოპელნი, ეგეოსის ზღვის კუნძულთა მკვიდრნი, როდოსზე და მის ირგვლივ მდებარე კუნძულებზე ჭიოსზე, ლესბოსზე, მზად იყვნენ დამორჩილებოდნენ, წინააღმდეგობის გაწევისა ეშინოდათ“[12].

ამ ლაშქრობის მთავარი მიზანი ტრაპიზონის დაპყრობა იყო. ქალაქს ერტყა საკმაოდ კარგად გამაგრებული ციხე-გალავანი. ზღვიდან მთელი ძალებით იერიშის მიტანა შეუძლებელი იყო, რადგანაც ქალაქის ნავსადგური მცირე ზომის იყო. მრავალრიცხოვანი გემები შიგ ვერ დადგებოდნენ. ასევე მეტად ძნელი მისადგომი იყო ქალაქი ხმელეთიდანაც, მთა-გორებზე გამავალი, დამრეცი გზების გამო. სა-

---

[10] დ უ კ ა, ისტორია, გვ. 29; Y. Yücel, დასახ. ნაშრ., 298.

[11] იქვე, გვ. 30; M. F Kırzıoğlu, დასახ. ნაშრომი.

[12] დ უ კ ა, ისტორია, გვ. 30.

ჭირო იყო ქალაქის წინააღმდეგ იერიშის მიტანა როგორც ზღვიდან, ისე ხმელეთიდან.

ტრაპიზონის დაპყრობამდე მიზანშეწონილი იყო სინოპის დამორჩილებაც, რომლის გამგებელიც განუდგა სულთანს და ანტიოსმალურ კოალიციას შეუერთდა. მოსალოდნელი იყო სინოპის გამგებელს ხელი შეეშალა ტრაპიზონისაკენ მიმავალი ფლოტისათვის. მაგრამ ყველაზე დიდი საშიშროება მოსალოდნელი იყო უზუნ ჰასანისაგან, რომელსაც ყველაზე ბრძოლისუნარიანი ლაშქარი ჰყავდა. არ იყო გამორიცხული, რომ ტრაპიზონზე ხმელეთიდან იერიშის დროს, იგი არ დასხმოდა ზურგიდან ოსმალთა ჯარს. საჭირო იყო უზუნ ჰასანის უვნებელყოფა.

ოსმალეთის ლაშქარი გემებით მცირე აზიის სანაპიროსაკენ გაემართა და მუდანიაში ჩავიდა. აქედან გეზი ბურსაზე აიღო; სულთანი ბურსასა და ბოლუზე გავლით ანკარაში ჩავიდა.

ოსმალეთის ფლოტი, გალიპოლის სანჯაყ ბეგისა და ქაფუდან ფაშას კასიმ ბეგის სარდლობით, ივნისის დამდეგს თავს დაესხა ქალაქ ამასტრას, გენუელთა კოლონიას შავი ზღვის სანაპიროზე და დაიპყრო იგი. იქიდან კი სინოპისაკენ გაემართა[13].

სინოპის გამგებელი ისმაილ ბეგი გამაჰმადიანებული ბერძენი იყო. მან სცადა თავი დაეღწია სულთნის რისხვისაგან. ისმაილმა მეჰმედ II-ს ძვირფასი საჩუქრები გაუგზავნა თავისი ვაჟის ხელით, რომელიც სულთანს წარუდგა და მორჩილება გამოუცხადა. მეჰმედმა სიამოვნებით მიიღო ძღვენი და დაავალა, რომ თავისი მამისათვის გადაეცა შემდეგი: „უთხარი მამაშენს, რომ მე სინოპი მსურს და თუ ამას უბრძოლველად მივიღებ, მაშინ სამაგიეროდ სიამოვნებით მივცემ მას ფილიპოპოლის მმართველობას. და თუ მამაშენს ეს არ უნდა, დაუყოვნებლივ მოვალო“[14]!

ისმაილი ჯერ კიდევ არ იყო სინოპში დაბრუნებული, როდესაც სულთანმა იქ თავისი ფლოტი გაგზავნა. ხოლო მას შემდეგ, რაც სულთანს აცნობეს სინოპში ფლოტის ჩასვლის ამბავი, თვითონაც ხმელეთით იქ გაემართა. ივნისის ბოლოს ოსმალეთის არმია და ფლოტი სინოპთან ერთმანეთს შეხვდნენ. ისმაილი შეშინდა და გამოვიდა ქალაქიდან, წინ მიეგება და მორჩილება გამოუცხადა სულთანს. მან ბრძანა, მთელი მისი ქონება და საგანძური ხელთ ეგდოთ. სულთანმა გადააყენა ისმაილი და სინოპის მმართველად დანიშნა თავისი ერთგული მოხელე.

სინოპის დამორჩილების შემდეგ, მეჰმედ II უზუნ ჰასანის სა-

---

13 M. F. Kırzıoğlu, დასახ. ნაშრ., გვ. 27; W. Miller, დასახ. ნაშრ., გვ. 100; F. Babinger, დასახ. ნაშრ., გვ. 229.

14 დ უ კ ა. ისტორია, გვ. 31.

შფლობელოებისაკენ გაემართა. ოსმალეთის არმიამ გადალახა საზღვარი და მტრის ტერიტორიაზე შეიჭრა. ამ ლაშქრობის დროს ანატოლიის ჯარებს სათავეში ედგა აჰმედ ფაშა, ხოლო რუმელიის ჯარს — დიდი ვეზირი მაჰმუდ ფაშა. თოკატზე გავლით, ოსმალეთის არმიამ იეშილირმაღი გადალახა და კელკითთან დაბანაკდა.

უზუნ ჰასანი თვალყურს ადევნებდა მეჰმედ II-ის სამხედრო მოქმედებას. მას კარგად ესმოდა, რომ ტრაპიზონის წინააღმდეგ ლაშქრობამდე სულთანი შეეცდებოდა მის დამარცხებას და ზურგის უვნებელყოფას. უზუნ ჰასანმა დახმარებისათვის თავის მოკავშირეს ყარაჰანიის გამგებელს მიმართა, მაგრამ მან არაფერი მოიმოქმედა მის დასახმარებლად. როდესაც უზუნ ჰასანმა შეიტყო, რომ ოსმალეთის ჯარი მის სამფლობელოებში შეიჭრა, იქითკენ გაემართა. იგი თავისი ლაშქრით შემახის მხრიდან დაიძრა. ოსმალებმა ციხე-სიმაგრე კოინლუ-ჰისარს ალყა შემოარტყეს და ზარბაზნები დაუშინეს. ხაში დღის ცხარე ბრძოლების შედეგად ციხე აღებულ იქნა. უზუნ ჰასანმა უკან დაიხია. ამის შემდეგ ოსმალეთის არმია ერზინჯანისაკენ გაემართა და მეოთხე დღეს ერზინჯანის ველზე დაბანაკდა, საიდანაც ლაშქარი არზრუმისაკენ აპირებდა წასვლას[15].

უზუნ ჰასანმა სულთანს დეპუტაცია გაუგზავნა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ მისი დედა სარა ხათუნი და ქურთთა ბეგი შეიხ ჰუსეინი. მათ სულთანს ძვირფასი საჩუქრები მიართვეს და ზავი შესთავაზეს.

ვ. მინორსკის აზრით, სარა ხათუნი იყო ტრაპიზონის მეფის ქალიშვილი[16]. ზოგი ისტორიკოსი არ იზიარებს ამ შეხედულებას. მაგალითად, რენსიმენის ცნობით, სარა ხათუნი იყო ჩრდილოეთ სირიის ქრისტიანთა წარჩინებული ოჯახიდან[17]. სხვა მოსაზრებაცაა გამოთქმული[18]. სარა ხათუნმა შემდეგი სიტყვებით მიმართა მეჰმედ II-ს: „მეფევ, ძევ მურადისა, მე ვასრულებ ჩემი ვაჟის ჰასანის დავალებას, რომელიც შენდამი კეთილგანწყობილია და არ შურს შენი ბედნიერი იღბლის და მზადაა შეასრულოს ყოველგვარი შენი ნებასურვილი. ჩემი მხრიდან აი რას გეტყვი, ღირსეულო მამათა შორის. რატომ გვაყენებ ჩვენ, შენს თანამზრახველებს, ზიანსა და ბოროტებას, ვითარცა მტრებს? ნუთუ არ იცი, თუ რა ბედი ეწია ბაიზიდს, მურადის ძეს, რომელიც სცოდავდა სწორედ თანამზრახველთა მიმართ და ამით

---

[15] M. F. Kırzıoğlu, დასახ. ნაშრომი, გვ. 28.

[16] V. Minorsky, The Turks, Iran and Caucasus in the Middle Ages, p. XII, 8.

[17] С. Рансимен, Падение Константинополя в 1453 г. с. 135.

[18] Y. Yücel, დასახ. ნაშრ., გვ. 291.

აჭარბებდა ყოველგვარ საზომს, დაუნდობელმა განგებამ დაასვა მას ხელი და ხვედრად არგუნა დაღუპვა მეფე თემურისაგან და რადგანაც შენ, აქამდე კეთილად ეპყრობოდი თვისტომიანებს და მათ წყალობას არ აკლებდი, ამიტომ უფალმა შენ გიბოძა მრავალი რაჟ და დიდი კეთილმყოფელობა, დიდებულ გმირთა გვერდით შენც მიგიჩინა ადგილი, გიწყალობა ვრცელი და ბედნიერი ქვეყანა და ქალაქები და სამფლობელოები, რომლებიც შენ დაგემორჩილნენ და შენ დაგნებდნენ და შენ, უთუოდ იცი, რომ თუ ამაში შესცოდებ, მაინც ვერაფრით ვერ მიაყენებ ზიანს თავის ტომიანებს, როგორც ამას ფიქრობენ ზოგიერთი ბუნებითა და სულით უხეში და უსირცხვილო ადამიანები, რომ თითქოს ამ ქვეყნად განგება არ ერევა ადამიანების საქმეში და მათ საქმიანობას მართავს შემთხვევა. ყველაფერი, რის უფლებასაც კი მისცემს კაცი თავის თავს, არამც და არა, არ იქნება ნებადართული და კახონიერი. მაგრამ მეფესა და მბრძანებელს მხოლოდ მაშინ გაუღიმებს ბედი, როდესაც საქმეს თან სდევს სამართლიანობა. შევხედოთ, როგორ ხდება წილისყრა: ცუდი და კეთილი განიყოფებიან ორადვე, ვითარცა დაიმსახურებენ ერთსა თუ მეორეს. ვისაც ერგო საუკეთესო წილი, მას სიკვდილიც კი არ ანთავისუფლებს მოვალეობისაგან და ის მიიღებს მკაცრ სასჯელს (თუ კი ის არ გაამართლებს ამ წილს სიცოცხლეში). სხვა შემთხვევებში ზეციური ძალა მოითხოვს იმ პირობის შესრულებას, რომელიც კაცმა თავს იდო და, უთუოდ, დაღუპავს პირობის დამრღვევს. შენ მიაღწიე კეთილმყოფელობის უმაღლეს საფეხურს, ვითარცა არცერთმა სამყაროს მეფეთა შორის, იმის გამო, რომ ხარ ღვთის მორჩილი და მისდევ საღვთო წესს, როდესაც განაგებ მთელ ხალხს. კაცს მართებს სიკვდილამდე შეასრულოს ღვთის ან განგების წინაშე დაკისრებული მოვალეობანი და შენ უსამართლოდ გვექცევი ჩვენ, შენ თვისტომებს, იმ ღვთაების მონებს, რომელთა მიმართ ბედმა დაგვაკავშირა საერთო მოვალეობით და რომელიც დაგვიცავს ჩვენ, შენგან შეურაცხყოფილთ და გასაცოდავებულთ"[19].

სარა ხათუნის სიტყვებიდან ჩანს, რომ უზუნ ჰასანი მზად იყო დაეკმაყოფილებინა სულთნის ყოველგვარი მოთხოვნა.

მეჰმედ II-მ სარა ხათუნს შემდეგი პასუხი გასცა: „სიტყვები შენი, ქალბატონო, სავსებით სამართლიანია. მაგრამ იცოდე, რომ ხსენებული ორმხრივი მოვალეობანი რამდენადმე უფრო მეტ უფლებას აძლევს მეფესა და მბრძანებელს, რაც საქმითაც ჩანს. თუ ცნობილია, რომ ვინმე ჩაგრავს თვისტომიანებს, საჭიროა მტკიცება-

[19] Ф. И. Успенский. Очерки из истории Трапезунтской империи, с. 136, 137.

ნი — ვინ არის თავდამსხმელი და ვინ იცავს თავს მისგან. ჩვენ ვასრულებთ ამას და გავაფრთხილეთ იგი (ჰასანი), რომ არ შესულიყო ჩვენ სამფლობელოებში, მაგრამ მან სრულიადაც არ შეიკავა თავი და განაგრძობდა მუქარას. მიუხედავად იმისა, რომ წამოვაყენე ეს ბრალდება შენი ვაჟის წინააღმდეგ, მე თავს შევიკავებ მის ქვეყანაზე თავდასხმისაგან, იმ პირობით, რომ იგი კვლავ აღარ შეიჭრება ჩვენს ქვეყანაში და არ აღმოუჩენს ტრაპიზონის მეფეს მხარდაჭერასა და დახმარებას"[20].

სარა ხათუნის მოლაპარაკება მეჰმედ II-თან წარმატებით დამთავრდა. ამ ორ ქვეყანას შორის ზავი დაიდო. უზუნ ჰასანმა პირობა დასდო, რომ არ აღმოუჩენდა არავითარ დახმარებას ტრაპიზონის სამეფოს. ამას კი სულთნისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თავის მხრივ, სულთანი ვალდებულებას იღებდა არ დასხმოდა თავს უზუნ ჰასანის სამფლობელოებს[21].

მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ზავის დადების შემდეგ სარა ხათუნი სამშობლოში არ დაბრუნებულა, სულთანთან დარჩა და მას თან ახლდა ტრაპიზონის ლაშქრობის დროს. ჩვენი აზრით, ამის მიზეზი ასე შეიძლება აიხსნას: მართალია, მეჰმედსა და უზუნ ჰასანს შორის ზავი დაიდო და ერთმანეთს ერთგულება შეჰფიცეს, მაგრამ მეჰმედ II არ ენდობოდა უზუნ ჰასანს. მას ეშინოდა, რომ ტრაპიზონისაკენ მიმავალ ოსმალეთის არმიას ზურგში მოულოდნელად თავს არ დასხმოდა უზუნ ჰასანის ლაშქარი. ამიტომ სულთანმა მძევლის სახით, დროებით სარა ხათუნი თავისთან დაიტოვა.

უზუნ ჰასანთან ზავის დადების შემდეგ მეჰმედ II თავისი ლაშქრით პირდაპირ ტრაპიზონისაკენ გაემართა.

ტრაპიზონისაკენ მიმავალი ოსმალეთის არმია გზაში დიდ სიძნელეებს განიცდიდა. ამ ლაშქრობის მონაწილე გამაჰმადიანებული სერბი იენიჩარი კონსტანტინე მიხაილოვიჩი შემდეგნაირად აგვიწერს ამ გადასვლას: „დიდი სიძნელეებით მივიწევდით წინ ტრაპიზონისაკენ, არა მარტო ჯარი, არამედ თვით სულთანიც კი; ჯერ ერთი, დიდი მანძილის გამო; მეორე — თავდასხმების შედეგად; მესამე — შიმშილის, მეოთხე — დიდი და მაღალი მთების გამო. ამასთანავე ზოგიერთი ადგილი იყო ნესტიანი და ჭაობიანი, წვიმდა ყოველდღე, ასე რომ გზა წალეკილი იყო და წყალი ცხენებს მუცლებამდე სწვდებოდა. ასე, ამგვარად, დიდი ვაივაგლახით მივაღწიეთ ერთი მთის გადასასვლელს, ტრაპიზონის მახლობლად. როდესაც ჩვენ დავეშვით ამ

---

[20] Ф. И. Успенский, Очерки..., с. 137.

[21] M. F. Kırzioğlu, დასახ. ნაშრ., გვ. 28, Y. Yücel, დასახ. ნაშრ., გვ. 311.

მთიდან, გზა სულ მთლად მოშლილი აღმოჩნდა. თვით სულთანის პირად განკარგულებაში იყო 100 ფურგონი; იცოდა რა, რომ ამ ფურგონების გარეშე, ჯარს არ შეეძლო ადგილიდან დაძვრა, რადგანაც ისინი ჭაობში ჩაეფლნენ, მან ბრძანა ფურგონები დაეწვათ, ხოლო ცხენები დაერიგებინათ ბსურველთათვის, ტვირთი, რომელიც ფურგონებზე იყო, აქლემებზე გადაიტანეს; სულთანს გაგონილი ჰქონდა, რომ ცუდი გზა იყო და თან წამოიყვანა 800 აქლემი. იქიდან ჩვენ გადავდიოდით ერთი მთიდან მეორეზე, ერთ ადგილას მოხდა ის, რომ ერთი აქლემი გადაიჩეხა, იგი დატვირთული იყო ტომრებით, რომელშიაც ოქროს ფული იყო და ოქრო გაიბნა. მაგრამ იენიჩარებმა, რომლებიც იქ აღმოჩნდნენ, ხმლები იშიშვლეს, რათა არავის არ აეღო ფული. ამის გამო მთელი მოძრაობა გზაზე შეჩერდა, სხვა გზა არ არსებობდა. ამ დროს წვიმამაც დასცხო. როდესაც სულთანი იქ მივიდა, მოახსენეს საქმის ვითარება. სულთანმა ბრძანა სასწრაფოდ აგველო ოქრო, ვისაც რამდენი შეეძლო, რათა არ შეფერხებულიყო ჯარის წინსვლა. ბედმა გაუღიმა მათ, ვინც იქ იმყოფებოდა, რადგან სხვებს მცირედი ერგოთ. მეც იქ ვიყავი, მაგრამ დამაგვიანდა. ოქროს მონეტები დაიტაცეს ისე, რომ მიწა შავი გახდა, რადგან იღებდნენ, ვისაც როგორ შეეძლო, გლეჯდნენ ბალახსა და მიწასთან ერთად, ერთმანეთსაც სტაცებდნენ. როდესაც ჩვენ ქვევით ვეშვებოდით, დიდ სიძნელეებს განვიცდიდით. იენიჩარებმა სულთანი ხელით ჩაიყვანეს. სულთანმა იენიჩარებს 50 ათასი ოქროს მონეტა დაურიგა. იქიდან სულთანმა 2000 ცხენოსანი გაგზავნა ტრაპიზონში, მათ იქ სასტიკი დამარცხება განიცადეს და არცერთი არ გადარჩენილა, ასე, რომ ჩვენ მათგან არავითარი ცნობა არ მიგვიღია"[22].

სარა ხათუნი, რომელიც თან ახლდა სულთანს ამ ლაშქრობის დროს და მოწამე იყო სულთნის მიერ გადატანილი ყველა სიძნელისა, მან შემდეგი სიტყვებით მიმართა მეჰმედ II-ს: „ჩემო შვილო, როგორ შეგიძლია გადაიტანო ამდენი ტანჯვა ტრაპიზონისათვის?" სულთანი მიუხვდა სარას ეშმაკობას და უპასუხა: „ჩემო დედავ, ჩემ ხელშია ისლამის მახვილი; მთელი ამ გარჯის გარეშე, მე არ მომანიჭებენ ჭეშმარიტი სჯულის მებრძოლის გაზის (გამარჯვებულის) სახელს და სიკვდილის შემდეგ, შერცხვენილი, როგორც წარვდგე ღმერთის წინაშე"[23].

იელისის დასაწყისში ოსმალეთის ფლოტი ტრაპიზონში ჩავიდა და

---

[22] Записки янычара, написаны Константином Михайловичем из Острвицы. Введение, перевод и комментарии А. И. Рогова, М., 1978, с. 82, 83.

[23] J. Hammer, Histoire de l'Empire Ottoman, v. III, Paris, 1836, p. 75; F. Babinger, Mahomet II le Conquerant et son temps, p. 233; Mufassal Osmanli Tarihi, c. I, s. 513—514.

ქალაქის მახლობლად დესანტები გადასხეს. ოსმალებმა დაიწყეს ქალაქის გარეუბნის ძარცვა და ელოდებოდნენ ხმელეთიდან ძირითადი სამხედრო ნაწილების მოსვლას. აგვისტოს დამდეგს ტრაპიზონის კედლებთან გამოჩნდნენ ოსმალეთის მოწინავე სამხედრო შენაერთები, დიდი ვეზირის მაჰმუდ ფაშას სარდლობით. მაჰმუდი იყო სერბიის მთავრისა და ტრაპიზონის დიდგვაროვანი ოჯახის მემკვიდრე. ქალაქში ცხოვრობდა მისი დეიდაშვილი გიორგი ამირუცისი, მეცნიერი. იგი იყო ფლორენციის უნიის აქტიური მომხრე და იმპერატორი დავითი მას დიდად აფასებდა არა მარტო როგორც მეცნიერს, არამედ მისი კავშირის გამო რომთან, რაც მეტად სასარგებლო იყო დასავლეთის ქვეყნებთან მოლაპარაკების დროს. მაჰმუდმა გაგზავნა ქალაქში თავისი მდივანი ბერძენი თომა კატავოლინუ, ოფიციალური დავალებით — წინადადება მიეცა იმპერატორისათვის დანებებულიყო და საიდუმლოდ დაკავშირებოდა ამირუცისს. დავითი დასაწყისში არ თანხმდებოდა. მისი მეუღლე ელენე, რომელიც ბიზანტიელთა კანტაკუზენელების დიდგვაროვანი ოჯახიდან იყო, სწორედ ამის წინ გაემგზავრა საქართველოში, რათა ეთხოვა დახმარება თავისი სიძისათვის. მაგრამ, როდესაც ამირუცისმა დავითი აავსო ძვირფასი საჩუქრებითა და დიდი პატივი მიუგო მას და აცნობა, რომ უზუნ ჰასანმა ზავი დადო სულთანთან, ამის დასასაბუთებლად სარა ხათუნის წერილები უჩვენა და რომ სულთანი გარანტიას აძლევს იმპერატორს და მისი ოჯახის წევრებს უბოძებს სამფლობელოებს რომელიმე სხვა ადგილას, იმპერატორი შეუყოყმანდა.

ბერძენი მემატიანე ლაონიკე ხალკოკონდილე შემდეგნაირად აგვიწერს ამას: სულთანმა მოლაპარაკება გამართა მის ძმისშვილთან პროტოვესტიაროს გიორგისთან, მას ეთქვა დავით მეფისათვის შემდეგი: „ტრაპეზუნტის მეფეს, ელინთა სამეფო გვარისას, დიდი მეფე (სულთანი — მ. ს.) იმას მოახსენებს: ხომ ხედავ რამხელა ქვეყანა გამოიარა, სანამ მივიდოდა იქ, სადაც არის ახლა. თუ დაუყოვნებლივ ქალაქს გადმოსცემ მეფეს (სულთანს), ქვეყანაც შენ გექნება, როგორც ელინთა პელოპონესის წინამძღოლს დიმიტრის, დიდძალი სიმდიდრეც მიანიჭა და კუნძულებიც და შეძლებული ქალაქიც აინიც და, არის რა უშიშრად, ცხოვრობს ბედნიერად. ხოლო თუ არ დაემორჩილები და წინააღმდეგობას მოინდომებ, იცოდე, რომ ქალაქს დაიმონავს ცოტა ხნის შემდეგ; რამე თუ ის მანამ არ შეწყვეტს წინააღმდეგობას, სანამ არ მოგსპობს და სამარცხვინო სიკვდილს არ შეგამთხვევს“[24].

დავითმა სულთანს თავისი წარმომადგენლები გაუგზავნა და აც-

[24] ლაონიკე ხალკოკონდილე, გვ. 112, 113.

ნობა, რომ იგი მზადაა ჩააბაროს ქალაქი მის მიერ წამოყენებულ პირობებზე. ამასთანავე იგი წინადადებას აძლევდა სულთანს ცოლად შეერთო თავისი ქალიშვილი ანა.

ლაონიკე ხალკოკონდილე წერს: „მაგრამ ჩვენ წინათაც მეფესთან დადებული ზავი არ დაგვირღვევია, მეფის ძმაც გავეზავნეთ და მზად ვიყავით, რასაც კი მეფე (სულთანი) ბრძანებდა, მაშინვე მორჩილებით წავიდოდით; და ახლაც მეფის ნავარხის ვუთხარით, რომ ჩვენ ქვეყანას ცუდად არ მოპყრობოდნენ და არ დაერბიათ, ხოლო, თუ მეფე ჩვენსკენ გამოემართება, მზად ვართ დავნებდეთ.

ეს თქვა და თხოვდა მეფე დაეზავებინა მასთან ისე, რომ მისი ასულიც მეფეს ცოლად ეთხოვა და ქვეყანაც მისთვის დაებრუნებინა იმ პირობით, რომ აქ ქვეყანაზე გაელაც თანაბარი (ე. ი. თავისუფალი) იქნებოდა“[25].

სულთანი განრისხებული იყო დედოფლის საქართველოში გაქცევით. „რამეთუ სწუხდა (მეჰმედ II — მ. ს.), რომ დავით მეფის ცოლი, სანამ ფლოტი მივიდოდა, თავის სიძესთან მამიასთან წინასწარ გახიზხულიყო“[26]. სულთანს არც ის მოეწონა, რომ დავითმა თავისი ქალიშვილი ცოლად შესთავაზა და „ქვეყანაზე გაელაც თანაბარი იქნებოდა“. ჩანს, მან კარგად დაინახა ალყაშემორტყმული ქალაქის უმწეო მდგომარეობა და დავითს უსიტყვო კაპიტულაცია მოსთხოვა.

იმპერატორი მერყეობდა, მაგრამ მასზედ, ერთი მხრივ, გავლენა მოახდინა ამირუცისის დაჟინებითმა სიტყვებმა, რომ წინააღმდეგობის გაწევა უაზროა, ხოლო მეორე მხრივ, სარა ხათუნის წერილმა, რომელშიაც იგი პატიოსან სიტყვას იძლეოდა, რომ სულთანი მას და მისი ოჯახის წევრებს პატივით მოექცეოდა[27]. დავითი დათანხმდა ქალაქის ჩაბარებას.

1461 წლის 15 აგვისტოს[28] თურქეთის სულთანი ტრაპიზონში შევიდა. მომდევნო დღეებში ოსმალებმა დაიკავეს ტრაპიზონის სამეფოს დანარჩენი ტერიტორია მდ. ჭოროხის შესართავამდე. ზოგიერთი

---

[25] ლაონიკე ხალკონდილე, გვ. 112, 113.

[26] იქვე.

[27] როგორც ვხედავთ, მეჰმედმა სარა ხათუნა ტყუილად არ წაიყვანა თან. სარას აქტიური ხელის შეწყობით სულთანმა დაიყოლია დავით მეფე დანებებულიყო მას. მეჰმედმა დიდად დააფასა სარა ხათუნის ეს წესლი და მას ძვირფასეულობა უწილადა დავით კომნენის საგვარეულო განძიდან, რომელიც მან ხელში ჩაიგდო.

[28] M. F. Kırzıoğlu, დასახ. ნაშრ., გვ. 30, 31; Y. Yücel, დასახ. ნაშრ., გვ. 297; W. Miller, დასახ. ნაშრ., გვ. 104.

ისტორიკოსი ოსმალების მიერ ტრაპიზონის დაპყრობას 1461 წლის 26 ოქტომბრით ათარიღებს[29], რაც არ უნდა იყოს სწორი.

ამრიგად, უკანასკნელმა ბერძნულმა სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა.

იმპერატორი დავითი და მისი ოჯახის წევრები გაგზავნილ იქნენ სპეციალური გემით კონსტანტინოპოლში, „ხოლო ტრაპიზუნტის მეფე, — წერს ლაონიკე ხალკოკონდილე, — ჩასვა ხომალდში მისი ბავშვებით, ასულით და მისი ნათესავებით, ვინც კი იქ იყო, და უბრძანა გამგზავრებულიყვნენ ბიზანტიაში“ (კონსტანტინოპოლში)[30].

სულთანი ქალაქის მოსახლეობას მკაცრად მოექცა. ქალაქის წარჩინებულ და მდიდარ ოჯახებს ჩამოართვა მთელი ქონება და ყველანი ერთად გაგზავნა კონსტანტინოპოლში, სადაც ისინი უზრუნველყო საცხოვრებლითა და ფულით, ფულადი თანხა მაინცდამაინც უხვი არ იყო, იმდენი, რამდენიც საჭირო იყო ახალი ცხოვრების დაწყებისათვის. ასევე გადაასახლეს კონსტანტინოპოლში ხელოსნებიც, ხოლო ქალაქის დანარჩენი მოსახლეობა კაცები და, აგრეთვე, მრავალი ქალი და ბავშვი მონებად აქციეს და გაინაწილეს სულთანმა და მისმა მოხელეებმა. ქალაქში მცირე რაოდენობით დარჩენილ ქრისტიანულ მოსახლეობას ჩამოართვეს სახლები და გარეუბანში მიუჩინეს ბინა. 800 ჯაბუკი წაიყვანეს და იენიჩართა კორპუსში ჩარიცხეს.

ტრაპიზონი უშუალოდ კონსტანტინოპოლს დაუქვემდებარეს და ჩაასახლეს მუსლიმური მოსახლეობა, ხოლო ციხე-სიმაგრეებში იენიჩართა გარნიზონი ჩააყენეს. ციტა ხნის შემდეგ ტრაპიზონის სანჯაყი დააარსეს და იგი ოსმალეთის სულთნის უფლისწულების სამყოფელი გახდა.

დავითისა და მისი ოჯახის წევრების ცხოვრება ოსმალეთში დიდხანს არ გაგრძელებულა. 1463 წელს გიორგი ამირიუცისმა სულთანს აცნობა, რომ ყოფილმა იმპერატორმა დავითმა წერილი მიიღო თავისი ძმისშვილისაგან — უზუნ ჰასანის მეუღლისაგან (კატერინასაგან), რომელიც პატიჟებდა თავის ძმას ალექსის ან დავითის რომელიმე ვაჟიშვილს ჩასულიყვნენ მასთან სტუმრად. მეჰმედმა ეს ღალატად ჩათვალა. სულთანმა მას გამაჰმადიანება მოსთხოვა, მან უარყო ეს წინადადება. 1463 წლის 26 მაისს დავითი დააპატიმრეს და ადრიანო-

---

[29] Ф. И. Успенский, указ. соч.; с. 39; ე. მამისთვალიშვილი, საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში, გვ. 55; ვახუშტი ოსმალების მიერ ტრაპიზონის დაპყრობას 1457 წლით ათარიღებს. ვახუშტი, აღწერა..., ტ. IV, გვ. 287. სქოლიო 2.

[30] ლაონიკე ხალკოკონდილე, გვ. 114.

პოლის ციხეში მოათავსეს. 1 ნოემბერს, სულთნის ბრძანებით, დავითი, მისი ექვსი ვაჟი და ძმისშვილი ალექსი სიკვდილით იქნენ დასჯილნი[31].

ტრაპიზონის სახელმწიფოს მოსპობა მძიმე დანაკარგი იყო არა მარტო ბერძნებისათვის, არამედ ქრისტიანული ქვეყნებისათვისაც. ტრაპიზონის ისტორიის ცნობილ მკვლევარს ჟ. ფალმერაიერს მიაჩნია, რომ იმპერიის დაცემაში თვით ბერძნებს მიუძღვის ბრალი: „ბერძენთა ყოფა-ცხოვრება იყო სიკვდილის თესლის მატარებელი“[32]. ტრაპიზონის დაცემის ძირითადი მიზეზები ნათლად აქვს ჩამოყალიბებული ფ. უსპენსკის: „ძველი სისტემის დამსხვრევა, წინანდელი ძლიერი პარტიის (ქართველების) დასუსტება და განადგურება და გავლენის გადასვლა ელინური პარტიის ხელთ, რომელსაც მხარს უჭერდნენ კონსტანტინოპოლში, არ აღმოჩნდა სასარგებლო და ხელსაყრელი ტრაპიზონის იმპერიისათვის, რომელშიც საკმაოდ ძლიერი იყო არაელინური ელემენტი“[33].

ოსმალების მიერ ტრაპიზონის დაპყრობას განსაკუთრებით უარყოფითი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის.

ტრაპიზონის სამეფოს დაპყრობის შედეგად ოსმალეთი უშუალოდ მიადგა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ საზღვრებს. ამან კიდევ უფრო გაართულა საქართველოს ხმელეთით თუ ზღვით ევროპასთან სავაჭრო თუ პოლიტიკური ურთიერთობა[34].

---

[31] დავითს დარჩა უმცროსი სამი წლის ვაჟი გიორგი, რომელიც მუსლიმური წესით იყო აღზრდილი. შემდგომში მას უფლება მისცეს ჩასულიყო უზუნ ჰასანთან. იქიდან იგი გაიქცა საქართველოში თავის დასთან, აქ გიორგიმ კვლავ მიიღო ქრისტიანობა და ცოლად შეირთო ქართველი ქალი დავითის ასული. საფიქრებელია, მისგან ეყოლებოდა შთამომავლობა, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი შემდგომი ბედის შესახებ არაფერია ცნობილი (С. Рансимен. Падение Константинополя в 1453 г., с. 163). ქართულ წყაროებში ამ უფლისწულის შესახებ არაფერია ნათქვამი, ვახუშტი ეყრდნობა რა „პოლშის მემატიანეს“, ოსმალების მიერ ტრაპიზონის დაპყრობასთან დაკავშირებით, წერს: „წელსა 1457 აღიღო ხვანთქარმა მაჰმედ მეორემან ტრაპიზონი და მეფე მისი დავით ცოლითა და ძეებით მიიყვანა ადრეანეპოლს და მუნ აიძულებდა დატევებასა ქრისტესსა; ხოლო მან არა ინება და მოიკლა ქრისტესათჳს მის მიერ“ (ვახუშტი, აღწერა..., ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 287, სქოლიო 2).

[32] J. Fallmerayer, Geschichte des Kaisertums von Trapezunt, München, 1827, p. 244.

[33] Ф. И. Успенский, Очерки из истории Трапезунтской империи, с. 140.

[34] ოსმალების მიერ ტრაპიზონის დაპყრობამ უზუნ ჰასანს უბიძგა მოეწყო ახალი ლაშქრობა საქართველოში. ჩანს, უზუნ ჰასანი ვერ შეურიგდა შავ ზღვაზე გასასვლელის დაკარგვას, რომელსაც მისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და

ტრაპიზონის საფაშოს დაარსებით ოსმალეთმა შექმნა ხელსაყრელი პლაცდარმი როგორც ხმელეთით, ისე ზღვით, საქართველოზე თავდასასხმელად. ამიერიდან იწყება ოსმალეთის მიერ საქართველოს დაპყრობა-დარბევის ხანგრძლივი პროცესი. ვახუშტი წერს: „დაიპყრა ხონთქარმან ტრაპიზონ... და ეკრთებოდენცა ოსმალნი მცირედ-მცირედ კლარჯეთსა და ჭანეთსა“[35]. სწორედ ტრაპიზონიდან მოაწყო უფლისწულმა ბაიაზიდ II-მ 1479 წ. პირველი თავდასხმა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე[36].

ტრაპიზონის საკეისროს გაუქმების შემდეგ ოსმალეთ-ირანის ურთიერთობაში პირველად დაისვა „გურჯისტანის საკითხი“ და აქედან დაწყებული, საუკუნეთა მანძილზე, საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე არ მოხსნილა დღის წესრიგიდან.

საქართველოს გზით სურდა შავი ზღვის სანაპიროზე გასვლა. ამ მიზნით მან სამცხე-საათაბაგოში ილაშქრა. „1461 წ. აჭა უზუნ ჰასანი მოვიდა სამცხეს“ (იორთის ჟამგულანი, ს. კაკაბაძის გამოცემა, თბ., I 11 წ. გვ.). მართალია, უზუნ ჰასანმა ოსმალეთს ტრაპიზონი „დაუთმო“, მაგრამ საქართველოზე პრეტენზიას აცხადებდა. სწორედ ამ დროიდან დაისვა „გურჯისტანის საკითხი“, ირან-ოსმალეთის ურთიერთობაში. თუმცა ოსმალეთი ამ პერიოდში საქართველოზე ოფიციალურად პრეტენზიას არ აცხადებდა, მაგრამ იგი შავ ზღვას „ოსმალეთის ტბად“ მიიჩნევდა და შავი ზღვის საქართველოს სანაპიროს თავისი გავლენის სფეროდ თვლიდა.

[35] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, გვ. 705.

[36] I b n K e m a l, Tevarih-i âl-i Osman VII defter, Ankara. 1954, s. 464—468.

საქართველო და ოსმალეთი XVI საუკუნის პირველ მეოთხედში

XVI საუკუნის პირველ მეოთხედში ოსმალეთ-საქართველოს ურთიერთობის შესასწავლად ამ ბოლო დროს მეტად საყურადღებო თურქული და სპარსული დოკუმენტები გამოაქვეყნა და კომენტარები და გამოკვლევები დაურთო ფრანგმა მეცნიერმა ჟან-ლუი ბაკე-გრამონმა[1]. ეს თურქული დოკუმენტები და ზოგი სხვა მასალა, სამცხე-საათაბაგოს რომ შეეხება, ქართულად თარგმნა, გამოსცა და ვრცელი გამოკვლევა წარუმძღვარა ც. აბულაძემ[2].

ყურადღებას იმსახურებს მ. კირზიოღლუს მონოგრაფია „ოსმალების მიერ კავკასიის ხალხების დაპყრობა"[3]. მიუხედავად ავტორის აშკარა ტენდენციურობისა, მასში მეტად მდიდარი მასალა მოიპოვება აღნიშნული პერიოდის ოსმალეთ-საქართველოს ისტორიის ზოგი საკითხის შესასწავლად.

---

[1] ჟ ა ნ-ლ უ ი ბ ა კ ე-გ რ ა მ ო ნ ი, ოსმალები და საქართველო XVI საუკუნის პირველ მეოთხედში, მაცნე, — ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1978, № 3, გვ. 98—105; Jean-Louis Bacqué-Grammont, Etudes turco-safavides IV, „Une description ottoman du Saatabago vers 1520", Bedi Kartlisa, XXXVI, 1978, pp. 149—165; ETSV Ch. Adle et Bacqué-Grammont, „Notes et documents sur Mzé-Čabuk, atabeg de Géorgie meridional (1500—1515) et les Setavides". Studia Iranica, 7/2 1978 pp. 213—249; ETS VI, „Notes et documentes sur les Ottomans, les Safavides et la Géorgie 1516—1521", Cahiers du Monde russe et sovietique XX/2, 1979, 7p. 239—272; ETS VIII, „Notes sur les Safavides et la Géorgie 1521—1524", Studia Iranica, t. 9, 1980, fasc. 2. pp. 211—231; ETS IX, „Deux lettres de David X du Kartli", Tarih Dergisi, XXXII (Ord. Prof. I. H. Uzulçarşılı Hâtıra Sayısı), 1979, pp. 137—156, 943—944; ETS X, „Le Kartli et ses voisins musulmans 1518—1521", Bedi Kartlisa, XXXVIII, Paris, 1980. pp. 186—197; „Sur quelques problems de l'histoire de la Géorgie entre 1518 et 1524. აღმოსავლური ფილოლოგია, ტ. V, 1983, გვ. 190—196.

[2] თურქული წყაროები XVI ს. I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, თურქული დოკუმენტები ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსცა ცისანა აბულაძემ, თბ., 1983.

[3] M. F. Kırzıoğlu, Osmanlıların Kafkas-ellerini Fethi (1451—1590).

XVI საუკუნის დამდეგიდან იწყება ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ახალი ეტაპი. ამ დროს საქართველო სამხრეთიდან მოექცა მუსლიმური სახელმწიფოების რკალში და მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა. ქართველი ხალხი ყველა საშუალებით იცავდა თავს მომხდური მტრისაგან.

XVI საუკუნის დამდეგისათვის ირანში გარკვეული პოლიტიკური ცვლილება მოხდა: 1502 წელს შეიქმნა ირანის სეფიანთა სახელმწიფო. მისი დამაარსებელი იყო ისმაილ I (1502—1524), არდებილის შეიხ სეფი-ედ დინის (1252 — 1334) ჩამომავალი. არდებილის ფეოდალური სამფლობელოს სათავეში შეიხები იდგნენ, რომლებიც თავიანთ ხელში აერთიანებდნენ როგორც საერო, ისე სასულიერო ხელისუფლებას. არდებილის ფეოდალური სამთავროს გაძლიერება XV საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო. XV საუკუნის მიწურულს, შიდაფეოდალური ბრძოლის შედეგად, აყ-ყოინლუს სახელმწიფო ორად გაიყო უზუნ ჰასანის შვილიშვილებს შორის, მიუხედავად ამისა, უფლისწულებს შორის ბრძოლა არ ცხრებოდა. ამან გაუადვილა ისმაილს აყ-ყოინლუს სახელმწიფოს განადგურება. ისმაილმა ბოლო მოუღო ანარქიას, თურქმანი უფლისწულები ამოხოცა და 1502 წელს თავი შაჰინშაჰად გამოაცხადა. სეფიანთა სახელმწიფოს შექმნაში აქტიურად მონაწილეობდა შვიდი ყიზილბაშური ტომი. ამიტომ სეფიანთა სახელმწიფოს ყიზილბაშების (წითელთავიანების) სახელმწიფოსაც უწოდებდნენ, რადგან ისმაილის მომხრე თურქული ტომები წითელზოლიან თავსაბურავებს ატარებდნენ. ყიზილბაშები შიიტები იყვნენ. შაჰ-ისმაილმა შიიტობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. ყიზილბაშებისა და სხვა თურქული ტომების გავლენა ირანის სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე პირველ ხანებში მეტად დიდი იყო. შაჰის ხელისუფლების დასაყრდენს ყიზილბაშთა ეს ტომები წარმოადგენენ, ხოლო საკუთრივ ირანელები კი, ფაქტიურად, ჩამოცილებულ იქნენ პოლიტიკურ ცხოვრებას[4].

საქართველოში ირანის ახალი დინასტია ძველი ტრადიციებით ხელმძღვანელობდა. ყიზილბაშები, ჯერ კიდევ სეფიანთა სახელმწიფოს დაარსებამდე, შეუდგნენ აგრესიული პოლიტიკის გატარებას საქართველოს მიმართ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მეფე-გამგებლები ისმაილს უჭერდნენ მხარს ალვენდის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ დროს საქარ-

---

[4] ვ. გაბაშვილი, სეფიანთა სახელმწიფო, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, გვ. 234—238; О. А. Эфендиев, Азербайджанское государство Сефевидов в XVI веке, Баку, 1981, с. 25; A Narrative of Italian Travels in Persia, v. 49, London, pp. 50—51.

თველო აყ-ყოინლუს მოხარკე ქვეყანა იყო და ისმაილი პირდებოდა ქართველებს, ალვენდის დამარცხების შემდეგ, იმ ხარკისაგან განთავისუფლებას.

ისმაილსა და აღმოსავლეთ მეფე-მთავრებს შორის სამხედრო კავშირი დაიდო. მეფეებმა და ათაბაგმა ისმაილს 3—3 ათასი მხედარი გაუგზავნეს — სულ 9 ათასი მეომარი. თვით ისმაილს 7 ათასზე მეტი ჯარი არ ჰყავდა. ამრიგად, ისმაილის მთავარ ძალას ქართველი ცხენოსნები შეადგენდნენ. ქართველების დახმარებით ისმაილმა ალვენდი დაამარცხა.

ამრიგად, სეფიანთა სახელმწიფოს დაარსებაში ქართველებსაც მიუძღოდათ გარკვეული წვლილი, მაგრამ ისმაილმა თავისი დაპირება არ შეასრულა და თანმიმდევრობით ანხორციელებდა საქართველოს მიმართ ირანის შაჰების ტრადიციულ პოლიტიკას[5].

1505 წელს ქართლის მეფე კონსტანტინე II გარდაიცვალა და ტახტზე ავიდა დავით X (1505—1525 წწ.). ვახუშტი ბატონიშვილი ასე ახასიათებს დავით ქართლის მეფეს: „იყო ლმობიერი, ბრძოლა — შლილობათა და შფოთთა მოძულე და მოყვარე მშჳდობისა“[6].

ამ დროს საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობა მეტად გართულდა, ფეოდალური საქართველოს დაშლის პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდა. საქართველო საბოლოოდ დაიშალა ცალკეულ სამეფო-სამთავროებად. ძაგრამ ერთიანობის აღდგენისათვის ბრძოლა არც ამის შემდგომაც არ შეწყვეტილა. ქართლის, კახეთისა და იმერეთის მეფეები ცალ-ცალკე „ორსავე ტახტის გამაერთიანებლად“, „ყოველისა საქართველოს ტახტისა და გვირგვინის მპყრობელად“ და „მეფეთა-მეფედ“ იწოდებოდნენ და ყოველი მათგანი საქართველოს გაერთიანებას ჩემულობდა.

ოსმალო და ყიზილბაში დამპყრობლები მოხერხებულად იყენებდნენ ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაყოფილი ქვეყნის მმართველთა შინაურ განხეთქილებებს და კიდევ უფრო აღვივებდნენ მათ შორის კონფლიქტს. ყოველივე ამის გამო, საქართველოს გაერთიანება და ქართველი ხალხის დარაზმვა უცხო დამპყრობელთა წინააღმდეგ საბრძოლველად დიდ დაბრკოლებას აწყდებოდა.

დავით X-ის მეფობის პირველ წლებში ქართლის სამეფო ხელისუფლება დასუსტებული იყო. ხან იმერეთისა და ხან კახეთის მე-

---

[5] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1973, გვ. 89—91; ე. მ ა მ ი ს თ ვ ა ლ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV საუკუნის მეორე ნახევრისა და XVI საუკუნეში, თბ., 1981, გვ. 102—110; О. А. Эфендиев, указ. соч. с. 12—45; История Ирана, М., 1977, 170—174.

[6] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, გვ. 392..

ფეები თავს ესხმოდნენ ქართლს, არბევდნენ და მის დაპყრობას ცდილობდნენ.

1509 წელს იმერეთის მეფემ ალექსანდრემ ილაშქრა ქართლში, აიღო გორის ციხე და ქართლის მთელი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი მდ. ლიახვამდე იმერეთის სამეფოს ხელში გადავიდა, მაგრამ ამ დროს ალექსანდრემ მიიღო ცნობა, რომ იმერეთს ოსმალები შეესივნენ. ტრაპიზონის გამგებელი უფლისწული სელიმი თავისი მარბიელი ლაშქრით შეიჭრა დასავლეთ საქართველოში, აიღო ქუთაისი, გაძარცვა და ააოხრა ქვეყანა და მდიდარი ნადავლით უკან გაბრუნდა[7]. ასეთ ვითარებაში ალექსანდრე იძულებული შეიქნა უკან გამობრუნებულიყო. ამით ისარგებლა დავით X-მ და ქართლის დაპყრობილი ნაწილი უკან დაიბრუნა.

ქართლის სამეფოს არც კახეთის მეფე „ავგიორგი" (ასე უწოდებდნენ მამის მკვლელ კახთა მეფეს) ასვენებდა. იგი თავს ესხმოდა ქართლს, ძარცვავდა და მის ხელში ჩაგდებას ლამობდა. ერთ-ერთი თავდასხმის დროს ავგიორგი შეიპყრეს და მოაკვლევინეს (1513 წ.). დავითმა არ დააყოვნა, იმავე წელს ქართლის ლაშქარი კახეთში გაგზავნა, დაიპყრო იგი და ოავის სამეფოს შეუერთა. ქართლის მეფე შეეცადა ხელთ ეგდო ავგიორგის მცირეწლოვანი მემკვიდრე ლევანიც და ამით საბოლოოდ შემოემტკიცებინა კახეთი. მაგრამ საგარეო ვითარებამ ხელი შეუშალა ქვეყნის გაერთიანებას.

სწორედ ამ დროს ოსმალეთსა და სეფიანთა ირანს შორის ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ომი დაიწყო, რომელიც მცირე შესვენებებით ნახევარ საუკუნეს გაგრძელდა. ამ ომის დროს საომარი მოქმედების ერთ-ერთი მთავარი ასპარეზი ამიერკავკასიის ქვეყნები და, კერძოდ, საქართველო იყო. ოსმალეთი, ისევე როგორც ირანი, დაჟინებით ცდილობდა ამ ქვეყნებში გაბატონებას.

ირანთან ომის დაწყებამდე სელიმ I-მა მრავალი სამხედრო-პოლიტიკური ღონისძიება განახორციელა წარმატების მისაღწევად. პირველ რიგში მან სამშვიდობო ხელშეკრულებები დადო ევროპის სახელმწიფოებთან და ამით უზრუნველყო თავისი დასავლეთის საზღვრების უშიშრობა.

ირანთან ომის წარმატების ერთ-ერთი ღონისძიება იყო, აგრე-

---

[7] დასავლეთ საქართველოში სელიმის ამ ლაშქრობასთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ. ც. ა ბ უ ლ ა ძ ე, თურქული წყაროები სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, გვ. 8; ვ. ს ვ ა ნ ი ძ ე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII სს. გვ. 41—44; M. F. K ı r z ı o ğ l u, დასახ. ნაშრ., გვ. 88—94; J e a n-L o u i s B a q u é-G r a m m o n t, Ch. Aidle, Notes et documents sur Mzé-Čabuk... Studia Iranica, 7/2 1978, pp. 213—249.

თვე, აღმოსავლეთ ანატოლიაში მცხოვრები შიიტების მასობრივი ჟლეტა. 1513 წლის განმავლობაში გაწყვეტილ იქნა 40000 კაცი. დახოცილთა ოჯახები და ყველა საეჭვო პირი გადასახლებულ იქნენ იმპერიის ევროპულ სამფლობელოებში. ამ ღონისძიებით სელიმ I-მა თავიდან აიცილა ყიზილბაშთა აჯანყების საფრთხე მცირე აზიაში.

1514 წლის გაზაფხულზე ედირენში შეიკრიბა საგანგებო დივანი, რომელზედაც ყოველი მუსლიმანის საღვთო მოვალეობად გამოცხადდა ომი ყიზილბაშებთან. ვეზირები, სელიმის უახლესი მრჩევლები, ირანთან ომს თვლიდნენ მეტად საშიშ საქმედ. მათი აზრით, ეს გამოიწვევდა დიდ მსხვერპლსა და ზარალს. მაგრამ სულთანმა თავისი გაიტანა და გადაწყდა ირანთან ომის დაწყება.

1514 წელს 20 აპრილს სელიმ I-მა დასტოვა სტამბული და ირანის წინააღმდეგ სალაშქროდ გაემგზავრა. ანატოლიაზე გავლით სულთანი სივასში ჩავიდა. მან თავისი ლაშქრის ერთი ნაწილი, 40000 ჯარისკაცის რაოდენობით, მცირე აზიაში დატოვა იმ შემთხვევისათვის, თუ დაიწყებოდა შიიტების აჯანყება, ანდა ეგვიპტის ლაშქარი მოულოდნელად თავს დაესხმოდა ოსმალთა სამფლობელოებს ამ რეგიონში. სურსათ-სანოვაგე და საბრძოლო აღჭურვილობა უნდა გაეგზავნათ ოსმალეთის ევროპული ნაწილიდან და დასავლეთი ოლქებიდან ზღვით ტრაპიზონამდე, ხოლო შემდეგ საქარავნო გზით საომრად გამზადებულ ლაშქარში მიეტანათ.

ოსმალეთის ლაშქარი გაცილებით აღემატებოდა ყიზილბაშებისას არა მარტო რიცხობრივად, არამედ შეიარაღებითაც. ოსმალებს დიდი უპირატესობა ჰქონდათ ზარბაზნების რაოდენობაში. შაჰ-ისმაილ I ითვალისწინებდა ოსმალთა უპირატესობას და ომის თავდაცვით საშუალებებს იყენებდა. ყიზილბაშთა ლაშქარი, შაჰ-ისმაილის მითითებით, ანხორციელებდა უკან დახევის სტრატეგიულ მანევრს. უკან დახევისას ყიზილბაშები ანადგურებდნენ გზებს, ხიდებს, სპობდნენ სურსათ-სანოვაგის მარაგს და სხვა. შაჰ-ისმაილი ატარებდა „გადაბუგული მიწის“ ტაქტიკას, ცდილობდა შეეტყუებინა ოსმალეთის ლაშქარი ქვეყნის სიღრმეში, დაექსაქსა, დაესუსტებინა და გაენადგურებინა იგი.

ოსმალეთის ლაშქარი გზაში დიდ სიძნელეებს აწყდებოდა და ამიტომ წინ ძალიან ნელა მიიწევდა. იგრძნობოდა სურსათ-სანოვაგის ნაკლებობა. მართალია, სელიმის ლაშქარმა მიიღო ტრაპიზონიდან გამოგზავნილი სურსათ-სანოვაგე და მდგომარეობა ოდნავ გაუმჯობესდა, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. ყიზილბაშთა ტაქტიკურმა ხერხმა ომი გაახანგრძლივა. მოჩვენებითი წარმატების მიუხედავად, ომს ბოლო არ უჩანდა. ამან ოსმალთა ლაშქრის საბრძოლო

განწყობილებაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა. უკმაყოფილებამ თავი იჩინა იენიჩართა რიგებში. მით უფრო, რომ სურსათ-სანოვაგის მარაგი იწურებოდა. უკმაყოფილონი იყვნენ აგრეთვე სელიმ I-ის უახლოესი პირები — დიდი ვეზირი და მრჩეველები. ბოლოს, მათ ყარამანიის ბეგლარ-ბეგს ჰამად ფაშას, რომელიც სელიმ I-ის ბავშვობის მეგობარი იყო, დაავალეს ეთქვა სულთანისათვის, თუ რა მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა ოსმალთა ჯარი და ერჩია შეეწყვიტა ლაშქრობა. განრისხებულმა სელიმმა სიკვდილით დასაჯა ჰამად-ფაშა და უბრძანა ლაშქარს გაეგრძელებინა გზა.

ასეთი იყო ოსმალეთის ლაშქრის მდგომარეობა, როდესაც სულთანთან გამოცხადდა სამცხე-საათაბაგოს წარმომადგენელი. სამცხე-საათაბაგო ოსმალეთის მოხარკე ქვეყანა იყო და მას ევალებოდა ომის დროს მოემარაგებინა ოსმალეთის ლაშქარი სურსათ-სანოვაგით.

1514 წლის 10 აგვისტოს სოგმენში სულთანმა მიიღო სამცხე-საათაბაგოს გამგებლის მზეჭაბუკის ელჩი, რომელმაც თან ჩაიტანა სურსათ-სანოვაგე: თაფლი, ერბო და ორი ათასი ცხვარი[8].

ზოგი ცნობის მიხედვით, ათაბაგმა სულთანს გაუგზავნა 800 ხარი და 4000 ცხვარი[9].

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ არ უნდა იყოს სწორი იტალიელი მოგზაურების ცნობები, რომ 13000—14000 ქართველი იბრძოდა სელიმის მხარეზე[10]. ამ დროს სამცხის ათაბაგს, როგორც ოსმალეთის მოხარკეს, არ ევალებოდა ლაშქრის გამოყვანა.

მზეჭაბუკის ელჩმა სელიმს ჩააბარა აგრეთვე შაჰ-ისმაილის ძმის ჰადის ოღლუს ორი შვილი. ეს ირანელი უფლისწულები შაჰს გაექცნენ და ახალციხის ათაბაგს შეაფარეს თავი. სელიმი მეტად ნასიამოვნები დარჩა ამ სამსახურით. მან თავისი ელჩი გაგზავნა მზეჭაბუკთან, მადლობა შეუთვალა და საპატიო ხალათი უბოძა[11].

სოგმენიდან სელიმ I ირანის დედაქალაქისაკენ გაემართა. როდესაც ოსმალთა ლაშქარმა შეიტყო, რომ სელიმი თავრიზისაკენ მიიწევს, ჯარში კვლავ უკმაყოფილება დაიწყო. იენიჩარებმა თოფები ძირს დაუშვეს და მათზე წაღები წამოაცვეს, რაც იმის ნიშანი იყო, რომ ისინი ერთ ნაბიჯსაც კი აღარ გადადგამდნენ. ლაშ-

---

[8] J. Hammer, Histoire de l'Empire Ottoman, v. IV, pp. 188, 189; I. H. Danişmend, Izahlı Osmanlı Tarihi Kronolojisi, c. II, s. 10.

[9] N. Jorga, Geschichte des Osmanischen Reiches, v. II, p. 167.

[10] M. Sanuto, I diari, IV ტ. 145; ე. მამისთვალიშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში, თბ., 1981, გვ. 113.

[11] J. Hammer, დასახ. ნაშრ., IV, გვ. 289; I. H. Danişmend, ტ. II, გვ. 10.

ქარმა სულთანს წინადადება მისცა ირანთან ზავი დაედო და სამშობლოში დაბრუნებულიყო. სელიმმა დაპირებებითა და მუქარით აიძულა ლაშქარი გაეგრძელებინა გზა. ამ დროს სელიმს მოუვიდა ცნობა, რომ შაჰი მზად იყო მასთან საბრძოლველად. სულთანი ჩალდირანის ველისაკენ გაემართა.

1514 წლის 23 აგვისტოს ჩალდირანის ველზე მოხდა დიდი ბრძოლა ოსმალეთისა და ირანის ლაშქარს შორის. ბრძოლა ოსმალეთის გამარჯვებით დამთავრდა. ოსმალთა წარმატება განაპირობა ზარბაზნების აშკარა უპირატესობამ. ამ გამარჯვების შემდეგ სულთანი ირანის დედაქალაქისაკენ გაემართა. 1514 წელს 6 სექტემბერს ოსმალეთის ლაშქარი თავრიზში შევიდა და ქალაქი გაძარცვა. 15 სექტემბერს სელიმი იძულებული შეიქნა დაეტოვებინა თავრიზი და უკან გაბრუნებულიყო.

ირანის გადაბუგულ მიწა-წყალზე ოსმალებს დიდხანს გაჩერება არ შეეძლოთ. ამასთან სელიმს ეშინოდა, რომ მისი ლაშქრის მძიმე მდგომარეობით ისარგებლებდა ეგვიპტის სულთანი და ოსმალეთს თავს დაესხმოდა. სელიმის ცდა, დაზავებოდა შაჰს, უშედეგო აღმოჩნდა. ასეთ ვითარებაში სელიმს სხვა არაფერი არ დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ ირანიდან უკან გამობრუნებულიყო. სელიმის ლაშქარი გზაში სურსათ-სანოვაგის დიდ ნაკლებობას განიცდიდა, რადგან მას უხდებოდა ყიზილბაშებისაგან გადაბუგული ადგილების გავლა. ოსმალთა ლაშქარს თავს ესხმოდნენ პარტიზანული რაზმები და დიდ ზარალს აყენებდნენ მას.

სექტემბრის ბოლოს ოსმალეთის ლაშქარი ერევანში ჩავიდა. სელიმმა წერილი მისწერა ათაბაგს და მოსთხოვა გაეგზავნა მისთვის სურსათ-სანოვაგე. მზეჭაბუკი აყოვნებდა სურსათ-სანოვაგის მიწოდებას. 4 ოქტომბერს სელიმი ყარსში ჩავიდა, მაგრამ მზეჭაბუკისაგან არავითარი ამბავი არ მოსვლია. სულთანმა სასწრაფოდ საგანგებო დივანი მოიწვია, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სამცხეში გაელაშქრათ და ქვეყანა სასტიკად აეოხრებინათ. ყარსიდან საათაბაგო ახლოს მდგომარეობდა. სელიმის ლაშქარი საათაბაგოსაკენ გაემართა. სამი დღის მგზავრობის შემდეგ სელიმთან გამოცხადა ათაბაგის ელჩი. მან აცნობა სულთანს, რომ სურსათ-სანოვაგეს ოსმალეთის არმიას მიაწვდიდნენ, როცა იგი ჩობანის ხიდთან ჩავიდოდა. ამასთანავე მზეჭაბუკის ელჩმა სელიმს გადასცა ისპირის ციხის გასაღები. ამით მზეჭაბუკს სურდა დაეშოშმინებია სელიმის რისხვა, სურსათ-სანოვაგის დაგვიანებით მიწოდების გამო. ამ დროიდან მოყოლებული, ისპირი და მისი რაიონი ოსმალეთის იმპერიას

შეუერთეს, ხოლო რაც შეეხება სურსათ-სანოვაგეს, 19 ოქტომბერს ჩობანის ხიდთან ოსმალეთის ბანაკში 3000 ცხვარი ჩაიყვანეს[12].

რა იყო მიზეზი, რატომ დააყოვნა ათაბაგმა სელიმისათვის სურსათ-სანოვაგის მიწოდება? მზეჭაბუკი ფიქრობდა, რომ ოსმალეთის არმია თავრიზიდან გამობრუნების შემდეგ დემორალიზებული იყო, მას გამუდმებით თავს ესხმოდნენ პარტიზანული რაზმები, დიდ ზიანს აყენებდნენ და მას არ შესწევდა უნარი რაიმე სამხედრო აქცია ჩაეტარებინა მისი ქვეყნის წინააღმდეგ. მისი ვარაუდი არ გამართლდა, იგი იძულებული შეიქნა დაეკმაყოფილებინა სელიმის მოთხოვნა და ამით ქვეყანა დარბევას გადაურჩა.

ამ ომში დავით X, ქართლის მეფე, ირანის მოკავშირე იყო. ევროპული წყაროებიდან ირკვევა, რომ ქართველები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ოსმალთა ლაშქარზე თავდასხმაში. ერთ-ერთი ასეთი თავდასხმის დროს ქართველებმა 15 ათასამდე კაცი მოკლეს და ხელთ იგდეს 11 ზარბაზანი[13].

შაჰ-ისმაილმა გადაწყვიტა ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად ანტიოსმალური კოალიცია შეედგინა, სადაც საქართველოს გარდა, შევიდა ეგვიპტის სულთანი, ალბისტანის და მარაშის გამგებლები. მოკავშირეები შეთანხმდნენ დახმარება აღმოეჩინათ ერთმანეთისათვის, თუ მათ თავს დაესხმოდა სულთანი. ამ კოალიციის შედგენის საქმეში ქართველი პოლიტიკური მესვეურები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ[14].

ჩანს, სელიმ I-ისათვის ცნობილი გახდა ეს და მან გადაწყვიტა ზომები მიეღო ანტიოსმალური კოალიციის მონაწილეების წინააღმდეგ. 1515 წელს სელიმმა გაილაშქრა ალბისტანისა და მარაშის წინააღმდეგ, დაიპყრო ეს საამიროები და ოსმალეთის იმპერიას შეუერთა. ამის შემდეგ სელიმმა გადაწყვიტა საქართველოს წინააღმდეგაც გაელაშქრა.

1515 წლის აგვისტოს ბოლოს ოსმალეთის დივანის გადაწყვეტილებით დიდ ვეზირ სინან ფაშას ზემო ქვეყნებში (მდ. მტკვრისა და არაქსის, ტიგროსისა და ევფრატის სათავეები) წასვლა და საქართველოს დაპყრობა ებრძანა. ამასთან დაკავშირებით, ალი ბეგის სახელზე სულთან სელიმის ჰუქმიც გამოვიდა[15]. ეს ლაშქრობა არ შე-

---

[12] M. F. Kırzıoğlu, დასახ. ნაშრ., გვ. 104—110; Jean-Louis Bacqué-Grammont et Chahryar Adle, Notes et documents sur Mzé-Čabuk..., p. 216.

[13] ე. მამისთვალიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 113—119.

[14] იქვე, გვ. 121.

[15] სელიმის ეს ბრძანებულება გამოაქვეყნა თურქმა ისტორიკოსმა ს. თანსელმა

მდგარა. ფიქრობენ, რომ საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობის ბრძანების გაცემა მხოლოდ დიპლომატიური ნაბიჯი იყო სულთნისა. სელიმს იმ დროს ანატოლიაში ზულკადარის საბეგლარბეგოს ხელში ჩაგდება აინტერესებდა და ამ ბრძანებით ძირითადი მიზანი დაემალა, თორემ საქართველოს დალაშქვრის არც მიზეზი ჰქონდა და არც საბაბი, პირიქით, ჩალდირანის ბრძოლაში გაწეული სამსახურის გამო ქართველების მადლიერი იყო[16].

1515 წელს შემოდგომაზე გარდაიცვალა მზეჭაბუკი და სამცხის ათაბაგი გახდა მისი ძმისწული ყვარყვარე III (1516—1535) ქაიხოსრო I-ის ძე. მზეჭაბუკის გარდაცვალების შემდეგ სამცხე-საათაბაგოში დაიწყო ბრძოლა ხელისუფლებისათვის. სამცხის ათაბაგი თუ მისი მოწინააღმდეგენი ცდილობდნენ ამ ბრძოლაში გამოეყენებინათ გარეშე ძალები — ირან-ოსმალეთი და მათი შემწეობით ხელთ ეგდოთ ძალაუფლება.

ყვარყვარეს აუჯანყდა მანუჩარი, რომელიც ყვარყვარე II-ის მეექვსე ვაჟი და ყვარყვარე III-ის ბიძა იყო[17]. მანუჩარმა დაამარცხა ყვარყვარე და ხელთ იგდო ათაბაგობა, მაგრამ ეს მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ყვარყვარემ გადაწყვიტა შაჰის დახმარებით აღედგინა ხელისუფლება.

1515 წლის 18 დეკემბერს სტამბულში მიღებულ იქნა ცნობა, რომ დივ ალი (დივ სულთან რუმლუ), ყიზილბაშთა ერთ-ერთი ბეგი, ჩუხურ-საიდში (ერევნის მხარე) ჩავიდა და რომ იქ მრავალი სპარსელი ვაჭარიც მივიდა. საქართველოს (საათაბაგოს) სუვერენული გამგებელი ყვარყვარე შაჰ-ისმაილთან გაიქცა და მანუჩარი გახდა საქართველოს დამოუკიდებელი ფადიშაჰი (გამგებელი)[18].

ყვარყვარე ირანში გაიქცა. იმ დროს, როდესაც ყვარყვარე თავრიზში ჩავიდა და შაჰ-ისმაილს დახმარება სთხოვა, ირანის მდგომარეობა არ იყო სახარბიელო: 1514 წელს ოსმალეთთან ომის შედეგად

(S. Tansel, Yavuz sultan Selim. Ankara, 1965, გვ. 122). ქართულად იგი თარგმნა ც. ბაბულაძემ (თურქული წყაროები სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, თბ., 1983. გვ. 9—10). ეს დოკუმენტი გამოყენებული აქვთ მ. ფ. კირზიოღლუს (M. F. Kirzioğlu, დასხ. ნაშრ., გვ. 114), ბაკე გრამონს. I. L. Bacqué-Grammont, Notes et documents sur Mzé-Čabuk..., p. 218.

16 ც. ბაბულაძე, თურქული წყაროები..., გვ. 8; I. L. Bacqué-Grammont, Notes et documents sur Mzé-Čâbuk..., p. 218.

17 ჭრ. შარაშიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 99—101.

18 Feridun Bey, Münşeati Selâtin, c. I, s. 473; ც. ბაბულაძე, თურქული წყაროები..., გვ. 11; J. L. Bacqué-Grammont, Notes et documents sur Mzé-Čabuk..., p. 219.

ირანის დასავლეთი პროვინციების ერთი ნაწილი ოსმალეთის ხელში გადავიდა, ხოლო ის რაიონები, რომლებიც ომის ასპარეზს წარმოადგენდნენ, გაპარტახებული იყო შაჰის მიერ შემოღებული „გადაბუგული მიწის“ პოლიტიკის შედეგად. ამის გამო, ირანში სურსათის ნაკლებობა იგრძნობოდა. დიდ ზიანს განიცდიდა ირანის ეკონომიკა სელიმის მიერ შემოღებული ბლოკადის შედეგად. სელიმმა აკრძალა, ოსმალეთის ტერიტორიაზე გავლით, ირანის საქონლის ტრანზიტი ეგვიპტესა და ევროპაში, ამის გამო განსაკუთრებით დიდად დაზარალდნენ ის ვაჭრები, რომელთაც ევროპაში აბრეშუმი გაჰქონდათ. 1515 წლის დასაწყისიდან სელიმმა კონტროლი დააწესა ეგვიპტიდან ირანში მიმავალ საქონელზედაც და კიდევ უფრო გაამკაცრა კონტროლი სატრანზიტო საქონელზე[19].

ამ დროს სამცხე-საათაბაგო დიდად დაწინაურებული და აყვავებული ქვეყანა იყო, სადაც განსაკუთრებით განვითარებული იყო სოფლის მეურნეობა და, კერძოდ, მარცვლეულის წარმოება[20]. ამ პერიოდში ირანი კი, აოხრებული და დაქცეული იყო. ასეთ პირობებში სამცხე-საათაბაგო ირანისათვის წარმოადგენდა პურის ბეღელს. ამავე დროს საათაბაგოს მეტად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ჰქონდა. მას ესაზღვრებოდნენ გურიისა და იმერეთის სამეფო-სამთავროები, რომლებიც შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობდნენ და შესაძლებელი იყო საათაბაგოს საშუალებით შავ ზღვაზე გასვლა და ამ გზით ევროპასთან ვაჭრობის გაშლა. ოსმალეთის მიერ ირანის წინააღმდეგ სავაჭრო ბლოკადის პირობებში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა შავ ზღვაზე გასვლას. მართალია, ამ დროს ოსმალეთი შავ ზღვას „ოსმალეთის ტბად“ აცხადებდა, მაგრამ მისი კონტროლი ზღვაზე ჯერ კიდევ არ იყო მკაცრი და შესაძლებელი იყო ამ გზით პოლონეთთან და დასავლეთ ევროპასთან სავაჭრო ურთიერთობის გაბმა.

სამცხე-საათაბაგოს აგრეთვე დიდი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა ოსმალეთთან ომში.

ყოველივე ამის შედეგად, შაჰ-ისმაილმა სიამოვნებით გადაწყვიტა აღმოეჩინა დახმარება ყვარყვარესათვის და აღედგინა იგი სამცხის ათაბაგის უფლებებში. შაჰმა შეიწყნარა ყვარყვარე და მას დახმარე-

---

[19] J. L. Bacqué-Grammont, Notes sur le blocus du commerce iranien par Selïm I, „Turcica“, VI, 1975, pp. 68—88; მისივე, Notes sur une saisie de soies d'Iran en 1518, „Turcica“, VIII/2, 1976, pp. 237—254.

[20] მ. სვანიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა XVI საუკუნეში, თბ., 1984; J. L. Bacqué-Grammont, Une description ottomane du Saatabago vers 1520..., pp. 148—166.

ბა აღმოუჩინა. 1516 წლის დამდეგს შაჰ-ისმაილმა სამცხეში მანუჩარის წინააღმდეგ ლაშქარი გამოგზავნა დივ-სულთან რუმლუს სარდლობით. ყიზილბაშები ახალქალაქში მოვიდნენ. მანუჩარი ველეში გაიქცა. იქიდან დივ-სულთანს ზავი შესთავაზა, მაგრამ ყიზილბაშმა სარდალმა არ მიიღო მანუჩარის წინადადება, მოციქულები დაუხოცა და თმოგვის ციხე აიღო. დამარცხებული მანუჩარი ოსმალეთში გაიქცა. დივ-სულთანმა სამცხის გამგებლობა კვლავ ყვარყვარეს დაუბრუნა, თვითონ ირანში დაბრუნდა[21].

1516 წელს 15 მარტს ადრიანოპოლში ოსმალეთის სამეფო კარზე მიიღეს ცნობა სამცხე-საათაბაგოში დივ-სულთნის ლაშქრობის შესახებ. სელიმმა ეს ამბავი როდესაც შეიტყო, ოთხი დღის შემდეგ 19 მარტს ბრძანება გასცა ჯარები შეეკრიბათ და საათაბაგოს საზღვართან თავი მოეყარათ[22]. როგორც ვხედავთ, სულთანმა მიიღო გადაწყვეტილება დაეწყო ახალი კამპანია ირანის წინააღმდეგ, მაგრამ ეს ლაშქრობა არ შემდგარა. მალე სელიმს ახალი უფრო დიდი დაპყრობითი გეგმა დაებადა....

ამგვარად, ყვარყვარე III-მ, ირანის დახმარებით, დაამარცხა მანუჩარი და აღიდგინა ხელისუფლება სამცხეში, ხოლო ოსმალებთან გაქცეული მანუჩარი მათი დახმარებით ცდილობდა ხელთ ეგდო ძალაუფლება სამცხეში. ყვარყვარე III ათაბაგსა და მანუჩარს შორის დაწყებული ბრძოლა ასუსტებდა სამცხის ფეოდალურ სამთავროს და მის თავდაცვისუნარიანობას. ოსმალეთი და ირანი მარჯვედ იყენებდნენ შინაფეოდალურ ჭიშპობას და „დახმარების“ საბაბით არბევდნენ და იმორჩილებდნენ მას.

1516 წლის დამდეგიდან სელიმ I ეგვიპტის წინააღმდეგ ომის სამზადისს შეუდგა. ოსმალეთ-ეგვიპტის ურთიერთობა თავდაპირველად მეგობრული კი იყო. ეგვიპტელები, ისევე როგორც ოსმალები, სუნიტები იყვნენ და გამოდიოდნენ მართლმორწმუნე სუნიტური ისლამის დაცვის დროშით. XIII—XIV საუკუნეებში ეგვიპტის მამლუქთა სასულთნო მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთი ძლიერი სახელმწიფო იყო. მის შემადგენლობაში, საკუთრივ ეგვიპტის გარდა, შედიოდა სუდანი, სირია, პალესტინა, არაბეთის ნახევარკუნძულის დასავლეთი ნაწილი წმინდა ქალაქებით მედინათი და მექათი. მის სამფლობელოებზე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო-საქარავნო

---

21 ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვ. ფუთურიძემ, შენიშვნები დაურთო რ. კიკნაძემ, თბ., 1966, გვ. 20, 21.

22 Feridun Bey, Münşeat„..., c. II s. 474, 475; J. L. Bacqué-Grammont, Notes et documents sur Mzé-Čabuk..., p. 216.

გზები, რომლითაც ევროპა აღმოსავლეთის ქვეყნებს უკავშირდებოდა. საშუამავლო-სატრანზიტო ვაჭრობის შედეგად ეგვიპტეს დიდი შემოსავალი ჰქონდა. XII საუკუნის ბოლოდან ეგვიპტის გამგებლებს მუსლიმურ სამყაროში წამყვანი ადგილი ეკავათ. მათი ტიტული „ისლამის სულთანი“ შერწყმული იყო „იმამსა“ და „ხალიფასთან“. ისინი ხელმძღვანელობდნენ ხაჯს, მფარველობდნენ წმინდა ქალაქებს. მათ ჰქონდათ განსაკუთრებული ტიტულიც „ხადიმ ალ-ხურამეინ“, ე. ი. ორივე წმინდა ქალაქის პატრონი[23]. აღსანიშნავია ისიც, რომ ბაღდადის სახალიფოს დაცემის შემდეგ ეგვიპტეს თავი შეაფარეს აბასელთა დინასტიის წარმომადგენლებმა. ერთი სიტყვით, ეგვიპტის სულთნებს ისლამის სამყაროში წამყვანი ადგილი ეკავათ.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეგვიპტესა და ოსმალეთს შორის არ იყო არც პოლიტიკურ-იდეოლოგიური და არც სავაჭრო-ეკონომიკური უთანხმოებანი. კონსტანტინოპოლის დაცემამდე ოსმალები ცნობდნენ მამლუქთა რელიგიურ-პოლიტიკურ პრიორიტეტს, ვითარცა მსოფლიო ისლამის ხელმძღვანელებისა და თვითონ მეორეხარისხოვანი როლით კმაყოფილდებოდნენ „სასაზღვრო ბეგებისა“ და საერთო საზღვრების დამცველებისა. თავის მხრივ, მამლუქებიც მათ უყურებდნენ როგორც საერთო საქმის მონაწილეთ. ოსმალთაგან კონსტანტინოპოლის აღება კაიროში გაგებულ იქნა როგორც მთელი მუსლიმური ხალხების საერთო გამარჯვება. მაგრამ სწორედ ამ ფაქტმა — კონსტანტინოპოლის აღებამ — ძირფესვიანად შეცვალა მდგომარეობა. კაიროს გამგებლები მიხვდნენ, რომ მათ მეზობლად შეიქმნა ძლიერი მუსლიმური სახელმწიფო, რომელიც დასახული მიზნის მისაღწევად შეუდრეკელად მიიწევდა წინ და არავის ზოგავდა. მალე მამლუქებისათვის ნათელი გახდა, რომ ოსმალები ცდილობდნენ — მათი იმპერიის ახალი დედაქალაქი სტამბული — გახდეს მსოფლიო ისლამის წამყვანი ცენტრი. თუ აქამდე ოსმალთა სულთნები ატარებდნენ თავმდაბალ ტიტულს „გაზი“ (სჯულისათვის მებრძოლი) და მიმოწერაში მამლუქთა სულთნები მათ უწოდებდნენ „ემირს“ ან „ხონთქარს“, ახლა მეჰმედ II-მ, პირველმა ოსმალთა საგვარეულოდან, მიიღო „სულთნის“ ტიტული და მოისურვა გათანაბრებოდა ეგვიპტის სულთანს. ეს კი იმის მანიშნებელი იყო, რომ მეჰმედმა აიღო ახალი პოლიტიკური კურსი — მსოფლიო ბატონობისა. იგი თავის თავს მიიჩნევდა რომის მემკვიდრედ. ჰ. ინალჯიკის აზრით, მეჰმედ II ცდილობდა გაეერთიანებინა თავის თავში მუსლი-

[23] В. В. Бартольд, Сочинения, т. VI, М., 1966, с. 43, 51, 77; Н. А. Иванов, Османское завоевание арабских стран 1516—1574, М., 1984, с. 11.

მური, თურქული და რომაული ტრადიციები სუვერენიტეტისა და სტამბული ექცია ახალი მსოფლიო იმპერიის ცენტრად[24].

ბუნებრივია, რომ ამიერიდან ურთიერთობა მამლუქებსა და ოსმალთა შორის მკვეთრად გაუარესდა და დაიძაბა. ბრძოლა მუსლიმურ სამყაროში პირველობისათვის იყო ძირითადი მიზეზი მათ შორის უკმაყოფილების ჩამოვარდნისა, მის პირველ გამოვლენად ჩაითვლება 1463 წლის დიპლომატიური კონფლიქტი, როდესაც ოსმალეთის ელჩმა არ მოისურვა პირქვე დამხობა ეგვიპტის მბრძანებლის წინაშე.

ორივე დედაქალაქი — კაიროც და სტამბულიც — სიამოვნებით აძლევდნენ თავშესაფარს მოწინააღმდეგე ქვეყნებიდან პოლიტიკურ ლტოლვილებს.

1514 წლის მაისში, როდესაც სელიმ I-მა გადაწყვიტა დაეწყო ლაშქრობა ირანის წინააღმდეგ, მან კაიროში გაგზავნა ელჩობა და შესთავაზა ეგვიპტის სულთანს კავშირი ისმაილის წინააღმდეგ საბრძოლველად. მამლუქებმა უარყვეს ეს წინადადება და დაელოდნენ მოვლენათა შემდგომ განვითარებას. 1514 წლის ივნისის თვეში მამლუქთა სამხედრო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ალეპოში გაეგზავნათ მეთვალყურეთა ლაშქარი, რომელსაც არაფერი გაუკეთებია, გარდა იმისა, რომ ორივე მხარეს აღიზიანებდა.

ეგვიპტის ორჭოფულმა პოლიტიკამ ხელსაყრელი პირობები შეუქმნა სელიმს თავისი გეგმების განხორციელების საქმეში.

სელიმის მიერ ჩალდირანის ველზე ყიზილბაშების განადგურება მოულოდნელი იყო მამლუქებისათვის. სეფიანთა დამარცხებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კაიროში. ეგვიპტის გამგებლები არ მალავდნენ თავიანთ გულისწყრომას (შიიტური) ირანის დაცემის გამო.

1515 წლის გაზაფხულზე კაიროში მოვიდა პირველი ცნობა ოსმალთა სამხედრო სამზადისის შესახებ. ოსმალეთის არმია და ფლოტი ემზადებოდა ეგვიპტის წინააღმდეგ სალაშქროდ. სტამბულში საღვთო ომის განწყობილება სუფევდა. ეგვიპტის წინააღმდეგ ომი განიხილებოდა როგორც ყოველი მუსლიმის აუცილებელი მოვალეობა. ოსმალო ულემებმა გამოსცეს სამი ფეტვა, რომლებშიც ასაბუთებდნენ ომის რელიგიურ და განმათავისუფლებელ ხასიათს. ერთ-ერთ ფეტვაში მამლუქებს უწოდებდნენ ისლამის მოღალატეებს, რომლებმაც დახმარება აღმოუჩინეს ურჯულოებს (მხედველობაში ჰყავდათ ირანელები). „ვინც ეხმარება ურჯულოებს, თვითონაა ურჯული“, — განაცხადა სტამბულის დიდმა მუფტიმ. ლაშქრობის მიზნად გამო-

[24] H. Inalcik, The Ottoman Empire. The Classical Ages 1300—1600 L., N. Y. 1973, pp. 56, 57.

ცხადებულ იქნა დაჩაგრული ხალხების განთავისუფლება და, აგრეთვე, მუსლიმთა დაცვა გარეშე მტრებისაგან.

1515 წლის თებერვალში ოსმალები თავს დაესხნენ ალბისტანს. მაისისათვის მათ გაანადგურეს ზულყადრის გამგებლის ად-დოულეს ჯარები, რომელიც მამლუქთა პროტექტორატის ქვეშ იმყოფებოდა, ხოლო მისი მოკვეთილი თავი კაიროში გაგზავნეს. ეს იყო აშკარა გამოწვევა და, ფაქტიურად, ომის გამოცხადება. მაგრამ მამლუქები ამას არ წამოეგენ და ყველაფერი გააკეთეს, რათა კონფლიქტი მოლაპარაკების გზით მოეგვარებინათ. მამლუქ ხელმძღვანელთა შორის უთანხმოება სუფევდა, რაც მძიმე გავლენას ახდენდა არმიასა და ქვეყნის მორალურ-პოლიტიკურ კლიმატზე.

1515 წლის აპრილში ეგვიპტის სულთანმა კანსუჰ ალ-ღურიმ დაიწყო ომისათვის მზადება. 3 ოქტომბერს გამოცხადებულ იქნა მობილიზაცია. ისევე როგორც ოსმალები, მამლუქებიც ცდილობდნენ ომისათვის რელიგიური ხასიათის მიცემას. ეგვიპტის სულთანი ყოველნაირად ცდილობდა გაეჭიანურებინა საომარი მოქმედების დაწყება, იგი სალაშქროდ გამოსვლის შემდეგაც არ კარგავდა იმედს, რომ მშვიდობიანად მოაგვარებდა კონფლიქტს. თავის მხრივ, ოსმალეთის დიპლომატია ყოველნაირად უწყობდა ხელს ამ იმედს. 1516 წლის გაზაფხულზე ეგვიპტის სულთანმა გადაწყვიტა მიეღო ზომები ოსმალეთის აგრესიისაგან თავდაცვის მიზნით. 1516 წლის 17 მაისს მან დატოვა კაირო და თავისი ლაშქრით სირიისაკენ გაემართა.

სელიმს კარგად ესმოდა, რომ ეგვიპტის მამლუქებთან ომი დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. მართალია, მამლუქთა არმიას დაკარგული ჰქონდა თავისი ოდინდელი ძლიერება, მაგრამ იგი ჯერ კიდევ საშიშ ძალას წარმოადგენდა. სელიმს განსაკუთრებით აფიქრებდა ის, რომ ეგვიპტის წინააღმდეგ ლაშქრობის დროს, ირანი ზურგში არ დასხმოდა ოსმალეთის არმიას. იგი ცდილობდა დაერწმუნებია ეგვიპტის სულთანი მისდამი კეთილგანწყობილ ურთიერთობაში და აცხადებდა, რომ მისი ერთადერთი მიზანია „ურჯულო შიიტების“ დამარცხება.

ალეპოში მყოფ ეგვიპტის სულთანთან სელიმმა ელჩები და წერილი გაგზავნა, რომელშიც წერდა: „შენ მამა ხარ ჩემი და მე გთხოვ ილოცო ჩემთვის, მაგრამ ნუ ჩადგები ჩემსა და შაჰ ისმაილს შორის“[11]. ელჩები არწმუნებდნენ კანსუჰ ალ-ღურის, რომ სელიმს მხოლოდ სპარსეთთან ჰქონდა განზრახული ომი და რომ იგი მზად იყო დაეთმო ეგვიპტისათვის ალა ად-დოულეს ყოფილი სამფლობელოები. სელიმის ელჩების ასეთმა მშვიდობისმოყვარულმა განწყობილებამ ეგვიპტის სულთანი გაათამამა და მან კატეგორიულად მოსთხოვა

ოსმალეთს დაებრუნებინა ალა ად-დოულეს სამფლობელოები მისი შვილისათვის და შეეწყვიტა მტრული საქმიანობა ირანის წინააღმდეგ.

ლაპარაკი მშვიდობასა და მეგობრობაზე სელიმის მხრივ მხოლოდ თვალთმაქცობა იყო, ეგვიპტის სულთნის შეცდომაში შეყვანის მიზნით. წახალისებულმა კანსუჰ ალ-ღურიმ სელიმს ელჩობა გაუგზავნა და თავისი მოთხოვნები განუმეორა. განრისხებულმა სელიმმა მამლუქთა ელჩის ამალის წევრები სიკვდილით დასაჯა. ეს კი აშკარად ომის მაუწყებელი იყო.

1516 წლის 5 აგვისტოს ოსმალეთის ჯარებმა გადალახეს სირიის საზღვარი და სირიაში შეიჭრნენ.

სირია ამ დროს ეგვიპტის შემადგენლობაში შედიოდა. მისი დაპყრობის შემთხვევაში სელიმი არა მარტო დიდად გაიფართოებდა თავის სამფლობელოებს, არამედ ხელთ იგდებდა მეტად მნიშვნელოვან სავაჭრო-სატრანზიტო გზას, რომელიც მასზე გადიოდა. ამით კიდევ უფრო მეტად გაუარესდებოდა ირანის მდგომარეობა, რადგანაც, როგორც ზემოთ ითქვა, სულთანმა ირანს გადაუკეტა ევროპაში მიმავალი სავაჭრო გზა.

1516 წლის 24 აგვისტოს ალეპოს ჩრდილოეთით, დაბიკის ველზე მოხდა ბრძოლა ოსმალეთისა და ეგვიპტის ჯარებს შორის, რომელიც სელიმის გამარჯვებით დამთავრდა. 75 წლის მოხუცებულმა კანსუჰ ალ-ღურიმ ეს დამარცხება ვერ გადაიტანა და გარდაიცვალა. 1516 წლის 28 აგვისტოს სელიმ I თავისი ლაშქრით ალეპოში შევიდა, ხოლო 9 ოქტომბერს აღებულ იქნა დამასკო. სირიისა და პალესტინის მოსახლეობა, რომელიც შევიწროებული იყო მამლუქთა ბატონობით, ხშირ შემთხვევაში დახმარებას უწევდა ოსმალებს. დამასკოს აღების შემდეგ, სულ მალე, მთელი სირია და პალესტინა ოსმალთა ხელთ აღმოჩნდა.

დამასკოში ყოფნის დროს სელიმთან გამოცხადდა კაიროში მცხოვრები ბაღდადის აბასელთა ხელისუფლების უკანასკნელი შთამომავალი ალ-მუთავაქილ III და დახმარება სთხოვა. სელიმი მას დაპირდა სახალიფოს ძველი დედაქალაქის დაბრუნებას, მაგრამ ეს დაპირება არ შეასრულა. ისტორიოგრაფიაში გავრცელებული იყო შეხედულება იმის შესახებ, რომ თითქოს აბასელთა უკანასკნელმა ხალიფამ ალ-მუთავაქილ III-მ ნებაყოფლობით გადასცა სელიმს ხალიფობა. და ამის შემდეგ ოსმალეთის სულთნები ხალიფას ტიტულსაც ატარებდნენ. ეს მოსაზრება უარყოფილია რიგი ორიენტალისტის მიერ[25].

---

[25] В. В. Бартольд. Халиф и султан, соч., т. V, с. 58, 59;

მანუჩარმა ყვარყვარესთან დამარცხების შემდეგ დახმარებისათვის ოსმალეთს მიმართა. მანუჩარი, ბაიბურდის ბეგის ყიზილ აჰმედ ოღლუ მირზას შუამავლობით, ოსმალეთის სამეფო კარს დაუკავშირდა. 1516 წ. ნოემბერში მანუჩარი დამასკოში ჩავიდა, სადაც ამ დროს სელიმი იმყოფებოდა. 10 დეკემბერს დამასკოდან გამგზავრების წინ დივანი შეიკრიბა და მანუჩარი საქართველოს ბეგად იქნა აღიარებული. ამავე დივანზე საქართველოს მოსაზღვრე ძლიერი საბეგლარბეგოს შექმნის მიზნით, მირზა ბეგს ბაიბურდის, თერჯანისა და ერზიჯანის ბეგლარბეგობა ებოძა. 15 დეკემბერს სელიმმა დატოვა დამასკო და ეგვიპტისაკენ გაემართა[26].

1517 წლის ზაფხულში ოსმალთა ლაშქარი ყიზილ-აჰმედ ოღლუს სარდლობით სამცხესაკენ გამოემართა, რათა „ყვარყვარესათვის ქვეყანა წაერთმია და მისთვის (მანუჩარისათვის — მ. ს.) მიეცა“[27]. ბრძოლა ყვარყვარე ათაბაგსა და ოსმალეთის ლაშქარს შორის ყარაჯა-არდაჰანში მოხდა. ამ ბრძოლაში ოსმალები დამარცხდნენ, ყიზილ აჰმედ ოღლუ მოკლულ იქნა[28]. ოსმალების მიერ მანუჩარისათვის გაწეული დახმარება არაარსებითი იყო, იგი ლოკალურ ხასიათს ატარებდა და არ აღმოჩნდა საკმარისი ყვარყვარეს დასამარცხებლად.

1517 წლის 31 იანვარს სელიმმა ეგვიპტის დედაქალაქი კაირო აიღო და ეგვიპტე დაიპყრო. ამ დროს ოსმალეთს დაუმორჩილდა, აგრეთვე, ჰიჯაზი (დასავლეთ არაბეთი) წმინდა ქალაქებით მედინათი და მექათი, რომელნიც ეგვიპტის შემადგენლობაში შედიოდნენ. სელიმი საშინლად გაუსწორდა მამლუქ ბეგებს. მათგან 800, უველაზე წარჩინებულნი, სიკვდილით დასაჯა, მათ შორის ეგვიპტის ახალი სულთანი თუმან ბეგი. ეგვიპტის მამლუქთა სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა. მის გამგებლად სელიმმა ოსმალო ფაშა დანიშნა[29].

В. А. Горлевский, Был ли турецкий султан халифом? избр. соч., т. III, с. 178—197.

[26] Feridun Bey, с. I, გვ. 475; ც. აბულაძე, თურქული წყაროები..., გვ. 12.

[27] ჰასან რუმლუ, დასახ. ნაშრ., გვ. 21, 22.

[28] იქვე.

[29] დაწვრილებით იხ. მ. ტიკაძე, იბნ იასის ცნობები ოსმალეთის სირიის ქალაქების დაპყრობის შესახებ, მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, ტ. II, გვ. 46—58; Н. А. Иванов, Османское завоевание арабских стран, G. W. F. Stripling, The Ottoman Turks and the Arabs, 1511—1574, Urbana, 1942; J. L. Bacqué-Grammont, Un registre d'empruntes de l'armée Ottomane en decembre 1516, Annales islamologiques, t. XVIII, 1982, pp. 171 — 191; Mufassal Osmanlı Tarihi, c. II, s. 740 — 765.

1517 წლის 29 აგვისტოს კაიროში შეკრებილ დივანს ალეპოდან მოსულმა შიკრიკმა აცნობა: მირზა ბეგმა ბრძოლა გაუმართა ყვარყვარეს და დამარცხდა. მასთან ერთად ბრძოლაში დაიღუპა ისფირაზ ბეგი[30]. როგორც ვხედავთ, ოსმალთა ცდა დაემარცხებინათ ყვარყვარე, უშედეგოდ დამთავრდა. მანუჩარმა ვერ შესძლო ოსმალეთის დახმარებით ყვარყვარეს განადგურება, რათა აღედგინა თავისი ხელისუფლება.

ეგვიპტიდან დაბრუნების შემდეგ, 1517 წლის 7 ოქტომბერს სელიმი დამასკოში ჩავიდა და საზამთროდ იქ დაბანაკდა.

ჯერ კიდევ 1517 წლის სექტემბერში, კაიროდან გამგზავრებამდე, სელიმს განზრახული ჰქონდა მომავალი წლის გაზაფხულზე დაეწყო ლაშქრობა შაჰ-ისმაილის წინააღმდეგ.

1518 წლის 6 იანვარს სულთანმა აცნობა სპარსელ და ქართველ ბეგებს, რომ უახლოეს დროში სათავეში ჩაუდგება ირანის წინააღმდეგ ლაშქრობას. თებერვალში დამასკოში ჩავიდა შაჰ-ისმაილის ელჩი და სელიმს ზავი შესთავაზა. სულთანმა შაჰის წინადადება უარყო და ელჩი დააპატიმრა. მაისში სელიმი დამასკოდან ალეპოში ჩავიდა. მას გადაწყვეტილი ჰქონდა მდ. ევფრატის ნაპირებიდან მოეწყო ლაშქრობა ირანის წინააღმდეგ. მაგრამ მოულოდნელად შეცვალა თავისი გადაწყვეტილება და ევროპისაკენ იბრუნა პირი — იგი სტამბულისაკენ გაემართა[31].

შაჰ-ისმაილ I ყურადღებით ადევნებდა თვალს სულთან სელიმის საქმიანობას და მან სათანადო ნაბიჯები გადადგა ოსმალეთის მოსალოდნელი თავდასხმის შესაჩერებლად. შაჰს განსაკუთრებით აფიქრებდა ის, რომ სელიმი სამცხე-საათაბაგოსა და ქართლში არ შეჭრილიყო. ამიტომ იგი შეეცადა აქ თავისი გავლენის განმტკიცებას.

სამცხე-საათაბაგოსა და ქართლის სამეფოს დიდი სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ეს ქვეყნები იცავდნენ ირანს ჩრდილო-დასავლეთიდან ოსმალეთის შემოტევის დროს. ამ ქვეყნების დაპყრობის შემთხვევაში, ოსმალეთს საშუალება ეძლეოდა გაელაშქრა როგორც დასავლეთ საქართველოს, ისე აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მიმართულებით. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დაპყრობა კი მას ჩრდილოეთ კავკასიაში შეჭრისა და ირანისათვის ჩრდილოეთის მხრიდან დარტყმის შესაძლებლობას აძლევდა.

---

[30] Feridum Bey, c. I, გვ. 432, 491; ც. ა ბ უ ლ ა ძ ე, თურქული წყაროები..., გვ. 13; J. L. Bacqué-Grammont, Notes et documents sur Mzé-Čabuz..., p. 215.

[31] J. L. Bacqué-Grammont, Notes et documents sur Mzé-Čabuk..., p. 217.

1518 წელს შაჰ-თამაზ I ნახიჭევანის საზამთრო ბანაკში იმყოფებოდა. აქ მან დაიბარა ათაბაგი ყვარყვარე III[32]. შაჰმა თავის სარდალთან დივ-სულთან რუმლუსთან ერთად ქართლში გამოგზავნა ყვარყვარე. დივ-სულთან რუმლუს ლაშქარი სამცხე-საათაბაგოს გავლით ქართლში შემოვიდა. გორი და სურამი დაიკავა. "ამ წელს (1518), — წერს ჰასან რუმლუ, — საქართველოს ჰაქიმი მეფე ყვარყვარე ქვეყნის საფარველ კარზე მოვიდა და ალექსანდრეს სადარმა ხაყანმა მასთან ერთად დივ-სულთანი საქართველოზე გამოგზავნა. დივ-სულთანმა ციხე გორი და სურამი დაიპყრო"[33].

დავით X-მ, ქართლის სამეფოს აოხრებისაგან გადარჩენის მიზნით, მორჩილება არჩია. დავითმა დივ-სულთანთან მოსალაპარაკებლად თავისი შვილი რამაზი გაგზავნა, ძვირფასი ძღვენით და მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდა: „შეიწყნარა ძე მეფისა რამაზ პატივითა დიდითა და მისცა ნიჭი დიდი და წარმოგზავნა მშვიდობით ზავისა მყოფელმან და დაიხსნა მეფემან დავით ქართლი აოხრება-ტყუეობისაგან"[34].

შექმნილ ვითარებაში შაჰ-თამაზის შედარებით ლოიალური პოლიტიკა ქართლის სამეფოს მიმართ, უპირველესად ყოვლისა, აიხსნება იმით, რომ შაჰს სურდა ქართლის სამეფო, ოსმალეთის წინააღმდეგ მომავალ ომში, მისი მოკავშირე ყოფილიყო. ვახუშტი სრულიად სამართლიანად შენიშნავს, რომ „ესე ჰყო ყეენმან, რამეთუ ბრძოლად მივიდოდა ხონთქარისა, რათა არა ქართველნი მიერთუნენ მას"[35].

ქართლის სამეფოს გართულებული საგარეო მდგომარეობით ისარგებლეს ლევანის მომხრე კახელმა თავადებმა და იგი კახეთში გაამეფეს. ამით ქართლ-კახეთის პოლიტიკურ გაერთიანებას ბოლო მოეღო; დავით ქართლის მეფე ვერ შეურიგდა კახეთის დაკარგვას და ლევანის წინააღმდეგ გაილაშქრა (1520 წ.). ამ კონფლიქტში საქართველოს მეფე-მთავრებმა (იმერეთის მეფემ ბაგრატ III, გურიის მთავარმა მამია I-მა, ყვარყვარე III ათაბაგმა) ლევან კახთა მეფეს დაუჭირეს მხარი, ისინი არ იყვნენ დაინტერესებულნი ქართლის სამეფოს გაძლიერებით, რადგან ქართლის განმტკიცება მათ სამეფო-სამთავ-

---

32 ვერ დაეთანხმებით რ. კოკნაძეს, რომ შაჰის კარზე ყვარყვარეს კვლავ მისული აიხსნება მანუჩარის მიერ ყვარყვარეს დამარცხებით (ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, შენ. 240, გვ. 53). პირიქით, როგორც ზემოთ მივუთითეთ, ყვარყვარემ დაამარცხა მანუჩარის მომხრე ოსმალთა ლაშქარი და ამჯერად იგი ირანში წავიდა შაჰის მოთხოვნით.

33 ჰასან რუმლუ, დასახ. ნაშრ., გვ. 21.

34 ვახუშტი, აღწერა..., გვ. 395.

35 იქვე.

როების დამოუკიდებლობას საფრთხეს უქმნიდა. მამია გურიელის შუამდგომლობით დავითი და ლევანი დაზავდნენ, საზღვრები დაადგინეს და ხელშეკრულება დადეს კეთილმეზობლობისა და საერთო მტრების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის. „რათა ჰყოთ ზავი და სიყუარული თქვენ შორის, — განუცხადა მათ გურიის მთავარმა მამიამ, რამეთუ არიან მტერნი ძლიერნი გარემოს. ვითარცა ყეენი, რომელი იპყრობს ქვეყანათა“[36].

ამრიგად, დავით X ქართლის მეფის ბრძოლა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისათვის მარცხით დამთავრდა, ამის მთავარი მიზეზი როგორც საშინაო, ისე საგარეო ვითარება იყო. დავითმა, „მშვიდობის მოყვარე მეფემ“, არჩია კარზე მომდგარ ბრძოლის ჟამს ძმათა სისხლის ღვრის ნაცვლად ქვეყანაში მშვიდობა ყოფილიყო.

სელიმ I-ის დაპყრობითი ომების შედეგად ოსმალეთს შეუერთდა დასავლეთ სომხეთი, ჭურთისტანი, სირია, ლიბანი, პალესტინა, ეგვიპტე, ალჟირი. ოსმალეთს დაემორჩილა, აგრეთვე, მუსლიმთა წმინდა ქალაქები მექა და მედინა. სელიმის დროს ოსმალეთის იმპერიის ტერიტორია თითქმის ორჯერ გაიზარდა. ამიერიდან ოსმალეთი ფლობდა ტერიტორიებს არა მარტო ევროპასა და აზიაში, არამედ აფრიკაშიც. სელიმი შიშის ზარს სცემდა იმდროინდელ სახელმწიფოთა მეფე-გამგებლებს. მაგრამ სელიმი არ კმაყოფილდებოდა მიღწეულით და ახალი დიდი ომის სამზადისში იყო. არავინ იცოდა, თუ ვის წინააღმდეგ მიმართავდა მახვილს სელიმი. პოლიტიკური აგენტები ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს სელიმის სამხედრო სამზადისს და სურდათ გამოეცნოთ მისი მომავალი საომარი გეგმები.

1520 წლის გაზაფხულზე სელიმმა დაიწყო თავისი ფლოტის მზადება, მაგრამ ზუსტად არ იყო ცნობილი — იგი მას გამოიყენებდა როდოსზე თავდასასხმელად, თუ ტრაპიზონის გზით შაჰის წინააღმდეგ გაილაშქრებდა.

ოსმალეთიდან დაბრუნებული ვენეციის ელჩი 1520 წლის 24 აპრილს რომიდან იტყობინებოდა, რომ ოსმალეთი აპირებდა შაჰის წინააღმდეგ გალაშქრებას, რადგან ქართველები ირანელების მხარეზე არიან. ანალოგიური შინაარსის წერილი გაგზავნილ იქნა კაიროდან 20 მაისს[37] და სხვა.

ვფიქრობთ, ოსმალეთში განგებ ავრცელებდნენ ხმებს, რომ სე-

---

[36] ვახუშტი, აღწერა..., გვ. 395, 397.

[37] Marino Sanuto, I Diari, XXVIII, p. 48; XXIX, p. 92, 368; J. L. Bacqué-Grammont, Notes et documents sur Mzé-Čabuk..., p. 216.

ლიმს 1520 წელს განზრახული ჰქონდა ირანის წინააღმდეგ მოეწყო ახალი ლაშქრობა, რათა შეცდომაში შეეყვანათ თავიანთი მოწინააღმდეგენი. ამჟამად კარგადაა ცნობილი, რომ სელიმმა ფლოტის მშენებლობა დაიწყო კუნძულ როდოსზე თავდასხმის მიზნით, მაგრამ ეს გეგმა განუხორციელებელი დარჩა, მისი მოულოდნელი სიკვდილის გამო (1520 წლის 22 სექტემბერი). სელიმის ეს გეგმა განახორციელა მისმა მემკვიდრემ სულეიმანმა, რომელმაც 1522 წელს, დაიპყრო როდოსი.

სულეიმან I (1520—1566) ისტორიაში ცნობილია „ბრწყინვალესა" და „კანონმდებლის" სახელწოდებით. მის დროს ოსმალეთის იმპერიამ თავისი ძლიერების ზენიტს მიაღწია. სულეიმანი აგრძელებდა მამის მიერ დაწყებულ საგარეო პოლიტიკურ კურსს. სელიმს თავისი მეფობის ბოლო წლებში განზრახული ჰქონდა დიდი ლაშქრობა დაეწყო ევროპის სახელმწიფოების წინააღმდეგ და იგი ათი წლის განმავლობაში დაკავებული იყო ევროპაში ომით.

მართალია, სულეიმანმა არ განაახლა ოფიციალური ურთიერთობა ირანის შაჰთან, მაგრამ მან გამოსცა სპეციალური დეკრეტი, რომლითაც გაუქმებულ იქნა სელიმის დადგენილება აბრეშუმის სატრანზიტო ვაჭრობის აკრძალვის შესახებ[38]. ამას კი უაღრესად დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა ირანისათვის, რადგანაც სპარსელი ვაჭრები დიდ ზარალს განიცდიდნენ სატრანზიტო გზის გადაკეტვის შედეგად.

მიუხედავად იმისა, რომ სულეიმან I ევროპის საქმეებით იყო დაკავებული, იგი ყურადღებით ადევნებდა თვალს, თუ რა ხდებოდა აღმოსავლეთის ქვეყნებში. ევროპაში ომის დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ოსმალეთის იმპერიის აღმოსავლეთის საზღვრების უშიშროებას, რაც ხელს შეუწყობდა მის წარმატებებს დასავლეთის მიმართულებით.

სულთნის სამეფო კარი ახალ აგენტებს გზავნიდა აღმოსავლეთის ქვეყნებში, რათა სრული ინფორმაცია ჰქონოდა იქ შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

თავის მხრივ, შაჰ-ისმაილი, ჩანს, კარგად იყო ორიენტირებული საერთაშორისო ვითარებაში. სელიმ I-ის სიკვდილის შემდეგ მან სწორედ შეაფასა მისთვის ხელსაყრელი სიტუაცია. გადაწყვიტა განემტკიცებინა თავისი პოზიციები ოსმალეთის მოსაზღვრე ქვეყნებში და მომზადებულიყო ოსმალეთის წინააღმდეგ იერიშის მისატანად, რათა დაებრუნებინა მასთან ომში დაკარგული ქვეყნები და აღედგინა თავისი გავლენა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაზე და, კერძოდ, ქართლ-

[38] Mufassal Osmanlı Tarihi, c. II, s. 235.

კახეთზე. სწორედ ამ მიზნით, 1521 წელს ირანის ლაშქარი საქართველოს დასამორჩილებლად გამოემართა[39].

შაჰი აგრეთვე ცდილობდა ანტიოსმალური კოალიციის შექმნას. ამ მიზნით ევროპის ქვეყნებში ელჩობა გაგზავნა და მათ მეფეებს ოსმალეთის წინააღმდეგ ომისაკენ მოუწოდა (დაწვრილებით იხ. 1514—1555 წწ. ოსმალეთ-ირანის ომი და ევროპის სახელმწიფოები გვ. 174—190).

ამ დროს ქართლის სამეფოს მდგომარეობა მეტად რთული იყო. დავით X-ის ცდა — ქართლის სამეფოსთან კახეთის გაერთიანებისა — მარცხით დამთავრდა. როგორც ზემოთ ითქვა, ამ საქმეში იმერეთის მეფემ, გურიელმა და ათაბაგმა კახეთის მეფეს, ლევანს დაუჭირეს მხარი. მათ არ აძლევდა ხელს ქართლის სამეფოს გაძლიერება. პირიქით, ისინი ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ქართლი დასუსტებულიყო. მათ ვერ გამოიჩინეს შორსმჭვრეტელობა, სიფხიზლე პოლიტიკაში და არ შეეცადნენ კარზე მომდგარ მტერთან საბრძოლველად ძალების გაერთიანებას. ასეთ ვითარებაში დავით მეფე საკუთარ ძალებს უნდა დაყრდნობოდა, მაგრამ იქნებოდა კი ეს საკმარისი ისეთ ძლიერ მტრებთან გასამკლავებლად, როგორიც ოსმალეთი ან ირანი იყო?! ამ დროს ჯერ კიდევ არ არსებობდა მესამე ძალა, რომელიც დაუპირისპირდებოდა ამიერკავკასიაში ოსმალეთსა და ირანს. ასეთ ვითარებაში საჭირო იყო ოსმალეთსა და ირანს შორის არსებული წინააღმდეგობების გამოყენება, მათ შორის ბალანსირება[40].

ქართლის მეფეს დავით X-ს კარგად ესმოდა, რომ შექმნილ ვითარებაში მის ქვეყანას საფრთხე უშუალოდ ყიზილბაშური ირანიდან ემუქრებოდა, რადგან ირანის შაჰი არ მოითმენდა დამოუკიდებელი ქართლის სამეფოს არსებობას. შაჰი დაჟინებით ცდილობდა სრულ მორჩილებაში ჰყოლოდა ქართლი, უზრუნველეყო ქართველების მონაწილეობა ირანის ლაშქარში ოსმალეთის წინააღმდეგ ომში; აგრეთვე, მისი სასურსათო რესურსების გამოყენება თავისი ქვეყნის სასარგებლოდ. რაც შეეხება ოსმალეთს, ამ დროს იგი არ ისახავდა

---

[39] ქართულ ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა თვალსაზრისია გამოთქმული შაჰ-ისმაილ I-ის აღმოსავლეთ საქართველოში ლაშქრობასთან დაკავშირებით. ქართველ ისტორიკოსთა ერთი ნაწილი (ს. კაკაბაძე, დ. გვრიტიშვილი, ვ. გუჩუა) აღნიშნავს შაჰ-ისმაილის ორ ლაშქრობას აღმოსავლეთ საქართველოში (1518 და 1522). ივ. ჯავახიშვილს, დ. კაციტაძის, ბ. ჯავახიას აზრით, შაჰ-ისმაილმა მხოლოდ ერთხელ ილაშქრა საქართველოში. ივ. ჯავახიშვილი ამ ლაშქრობას 1518 წლით ათარიღებს, დ. კაციტაძე და ბ. ჯავახია 1521—1522 წლებით. ჩვენი აზრით, შაჰ-ისმაილმა დიდსულთანი ორჯერ გამოგზავნა აღმოსავლეთ საქართველოს დასალაშქრავად — 1518 და 1521 წლებში.

[40] შ. სვანიძე, თავმოკვეთილი ოსმალო, ქართლის მეფე დავით X საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, მნათობი, 1978 წ. № 11, გვ. 168.

ქართლის ინკორპორაციას. იგი ცდილობდა ქართლი მისი მოკავშირე ყოფილიყო ირანთან ომში. ამრიგად, შექმნილ პირობებში ქართლის სამეფოს საფრთხე უშუალოდ ირანის მხრიდან ემუქრებოდა. ქართლის მეფე დავით X ცდილობდა მოხერხებულად გამოეყენებინა ამ სახელმწიფოებს შორის არსებული წინააღმდეგობები. ამჯერად მისთვის უპრიანი იყო ოსმალეთთან კავშირის დამყარება. მაგრამ ეს უნდა მომხდარიყო ფარულად, რადგანაც ამ ურთიერთობის გამომჟღავნება ირანის შაჰის რისხვას გამოიწვევდა და ქვეყნის დალაშქვრის მიზეზიც გახდებოდა. ამიტომ დავით X-მ გადადგა შემდეგი ნაბიჯი.

1621 წელს ოსმალეთის მთავრობისადმი ვაგზავნილი დავით მეფის წერილიდან[41] ირკვევა, რომ შეუძლებელი გახდა ოსმალო ჯაშუშის ვინმე აჰმედის გაპარება შირვანს, ქართლის გავლით, ვინაიდან სპარსელებმა ყვარყვარეს დახმარებით გაიგეს მისი თბილისში ჩამოსვლის ამბავი. შაჰმა დავითს კაცი გაუგზავნა და დაემუქრა ქართლის მეფეს, რომ მთელ მის ქვეყანას მიწასთან გაასწორებდა, თუ ჯაშუშს არ გადასცემდა[42].

ამრიგად, ყვარყვარე III ათაბაგის გამცემლური პოლიტიკის გამო ბოლო ეღებოდა დავით მეფის დაწყებულ საქმეს. მართალია, დავით X ოსმალო სულთანს გარკვეულ სამსახურს უწევდა, მაგრამ იგი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ირანის შაჰთან ურთიერთობა არ გაეფუჭებინა. ქართლის მეფის საგარეო პოლიტიკის მთავარი ამოცანა იყო შეენარჩუნებინა მშვიდობიანობა და ნორმალური ურთიერთობა ორივე დიდ სახელმწიფოსთან და ამ მიზნით, როგორც ეს დავითის წერილიდან ჩანს, მან ასეთ ხერხს მიმართა: საზღვარზე დააჭერინა ვინმე მუსლიმანი, რომელიც გარეგნობით ჰგავდა ოსმალო ჯაშუშს, მოაკვეთინა თავი და ტანსაცმელთან ერთად გაუგზავნა საბუთად შაჰს, რომ მისი ბრძანება შესრულებულია, ხოლო თვით თურქი ჯაშუში, საღსალამათი დააბრუნა ოსმალეთში იმ საბაბით, რომ შეუძლებელი შეიქნა მისი გატარება ბაქოსაკენ[43].

ასეთი იყო ქართლის მეფის დავით X-ის საგარეო პოლიტიკის ერთი ნაბიჯი იმ მრისხანე ჟამს, როდესაც ორი მეზობელი მტაცებელი სახელმწიფო მას განადგურებით ემუქრებოდა.

---

[41] დავით X-ის მიერ სპარსულ ენაზე შედგენილი ორი წერილი, გაგზავნილი ოსმალეთის ხელისუფლებისათვის, გამოავლინა სტამბულის თოფ-კაფის (სულთანების რეზიდენცია) სასახლის არქივში ფრანგმა მეცნიერმა ჟან-ლუი ბაკე-გრამონმა და გამოაქვეყნა ფრანგული თარგმანით და კომენტარებით (J. L. Bacqué-Grammont, Deux lettres de David X du Kartli..., pp. 137—156).

[42] იქვე.

[43] იქვე.

1514—1555 წწ. ოსმალეთ—ირანის ომი და ევროპის სახელმწიფოები[1]

1514 წელს ოსმალეთსა და ირანს შორის დაიწყო ომი ახლო-აღმოსავლეთსა და ამიერკავკასიაში გაბატონებისათვის, რომელიც მცირე შესვენებებით 1555 წლამდე გაგრძელდა. ამ ომმა შეასუსტა ოსმალეთის ექსპანსიის საფრთხე ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიმართ. ამის გამო ამ სახელმწიფოების პოლიტიკური მესვეურები დაინტერესებული იყვნენ მისი გახანგრძლივებით. ისინი ფიქრობდნენ, რომ ოსმალეთი ამ ომში დასუსტდებოდა, მაგრამ მათი იმედები არ გამართლდა.

1514 წელს გაზაფხულზე სელიმ I-მა ომი დაიწყო ირანის წინააღმდეგ და ოსმალეთის მრავალრიცხოვანი არმია ირანის ტერიტორიაზე შეიჭრა. 23 აგვისტოს ჩალდირანის ველზე სელიმ I-მა გაანადგურა ირანის არმია და რამდენიმე დღის შემდეგ ხელთ იგდო ირანის დედაქალაქი თავრიზი. ოსმალთა გამარჯვებამ ყიზილბაშებზე დიდი შეშფოთება გამოიწვია ევროპაში; შიშობდნენ, ირანზე გამარჯვების შემდეგ ოსმალეთი თავს დაესხმოდა იტალიას[2].

1516 წელს ევროპაში შვებით ამოისუნთქეს, როდესაც შეიტყვეს, რომ სელიმ I გაემართა ეგვიპტის წინააღმდეგ საბრძოლველად. სელიმმა ამ ომში წარმატებებს მიაღწია. აღმოსავლეთში დაპყრობითი ომების შედეგად ოსმალეთს შეუერთდა დასავლეთ სომხეთი, ქურთისტანი, სირია, ლიბანი, პალესტინა, ეგვიპტე, ალჟირი. ოსმალეთს დაემორჩილა, აგრეთვე, მუსლიმანთა წმინდა ქალაქები — მექა და მედინა. სელიმის დროს ოსმალეთის იმპერიის ტერიტორია თითქმის ორჯერ გაიზარდა. ამიერიდან ოსმალეთი ფლობდა ტერიტორიას არა

---

[1] მოხსენება წაკითხულია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის V საერთაშორისო კონგრესზე, რომელიც ჩატარდა ბელგრადში 1984 წ. 11—16 სექტემბერს.

[2] რომის პაპი ლეონ X შეშფოთებული იყო ოსმალთა წარმატებებით, რის შესახებაც იგი სწერდა საფრანგეთისა და ესპანეთის მეფეებს. იხ. E. Charrière, Négociations de la France dans le Levant, ou correspondances, memoires et actes diplomatiques des ambassadeurs de France à Constantinople et des ambassadeurs... à Venise, Raguse, Rome etc., Paris, 1848, pp. 9—11.

მარტო ევროპასა და აზიაში, არამედ აფრიკაშიც; ოსმალეთის ერთმა ძლიერმა მეტოქემ — ეგვიპტის მამლუქთა სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა, ხოლო მეორე — ყიზილბაშური ირანი დამარცხებული იყო. მნიშვნელოვნად გაძლიერდა ოსმალეთის სამხედრო პოტენციალი, განმტკიცდა ცენტრალური ხელისუფლება.

სელიმ I შეუდგა ევროპის ქვეყნების წინააღმდეგ ომის სამზადისს. აშკარა იყო, რომ სულთანი აპირებდა თავისი აგრესიული გეგმების განხორციელებას. ასეთ საერთაშორისო სიტუაციაში გაიზარდა ევროპის სახელმწიფოების დიპლომატიური აქტიურობა. ანტიოსმალური კოალიციის შექმნის საქმეში ხელმძღვანელის როლში გამოდის რომის პაპი ლეონ X. ჯერ კიდევ 1517 წელს რომის პაპმა ევროპის სახელმწიფოებს მოწოდებით მიმართა შეეწყვიტათ ურთიერთშორის ქიშპი და დავა და გაეერთიანებინათ თავიანთი ძალები ოსმალეთის საფრთხის წინააღმდეგ. 1517—1519 წწ. გადადგმულ იქნა ნაბიჯები ამ კოალიციაში რუსეთის ჩაბმის მიზნით, მაგრამ უშედეგოდ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა უნგრეთსა და პოლონეთს შორის კავშირის დადებას და დუნაისპირა ქვეყნების ჩაბმას სულთნის წინააღმდეგ საბრძოლველად. დინასტიური ქორწინებით სიგიზმუნდ I-სა და მილანელ უფლისწულ ქალს შორის პოლონეთი ამ კოალიციაა მონაწილე გახდა[3].

ანტიოსმალური კოალიციის შექმნის საქმეში აქტიურ როლს თამაშობდა აგრეთვე საფრანგეთი. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ საფრანგეთის მეფე ფრანცისკო I (1515—1547) რომის პაპის ლეონ X-სადმი გაგზავნილ საპასუხო წერილში მას აცნობებდა, რომ ოსმალებთან გამარჯვების მოსაპოვებლად საჭიროა კავშირის დამყარება ირანთან და სხვა „ურწმუნო“ ქვეყნებთან[4]. საფრანგეთის მეფე დარწმუნებული იყო და სავსებით მართებულად თვლიდა, რომ მეზობელ ქვეყნებთან კავშირის დამყარება, ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად, შეასუსტებდა მის ექსპანსიას ევროპის ქვეყნების მიმართ. მაგრამ მალე საფრანგეთის პოლიტიკა შეიცვალა. მაქსიმილიანე I ჰაბსბურგის გარდაცვალების შემდეგ (1513 წ.) ევროპის სახელმწიფოები ჩაებნენ ჰაბსბურგთა იმპერატორის ტახტისათვის ბრძოლაში, რომელიც დამთავრდა კარლოს V (1519—1556) იმპერატორად არჩევით. რათა წინ აღდგომოდა ჰაბსბურგებს, საფრანგეთის მეფე დაუახლოვდა ოსმალეთის სახელმწიფოს. ჰაბსბურგთა დიდი იმპერიის წარმოქმნამ არა მარტო ჩამოაცილა საფრანგე-

---

[3] Османская империя и страны Центральной, Восточной и Юго-Восточной Европы в XV—XVI вв., отв. редактор, И. Б. Греков, М., 1984, с. 126, 7.

[4] Charrière E., Négociations..., v. I, p. 45.

თი პორტას, არამედ ხელი შეუწყო მათ დაახლოებასაც კი. პოლიტიკური ძალების ამგვარი გადაჯგუფება არსებითად ცვლიდა ევროპაში საერთაშორისო სიტუაციას[5].

1520 წ. მოულოდნელად გარდაიცვალა სელიმ I და ტახტზე ავიდა ახალგაზრდა და ენერგიული სულთანი სულეიმან I (1520—1566). მან გადაწყვიტა დაეწყო ომი უნგრეთის წინააღმდეგ.

უნგრეთის დაპყრობით სულთანს გზა ეხსნებოდა ცენტრალურ ევროპაში. 1521 წელს სულეიმანმა დაიპყრო უნგრეთის სახელმწიფოში შემავალი ქალაქი ბელგრადი, მაგრამ უნგრეთზე გამარჯვების მისაღწევად მას ესაჭიროებოდა თავისი ზურგის უშიშროების უზრუნველყოფა. სახელდობრ, ხელთ ეგდო კუნძული როდოსი, საიდანაც ოსმალეთის ფლოტს გამუდმებით თავს ესხმოდნენ და ხელს უშლიდნენ ოსმალეთის კავშირს ეგვიპტესთან და სხვა არაბულ სახელმწიფოებთან. ამ დროს როდოსი ეკუთვნოდა იოანიტ-რაინდებს. როდოსის ორდენის დიდმა მაგისტრმა დახმარებისათვის მიმართა თავის მფარველს ფრანცისკო I-ს, მაგრამ საფრანგეთის მეფემ ყურად არ იღო როდოსელი რაინდების თხოვნა. საფრანგეთის მეფემ, აგრეთვე, უპასუხოდ დატოვა რომის პაპის მოწოდება როდოსისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ. 1522 წ. როდოსი ოსმალებმა დაიპყრეს.

1525 წელს პავიასთან დამარცხებისა და ტყვედ ჩავარდნის შემდეგ საფრანგეთის მეფე ფრანცისკო I-მა თავისი წარმომადგენელი გაგზავნა სულთანთან კარლოს V-ის წინააღმდეგ დახმარების აღმოჩენის მიზნით. სულთან სულეიმანი დადებითად გამოეხმაურა საფრანგეთის მეფის ამ თხოვნას. სულთანი დათანხმდა დაეწყო შეტევა ჰაბსბურგების სამფლობელოების წინააღმდეგ[6].

შექმნილ ვითარებაში კარლოს V გადაწყვიტა მხარი დაეჭირა შაჰ ისმაილ I-ის (1502—1524) ინიციატივისათვის ანტიოსმალური კოალიციის შექმნაში. ჯერ კიდევ 1518 წელს შაჰ ისმაილმა წერილები გაუგზავნა იმპერატორ კარლოს V-ს და უნგრეთის მეფეს ფერდინანდ I-ს (1516—1524) თხოვნით აღმოეჩინათ მისთვის დახმარება ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში. 1524 წლის დასაწყისში ეს წერილები ჩაიტანეს რომში და თარგმნეს ლათინურ ენაზე. 1525 წ. ტოლედოში კარლოს V-მ მიიღო ისმაილ I-ის ელჩი, რომელმაც იმპერატორს გა-

---

[5] Османская империя и страны Центральной, Восточной и Юго-Восточной Европы..., с. 132; Ю. Е. Ивонин, Западная Европа и Османская империя во второй половине XV-XVI вв., Вопросы истории, 1982, 2, с. 76.

[6] Charrière E. Négociations..., v. I, p. 211, 212.; Yrsü I, La Politique orientale de François I (1515—1547), Paris, 1908, pp. 8—12.

დასცა შაჰის წერილი. კარლოს V დადებითად შეხვდა შაჰის წინადადებას და საპასუხო წერილი გაუგზავნა მას[7].

საფიქრებელია, პორტასათვის ცნობილი გახდა ამ მოლაპარაკების შესახებ და სულთანმა გადაწყვიტა სასწრაფო ზომები მიეღო. ჩვენი აზრით, საფრანგეთ-ოსმალეთის დაახლოებამ დააჩქარა მოხაჩის კატასტროფა. 1526 წლის აპრილში ოსმალეთის ასიათასიანი არმია სულეიმანის სარდლობით უნგრეთისაკენ დაიძრა. 29 აგვისტოს მოხაჩთან ოსმალებმა დაამარცხეს უნგრეთის არმია და დაიკავეს უნგრეთის დედაქალაქი ბუდა.

ოსმალეთის ექსპანსია ცენტრალურსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კიდევ უფრო გაძლიერდა მოხაჩის კატასტროფის შემდეგ, აძას ხელს უწყობდა, აგრეთვე, ევროპის სახელმწიფოებს შორის არსებული წინააღმდეგობა[8]. მოიპოვეს რა გამარჯვება, ოსმალებმა მოხაჩთან სწრაფად წაიწიეს წინ და საფრთხე შეუქმნეს უშუალოდ ჰაბსბურგთა იმპერიის დედაქალაქს ვენას. საჭიროა აღინიშნოს, რომ საფრანგეთის მეფემ ფრანცისკო I-მა წერილი გაუგზავნა სულეიმანს და წააქეზა იგი ჰაბსბურგების წინააღმდეგ საბრძოლველად[9]. ასეთ სიტუაციაში კარლოს V-მ დახმარებისათვის ირანის შაჰს მიმართა.

1529 წლის 24 თებერვალს კარლოს V-მ ელჩი გაგზავნა ირანის შაჰთან და წერილი გაატანა, რომელშიაც იმპერატორი აუწყებდა, რომ მან დაამარცხა საფრანგეთის მეფე ფრანცისკო I და ტყვედ იგდო იგი, მაგრამ ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ მეფემ, ვენეციელებთან ერთად, კავშირი დაამყარა პორტასთან. ამის გამო იმპერატორი იძულებული შეიქნა შეეყვანა თავისი ჯარები იტალიაში, რათა განედევნა ოსმალები თავისი სამფლობელოებიდან. ოსმალების წინააღმდეგ გამოსვლას აპირებდა აგრეთვე ფერდინანდი, უნგრეთის მეფე, ყოველივე ამის გამო შეიქნა ხელსაყრელი პირობები ოსმალეთის წინააღმდეგ ირანის გამოსვლისათვის[10].

ანალოგიური მისიით ფერდინანდ I-მა თავისი ელჩები გაგზავნა ირანსა და საქართველოში. შაჰ თამაზ I (1524—1576) არ ფიქრობდა

---

[7] Lanz K. Correspondenz des Kaisers Karl V. Bd., I, Leipzig. 1844, pp. 52, 53, 168, 169; Lajos Tardy, Beyond the Ottoman Empire 14 th—16 th century hungarian diplomacy in the East, Szeged, Budapest, 1978, pp. 125 — 135; ლ. ტარდი, უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში, გვ. 35.

[8] Османская империя и страны Центральной, Восточной и Юго-Восточной Европы..., с. 163.

[9] Charrière, Negociations..., v. II, pp. 130—135.

[10] Lanz K., Correspondenz..., pp. 192, 293; Tardy L., Beyond the Ottoman Empire..., pp. 132—135.

ოსმალებთან ომის განახლებას, მაგრამ მაინც დაპირდა მას, რომ, თავისი მამის შაჰ ისმაილის მსგავსად, აქტიურად აღმოუჩენდა დახმარებას ოსმალების წინააღმდეგ მებრძოლთ. ფერდინანდის წარმომადგენელმა ინახულა კახეთის მეფე ლევანი, რომელმაც დიდი პატივით მიიღო იგი და ცაარწმუნა, რომ მზადაა მონაწილეობა მიიღოს ამ ბრძოლაში[11].

XVI საუკუნის 20-იანი წლებიდან, როდესაც სულთანი დაკავებული იყო ომით ევროპაში, ირანის შაჰი არ ანხორციელებდა სამხედრო აქციებს ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ. ეს გარემოება კი ხელს უწყობდა ოსმალეთის ექსპანსიის გაძლიერებას დასავლეთში. ოსმალეთის არმიის ხანგრძლივი ომები ევროპაში შაჰმა გამოიყენა თავისი აგრესიის გასაძლიერებლად ამიერკავკასიის ქვეყნებში. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ შაჰმა უპასუხოდ დატოვა კარლოს V-ისა და ფერდინანდ I-ის წერილები, რომლებშიაც ისინი მოუწოდებდნენ შაჰს ეწარმოებინა ერთობლივი ბრძოლა ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ. 1529 წ. ოსმალების ცდა აეღოთ ვენა მარცხით დამთავრდა.

სულთანი იძულებული იყო ვენისათვის ალყა მოეხსნა და სტამბულში დაბრუნებულიყო. ამგვარად, ვენა, ავსტრია და ევროპა ოსმალეთის საფრთხეს გადაურჩა. ამ დროიდან სულ უფრო მეტად ძლიერდება ევროპის ქვეყნების წინააღმდეგობა ოსმალეთის მიმართ. სულთანმა კიდევ ერთხელ სცადა ახალი ლაშქრობის მოწყობა უნგრეთში, მაგრამ ამჯერადაც, უშედეგოდ. სულეიმანი იძულებული გახდა 1533 წ. 22 ივნისს ზავი დაედო ავსტრიასთან[12].

ევროპაში ოსმალეთის წარმატება-გაბატონების შესაძლებლობანი სულ უფრო და უფრო მცირდება. ამის გამო, ჰამერის ცნობილი შენიშვნის დამოწმებით, ვ. გაბაშვილს აღნიშნული აქვს: „ოსმალეთი XVI საუკუნის 30-იან წლებიდან მოყოლებული არჩევანის წინაშე იდგა. ომი აღმოსავლეთში ან დასავლეთში. ერთდროულად ორ ფრონტზე ომის წარმოება ოსმალეთს უკვე აღარ შეეძლო. ასე რომ ირანთან ზავი ფაქტიურად ნიშნავდა ოსმალეთის ომს დასავლეთში და, პირუკუ, ევროპის სახელმწიფოებთან ზავი აპირობებდა ოსმალეთის ომს ყიზილბაშთა სახელმწიფოსთან“[13].

ეს დებულება, ჩვენი აზრით, მთლიანად შეიძლება გავრცელდეს

---

11 ლ. ტარდი, უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში, გვ. 43, 46.

12 Mufassal Osmanlı Tarihi, c. II, s. 794—885.

13 J. Hammer, Histoire de l'Empire Ottoman, Paris, 1841, v. V, p. 29; ვ. გაბაშვილი, ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 31, თბ., 1954, გვ. 77.

1514-1555 წ. ოსმალეთ-ირანის ომის მთელ მსვლელობაზე.

ასეთ ვითარებაში ოსმალეთის სულთანი მიისწრაფვის გააძლიეროს თავისი ექსპანსია აღმოსავლეთის მიმართულებით და გააფართოოს აქ თავისი იმპერიის საზღვრები: „1529 წლის ვენის პირველი უშედეგო ალყის შემდეგ, თურქეთი თანდათანობით იწყებს ევროპაში თავისი შეტევის მიმართულების შეცვლას. ვენა სამუდამოდ დარჩა ყველაზე უკიდურეს წერტილად თურქეთის წინსვლისა დასავლეთ ევროპის მიმართულებით. არ ანელებს რა შემდგომშიც ცდებს ხელთ იგდოს „რომის კეისრის“ დედაქალაქი, თურქეთს თავისი სამხედრო დარტყმების მთავარი მიმართულება თანდათანობით გადააქვს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაზე, რუსეთის სახელმწიფოზე, ამიერკავკასიასა და ირანზე“[14].

1533 წელს ოსმალეთმა ზავი დადო ავსტრიასთან და ირანის წინააღმდეგ ომის სამზადისს შეუდგა. ახლა ოსმალეთს საშუალება ეძლეოდა მთელი ძალები ირანის წინააღმდეგ მიემართა. 1533—1535 წლებში სულთანი აწარმოებდა ირანთან ომს.

1534 წელს სულეიმან I-ის ბაღდადში ყოფნის დროს მასთან გამოცხადდა საფრანგეთის მეფის ფრანცისკო I-ის ელჩი ჟან დე ლა-ფორე. მას მეფისაგან დავალებული ჰქონდა მოლაპარაკებოდა ოსმალეთს ავსტრიის იმპერატორის კარლოს V-ის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამავე დროს დე ლაფორეს უნდა ეთხოვა, სულთნისათვის ფინანსური დახმარება ერთი მილიონი ოქროს ლივრის ოდენობით, ხოლო ფრანგი ვაჭრებისათვის მიენიჭებინა გარკვეული პრივილეგიები და შეღავათები ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე ვაჭრობის საქმეში. ეს მოლაპარაკება სტამბულში გაგრძელდა და წარმატებით დამთავრდა. ირანთან მოპოვებული წარმატების შემდეგ, სულეიმანი კვლავ ევროპის საქმეებით დაინტერესდა. საფრანგეთთან კავშირი, მიმართული ჰაბსბურგების წინააღმდეგ, შეესაბამებოდა სულთნის ინტერესებს, ამიტომ დე ლა ფორემ მიიღო ყველაფერი, რაც სურდა, ფულის გარდა. 1536 წელს დაიდო პირველი კაპიტულაცია საფრანგეთსა და ოსმალეთს შორის. ოსმალეთის ფლოტს ხმელთაშუა ზღვაში[15] მიეცა ბრძანება ემოქმედა კარლოს V-ის წინააღმდეგ[16].

---

[14] Н. А. Смирнов, Россия и Турция в XVI — XVII вв., вып 93, т. I, с. 6.

[15] კარლოს V-მ ისარგებლა ოსმალეთის ლაშქრობით ირანში და 1534 წელს ჩაატარა საზღვაო ლაშქრობა ტუნისზე, რის შედეგადაც კარლოსის პოზიციები ხმელთაშუა ზღვის აუზში კიდევ უფრო გაძლიერდა. ამ დროს მის ხელთ იმყოფებოდა სიცილია და სამხრეთ იტალია. ეს კი ასუსტებდა საფრანგეთის პოზიციებს ამ რეგიონში.

[16] А. Д. Новичев, История Турции, т. I, с. 95, 96; S. Vin-

მალე სულთანმა განაახლა საომარი მოქმედება ევროპაში, მაგრამ ვერ მიაღწია რაიმე არსებით შედეგს. 1547 წელს სულეიმანმა ზავი დადო ავსტრიის იმპერატორთან და უნგრეთის მეფესთან. უნგრელი დიპლომატი ა. ვერაჩიჩი წერდა: „თურქეთის სულთანს განზრახული ჰქონდა ომი დაეწყო სპარსელებთან და ამიტომ უნდოდა უნგრეთში მშვიდობა შეენარჩუნებინა. იგი თავისი არმიით აზიაში გასალაშქრებლად ემზადებოდა და სურდა სხვა საზრუნავისაგან დაზღვეული ყოფილიყო“[17].

სულეიმანს კარგად ესმოდა, რომ ირანთან ომის განახლება გამოიწვევდა მისი მოკავშირის საფრანგეთის უკმაყოფილებას. ამიტომ თავისი მოკავშირის დამშვიდების მიზნით მან ირანთან ომის დაწყების წინ დაიბარა საფრანგეთის ელჩი სტამბულში დ' არამონი და მას განუცხადა: 1547 წლის ზავი ჰაბსბურგების იმპერიასთან გულისხმობს, აგრეთვე, მშვიდობიანობის შენარჩუნებას იმპერატორსა და საფრანგეთს შორის და თუ კარლოს V დაარღვევს ზავს, მაშინ სულეიმანი გადასინჯავს თავის დამოკიდებულებას ჰაბსბურგების მიმართ[18].

ავსტრია-უნგრეთთან ზავის დადების შემდეგ სულთანი ირანის წინააღმდეგ ომის სამზადისს შეუდგა. საფრანგეთის ელჩი ვენეციაში მორვილი ასე აფასებდა ავსტრიასა და ოსმალეთს შორის დადებულ ხელშეკრულებას: „ამ ზავის დადების წყალობით სულთანი მომავალ წელს ჩაატარებს ლაშქრობას ირანის წინააღმდეგ“[19]. მისი პროგნოზი გამართლდა.

საფრანგეთი არ იყო დაინტერესებული ოსმალეთ-ირანის ომის განახლებით, რადგან ამით ისარგებლებდა კარლოს V და მის წინააღმდეგ გამოვიდოდა. იმ ეპოქაში ოსმალეთი თავისი ძლიერების ზენიტში იმყოფებოდა და საფრანგეთს არ შეეძლო მასზე ზემოქმედება მოეხდინა. ასეთ სიტუაციაში საფრანგეთი ცდილობდა დახმარებოდა ოსმალეთს, რათა მას სწრაფად დაემთავრებინა ომი ირანთან. აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის მეფის თხოვნით მისი ელჩი სტამბულში დ' არამონი თან ახლდა სულთანს ირანის წინააღმდეგ ლაშქრობაში და

---

cent, La Capitulation de 1535, Paris, 1914; Jean-Louis Bacqué-Grammont, Kanunî sultan Süleyman'in I. Françoi'ya iki mektub, Ankara Univ. D. T. C. Fakültesi Tarih Araştırmalari Dergisi, c. VIII—XII, 1970—1974, Ankara, 1975, s. 89—98; მისივე, Autour d'une correspondence entre Charles-Quint et Ibrahim pasa, „Turcica“, t. XV, p. 231; Reşat Ekrem, Osmanlı muahedeleri ve Kapitülasyonlar 1300—1920, Istanbul, 1934.

[17] ლ. ტარდი, უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა..., გვ. 67.

[18] Charrière, E., Négociations, v, II, p. 213.

[19] იქვე, გვ. 26.

სამხედრო მრჩევლის როლს ასრულებდა. მაგალითად, 1548 წ. 25 აგვისტოს, დ' არამონის სამხედრო კონსულტაციის წყალობით, ოსმალებმა ხელთ იგდეს გამაგრებული ციხე-სიმაგრე ვანი[20]. საჭიროა აღინიშნოს ისიც, რომ ირანის ლაშქრობიდან დაბრუნების შემდეგ, სულეიმან I დაწვრილებით აუწყებდა ჰენრიხ II-ს ირანზე მოპოვებულ გამარჯვებებს[21].

1549 წელს 1 დეკემბერს სულეიმანმა ანალოგიური შინაარსის წერილი („ფეთჰ-ნამე" — „გამარჯვებითა წიგნი") გაუგზავნა ფერდინანდსაც[22].

თუ სულთნის მიერ საფრანგეთის მეფისადმი გაგზავნილი წერილი გამოიწვევდა მის კმაყოფილებასა და სიხარულს, სრულიად საწინააღმდეგო რეაქცია ექნებოდა მასზე უნგრეთის მეფეს. ცხადია, ეს ნაბიჯი მიზნად ისახავდა ფერდინანდის დაშინებას.

აღმოსავლეთის ფრონტზე მოპოვებული გამარჯვებების შედეგად, სულეიმანი კვლავ ევროპის საქმეებით დაინტერესდა.

საერთაშორისო ვითარება ევროპაში ოსმალეთის სასარგებლოდ ვითარდებოდა. 1551 წლის მიწურულისათვის კარლოს V იძულებული იყო გერმანიაში ებრძოლა პროტესტანტების წინააღმდეგ. სულთნის მოკავშირე საფრანგეთის მეფე ჰენრიხ II ელზასში შეიჭრა და სტრასბურგამდე მივიდა. სულეიმან I-მა პროტესტანტებს მანიფესტით მიმართა, რომელშიაც იგი აუწყებდა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა მის კავშირს საფრანგეთთან და მის განზრახვას დაეწყო ლაშქრობა ჰაბსბურგების წინააღმდეგ. 1549 წელს ირანთან ლაშქრობის დამთავრების შემდეგ კიდევ უფრო განმტკიცდა ოსმალეთ-საფრანგეთის ურთიერთობა, 1553 წლის 1 თებერვალს სულეიმან I-სა და ჰენრიხ II-ს შორის დაიდო სამოკავშირეო ხელშეკრულება კარლოს V წინააღმდეგ საზღვაო ომის შესახებ, ხელშეკრულებით სულთანი ვალდებულებას იღებდა გადაეცა საფრანგეთისათვის თავისი ფლოტი ორი წლით, რისთვისაც საფრანგეთის მეფეს უნდა გადაეხადა სულთნისათვის 300 ათასი ოქროს ლივრი[23].

1551 წლიდან ოსმალეთმა ომი განაახლა ავსტრიასთან. 1552 წლის ზაფხულში ოსმალეთის არმიამ დუნაი გადალახა. სულეიმანმა გადა-

---

[20] J. Chesneau. Le voyage de monsigneur d'Aramon ambassadeur pour le roi en Levant, Paris, 1887, p. 83.

[21] Charrière E. Négociations..., v. II, pp. 605, 606.

[22] Anton C. Schaendlinger. Die Schreiben Süleymans des Prächtigen an Karl V, Ferdinand I und Maximilian II, Vien, 1983, pp. 24—31.

[23] Османская империя и страны центральной, Восточной и Юго-Восточной Европы..., с. 211; А. Д. Новичев, История Турции, т. I, с. 211.

წყვიტა გაეუქმებინა ჰაბსბურგების ხელისუფლება ტრანსილვანიაში და, აღედგინა თავისი ძალაუფლება დუნაისპირეთის შუა წელში. ოსმალთა ლაშქრობაში მონაწილეობას იღებდა ყირიმის ხანი თავისი ლაშქრით.

ირანისა და საქართველოს პოლიტიკურმა მესვეურებმა გადაწყვიტეს ესარგებლათ ოსმალების ევროპაში ბრძოლით და მის წინააღმდეგ ომი განეახლებინათ. თურქი ისტორიკოსი ი. უზუნჩარშილი წერს: „როცა ოსმალეთი ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის საქმეებით იყო დაკავებული, ისინი შეტევაზე გადმოვიდნენ"[24].

ირანის შაჰმა ქართველებთან ერთად დაიწყო საომარი ოპერაციები ოსმალების წინააღმდეგ. 1553 წელს ირანელებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს და ოსმალებს ბევრი ციხე-ქალაქი წაართვეს. ირანელთა წარმატებებმა საფრთხის წინაშე დააყენა ოსმალეთის გავლენა ქვეყნის ამ რეგიონში. სულეიმანი ადრიანოპოლში იმყოფებოდა, როდესაც მან იმპერიის აღმოსავლეთ საზღვარზე ქართველებისა და ირანელების თავდასხმის ამბავი შეიტყო. სულთანი სასწრაფოდ დედაქალაქში დაბრუნდა და საგანგებო ზომები მიიღო. სულეიმანმა გადაწყვიტა ირანის წინააღმდეგ ახალი ლაშქრობა მოეწყო და პირადად ჩასდგომოდა მას სათავეში[24].

უნგრეთის ელჩი სტამბულში ა. ვერანჩიჩი დიდი კმაყოფილებით შეხვდა ოსმალეთ-ირანის ომის განახლებას, რადგან ეს, მისი აზრით, საშუალებას აძლევდა უნგრეთს დაედო ზავი ოსმალეთთან. 1553 წლის 3 დეკემბერს სტამბულიდან გაგზავნილ წერილში იგი წერდა: „ერთადერთი შანსი, რომელსაც შეუძლია გადაარჩინოს ტრანსილვანია — ესაა ოსმალეთ-ირანის ომი. არ უნდა გავუშვათ ხელიდან ეს შესაძლებლობა; ტრანსილვანიაზეა დამოკიდებული უნგრეთის მომავალი, რადგან ოსმალეთის სულთანს არ გააჩნია ძალები ერთდროულად ომი აწარმოოს ორ ფრონტზე"[25].

უნგრელი დიპლომატი დიდად იყო დაინტერესებული ოსმალეთ-ირანის ომის გაჭიანურებით, რადგან „სპარსეთზე ლაშქრობის დამთავრებისთანავე, თურქეთი მთელი თავისი ძალებით კვლავ შეუტევს უნგრეთს"[26].

აღმოსავლეთში ოსმალთა ჯარები სწრაფად მიიწევდნენ წინ: 1554 წ. 15 ივლისს მათ დაიკავეს ერევანი, შემდეგ ყარაბახი, 28 ივლისს — ნახიჭევანი. მაგრამ წარმატებითი წინსვლა შეჩერებულ იქნა,

---

[24] I. H. Uzunçarşılı. Osmanlı Tarihi, c. II. s. 348.

[25] Tardy L., Rapports d'Antal Verancics, ambassadeur du roi de Hungari à Stambul, Bedi Kartlisa, revue Kartveloloji, 1971, v. XXVII, p. 214.

[26] ლ. ტარდი, უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა, გვ. 60.

რადგან ოსმალთა ლაშქრის რიგები დღითიდღე მცირდებოდა, ჯარისკაცებს შორის ეპიდემია მძვინვარებდა, მწვავედ იგრძნობოდა სურსათ-სანოვაგის ნაკლებობა. ასეთ ვითარებაში სულთანმა გადაწყვიტა უკან გაბრუნებულიყო. შაჰ თამაზი კონტრშეტევაზე გადავიდა. ოსმალთა ლაშქარს დიდ ზარალს აყენებდნენ ქართველებიც. სულთანს აცნობეს, რომ ქართველების დიდი რაზმი თავს დაესხა ოსმალთა დამხმარე რაზმს და გაანადგურა იგი[27].

1554 წლის 27 სექტემბერს ა. ვერანჩიჩი აცნობებდა უნგრეთის მეფეს: „შარშან, სულთნის ბრძანებით, შავ ზღვაში შევიდნენ ნიჩბოსანი გალერები პირველად ხუთი, მოგვიანებით კიდევ სამი. პირველი ხუთი გალერა, ვითომდა იგზავნებოდა ყირიმელი თათრების აზიაში გადასაყვანად, დანარჩენი სამი კი ადრე გაგზავნილი იმ ხუთი გალერას დასახმარებლად, რომლებიც მდინარე რიონზე საფრთხეში ჩავარდნენ... გალერების გაგზავნის ნამდვილი მიზანი ყოფილა სამეგრელოსა და კოლხეთში მცხოვრებ ქართველებისაგან გადასახადების აკრეფა და სასაზღვრო მდინარეებზე საბაჟო კონტროლის დაწესება, რათა არ მისცემოდათ ევროპელებს სპარსელებისათვის ზარბაზნების გადაცემის საშუალება, ასეთი განზრახვა კი მართლაც ჰქონიათ კაფაში მცხოვრებ ვაჭრებს... შემდეგ სამი გალერა აზოვის ზღვაში გაიგზავნა კაზაკებისა და რუსების წინააღმდეგ, რათა დახმარებოდნენ ყირიმელ თათრებს. საქმე ისაა, რომ რუსებმა და კაზაკებმა კავშირი შეკრეს თათართა ხანის წინააღმდეგ, გაამზადეს დიდი არმია და გაგზავნეს ფლოტი ქვემო დონზე; ისარგებლეს რა იმით, რომ თათრები სპარსეთში იბრძოდნენ თურქეთის მხარეზე, არმია და ფლოტი თათრების ტერიტორიაზე შეიჭრნენ, მაგრამ რუსები და კაზაკთა არმია საზღვარზე გაჩერდა, სათარეშოდ კი მხოლოდ 30000 კაცი გაგზავნეს ფლოტით. კაზაკ-რუსებმა, ჯერ კიდევ თურქების გალერების მოსვლამდე, ითარეშეს აზოვის ზღვიდან მდ. დონამდე და მოწინააღმდეგისათვის ზარალის მიყენების შემდეგ საკუთარ ტერიტორიაზე დაბრუნდნენ“[28].

სექტემბრის დამდეგს სულთანი არზრუმში ჩავიდა. 3 სექტემბერს სულთანს აცნობეს საქართველოში შაჰის ლაშქრობის ამბავი. ამავე დროს სულეიმანს შაჰ-თამაზის ელჩი ეახლა და მას ზავი შესთავაზა. შაჰის ელჩმა სულთანს შთააგონა, როგორც მუსლიმანს, არ ჩაედინა ბოროტმოქმედება სხვა მუსლიმანთა მიმართ, რადგან ესმათი რჯულის საწინააღმდეგოა. სპარსეთის ელჩი არწმუნებდა სულე-

---

27 მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII სს, გვ. 70—80.

28 ლ. ტარდი, უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI ს-ში, გვ. 71.

იმანს, რომ არ ღირს სისხლის დაღვრა მუსლიმანთ შორის ქრისტიანების გულისათვის. სულეიმანი დაპირდა ელჩს, რომ არ გაილაშქრებდა საქართველოს წინააღმდეგ. ისინი, აგრეთვე, შეთანხმდნენ, რომ ერთი თვის შემდეგ შაჰი გაგზავნიდა სულთანთან ელჩს, ზავის დადების რწმუნებით[29].

უნგრელი დიპლომატი ფერენც ზაი სტამბულიდან იუწყებოდა: „მოსკოვის მეფემ და კაზაკთა ატამანმა გაგზავნეს თავიანთი სამხედრო ძალები თათრების (ყირიმის ხანის) წინააღმდეგ. ჩერქეზები და მეგრელები, რომელთა სამფლობელოებიც მათ მეზობლად მდებარეობენ, ბრძოლაში უფრო ადრე ჩაებნენ. მათი რიცხვი 200 ათას აღემატება. მათ ფიცი დასდეს, დაიმორჩილონ ყირიმის ხანის მიწები და დიდ წარმატებებს მიაღწიეს. ამბობენ, რომ მათი ჯარის ავანგარდი იმყოფება იმ სანჯაყის მახლობლად, სადაც დუნაი ზღვას უერთდება. ახლა უკვე მათ ხელთაა მიწები მდინარე დუნაის შესართავთან. და თუ ისინი შესძლებენ საბოლოოდ იქ თათრების განადგურებას, მაშინ მათ შესაძლებლობა მიეცემათ შეტევაზე გადავიდნენ მოლდავეთისა და ვალახეთის მიმართულებით, შემდეგ გადალახავენ დუნაის და შესძლებენ შეუტიონ საკუთრივ ოსმალეთს“[30].

28 სექტემბერს სულეიმანმა დატოვა არზრუმი და ქალაქ ამასიისაკენ გაემართა, სადაც 30 ოქტომბერს ჩავიდა და ზამთარი იქ გაატარა.

სულთნის ამ ნაბიჯმა დააფიქრა სპარსელები, მათ დაებადათ ეჭვი, რომ ამასიაში დაბანაკებას მოყვებოდა საომარი მოქმედების გაგრძელება გაზაფხულზე. ეს ეჭვი საფუძველს არ იყო მოკლებული. ჩვეულებრივ, როდესაც სულთანი საომარი მოქმედების შემდეგ დედაქალაქში არ ბრუნდებოდა და დასაზამთრებლად ანატოლიის რომელიმე ქალაქში რჩებოდა, ასეთ შემთხვევაში მომავალი წლის გაზაფხულისათვის იგი ანახლებდა საომარ მოქმედებას. ასე მოხდა, მაგალითად, 1534—1535 და 1548—1549 წლების ირანის წინააღმდეგ წარმოებულ ომებში[31].

---

[29] A Chronicle of Carmelits in Persia, London, 1939, v. I, p. 40. არზრუმის მოლაპარაკების შესახებ სულეიმანმა 1554 წლის ოქტომბერში საფრანგეთის მეფეს ჰენრი II წერილი გაუგზავნა და აცნობა, რომ ირანის შაჰმა მას ელჩი გაუგზავნა და სურს მასთან დაზავება (Charière E., Négociations..., v. I, p. 324, 26). ამით სულთანს სურდა დაერწმუნებინა საფრანგეთის მეფე, რომ ირანთან ომი მალე დამთავრდებოდა და იგი კვლავ ევროპის საქმეებით დაინტერესდებოდა.

[30] Tardy L., Beyond the Ottoman empire, pp. 167, 168.

[31] მ. სვანიძე, საქართველოს-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 78.

სტამბულში მყოფი უნგრეთის ელჩი დიდად იყო შეშფოთებული ოსმალეთსა და ირანს შორის დაწყებული მოლაპარაკებით. ა. ვარანჩიჩმა 1554 წლის 27 ნოემბერს დათარიღებულ წერილში გააანალიზა რა შექმნილი სიტუაცია, გამოთქვა მოსაზრება, რომ ოსმალეთის სულთანსა და უნგრეთის მეფეს შეეძლოთ ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ დაედოთ სამშვიდობო ხელშეკრულება. შემდგომ იგი აღნიშნავდა, რომ ხელიდან იქნა გაშვებული ორი რეალური შემთხვევა ზავის დადებისა, მაგრამ არსებობს კიდევ მესამე შანსი, რომელსაც შეუძლია მიგვიყვანოს სასურველ შედეგამდე: „ჩვენ უნდა დავამთავროთ სამშვიდობო მოლაპარაკებები მანამ, სანამ ოსმალები დაითანხმებდნენ სპარსელებს სამშვიდობო ხელშეკრულებაზე. ამ გეგმის განხორციელებას ოსმალები მთელი ძალებით ცდილობენ. საქმე იმაშია, რომ როგორც კი ოსმალები დარწმუნდებიან ჩვენი იარაღის უმოქმედობაში, ისინი შეეცდებიან გაანადგურონ სპარსეთის შაჰი და ქართველები“[32].

1554 წელს 1 დეკემბერს ა. ვარანჩიჩმა აცნობა უნგრეთის მეფეს სულთნის მოსალოდნელი გეგმების შესახებ: „რამდენადაც სტამბოლში მომწიფდა აზრი, რომ შეუძლებელია ირანთან და უნგრეთთან ზავის დადება, სულთანს განზრახული აქვს გაგზავნოს საბერძნეთისა და თრაკიის ბეგლარბეგი ჯარებით უნგრეთში. ხოლო მეორე არმია, სულთნის უშუალო სარდლობით, გაემართება საქართველოს წინააღმდეგ, რადგან იგი ირანის მოკავშირეა და როგორც ამბობენ, სულთანს უქმნის დიდ დაბრკოლებებს ირანის მიმართ დაპყრობითი გეგმების განხორციელების საქმეში“[33]. მისივე დაკვირვებით, „ოსმალები მომავალ წელს აპირებენ ომის განახლებას, რადგანაც ქართველებმა მათ სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს, რის გამოც მათ ვერ შესძლეს გაეტეხათ შაჰის არმიის წინააღმდეგობა“[34].

შაჰი არ ჩქარობდა სულეიმანთან ელჩის გაგზავნას და მან სცადა არაოფიციალური მოლაპარაკების გზით, უფრო დაბალ დონეზე მოესინჯა ნიადაგი. 1554 წლის მიწურულს შაჰ-თამაზის ორმა დიდმოხელემ სევინდუქ ბეგმა და უსტაჯლუ შაჰ-ყულუ ბენ ჰამზამ წერილი გაუგზავნეს გავლენიან თურქ მოხელეს არზრუმის ბეგლარბეგს აიას ფაშას. წერილის მიზანი იყო, რომ შექმნილიყო ხელსაყრელი განწყობილება სადავო საკითხების მშვიდობიანი გზით მოგვარებისათვის. წერილის ძირითად არსს შეადგენდა საქართველოს საკითხი. წერილის ავტორები უმტკიცებდნენ ოსმალებს, რომ ქართველები

---

[32] T a r d y L., Rapports..., p. 218.

[33] იქვე.

[34] იქვე.

„ისლამის მტრები არიან“ და რომ მათ გამო მუსლიმურმა ხალხებმა „არ უნდა დახოცონ ერთმანეთი“[35].

1555 წელს მარტში ამასიაში ჩავიდა ირანის შაჰის ელჩი ფერუჯ ზადე ბეგი, რომელსაც შაჰისაგან მიცემული ჰქონდა ოსმალეთთან ზავის დადების რწმუნება. აქვე ჩამოვიდა საფრანგეთის ელჩი მ. კოდინიაკი. იგი აპირებდა ხელი შეეწყო ოსმალეთ-ირანის დაზავებისთვის, რადგან ამის შედეგად საფრანგეთი ოსმალეთისაგან მიიღებდა დახმარებას 1553 წლის ხელშეკრულების საფუძველზე[36].

სტამბულში მყოფ უნგრელ დიპლომატებს კარგად ესმოდათ, რომ ოსმალეთ-ირანის სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შემთხვევაში, ჰაბსბურგები შესაძლებლობას დაზავებოდნენ ოსმალეთს. ამიტომ ისინი ურჩევდნენ ფერდინანდს წასულიყო კომპრომისზე სულთნის მიმართ და ამ გზით საგრძნობლად დაეჩქარებინათ ოსმალეთ-უნგრეთის დაზავება.

1555 წლის 20 იანვარს სტამბულში ჩავიდა ა. ბუსბეკი, ფერდინანდის ელჩი. მან ჩაიტანა ახალი ინსტრუქციები, რომლებიც არ აკმაყოფილებდნენ არც ერთ მხარეს. მათი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ყოველგვარი გზით შეენარჩუნებინათ ტრანსილვანია და დაედოთ ზავი ოსმალეთთან. ამასიაში სულთანს აცნობეს ფერდინანდის ახალი წინადადება, სულთანმა ბრძანა, რომ დაუყოვნებლივ გამოეგზავნათ მასთან უნგრეთის მეფის ელჩი[37].

7 აპრილს ა. ბუსბეკი, ა. ვარანჩიჩი და ფ. ზაი ამასიაში ჩავიდნენ. ამასიაში ჩასვლის უმალვე უნგრელი დიპლომატები მიიღო დიდმა ვეზირმა აჰმედ ფაშამ, შემდეგ სულთანმა. ბუსბეკის ცნობით, სულთანს ჰქონდა უკმაყოფილო და მკაცრი გამომეტყველება. მისასალმებელი სიტყვის შემდეგ, როდესაც ბუსბეკმა ჰკითხა სულთანს, სცნობს თუ არა ფერდინანდის უფლებას ტრანსილვანიაზე, სულთნის სახე კიდევ უფრო პირქუში შეიქნა და მან გესლიანი ტონით დასძინა: „კარგი“, „კარგი“. ამით დამთავრდა აუდიენცია[38].

უნგრელი დიპლომატები შეხვდნენ მრავალ გავლენიან პირს, რომელთაც დაპირდნენ გასამრჯელოს ოქროთი, თუ ისინი მოახდენდნენ

---

[35] Fekete L., Zur Geschichte der Grusiner des 16 Jahrhnderts, „Acta Orient“. Hung., t. I, fasc., I, Budapest, 1950, pp. 93—133.

[36] Danişmend I. H., Izahlı Osmanlı Tarihi kronolojisi, c. II, s. 293.

[37] Tardy L., Beyond the Ottoman empire..., p. 176.

[38] Lettres du Baron de Busbec, ambassadeur de Ferdinand I, roy des Romains, de Hongarie, Paris, 1748, p. 125; Tardy L., Beyond the Ottoman empire..., p. 176.

გავლენას სულთანზე და მიაღწევდნენ საწადელს, მაგრამ ეს ცდები უშედეგოდ დამთავრდა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამასიაში უნგრელი დიპლომატები შეხვდნენ საქართველოს სამეფოს წარმომადგენელს[39], მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი არ მიუთითებენ თუ საქართველოს რომელ სამეფოდან იყო იგი და რა იყო მისი იქ ყოფნის მიზანი. ოსმალეთ-ირანის ზავის დადებასთან დაკავშირებით ამასიაში გაიმართა მწვავე დიპლომატიური ჭიდილი საფრანგეთისა და უნგრეთის წარმომადგენლებს შორის. საფრანგეთის ელჩი კოდინიაკი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დაინტერესებული იყო ოსმალეთისა და ირანის დაზავებით, ხოლო უნგრელი დიპლომატები, პირიქით. საფრანგეთის ელჩმა გარკვეული წვლილი შეიტანა ოსმალეთ-ირანის დაზავების საქმეში[40]. ირანთან ომის ამ ეტაპზე სულთან სულეიმანს მობეზრდა ძნელი, წარუმატებელი ლაშქრობანი ირანის წინააღმდეგ, რომელიც მოითხოვდა დიდ მატერიალურ რესურსებს. იგი სიამოვნებით იხსენებდა ევროპაში მოპოვებულ გამარჯვებებს და მან გადაწყვიტა ბოლო მოეღო ამ ომისათვის. სულთნის კარზე აღმოსავლეთის პოლიტიკამ დაკარგა აქტუალობა და „გურჯისტანის საკითხი“ აღარ წარმოადგენდა მნიშვნელოვან „სახელმწიფო საკითხს“[41].

1555 წლის 29 მაისს ამასიაში ოსმალეთსა და ირანს შორის დაიდო ზავი.

ა. ვარანჩიჩი და მისი კოლეგები ბოლო წუთამდე ცდილობდნენ ჩაეშალათ ეს მოლაპარაკება, ისინი არწმუნებდნენ დიდ და გავლენიან ოსმალო მოხელეებს, წარემართათ სულთანი იმ მიმართულებებით, რომ დადებულიყო ოსმალეთ-უნგრეთის საზავო ხელშეკრულება, რაც საშუალებას მისცემდა სულთანს გადაესროლა მთელი ძალები სპარსელებისა და მათი მოკავშირე ქართველების წინააღმდეგ[42].

ეჭვს გარეშეა, რომ ფერდინანდის არაშორსმჭვრეტელი პოლიტიკა მისი ქვეყნისათვის საბედისწერო აღმოჩნდა და თავისი სიჯიუტით მან საწინააღმდეგო შედეგს მიაღწია: სულთანმა ამჯობინა ზავი დაედო აზიაში, რათა თავისუფალი მოქმედების საშუალება ჰქონოდა უნგრეთში. უნგრეთის წარმომადგენლებმა, მიუხედავად ყოველივე მცდელობისა და აგრეთვე ძვირფასი საჩუქრებისა და ხარკის მიცემისა,

---

[39] T a r d y L., Beyond the Ottoman empire..., p. 176.

[40] Testa, Recuil des traités de la Porte Ottoman avec les puissences étrangère depuis le premier traite, conclu en 1536 entre Suleyman I et Françcisi jusqu'à nos jours, t. I, Paris, 1865, p. 55.

[41] L. F e k e t e, დასახ. ნაშრ., გვ. 190.

[42] T a r d y L., Rapports..., p. 221.

რომელსაც ტრანსილვანიის გამო იხდიდნენ, შესძლეს მიეღწიათ მხოლოდ ექვსთვიანი დროებითი ზავისათვის[43]. 1555 წლის 31 მაისს სულთანმა ფერდინანდს გაუგზავნა წერილი, რომლითაც მოითხოვდა იანოშ ჟიგმონდის აღდგენას მემკვიდრეობით უფლებებში[44].

ირანთან ზავის დადების შემდეგ კვლავ გაძლიერდა ევროპაში ოსმალთა საფრთხე. 26 ივნისს სულეიმანმა ოსმალეთის ფლოტი გაგზავნა ხმელთაშუა ზღვაში საფრანგეთისათვის დახმარების აღმოსაჩენად. სულეიმანმა ულტიმატუმით მოსთხოვა ფერდინადს დაეტოვებინა ტრანსილვანია და ეცნო იანოშ ჟიგმონდის უფლებები, წინააღმდეგ შემთხვევაში, იმუქრებოდა იგი „ქვეყანა აღგვული იქნებოდა პირიდან მიწისა“.

ამგვარად, ოსმალეთ-ირანის ომი გარკვეულ გავლენას ახდენდა ევროპის პოლიტიკურ სიტუაციაზე, იგი ასუსტებდა ოსმალეთის ექსპანსიას დასავლეთის მიმართულებით და ამით ანელებდა ოსმალთა შეჭრის საფრთხეს ამ რეგიონში.

---

[43] T a r d y L., Beyond the Ottoman empire..., p. 191.

[44] A n t o n C. Schaendlinger, Die Schreiben Süleymans des Prächtigen an Karl V, Ferdinand I, und Maximilian II, pp. 50—44.

მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლების თარიღების დაზუსტებისათვის[1]

ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული იყო, რომ მარტყოფის ბრძოლა ქართველებსა და ირანელებს შორის 1623 წლის მარტში მოხდა, ხოლო მარაბდისა — 1624 წელს. ვფიქრობთ, რომ ეს თარიღები არაა სწორი და დაზუსტებას მოითხოვს.

ქართულ ქრონიკებსა და ისტორიულ მინაწერებში ანუ მცირე ქრონიკებში მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლების რამდენიმე განსხვავებული თარიღია მოცემული:

1623 წ. „ქ~კს ტია: აქა მოვიდა კარჩიხან და მრავალი ლაშქარი ამოწყვიტა და გაქცივაჲ, სამცხე, ქართლი და კახეთი ერთ დღეს წაართო ყეენსა, არეზს ზედათ დაურბივა და ქართლისა და კახეთისა ბატონად ბატონი თიმურაზ დასჯეს (ქვათახევის გულანი)"[2].

1623 წ. „ქ~კს ტია: ყარჩიხან და მოურავი მოვიდნენ, სივომნ მეფეს დასვეს ტფილისს; მუხრანს კახნი მოსწყვიდნენ, მერე მოურავმან ყარჩიხან მოკლა, სპანი მისნი სრულად მოწყვიდნა და ბატონი თეიმურაზ კახეთს მოიყვანეს"[3].

1624 წ. ქ~კს ტიბ: „ყარჩიხან და უსუფხან მოკლეს ქართველთ მუხრანში"[4].

1624 წ. „ქ~კს ტიბ: ყორჩიბაში მოვიდა და დიდი ომი იყო"[5].

1624 წ. ქ~კს ტიბ: ყორჩი ბაში მოვიდა... და მარაბდის ომი იქნა, ქაოველთ „დაუმარცხდათ"[6].

---

[1] მოხსენება წაკითხულ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა IV სამეცნიერო კონფერენციაზე 1953 წ. 24 აპრილს, კონფერენციის თეზისები, გვ. 56 იბეჭდება მცირეოდენი ცვლილებებით.

[2] ქრონიკები და მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წიგნი II, 1213 წლიდან 1700 წლამდე, თბ., 1875, გვ. 445.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 445, 446.

[5] იქვე.

[6] იქვე.

1624 წ. „ქ~კს ტიბ: აქა ბატონი თეიმურაზ და ყიზილბაში და ქართველნი შეიბნენ ალგეთზედა“[7] (ძილის პირი იკორთის № 6).

1624 წ. „ქ~კს ტიბ: აქა ყორჩიბაში მოვიდა და დიდი ომი იყო“[9].

1625 წ. „ქ~კს ტიგ: აქაჲ ყორჩიბაში მოვიდა და დიდი ომი იყო“[9].

1623 წ. ქ~კს ტია: აქა უღალატა ქართლის მურავმან ყიზილბაშთა და გაემარჯვა და ბევრი ხან-ი და ლაშქარი ამოსწყვიტა“[10]...

1624 წ. ქ~კს ტიბ: აქა ყორჩიბარჩი ბაში მოვიდა დიდი ომი იყო“[11].

გ. ალასანიას მიერ გამოცემულ „პარიზის ქრონიკაში“, მარტყოფის ბრძოლის თარიღად 1624 წელია მითითებული[12], ხოლო ზ. ჭიჭინაძის მიერ გამოცემული ამავე ქრონიკაში კი — 1626 წელი“[13].

ქრონიკების მონაცემებს თუ გავაანალიზებთ, დავინახავთ, რომ მარტყოფის ბრძოლა სამ ქრონიკაში 1623 წლითაა დათარიღებული, ორში — 1624 წლით და ერთში — 1626 წლით, ე. ი. ქრონიკების უმეტესობა მარტყოფის ბრძოლას 1623 წლით ათარიღებს.

მარაბდის ბრძოლა ხუთ ქრონიკაში 1624 წლითაა დათარიღებული, ერთი კი 1625 წელს მიუთითებს. ე. ი. ქრონიკების უმრავლესობა მარაბდის ბრძოლას 1624 წლით ათარიღებს.

მხოლოდ ერთ ქრონიკაშია მითითებული მარაბდის ბრძოლის სწორი თარიღი — 1625 წელი.

არცერთ ქრონიკაში არაა აღნიშნული, რომ მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლები ერთსა და იმავე წელს მოხდა.

განვიხილოთ როგორაა ეს ბრძოლები დათარიღებული ნარატიულ წყაროებში.

ვახუშტი ბატონიშვილი საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიაში წერს: 1623 წ. „ქ~კს ტია: ყორჩიხან და მოურავი მოვიდნენ... მოურავმან ყარჩიხანი მოკლა სპანი, სრულიად მოსწყვიტნა და ბატონი თეიმურაზ კახთ მოიყვანეს. თათრულს ჩოლდ (1034)“[14].

---

7 თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, ტ. II, გვ. 446.

8 მცირე ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინაწერები). ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯ. ოდიშელმა, თბ., 1968, გვ. 41.

9 იქვე, გვ. 48.

10 იქვე, გვ. 62.

11 იქვე

12 ცხოვრება საქართველოსა (პარიზის ქრონიკა) ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1980, გვ. 90, 91.

13 პარიჟის ქრონიკა ანუ ცხოვრება საქართველოსა, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბ., 1903, გვ. 48.

14 ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 904.

1624 წ. „ქ[ქს ტიიბ ყორჩიბაში მოვიდა... მარაბდის ომი იქნა, ქართველთ დაუმარცხდათ. თათრულს ჩილდ (1034)“[15].

როგორც ვხედავთ, ვახუშტი ბატონიშვილი მარტყოფის ბრძოლას 1623 წლით ათარიღებს, ხოლო მარაბდისას — 1624 წლით.

საფიქრებელია, რომ ვახუშტი ბატონიშვილმა ამ ბრძოლების თარიღების მითითებისას ისარგებლა ქართული ქრონიკების ცნობებით. აქ კი, როგორც ზემოთ გავარკვიეთ, ქრონიკების უმრავლესობა მარტყოფის ბრძოლას 1623 წლით ათარიღებს და მარაბდის ბრძოლას — 1624 წლით.

საყურადღებოა, რომ ვახუშტი ამ თარიღების გვერდით მიუთითებს მუსლიმურ წელთაღრიცხვას. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ იგი სარგებლობდა რომელიმე სპარსული წყაროთი; ვფიქრობთ, შაჰ-აბასის ოფიციალური მემატიანის ისქანდერ მუნშის საისტორიო თხზულებით, რადგან ამ წყაროში ისევე, როგორც ვახუშტისთან, ითითებულია ერთი და იგივე თარიღი 1034 წელი. მუსლიმური წელთაღრიცხვის 1034 წელი იწყება 1624 წლის 14 ოქტომბრიდან და მთავრდება 1625 წლის 3 ოქტომბრამდე[16].

ჩანს, ვახუშტის არ გადმოუყვანია მუსლიმური წელთაღრიცხვა ქრისტიანულზე, თორემ აშკარად დაინახავდა იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს ქართული ქრონიკების მონაცემებსა და სპარსულ წყაროს შორის. როგორც ცნობილია, მარტყოფის ბრძოლა მოხდა გაზაფხულზე, ხოლო მარაბდისა — ზაფხულში. მუსლიმური წელთაღრიცხვის 1034 წლის გაზაფხულ-ზაფხული მოდის ქრისტიანული წელთაღრიცხვის 1625 წელზე. ასე რომ, მუსლიმური წელთაღრიცხვის მიხედვით მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლები ერთსა და იმავე წელს, ე. ი. 1625 წელს მომხდარა.

ერთადერთი ქართული წყარო, რომელშიაც ზუსტადაა მითითებული მარტყოფის ბრძოლის თარიღი — 1625 წლის 25 მარტი, ესაა „შემოკლებული მოთხრობა საქართველოსა“[17]. ამ წყაროს მონაცემები ჩვენ სანდოდ მიგვაჩნია, რადგან ემთხვევა აღმოსავლური და ევროპული წყაროების მონაცემებს და მათგან განსხვავებით მითითებულია თვე და რიცხვი.

თავისთავად ცხადია, რომ თუ მარტყოფის ბრძოლა 1625 წლის 25 მარტს მოხდა, მარაბდის ბრძოლა მასზე ადრე ვერ იქნებოდა. ამი-

---

[15] ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 904.

[16] Синхронистические таблицы хиджры и европейского летосчисления, под. ред. И. Орбели, М—Л. 1961, С. 213.

[17] შემოკლებული მოთხრობა საქართველოსა, მარი ბროსეს გამოცემა, პარიზი, 1833, გვ. 5.

ტომ არ უნდა იყოს ქართული წყაროების მონაცემები სწორი, რომლებიც მარაბდის ბრძოლას 1624 წლით ათარიღებენ (როგორც ზემოთ მივუთითეთ, მხოლოდ ერთი ქართული ქრონიკა ათარიღებს მარაბდის ბრძოლას 1625 წლით).

ყურადღებას იმსახურებს ის, რომ აღმოსავლური და ევროპული წყაროების მონაცემების მიხედვით, მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლები ერთ წელსაა მომხდარი.

სომეხი ისტორიკოსის არაქელ თავრიზელის ცნობით, მარტყოფთან დამარცხების შემდეგ „სპარსელებმა ორი თვის ბოლოს ისევ გაილაშქრეს ქართველების წინააღმდეგო"[18]. თუ მარტყოფის ბრძოლა 1625 წლის 25 მარტს მოხდა, ორი თვის ბოლო უნდა იყოს დაახლოებით ივნისის ბოლო ან ივლისის დასაწყისი და სწორედ ამ დროს უნდა მომხდარიყო მარაბდის ბრძოლა. სპარსელი ისტორიკოსის ისქანდერ მუნშის ცნობით, მარაბდის ბრძოლა მოხდა 1625 წლის 1 ივლისს (1034 — 25 რამაზანი)[19]. მარაბდის ბრძოლის ეს თარიღი ყველაზე სანდოა, რადგან მითითებულია არა მარტო თვე, არამედ რიცხვიც.

რუსული თანდართული წყაროები მარტყოფისა დ მარაბდის ბრძოლებს 1625 წლით ათარიღებენ.

1625 წლის აგვისტო-სექტემბერში ასტრახანში ჩავიდნენ ოსმალთა ტყვეობაში ნამყოფი რუსი ვასკა ავდევი, სომეხი ვაჭარი ივანის როჯაევი და ყაზანელი ვაჭარი ალექსი (ალიოშკა) შილნიკოვი. 1626 წ. დეკემბერში დაკითხვისას მათ რუსეთის ხელისუფალთ საქართველოში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით შემდეგი ინფორმაცია მიაწოდეს: „გასულ 133 (1625) წლის გაზაფხულზე შაჰმა საქართველოში სალაშქროდ ყარჩიხა ხანი და შემახიის ისუფ ხანი გაგზავნა ჯარით. შაჰის ამავე მეომრებს შაჰმა გამაჰმადიანებული ქართველი მოურავი გააყოლა და ამ მოურავს უბრძანა საქართველოში ყორჩიხა და ისუფ ხანთან ერთად ყოფნისას ის ქართველები, რომლებიც შაჰს წინააღმდეგობას არ გაუწევენ და მის სამსახურს იკისრებენ, დაესაჩუქრებინათ და ჩაეგონებინათ, შაჰისათვის პატიოსნად ემსახურათ. ის ქართველები კი, რომლებიც შაჰისათვის სამსახურზე უარს იტყოდნენ, უნდა დაეხოცათ. ქართველი მოურავი კი საიდუმლოდ დაუკავშირდა ქართველებს და შაჰის ყორჩიხა ხანი და ისუფ ხანი დაამარცხეს და მათთან ერთად შაჰის ას ორმოცდაათი კაცი დახოცეს.

ამის შემდეგ მალე ყიზილბაშთა შაჰმა საქართველოში თავისი

---

[18] Collections d'historiens Armeniens, traduit par M. Brosset, v. I, SPb., 1874, p. 583.

[19] ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი, ქართული თარგმანით და შესავლით გამოსცა ვ. ფუთურიძემ. თბ., 1969, გვ. 127.

ლაშქარი გაგზავნა ყარჩიბაში ხანისა და შემახელი კაზაკ ხანის მეთაურობით. შაჰის ამ ლაშქარს საქართველოში ბრძოლა ჰქონდა ქართველებთან და იმ შეტაკების დროს ყიზილბაშებმა მრავალი ქართველი მოკლეს და ათასამდე ტყვედ ჩაიგდეს"[20].

სომეხი ისტორიკოსი არაქელ თავრიზელი მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლებს 1625 წლით ათარიღებს[21], ხოლო ზაქარია სარკავაგი ამ ბრძოლების შესახებ 1624—1625 წლების ამბებში აგვიწერს[22].

ოსმალო ისტორიკოსები ქათიბ ჩელები[23], იბრაჰიმ ფეჩევი[24], მუსტაფა ნაიმა[25] და სხვები მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლების შესახებ მოგვითხრობენ 1624—1625 წლის (1034 ჰ) მნიშვნელოვან ამბებს შორის.

ევროპული წყაროები ამ ბრძოლებს აგრეთვე 1625 წლით ათარიღებენ[26].

1623—1624 წლებში მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლები ვერ მოხდებოდა, რადგან ამ ბრძოლების მთავარი მონაწილე გიორგი სააკაძე ამ დროს საქართველოში არ იმყოფებოდა.

ქართული წყაროებიდან და, კერძოდ, ვახუშტის ისტორიიდან ვიცით, რომ გიორგი სააკაძე „იახლა ბაღდადს და ყანდაარს"[27]. შაჰმა ბაღდადი 1623 წელს დაიპყრო, ხოლო ყანდაარი — 1624 წელს. ასე, რომ, ამ დროს გიორგი სააკაძე თან ახლდა შაჰს ამ ლაშქრობებში.

საქართველოში შაჰ-აბასისაგან გამოგზავნილ ლაშქარს ყარჩიხა-ხანი სარდლობდა. თუ დავუშვებთ, რომ მარტყოფის ბრძოლა 1623 წელს მოხდა და ამ დროს დაიღუპა ყარჩიხა-ხანი, მაშინ როგორღა

---

[20] თ. ტ ი ე ა ძ ე, მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლის 350 წლისთავის გამო (რუსული საარქივო მასალების მიხედვით), მაცნე, ისტორიის... სერია, 1975, № 3, გვ. 179.

[21] Collection d'historiens Armeniens, v. I, p. 583.

[22] Collection d'historiens Armeniens, v. II, p. 21.

[23] ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გიული ალასანიამ, თბ., 1978, გვ. 175.

[24] იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ს. ჯიქიამ, თბ., 1964, გვ. 83—85.

[25] მ უ ს ტ ა ფ ა ნ ა ი მ ა, ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თბ., 1979, გვ. 160—163.

[26] A Chronicle of carmelites in Persia, v. I, p. 281; K n o l l e s R. The Generall Historie of the Turks, Oxford, 1631; M i g n o t, Histoire de l'Empire Ottoman, Paris, 1889, t. II, p. 235.

[27] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 236.

ხელმძღვანელობდა იგი 1624 წელს მოსულისა და მარდანის ლაშქრობებს, როგორც ამას იმდროინდელი წყაროები გვატყობინებენ.

მარტყოფის ბრძოლა რომ 1625 წელს მოხდა, ამის სასარგებლოდ მეტყველებს შემდეგი ფაქტები.

1625 წლის 25 მარტს მარტყოფის ველზე ყიზილბაშების განადგურების შემდეგ, გიორგი სააკაძემ დახმარებისათვის მიმართა ოსმალეთს; კერძოდ, ოსმალეთის დიდ ვეზირს ჰაფიზ ფაშას, რომელიც ამ დროს დიარბექირში იმყოფებოდა, ელჩები გაუგზავნა და დახმარება სთხოვა. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობით, გიორგი სააკაძის ელჩები დიდ ვეზირთან 1625 წლის 3 ივლისს ჩავიდნენ[28]. ეს ცნობა სანდოა, რადგანაც იბრაჰიმ ფეჩევი წერს, რომ როდესაც სააკაძის ელჩები დიდ ვეზირთან გამოცხადდნენ, „მე იმასთან ვიჯექიო"[29].

ქართველებმა ყიზილბაშებზე მოპოვებული გამარჯვების დასადასტურებლად თან ჩაიტანეს ყიზილბაშთა მოკვეთილი თავები, მათი დროშები და იარაღი. შემდეგ ყიზილბაშთა მოკვეთილი თავები სტამბულში გაგზავნეს და სულთნის სასახლეში მიიტანეს 1625 წლის 19 ოქტომბერს[30]. ცხადია, მარტყოფის ბრძოლა 1623 წლის მარტში რომ მომხდარიყო, ყიზილბაშთა მოკვეთილ თავებს სტამბულში ორნახევარი წლის შემდეგ არ ჩაიტანდნენ.

ამრიგად, ჩვენ განკარგულებაში არსებული წყაროების ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ მარტყოფის ბრძოლა მოხდა 1625 წლის 25 მარტს, ხოლო მარაბდისა — 1625 წლის 1 ივლისს.

ამჟამად ჩვენ მიერ დაზუსტებული ეს თარიღები ქართულ ისტორიოგრაფიაში გაზიარებულია.

---

28 იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 83, 84. ქათიბ ჩელების ცნობით კი, გიორგი სააკაძის ელჩები დიდ ვეზირთან 27 ივნისს ჩავიდნენ (ქათიბ ჩელების ცნობები..., გვ. 228).

29 იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 84.

30 იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 84, 85; ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 228; მუსტაფა ნაიმა, საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 162, 163. სტამბულში მყოფი ვენეციის ელჩის ცნობით, ქართველებმა ყიზილბაშთა მოკვეთილი თავები, დროშებთან და იარაღთან ერთად სტამბულში ჩაიტანეს და სულთანს მიართვეს (J. Hammer, Histoire de l'Empire Ottoman, v. IX, p. 61).

ნიკიფორე ირბახის (ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის) ევროპაში ელჩობა ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მიზნით 1626—1629 წწ.

1626 წელს თეიმურაზ I გადაწყვიტა ევროპაში გაეგზავნა ელჩობა. ამ საპატიო მისიას მეთაურობდა გამოჩენილი დიპლომატი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი (ნიკიფორე ირბახი). ამ ელჩობის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებულია შეხედულება, რომ იგი, უპირველესად ყოვლისა, მიზნად ისახავდა ევროპაში ირანის წინააღმდეგ მოკავშირეების ძიებას (გ. აკოფაშვილი, ბ. გიორგაძე, ჯ. ვათეიშვილი, ს. კაკაბაძე, ნ. ნაკაშიძე, ი. ტაბაღუა, გ. ჯაბურია და სხვ.).

ზოგიერთი ისტორიკოსი თეიმურაზის ამ პოლიტიკურ ნაბიჯს მეტად მკაცრ შეფასებას აძლევს. მაგალითად, ბ. გიორგაძე წერს: „თეიმურაზ მეფემ ელჩი მიავლინა სრულიად გაუთვალისწინებელ პირობებში. როგორც ეტყობა თეიმურაზ მეფის კარზე ნათელი წარმოდგენა არა ჰქონდათ საერთაშორისო მდგომარეობაზე, რადგანაც არც ერთმა მეფე-მთავარმა და თვით პაპმაც კი, იმედი არ მისცეს სპარსეთის წინააღმდეგ დახმარების გაწევაში... დასავლეთ ევროპის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა სამეგობრო ურთიერთობის დარღვევა თურქეთის წინააღმდეგ მებრძოლ სპარსეთის შაჰთან... ასეთ არახელსაყრელ პოლიტიკურ ვითარებაში ელჩის გაგზავნა იმ სახელმწიფოთა კარზე, რომელთა ინტერესები სრულიად საწინააღმდეგო ორიენტაციას მოითხოვდა, მოწმობს, რომ საქმე უნდა გვქონდეს არაშორსმჭვრეტელ პოლიტიკური მსოფლმხედველობის მქონე სახელმწიფოს ხელმძღვანელთან, რომელსაც საერთაშორისო ვითარებისათვის თავი ვეღარ გაურთვია... ეს ელჩობა დიპლომატიურ უცოდინარობად თუ არ ჩაითვლება, ყოველ შემთხვევაში ღრმა საერთაშორისო ვითარების გამომხატველი არ უნდა იყოს“[1].

დაახლოებით ასეთივე შეხედულებისა იყო ს. კაკაბაძეც. მან

[1] დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, წერილები საქართველოზე, XVII საუკუნე, იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბ. გიორგაძემ, თბ., 1964, გვ. 16—18.

თეიმურაზის მიერ ევროპაში ელჩობის გაგზავნას ავანტიურა უწოდა[2].

მაგრამ ყველა როდი იზიარებს ამ მკაცრ კრიტიკას თეიმურაზ მეფის მიმართ. გ. აკოფაშვილი ასე აფასებს თეიმურაზ მეფის ამ ნაბიჯს: „თეიმურაზ მეფეს ვერ დავწამებთ საერთაშორისო სიტუაციის უცოდინარობას და გაურკვეველობას... თეიმურაზ მეფის ეს პოლიტიკური ნაბიჯი კახეთის სამეფო პოლიტიკის იმ ზოგადი ხაზის გაგრძელებაა, რომელიც კახეთის სახელმწიფო მოღვაწეებისათვის უკვე XV საუკუნიდანვე ხდება დამახასიათებელი. ესაა — თანამიმდევრული ცდები უშუალო პოლიტიკური ურთიერთობის დამყარებისა ქრისტიანულ სახელმწიფოებთან. უკვე XV საუკუნის მეორე ნახევარში კახეთის მეფე ალექსანდრე დიდი მონდომებით ცდილობს გაარღვიოს მაჰმადიანური რკალი, რომელშიც ჩაკეტილი აღმოჩნდნენ ქაროული სამეფოები. მას შემდეგ რაც 1453 წელს თურქებმა კონსტანტინოპოლი აიღეს და საქართველოს კულტურულ ევროპასთან უშუალო კავშირის გაბმის საშუალება მოუსპეს... ერთი შეხედვით ადამიანს იქნებ გულუბრყვილოდაც კი მოეჩვენოს თეიმურაზ მეფის ცდა დასავლეთ ევროპაში ირანის წინააღმდეგ მოკავშირეების ძიებისა... თეიმურაზის ელჩობის უპირველესი მიზანი არა იმდენად საბრძოლო კავშირის შეკვრა იყო, ირანის საწინააღმდეგოდ, და ევროპისაგან უმალვე მატერიალური დახმარების მიღება (თუმცა, არც უამისობა იყო, ამგვარი მიზანი, თუნდაც შორეული პერსპექტივის სახით, რა თქმა უნდა, უსათუოდ არსებობდა), რამდენადაც ევროპელ მეფე-მთავრებთან უშუალო მეგობრული კავშირის დამყარების გზით თავისი როგორც სახელმწიფოს მესვეურის, საერთაშორისო პრესტიჟის ამაღლება... ამგვარად — დაასკვნის გ. აკოფაშვილი, ევროპასთან უშუალო ურთიერთობის უფრო „მაღალ დონეზე“ აყვანის ცდა — ასე უნდა გავიგოთ, თეიმურაზ I-ის დიპლომატიური ნაბიჯი XVII ს. 20-იან წლების მეორე ნახევარში. ქართველი მეფის მხრიდან ეს იყო მეტად დროული და, საერთაშორისო სიტუაციის თვალსაზრისით, არსებითად გამართლებული ღონისძიება“[3].

ნ. ნაკაშიძის დაკვირვებით, „თეიმურაზ მეფის მიმართვა რომის პაპისა და ესპანეთის მეფისადმი კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ თეიმურაზი იცნობს და რეალურად აფასებს არსებულ საერთაშორისო სიტუაციას არა მარტო ახლო აღმოსავლეთში, არამედ ევრო-

---

[2] ს. კაკაბაძე, ქართული წიგნის ბეჭდვის 300 წლის იუბილესათვის, ქართული მწერლობა, 1929, № 8—9.

[3] გ. აკოფაშვილი, ქართველი დიპლომატი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი — ნიკიფორე ჯრბახი, თბ., 1977, გვ. 31, 33.

პაშიც. უეჭველია. რომ ქართველ მეფეს კარგად მოეხსენება ირანსა და რომს და ირანსა და ესპანეთს შორის ურთიერთობათა გაუარესება მოცემულ ხანაში"[4].

თუმცა ჩვენს საისტორიო და მხატვრულ ლიტერატურაში არაერთგზის გამომჟღავნებულა ინტერესი ამ ელჩობისადმი, მაგრამ ქართულ ისტორიოგრაფიას მის შესახებ დიდხანს არაფერი გააჩნდა ხელშესახები დოკუმენტური მასალის სახით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ უპირატესად ზოგადი ხასიათისა და. სამწუხაროდ, ქრონოლოგიურად არაზუსტს ინფორმაციას, რომელიც მ. თამარაშვილის ცნობილ ნაშრომებშია მოტანილი[5]. გარკვეული აზრით, ამავე მიზეზით იყო განპირობებული პოლემიკა ნიკიფორე ირბახის ვინაობის შესახებ (დ. კარიჭაშვილი. კ. კეკელიძე და სხვ.), რომელმაც არა თუ არ შეანელა, ალბათ, გაამძლავრა ინტერესი ქართველი მეფის ელჩის პიროვნებისა და ნამოღვაწარის მიმართ. ბოლო დროს ამ ელჩობის ისტორიას არაერთი ქართველი ისტორიკოსი შეეხო (ბ. გიორგაძე, ი. ტაბაღუა, ბაგრატიონ-ორსინი და სხვ.) და ნაწილობრივ შეავსო იგი. ძირითადად. რომის არქივებში დაცული სათანადო მასალის გამომზეურების შედეგად[6].

ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის ევროპაში ელჩობის შესასწავლად განსაკუთრებით დიდი მეცნიერული ღირებულება აქვს ჯ. ვათეიშვილისა და ი. ტაბაღუას მიერ ესპანეთში ქ. ვალიადოლიდის მახლობლად ცნობილ სემანკას გენერალურ ისტორიულ არქივში გამოვლენილ დოკუმენტურ მასალას[7].

ამ ახალი დოკუმენტების ანალიზის შედეგად აშკარა ხდება, რომ

---

[4] Н. Т. Накашидзе, Грузино-русские политические отношения в первой половине XVII века, Тб., 1968, с. 91.

[5] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 1902.

[6] ბ. გიორგაძე, ახალი დოკუმენტი ნ. ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილის შესახებ, „მნათობი", 1980, № 1; Ketevane Bagrationi-Orsini (Rome), Ilia M. Tabagoua (Tbilissi), Une ambassade géorgienne en Europe (Nicefore Irbakhi—XVII s., Huit documents inedits), Bedi Kartlisa, 1981, V. XXXIX pp. 139—153.

ქეთევან ბაგრატიონი-ორსინი (რომი), ილია ტაბაღუა, ქართული ელჩობა ევროპაში (ნიკიფორე ირბახი — XVII ს.), „მრავალთავი", 1983, X, გვ. 199—253.

[7] ჯ. ვათეიშვილი, ნიკიფორე ირბახის ნაკვალევზე, ქართველი დესპანი ესპანეთში XVII ს-ის პირველი მესამედის დამლევს — გაზეთი „კომუნისტი", № 175, 177, 178, 1983 წ. 13 ივლისი, 2 აგვისტო, 4 აგვისტო; 1983 წ. 5 აგვისტო; ი. ტაბაღუა, ნიკიფორე ირბახის ელჩობა ევროპაში, წიგნში საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, ტ. II, თბ., 1986, გვ. 141—199.

ნ. ირბახის ელჩობა ევროპაში, უპირველესად ყოვლისა, მიზნად ისახავდა ანტიოსმალური კოალიციის შექმნას.

როგორი იყო საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა და საერთაშორისო ვითარება მახლობელ აღმოსავლეთსა და ევროპაში ი. რუბაქიძე-ჩოლოყაშვილის ევროპაში გამგზავრების წინ?

შაჰ-აბასმა გადაწყვიტა ერთხელ და საბოლოოდ „გურჯისტანის საკითხი“ თავის სასარგებლოდ გადაეწყვიტა, ამ მიზნით 1625 წლის დასაწყისში მან ყარიჩიხა-ხანის სარდლობით დიდი ლაშქარი გამოგზავნა საქართველოში. ირანის ლაშქარს თან ახლდა გიორგი სააკაძე. შაჰი თავისი ვერაგული გეგმის განხორციელებას გიორგი სააკაძის ხელით აპირებდა. შაჰ-აბასი მოტყუვდა, მოურავი შაჰ-აბასს განზრახვას მიუხვდა და სათანადო ზომები მიიღო. საქართველოში ირანის წინააღმდეგ აჯანყება მომწიფებული იყო. აჯანყებას სათავეში გიორგი სააკაძე ჩაუდგა. 25 მარტს (ახალი სტილის 7 აპრილს) ქართველებმა მარტყოფის ველზე გიორგი სააკაძის მეთაურობით ყიზილბაშები სასტიკად დაამარცხეს და ირანის წინააღმდეგ ბრძოლა გააჩაღეს.

მარტყოფთან ყიზილბაშების გაჟლეტის შემდეგ ქართველებმა თეიმურაზ I, რომელიც ოსმალეთში (გონიოში) ცხოვრობდა, სამშობლოში მიიწვიეს და აღიარეს ქართლ-კახეთის მეფედ.

ქართველების აჯანყებამ შაჰ-აბასს თავზარი დასცა. შაჰმა სასწრაფოდ საქართველოში აჯანყების ჩასაქრობად ლაშქარი გამოგზავნა. 1625 წლის 1 ივლისს ქართველები მარაბდის ბრძოლაში დამარცხდნენ, მაგრამ ბრძოლაზე ხელის აღებას არ აპირებდნენ.

ასეთ ვითარებაში შაჰ-აბასი იძულებული შეიქნა კომპრომისზე წასულიყო, და თეიმურაზს შერიგებოდა. თეიმურაზსა და შაჰ-აბასს შორის მოლაპარაკების საქმეში ინიციატივა შაჰ-აბასს ეკუთვნოდა. კომპრომისი შაჰისათვის უფრო სასარგებლო იყო, რადგან იგი იმ დროს ოსმალეთის წინააღმდეგ ომს აწარმოებდა და თეიმურაზის ვასალობასა და ერთგულებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა[8]. თეიმურაზ მეფესა და შაჰ-აბასს შორის მოლაპარაკების საქმეში შუამავლად დაუდ-ხან (უნდილაძე) გამოდიოდა, რომელიც ამ დროს თბილისში იმყოფებოდა. დაუდ-ხანი თეიმურაზისაგან, შაჰ-აბასის სახელით, მოითხოვდა ოსმალეთთან კავშირი გაეწყვიტა და ირანის მხარეზე გადასულიყო, რომ თეიმურაზსა დ მის თანამებრძოლებს „თურქული ხალათი გაეხადათ და ირანული — ჩაეცვათ“[9].

---

[8] მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 283.

[9] ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი, ქართული თარგმანით გამოსცა ვ. ფუთურიძემ, შენიშვნები დაურთო დ. კაციტაძემ, თბ., 1969, გვ. 140, 141.

შაჰ-აბასი განსაკუთრებით დაინტერესებული იყო თეიმურაზ მეფესთან შერიგებით, რადგან ამის შემდეგ მას საშუალება ექნებოდა მთელი თავისი ძალები ოსმალების წინააღმდეგ მიემართა.

1626 წელს თეიმურაზ I-სა და დაუდ-ხანს შორის მოლაპარაკება შეთანხმებით დამთავრდა. შაჰ-აბასმა თეიმურაზი ქრისტიანობით ქართლ-კახეთის მეფედ იცნო.

ქართველი ხალხის თავდადებულმა ბრძოლამ შაჰ-აბასი აიძულა ხელი აეღო თავის გეგმაზე და კომპრომისზე წასულიყო.

ამრიგად, თეიმურაზ მეფემ შაჰ-აბასისაგან მიიღო ის, რისთვისაც იგი შაჰს მრავალი წლის განმავლობაში ებრძოდა.

შაჰ-აბასმა თეიმურაზ მეფესთან შერიგების შედეგად, ფაქტიურად, იგი გიორგი სააკაძეს დაუპირისპირა, ამას კი მოჰყვა საბოლოო განხეთქილება თეიმურაზსა და გიორგი სააკაძეს შორის. ქართულ ისტორიოგრაფიაში თეიმურაზ მეფისა და გიორგის კონფლიქტს უმთავრესად ქართველი ფეოდალების ინტრიგებს მიაწერენ, რომლებიც ვერ ურიგდებოდნენ გიორგი სააკაძის. ესოდენ განდიდებას. ჩვენი აზრით, სინამდვილეში ამ საქმეში გადამწყვეტი როლი შაჰ-აბასს მიუძღვის, რომელმაც მოხერხებულად გამოიყენა ქართველ მეფე-მთავრებს შორის არსებული ქიშპი[10]. ამ კონფლიქტის შედეგად, ფაქტიურად, მთელი საქართველო ორ ბანაკად გაიყო: თეიმურაზის მომხრეებს მხარს უჭერდა ირანი, ხოლო სააკაძისას კი — ოსმალეთი. ამ დროს თეიმურაზ მეფეს ირანის შაჰის მხრიდან არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა. პირიქით, შაჰმა დახმარება აღმოუჩინა თეიმურაზს გიორგი სააკაძის წინააღმდეგ ბრძოლაში. გიორგი სააკაძე კი თეიმურაზის წინააღმდეგ საბრძოლველად დახმარებას ოსმალეთის სულთანს თხოვდა. ოსმალეთი დაჟინებით ცდილობდა დაუფლებოდა სამცხე-საათაბაგოს, საბოლოოდ გაეუქმებინა აქ ათაბაგის ინსტიტუტი და ახალციხის საფაშოში მტკიცედ მოეკიდებინა ფეხი. ასე რომ, ამ დროს თეიმურაზ მეფეს საფრთხე უშუალოდ ოსმალეთის მხრიდან ემუქრებოდა და მან გადაწყვიტა ევროპაში გაეგზავნა ელჩობა ანტიოსმალური კოალიციის ორგანიზაციის მიზნით.

ირანიც, თავის მხრით, დაინტერესებული იყო ანტიოსმალური კოალიციის ორგანიზაციით.

ამ დროს მახლობელ აღმოსავლეთსა და ევროპაში შექმნილი საერთაშორისო ვითარების შესახებ ფეიერი წერს: „ეს ის პერიოდი იყო, როცა ევროპასა და ზოგიერთ აზიურ სახელმწიფოში ა ნ ტ ი ო ს-

---

[10] მ. ს ვ ა ნ ი ძ ე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 286, 287.

მალური კოალიცია ყალიბდებოდა და ქართველები მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ მასში“ (ხაზი ჩვენია — მ. ს.). საბრძოლო გეგმით ევროპელთა ჯარი სამ ჯგუფად იყოფოდა: 1. გერმანია, პოლონეთი, უნგრეთი, 2. იტალია და ესპანეთი; 3. საფრანგეთი. დასავლეთ სახელმწიფოების აღნიშნული ჯარი ზღვითა და ხმელეთით ოსმალეთისაკენ უნდა დაძრულიყო, რომლებიც ხშირად ესხმოდნენ თავს ოსმალებს და არბევდნენ შავი ზღვისპირეთში მათ სამფლობელოებს. ამავე დროს მზადდებოდა აჯანყება თურქეთის მიერ დაპყრობილ ქრისტიანულ ქვეყნებშიც. მსვერავები ომის ორგანიზატორებს ოსმალეთის დასუსტების ამბებს აწვდიდნენ. რაც გამოწვეული იყო შინაური არეულობით, ცუდი ფინანსური მდგომარეობით და ირანთან გამუდმებული ომებით. ოსმალეთზე ლაშქრობის ორგანიზატორები დიდ იმედს ამყარებდნენ ოსმალეთის უღელქვეშ მყოფ ქრისტიანებზე. ირანმაც ხუთი თუ ექვსი ელჩობა გაგზავნა პაპთან, ესპანეთისა და საფრანგეთის მეფეებთან და ატყობინებდა ოსმალეთზე თავდასხმის გადაწყვეტილებას, დახმარების შემთხვევაში კი პალესტინისა და, განსაკუთრებით, იერუსალიმის დაბრუნებას ჰპირდებოდა[11].

ამრიგად, როდესაც თეიმურაზ მეფემ ევროპაში ნიკიფორე ირბახი გაგზავნა, იქ მეტად ხელსაყრელი ვითარება იყო ანტიოსმალური კოალიციის შესაქმნელად და მის მიერ გადადგმული ნაბიჯი არ იყო „ავანტიურა“ და სრულიად რეალური ჩანდა.

1626 წლის ნოემბერში ნიკიფორე ირბახი, თანმხლები პირებით, ქ. მესინაში ჩავიდა. მისი ამალა შედგებოდა ორი ბერისა და ერთი თარჯიმანისაგან. მესინაში ყოფნის დროს ნიკიფორე ირბახს შეხვდნენ იტალიელი მისიონერები, რომლებიც საქართველოში მიემგზავრებოდნენ. მესინიდან ნიკიფორე ირბახი ნეაპოლში ჩავიდა, იქიდან კი — მადრიდში. მან თითქმის წელიწადნახევარი ესპანეთში დაჰყო და მხოლოდ რვა თვე — იტალიაში. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ნიკიფორე ირბახი მეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ესპანეთის სამეფო კართან მოლაპარაკებას. მადრიდში ჩასვლისას ნიკიფორე ირბახს ხელთ ჰქონდა თეიმურაზ I-ის წერილი ესპანეთის მეფის ფილიპე IV-სადმი და იერუსალიმის პატრიარქის თეოფანეს წერილი-შუამავლობა ფილიპე IV-ის სახელზე.

საარქივო საბუთების გაცნობის შედეგად ჯ. ვათეიშვილი მსჯელობს: „თუ „ბარათში“ საქართველო-ესპანეთის ერთობლივი ძალე-

---

[11] Fayner. Le Père Joseph, p. 25. შდრ. პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII საუკუნე), შესავალი, თარგმანი, კომენტარები ბექან გიორგაძისა, თბ., 1977, გვ. 4, 5.

ბით სპარსეთის წინააღმდეგ გალაშქრების პოლიტიკურ მიზანშეწონილებასა საუბარი, სახელმწიფო საბჭოზე მსჯელობენ არა სპარსეთის, არამედ თურქეთის წინააღმდეგ ერთობლივი გალაშქრების აუცილებლობაზე"[12].

ასეთ თითქოსდა მოულოდნელ და გაუგებარ მეტამორფოზას ჯ. ვათეიშვილი სულ ადვილად ხსნის: „მიუხედავად იმისა, რომ ურთიერთობა ესპანეთ-პორტუგალიასა და სპარსეთს შორის იმხანად ჭეშმარიტად კონფლიქტური ხასიათისა იყო, ეს კონფლიქტი მაინც ეპიზოდური გახლდათ და გაცილებით ნაკლებმნიშვნელოვანი იმასთან შედარებით, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ კათოლიკურ სამყაროში „№ 1 მტერს" — სარაცინების მემკვიდრე თურქეთის წინააღმდეგ მომავალ შებრძოლებას. ცნობილია ისიც, რომ უძლიერესი კათოლიკური სახელმწიფოები რომის პაპის მეთაურობით თურქეთთან მომავალ სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინებაში სპარსეთს თავის პოტენციურ მოკავშირედ განიხილავდნენ და ცხადია, რომ ახლო აღმოსავლეთში თავის ამ გლობალურ პოლიტიკას საქართველოს პოლიტიკურ ინტერესებს ვერ დაუქვემდებარებდნენ"[13].

ამის შემდეგ ჯ. ვათეიშვილს გამოაქვს დასკვნა, თითქოს და ასეთ ვითარებაში ქართველ ელჩს არაფერი რჩებოდა გარდა იმისა, რომ „დაჰყოლოდა დასავლური ქრისტიანული სამყაროს „ძლიერთა" პოლიტიკურ ფერხულს და მხარი აება მომავალი ერთობლივი გალაშქრების გეგმისათვის თურქეთის წინააღმდეგ. რომელიც საქართველოსათვის იმ კონკრეტულ ვითარებაში, სპარსეთთან შედარებით, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნაკლებ ბოროტებას წარმოადგენდა"[14].

ჩვენი აზრით, თეიმურაზი კი არ აჰყვა ევროპის „ძლიერთა" ფერხულს, არამედ პირიქით, თავის მხრივ, თვითონ შესთავაზა ანტიოსმალური გეგმა ესპანეთის მეფეს ფილიპე IV-ს. თეიმურაზს არც სურდა და არც შეეძლო ამ ორი უძლიერესი სახელმწიფოს წინააღმდეგ ორი კოალიციის თუნდაც შექმნის ცდა. ეს იქნებოდა სწორედ რომ არაშორსმჭვრეტელი პოლიტიკური ნაბიჯი. ამის მაგივრად თეიმურაზმა, შექმნილი სიტუაციის ღრმა ანალიზისა და საქართველოს ინტერესების გათვალისწინებით, გაგზავნა ნიკიფორე ირბახი ევროპაში.

ჯ. ვათეიშვილი წერს: „თუმცა ვერც იმის შესაძლებლობას გამოვრიცხავთ, რომ თურქეთზე ესპანეთთან ერთობლივი თავდასხმის გეგ-

---

12 ჯ. ვათეიშვილი, დასახელებული ნაშრ. „კომუნისტი", 1983, 3/VIII, № 176.

13 იქვე.

14 იქვე.

მა (სათადარიგო დანიშნულებისა იმ შემთხვევისათვის, თუ სპარსეთის წინააღმდეგ გამიზნული ასეთივე გეგმა მიუღებელი აღმოჩნდებოდა. ესპანეთის ხელისუფალთათვის) საქართველოშივე დროულად გაითვალისწინეს და ესპანეთის სახელმწიფო საბჭოში მისი განხილვა ქართველი ელჩის მიერ იყო შეთავაზებული"[15].

ი. ტაბაღუა თვლის, რომ თეიმურაზის ანტიირანული გეგმა ესპანეთში თვითნებურად იქნა შეცვლილი. იგი სვამს კითხვას: „ვინ შესცვლა სპარსეთის წინააღმდეგ ლაშქრობის თეიმურაზისეული გეგმა — ნიკიფორე ირბახმა დამოუკიდებლად, თუ მიიღო რაიმე მითითება თეიმურაზ მეფისაგან"[16]. იგი ასე მსჯელობს: „ასეთი მითითება ნიკიფორეს რომ მიეღო, საბუთებში სადმე აღმოჩნდებოდა; ან იქნებ ჰადრიდში სამეფო კარის მრჩეველებმა ურჩიეს საქართველოს მეფის ელჩს სპარსეთი თურქეთით შეეცვალა"[17].

ამრიგად, ი. ტაბაღუა ფიქრობს, რომ ნიკიფორე ირბახმა ესპანეთის სამეფო კარის რჩევით ანტიირანული გეგმა — ანტიოსმალურით შეცვალა. ამ დებულებიდან გამომდინარე ი. ტაბაღუა თვლის, რომ თეიმურაზ მეფის მიერ ფილიპე IV-ისადმი გაგზავნილ ქართულად დაწერილი წერილის ესპანურ „თარგმანში" იმდენი ცვლილებებია შეტანილი, რომ იგი თარგმანი კი არაა, არამედ სრულიად ახალი წერილია და შედგენილია ესპანეთის სამეფოს კარის ინტერესების შესაბამისად[18].

ძნელი დასაშვებია, რომ ნიკიფორე ირბახმა ნება დართო არსებითად შეეცვალათ თარგმანის დროს წერილის შინაარსი. მთავარი „დანაშაული" იმაში მდგომარეობს, რომ „თეიმურაზის მიერ ესპანეთის მეფის სახელზე გაგზავნილ წერილში არსად არაა მოხსენებული თურქეთი. არამედ ლაპარაკია მხოლოდ სპარსეთის წინააღმდეგ ომზე, ხოლო ესპანეთში შედგენილ ყველა საბუთში, რომელიც ნიკიფორე ირბახის მისიას შეეხება, ყველგან ლაპარაკია თურქეთის წინააღმდეგ ლაშქრობაზე"[19].

პატივცემული მეცნიერი სვამს კითხვას. როგორ შეიძლება ავხსნათ ეს? საქართველოს პირველი მტერი იმ დროს იყო სპარსეთი და ქართველი მესვეურები თურქეთში დახმარებასაც კი ეძებდნენ სპარსეთის წინააღმდეგ[20].

ჩვენ ვერ დავეთანხმებით მკვლევარს ამ საკითხში. ამ დროს, რო-

---

15 ი. ტაბაღუა, ნიკიფორე ირბახის ელჩობა ევროპაში..., გვ. 150.
16 იქვე.
17 იქვე.
18 იქვე.
19 იქვე.
20 იქვე.

გორც ზემოთ ვთქვით, საქართველოსათვის ყველაზე საშიში მტერი ოსმალეთი იყო და არა ირანი.

ჩვენი აზრით, თეიმურაზის მიერ ესპანეთის მეფისადმი გაგზავნილ ქართულად დაწერილ წერილში თუ სხვა წერილებსა და საბუთებში თურქეთის ნაცვლად სპარსეთის მითითება უსაფრთხოების მიზნით იყო გაკეთებული. ეს წერილები ხომ თურქეთის ტერიტორიაზე გავლით უნდა ჩაეტანათ ევროპაში. ცხადია, ისინი რომ თურქებს ჩავარდნოდათ, ელჩებს კარგი დღე არ დაადგებოდათ. ნიკიფორე ირბახის ელჩობა ევროპაში საიდუმლო იყო. ესპანეთის მეფეს ფილიპე IV-ს აცნობებდნენ, რომ „წმ. ბასილის ორდენის ქართველი ბერი ამბობს, რომ იგი წარმოგზავნილია საიდუმლო ელჩობით იბერიის მეფისაგან". ელჩს „სიტყვიერად უნდა მოეხსენებინა"[21] თავისი მეფის ჩანაფიქრი... ჯ. ვათეიშვილი სრულიად სამართლიანად წერს, რომ „ნიკიფორე ირბახის მოთავეობით განხორციელებულ ქართულ ელჩობას ესპანეთში ზედმიწევნით საიდუმლო ხასიათი ჰქონდა"[22].

სულთნის მთავრობას თავისი ჯაშუშები ჰყავდა არა მარტო საკუთრივ ოსმალეთში, არამედ სხვა ქვეყნებშიც, იტალიაში, ესპანეთში და სხვაგან. ამიტომ ნიკიფორე ირბახს თავისი მისიის მიზანი უნდა ეცნობებინა მხოლოდ ესპანეთის სახელმწიფო საბჭოს წევრებისა და მეფისათვის.

ჯ. ვათეიშვილისა და ი. ტაბაღუას მიერ ესპანეთში, სემანკას არქივში გამოელენილი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე საშუალება გვეძლევა გავარკვიოთ თეიმურაზ მეფის მიერ ესპანეთის მეფისათვის შეთავაზებული ანტიოსმარული კოალიციის პროექტი.

თეიმურაზ მეფე, უპირველესად ყოვლისა, ფილიპე IV-ს აცნობებდა, რომ ოსმალეთის სახელმწიფო მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, რომ ოსმალები სუნიტები არიან და მათში სუსტია რელიგიური რწმენა. მათ რიგებში სუფევს სასტიკი ურთიერთბრძოლა. სულთანს ამჟამად არ გააჩნია წინააღმდეგობის გასაწევად და თავდასასხმელად საჭირო ძალა და ძლიერება. იგი არნახულ შეიწროებულ და დიდად შეშფოთებულ მდგომარეობაშია. ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლის შემთხვევაში ჩვენ შემოგვიერთდებიან ოსმალთა ბატონობის ქვეშ მყოფი ხალხები როგორც ქრისტიანები, ისე კერპთაყვანისმცემლები, რომელთაც სურთ დაინახონ რომელიმე ქრისტიანი მეფის დროშა[23].

---

[21] ჯ. ვათეიშვილი, დასახ. ნაშრომი, კომუნისტი, 1983, 3/VIII, № 171.

[22] იქვე.

[23] ჯ. ვათეიშვილი, დასახ. ნაშრომი, 1983, 3. 8; ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 154.

თეიმურაზ მეფე, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში (1625 წლის აპრილამდე) ოსმალეთში (გონიოში) ცხოვრობდა და კონსტანტინოპოლშიც კი ჩაიდა, კარგად იცნობდა იმდროინდელ ოსმალეთის მდგომარეობას. ბევრი რამ, რაც თეიმურაზს მოაქვს ოსმალეთის პოლიტიკური მდგომარეობის დასახასიათებლად, საკუთარი დაკვირვების შედეგი უნდა იყოს. შემდეგ თეიმურაზი გამოთქვამს სურვილს, რომ თუ ყველა ქრისტიანი მმართველი გაერთიანდება, შეიძლება ადვილად მოვუღოთ ბოლო ამ უზურპატორს, მთლიანად გავანადგუროთ იგი და გავათავისუფლოთ ქრისტიანები ასეთი ძლიერი და საშიში მტრისაგან. ეს ლაშქრობა ტარდება არა პირადი ინტერესებისათვის, არა იბერიელთა კეთილდღეობისათვის, არამედ მხოლოდ ჩვენი უფალი ღმერთის სამსახურისა და ქრისტიანობის აყვავებისათვის[24].

თეიმურაზი სთავაზობდა ფილიპე IV-ს სათავეში ჩადგომოდა ანტიოსმალურ კოალიციას: „თქვენი უდიდებულესობა (და არც ერთი სხვა მონარქი) უნდა ჩაუდგეს სათავეში ჩვენს საერთო საქმეს იმიტომ, რომ თქვენ ხართ წმინდა სარწმუნოების დასაყრდენი და მთელი ქრისტიანობის დამცველი. თურქეთთან იბერიის სახელმწიფოს მეზობლობის გამო აუცილებელია გამარჯვება და თურქების განდევნა კონსტანტინოპოლიდან, რომლის შემდეგ ძნელი არ იქნება გამარჯვება თურქეთზე, აფრიკასა და ბერბერიაში“[25].

ოსმალეთის დამარცხების შემთხვევაში, როგორც ვხედავთ, ესპანეთის ხელთ უნდა გადასულიყო კონსტანტინოპოლი და ჩრდილოეთ აფრიკის სანაპირო.

ფილიპე IV-ის უფრო მეტად დაინტერესების მიზნით თეიმურაზი პირდებოდა ბიზანტიის იმპერატორის გვირგვინს: „ვამბობ და ვპირდები თქვენს უდიდებულესობას, განვახორციელებთ რა ჩვენს ჩანაფიქრს, ყველა ცოდნასა და ძალას მოვახმართ იმას, რათა თქვენმა უდიდებულესობამ დაიკავოს იმპერატორის ტახტი კონსტანტინოპოლში“[26].

დაბოლოს თეიმურაზ მეფე სთავაზობდა ესპანეთის მეფეს „თავის იარაღს, თავის კავალერიას ასი ათასი კაცის რაოდენობით, რომლებიც მზად არიან მონაწილეობა მიიღონ ამ წმინდა და ღირსეულ საქმეში“[27].

ნიკიფორე ირბახი აცნობებდა ესპანეთის მეფეს, რომ კავშირი

---

24 ჯ. ვათეიშვილი, დასახ. ნაშრომი, 1983, 3. 8; ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 154.

25 ი. ტაბაღუა. დასახ. ნაშრომი, გვ. 175, 176.

26 იქვე, გვ. 153.

27 იქვე, გვ. 151.

აქვს სულთნის წინააღმდეგ აჯანყებულ აბაზა ფაშასთან. იგი წარმოშობით ქართველია იბერიიდან და დიდი მეგობარია თეიმურაზ მეფისა და ქრისტიანებისა, ამიტომ მის ლაშქარში, რომელიც 80 ათას ითვლის, ქრისტიანებიც არიან. აბაზა ფაშა სთხოვდა თეიმურაზს და ყოველნაირად ცდილობდა მის დაყოლიებას კონსტანტინოპოლის ერთობლივი ძალებით დალაშქვრაზე. მაგრამ მეფე თავს იკავებდა, თუმცა მათ ბევრჯერ გაუერთიანებიათ თავისი ჯარები და არაერთგზის დაუმარცხებიათ თურქები და სპარსელები, დაუპყრიათ ბევრი ქალაქი ამ უკანასკნელთა მიწა-წყალზე, ამიტომ ახლა, როდესაც იბერიის მეფე აპირებს ლაშქრობის მოწყობას, აბაზა ფაშა მზადაა შეასრულოს ბრძანება და გაჰყვეს მას, სადაც კი მეფე მოისურვებს[28].

აბაზა ფაშა მეტად საინტერესო პიროვნება იყო. სულთან ოსმან II-ის (1618—1622) დროს იგი არზრუმის ბეგლარბეგი იყო. იგი გლეხების მიმართ ზომიერი პოლიტიკის გატარების მომხრე იყო, რათა ხელი შეეშალათ ჯელალიების ხელახალი აჯანყების დაწყებისათვის. იგი მკაცრ ზომებს იღებდა იანიჩართა თავგასულობის წინააღმდეგ. იანიჩართა მიერ ოსმან II-ის ტახტიდან ჩამოგდებისა და მოკვლის შემდეგ, აბაზა ფაშა აუჯანყდა სულთან მუსტაფა I-ს (1622—1623) და მურად IV (1623—1640). ეს აჯანყება გრძელდებოდა 1628 წლამდე. აბაზა ფაშამ ისარგებლა რა იმით, რომ ამ დროს ოსმალეთის მთავარი ძალები დაკავებული იყო ირანთან ომით, გაანადგურა არზრუმში განლაგებული იანიჩარები, შეკრიბა 30—40 ათასიანი არმია და აიღო სივასი, კარაჰისარი, ანკარა და ბურსა. აჯანყებამ მოიცვა აღმოსავლეთ და ცენტრალური ანატოლიის დიდი ნაწილი. სულთანმა აბაზა ფაშას წინააღმდეგ ჯარები გაგზავნა და შესძლო ნაწილობრივ ძველი მდგომარეობის აღდგენა, მაგრამ 1626 წლისათვის აბაზა ფაშა ინარჩუნებდა არზრუმის საბეგლარბეგოს. აბაზა ფაშამ კავშირი დაამყარა ირანის შაჰთან და ხელი შეუწყო ირანელების მიერ ახალციხის აღებას. შაჰ-აბასმა მას ძვირფასი საჩუქრები გაუგზავნა და შესთავაზა მის მხარეზე გადასულიყო. სულთანმა მურად IV-მ აბაზა ფაშას შეუთვალა, რომ კონსტანტინოპოლში ჩასულიყო და ძველებურად მის სამსახურში ჩამდგარიყო. პასუხად ფაშამ მიუგო, რომ მან აბაზა ფაშას დიდი ვეზირობაც რომ უწყალობოს, კონსტანტინოპოლში მაინც არ წავა (დაწვრილებით იხ. გვ. 235—241).

როგორც ჩანს, თეიმურაზ მეფემ გადაწყვიტა გამოეყენებინა აბაზა ფაშა ოსმალეთის სულთნის წინააღმდეგ საბრძოლველად. საფიქრე-

---

[28] ჯ. ვათეიშეილი, დასახ. ნაშრომი; ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 176.

ბელია, რომ თეიმურაზ მეფე აბაზა ფაშას დაუახლოვდა ოსმალეთში ყოფნის დროს.

ნიკიფორე ირბახის ცნობით, აბაზა ფაშას ხელთ იყო 80 ათასიანი ჯარი და იგი მზად იყო შეესრულებინა თეიმურაზ მეფის ყოველგვარი ბრძანება და გაჰყოლოდა მას იქ, სადაც კი იბერიის მეფე მოისურვებდა[29].

ამ დროს აბაზა ფაშა ომალეთისათვის საკმაოდ მრისხანე ძალას წარმოადგენდა და მისი მიმხრობა სულთნის წინააღმდეგ საბრძოლველად მნიშვნელოვნად გააძლიერებდა ანტიოსმალური კოალიციის ძალებს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის, რომ თეიმურაზ მეფის გეგმით ანტიოსმალურ კოალიციაში უნდა ჩაებათ ირანიც, რაც იმის მანიშნებელია, რომ ნიკიფორე ირბახს არ ჰქონდა დავალებული ირანის წინააღმდეგ კოალიციის ორგანიზაცია. მართალია, თეიმურაზ მეფე არ იყო დარწმუნებული, რომ ირანელები ხალისით ჩაებმებოდნენ ამ კოალიციაში, მაგრამ იმედოვნებდა, რომ ოსმალეთთან ომში შესაძლო წარმატების შემთხვევაში ირანიც შეეცდება წაართვას ოსმალეთს ის ქვეყნები, რომელთა ხელში ჩაგდებას დიდი ხანია ოცნებობდა. ნიკიფორე ირბახი ესპანეთის სამეფო კარს აცნობებდა: „იბერიის მეფე ფიქრობს მოელაპარაკოს სპარსელებს, რომლებიც ყოველგვარი ეჭვის გარეშე დაინახავენ რა, რომ იბერიის მეფე უტევს მტერს, შეეცდებიან წაართვან თურქებს, რომელთაც ისინი ეომებიან, ის პროვინციები, რომლებიც მათ უფრო აინტერესებთ, ვიდრე ისინი, რომელთა დაპყრობა იბერიის მეფეს აქვს განსაზღვრული: სპარსელებს დიდი ხანია თვალი უჭირავთ ისეთ ადგილებზე, როგორიცაა სირია, ალეპო და დამასკო“[30].

თეიმურაზ მეფის გეგმით ირანს უნდა გადასცემოდა ის ქვეყნები, რომელზედაც გადიოდა საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო გზა, ევროპასთან ირანის დამაკავშირებელი. ამ ქვეყნების ხელში ჩაგდებას ირანი დიდი ხანია ოცნებობდა. ამით თეიმურაზ მეფეს სურდა ირანის ყურადღება ჩამოეშორებინა საქართველოს იმ ტერიტორიებისაგან, რომლებიც ოსმალთ ეპყრათ და რომელთა განთავისუფლებასაც, თეიმურაზ მეფე აპირებდა. მან იმედი ჰქონდა, რომ ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში მათ დახმარებას აღმოუჩენდნენ პოლონეთის მეფე და კაზაკები.

1624 წელს პოლონეთის მთავრობა კვლავ დაინტერესდა კავკასიით. იმ დროს ყირიმში დაიწყო აშკარა ომი მეჰმედ II ხანსა და

---

[29] ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., გვ. 175; ჯ. ვათეიშვილი, დასახ. ნაშრ.
[30] ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., გვ. 167.

ოსმალეთის მთავრობას შორის. ოსმალეთის მიზანს შეადგენდა მეჰმედის ჩამოგდება ტახტიდან და მის ადგილას ჯანიბეგ გირეის დასმა. არაოფიციალურად მეჰმედს მხარს უჭერდნენ პოლონეთი და ირანი.

ყირიმში ჩამოსული ზაპოროჟიელი კაზაკების მეშვეობით მეჰმედმა შესძლო ოსმალთა საექსპედიციო კორპუსის დამარცხება. ამის შემდეგ მეჰმედ ხანის ძმამ შაჰინ გირეიმ დაიწყო ანტიოსმალური კოალიციის ჩამოყალიბება, რომელშიც უნდა შესულიყვნენ პოლონეთი, ირანი და კავკასიის ზოგიერთი ქვეყანა. ამ მიზნით, თითქოს, ყირიმში პოლონელი გეტმანის წარგზავნილები აწარმოებდნენ მოლაპარაკებას საქართველოს მეფის ელჩთან, რომელიც პირდებოდა დიდი რაოდენობით ჯარის გამოყვანას[31].

იგივე ქართველი მეფე აწარმოებდა მიმოწერას, შაჰინ გირეის მეშვეობით, გაელენიან პოლონელ მაგნატთან თავად კ'ოშტოფ ზბარაკისთან, რომელიც ოსმალეთის აქტიური მოწინააღმდეგე იყო[32]. ქართველ მეფეში აქ თეიმურაზ მეფე უნდა იგულისხმებოდეს. ცნობილია, რომ თეიმურაზ მეფემ ჯერ კიდევ 1618 წელს, ოსმალეთში ყოფნის დროს, ყირიმში გაგზავნა იგუმენი ხარიტონი, დახმარების აღმოჩენის მიზნით[33]. როგორც ჩანს, თეიმურაზ მეფეს შემდგომშიაც არ შეუწყვეტია ურთიერთობა ყირიმთან.

ამ დროს შავ ზღვაზე გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვეს დონისა და უკრაინის კაზაკებმა. ისინი თავიანთი გემებით გამუდმებით თავს ესხმოდნენ ოსმალეთის სანაპიროს და საფრთხე შეუქმნეს ოსმალეთის დედაქალაქსაც კი. კონსტანტინოპოლში იმდენად შეშინებული იყვნენ, რომ სულთანმა ბრძანება გასცა, კაზაკებისაგან თავდაცვის მიზნით, ბოსფორის სრუტეში რკინის ჯაჭვი გაებათ. ერთ-ერთი ასეთი თავდასხმა კაზაკებმა მოაწყეს 1625 წელს. ამის შესახებ რუსული წყაროები გვაცნობებენ: „გასულ (1625) წელს მარტის თვეში შავი ზღვით ცარგოროდიდან (კონსტანტინოპოლიდან) ნახევარი დღის სავალზე 300 ნავით ძალზე ბევრი ზაპოროჟიელი, ჩერქეზი და დონელი კაზაკი მოვიდა, რომელთაც აიღეს და დასწვეს სამი თურქული სოფელი: ბოქუ, იენჩიკოი და ფანარი. ამის შემდეგ მოვიდნენ და აიღეს თურქეთის ქალაქები: ტრაპიზონი, სინოპი და უნია“[34].

---

[31] Б. Барановский, Кавказ и Польша в XVII в., Россия, Польша и Причерноморье в XV—XVIII вв., М., 1985, с. 249, 250.

[32] იქვე.

[33] М Полиевктов, Материалы по истории русско-грузинских взаимоотношений 1615—1640 гг., с. 41.

[34] თ. ტოვაძე, მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლების 350 წლისათვის გამო (რუსული საარქივო მასალების მიხედვით), მაცნე, ისტ. სერია, 1975, № 3, გვ. 176, 180.

თეიმურაზ მეფეს, რომელიც ამ დროს (1625 წ. აპრილამდე) გონიოში ცხოვრობდა, არ შეიძლება არ გაეგო ამ თავდასხმის შესახებ. ცნობილია, ქართველებს გარკვეული კონტაქტები ჰქონდათ კაზაკებთან და, საფიქრებელია, რომ თეიმურაზ მეფემ სცადა მათთან ურთიერთობის დამყარება. საგულისხმოა ისიც, რომ თეიმურაზ მეფემ სწორედ ტრაპიზონი აირჩია ოსმალეთის წინააღმდეგ იერიშის მისატანად.

თეიმურაზ მეფის ავტორიტეტისა და წონის ამაღლების მიზნით ნიკიფორე ირბახმა ესპანეთის სამეფო კარს შემდეგი აცნობა: „თურქეთის სულთანმა დაინახა რა ქართველთა მეფის შთამბეჭდავი ძალები, მას ელჩობა გაუგზავნა და მეგობრობა შესთავაზა. ამასთანავე დაპირდა დაუბრუნოს მას ყველა ადრე დაპყრობილი პროვინციები და ასევე აჩუქოს ქალაქი კესარიაც კაპადოკიაში“[35].

ცხადია, ოსმალეთი თეიმურაზის სასარგებლოდ არავითარ ტერიტორიალურ დათმობას არ აპირებდა, არამედ, პირიქით, ახალ დაპყრობებს გეგმავდა. ეს ნიკიფორე ირბახის დიპლომატიური სვლა იყო.

როგორი იყო თეიმურაზ მეფის მიერ ოსმალეთის წინააღმდეგ შემუშავებული საომარი ოპერაციების მოქმედების გეგმა?

თუ ირბახი დროზე დაბრუნდებოდა საქართველოში და ჩაიტანდა „მისი უდიდებულესობის (ესპანეთის მეფის) გადაწყვეტილებასა და ბრძანებას, ლაშქრობა მომავალი 1628 წლის გაზაფხულზე დაიწყება, თუ არა — შემოდგომისათვის გადაიდება... იგი ფიქრობს, რომ 1627 წელს შემოდგომაზე დაიწყოს ტრაპიზონიდან ჩასვლა და შემდეგ იქიდან, კაპადოკიასა და ბითინიაზე გავლით ჩააღწიოს ამ პროვინციის მთავარ ქალაქს პრუსს (ბურსა), რომელიც სამი დღის სავალზეა კონსტანტინოპოლიდან. ეს ქალაქი იბერიელებს განზრახული აქვთ ჯარის თავშესაყარ ადგილად გამოიყენონ, სადაც დაიზამთრებენ კიდევაც მისი უდიდებულესობის ფლოტისა და სამხედრო დახმარების მოლოდინში. ამასთან ერთად შესაძლებელი იქნება ამ ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად კაზაკები და პოლონეთის მეფის სხვა ქვეშევრდომებიც დაიყოლიონ, რომლებიც დანიშნულ ადგილას თავისი ბრტყელძირიანი ნავებით მოვლენ, მოკავშირეებს დაეხმარებიან ჯარისკაცთა პროპონტიდის მარჯვენა ნაპირზე გადაყვანაში. ეჭვს გარეშეა, რომ გზაში მოლაშქრეთ შეუერთდება დიდი რაოდენობა ხალხისა, როგორც ქრისტიანები, ისევე სხვა რჯულის მცხოვრებნი, რომელთაც სურვილი აქვთ ქრისტიან მეფეთა დროშის ქვეშ საომრად თავშეყრისა:

---

[35] ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 176.

ღვთის მადლითა და მისი უდიდებულესობის დახმარებით ლაშქრობას სრული წარმატება უნდა ჰქონდეს“[36].

პოლოს, იბერიის მეფე მზად იყო მიეღო ესპანეთის მეფის ყოველგვარი რჩევა და მითითება და მისი რჩევის გარეშე ამ ფრინველა ლაშქრობასთან დაკავშირებით არაფერს მოიმოქმედებდა“[37].

თეიმურაზ მეფის მიერ ოსმალეთის წინააღმდეგ შემუშავებული საომარი მოქმედების გეგმა იმ დროს შექმნილი პოლიტიკური ვითარების შესაბამისად იყო შედგენილი. ოსმალეთის წინააღმდეგ შეტევის დაწყება სამცხე-საათაბაგოს მიმართულებიდან, როგორც ეს კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ ანტიოსმალური კოალიციის დროს იყო შემუშავებული, არამიზანშეწონილი ჩანდა, რადგან სამცხის ათაბაგი ბექა ჯაყელი — გამაჰმადიანებული საფარ ფაშა — ოსმალეთს უჭერდა მხარს, ამიტომ თეიმურაზმა გადაწყვიტა ოსმალეთის წინააღმდეგ შეტევა ტრაპიზონიდან დაეწყო. მას იმედი ჰქონდა, რომ ტრაპიზონზე დესანტების გადასხმისას, დახმარებას აღმოუჩენდნენ კაზაკები, რომლებიც ამ დროს შავ ზღვაზე იყვნენ გაბატონებული, შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრები ქრისტიანები კი აჯანყებას დაიწყებდნენ ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ. იგი აგრეთვე ფიქრობდა, რომ მას აბაზა ფაშაც მიემხრობოდა და ადვილად შესძლებდა ოსმალთა დამარცხებას და ქვეყნის სიღრმეში, ანატოლიაში შეჭრას. დასავლეთიდან, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროდან, მას დახმარებას აღმოუჩენდა ესპანეთის ფლოტი და აქედან შეუტევდნენ ოსმალეთის დედაქალაქს.

როგორც ვხედავთ, ოსმალეთის წინააღმდეგ შეტევის მთელ სიმძიმეს თეიმურაზ მეფე თავის თავზე იღებდა, ხოლო ესპანეთი დამხმარის როლში გამოდიოდა.

ამ ანტიოსმალური გეგმის შედგენა 1627 წლის ივლისიდან 1623 წლის იანვრის ბოლომდე მიმდინარეობდა ესპანეთის სახელმწიფო საბჭოს სხდომებზე[38]. ერთ-ერთი თათბირი ფილიპე IV-ის მითითებით ჩატარდა დონ ავგუსტინო მესიას ბინაზეც, სადაც განიხილეს საქართველოს მეფის წინადადებები და საჭიროდ სცნეს სახელმწიფო საბჭოზე მოეწვიათ ნიკიფორე ირბახი. თათბირის შედეგები მეფეს მოახსენეს და გადასცეს თეიმურაზის წერილის თარგმანი, რომელსაც თან ერთვოდა საქართველოს რუკა[39]. 29 ივლისს სახელმწიფო საბჭოს

---

[36] ჯ. ვათეიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 3; ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 176.

[37] იქვე.

[38] ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., გვ. 159.

[39] იქვე.

სხდომას თვითონ ფილიპე IV დაესწრო, რომელზედაც საქართველოს საკითხს იხილავდნენ, კერძოდ, ლაპარაკი იყო ოსმალეთის წინააღმდეგ ლაშქრობაზე და მასში საქართველოსა და ესპანეთის მონაწილეობაზე. ამ საბჭოზე საქართველოს საკითხის განხილვა დიდხანს გაგრძელდა და დიღი კამათი გამოიწვია. კამათში მონაწილეობა მიიღო 12 კაცმა[40].

დონ ავგუსტინო მესიამ მართებულად ჩათვალა თეიმურაზ მეფის პროექტი, მაგრამ განაცხადა, რომ ვიდრე ესპანეთის მეფე გადაწყვეტილებას მიიღებდა ამ გეგმის განსახორციელებლად, აუცილებელი იყო სამი პიროვნების გაგზავნა საქართველოში იბერიის მეფესთან, რათა მიეღო პასუხი იმ კითხვაზე, რომელიც აუცილებელი იყო სცოდნოდა ესპანეთის მეფეს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე[41].

საბჭოს სამმა წევრმა კარდინალმა საპატამ, მარკიზ დე მონტესკარლოსმა და გრაფმა დე სან ლუარმა ეჭვი შეიტანეს ნიკიფორე ირბახის ელჩობის კომპეტენტურობაში. მათ წინადადება შეიტანეს ამ ელჩობის შესახებ მასალა გაეგზავნათ რომში ესპანეთის ელჩთან და ნეაპოლში ნეაპოლის ვიცე-მეფე ჰერცოგ ალბასთან, რათა ისინი საქმის კურსში ყოფილიყვნენ და ემსჯელათ, რამდენად რეალური იყო ამ საქმის განხორციელება[42].

გრაფ დე სან ლუარის მოსაზრებით, ოსმალეთის წინააღმდეგ ერთობლივი ლაშქრობა მოითხოვდა დამატებით შესწავლას. მისი აზრით, ამ ლაშქრობაში კაზაკებიც მიიღებდნენ მონაწილეობას. ისინი წამოვიდოდნენ შავი ზღვით. ესპანეთის გალერები და იტალიის კათოლიკე მთავრების ძალები არქიპელაგზე გავლით, კაზაკებთან, პოლონელებთან, იბერიის მეფესთან შეთანხმებით იმოქმედებდნენ[43].

მარკიზი დელა ინოხესი მომხრე იყო თურქეთთან ომისა, რადგანაც ეს გარემოება შეუმსუბუქებდა მდგომარეობას გერმანიის იმპერატორს, რომელიც ამ დროს თურქეთთან საომარ მდგომარეობაში იყო. ეს ამბავი უნდა ეცნობებინათ რომის პაპისათვის, რომელიც ამით დიდად დაინტერესდებოდა. საქმის კურსში უნდა ჩაეყენებინათ, — აგრეთვე ჰერცოგი ალბა, ესპანეთის ვიცე-მეფე ნეაპოლში[44].

გრაფი დე მონტერეი ლაპარაკობდა თურქეთის შინაგან დაშლილობასა და სიძნელეებზე, რაც ოსმალეთის მოწინააღმდეგეებისათვის

---

[40] ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრ. გვ. 159.
[41] იქვე, გვ. 160.
[42] იქვე.
[43] იქვე, გვ. 161.
[44] იქვე, გვ. 162.

ხელისშემწყობი ფაქტორი იქნებოდა. მაგრამ იმასაც აღნიშნავდა, რომ ომის შემთხვევაში შეიძლება ყველა მუსლიმური ძალა გაერთიანებულიყო. ამასთანავე, მისი აზრით, მთავარია რომის ეკლესიისადმი იბერიის მეფის დამოკიდებულება და ელჩს უნდა აგრძნობინონ, რომ მისი უდიდებულესობა ესპანეთის მეფე ყველაზე მაღლა აყენებს სარწმუნოების საკითხს[45].

დონ ხუან დე ვილეიელამ მაღალი შეფასება მისცა იბერიის მეფის გადაწყვეტილებას, გამოიყენოს თავისი იარაღი და ძლიერება თურქეთის წინააღმდეგ მისი განდევნისათვის არა მარტო აზიიდან, არამედ ევროპიდანაც. მისი აზრით, იბერიის ელჩს უნდა უთხრან, რომ ესპანეთის მეფესაც აქვს ასეთი სურვილები, მაგრამ ელოდება უფრო ხელსაყრელ მომენტს და იგი მხედველობაში იღებს იბერიის მეფის ცნობას.

ყველა გადაწყვეტილება უნდა განხორციელდეს რაც შეიძლება მალე, რათა გავანადგუროთ თურქები უფრო ადრე, ვიდრე ისინი გონს მოვიდოდნენ და თავდაცვისათვის მომზადებას მოასწრებდნენ[46].

ბოლოს სიტყვა წარმოსთქვა გრაფმა დე ჩინჩონმა. მან მოითხოვა საკითხის დეტალურად შესწავლა, საქართველოს ელჩთან საუბარი, დამატებითი მასალების მიღება ნეაპოლიდან და სიცილიიდან[47].

1627 წ. 20 სექტემბერს სახელმწიფო საბჭომ კვლავ განიხილა საქართველოსთან ურთიერთობის საკითხი. საბჭომ საჭიროდ სცნო იბერიის მეფის ელჩთან ერთად საქართველოში გაეგზავნა საგანგებოდ შერჩეული პიროვნება, რომელიც ადგილზე გაეცნობოდა საქმეების ვითარებას, საქართველოს სამხედრო ძლიერების მდგომარეობას და შეისწავლიდა ყველა იმ საკითხს, რომელსაც მნიშვნელობა ჰქონდა ანტითურქული ლაშქრობისათვის[48]. ყოველივე ეს უნდა გაკეთებულიყო მეტად საიდუმლოდ. კერძოდ, რაც შეეხებოდა ნეაპოლსა და სიცილიას, მათი ვიცე-მეფის საქმის კურსში ჩაყენებას, აქ დიდი სიფრთხილე უნდა დაეცვათ, ვინაიდან ორივე ადგილას თურქეთის ჯაშუშები იყრიდნენ თავს[49].

საბჭომ განიხილა ასევე საკითხი თეიმურაზ მეფისადმი ესპანეთის მეფის საპასუხო წერილის გაგზავნის თაობაზე. ფილიპეს წერილში აღნიშნული უნდა ყოფილიყო საქართველოსა და ესპანეთს შორის მეგობრული ურთიერთობის გაღრმავების საკითხი[50].

---

[45] ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., გვ. 163, 164.
[46] იქვე.
[47] იქვე, გვ. 164.
[48] იქვე, გვ. 165.
[49] იქვე.
[50] იქვე, გვ. 166.

1627 წლის 1 ოქტომბერს სახელმწიფო საბჭომ კვლავ განიხილა საქართველოს მეფის წინადადებები. მოიწონა დონ ხუან ვინსენსიოს კანდიდატურა საქართველოში გასაგზავნად. საბჭომ ამის შესახებ მოახსენა მეფეს და აცნობა, რომ მხარს უჭერს იბერიის მეფის თხოვნის დაკმაყოფილებას[51].

22 ოქტომბერს სახელმწიფო საბჭომ რეკომენდაცია მისცა დონ ხუან დე ვინსენსიო და სან ფელიჩეს საქართველოში გასაგზავნი ელჩობის შეთაურად დანიშვნის შესახებ. იმავე დღეს ფილიპე IV ესაუბრა დონ ხუან დე ვინსენსიოს და ნიკიფორე ირბახს[52].

11 ნოემბერს სახელმწიფო საბჭომ განიხილა ნიკიფორე ირბახის საქართველოში დაბრუნებისა და მისთვის საჩუქრის ბოძების საკითხი[53]. ამ საკითხს საბჭო კვლავ მიუბრუნდა 1628 წლის 4 იანვარს. ამავე დროს საბჭომ გადაწყვიტა შეატყობინოს იბერიის ელჩს, რომ მეფე უპასუხებს თეიმურაზის წერილზე მადლობითა და კეთილსურვილებით, ამასთანავე, მეფე გაგზავნის თავის წარმომადგენელს საქართველოში და რომ ეს მოგზაურობა განხორციელდება მოსკოვის გზით. საბჭომ ასევე ურჩია მეფეს წერილები მისწეროს ნეაპოლისა და სიცილიის ვიცე-მეფეს და ესპანეთის ელჩს რომში, რათა ისინი გარკვეულნი ყოფილიყვნენ ამ საქმეში[54].

ამასთან ერთად მადრიდში ფილიპე IV-ის ხელმოსაწერად შედგა ორი წერილის პროექტები: ერთი — თეიმურაზ მეფისადმი, ხოლო მეორე — სპარსეთის შაჰისადმი. თეიმურაზისათვის გასაგზავნი წერილის პროექტში ნათქვამია, რომ მეფე გაეცნო მის წერილს და გარდა ამისა, ელჩი ნიკიფორე ირბახი სიტყვიერად ელაპარაკა მას თეიმურაზის განზრახვაზე. იწონებს რა მის სურვილებს, ღებულობს მის წინადადებას ესპანეთსა და საქართველოს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარების შესახებ[55].

სპარსეთის შაჰისათვის გასაგზავნი წერილის პროექტში ნათქვამია „იბერიის მეფე ჩემი ახლო და ძვირფასი მეგობარია“[56]...

10 იანვარს ნიკიფორე ირბახმა წერილით მიმართა ესპანეთის სახელმწიფო საბჭოს, სადაც გამოთქვა კმაყოფილება მის ელჩობასთან დაკავშირებით. ამასთანავე, ითხოვდა, რაც შეიძლება მალე რომში

---

[51] ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., გვ. 177.
[52] იქვე, გვ. 177.
[53] იქვე, გვ. 177, 178.
[54] იქვე.
[55] იქვე, გვ. 178, 179.
[56] იქვე.

გამგზავრებას და ორ წერილს: ერთს — პაპის ურბან VIII-სადმი, ხოლო მეორეს — რომში ესპანეთის ელჩისადმი[57]. 11 იანვარს ზემოხსენებული წერილები მოამზადეს მეფის ხელმოსაწერად. 22 იანვარს ნიკიფორე ირბახი დონ ხუან დე ვილიელასადმი მიწერილ წერილში მადლობას უხდიდა ესპანეთის მეფეს და აცნობებდა, რომ, ყველა საჭირო წერილით აღჭურვილი, მიემგზავრება რომში[58].

1628 წლის 31 იანვარს ესპანეთის ელჩი გრაფი დე ონიატე დელ პარდო რომიდან მადრიდში იტყობინებოდა: „ნიკიფორე ირბახმა, რომელიც ამ დღეებში აქ ჩამოვიდა, მაცნობა იბერიის მეფის განზრახვები და რომ აუცილებელია გაეგზავნოს პასუხი იბერიის მეფეს მოსკოვის გზით“[59].

ამრიგად, 1628 წლის იანვრის ბოლოს ნიკიფორე ირბახი მადრიდიდან რომში ჩამოვიდა. რომში, პაპის კარზე ცნობილი გახდა ნიკიფორე ირბახის ესპანეთში ყოფნისა და მეფის კარზე, ქართველი ელჩის მიღების ამბავი. ვატიკანში ამ დროისათვის უკვე შემუშავებული იყო გეგმა საქართველოს კათოლიკური ეკლესიის გავლენის ორბიტაში მოქცევისა და გადაიდგა პირველი ნაბიჯები ამ გეგმის რეალიზაციისათვის — საქართველოში მიავლინეს მისიონერები კათოლიკური სარწმუნოების პროპაგანდის მიზნით. ახლა, როდესაც ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის ელჩობის ამბავი ცნობილი შეიქნა რომის პაპის კარისათვის, გადაწყვიტეს ამ ელჩობის საკუთარი ინტერესებისათვის გამოყენება. უპირველეს ყოვლისა, ქართველ ელჩს უარი ეთქვა პაპთან აუდიენციაზე. აუდიენციის აუცილებელ პირობად ნიკოლოზს სარწმუნოების გამოცვლა, მართლმადიდებლობის კათოლიკობით შეცვლა, დაუდეს[60].

ქართველი ელჩი დათმობაზე წავიდა და დიპლომატიური მოსაზრებით მიიღო პაპის შემოთავაზებული კათოლიკობა[61]. ამის შემდეგ რომის პაპის რეზიდენციის კარი ნიკოლოზისათვის ფართოდ გაიღო. მალე რომის პაპმა ნიკიფორე ირბახი მიიღო. პაპთან აუდიენციის დროს ნიკიფორე ირბახმა პაპს ურბან VIII-ს გადასცა თეიმურაზ მეფისა და კათოლიკოს ბაქარის წერილები, შედგენილი ქართლში 1626 წლის 20 ნოემბერს. ორივე წერილი ქართულად იყო დაწერილი[22].

---

[57] ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 178, 179.
[58] იქვე.
[59] იქვე.
[60] გ. აკოფაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 39, 40.
[61] იქვე, გვ. 71.
[62] ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 186.

ნიკიფორე ირბახმა თეიმურაზ მეფის თხოვნა რომის პაპისადმი ოთხ პუნქტად ჩამოაყალიბა: 1. პაპმა მოსწეროს წერილი თეიმურაზს და ამ წერილით სცნოს იგი საქართველოს კანონიერ მეფედ. 2. მიეღო პაპს თეიმურაზი რომის ეკლესიის წიაღში, როგორც კათოლიკე ხელმწიფე, 3. რომის პაპს ეშუამდგომლა ესპანეთის მეფის წინაშე, რათა მას ეცნო ქართველი ელჩი და კავშირი დაემყარებინა საქართველოსთან. 4. ნიკოლოზი სთხოვდა პაპს — სარეკომენდაციო წერილები მიეწერა რომის საღვთო იმპერიის იმპერატორთან, პოლონეთის მეფესთან, ნეაპოლის ვიცე-მეფესთან, რომელთა კარზედაც აპირებდა მისვლას[63].

თავისთავად ცხადია, რომ ნიკიფორე ირბახი აცნობებდა რომის პაპს ესპანეთის მეფესთან მოლაპარაკების შედეგებს ანტიოსმალური კოალიციის შექმნასთან დაკავშირებით და თხოვდა მას ხელშეწყობას ამ მისიის წარმატებით დამთავრების საქმეში. წყაროებიდან ირკვევა, რომ ნიკიფორე ირბახი რომიდან ნეაპოლში გაემგზავრა და შეხვდა ესპანეთის ვიცე-მეფეს ჰერცოგ ალბას და გააცნო მას ანტიოსმალური კოალიციის შექმნის გეგმა[64]. ნეაპოლიდან ნიკიფორე ირბახი ისევ რომში დაბრუნდა, აქ მას გადასცეს პაპის ურბან VIII-ს წერილი თეიმურაზ მეფისადმი, დათარიღებული 1628 წლის 2 დეკემბრით[65], ხოლო რომიდან გამგზავრებისას მას გადაეცა სარეკომენდაციო წერილები შვეციის, საფრანგეთის, უნგრეთის, ბოჰემიისა და პოლონეთის მეფეებისათვის და ამ ქვეყნებში მყოფი პაპის ნუნციებისათვის[66]

რომიდან ნიკიფორე ირბახი ჩრდილოეთ იტალიაში გავიდა, შემდეგ ლიტვა-პოლონეთის სამეფოში; ლიტვიდან რუსეთში, ხოლო იქიდან მოსკოვში ჩავიდა[67]. იტალიიდან საქართველოში მისი მგზავრობის შესახებ დღესდღეობით ცოტა რამაა ცნობილი. შესაძლებელია, მომავალში ევროპის სახელმწიფოთა არქივებში აღმოჩნდეს საამისო მასალა[68].

---

[63] ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 189, 190; გ. აკოფაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 42, 43.

[64] ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 190, 197; გვ. აკოფაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 44, 46.

[65] იქვე.

[66] იქვე.

[67] გ. აკოფაშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 48.

[68] ი. ტაბაღუას მიერ ახლახან გამოქვეყნებული მასალებიდან ირკვევა, რომ ნიკიფორე ირბახი ევროპიდან საქართველოში დაბრუნდა კონსტანტინოპოლის გავლით (ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, ტ. III, გვ. 128, 129). ამიტომ ძალიან საეჭვოა, რომ ნიკიფორე ირბახი ლიტვა-პოლონეთში მოგზაურობის შემდეგ მოსკოვში ჩასულიყო და იქიდან კონსტანტინოპოლის გავლით საქართველოში დაბრუნებულიყო. გზის ამგვარი გაგრძელება სრულიად გაუმართლებელი იქნებოდა, თანაც მას ძალიან დიდი დრო დასჭირდებოდა.

1629 წლის ივლისში ნიკიფორე ირბახი სამშობლოში დაბრუნდა. მართალია, ამ დროს ევროპაში ანტიოსმალური განწყობილება ძლიერი იყო და ესპანეთის მეფე ფილიპე IV და რომის პაპი დადებითად შეხვდნენ ამ იდეას, მაგრამ გადაჭრით გამოსვლა ოსმალეთის წინააღმდეგ მათ ვერ გაბედეს: ანტიოსმალური კოალიციის შექმნა ვერ მოხერხდა. მიუხედავად იმისა, რომ იგი ჩაიშალა, მას გარკვეული მნიშვნელობა აქვს საქართველოს ევროპის სახელმწიფოსთან ურთიერთობის შესასწავლად. ნიკიფორე ირბახის ევროპაში მოგზაურობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი იყო მისი მონაწილეობით 1629 წ. რომში პირველი ქართული წიგნის, ქართულ-იტალიური ლექსიკონის გამოცემა.

დასავლეთ საქართველო და ოსმალეთი XVII საუკუნის პირველ ნახევარში

1555 წლის ოსმალეთ-ირანის საზღვაო ხელშეკრულებით დასავლეთ საქართველო ოსმალეთის სამფლობელოდ იქნა აღიარებული. დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები ოსმალეთის ვასალებად ითვლებოდნენ. ოსმალეთის სულთანს ეს არ აკმაყოფილებდა და გადაწყვიტა ოსმალეთ-ირანის (1578—1590 წწ.) ომის დროს მოეხდინა ამ მხარის ინკორპორაცია. 1579 წლის იანვარში სულთანმა ბრძანება გასცა — ოსმალეთის ფლოტი საბრძოლო მდგომარეობაში მოეყვანათ. გაზაფხულზე ოსმალეთის ესკადრა, რომელიც 40—50 გემისაგან შედგებოდა, ქაფუდან ფაშას (ფლოტის ადმირალი) კილიჩ ალი ფაშას სარდლობით საქართველოს სანაპიროსაკენ გამოემართა. ივლისში ოსმალეთის ფლოტი შავი ზღვიდან მდინარე ფაზისის (რიონის) შესართავში შევიდა. ოსმალებმა ფოთი დაიკავეს და ციხე ააგეს[1].

სულთანს განზრახული ჰქონდა იმერეთის დაპყრობა, აქედან აღმოსავლეთ საქართველოში გადასვლა და თბილისში ალყაშემორტყმულ ოსმალთა გარნიზონისათვის დახმარების აღმოჩენა. დასავლეთ საქართველოს დაპყრობის შემთხვევაში, ოსმალეთს საშუალება ეძლეოდა შავი ზღვის სანაპიროდან თავისი ჯარები გადაეყვანა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, რაც გააადვილებდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დაპყრობას და ირანის წინააღმდეგ ბრძოლას.

ფოთის აღების შემდეგ ოსმალები მდინარე რიონით ქუთაისისაკენ გაემართნენ და მისი დაპყრობა სცადეს, მაგრამ ქართველებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ოსმალებს და აიძულეს ისინი უკან გაბრუნებულიყვნენ[2]. ამგვარად, ოსმალთა ცდა, დაეპყროთ ქუთაისი და აქედან ქართლსა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გადასულიყვნენ

[1] M. F. Kırzıoğlu, Osmanlıların Kafkas-ellerini fethi, s. 328, 329; B. Kütükoğlu, Osmanlı-Iran siyasi münaseberleri 1578—1590, s. 34; I. H. Danışmend, Izahlı Osmanlı kronolojisi, c. III, s. 41; ვ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 124, 125.

[2] არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თარგმანი იტალიურიდან ა. ჭყონიასი, თბ., 1938, გვ. 172.

მარცხით დამთავრდა. ამავე წელს ოსმალებმა აფხაზეთსაც შეუტიეს. მათ აიღეს სოხუმი და იქ საბეგლარბეგო (ეიალეთი) დააარსეს. სოხუმის ბეგლარბეგად დანიშნულ იქნა ჩერქეზი ჰაიდერ ფაშა, მისი ხასის წლიური შემოსავალი 800000 ახჩას შეადგენდა[3].

ოსმალებმა დიდხანს ვერ შეინარჩუნეს ფოთი. არქანჯელო ლამბერტის ცნობით, დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ეს ციხე დაანგრია აწინდელმა სამეგრელოს მთავარმა დადიანმა და წამოიღო იქიდან ოცდახუთი ზარბაზანი[4]. საფიქრებელია, რომ სოხუმის საბეგლარბეგოსაც დიდხანს არ უარსებია. ამ ვარაუდს ის ფაქტი უჭერს მხარს, რომ ევლია ჩელები, რომელმაც XVII საუკუნის 40-იან წლებში აფხაზეთში იმოგზაურა, არაფერს წერს სოხუმის საბეგლარბეგოს შესახებ[5]. მის დროს სოხუმის საბეგლარბეგო რომ ყოფილიყო, თურქი ავტორი ისევე, როგორც სხვა შემთხვევაშიც, აუცილებლად მიუთითებდა — ვინ იყო მისი გამგებელი, რამდენი იყო მისი წლიური შემოსავალი, რამდენი სანჯაყისაგან შედგებოდა და სხვა.

ამ პერიოდში ბათუმიც გურიის სამფლობელოში შედიოდა. საზღვარი ოსმალეთსა და დასავლეთ საქართველოს შორის მდინარე ჭოროხზე გადიოდა. ოსმალებს გონიოში ჰქონდათ გახსნილი თავიანთი საბაჟო, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ გონიო სასაზღვრო პუნქტი იყო. მდინარე ჭოროხის მარჯვენა ნაპირიდან იწყებოდა საქართველოს საზღვარი.

ამრიგად, ოსმალეთის ცდა — მოეხდინა დასავლეთ საქართველოს ინკორპორაცია — მარცხით დამთავრდა. სულთანი იძულებული შეიქნა კომპრომისის გზას დადგომოდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები: იმერეთი, სამეგრელო, გურია და აფხაზეთი ოსმალეთის ვასალური ქვეყნები იყვნენ და მას ხარკს უხდიდნენ. იმის გამო, რომ წყაროებში სხვადასხვა ცნობებია დაცული ხარკის რაოდენობის შესახებ, ძნელია მისი ზუსტად განსაზღვრა. სულთნის მთავრობა შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის მიხედვით ხან ზრდიდა და ხან ამცირებდა გადასახადი თანხის რაოდენობას. ზოგჯერ მოხარკე ქვეყანას გადასახადს ორ-სამ წელიწადში ერთხელ ახდევინებდა, ზოგჯერ კი მთლიანად ათავისუფლებდა მას. მაგალითად, XVII საუკუნის თურქი ისტორიკოსის იბრაჰიმ ფეჩევის ცნობით, სელიმ I-მა (1512—1520) იბერიის მეფეს ხარაჯა აპატია და „ახლაც მათ ხარაჯა არ მოეთხოვე-

---

[3] M. F. Kırzıoğlu, დასახ. ნაშრ., გვ. 19.

[4] არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 172.

[5] ევლია ჩელები, მოგზაურობის წიგნი. გვ. 93—107.

ბათო"[6]. ევლია ჩელების გადმოცემით, იმერეთის მეფეები სელიმ I-ის დროიდან თავისუფალი იყვნენ გადასახადებისაგან[7].

საფიქრებელია, რომ დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებზე გაწერილი ხარკი არ უნდა ყოფილიყო დიდი და იგი უფრო მეტად სიმბოლურ ხასიათს ატარებდა.

დასავლეთ საქართველოს მდგომარეობას ისიც ამსუბუქებდა, რომ ამ დროს შავ ზღვაზე ოსმალეთის წინააღმდეგ აქტიურად იბრძოდნენ დონისა და უკრაინის კაზაკები, რომლებიც გამუდმებით ესხმოდნენ ოსმალეთის სანაპიროს და მას დიდ ზარალს აყენებდნენ. ამ ბრძოლის დროს, ზოგ შემთხვევაში, ქართველები დახმარებას უწევდნენ კაზაკებს ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში[8].

დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებს, როგორც წესი, ომის დროს არ ევალებოდათ ლაშქრის გამოყვანა. მათ მხოლოდ იმ შემთხვევაში უხდებოდათ ომში მონაწილეობის მიღება, როდესაც საბრძოლო მოქმედება საკუთრივ საქართველოს რომელიმე სამეფო-სამთავროს წინააღმდეგ იყო მიმართული, ან მის დასაცავად გარეშე მტრისაგან. ასეთ ლაშქრობებშიც კი ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებდნენ მონაწილეობას, თუ ეს მათ ინტერესებს არ ეწინააღმდეგებოდა. გავიხსენოთ, რომ როდესაც მუსტაფა ლალა ფაშამ მოუწოდა იმერეთის მეფეს, გურიელსა და დადიანს მონაწილეობა მიეღოთ ამიერკავკასიის ქვეყნებში გამართულ ლაშქრობაში, მათ თავი შეიკავეს. მაგრამ, როდესაც ოსმალეთის მთავარსარდალმა გარკვეული დაპირებები მისცა, მათ მონაწილეობა მიიღეს 1582 წელს სიმონ ქართლის მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში[9]. მოვიგონოთ აგრეთვე, სულთან მურად IV-ის მიერ გიორგი სააკაძისადმი გაცემული სიგელი, სადაც იგი მოუწოდებდა დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებს და სხვა გამგებლებს დახმარება აღმოეჩინათ სააკაძისათვის ყიზილბაშების წინააღმდეგ საბრძოლველად[10]. მათ მონაწილეობა მიიღეს ამ ლაშქრობაში. 1635 წელს

---

[6] იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქული ტექსტი, ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ს. ჯიქიამ თბ., 1964, გვ. 44.

[7] ევლია ჩელები, მოგზაურობის წიგნი გვ. 298.

[8] ი. ცინცაძე, მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის XV—XVIII საუკუნეებში. თბ., 1966; ს. როდონაია, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVII ს. პირველ ნახევარში, თბ., 1961.

[9] მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან... გვ. 151.

[10] ს. ჯიქია, ხონთქრის მიერ დიდი მოურავისადმი გაგზავნილი სიგელი, ენიმკის მოამბე, 1943, ტ. XIII, გვ. 236—242.

ლევან დადიანმა უარი შეუთვალა სულთანს ირანის წინააღმდეგ ომში[11] მონაწილეობაზე და სხვა.

დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები, როგორც ოსმალეთის ვასალები, საგარეო პოლიტიკის გატარების დროს ვალდებული იყვნენ მხარი არ დაეჭირათ ოსმალეთის მოწინააღმდეგე ქვეყნებისათვის, განსაკუთრებით კი ირანისათვის, არ უნდა მიეღოთ მონაწილეობა ოსმალეთის საწინააღმდეგო კოალიციებსა და აქციებში. რაც შეეხება სხვა ქვეყნებთან ურთიერთობას, ისინი არ იყვნენ შეზღუდულნი. გავიხსენოთ რუსეთის სახელმწიფოს ელჩობანი XVII საუკუნეში იმერეთსა და სამეგრელოში. ოსმალეთის მთავრობა ამ ელჩობების საქმეში გარკვეული იყო, მაგრამ არავითარი მტრული აქციები არ ჩაუტარებია მათ მიმართ. რუსეთი ამ დროს ოსმალეთისათვის ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა საშიშ ძალას. მართალია, ოსმალეთს არ მოსწონდა რუსეთის დაინტერესება სამხრეთის მიმართულებით, მაგრამ ითმენდა მის ჩარევას დასავლეთ საქართველოს საქმეებში. დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები საშინაო საქმეებში სრული დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ და მათ შენარჩუნებული ჰქონდათ თავიანთი პრეროგატივები და წეს-ჩვეულებები. მაგალითად, ევლია ჩელები დასავლეთ საქართველოს უზენაეს ხელისუფლად თვლიდა იმერეთის მეფეს. მთავრები მის მიერ უნდა ყოფილიყვნენ ხელდასმული. ევლია ჩელების გადმოცემით, „ტახტზე ასვლის დროს ამ დადიანს იმერეთის ბეგების ხელით შემოერტყმოდა ხმალი"[12].

ევლია ჩელები საქართველოს მეფეების წარმომავლობაზე როცა მოგვითხრობს, წერს: „ბაში-აჩუკის სახლის შთამომავლობა საქართველოს დედოფლის უფროსი უფლისწულისაგან მოდის, ხოლო დადიანის ხალხი უმცროსი ძმის (დედოფალს ჰყავდა შუათანა ვაჟიც) ჩამომავლები არიან"[13].

იმერეთის მეფის გავლენისა და ავტორიტეტის შესახებ XVII საუკუნის ოსმალეთის ისტორიის ოფიციალური მემატიანე იბრაჰიმ ფეჩევი წერს: „საქართველოს სახელმწიფო სამ ვაჟიშვილს დაუნაწილეს: უფროს შვილს ქუთაისში სამეფო მისცეს. ეს ქუთაისი ბაში-აჩუკის ქვეყანაა და ბაში-აჩუკის მეფეთა გვარეულობა იქიდან იწყება. შუათანა ვაჟს თბილისი მისცეს და სიმონის გვარი მანამდე აღწევს... უმცროს შვილს კახეთის პროვინცია მისცეს... მაგრამ, ვინაიდან უფროსი შვი-

---

[11] არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 28.
[12] ევლია ჩელები, მოგზაურობის წიგნი, გვ. 298.
[13] იქვე.

ლის გვარი ბაში-აჩუკის მეფეებიდან იწყება, ყველა მის პატივისცემასა და დიდებაში ერთსულოვანი არიან, მაგალითად, მისგან დაწუევლას ერიდებიან, ხმალს მას შემოარტყმევინებდნენ და გაჭირვების დროს რჩევა-დარიგებისათვის მას მიჰმართავენ“[14].

ამრიგად, იბრაჰიმ ფეჩევი იმერეთის მეფეს ქართლის მეფეზე მაღლა აყენებდა. როგორც ჩანს, ოსმალეთის სულთნის კარზე იმერეთის მეფეს დიდი ავტორიტეტი ჰქონია საქართველოს მეფეებსა და მთავრებს შორის.

ასევე უცვლელი იყო ქვეყნის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სისტემა. ცხადია, ქვეყანა ოსმალების მიერ არ იყო აღწერილი და დავთარში გატარებული, როგორც ეს მოხდა სამცხე-საათაბაგოში ოსმალთა ბატონობის შედეგად.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ევლია ჩელები იმერეთის სამეფოს თვლიდა „ოჯაკლიქ ჰუქუმეთად“[15]. ამ ტერმინით ოსმალური წყაროები აღნიშნავენ სასაზღვრო ტერიტორიაზე მდებარე ადგილობრივ სამმართველო ერთეულებს, რომელთა გამგებლები აღიარებდნენ სულთნის უზენაეს ხელისუფლებას და სრულიად დამოუკიდებელნი იყვნენ საშინაო საქმეებში. ამ უფლებას ფლობდნენ მემკვიდრეობით; მაგრამ იმერეთის სამეფოსა და ოჯაკლიქ ჰუქუმეთებს შორის ის განსხვავება იყო, რომ იმერეთის მეფის ტახტზე ასვლისას არ იყო საჭირო სულთნის ნებართვა, მაშინ როდესაც ჰუქუმეთის ახალ გამგებელს სულთნისაგან ბარათი უნდა მიეღო, ამასთანავე ოჯაკლიქ ჰუქუმეთების გამგებლები მაჰმადიანები იყვნენ და სხვა.

ასე, რომ ევლია ჩელების შედარება იმერეთის სამეფოსი ოჯაკლიქ ჰუქუმეთთან არ უნდა იყოს სწორი.

ამრიგად, XVII საუკუნის პირველ ნახევარში დასავლეთ საქართველოს ოსმალეთთან დამოკიდებულების ფორმა შედარებით მსუბუქი იყო.

იმერეთში რუსეთის ელჩის (1650—1652 წწ) ალექსი იევლევის ცნობით, იმერეთის მეფეს ალექსანდრეს სულთნის ელჩებმა წინადადება მისცეს, რომ „სულთნის ნებართვის გარეშე არ ჩამოცილდე და სხვა ქვეყნებს არ დაუმეგობრდე, ჯარი არ შეჰყარო და თურქეთის ხალხს და ელჩებს თავს არ დაასხა და არ გვეომო, სხვას (სუზერენს) არ მიემხრო. ალექსანდრე მეფემ თურქეთის ელჩს უპასუხა, რომ „ის (ალექსანდრე მეფე) თავისი ლაშქრით თურქეთის სულთნის წინააღმდეგ და მის ქვეშევრდომებზე თავდასასხმელად არ გამოვა და არც

---

14 ს. ჯიქია, იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 43, 44.

15 ევლია ჩელები, მოგზაურობის წიგნი, გვ. 298.

ერთ მაჰმადიანურ მეფეს არ მიემხრობა, მაგრამ არც თურქეთის სულთნის ბრძანებას შეასრულებს და არც მის მორჩილებას ისურვებსო"[16].

იტალიელი მისიონერი და მოგზაური პიეტრო დელა ვალე 1627 წელს რომის პაპის ურბან VIII-სადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში წერდა: „იმერეთის მეფე, დადიანი და გურიელი ხარკს უხდიან თურქებს, მაგრამ მაინც არ აძლევენ ნებას თურქებს შევიდნენ მათ ქვეყანაში არც თუ საბრძოლველად, არამედ ჯარების სხვაგან გასატარებლადაც კი"[17].

იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი, რომელმაც XVII საუკუნის პირველ ნახევარში სამეგრელოში დაახლოებით 30 წელი იცხოვრა, მეტად ძვირფას ცნობებს გვაწვდის სამეგრელოს ოსმალეთთან ურთიერთობის შესასწავლად. იგი წერს: „დადიანი საკვირველ პოლიტიკას ადგას თურქების მიმართ. იგი კარგად იცნობს თურქეთის მტარვალობას და აგრეთვე იცის, რამდენი სამეფო ჩაუნთქავს მის მტარვალობას, რამდენი მომიჯნავე ქვეყანა დაუპყრია. თურქეთმა რომ მისი სამთავროც არ გასრისოს, დადიანი ცდილობს მეგობრობა დაიხსახუროს თურქეთისა, მაგრამ ისე კი, რომ ამით მთავრის ღირსებას არა მოაკლდეს რა. ასეთი მეგობრობის დასაცველად დადიანი ყოველ წელიწადს სულთნის ვეზირებს ფეშქაშებს უგზავნის და ყოველ ორ წელიწადში ერთხელ სულთანს ხარკს აძლევს. ამნაირად დადიანი თავისი ნებით გახდა თურქეთის მოხარკე, ხოლო მთავრის ღირსებას ისე შეუნიღბავად იცავს, რომ არასოდეს არავითარ ბრძანებას თურქეთიდან მოსულს არ ასრულებს"[18].

ამის დასასაბუთებლად ა. ლამბერტის მოაქვს შემდეგი მაგალითი: სულთან მურადმა (1623—1640), აწინდელმა ხელმწიფემ თურქეთისამ, როცა იგი ომობდა ირანის შაჰ-სეფის წინააღმდეგ, შემოუთვალა დადიანს, „შენ ჩემი მოხარკე ხარ და რადგანაც ერევანი შენი სამეფოს მახლობლად არის, რიგია მოხვიდე და დამეხმაროო". ამაზე დადიანმა უპასუხა: „არასოდეს არც მე და არც ჩემს წინაპრებს ვალად არ გვედო თქვენი და თქვენის წინაპრების ომში სამსახურიო და ამიტომაც არც ახლა გიახლებითო. ამასთანავე გაიხსენეთ, რომ ხარკს იმიტომ კი არ გაძლევთ, რომ პირდაპირ თქვენი ბატონობა მეცნო-

---

[16] ალექსი იევლევის 1650—1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა („მუხლობრივი აღწერილობა"). რუსული ტექსტი, ხელნაწერების მიმოხილვით და ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ი. ცინცაძემ, თბ., 1969, გვ. 148, რუსული ტექსტი, გვ. 69.

[17] Pietro della Valle, Informatione della Geogia data alla Papa Urbano VIII, Roma, 1627. თარგმანი, „ივერია", 1879, № 3.

[18] არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 28.

სო, არამედ იმიტომ, რომ თქვენ ჩემს საზღვარში ჯარით არ შემოხვიდეთო. და თუ ამას იზამთ, მე მყისვე მოგისპობ ხარკსა და ადვილად შევძლებ ჩემის ჯარით დავიცვა სამთავროო"[19].

სულთანი იძულებული გახდა შერიგებოდა ამ გარემოებას და სამეგრელოს მიმართ სამხედრო აქცია არ განეხორციელებინა. ა. ლამბერტი ამას იმით ხსნის, რომ სულთანმა კარგად იცოდა, რომ დადიანის სამთავროს ისეთი ბუნებრივი მაგარი საზღვრები ჰქონდა, რომ მისი დაპყრობა მეტად ძნელი იყო, რომ მეგრელები მის ძალას არაფრად აგდებდნენ, რადგანაც როცა კი თურქეთის ჯარი ან ზღვით ან ხმელეთით მიადგებოდა სამეგრელოს საზღვარს, მეგრელები მზად იყვნენ თვითონ დაეწვათ თავიანთი სახლები, მთებში გახიზნულიყვნენ და იქიდან ეწარმოებიათ ომი; გარდა ამისა, მეგრელებს ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ მათი ქვეყანა გაუვალი ტყითა და ჭაობებით იყო დაფარული. ყოველი აქედან გამომდინარე, ლევან დადიანს საშუალება ეძლეოდა გაბედულად ეწარმოებია საგარეო პოლიტიკა[20].

დაახლოებით ასეთივე აზრი გამოსთქვა ევლია ჩელებიმ სამეგრელოში მოგზაურობის შედეგად, მან სამოცდაათამდე ქალაქის მსგავსი სოფელი მოინახულა. მისი გადმოცემით, ოსმალებს ხელი მიუწვდებოდათ სამეგრელოს ზღვისპირეთზე, ხოლო, მთებში ბაღ-ვენახიანი, დასახლებული და აყვავებული, დაუმორჩილებელი მეგრული სოფლები არსებობდა. ზღვისოდენა ჯარიც რომ იყოს, მათი მთებში შესვლა ძნელია. ორმოცი—ორმოცდაათიათასამდე თოფით შეარაღებული მოსახლეობაა[21].

ამავე დროს ლევან დადიანი ცდილობდა დაერწმუნებინა ოსმალეთის სულთნის მთავრობა, რომ „სამეგრელოზე უფრო ღარიბი და უბედური ქვეყანა დედამიწაზე მეორე არ მოიძებნება. ამისათვის როცა თურქეთის ელჩები მოვლენ, დადიანი საზღვარზე თავის კაცებს დაახვედრებს, რომელთაც ნაბრძანები აქვთ გვერდი აუხვიონ კარგ გზებსა და ადგილებს და ელჩები გამოატარონ ციცაბო კლდეებზე, ტალახიან გზებზე, დაბურული ტყეებით და ცუდი ადგილებით, მდინარეებში გასვლის დროს უნდა ამოირჩიონ ღრმა ფონი, ღამე უნდა დაებინავებიათ ღარიბი გლეხის სახლში, სადაც ლოგინად უნდა დაეგოთ მხოლოდ თივა და საჭმელად ეშოვნათ ყველი და მწვანილი.

ელჩები ფიქრობდნენ, როცა მთავრის სასახლეში მივალთ, მაშინ, მაინც მოგვასვენებენ კარგადო, მაგრამ აქაც იმედი უცრუვდებოდათ, მთავარი ღარიბულად ჩაცმული დახვდებოდა თავისი კარისკაცებით.

---

[19] არჭანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 28.

[20] იქვე. გვ. 24.

[21] ევლია ჩელები, მოგზაურობის წიგნი, ნაკვ. I, გვ. 96.

სულთნის უსტარის მოსმენის შემდეგ იგი ელჩებს მიუჩენდა ისეთ ქოხს, სადაც წვიმა ჩამოდიოდა და ქარი თავისუფლად დანავარდობდა, საკვებად ყველაზე ცუდ თხის ხორცს აძლევდა, პურს ისე ცოტას მოართმევდათ, რომ შიმშილსაც ვერ იკლავდნენ. რაც შეეხება ღვინოს. ისე ცუდს მიართმევდა, რომ ელჩები იძულებული იყვნენ, რომ წყალი დაელიათ"[22].

ა. ლამბერტის დაკვირვებით, ოსმალეთის ელჩები დადიანის კარზე ყოველთვის ისეთი გაჭირვებულნი იყვნენ, რომ წყევლიდნენ თავიანთ დაბადების ჟამს. „ყველა ამ ღონისძიებას, — წერს ა. ლამბერტი., — ხმარობდა დადიანი იმისათვის, რომ კონსტანტინოპოლში ცუდი აზრი ჰქონოდათ ამ ქვეყნის შესახებ და ხონთქარს არც ხარკის მომატება მოეთხოვა და არც ამ ქვეყნის სრულად დაპყრობა მოენდომებინა"[23].

ოსმალეთის სულთნის კარზე ლევან დადიანის ელჩის გავლენის შესახებ ცნობას გვაწვდის XVII საუკუნის ფრანგი მოგზაური ჟ. ტავერნიე: „ყოველთვის, როცა იგი (დადიანის ელჩი — მ. ს.), დიდვეზირთან ვიზიტად მიდიოდა, თავზე თეთრ ქუდს იხურავდა, რითაც ყველა ქრისტიანის განცვიფრებას იწვევდა, რადგან იგივე რომ სხვა რომელიმე ქრისტიანს ჩაედინა, მას სიკვდილი ან გამაჰმადიანება არ ასცდებოდა.ეს ფაქტი გვიჩვენებს, — განაგრძობს ე. ტავერნიე, — როგორ უფრთხილდება დიდი სენიორი სამეგრელოს მეფესთან მეგობრობას და როგორ ცდილობს არაფერი აწყენინოს მის წარმომადგენელს. მან კარგად იცის, რომ მეგრელები არავის არაფერს უთმობენ, სულ უბრალო საბაბით ხმალზე ხელს იკრავენ და ვინც აწყენინებს, ის ვერაფერს მოიგებს"[24].

ამ პერიოდში დასავლეთ საქართველოს ვაჭრობა შავ ზღვაზე საერთოდ და, კერძოდ, ოსმალეთთან მნიშვნელოვნად იყო შეზღუდული. ფაქტიურად, ოსმალეთთან სავაჭრო ურთიერთობა ითვალისწინებდა მხოლოდ აუცილებელი საქონლის შეძენას. ლევან დადიანმა რუსეთის ელჩს საუბრის დროს განუცხადა: „ოსმალებს ხარკს იმიტომ ვაძლევ, რომ ქვეყანაში გემები საქონლით (სავაჭროდ) შემოვიდნენ, იმ წელიწადს, როდესაც ხომალდები ჩვენს ნაპირს არ მოადგებიან, ჩვენთან დიდი გაჭირვებაა მარილზე, რკინასა და ყოველგვარ საქონელზე"[25].

---

[22] არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 25.

[23] იქვე, გვ. 25, 26.

[24] ჟ. ტავერნიე, დიდი სენიორის სასახლის აღწერა.

[25] С. Белокуров, Посольство дьяка Федота Елчина и священника П. Захарьева в Дадианскую землю; в чт. ИОИДР, кн. II, 1887, с. 323.

ამავე შინაარსის ცნობას გვაწვდის დომინიკელი ლუკა, რომელმაც 1629 წელს სამეგრელოში იმოგზაურა. იხილავს რა ლევან II დადიანის ურთიერთობას ოსმალეთთან, იგი წერს, რომ დადიანს „ღიდად სჭირდება თათრები პარილისა, რკინისა დ სხვა საჭირო საგნების შესაძენად“[26].

განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილება იყო მარილზე. იგი შემოჰქონდათ ოსმალეთიდან, ყირიმიდან, აზოვის ზღვის სანაპიროდან და ბულგარეთიდანაც კი.

ოსმალეთის მთავრობისათვის ცნობილი იყო, თუ რაოდენ ესაჭიროებოდა დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებს ვაჭრობა შავი ზღვისპირა ქვეყნებთან და ზოგჯერ, მათი დამორჩილებისა და ხარკის გადასახადის აღების მიზნით, ახდენდა სანაპიროს ბლოკადას. მაგალითად, XVII საუკუნის დამდეგს ოსმალეთმა გურიისა და სამეგრელოს დამორჩილების მიზნით მოაწყო საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს ბლოკადა. შეწყდა მარილისა და რკინის შემოზიდვა. ამ გარემოებამ დიდი სიძნელეები შეუქმნა ორივე სამთავროს. ამ სიძნელეებს ისე შეუწუხებია მთავრები, რომ 1614 წლის გაზაფხულზე მათ გაუგზავნიათ ელჩები სტამბულში მოსალაპარაკებლად. მოლაპარაკება დაზავებით დამთავრდა[27].

შავ ზღვაზე ოსმალთა გაბატონებისა და ამ რეგიონში ოსმალთა მონოპოლიის დამყარების შედეგად საქართველოს ვაჭრობა შავ ზღვაზე მნიშვნელოვნად შეიზღუდა. „დასავლეთ საქართველოს ქალაქების მაგალითი კარგად მოწმობს, რომ ოსმალებს არ შეეძლოთ ხელი შეეწყოთ ვაჭრობის შემდგომი განვითარებისათვის. დასავლეთ საქართველოს ქალაქები შავ ზღვაზე ოსმალთა გაბატონების წყალობით უკვე XV საუკუნეში დაეცა, თანდათან გადაშენდა და გაჰქრა (ანდა სოფლად იქცა). მართალია დახიზნულ, დაფანტულმა ხელოსნებმა ახალ პუნქტებს მიაშურეს, მაგრამ ახალ ქალაქებს (ხოფი, ანაკლია, რუხი დასავლეთ საქართველოში) საერთო ეკონომიკური დაცემულობის პირობებში ვაჭრობის აღორძინება-გაცხოველება არ შეეძლოთ... საერთოდ შავი ზღვის სანაპიროს გაყოლებით მდებარე ბიჭვინთა, ანაკოფია, სოხუმი, ანაკლია, ფოთი, ქობულეთი და ბათუმი წარმოადგენდნენ არა სავაჭრო ქალაქებსა და ნავსადგურებს, არამედ ციხე-სიმაგრეებს. ამ-

---

26 ვ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ჭართველთა შორის, გვ. 128; ი. ტაბაღუა. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, ტ. 3, გვ. 165.

27 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 299, 300.

დენად მათ არ შეეძლოთ შეესრულებინათ რაიმე მნიშვნელოვანი როლი ვაჭრობის განვითარების საქმეში"[28].

ყოველივე ამის გამო სავაჭრო ცენტრმა შავი ზღვის სანაპირო ქალაქებიდან ქვეყნის სიღრმეში — ქუთაისში გადაინაცვლა. რუსი დიპლომატი ალექსი იევლევი, რომელიც 1650—1652 წწ. იმერეთში იყო, გვატყობინებს: „ქუთაისში ჩამოდიან ვაჭრები თურქეთიდან, აზოვიდან, სპარსეთიდან, თბილისიდან, გურიიდან, სამეგრელოდან — ყოველგვარი საქონლით მოდიან. ვის არ შეხვდებით აქ — თურქებს, ებრაელებს, სპარსელებს, სომხებს, აზოველებს. მათ ჩამოაქვთ სპარსული ხავერდი, ატლასის ქსოვილი, თეთრი და ფერადი ფარჩა და ჰყიდიან"[29].

ამ ქალაქის შესახებ არანაკლებ საყურადღებო ცნობა მოეპოვება არქანჯელო ლამბერტის. „ქუთაისი, — წერს იგი, — კარგი სავაჭრო ქალაქია, რადგან იმისთანა ადგილზე დგას, სადაც ყოველმხრივ ადვილად მოდიან ვაჭრები თავისი საქონლით. მთებიდან ჩამოდიან სვანები, რომელთაც ჩამოაქვთ თავისი შინაური ნაწარმი, ნაბადები და მსხვილი შალები და ჩამორეკენ ხოლმე თხებსა და ცხენებს. ქართლიდან მოდიან ქართველები და ირანელები, რომელთაც ჩამოაქვთ ირანული შალები და ინდოეთის ფერადი ქსოვილები, ტყავი, დამარილებული თევზი კასპიის ზღვიდან, ხიზილალა და სანელებლები. თურქები სამცხის მხრიდან მოდიან და ბლომად მოაქვთ თავისი სავაჭრო. მაგალითად: უნაგირები და ცხენის საკაზმავები, ხალები, ხანჯლები და თურქული ზანდუკები. სხვებზე მეტი ვაჭრები იქ სომხები არიან. სომხებს ქუთაისში თავიანთი სახლები აქვთ. ესენი დადიან თურქეთში, ირანსა და ქართლში და ბლომად მოაქვთ იქიდან იშვიათი საქონელი"[30].

შავ ზღვაზე საერთოდ, კერძოდ კი დასავლეთ საქართველოში, ფართოდ იყო გავრცელებული ტყვეთა სყიდვა. ვაჭრობის ამ დარგით განსაკუთრებით დაინტერესებული იყო ოსმალეთი, რადგანაც იქ მასზე დიდი მოთხოვნილება არსებობდა. საქართველოს შავი ზღვისპირეთში ტყვის სყიდვის ადგილები იყო: ბათუმი, ქობულეთი, ფოთი, ანაკლია, სოხუმი, ანაკოფია და სხვა. დასავლეთ საქართველოში ტყვეებით ვაჭრობამ კატასტროფულ მასშტაბებს მიაღწია, ეს იყო ნამდვილი ეროვნული ტრაგედია, ეს საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში

---

[28] ვ. გაბაშვილი, XVI—XVIII სს. საქართველოს ქალაქები მახლობელი აღმოსავლეთის სავაჭრო ურთიერთობათა შუქზე. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 169, 171.

[29] ალექსი იევლევის 1650—1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა..., გვ. 85, 88.

[30] არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 10.

საკმაოდ კარგადაა შესწავლილი და სიტყვას აღარ გავაგრძელებთ[31].

მიუხედავად არახელსაყრელი საშინაო და საგარეო პირობებისა, დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები ეწეოდნენ ვაჭრობას ოსმალეთთან, ირანთან, პოლონეთთან, უკრაინასა და დონის კაზაკებთან. წყაროებში დაცულია ცნობები, რომლებშიც ასახულია დასავლეთ საქართველოს სავაჭრო ურთიერთობანი ამ ქვეყნებთან.

1634 წელს ყირიმში მყოფი იტალიის კონსულის დ' ასკოლის ცნობით, შავი ზღვის საქართველოს სანაპიროზე მოდიან ვაჭრები კონსტანტინოპოლიდან, სათათრეთიდან (ყირიმიდან — მ. ს.) და შავი ზღვის სხვა ადგილებიდან. მათ შემოაქვთ სხვადასხვა საქონელი, ხოლო იქიდან გააქვთ შესანიშნავი თაფლი, მაღალხარისხოვანი ძაფი, ტყვე-მონები და ცვილი. ნახულობენ დიდ მოგებას, 100 რეალზე — 300[32].

ა. ლამბერტის გადმოცემით, საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს მოსახლეობა „თურქთა გემების მოსვლის დროს... უფრო ეტანებიან უცხო საქონლის შეძენას ადგილობრივი საქონლის გაცვლით. თურქებს მოაქვთ კონსტანტინოპოლიდან შემდეგი საქონელი: მშვენიერი ნაირნაირი ხალები, საბნები, თურქული ტყავები, უნაგირები, ცხენის მოკაზმულობა, მშვილდისრები, შალები და მაუდი, ყოველნაირი ფასისა, რკინა, თითბერი, ქვაბები, მატყლი, შალეული და სხვა ტილოები, დამარილებული თევზი, ხიზილალა, დანები, საკმეველი, პილპილი, შაქარი და მარილი“[33].

1672 წელს დასავლეთ საქართველოში იმოგზაურა ფრანგმა ნეგოციანტმა ჟ. შარდენმა. „ყოველ წელიწადს, -წერს იგი, -აქ მოდის თორმეტიოდე იალქნიანი გემი კონსტანტინოპოლიდან და კაფიდან და სამოცზე მეტი ფელუკა გონიოდან, ირანიდან, ტრაპიზონიდან. ისინი სამეგრელოში იტვირთება — ტყვეების გარდა — აბრეშუმით, სელის ძაფით, ტილოთი და სელის თესლით, ხარის ტყავით, კვერნის და თახვის ბეწვით, ბზით, ცვილითა და თაფლით“[34].

---

[31] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, გვ. 17, 180; ვ. გაბაშვილი, ტყვის ყიდვა შუა საუკუნეების ევროპაში (ქართველ ტყვეთა ისტორიის ევროპული მასალები). მაცნე, ისტორიის. არქ. ეთნოგრ. და ხელოვნების ისტორიის სერია № 4, 1983, გვ. 29—48; ა. კილასონია, ტყვეებით ვაჭრობის ორგანიზაცია და ცენტრები გვიან შუა საუკუნეების დასავლეთ საქართველოში, მაცნე, ისტორიის... სერია, № 3, 1982, გვ. 107—114; მ. რეხვიაშვილი, დასავლეთ საქართველო XVII საუკუნეში, გვ. 108—122 და სხვა.

[32] Описание Черного моря и Татарии, составленное доминиканцем Эмадио Дортелли д'Асколли, префекта Каффы, Татарии и пр.- в 1634 г. ЗООИД, т. 24, с. 106.

[33] ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 158.

[34] ჟ. შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში

ფრანგი მოგზაური წერს, რომ თურქები დიდ მოგებას ნახულობენ სამეგრელოდან გატანილი საქონლით, ოთხ ეკიუდ ჰყიდიან იმას, რაშიც ერთი აქვთ მიცემული[35].

პიეტრო დელა ვალეს ცნობით, დადიანისა და გურიელის სამთავროებს კონსტანტინოპოლსა და საბერძნეთთან გაცხოველებული ვაჭრობა აქვთ აბრეშუმით. მისივე სიტყვებით, პოლონეთის მეფეს მიმოწერა და მეგობრული ურთიერთობა აქვს მათ გამგებლებთან. ხშირად ერთი ქვეყნიდან მეორეში დადიან სავაჭრო გემები[36].

ამავე ფაქტს გვიდასტურებს რუსი დიპლომატი ალექსი იევლევი: „იმერეთში და სადადიანოში ყაჩი (ხამი) აბრეშუმის დამზადება ყველა ქალაქშია გავრცელებული და ყოველი ადამიანი თავისას ამუშავებს, როგორც შეუძლია“[37].

ევლია ჩელების აღნიშნული აქვს, რომ ტრაპიზონელი ვაჭრები ვაჭრობენ სამეგრელოსთან, აფხაზეთთან, ჩერქეზებთან და ყირიმთან[38].

წყაროების ანალიზიდან ირკვევა, რომ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს ქალაქებსა და სოფლებში სავაჭროდ ჩამოჰქონდათ: ხაverდი, ატლასი, აბრეშუმის, შალის, მაუდის, სხვადასხვა სახის ქსოვილები, ტყვია-წამალი, თოფი, მშვილდ-ისარი, მასრა, ხმლები, ფარ-შუბები და სხვა საომარი იარაღი, ცხენის მოკაზმულობა, ცეცხლზე ჩამოსაკიდი რკინის ჯაჭვები, ჭურჭელი, სამიწათმოქმედო იარაღი, ქალისა და კაცის მზა ტანსაცმელი, საბნები, ნოხები, ტყავი. მარილი, სხვადასხვა სახის დამარილებული თევზი, ხიზილალა, სანელებლები და სხვ.

დასავლეთ საქართველოდან გაჰქონდათ: ხე-ტყე, რკინა, თაფლი, თაფლის სანთელი (ცვილი), აბრეშუმი, ხამი აბრეშუმი, სელის ტილო. სელის ძაფი, სელის თესლი, კვერნას, თახვის, წავის, ყვითელი და რუხი მელიების ბეწვი, ტყავეული და სხვა. და როგორც აღვნიშნეთ ზემოთ — ტყეთა დიდი რაოდენობა.

ლევან II (1611—1657) დადიანის დროს სამეგრელოს სამთავრომ თავისი პოლიტიკური ძლიერების ზენიტს მიაღწია. ლევან II გადაწყვიტა აგრეთვე ეკონომიურადაც დაეწინაურებინა თავისი ქვეყანა და ამ მიზნით მან ბევრი ახალი ღონისძიება გაატარა.

დადიანის თაოსნობით დაარსდა ახალი სავაჭრო ქალაქი რუხი.

(ცნობები საქართველოს შესახებ), თარგმანი მ. მგალობლიშვილისა, თბ., 1975, გვ. 123, 124.

35 ჟან შარდენის მოგზაურობა..., გვ. 105.

36 Pietro della Vallé. Informatione, p. 8.

37 ალექსი იევლევის 1650—1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის აღწერილობა, გვ. 89.

38 ევლია ჩელები, მოგზაურობის წიგნი, გვ. 89, 90.

მან აჰყარა ჩხარში და ჩიხორში მცხოვრები ათეულობით კომლი სომეხი და ებრაელი ვაჭარი და რუხში დაასახლა[39].

ლევან II დადიანი განსაკუთრებით დაინტერესებული იყო ვაჭრობის განვითარებით. ამ დარგში კი განსაკუთრებით დახელოვნებული იყვნენ ებრაელები და სომხები. „დადიანმა, -წერს ა. ლამბერტი, -სრულებით განაახლა ქვეყანა იმით, რომ მრავალი უცხოელი ხალხი მოიწვია, განსაკუთრებით სომხები და ებრაელები, რომლებიც ძლიერ ეტანებიან ვაჭრობას. მათ აძლევდა ცხენებსა და ფულს და გზავნიდა ირანსა და თურქეთში, რათა იმ ქვეყნებიდან მოეტანათ ოდიშში მრავალი სავაჭრო“[40].

ამასვე ადასტურებს დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი. ლევან დადიანმა „იძულებული გახადა საცხოვრებლად გადმოსულიყო სამეგრელოში ასი სომეხი და ებრაელი ვაჭარი: ცდუნებითა და მოტყუებით მრავალი თურქი ვაჭარიც დაიყოლია იმავე პირობაზე“[41].

ლევან დადიანი მიისწრაფოდა ყოველნაირად შეეწყო ხელი ხელოსნობის განვითარებისათვის და ამ მიზნით ცდილობდა თავის ქვეყანაში უცხოელი ხელოსნების დასახლებას და მათთვის ყოველგვარი პირობების შექმნას. ლამბერტი გადმოგვცემს: „თავის სამთავროში ხალხის გამრავლებისათვის დიდის წყალობით იზიდავს უცხოელებს, განსაკუთრებით ხელოსნებს. მოსული რომ აღარ წავიდეს აქედან, მთავარი აძლევს სახლს, მიწა-ადგილს და ყოველსავე, რაც შეეფერებოდა მოსულის წოდებას და მდგომარეობას“[42].

უცხო ქვეყნებთან ვაჭრობის გასაფართოებლად ლევან დადიანმა ზარაფხანაც დააარსა, სადაც სპარსული ყაიდის ფული იჭრებოდა[43].

ლევან დადიანს დიდი სურვილი ჰქონდა მოეზიდა თავის ქვეყანაში შორეული სახელმწიფოებიდან ვაჭრები და სავაჭრო საქონელი და შავი ზღვის საშუალებით სამეგრელო საერთაშორისო ვაჭრობაში ჩაება[44].

კათოლიკე მისიონერებთან საუბრის დროს მან გამოსთქვა სურვილი: „თუ შესაძლებელი იქნებოდა, კონსტანტინოპოლიდან ზოგიერთი ვენეციელი ვაჭრის ჩამოყვანა, მაშინ დაავალდებულებდა მათ-

---

39 ვ. რეხვიაშვილი, დასავლეთ საქართველო XVIII ს-ში, თბ., 1978, გვ. 131—138.

40 არქანჯელო ლამბერტი, გვ. 26.

41 დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, გვ. 55.

42 არქანჯელო ლამბერტი, გვ. 28.

43 ვ. რეხვიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 134.

44 ი. ანთელავა, ოდიშის სამთავროს პოლიტიკური კავშირის ისტორიიდან XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1973, ტ. 69, №2, გვ. 500—502.

თეის სხვა საქონლის გარდა აბრეშუმის მიყიდვას მთლად მის სამართავროდან, აგრეთვე ნაწილობრივ სპარსეთისასაც, ამისათვის, ვინც შავი ზღვით აბრეშუმით ვაჭრობას მოჰკიდებდა ხელს, მათთვის ვაჭრები აბრეშუმს სპარსეთიდან და სომხეთიდან ოდიშში ჩაიტანდნენ ნახევარ ფასზე უფრო იაფად, ვიდრე ჰალაბში (ალეპოში) გასატანად დასჭირდებოდათ. ამგვარად, ნაღდ მოგებას ნახავენ ის ვაჭრები, რომელნიც მთავრის საბაჟოდან გაჰყიდიან საქონელს და ფრანკებიც, რომლებიც აქ იაფად შესყიდულ საქონელს ზღვით ჩაიტანენ საფრანგეთში"[45].

ამ გეგმის განსახორციელებლად ლევან II დადიანმა კონსტანტინოპოლში მიავლინა პატრი დონ პიეტრო ავიტაბილე. იგი შეხვდა ვენეციის ბაილოს კონსტანტინოპოლში. რომელიც დაპირდა, რომ სამეგრელოში გაგზავნიდა ვენეციელ ვაჭარს ჯერონიმო დე ტომაზოს. მაგრამ. ვენეციასა და ოსმალეთს შორის კონფლიქტის გამო, მოლაპარაკება ჩაიშალა[46].

დადიანმა ხელმეორედ გაგზავნა თავისი წარმომადგენელი კონსტანტინოპოლში, ამჯერად დონ კლემენტე გალანო, მაგრამ ამ მისიასაც არ ჰქონია წარმატება[47].

1643 წელს ლევან II დადიანმა გაგზავნა რომის პაპთან ჯუზეპე ჯუდიჩე თხოვნით — გამოეგზავნა საქართველოში ფეიქარი ხელოსნები. ჯუზეპე ჯუდიჩეს სიტყვიერად, დაწერილებით უნდა გაეცნო პაპისათვის დადიანის გეგმა[48].

რომიდან მომავალი ჯუზეპე ჯუდიჩე და მისი თანმხლები პირები გაჩერდნენ კონსტანტინოპოლში. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქ ისინი შეხვდნენ ევროპის სახელმწიფოების ზოგიერთ წარმომადგენლებს და აწარმოეს მათთან მოლაპარაკება დადიანის პროექტთან დაკავშირებით. დადიანის პროექტი ზარალს აყენებდა ოსმალეთის სავაჭრო ეკონომიკურ ინტერესებს, რადგანაც მისი რეალიზაციის შემთხვევაში, ირანის აბრეშუმს ევროპაში ჩაიტანდნენ საქართველოს გავლით შავი ზღვით. ეს კი მნიშვნელოვნად შეამცირებდა თურქეთის საბაჟო შემოსავალს, რომელსაც იგი იღებდა ირანის აბრეშუმის ტრანზიტის წყალობით. ამიტომ თურქეთის მთავრობამ გადაწყვიტა ჩაეშალა დადიანის ეს წამოწყება. ჯუზეპე ჯუდიჩესა და მის მეგობრებს დააბრალეს ჯაშუშობა და დააპატიმრეს. ჯუზეპე ჯუდიჩე საპყრობილეში გარდაიცვალა.

---

45 დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, გვ. 56.

46 იქვე.

47 იქვე.

48 მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკოსობისა ქართველთა შორის, გვ. 194.

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ კონსტანტინოპოლში ჯუზეპე ჯუდიჩესთან ერთად დაპატიმრებულ იქნა პოლონელი დომინიკანელი მღვდელი. ეს შეიტყო პოლონეთის ელჩმა, რომელმაც ეს ამბავი შეატყობინა თავის მთავრობას. მოკლე დროში კონსტანტინოპოლში ჩავიდა პოლონეთის საგანგებო ელჩი. მისი ენერგიული ცდებისა და საფრანგეთის ელჩის ჩარევის შედეგად პოლონელი მღვდელი და სხვა პირები გაანთავისუფლეს. ამგვარად, ამ საქმით დაინტერესებული აღმოჩნდნენ პოლონეთის მთავრობა და საფრანგეთის ელჩი, რაც, ჩვენი აზრით, იმის დამადასტურებელია, რომ პოლონეთი და საფრანგეთი მხარს უჭერდნენ დადიანის პროექტს[49].

ამ პერიოდში აბრეშუმით ვაჭრობა ირანთან ოსმალეთის საფლობელოებზე გავლით, მეტად გართულებული იყო; განსაკუთრებით დიდ სიძნელეებს ქმნიდა ირან-ოსმალეთის დაუსრულებელი ომები. თავის მხრივ, სპარსელებიც უქმნიდნენ წინააღმდეგობებს ევროპელებს ოსმალეთის ტერიტორიაზე გავლით ვაჭრობისას. კურმენენის განმარტებით ბარათში დანიის კანცლერისადმი 1629 წლის 9 ივლისს სწერია: „ახლა სპარსეთის შაჰი გვიქმნის შეფერხებებს ქარავნებისათვის ნების დართვის საქმეში, რომლებიც მიემგზავრებიან თურქეთში, იმ მიზეზით, რომ ეს ვაჭრობა ამდიდრებს თურქებს, მის მტრებს"[50].

ანალოგიური აზრი გამოთქვა კილბურგერმაც: „შაჰი მეტად უკმაყოფილოა, რომ ყოველ წლიურად მიემგზავრებიან ქარავნები ალეპოში თურქეთის გავლით, აგრეთვე იმითაც, რომ დიდი რაოდენობა აბრეშუმისა, რომელიც იაფად იყიდება სმირნიდან, ტროპოლიდან, ალექსანდრიეტიდან და სხვა ადგილებიდან იტალიასა და საფრანგეთში იმის გამო, რომ მისი მთავარი მტერი თურქეთი ამისგან იღებს დიდ სარგებლობას და მით ამდიდრებს თავის ხაზინას; ამის გამო იგი ძალიან ცდილობს ჩამოაცილოს ეს ვაჭრობა და მთლიანად წარმართოს იგი რუსეთის გავლით"[51].

ამ პირობებში ევროპის სახელმწიფოები მიმართავდნენ თხოვნით მოსკოვის მთავრობას — დაეჭირა მხარი სპარსეთთან ვაჭრობისათვის, მაგრამ თითქმის ყოველთვის უშედეგოდ, რადგანაც თვითონ რუსი ვაჭრები ცდილობდნენ გამოსულიყვნენ შუამავლებად აღმოსავლეთის ვაჭრობაში დასავლეთთან.

---

[49] М. Х. Сванидзе, Грузия, страны Причерноморья и Восточной Европы в первой половине XVII в., в кн. Россия, Польша и Причерноморье в XV—XVIII вв., М., 1979, с.

[50] ციტირებულია Г. Жордания, Очерки из истории франко-русских отношений, Тб., 1959, с. 105.

[51] ციტირებულია Е. С. Зевакин, М. А. Полиевктов, К истории прикаспийского вопроса, Тб., 1934, с. 6.

პიეტრო დელა ვალე, რომელიც კარგად იყო გათვითცნობიერებული ევროპისა და აღმოსავლეთის ვაჭრობის საქმეში, დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ ირანთან ვაჭრობა უდიდეს მოგებას მისცემს ევროპელებს, თუ ისინი საქონელს ჩაიტანენ ახალი გზით, ოსმალეთის გვერდის ავლით, საქართველოდან და შავი ზღვით. მისი აზრით, კაზაკების დახმარებით, სპარსეთს შეუძლია ჩაიტანოს თავისი საქონელი თურქეთის ტერიტორიის გვერდის ავლით. ირანის რაიონები, რომლებშიც განვითარებულია მეაბრეშუმეობა, მეტნაკლებად ახლოსაა შავ ზღვასთან, ამიტომ სპარსული აბრეშუმი ევროპაში შეიძლება ჩატანილ იქნას უმოკლესი გზით, რომელიც ნაკლებად საშიშია, ვიდრე გზა, გამავალი ალეპოსა და ორმუზზე. შავი ზღვით აბრეშუმი შეიძლება ჩატანილ იქნას 10—20 დღეში, მაშინ როდესაც ოკეანეთი გზას სჭირდება 8—10 თვე, თუ მეტი არა, ხოლო ხმელთაშუა ზღვით სულ მცირე — 2—3 თვე (თუნდაც მარსელამდე, შედარებით ახლომდებარე ნავსადგურამდე), თანაც ამ შორეულ გზებზე ხშირია ქარიშხლები და თარეშობენ მეკობრეები, ახალ გზაზე კი (შავი ზღვიდან პოლონეთში) ისინი ცოტაა[52].

ამ პერიოდში საქართველოსა და პოლონეთს შორის არსებობდა პოლიტიკური და სავაჭრო კონტაქტები[53].

პიეტრო დელა ვალე ამის შესახებ წერდა: „პოლონეთის ხელმწიფეს, როგორც ამბობენ, ამ მთავრებთან (დადიანთან და გურიელთან — მ. ს.) მეგობრობა და მიმოწერა აქვს. ხშირად ერთი ქვეყნიდან მეორეში დადიან სავაჭრო ხომალდები. ამ გარემოებას შეიძლება დიდი შედეგი მოჰყვეს ქართველების სასარგებლოდ, რადგანაც კაზაკები დღეს შავი ზღვის ბატონები არიან და ბევრად ძლიერნი. პოლონეთის ხელმწიფეს ამ გზით (შავი ზღვის გზით, — მ. ს.), რომელიც ძალიან მოკლეა, შეუძლია კიდევ დიდი დახმარება აღმოუჩინოს ქართველებს ყოველთვის, გაჭირვების დროს, რომელიც მათ სპარსელებისაგან და თურქებისაგან მოელით“[54].

პიეტრო დელა ვალე, საქართველოში რომის პაპის მიერ გამოგზავნილ მისიონერებს მოუწოდებდა: „თქვენ, წმინდა მამებო, ვალდებული ხართ გამოიყენოთ ყოველგვარი საშუალება, რათა დაიყოლიოთ მეფე (თეიმურაზი) გახსნას გზა და დაამყაროს სავაჭრო ურთიერთობა შავი ზღვის საქართველოს ნავსადგურებიდან პოლონეთთან, რომელსაც

---

[52] Pietro della Vallé, Voyages, p. 265.

[53] დაწვრილებით იხ. ი. ცინცაძე, მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, გვ. 40—60.

[54] Pietro della Valle, Informatione... p. 8. თარგმანი, ივერია, 1879, № 3.

ასევე ნავსადგურები აქვს შავი ზღვის სანაპიროებზე, მათ შორის, მდ. ბორისფენის (დნეპრის) შესართავთან, რომლის ნაპირებზეც ცხოვრობენ კაზაკები — პოლონეთის მეფის მორჩილი ვასალები. შავ ზღვაზე მათ აქვთ მრავალრიცხოვანი შესანიშნავი ხარისხის შეიარაღებული ხომალდები"[55]...

პოლონეთსა და კავკასიას შორის ვაჭრობაში დიდ აქტიურობას იჩენდნენ პოლონეთსა და უკრაინის ქალაქებში მცხოვრები სომეხი ვაჭრები.

ჩვენი აზრით, ის ფაქტი, რომ ლევან დადიანმა თავის ქვეყანაში დაასახლა სომეხი ვაჭრები, გარკვეულად უკავშირდება დადიანის სავაჭრო პროექტს. ალბათ იგი, აგრეთვე, ამყარებდა იმედს ადგილობრივი სომხების კონტაქტებზე პოლონეთში მოსახლე სომხებთან და ფიქრობდა, რომ ისინი აქტიურად დაუჭერდენ მხარს მის სავაჭრო გეგმას.

წყაროების ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ პოლონეთი დაინტერესებული იყო ლევან დადიანის პროექტით, რადგანაც ირანიდან პოლონეთში აბრეშუმის შემოტანის ყველაზე მოკლე და უსაფრთხო გზა გადიოდა საქართველოსა და შავ ზღვაზე. იმ ეპოქის ევროპაში პოლონეთი იყო აბრეშუმის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მთავარი მომხმარებელთაგანი. ჩვენი ვარაუდით, 1643 წელს კონსტანტინოპოლში წარმოებდა მოლაპარაკება ლევან დადიანისა და პოლონეთის წარმომადგენლებს შორის და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ მიზეზით ისინი დააპატიმრეს თურქებმა.

შესაძლებელია აგრეთვე ვივარაუდოთ, რომ ამავე მიზნით დადიანმა პოლონეთში გაგზავნა გამოცდილი ქართველი დიპლომატი ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი, რომელიც იყო მრჩეველი ლევან დადიანის კარზე და განაგებდა საგარეო საქმეებს. საყურადღებო ცნობები ირუბაქიძის მოღვაწეობის შესახებ მოეპოვება ჟ. ძამპის, რომელიც XVII ს-ის 50—60-იან წლებში ცხოვრობდა სამეგრელოში და იყო თეათინთა ორდენის პრეფექტი. მისი სიტყვებით ირუბაქიძე კარგად ერკვეოდა პოლიტიკაში და რამდენჯერმე იყო იერუსალიმში, შემოიარა მთელი ევროპა, ეწვია საფრანგეთს, ინგლისს, ესპანეთს, პოლონეთს... არ არის გამორიცხული, რომ ირუბაქიძე დადიანის დავალებით ჩავიდა პოლონეთში და იქიდან გაემგზავრა საფრანგეთში[56].

ბუნებრივია, რომ ირანიდან აბრეშუმისა და სხვა საქონლის გამო-

---

[55] ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, ტ. II, გვ. 125.

[56] ჟან შარდენი, მოგზაურობა..., გვ. 26.

სატანად და მათი ჩატანისათვის პოლონეთში ახალი გზით (საქართველო — შავი ზღვა) საჭირო იყო ირანის შაჰის თანხმობა. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ პოლონეთისა და შვეციის მეფეებმა გაუგზავნეს გოლშტეინის ჰერცოგს სიგელები წინადადებით „სპარსეთში ვიმოგზაუროთ საქართველოსა და შავი ზღვის გავლით“[57]. ამავე მიზნით პოლონეთის მეფემ სპარსეთში გაგზავნა თავისი წარმომადგენელი შენბერგი[58].

არსებითად, შაჰი არ იყო წინააღმდეგი იმისა, რომ სპარსული აბრეშუმი და სხვა საქონელი ჩაეტანათ ევროპაში საქართველოსა და შავი ზღვის გავლით. ეს ხელსაყრელიც იყო ირანისათვის, რადგანაც ამით მცირდებოდა თურქეთის საბაჟო შემოსავალი და შესაბამისად ზარალდებოდა თურქეთის ვაჭრობა — ირანის ძირითადი პოლიტიკური მეტოქისა. მაშასადამე, ყველა მხარე დაინტერესებული იყო ამ სავაჭრო პროექტის რეალიზაციით. მაგრამ მისი განხორციელება შეუძლებელი აღმოჩნდა თურქეთის მთავრობის ჩარევის შედეგად.

ლევან დადიანის პროექტი ლახავდა ოსმალეთის სავაჭრო-ეკონომიკურ ინტერესებს, მის მიერ შემოთავაზებული ირანის აბრეშუმის სატრანზიტო გზა — საქართველოსა და შავი ზღვის გავლით — ართმევდა თურქეთს საბაჟო გადასახადს და, რაც მთავარია, უქმნიდა საფრთხეს ოსმალეთის განუყოფელ ბატონობას შავ ზღვაზე, რომელიც მას „თავის ტბად“ მიაჩნდა. ამ გეგმის რეალიზაციის შემთხვევაში საქართველოსა და შავი ზღვის მნიშვნელობა საერთაშორისო სატრანზიტო ვაჭრობაში ფრიად გაიზრდებოდა, რაც ხელს შეუწყობდა საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას, მაგრამ ოსმალეთის იმპერია მტკიცედ იცავდა თავის სავაჭრო ინტერესებს შავ ზღვაზე და პროექტი ახალი გზით აბრეშუმის ექსპორტისა განუხორციელებელი დარჩა.

სულთნის კარზე ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს, რა ხდებოდა დასავლეთ საქართველოში და თუ დაინახავდნენ, რომ მისი მთავრები ოსმალეთის ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებდნენ, მაშინვე სასწრაფო ზომებს იღებდნენ.

1632 წელს ირანის შაჰის ჯარის დახმარებით გამაჰმადიანებული როსტომ ხანი (ხოსრო მირზა) ქართლის მეფე (ვალი) გახდა. თეიმურაზ I იმერეთში გაიქცა, როსტომი უცოლო იყო და მას დიდებულებმა ურჩიეს ცოლად მოეყვანა დადიანის და მარიამი, როსტომ მეფემ ეს იდეა შაჰს შეატყობინა და ნებართვა სთხოვა. შაჰი ამას დადები-

---

[57] Е. С. Зевакин, М. А. Полиевктов, К истории прикаспийского вопроса, с. 2.

[58] იქვე.

თად შეხვდა. ამ დროს მიმდინარეობდა ირან-ოსმალეთის ომი და სა-მეგრელოს გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა მის გეგმებში. თავის მხრივ ლევან II დადიანიც დაინტერესებული იყო როსტომ მეფესთან დამოყვრებით, რადგანაც იგი ქართლის სამეფოში ხედავდა თავის მოკავშირეს იმერეთის მეფის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. იგი, აგრეთვე, დაინტერესებული იყო ირანთან დაახლოებითაც, ვინაიდან მას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განზრახული ჰქონდა ირანის აბრეშუმი საქართველო-შავი ზღვით ევროპაში გაეტანა.

როსტომ მეფე და ლევან დადიანი შეთანხმდნენ, როდის მომხდარიყო ქორწილი. ლევან დადიანი იმერეთში უნდა მისულიყო ლაშქრით, როსტომიც უნდა გამოსულიყო თავისი ჯარით და მეფე-დედოფალი უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს. იმერეთის მეფეს გიორგის კარგად ესმოდა, რომ როსტომ მეფისა და ლევან დადიანის დამოყვრება მათ შორის პოლიტიკური კავშირის დადებასაც ნიშნავდა. იმერეთის სამეფო მტრული გარემოცვის რკალში აღმოჩნდებოდა. როსტომ მეფე უკმაყოფილო იყო იმით, რომ იმერეთის მეფემ თეიმურაზს თავშესაფარი მისცა. იმერეთის მეფეს განსაკუთრებით აწუხებდა ის, რომ ამ ქორწინების შედეგად კიდევ უფრო გაიზრდებოდა ლევან დადიანის გავლენა. მან გადაწყვიტა ხელი შეეშალა ამ ქორწინებისათვის და არ მისცა გზა როსტომს, მაგრამ როსტომმა მაინც შესძლო დანიშნულ ადგილას ჩასვლა. იმერეთის მეფემ გიორგიმ სასიძოსთან წამოსულ ლევან დადიანს გზა გადაუჭრა და თავისი ჯარით წინ დაუდგა. ბაღდადის მახლობლად კაკას ხიდთან მოხდა ბრძოლა. იმერეთის ჯარში იყო თეიმურაზ მეფეც თავისი დიდებულებით, ხოლო დადიანს მხარი დაუჭირა გურიელმა. ბრძოლაში გიორგი მეფე დამარცხდა და ტყვედ ჩაუვარდა ლევან დადიანს. დადიანმა და მისმა მომხრეებმა სცადეს იმერეთში გაემეფებინათ ქაიხოსრო (მალაქია) გურიელი[59].

ირანის შაჰი განსაკუთრებით კმაყოფილი იყო ლევან დადიანთან დაახლოებით და მისი წარმატებებით. შაჰს საშუალება ეძლეოდა გამოეყენებინა იგი არა მარტო ოსმალეთის, არამედ თეიმურაზ მეფის წინააღმდეგ, რომელიც იმერეთში იმყოფებოდა და ოსმალეთს დახმარებას თხოვდა. შაჰმა სათანადოდ დააფასა მისი სამსახური.: „სპარსეთის შაჰმა ლევანს 50000 მარჩილი გაუგზავნა“ და გარდა ამისა „წელიწადში ათასი თუმანი ჯამაგირი გაუჩინა“[60].

1634 წლის 22 მაისს სტამბულში მიღებულ იქნა ცნობა, რომ „დადიანი და გურიელი შეთანხმდნენ და ირანისაკენ მიბრუნდნენ. და-

---

[59] მ. რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი ლ ი, დასავლეთ საქართველო XVII საუკუნეში, გვ. 37, 38, 39; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი IV, გვ. 318.

[60] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 33.

დიანმა თავისი ქალიშვილი შაჰის მიერ დანიშნულ ზაგემის გამგებელს შეათხოვა"[61]. „თეიმურაზი იმერეთიდანაც გადაიხვეწა"[62].

სულთნის კარზე ცოტა ხნის შემდეგ კიდევ უფრო საშიში ცნობა მიიღეს ახალციხის ფაშასაგან, რომელსაც უშუალოდ ევალებოდა თვალყური ედევნებინა დასავლეთ საქართველოსათვის. „ჩილდირის (ახალციხის) ბეგის საფარის ცნობით, ირანი, დადიანი და გურიელი გაერთიანდნენ და 30000-მდე ურწმუნო საქართველოს ძოსახლეობა. დადასტურდა, რომ დადიანის და გურიელის მეშვეობით შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე გონიოსა და ტრაპიზონს საფრთხე ელოდებაო. ამიტომ, აუცილებელია ხმელეთიდან ჯარისა და სამეფო ფლოტის გამოგზავნა, იმ მხარის დაცვა და დადიანისა და გურიელის ვილაეთების დარბევაო"[63].

სულთანმა სასწრაფო ზომები მიიღო „ურჩი ვასალების" მიმართ.

1634 წელს თურქები შეიჭრნენ სამეგრელოში, დაარბიეს კოდორის ახლომახლო სოფლები და გაძარცვეს დრანდის მონასტერი. დადიანი იძულებული იქნა მორჩილება გამოეცხადებინა ოსმალეთისათვის[64]. გურიელმაც სულთანს მორჩილება გამოუცხადა და მიართვა საჩუქრები და ხარაჯა[65].

სულთნის მიერ ასეთი სწრაფი და ენერგიული ზომების მიღება დასავლეთ საქართველოს წინააღმდეგ აიხსნება იმითაც, რომ ოსმალეთში ქართლის მეფისა და დადიანის დამოყვრება მიაჩნდათ მის წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკურ ღონისძიებად და შაჰის ჩარევად დასავლეთ საქართველოს საქმეებში, რაც, მათი თვალსაზრისით, ყოკლად დაუშვებელი იყო.

ლევან II დადიანის სიკვდილის შემდეგ (1657 წ.) დასავლეთ საქართველოში დაიწყო ფეოდალური არეულობა, რის შედეგადაც მეფისა და მთავრის ხელისუფლება კიდევ უფრო დასუსტდა. XVIII ს-ის 60-

---

61 გ. ალასანია, ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 236; ნ. შენგელია, მუსტაფა ნაიმას ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თბ., 1979, გვ. 190.

62 ნ. შენგელია, მუსტაფა ნაიმას ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 190; მუსტაფა ნაიმა, ტ. III, გვ. 216, 217.

63 გ. ალასანია, ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 236; ნ. შენგელია, მუსტაფა ნაიმას ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 190, 191, 191; მ. ნაიმა, ისტორია, ტ. III, გვ. 211, 217; გ. ქორქოლიანი, საქართველო XVII საუკუნის 30—50-იან წლებში, თბ., გვ. 45—48.

64 დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. II, გვ. 425; ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია, თბ., 1922, გვ. 50; მ. რეხვიაშვილი, დასავლეთ საქართველოს ისტორია XVII ს-ში, გვ. 42.

65 ნ. შენგელია, მუსტაფა ნაიმას ცნობები..., გვ. 191; მუსტაფა ნაიმა, ისტორია. ტ. III. გვ. 217.

იანი წლებიდან, წერს ნ. ბერძენიშვილი, მთელი დასავლეთ საქართველო საშინელმა ანარქიამ მოიცვა (ის დაახლოებით ას წელიწადს გრძელდებოდა). მეფის თუ მთავრის ხელისუფლება კიდევ უფრო დაეცა, ქვეყანა თავადების სათარეშოდ იქცა. დადიანი, გურიელი, ქართლის ბატონიშვილი, აბაშიძე თუ იმერეთის ბატონიშვილი თავადების სურვილით წარამარა ცვლიდნენ ერთი მეორეს სამეფო ტახტზე (40 წელიწადში ოცჯერ შეიცვალა მეფე, ამათგან მხოლოდ ერთი შერჩა მეფობას ბუნებით სიკვდილამდის)[66]...

სულთნის მთავრობამ არ დააყოვნა გამოეყენებინა დასავლეთ საქართველოში შექმნილი ვითარება თავისი პოლიტიკური ინტერესების სასარგებლოდ. ამას ადასტურებს ორი ოფიციალური თურქული დოკუმენტი, შედგენილი ლევან II დადიანის სიკვდილის შემდეგ: „დადიანის დაწინშვნის თაობაზე დიდი ვეზირის მიერ იმერეთის გამგებლისადმი გაგზავნილი მაღალღირსეული წერილის პირი“[67] და მეორე — „დიდი ვეზირის მიერ დადიანის ტომის თავადებისადმი გაგზავნილი წერილის პირი“[68].

ამ დოკუმენტების ანალიზიდან ირკვევა, რომ ოსმალეთის მთავრობა აღარ ცნობდა იმერეთის მეფის პრეროგატივად დაენიშნა დადიანი და გურიელი. ამიერიდან მათი დანიშვნა უნდა მომხდარიყო სულთნის „ბრწყინვალე ბერეთის“ გაცემის საფუძველზე, სულთნის ნებართვით. ეს კი მეტად მნიშვნელოვანი მომენტი იყო ოსმალეთის დასავლეთ საქართველოსთან ურთიერთობის საქმეში. თუ სულთანი შესძლებდა ამ ღონისძიების ცხოვრებაში გატარებას, მაშინ არ იყო გამორიცხული, რომ ცოტა ხნის შემდეგ იგი ამავე უფლებას განახორციელებდა თვით იმერეთის მეფის დანიშვნის თაობაზედაც, რაც მნიშვნელოვნად შეცვლიდა სულთნის ურთიერთობის პოლიტიკურ ფორმას დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებთან. მიუხედავად დასავლეთ საქართველოს მძიმე პოლიტიკური მდგომარეობისა, ოსმალეთის მთავრობამ ვერ შესძლო ამ გეგმის განხორციელება.

ოსმალეთი ყოველნაირად ხელს უწყობდა და აღრმავებდა ქვეყნის აშლილობას. დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა შორის აშლილობით ოსმალეთმა იმითაც ისარგებლა, რომ მათი მოწვევით დასავლეთ საქართველოს ზოგ ქალაქსა და ციხეში თავისი ჯარები ჩაა-

---

66 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, გვ. 274.

67 ვ. ჩოჩიევი, იმერეთის სამეფოს და ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVII საუკუნის მეორე ნახევარში, თსუ შრომები, აღმოსავლეთმცოდნეობა, ტ. 250, თბ., 1985, გვ. 105—123.

68 ს. ჯიქია, ეპიზოდი ოდიშის პოლიტიკური ისტორიიდან, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966, გვ. 213.

ყენა. ოსმალთა ჯარის ერთ-ერთი ასეთი ლაშქრობა დასავლეთ საქართველოში მოეწყო 1663 წ., რომელიც აღწერილი აქვს პასან აღა ნამის „გურჯისტანის დაპყრობის წიგნში“[69].

„XVII საუკუნის 70-იან წლებში, — წერს ნ. ბერძენიშვილი, — იმერელმა თავადებმა ოსმალთა ჯარი ქუთაისის ციხეში შეიყვანეს. ამით გარეშე მტერმა ქვეყნის შუაგულში ფეხი მკვიდრად მოიკიდა. თუ ამის შედეგად ოსმალთა ხელისუფლების დამყარება და ქვეყნის გამაჰმადიანება არ მოჰყვა, როგორც ეს სამცხე-საათაბაგოში მოხდა, ამის მიზეზი აგრესორის დასუსტება იყო, ვიდრე დასავლეთ საქართველოს გადაშენების გზაზე მდგომი ფეოდალური საზოგადოების თავდაცვის უნარიანობა“[70].

ნ. ბერძენიშვილის ეს დებულება ერთგვარ დაზუსტებას მოითხოვს. მართალია, ამ დროს აგრესორი დასუსტებული იყო, მაგრამ ოსმალეთს ჯერ კიდევ შესწევდა უნარი ახალი ქვეყნების დაპყრობისა. გავიხსენოთ, მაგალითად, 1723 წ. ოსმალების მიერ ქართლის დაპყრობის შემდეგ მისი აღწერა და თბილისის დავთრის შედგენა. დასავლეთ საქართველოში შექმნილი ვითარება ასე წარმოგვიდგება: მიუხედავად იმისა, რომ ოსმალებმა ქვეყნის შუაგულში, ქუთაისის ციხეში ჯარი ჩააყენეს, „ფეხი მტკიცედ“ ვერ მოიკიდეს. მათ ვერ გაბედეს ქვეყნის აღწერა და დავთრის შედგენა. მართალია, დასავლეთ საქართველოს მთავარ ციხე-ქალაქებში ოსმალთა გარნიზონები იდგა, მაგრამ ისინი ვერ ბედავდნენ ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევას და საგარნიზონო სამსახურით კმაყოფილდებოდნენ. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის მედგარი წინააღმდეგობა იყო, მიუხედავად ფეოდალური სახოგადოების მოშლისა, დასავლეთ საქართველო ოსმალთა ბატონობის პირობებში მრავალი სპეციფიკური თავისებურებით ხასიათდებოდა.

დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური მეთვალყურეობა ახალციხის ფაშას ევალებოდა. იგი ვალდებული იყო სულთნის კარისათვის მოეხსენებინა იქ მომხდარი ამბები. მას უნდა მოეწესრიგებინა იქ წამოჭრილი პოლიტიკური კონფლიქტი ოსმალეთის პოზიციებიდან. მისი მონაწილეობით ხდებოდა მეფე-მთავრების დასმა-გადაყენება და სხვა. ვახუშტი ახალციხის ფაშების შესახებ წერდა: „აქ უნდათ ბრძანება ყველათა საქმეთა ზედა იმერეთისათა და მართვიდნენ ესენი“[71].

---

[69] Ц. А. Абуладзе, Н. Н. Шенгелия, Источниковедческая характеристика „Книги завоевания“ Нами, Бартольдовское чтение 1987, год восьмой, М., 1987, с. 8. ამ წყაროს გამოსაცემად ამზადებენ ავტორები.

[70] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, გვ. 275.

[71] ვახუშტი, აღწერა..., ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 258.

თურქი ისტორიკოსის ი. უზუნჩარშილის ცნობით, დასავლეთ საქართველოს სამ სამთავროში იმერეთში, სამეგრელოში და გურიაში ვითარების დადგენა, აჯანყების ჩახშობა, ხარაჯის აკრეფა და სახელმწიფო ხაზინაში გაგზავნა ევალებოდა ჩილდირის (ახალციხის) ბეგლარბეგს... საშინაო საქმეებში ისინი სრული დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ და თავიანთ ქვეყნებს თვითონვე მართავდნენ[72].

დასავლეთ საქართველოში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმეების მოგვარების დროს ახალციხის ფაშა არზრუმის ფაშას მიმართავდა და მისი ხელმძღვანელობით მოქმედებდა. „ძნელოვან საქმეებს, წერს ვახუშტი, აუწყებდნენ არზრუმის ფაშას და მით განმართვიდნენ“[73].

ასეთი იყო ზოგადად XVII საუკუნის პირველ ნახევარში დასავლეთ საქართველოს ურთიერთობა ოსმალეთთან.

---

[72] I. H. Uzunçarşılı, Osmanlı Tarihi, IV cilt, 2 kisim, Ankara 1959, s. 126.

[73] ვახუშტი, აღწერა..., ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 58.

ქართველები ირანისა და ოსმალეთის პოლიტიკურ სარბიელზე XVI—XVII სს-ში

ქართველი ქალები შაჰ-თამაზ I-ის კარზე

სეფიანთა ირანის პოლიტიკურ და კულტურულ ასპარეზზე ქართველების მოღვაწეობის შესახებ არაერთი საყურადღებო წერილი დაიბეჭდა. შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი ირანში სხვადასხვა გზით მოხვედრილი ქართველი ქალების ცხოვრება. „...ის ქალები მეფე-დიდებულთა ოჯახებიდან, რომელიც იგზავნებოდნენ შაჰის კარზე, როგორც მეუღლენი და თანამეცხედრენი მრისხანე ტირანისა, ან იძულებით, ან ნებაყოფლობით, უკანასკნელ შემთხვევაში იმ ანგარიშით, რომ დასიძების გზით აეცილებინათ და ასე თუ ისე შეერბილებინათ გულისწყრომა და რისხვა ამ ჯალათისა, საბოლოოდ ამ ქალებსაც სამშობლოსათვის განწირულთა როლში ვხედავთ. რამდენი მწარე ცრემლი დაუღვრიათ მათ სამშობლოსა და მშობლიურ მხარეს გაშორებული! რამდენი დამცირება, შეურაცხყოფა და გულის ტკივილი გადაუტანიათ მათ უცხო ქვეყანაში! ეს ქალები ღირსნი არიან იმისა, რომ მათი სახელებიც მოხსენებულ იქნეს იმ პირთა შორის, რომელნიც საქართველოს სამსხვერპლოზე იღვწოდნენ ქვეყნის ავბედობის დროს“[1], — წერდა აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე.

მართალია, ეს შაჰ-აბასის კარზე მყოფი ქართველი ქალების შესახებაა თქმული, მაგრამ იგივე შეიძლება გავიმეოროთ, საერთოდ, ირანის სამეფო კარზე მყოფი ქართველი ქალების შესახებაც.

XVI—XVII სს. საქართველოს ისტორიაში ძნელბედობის ხანაა. ამ დროს განსაკუთრებით გაძლიერდა სეფიანთა ირანის ექსპანსია საქართველოს მიმართ. ამის ერთ-ერთი დამადასტურებელია შაჰ-თამაზის ხუთგზის ლაშქრობა საქართველოში. ამ ლაშქრობების შედეგად ათასობით ქალ-ვაჟი ტყვედ წაიყვანეს ირანში.

ქართლ-კახეთის მეფეები და სამცხის ათაბაგები აგრეთვე იძულე-

[1] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართველი ქალები შაჰ-აბასის კარზე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. IV, 1957, გვ. 217—225.

ბით თუ გულის მოგების მიზნითაც უგზავნიდნენ შაჰს ქალიშვილებს. შაჰის ჰარამხანა 400—500 ქალს ითვლიდა. ისინი უმთავრესად კავკასიის ქვეყნებიდან იყვნენ.

შაჰ-თამაზ პირველს (1524—1576 წწ.) თავის მრავალ ცოლთაგან 12 ვაჟი და 8 ასული ჰყავდა. მათ შორის ოთხი ვაჟი და ერთი ქალიშვილი ქართველი ცოლებისაგან შეეძინა, ხოლო ჩერქეზი ქალებისაგან ჰყავდა ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი. ქართველი ცოლებისაგან შაჰ-თამაზს ჰყავდა: 1. ჰეიდარ-მირზა (დედამისი — სულთან ზადე ხანუმი), 2. მუსტაფა-მირზა (დედამისი — ზაჰრა ბაჯი), 3. იმამყული-მირზა (დედამისი — ხანფარვან ხანუმი) და 4. ალიმირზა (ისიც ზაჰრა ბაჯის ვაჟი იყო), ხოლო შაჰის რვა ასულთაგან დედით ქართველი იყო ზეინაბ ბეგუმი, რომელსაც ადრე ანა ერქვა[2].

შაჰ-თამაზის ქართველი ცოლებისა და მათი შვილების შესახებ ქართულ წყაროებში ძალზე ძუნწი ცნობებია შემონახული. აღმოსავლური და ევროპული წყაროების ანალიზის შედეგად ვცადეთ ნაწილობრივ მაინც გაგვერკვია მათი ვინაობა და ცხოვრება.

ვახუშტისა და ბერი ეგნატაშვილის ცნობით, 1548 წელს შაჰ-თამაზმა ქაიხოსრო II (1545—1573 წწ.) ათაბაგს ასული სთხოვა ცოლად. „არამედ ათაბაგს არა ესუა ასული, გარნა მისცა ასული ოთარ შალიკაშვილისა, რამეთუ ნათესავი ახლოს იყო ქაიხოსროსი. ამით დაემზახლა შაჰ თამაზ“[3].

ქართული წყაროების (ვახუშტი, ბერი ეგნატაშვილი) მიხედვით, შაჰ-თამაზის უფროსი ვაჟის მოჰამედ-მირზას (ხოდაბანდეს) დედა ოთარ შალიკაშვილის ასული იყო. მაგრამ ეს არ დასტურდება სპარსული წყაროებით. სპარსული წყაროებიდან ცნობილია, რომ შაჰ-თამაზის ორი უფროსი ვაჟის მოჰამედ-მირზას (ხოდაბანდე) და ისმაილ-მირზას დედა იყო სულთანამი თორქემანი მუსავალის ტომიდან[4].

მოჰამედ-მირზასა და ისმაილ-მირზას დედა შალიკაშვილის ასული

---

[2] ნასროლა ფალსაფი, შაჰ-აბას პირველის ცხოვრება, ტ I, თეირანი, 1947 (სპარსული), გვ. 10, 11; ქართული თარგმანი ლ. ჟორჟოლიანისა, იხ. უცხოური ლიტერატურის რეფერატული კრებული (ისტორია), № 6, თბ., 1978, გვ. 9, 10; ჯ. ტაბატაძე, შერეფ-ხან ბითლისელის ცნობები საქართველოს შესახებ, „კავკასია-ახლო აღმოსავლური კრებული“, თბ., 1962, ტ. II, გვ. 174. 175; Шараф-хан Бидлиси. Шараф-наме. М., 1976, т. II, с. 229—232.

[3] ვახუშტი, აღწერა..., ქართლის ცხოვრება, IV ტ. გვ. 715; ბერი ეგნატაშვილი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 364.

[4] ნ. ფალსაფი, შაჰ-აბას პირველის ცხოვრება, ტ. I. 19, თარგმანი, გვ. 9; ჯ. ტაბატაძე, შერეფ-ხან ბითლისელის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 175; დ. კაციტაძე. ქართულ-ირანული ურთიერთობანი, „ცისკარი“, 1978, გვ. 137, 139.

ვერ იქნებოდა, რადგან როცა შაჰ-თამაზმა იგი ცოლად მოიყვანა (1548 წ.), ორივე ვაჟიშვილი საკმაოდ მოზრდილი იყო (15 წელს გადაცილებული).

შეიძლება ვიფიქროთ, რომ შაჰ-თამაზის ქართველი ცოლებისაგან შეძენილ ვაჟებს შორის ყოფილიყო ჰეიდარ-მირზა, შალიკაშვილის ასულის შვილი, მაგრამ წყაროებში ამის შესახებ არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება. ამასთან, გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: შალიკაშვილების ფეოდალური ოჯახის წარმომადგენლები, რომელთა შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი, არ იღებდნენ მონაწილეობას შაჰ-თამაზის სიკვდილის შემდეგ ტახტისათვის გამართულ ბრძოლაში, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ოთარ შალიკაშვილის ასულს შაჰისაგან ვაჟი არ ჰყოლია. უფრო მეტად საფიქრებელია, რომ შალიკაშვილის ასულს შაჰ-თამაზისაგან შეეძინა ქალიშვილი (ანა), შემდგომში ზეინაბ ბეგუმად წოდებული.

შაჰ-თამაზს თავისი ვაჟიშვილებიდან განსაკუთრებით უყვარდა ჰეიდარ-მირზა. შაჰი მის რჩევას და დახმარებას სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტის დროსაც ითვალისწინებდა, მას შაჰის მოადგილესაც უწოდებდნენ.

ჰეიდარ-მირზას შესახებ მეტად საყურადღებო ცნობებს გვაწვდის 1571 წელს ირანში ჩასული ვენეციის რესპუბლიკის ელჩი დ' ალესანდრო. მისი გადმოცემით: „ჰეიდარ-მირზა შაჰის დიდი ნდობით სარგებლობს. იგი 18 წლისაა, ტანმორჩილი, მაგრამ გარეგნობით მეტად ლამაზია. ჰეიდარ-მირზა შესანიშნავი ორატორია და ბრწყინვალე მოჯირითე"[5].

სპარსელი მემატიანის შერეფ-ხან ბითლისელის ცნობით, ჰეიდარ-მირზასა და იმამყული-მირზას ბიძები დედის მხრიდან იყვნენ ალიხან-გურჯი და ზაალ-გურჯი[6]. მაგრამ, როგორც ზემოთ მივუთითეთ, ჰეიდარ-მირზასა და იმამყული-მირზას სხვადასხვა დედები ჰყავდათ. ირანელი ისტორიკოსის ნასროლა ფალსაფის სიტყვით, ქართველი სარდლები ზაალი, დაუდი, თამაზი იყვნენ იმამყული-მირზას დედის — ხანფარავან ხანუმის ძმები და ისინი მხარს უჭერდნენ ჰეიდარ-მირზას იმის გამო, რომ ჰეიდარი დედით ქართველი იყო. მისივე დაკვირვებით, ალი-ხანი ჰეიდარ მირზას ბიძა იყო[7].

---

[5] Travels of Venetians in Persia (A Narative of Italian Travels in Persia in the XV and XVI centuries), v. 49, London, 1873, p. 125.

[6] კ. ტაბატაძე, შერეფ-ხან ბითლისელის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 175; Шараф-хан Битлиси, т. II, с. 229, 230.

[7] ნ. ფალსაფი. შაჰ-აბას პირველის ცხოვრება. ტ. I. 18, 19; თარგმანი, გვ. 9, 10.

ვინ იყო ეს ქართველი სარდალი ალი-ხანი, რომელიც ასე ენერგიულად იბრძოდა თავისი დისშვილის ჰეიდარ-მირზას გამეფებისათვის?

„მესხურ ქრონიკაში“ ასეთი ცნობაა დაცული: „იოთამაშვილმან ალიხან სულთან ჰაიდარმირძას ბატონობაჲ მოინდომეს“[8].

მესხი ფეოდალები, როგორც ქვემოთ დავინახავთ, აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ირანის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამიტომ საფიქრებელია, რომ „მესხურ ქრონიკაში“ დამოწმებული ალიხან — ჰეიდარ-მირზას დედის ძმაა. თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, მაშინ ჰეიდარ-მირზას დედის გვარი ყოფილა იოთამაშვილი.

ნასროლა ფალსაფის სიტყვით, ირანში მოღვაწე ეს ქართველი სარდლები სახელგანთქმულნი იყვნენ თავიანთი სიმამაცით, ისინი საქართველოში ქონებასა და მამულებს ფლობდნენ[9].

„მესხური ქრონიკის“ ანალიზით ირკვევა, რომ სამცხის ათაბაგსა და მისი ოჯახის წევრებს ამ დროს მჭიდრო ურთიერთობა აქვთ შაჰის კართან.

1572 წელს ყაზვინში ჩავიდა ქაიხოსრო II ათაბაგი. წყაროდან არ ჩანს, ქაიხოსრო ყაზვინში წავიდა შაჰის მიწვევით თუ საკუთარი ინიციატივით: „წაბრძანდა ქაიხოსრო ყაზვინს შათამაზ ყეენს წინაშე“[10].

ამ დროს ყაზვინში ტყვეობაში იმყოფებოდა არჩილ მუხრან ბატონი, ქაიხოსრო II ათაბაგის ცოლის (დედისიმედის) ძმა. დედისიმედი მეტად ენერგიული ქალი იყო და აქტიურ მონაწილეობას იღებდა საათაბაგოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

1573 წლის მაისში ქაიხოსროს ვაჟი „ბატონი თვალშჩენიერი საყაზმინოდ წავიყვანეთ“[11]. რა იყო მიზეზი თვალშჩენიერის (ივანეს) ყაზვინში გამგზავრებისა, მემატიანე ამის შესახებ დუმს.

ქრ. შარაშიძე „ქრონიკის“ ამ ადგილთან დაკავშირებით შენიშნავს: „მემატიანე ღალატობს თავის ჩვეულებრივ სიტყვაძუნწობას და მთელ 12 სტრიქონს უძღვნის ამ გამგზავრებას, რომელიც 1573 წლის მაისის 27-დან ნოემბრის 20-მდე (და კიდევ უფრო მეტ დრობაც) გრძელდება. აქ ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ხსენებული გამგზავრება ლაშქრის მონაწილეობით ხორციელდება და სამხედრო ექსპედიციას წააგავს“[12].

---

8 სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVI სს.), ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა, თბ., 1961, გვ. 42, 43.

9 ნ. ფალსაფი, შაჰ-აბას პირველის ცხოვრება, ტ. I, გვ. 18, თარგმანი, გვ. 10.

10 სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები..., გვ. 40.

11 იქვე.

12 იქვე.

მართლაც, თუ ქაიხოსრო II ათაბაგის აზვინში წასვლა მხოლოდ ერთი წინადადებითაა გადმოცემული, მისი შვილის გამგზავრებას მემატიანემ რატომ დაუთმო ამდენი ადგილი? ამასთან მითითებულია თვალშვენიერის მგზავრობის მარშრუტიც: ახალციხე — გორი — ერევანი — აზვინი. საფიქრებელია, გორში თვალშვენიერი ინახულებდა არჩილ მუხრან ბატონის ძმებს — ბაგრატს, ვახტანგს (თავის ბიძებს), ხოლო ერევანში — მის გამგებელს ყარა-ხანს, რომელიც ირანში მყოფ ქართველებს უწერდა მხარს. უნდა ვიფიქროთ, რომ თვალშვენიერი რაღაც მოლაპარაკებას აწარმოებდა, რაც მის ირანში გამგზავრებასთან იყო დაკავშირებული. თვალშვენიერს დიდი და საპასუხისმგებლო მისია ჰქონდა დავალებული. მემატიანე ასე ამთავრებს თხრობას მისი აზვინში გამგზავრების შესახებ: „ამას უკანასკნელი საქმე ღმერთზედ ჰკიდიაო“[13].

ერთი სიტყვით, „მესხური ქრონიკის“ შემდგენელი (ათაბაგთა ოჯახის წევრი) ღმერთს თხოვს დახმარებას ამ მისიის წარმატებით დაგვირგვინებისათვის[14].

1573 წლის დამდეგს შაჰ-თამაზი ავად გახდა. ირანის კარზე შაჰის გამოჯანსაღება ეეჭვებოდათ და დაიწყეს ტახტზე ასაყვანი მემკვიდრის შერჩევა. შაჰ-თამაზის უფროსი ვაჟი მოჰამედ-მირზა (ხოდაბახდე), ფიზიკური ნაკლის (სუსტი მხედველობა) გამო პრეტენდენტთაგან გამორიცხულად მიაჩნდათ. მეორე ვაჟი ისმაილ-მირზა შაჰ-თამაზმა 1556 წელს დააპატიმრა, იმის შიშით, რომ ტახტს არ შესცილებოდა და იქიდან მოყოლებული კაჰკაჰის (ალამუტის) ციხეში იმყოფებოდა. მომდევნო ვაჟი მურად-მირზა შაჰ-თამაზის სიცოცხლეშივე გარდაიცვალა. ასაკით შემდეგი იყო ჰეიდარ-მირზა. ტახტის რეალური პრეტენდენტები იყვნენ ისმაილ-მირზა და ჰეიდარ-მირზა. შეიქმნა ერთმანეთის საპირისპირო ორი დაჯგუფება: ისმაილ-მირზას მომხრეთა შორის იყვნენ ყიზილბაშთა ტომების რუმლუს, აფშარისა და თორჩმანთა მეთაურნი, აგრეთვე, ჩერქეზი დიდებულები, შაჰ-თამაზის ჩერქეზი ცოლები და მათი შვილები.

ჰეიდარ-მირზას გამეფებას კი მხარს უჭერდნენ ყიზილბაშთა ყველაზე მრავალრიცხოვანი ტომის უსტაჯლუს ამირები, რომლებიც შაჰის კარზე ყველაზე დიდი გავლენით და ავტორიტეტით სარგებლობდნენ, შიხაველდის ტომის სუფიურ-დერვიშული ორდენის მეთაური, უაჯართა ტომის ამირების ერთი ნაწილი და თალიშის ტომის ამირები. ჰეიდარ-მირზას ტახტზე ასვლას, აგრეთვე, მხარს უჭერდნენ დედით ქარ-

---

13 სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 41.

14 მ. სვანიძე, ქართველი ქალები ირანში, „ლიტერატურული საქართველო“, 1964 წ. 8/3.

თველი ულისწულები და მათი ბიძები ალი-ხანი, ზაალ-ბეგი, დაუდი და თამაზი[15]. შაჰ-აბასის მემატიანის ისქანდერ მუნშის ცნობით, „სიაუშ-ბეგი ქართველი და მისი ძმა ფეროხ-ბეგი ბედნიერი და ძლიერი უფლისწულის სულთან ჰამზა-მირზას ნდობით აღჭურვილ პირთა შორის იმყოფებოდნენ“[16]. ფეროხ-ბეგი იყო შაჰის ხაზინადარი, ხოლო მისი ძმა სიაუშ-ბეგი შაჰ-აბასის დროს ცნობილი მხატვარი გახდა.

ნ. ფალსაფის გადმოცემით, გვირგვინისათვის ბრძოლაში ყველაზე მეტ აქტიურობას ორი ქალი იჩენდა: „შაჰ-თამაზის ჰარამხანაში სულთან ზადე ხანუმი, ჰეიდარ-მირზას დედა, რომელიც ქართველი ქალი იყო და შაჰს ყველა სხვა ცოლებზე მეტად უყვარდა, ქართველი სარდლების მეშვეობით, რომელთაც სამეფო კარზე დიდი გავლენა და ძალა ჰქონდათ, თავისი ვაჟის გასამეფებლად ნიადაგს ამზადებდა. მის საპირისპიროდ შაჰის ასული — გამჭრიახი, ცბიერი და ფრთხილი ფერიხან ხანუმი, რომელიც შაჰის უსაყვარლესი შვილი იყო, ცდილობდა შამისათვის ჰეიდარ-მირზასადმი უნდობლობა ჩაენერგა, ხოლო ისმაილ-მირზა მისთვის შეეყვარებინა. ამასთან იგი თავისი ბიძის, დედის ძმის, შამხალ-ხან ჩერქეზის საშუალებით ისმაილ-მირზას მომხრეებს სიმტკიცისა და შეუპოვრობისაკენ მოუწოდებდა და ისმაილ-მირზასთან საიდუმლო მიმოწერა ჰქონდა“[17].

ამ ორ დაჯგუფებას შორის ამჯერად ბრძოლა არ გამწვავებულა, რადგან შაჰი გამოჯანსაღდა. მაგრამ შაჰისათვის უცნობი არ დარჩა ის ამბები, რომელიც მის ავადმყოფობას მოჰყვა. ამის შესახებ შაჰს აცნობა მისმა ჩერქეზმა ცოლმა, ფერიხან-ხანუმის დედამ. მართალია, შაჰ-თამაზი ჰეიდარ-მირზას წინააღმდეგ განეწყო, მაგრამ რაიმე მკაცრი ზომები არ მიუღია. შაჰმა მიზანშეწონილად მიიჩნია, არ მიექცია ამისათვის ყურადღება და როცა იგი სავსებით გამოჯანსაღდა, ამ ამბების გამოძიება არ დაუწყია[18]. შაჰ-თამაზის ამ ნაბიჯმა ვერ შეაწუხა ტახტის პრეტენდენტთა შორის დაწყებული ბრძოლა და ისინი მოხუცი შაჰის გარდაცვალებას მოუთმენლად ელოდნენ.

1576 წლის მაისის დამდეგს შაჰ-თამაზი კვლავ შეუძლოდ გახდა. ამჯერად მისი გამოჯანსაღების იმედი არავის ჰქონდა. 14 მაისს, ღამით შაჰ-თამაზი გარდაიცვალა და დილით უკვე გამოაცხადეს, რომ ჰეიდარ-

---

[15] О. Эфендиев, Азербайджанское государство сефевидов в XVI веке, Баку, 1981, с. 124 — 131; კ. ტაბატაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 175 — 177.

[16] ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 27.

[17] ნ. ფალსაფი, შაჰ-აბასის ცხოვრება. ტ. I, გვ. 17, თარგმანი, გვ. 10, 11.

[18] ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 27; ნ. ფალსაფი, შაჰ-აბას პირველის ცხოვრება, ტ. I, გვ. 19, თარგმანი, გვ. 11.

შირზა გამეფდა, შაჰ-თამაზის ანდერძის თანახმად (ზოგიერთი ისტორიკოსი თვლის, რომ შაჰ-თამაზის ანდერძი ფალსიფიცირებული იყო ჰეიდარ-მირზას მომხრეების მიერ). მაგრამ ჰეიდარ-მირზა, ფაქტიურად სასახლეში დატყვევებული აღმოჩნდა, რადგან ამ დროს სასახლეს იცავდნენ რუმლუს, აფშარისა და უჯართა ტომების რაზმები, რომლებიც ისმაილ-მირზას მომხრენი იყვნენ. ზაალ ბეგმა ანსარის, ალამუტის ციხის კომენდანტს, ჰეიდარ-მირზას მომხრეს, წერილი გაუგზავნა, შაჰ-თამაზის გარდაცვალება აცნობა და მოუწოდა დაუყოვნებლივ მოეკლა ისმაილ-მირზა. გზაში ისმაილის მომხრეებმა შიკრიკი დააკავეს, წერილი ხელთ ჩაიგდეს და ისმაილს აცნობეს შაჰის კარზე მომხდარი ამბები.

ჰეიდარ-მირზას დაღუპვაში დიდი როლი ითამაშა ფერიხან-ხანუმმა. იგი ფეხებში ჩაუვარდა ჰეიდარს, პატიება სთხოვა, გამეფება მიულოცა და ერთგულება შეჰფიცა, ჰეიდარმა შეიწყნარა დიდებულები. მაგრამ სინამდვილეში ფერიხან-ხანუმი ფარულად მის წინააღმდეგ მოქმედებდა. მან სასწრაფოდ აცნობა ჰეიდარის მოწინააღმდეგეებს სასახლეში მომხდარი ამბები და მოუწოდა მიეღოთ გადამწყვეტი ზომები ჰეიდარის წინააღმდეგ. ფერიხან-ხანუმის მითითებით სასახლის ყველა კარი საიმედოდ დაკეტეს და დაცვა გააძლიერეს.

ჰეიდარის მომხრეები ცდილობდნენ მისთვის დახმარების აღმოჩენას, მაგრამ ეს თითქმის შეუძლებელი იყო, რადგან სასახლის დამცველი რაზმი მათი მოწინააღმდეგეებისაგან შედგებოდა. მათ გადაწყვიტეს სასახლეში შესვლა საღამოთი, როცა ყარაული შეიცვლებოდა ჰეიდარის მომხრე უსტაჯლუს ტომის მეომრებით. ჩანს, ეს გარემოება შეუმჩნეველი არ დარჩა ისმაილის მომხრეებს, რომლებმაც ასეთ ხერხს მიმართეს, გავრცელეს ხმა, რომ ისმაილი, ლაშქრითურთ უახლოვდება და მალე ქალაქში შემოვაო. ამან ძალა შემატა ისმაილის მომხრეებს და მის მხარდამჭერთა რიცხვმა იმატა. ჰეიდარის მომხრეებმა ძვირფასი დრო დაკარგეს. როცა მათ სასახლეზე იერიში დაიწყეს, უკვე გვიან იყო. ჰეიდარის მომხრეებმა, ქართველთა რაზმით, ზაალ-ბეგის მეთაურობით, სასახლეს შეუტიეს. ცხარე ბრძოლების შედეგად ზაალ-ბეგი, თავისი რაზმით სასახლეში შეიჭრა, რამდენიმე მცველი აჩეხა და ჰეიდარის ოთახისაკენ გაემართა. როდესაც მოწინააღმდეგეებმა დაინახეს, რომ მათი შეჩერება შეუძლებელი იყო, ჰეიდარი მოკლეს და მისი გასისხლიანებული თავი ქართველებს წინ გაუგორეს. ჰეიდარის მომხრეები მიხვდნენ, რომ საქმე წაგებული იყო და გაქცევით უშველეს თავს[19].

---

[19] О. Эфендиев, Азербайджанское государство сефевидов, с. 129.

ისმაილი მისმა მომხრეებმა პატიმრობიდან გაათავისუფლეს და 1576 წლის 22 ავგისტოს შაჰ-ისმაილ II სახელით გაამეფეს.

შაჰ-ისმაილ II სასტიკად გაუსწორდა თავის მოწინააღმდეგეებს. მან სიკვდილით დასაჯა თავისი ძმები (ხელი არ ახლო მხოლოდ თავის ღვიძლ ძმას ხოდაბანდეს და მის შვილებს). ასევე სასტიკად გაუსწორდა ჰეიდარ-მირზას მომხრეებს, მათგან მხოლოდ ალი-ხანმა შესძლო გაქცევა და საშშობლოში დაბრუნება.

შაჰ-ისმაილმა ქართლის მეფე სიმონ I, რომელიც მასთან ერთად 1569 წლიდან პატიმრობაში იმყოფებოდა, ტყვეობიდან გაათავისუფლა. შაჰ-ისმაილ II-ს დიდხანს არ უმეფია, 1577 წლის 22 ნოემბერს იგი გარდაიცვალა (თუ მოკლეს) და ტახტზე ავიდა მისი ძმა მოჰამედ ხოდაბანდე, თითქმის უსინათლო და სუსტი ნებისყოფის ადამიანი. მოჰამედ ხოდაბანდეს ტახტზე ასვლის პირველი დღიდანვე მისმა ცოლმა მაჰდი ულიამ ხელში აიღო სახელმწიფოს მართვის სათავეები. მას მიეკუთვნა უმაღლესი დივნის ვექილის თანამდებობა. დაწესდა, რომ მისი ბეჭედი დასმულიყო ფადიშაჰის ბრძანებულებებსა და სიგელებზე, ვეზირის ბეჭდის ზემოთ. მაჰდის ერთ-ერთი პირველი ღონისძიება იყო ის, რომ მან სიკვდილით დასაჯა თავისი და ფერიხანხანუმი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღოდა შაჰ-ისმაილის გამეფებაში და დიდი გავლენით სარგებლობდა სასახლის კარზე[20].

ამ დროს, როგორც ჩანს, შალიკაშვილის ასული (შაჰ-თამაზის მეუღლე) და მისი ქალიშვილი ზეინაბ ბეგუმი (ანა) სასახლის კარზე პატივისცემით სარგებლობდნენ. აღმოსავლური და ევროპული წყაროებიდან ირკვევა, რომ ზეინაბ ბეგუმმა განსაკუთრებით შაჰ-აბას I-ის დროს დიდი გავლენა და ავტორიტეტი მოიპოვა (იხ. გვ. 235—241).

1578 წელს ოსმალეთმა ირანის წინააღმდეგ ომი დაიწყო. ოსმალეთის ლაშქარმა ამიერკავკასიის ქვეყნები ხელთ იგდო. შაჰის კარზე ეძებდნენ გზებს ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ირანის შაჰის მონამორჩილი ქართლის გამგებელი გამაჰმადიანებული დაუდ-ხანი (სიმონ მეფის ძმა) ოსმალეთს წინააღმდეგობას ვერ უწევდა. ასეთ ვითარებაში შაჰის კარზე გადაწყვიტეს (შესაძლებელია ეს იდეა მიაწოდა შალიკაშვილის ასულმა), რომ ირანში მყოფი სიმონი ქართლის მეფედ კვლავ დაენიშნათ და ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად გაეგზავნათ.

---

[20] О. Эфендиев, указ. соч., с. 145.

ქართული წყაროების ცნობით: „შაჰ-ხოდაბანდეს დედამ[21] მოიყვანა ოთარ შალიკაშვილის ქალმან, მეფე სვიმონ, ვითარცა წესი არს, ქართველთა დედანი ლეჩაქს მოუხევენ, — და იგიცა ქართველი იყო, მანაც ეგრეთვე იყო და წარმოგზავნა ლეჩაქი თჳსი და მოუმცნო: „მეფე სვიმონ გწადდეს ლეჩაქი ესე, აიღეო და გწადდეს ხმალიო, ჩვენც მოგუეხმარე და შენს საბატონოსა, და მისცა ნიჭი მრავალი და სამოსელი სამეფო და წარმოგზავნა თჳსსა ქართლად და წარმოვიდა“[22].

ასე ქართული წესით დაულოცა ირანის შაჰის კარზე მყოფმა შალიკაშვილის ასულმა სიმონ მეფეს ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლის გზა. სიმონმა მთელი თავისი სიცოცხლე ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლას შესწირა.

---

[21] როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შაჰ-ხოდაბანდეს დედა იყო სულთანამი თორჭემანი მუსავალის ტომიდან. ჩვენი დაკვირვებით, შაჰ-ხოდაბანდეს და იყო ზეინაბ ბეგუმი, ოთარ შალიკაშვილის შვილიშვილი.

[22] ქართლის ცხოვრება, ტ. II, 364; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 411.

ქართველი ქალები შაჰ-აბას I-ის კარზე

არასოდეს ირანის პოლიტიკურ სარბიელზე ისეთი დიდი რაოდენობით არ მოღვაწეობდნენ ქართველები, როგორც შაჰ-აბას პირველის (1587—1629) დროს. ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ რამდენიმე ქართველ ქალზე, რომლებმაც გარკვეული კვალი დატოვეს როგორც შაჰ-აბასის პირად ცხოვრებაში, ასევე ირანის პოლიტიკურ თუ კულტურულ სარბიელზე.

შაჰ-აბას I-ის ჰარამხანა 500-მდე ქალს ითვლიდა. მათ შორის უველაზე დიდი რაოდენობით კავკასიიდან იყვნენ, განსაკუთრებით კი საქართველოდან. ნ. ფალსაფის ცნობით, საქართველოს მეფეები, სომხეთისა და შირვანის გამგებლები შაჰს ყოველწლიურად ძღვნად უგზავნიდნენ განსაზღვრული რაოდენობის ქართველ, სომეხ და ჩერქეზ ქალებს, ამათგან სამი-ოთხი მეფური ჩამომავლობის ქალი მისი კანონიერი ცოლი ხდებოდა, ზოგიერთ მათგანს თავის ჰარამხანაში ტოვებდა, დანარჩენს თავის სარდლებს უგზავნიდა[23].

ქართველ ქალებს ირანში დიდად აფასებდნენ. ისინი მოსწონდათ არა მარტო გარეგნული სილამაზით, არამედ ჭკუით, სიდარბაისლით, სათნოებით. ირანში დიდ პატივად და საამაყოდ ითვლებოდა ქართველი ქალის ცოლად ყოლა.

ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია შაჰის სამეფო კარი. შაჰ-აბასის უფროს ძმას ჰამზა-მირზას ორი ცოლი ქართველი ჰყავდა. ისქანდერ მუნშის ცნობით შაჰ-ხოდაბანდემ მოსთხოვა სიმონ ქართლის მეფესა და ალექსანდრე კახეთის მეფეს თავიანთი ქალიშვილები გაეგზავნათ ჰამზა-მირზასათვის. ქართველი მეფეები იძულებული შეიქნენ დაეკმაყოფილებინათ შაჰის ეს მოთხოვნა[24].

1581 წელს შაჰ-ხოდაბანდემ თავისი უფროსი ვაჟი ჰამზა-მირზა ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა. იმავე წელს, როცა მას ვეზირ მირზა-

---

[23] ნ. ფ ა ლ ს ა ფ ი, შაჰ-აბას პირველის ცხოვრება, ტ. II, გვ. 213.

[24] ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 33—36.

სალმანის ქალი შეურთავს, მისივე რჩევით, იგი დაქორწინებულა კახეთის მეფის ალექსანდრესა და ქართლის მეფის სიმონის ასულებზე[25].

1582 წ. ირანში მცხოვრები კარმელიტი მისიონერის ცნობით, „თბილისი, რომლის მეფე ქრისტიანია, ხარკს უხდის შაჰს და ქალი შაჰის ვაჟიშვილზე ჰყავს გათხოვილი“[26].

ბუნებრივია, ქართველი ქალისათვის მეტად მძიმე იყო მაჰმადიანურ გარემოცვაში, ჰარამხანაში ცხოვრება. ქამთა სიავის შედეგად ირანში გადახვეწილი ქართველი ქალები ხშირად ფარულად ინარჩუნებდნენ ქრისტიანობას და ქართულ ადათ-წესებს. შაჰ-აბასის კარზე მყოფი პორტუგალიის ელჩის ანტონიო გოვეას ცნობით, ერთხელ, როცა ჰამზა-მირზა ავად გახდა, მისმა ცოლმა, კახეთის მეფის ალექსანდრეს ასულმა. მას ჯვარი უჩვენა და უთხრა: „თუ ქრისტეს ირწმუნებ და ნას მფარველობას სთხოვ, განიკურნებიო“. ჰამზა-მირზა დათანხმდა და განიკურნა[27].

1586 წელს მოკლეს ტახტის მემკვიდრე ჰამზა-მირზა. ხმები დაირხა, რომ ჰამზა-მირზას მკვლელობაში ხელი ერია მის ძმას აბას-მირზას. ანტონიო გოვეას გადმოცემით, შაჰ-აბასს მისთვის უთქვამს, „ყიზილბაშმა ამირებმა იმიტომ მოჰკლეს ჰამზა-მირზა, რომ იგი ქრისტიანებს დიდი სიმპათიითა და სიყვარულით ექცეოდაო“[28].

შაჰ-აბასის დროს ირანის პოლიტიკურ სარბიელზე განსაკუთრებით აქტიურობას იჩენდა კავკასიური ელემენტი, რაც სათანადოდაა ხაზგასმული სამეცნიერო ლიტერატურაში[29]. აღსანიშნავია ისიც, რომ შაჰი დიდ „სისუსტეს“ ამჟღავნებდა ქართველი ქალების მიმართ. „შაჰ-აბასს ქართველი და ჩერქეზი ქალები მათი სილამაზის გამო განსაკუთრებით მოსწონდა. შაჰის ჰარამხანაში ირანელი ქალები ძალიან ცოტანი იყვნენ და მისი ცოლები უმეტესად ქართველი, ჩერქეზი და რუსი დიდგვაროვანი ქალები, ან მხევლები იყვნენ“[30].

სიმონ მეფეს ევროპულ წყაროებში ხშირად იხსენიებენ როგორც შაჰ-აბასის სიმამრს. სიმონ მეფეს ორი ქალიშვილი ჰყავდა. ერთი

---

[25] ნ. ფალსაფი. შაჰ-აბას პირველის ცხოვრება, ტ. II, გვ. 70, თარგმანი, გვ. 25.

[26] A Chronicle ot the Carmelits in Persia, v. I, p. 28.

[27] A. Gouvea, Relations des grandes guerres et victoires obtenue s par le roi de Perse de Chah-Abbas contres les empereurs de Turquie..., Rouen, 1646, pp. 316.

[28] იქვე.

[29] ვ. გაბაშვილი, უნდილაძთ ფეოდალური სახლი XVI—XVII სს. ირანში, მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, ტ. II, გვ. 64—85; კ. კუცია. კავკასიური ელემენტი სეფიანთა ირანის პოლიტიკურ სარბიელზე, მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1963, გვ. 66—76.

[30] ნ. ფალსაფი, შაჰ-აბას პირველის ცხოვრება, ტ. II, გვ. 213, თარგმანი, გვ. 31.

ელენე — გათხოვილი იყო მანუჩარ ათაბაგზე, ხოლო მეორე, რომლის სახელიც არაა ცნობილი, სიმონმა შაჰს გაუგზავნა ჰამზა-მირზასათვის. ქართული წყაროების მიხედვით, სიმონს სხვა ქალიშვილი არ ჰყოლია. მაშინ რატომ უწოდებდნენ სიმონს შაჰის სიმამრს, ჰამზა-მირზას ხომ არ უმეფია? ნ. ფალსაფის მიხედვით, ჰამზა-მირზას სიკვდილის შემდეგ შაჰ-აბასმა იქორწილა თავისი ძმის ცოლზე[31]. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ფარსადან გორგიჯანიძის ცნობა: „ხონთქარს ამბავი მოუვიდა, რომ შაჰ ხუდაბანდასაო თვ-სმ /ა/ შვილმან შაჰ აბას ხელმწიფობა წაართვაო და მეფის სიმონის ქალი შერთო ფახრიჰ-ჯან ბეგუმი ცოლადაო"[32]. საფიქრებელია, რომ ფახრიჰ-ჯან ბეგუმი სიმონ მეფის ის ქალიშვილია, რომელიც თავის დროზე სიმონმა ცოლად მისცა ჰამზა-მირზას და რომლის სიკვდილის შემდეგ კი იგი შაჰ-აბასის ცოლი გახდა.

უფრო გვიან ლუარსაბ ქართლის მეფე იძულებული შეიქნა თავისი და ელენე (ლელა) ცოლად მიეცა შაჰ-აბასისათვის. „სთხოვა შაჰ აბაზ ლუარსაბ მეფესა დაი თჯსი ცოლად"[33]. 1623 წელს შაჰ-აბასმა ლელა კახეთის მმართველს ფეიქარ-ხანს დაუთმო, რადგან ლუარსაბ მეფის ვერაგულად მოკვლის შემდეგ, შაჰ-აბასი შიშობდა, რომ დას ძმისთვის შური არ ეძია და იგი არ მოეკლა.

შაჰ-აბასი ვერაგი და სასტიკი იყო. მართალია, წყაროებში მრავალგზისაა ნათქვამი ძლიერი შაჰის განსაკუთრებულ სიყვარულზე ქართველი ქალების მიმართ, მაგრამ ამ დამპყრობლის ხასიათიც ხომ კარგადაა ცნობილი. მისი სიყვარული და კეთილგანწყობილება ათას მიზეზზე იყო დამოკიდებული და ხშირად რისხვით იცვლებოდა. თუ საჭირო იქნებოდა, იგი საკუთარ შვილსაც კი არ დაზოგავდა.

შაჰ-აბასს თავისი მრავალრიცხოვანი ცოლებისაგან ხუთი ვაჟი შეეძინა: 1. მუჰამედ ბაყერ-მირზა, ცნობილი სეფი-მირზას სახელით, 2. ჰასან-მირზა, 3. სულთან მუჰამედ-მირზა, ცნობილი რუზაქ-მირზასა და ხოდაბანდე-მირზას სახელით, 4. ისმაილ-მირზა, 5. იმამყული-მირზა. იმის შიშით, რომ შვილები ტახტს შეეცილებოდნენ, შაჰმა ერთი მათგანი, სეფი-მირზა მოაკვლევინა, მუჰამედ-მირზა და იმამყული-მირზა მისი ბრძანებით დააბრმავეს, ხოლო ორი ვაჟი ისმაილ-მირზა და ჰასან-მირზა ბავშვობაშივე გარდაიცვალა. ასე რომ, შაჰ-აბასს, ფაქტიურად, ტახტის მემკვიდრე არ დარჩენია[34].

---

31 ნ. ფალსაფი, შაჰ-აბას პირველის ცხოვრება, ტ. II, გვ. 211, თარგმ. გვ. 30.

32 ფარსადან გორგოჯანიძის ისტორია, გვ. 16.

33 ვახუშტი, აღწერა..., ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 420.

34 ნ. ფალსაფი, შაჰ-აბას პირველის ცხოვრება, ტ. II, გვ. 170, 176. თარგ. გვ. 289.

შაჰ-აბასის ვაჟიშვილების შესახებ მეტად საყურადღებო ცნობები დაცულია ევროპულ წყაროებში. 1602 წელს ირანში ჩასული ავსტრიის იმპერატორის ელჩი მოგვითხრობს: შაჰ-აბასმა დატოვა თავრიზი და გამოემართა მთელი თავისი ჯარით, ცოლებითურთ (ამბობენ, რომ ისინი 500-მდე იყვნენ) და თავისი ორი ვაჟით, რომლებიც აწ გარდაცვლილი ქართველი ქრისტიანი ქალისაგან ჰყავდა, ქართველი მეფის ასულისაგან. უფროსი — სახელად სეფი-მირზა დაახლოებით 17 წლისა იქნებოდა, ხოლო უმცროსი — სახელად ძუჰამედი, — 7 წლისა[35].

ამგვარად, ავსტრიის იმპერატორის ელჩის ცნობით, შაჰ-აბასს ქართველი მეფის ქალიშვილისაგან ორი ვაჟი ჰყოლია: სეფი-მირზა და მუჰამედ-მირზა. მართალია, იგი არ ასახელებს ქართველი მეფის სახელს, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ აქ სიმონ მეფის ასულზეა საუბარი, რადგან შაჰს სიმონის ქალიშვილი ჰყავდა ცოლად.

შაჰ-აბასის ვაჟიშვილების შესახებ, აგრეთვე, ცნობებს გვაწვდის XVII საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევარში ირანში მყოფი ინგლისის ელჩი თომას ჰერბერტი. მისი გადმოცემით, შაჰ-აბასს ძრავალი ცოლისაგან ბევრი შვილი ჰყავდა, ზოგიერთ მათგანზე საგანგებოდ ხრუნავდნენ და ხარჯებს არ იშურებდნენ. ყველაზე დიდ იმედს ოთხი ჭაბუკი იძლეოდა. ესენი იყვნენ: ისმაილი, სეფი-მირზა, ხოდაბანდე სულთანი და იმამყული-მირზა. პირველი ორის დედა იყო ქართველი ქალი, სიმონ მეფის ასული, ორი დანარჩენის კი ასევე ქართველი ქალი ისაქ მირზას ასული. თ. ჰერბერტი სიმონ მეფის ასულს გორდინას უწოდებს, ხოლო ისქანდერ მირზასას—მართას. ეს ქართველი ქალები გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული სილამაზით. შაჰ-აბასს დიდ სიხარულს ჰგვრიდნენ მათგან შეძენილი შვილები, რომლებიც ყველაფერში მამას დაემსგავსნენ — მისებრ გამჭრიახობა და მამაცობა დაჰყვათ. მაგრამ ეს პირმშვენიერი და ვაჟკაცობით განთქმული ყრმები აყვავების ასაკში დაიღუპნენ. მამაცსა და უაღრესად კეთილშობილ ისმაილს აღტაცებით შესცქეროდა მთელი აზია. იგი, ცხრამეტი წლისა, საწამლავს ემსხვერპლა. სეფი-მირზასაც დიდად აფასებდნენ, რადგან მან საშიში შეთქმულება გახსნა. მაგრამ ისიც ბედკრული ისმაილის ასაკში დაიღუპა. შაჰ-აბასი მასში მეტოქეს ხედავდა და მისი მოკვლა ბრძანა. მესამე ვაჟს — იმამყული-მირზას ასტროლოგებმა უწინასწარმეტყველეს, რომ მასაც მალე მოეღებოდა

---

[35] Iter Persicum du description du voyage en Pers, entrepris en 1602 par Etienne Kakasch Zalonkemeny, Paris, 1877, p. 38; Путешествие Какаша и Тектандера в Персию через Московию 1602—1603 гг. пер. с нем. А. Станкевича, „Чтения", 1896, т. II, с. 39.

ბოლო და შიშით გული გაუსკდა. დარჩა მეოთხე — ხოდაბანდე, მეტსახელად სეფი რომ ერქვა. იგი ძალზე ფრთხილად მოქმედებდა და ცდილობდა მამას მოსწონებოდა. შაჰ-აბასიც მას პატივს სცემდა და თავს ბედნიერად გრძნობდა, რომ მისი სახით საიმედო მემკვიდრე ჰყავდა. ხოდაბანდე მამაცი იყო, გულკეთილიც და სამხედრო საქმის ჩინებული მცოდნეც. ყველგან მას ქება-დიდებას ასხამდნენ. უთუოდ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ მამამ შვილისადმი სიყვარული რისხვით შესცვალა და მალე შაჰის ბრძანებით იგი დაახრჩავეს. ხოდაბანდემ ამას ვერ გაუძლო, საწამლავი დალია და თავი მოიკლა[36].

თ. ჰერბერტის ამ ცნობიდან ჩვენთვის, უპირველესად ყოვლისა, საყურადღებოა ის, რომ შაჰ-აბასს სიმონ მეფის ასულისაგან ჰყავდა ორი ვაჟი (ისმაილი და სეფი-მირზა). ამასვე ადასტურებს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აგრეთვე, ავსტრიის იმპერატორის ელჩის რელაცია. მაგრამ ამ ვაჟების სახელები ერთმანეთს არ ემთხვევა[37].

ევროპელებისაგან განსხვავებით, სხვა ცნობებია მოტანილი სპარსელი ნასროლა ფალსაფის შრომაში. მისი აზრით, შაჰ-აბასის ხუთი ვაჟიდან მხოლოდ ერთს მუჰამედ-მირზას ჰყავდა ქართველი დედა. მისივე ცნობით, შაჰ-აბასმა ჯერ კიდევ გამეფებამდე, 16 წლის ასაკში შეირთო ჩერქეზი ქალი და მისგან 1586 წ. (995 წ. ჰ.) შეეძინა სეფი-მირზა. 1614 წელს საქართველოში ლაშქრობის დროს შაჰ-აბასს ამბავი მიუტახეს, თითქოს, მის ვაჟს — სეფი-მირზას თავისი დედის ნათესავებთან — ფარჰად-ბეგ ჩერქეზთან, ყორჩიბაშისთან და კიდევ ორ ჩერქეზ ღოლამთან რაღაც საიდუმლო ურთიერთობა ჰქონდა და შაჰის მოკვლას აპირებდა. ამის გამო იგი მამის ბრძანებით მოკლეს[38].

ძნელია, გადაჭრით თქმა, თუ რომელი ცნობაა უფრო სანდო და სარწმუნო, მით უფრო, რომ ქართულ წყაროებში ამ საკითხზე არაფერია ნათქვამი. ევროპელი დიპლომატები იმ პერიოდის მოღვაწენი არიან და, ალბათ, საკმაოდ ობიექტურად განწყობილნი, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისინი ქართველებს ფართო მნიშვნელობით ხმარობდნენ — კავკასიელის აღსანიშნავად. ან ეგების ირანელი მეცნიერის ხელთ

---

[36] Th. Herbert, Relations du Voyages de Perse, des Indes. Paris, 1663. pp. 282 — 287.

[37] XVII ს-ის 30-იან წლებში ირანში მყოფი პოლშტეინის საჰერცოგოს ელჩის ადამ ოლიარის ცნობით სეფი-მირზას დედა იყო საქართველოდან ჩამოყვანილი ქართველი ქრისტიანი ქალი (შ. რევიშვილი, გერმანულ-ქართული ეტიუდები, თბ., 1977, გვ. 89; Адам Олиарий. Подробное описание путешествия Гольштинского посольства в Московию и Персию в 1633, 1636 и 1639 годах, составленное секретарем Посольства А. Оларием. пер. с нем.. М., 1870, с. 365.

[38] ნ. ფალსაფი, შაჰ-აბას პირველის ცხოვრება, ტ. II, გვ. 176, 184, თარგ. გვ. 27, 28.

აღმოჩნდა უფრო ზუსტი წყარო და მისი ცნობები უფრო სანდოა, მაგრამ არც მისი ტენდენციურობაა გამორიცხული. უეჭველია, რომ ირანელ უფლისწულთა შორის იქნებოდნენ დედით ქართველებიც, როგორ გაუსწორდა მათ მრისხანე შაჰი, ეს არავისთვის საიდუმლო არ არის.

სეფი-მირზას ორი ვაჟი დარჩა: სულეიმან-მირზა, რომელიც მას შაჰ-ისმაილ II-ის ასულისაგან ჰყავდა და მეორე სამ-მირზა, ქართველი ცოლისაგან. შაჰ-აბასს სამ-მირზა, თავისი შვილიშვილი ძალზე უყვარდა. რადგანაც შაჰ-აბასს მემკვიდრე არ დარჩა, ტახტზე აიყვანეს სეფი-მირზას შვილი სამ-მირზა, რომელიც ცნობილია შაჰ-სეფი I-ის (1629—1641) სახელით.

შაჰ-აბასმა ბავშვობაშივე ისწავლა ქართული ენა, როდესაც ჰარამხანაში იზრდებოდა, სადაც ქართული საკმაოდ ხშირად ისმოდა. შემდეგში შაჰ-აბასი ქართული ენის ცოდნას მდგომარეობის მიხედვით იყენებდა. ამასთან დაკავშირებით მეტად საყურადღებო ცნობას გვაწვდის ესპანეთის ელჩი დონ გარსია სილვა ფიგეროა. ერთხელ შაჰმა, აუდიენციის დროს, ოსმალეთის ელჩი, რომელსაც თავზე დიდი ჩალმა ეხურა, ირანის სასულიერო წოდების მაღალ პირად მიიღო. თავისი შეცდომა რომ შეიტყო, შაჰმა ბევრი იცინა. იმისათვის, რომ ოსმალეთის ელჩი არაფერს მიმხვდარიყო, შაჰმა ესპანეთის ელჩს ქართულად აუხსნა ვითარება. საუბარს თარგმნიდა ესპანურისა და ქართულის მცოდნე თარჯიმანი[39]. ვ. გაბაშვილი შენიშნავს, რომ შაჰ-აბასი ქართული ენის ცოდნას იყენებდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების ელჩებთან დიპლომატიური მოლაპარაკებების დროს. შაჰი ყოველთვის ქართულად ლაპარაკობდა, როდესაც დარბაზობას ევროპელთან ერთად ესწრაფოდნენ სპარსელის მცოდნე თურქი ელჩებიც. ამას ნ. ფალსაფიც ადასტურებს[40].

შაჰ-აბასი თავის მრავალრიცხოვან ცოლებს შორის განსაკუთრებულ სულიერ სიახლოვეს და სიყვარულს გრძნობდა ქართველი ქალის თამარის მიმართ. მის შესახებ ქართულ, სპარსულ და რუსულ წყაროებში მეტად საყურადღებო ცნობებია შემონახული.

ქართველი ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ირანში ცხოვრობდა, წერს: „შაჰ-აბას ყაენს ცოლად ჰყვანდა და ნამეტნავად უყვარდა ანდუყაფარ ამილახორის დაი თამარ"[1]. რით დაიმსახურა ამ ქართველმა ქალმა

---

[39] Don Garcia de Silva Figueroa. L'Ambassade en Perse, Paris, 1669, p. 235.

[40] ვ. გაბაშვილი. ქართული დიპლომატიის ისტორიიდან. გვ. 65; ნ. ფალსაფი, დასახ. ნაშრ., ტ. II. გვ. 22. თარგმნ. გვ. 20.

შაჰ-აბასის დიდი სიყვარული?. სპარსელი ისტორიკოსის ნასროლა ფალსაფის მოწმობით, როცა შაჰი, ნაღვლიანი და დადარდიანებული შედიოდა ჰარამხანაში, მასთან მიახლოებასა და დალაპარაკებას ვერავინ ბედავდა ერთი წარმოშობით ქართველი, უფროსი და კანონიერი ცოლის გარდა[42]. როგორც ჩანს, ეს ქალი ანდუყაფარ გურჯის, კახეთის ვალის ალექსანდრე ხანის ნათესავის ასული იყო, რომელიც შაჰმა 1596 წელს შეირთო. ეს ქალი კარგად იცნობდა შაჰის ხასიათსა და ბუნებას და მასზე დიდი გავლენა ჰქონდა.

როგორც სპარსული წყაროებიდან ირკვევა, 1596 წელს შაჰ-აბასმა შეიტყო, რომ ქარელ აზნაურს ანდუყაფარ ამილახვარს ჰყავდა ლამაზი და ყოვლად მშვენიერი და თამარი. შაჰმა ისურვა, რომ იგი მისი ცოლი გამხდარიყო. ამ მიზნით გაგზავნა საქართველოში ირანის სამეფო კარზე მყოფი უფლისწული ბაგრატ-მირზა და ყიზილბაშში სარდალი ფარჰად-ხან ყარამანლუ. ქართველი უფლისწული საქართველოში ყიზილბაშ სარდალზე უფრო ადრე გაემგზავრა და თამარის ხელი ითხოვა შაჰისათვის. შემდეგ ფარჰად-ხანმა, რომელიც განჯის სანახებში იყო დაბანაკებული, მის შესახვედრად გაგზავნა ხუთასი ცხენოსანი. თამარი 1596 წლის ოქტომბერში ყაზვინში ჩაიყვანეს და შაჰს ჰარამხანაში მიჰგვარეს[43].

სპარსული წყაროების ეს მონაცემები დასტურდება ს. ბელოკუროვის მიერ გამოქვეყნებული რუსული დიპლომატიური ხასიათის მასალებიდანაც: თამარი ალექსანდრე კახთა მეფის ცოლის დისშვილი ყოფილა. ქვეყნის აოხრების საშიშროების აცილების მიზნით, ალექსანდრე მეფე იძულებული შეიქნა დაეკმაყოფილებინა შაჰის ნება-

---

41 ნ. ფალსაფი, შაჰ-აბას პირველის ცხოვრება, ტ. II, გვ. 232, თარგ. გვ. 42.

42 იქვე.

43 ნ. ფალსაფი, შაჰ-აბას პირველის ცხოვრება, ტ. II, გვ. 212, თარგ. გვ. 30.

„А послал шах к царю (Александру—М. С.) с великою грозою, чтоб он выбрал из своего роду девку лутчюю и прислал к нему, а он на ней женитца; а только не пришлет, и шах велит его землю воевать. И прислал шах в свои городы, которые к Грузинской земле блиско, ближнего своего человека Фергат-хана со многою ратью: будет пришлет царь девку, и шах велел взяв девку, вести к себе, а не пришлет, и шах велел Фергат-хану Олександру цареву землю воевать, Олександр царь посылает к шаху девку племянницу жены своей родную, и посла своего царь посылает Есона князя... И сам царь Олександр правожал сверст с 20 земли своей, а дети ево царевич Давид да царевич Юрья из женами своеми провожали да рубежа; и отпустили ее к Абас шаху з ближним Абас шаховым человеком с Фергат-ханом. И как привезли ее к Абас шаху, и Абас шах ее понел; а к царю Олександру прислал против того з дары великими". Белокуров С., Сношения России с Кавказом..., с. 311.

ქსანდრე მეფე იძულებული შეიქნა დაეკმაყოფილებინა შაჰის ნებასურვილი და თამარი ირანში გაეგზავნა. ალექსანდრემ და მთელმა მისმა ოჯახმა დიდი პატივით გააცილეს ქართველი ქალი საზღვრამდე და თან გააყოლეს თავადი იასონი[44].

შაჰ-აბასის სამეფო კარზე განსაკუთრებით დიდი პატივითა და გავლენით სარგებლობდა დედით ქართველი, ჩვენი ვარაუდით, ოთარ შალიკაშვილის შვილიშვილი შაჰ-თამაზის ასული ზეინაბ ბეგუმი, იგივე ანა ხანუმი. შაჰ-ისმაილმა იგი დანიშნა ჰერეთის მმართველზე ალიყული-ხან შამლუზე, მაგრამ ქორწინება სასიძოს სიკვდილის გამო აღარ შედგა. „ზეინაბ ბეგუმი შაჰ-ხოდაბანდესა და ჰამზა-მირზას დროს ჰარამხანის ფავორიტი, ხოლო შაჰ-აბასის მეფობისას ჰარამხანის უფროსი და ქალთა შორის შაჰთან ყველაზე დაახლოებული ქალი იყო“[45]. ანტონიო გოვეას ცნობით, ზეინაბ ბეგუმიც არ იყო დაზღვეული ავი ენებისაგან და ხმა დაირხა, რომ მას შაჰ-აბასთან სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა[46].

ნ. ფალსაფის აზრით, შაჰ-აბასის მეფობისას ეს ქალი, მეფური ჩამომავლობის ქალთაგან, ყველაზე მეტად იყო დაახლოებული შაჰთან. შაჰ-აბასი მას დიდ პატივს სცემდა, მრავალ საქმეზე ეკითხებოდა რჩევას და იგი ბევრ ისეთ თათბირსა და ლხინში იღებდა მონაწილეობას, სადაც მხოლოდ მამაკაცები იკრიბებოდნენ[47]. ირანში მცხოვრები კარმელიტი მისიონერების გადმოცემით, ეს ქალი დიდი ინტელექტის მქონე ყოფილა, ძალზე დაფასებული შაჰ-აბასის მიერ, რომელსაც სამხედრო ლაშქრობებშიც ახლდა თან[48].

---

[44] „И октября в 14 день пришел к шаху Аббасу Казбин город посол от грузинского царя Александра, а привез к шаху девку, сказывают, грузинского царя своячница, лет пятнадцать, а рождением де она непомерно красива, а с нею прихал царевича дядя ей молодец добре добр лет тридцать брата его дочь. А встретил ее Меркуня бек с велико честию со многими людьми. Да тотчас Меркуня бек гонца послал о том деле к шаху. И шах Аббас прислал в Казбин золоты и каменья, жемчугу и мастеров от себя, а велел делать оружие, чем царевича пожаловать; а корму велел грузинскому царевичего и послу давать по 4 тюмени на день против русских денег двадцать осьми рублей. А девку Меркуня бек взял на шахов двор“, (Н. И. Веселовский, Памятники дипломатических и торговых сношений России с Персией, т. I, Петербург, 1890, с. 437.).

[45] ნ. ფალსაფი, შაჰ-აბას პირველის ცხოვრება, ტ. I, გვ. 207, თარგ. 209.

[46] A. Gouvea, დასახ. ნაშრ., გვ. 335.

[47] ნ. ფალსაფი, შაჰ-აბას პირველის ცხოვრება, ტ. II, გვ. 207, თარგ. 29.

[48] A Cronicle of the carmelites in Persia, v. I, p. 161.

1612 წლის 20 ნოემბერს სტამბულში ოსმალეთსა და ირანს შორის ზავი დაიდო. ამ ზავის შედეგად შეწყდა ხანგრძლივი სისხლისმღვრელი ომი თურქეთსა და ირანს შორის, რომელიც ანადგურებდა და ბორკავდა არა მარტო ამ სახელმწიფოთა განვითარებას და მძიმედ აწვებოდა მათ ხალხს, არამედ ფიტავდა ამიერკავკასიის ქვეყნებსაც და, კერძოდ, საქართველოსაც.

ამ ზავის შედეგად საქართველოს მდგომარეობა გაუმჯობესდა. ქართლ-კახეთის სამეფოებმა და აღმოსავლეთ მესხეთმა თავი დააღწიეს ოსმალთა ბატონობას. მართალია, ქართლ-კახეთი და აღმოსავლეთ მესხეთი ირანს ერგო, მაგრამ შაჰ-აბასმა ვერ შეძლო აქ თავისი ძველი პოზიციების აღდგენა. შაჰი იძულებული იყო დათმობაზე წასულიყო — საქართველოდან ირანის ჯარები გაეყვანა, თეიმურაზი და ლუარსაბი ქართლ-კახეთში გაემეფებინა და სხვა.

ოსმალეთთან ზავის დადების შემდეგ შაჰ-აბასმა მკვეთრად შეცვალა თავისი დამოკიდებულება საქართველოსა და ქართველების მიმართ. მოულოდნელად გარდაიცვალა ირანის ლაშქრის სპასალარი ალავერდი-ხანი (უნდილაძე), რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ირანის არმიის რეორგანიზაციასა და ოსმალეთის წინააღმდეგ ომში. საფიქრებელია, ალავერდი-ხანმა არ გაიზიარა შაჰის პოლიტიკა საქართველოს მიმართ, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყნის განადგურებას და შაჰმა იგი თავიდან მოიცილა, მოაწამვლინა (იხ. გვ. 280—283).

მეტად საყურადღებოა ის, რომ შაჰ-აბასმა საქართველოში ლაშქრობის საბაბად გამოიყენა თავისი „თავდავიწყებული“ სიყვარული ლუარსაბ მეფის დის ხორეშანის მიმართ[49].

1609 წელს კახეთის მეფემ თეიმურაზ I-მა მეუღლის გარდაცვალების შემდეგ გადაწყვიტა ცოლად მოეყვანა ლუარსაბ მეფის და ხორეშანი. თეიმურაზის პაპა ალექსანდრე და ხორეშანის დიდედა ნესტან-დარეჯანი და-ძმანი იყვნენ. რაკი ისინი ნათესაურ კავშირში იყვნენ ერთმანეთთან, ამიტომ ქორწინებისთვის საჭირო იყო ქრისტიანული ეკლესიის თანხმობა. თეიმურაზმა თხოვნით მიმართა საქართველოს პატრიარქს. ამ ქორწინებით მყარდებოდა ნათესაური კავშირი კახეთსა და ქართლს შორის, რასაც უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა ორივე ქვეყნისათვის. ეს კი მიუღებელი იყო შაჰ-აბასისათვის, რადგან ამ დროს მას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა საქართველოს დაპყრობა-აოხრება, მაგრამ ირან-ოსმალეთის ომი

---

[49] თ. ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი, ლეგენდა ხელმწიფის სიყვარულზე, „განთიადი“, 1985, № 4, გვ. 152—162.

საშუალებას არ აძლევდა შაჰს, ეს მიზანი სისრულეში მოეყვანა. ოსმალეთთან დაზავების შემდეგ კი შაჰს არაფერი ეღობებოდა წინ საქართველოს წინააღმდეგ ომის გასაჩაღებლად. შაჰ-აბასი შეეცადა ხელი შეეშალა ქართლ-კახეთის მეფეების დანათესავებისათვის, ამ მიზნით ლუარსაბ მეფეს ცოლად სთხოვა მისი და ხორეშანი (შაჰ-აბასს ცოლად ჰყავდა ლუარსაბის უმცროსი და ელენე, ლელა). შაჰმა თბილისში ელჩი გაგზავნა და ლუარსაბ მეფეს მეორე დაც ცოლად მოთხოვა. ლუარსაბ მეფემ პირველი ელჩი ტკბილი დაპირებებით უკან გაისტუმრა. შაჰმა მეორე ელჩი გაგზავნა ქართლში, მას ლუარსაბმა მოახსენა, რომ ხორეშანი უკვე დანიშნულია კახეთის მეფეზე, თეიმურაზზე, ლუარსაბის პასუხმა შაჰი განარისხა. მან მესამე ელჩიც გაგზავნა, რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა ნებისმიერი საშუალებებით, მუქარით, დაშინებით, ტკბილი დაპირებებითა თუ დაყვავებით ხორეშანი ირანში ჩაეყვანა. ამასთანავე, შაჰმა თეიმურაზს წერილი მისწერა და მოსთხოვა უარი ეთქვა ხორეშანის შერთვაზე და მასთან ისფაჰანში გამოცხადებულიყო. აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით ნ. ფალსაფი: „ლუარსაბ-ხანი შაჰ-აბასის სიჯიუტემ და დაჟინებამ განარისხა და მისი ელჩი განზრახ უყურადღებოდ და ცუდად მიიღო, რათა შაჰს ამის შემდეგ ამ საქმისათვის აღარავინ გამოეგზავნა საქართველოში. ხოლო შაჰ-აბასმა, რადგანაც იმ დროს ოსმალებს ეომებოდა და საქართველოზე გალაშქრება არ შეეძლო, მტრობის გამომჟღავნებისაგან თავი შეიკავა და საქართველოს მეფეებთან გარეგნულად თავაზიანი ურთიერთობა შეინარჩუნა“[50]... შაჰ-აბასმა, როგორც კი ოსმალებთან ომისაგან მოიცალა, კვლავ განაახლა თავისი სიყვარულის ამბავი ლუარსაბ-ხანის დის ხორეშანის მიმართ და თუმცა სინამდვილეში საქართველოს დაპყრობა კარგა ხანია განზრახული ჰქონდა, ეს საქმე მასზე თავდასხმის საბაბად გამოიყენა. შაჰ-აბასი უტიფრად აცხადებდა, რომ ხორეშანს იგი უყვარს და მისთვის საიდუმლოდ სასიყვარულო წერილები აქვს გამოგზავნილი. რომ მას, ვიდრე, თავისი სურვილის წინააღმდეგ, თეიმურაზ მეფეზე დააქორწინებდნენ, შაჰ-აბასის ცოლობა სურდა. ამის გამო იგი ლუარსაბ-ხანსა და თეიმურაზ-ხანს ვერაგ და უსამართლო ადამიანებად თვლიდა.

ირანში შაჰ-აბასისა და ხორეშანის (მას სპარსულად ფერის უწოდებდნენ) „სიყვარულის“ ამბავი მთელ ქვეყანას მოედო და ყველას პირზე ეკერა. კარის პოეტები და მუსიკოსები ამ სიყვარულზე ლექსებსა

---

[50] ნ. ფალსაფი, შაჰ-აბას პირველის ცხოვრება, ტ. II, გვ. 221, თარგ. გვ. 38, 39.

და სიმღერებს თხზავდნენ, რომელსაც სეფიანთა ეპოქის დასასრულამდე ლხინისა და ნადიმის დროს მღეროდნენ[51].

საქართველოში ხორეშანისადმი შაჰის სიყვარულის არავის სჯეროდა[52], ქართველ პოლიტიკოსებს ესმოდათ, რომ ეს იყო მხოლოდ საბაბი ქვეყნის დარბევისა. ირანის მრავალრიცხოვანი, ძლიერი ლაშქრის შემოჯრა რომ აეცილებინა, თეიმურაზ მეფემ უდიდესი მსხვერპლი გაიღო, რაც აღემატებოდა ადამიანის შესაძლებლობებს, მან თავისი დედა, ქეთევან დედოფალი და ორი ვაჟი გაგზავნა შაჰის კარზე. მაგრამ ამაოდ. შაჰს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ჩვენი ქვეყნის დალაშქვრა და მისი დაპყრობა.

51ნ. ფალასაფი, დასახ. ნაშრომი, ტ. II, გვ. 221; თ. ნატროშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 156, 157.

52 აღსანიშნავია, რომ ირანელი მეცნიერიც არ იზიარებს ამ ვერსიას: „შაჰაბასი იმ ქალს საბაბით, რომელიც არასოდეს ენახა, საქართველოს თავს დაესხა, მშვიდობიანი მოსახლეობის გაჟლეტის ბრძანება გასცა“ (ნ. ფალასაფი, დასახ. ნაშრომი, ტ. II, გვ. 139, თარგმანი, გვ. 27).

ქართველი დიპლომატი გულჩარა ბაგრატიონი

XV საუკუნის მეორე ნახევრიდან მას შემდეგ, რაც ოსმალებმა ტრაპიზონი დაიპყრეს და საქართველოს საზღვრებს უშუალოდ მოადგნენ, ქართველ ხალხს ახალი მეტად მრისხანე მტერი გაუმეზობლდა. ამ დროიდან მოყოლებული სამხრეთიდან საქართველო მაჰმადიანური ქვეყნების, ოსმალეთ-ირანის რკალში მოექცა. ორივე სახელმწიფო საქართველოს დაპყრობა-განადგურებით ემუქრებოდა. აქედან დაწყებული ოსმალეთ-ირანის ურთიერთობაში მწვავედ დაისვა „გურჯისტანის- საკითხი". ქართველები თავდადებულ ბრძოლასთან ერთად დიპლომატიური საშუალებებითაც ცდილობდნენ ამ ორ სახელმწიფოს შორის არსებული წინააღმდეგობანი გამოეყენებინათ თავისი ქვეყნის ინტერესების დასაცავად. ამის ერთ-ერთი მაგალითია ქართველი დიპლომატი ქალის მოღვაწეობა.

1612 წელს სტამბულში ქართველი დიპლომატი ქალის აქტიური მონაწილეობით ოსმალეთსა და ირანს შორის ზავი დაიდო.

ვინ იყო ეს ქართველი ქალი და ან რატომ იბრძოდა იგი ასე ენერგიულად ოსმალეთსა და ირანს შორის ზავის დასადებად?

ქართულ წყაროებში ამ დიპლომატ ქალზე არავითარი ცნობა არ მოიპოვება. ეს, უპირველეს ყოვლისა, აიხსნება იმით, რომ ჟამთა სიავის გამო იმდროინდელმა ქართულმა ნარატიულმა წყაროებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია. აღმოსავლურ და ევროპულ წყაროებში კი აქა-იქაა გაბნეული ცნობები მის შესახებ. ამ წყაროების კრიტიკული ანალიზის შედეგად შევეცადეთ დაგვედგინა ვინაობა ქართველი ქალისა, რომლის დიპლომატიური საქმიანობაც მჭიდროდ იყო დაკავშირებული იმდროინდელი მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო მდგომარეობასთან.

1578 წელს ოსმალეთმა ირანის წინააღმდეგ ომი დაიწყო. ომი ოსმალეთის უპირატესობით მიმდინარეობდა. ოსმალეთმა დაიპყრო ამიერკავკასიის ქვეყნების დიდი ნაწილი და ირანის დასავლეთი რაიონები. 1590 წელს შაჰ-აბასი იძულებული შეიქნა ოსმალეთთან ზავი დაედო.

ირან-ოსმალეთის ომში საქართველო ირანის მოკავშირე იყო. ქართველი ხალხის ბრძოლას ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ ქართლის მეფე, სიმონ I მეთაურობდა.

ოსმალეთთან შეიარაღებული ბრძოლის გარდა, სიმონ I დიპლომატიური საშუალებებითაც ცდილობდა დამპყრობლების საქართველოდან განდევნას.

1590 წელს ოსმალეთთან ზავის დადების შემდეგ, შაჰ-აბასი შეუდგა ახალი ომისათვის მზადებას.

ქართველებს თანაბრად სძულდათ ოსმალო და ირანელი დამპყრობლები, მაგრამ ახლა ქვეყანას საფრთხე უშუალოდ ოსმალეთის მხრიდან ემუქრებოდა და ისინი ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში ირანს დაუკავშირდნენ.

1595 წელს სიმონ ქართლის მეფემ, ალექსანდრე კახთა მეფემ და შაჰ-აბასმა კავშირი შეკრეს. მათ რომის პაპსა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მეფეებს წერილები დაუგზავნეს, მოუწოდეს, მონაწილეობა მიეღოთ ამ კავშირში და ოსმალეთის საბოლოოდ განადგურების მიზნით საერთო ძალებით დაეწყოთ შეტევა აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან[53].

ანტიოსმალური კოალიციის მონაწილეებმა თავიანთი გეგმის განსახორციელებლად გარკვეული ნაბიჯი გადადგეს: 1598 წელს სიმონ მეფემ ოსმალეთთან ომი განაახლა, ხოლო ალექსანდრე კახთა მეფემ ოსმალეთს ხარკის გადახდა შეუწყვიტა. თავის მხრივ, შაჰ-აბასმა ოზბეგები დაამარცხა და თავრიზის მახლობლად თავისი ძალების დათვალიერება მოაწყო.

1599 წელს სიმონ მეფემ ხანგრძლივი ალყის შემდეგ გაათავისუფლა ქალაქი გორი, რომელიც ქართლში ოსმალთა ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი იყო. გორის ციხის აღება სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ჩვენში ოსმალთა ბატონობას. ამასთანავე შესაძლებელი იყო სიმონ მეფის მაგალითისათვის ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებსაც მიებაძათ.

ოსმალეთის სულთანმა გადაწყვიტა, სასწრაფო ზომები მიეღო. მან სიმონ მეფის წინააღმდეგ გამოგზავნა თავრიზის და განჯის ბეგლარბეგი ჯაფარ-ფაშა. ქართველებსა და ჯაფარ-ფაშას ლაშქარს შორის ცხარე ბრძოლა გაიმართა. მტრის ლაშქრის სიმრავლისა და შინაური ფეოდალების ღალატის წყალობით ქართველები დამარცხდნენ, ხოლო

---

[53] ვ. გაბაშვილი, ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკ. 31, თბ., 1954, გვ. 90—101; შ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII სს-ში, გვ. 209—225.

სიმონ მეფე ტყვედ ჩაუვარდა ოსმალებს. სიმონ მეფის დატყვევება ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლი ძალების მძიმე მარცხი იყო. „სულთანმა, — წერს სომეხი ისტორიკოსი არაქელ თავრიზელი, — როდესაც სიმონ მეფის დატყვევების ამბავი შეიტყო, ბრძანა მთელი თავისი იმპერიის ქალაქებში ჭუჩები მოერთოთ და სამი დღე და ღამის განმავლობაში ეუქმათ და ემხიარულათ“[54].

ქართველი ხალხის ბრძოლას ოსმალების წინააღმდეგ თანაუგრძნობდნენ არა მარტო ამიერკავკასიის ხალხები, არამედ ანატოლიაში აჯანყებული გლეხებიც, რომლებიც ისტორიაში ჯალალთა სახელით არიან ცნობილი. როდესაც დატყვევებული სიმონ მეფე სტამბულში მიჰყავდათ, აჯანყებულ გლეხთა ხელმძღვანელმა ყარა-იაზიჯიმ გადაწყვიტა სიმონ მეფე ტყვეობიდან დაეხსნა. „მან (ყარა-იაზიჯიმ — მ. ს.) უბრძანა თავის თანამებრძოლებს სიმონი მოენახათ, მცველებისაგან მოეტაცათ და მასთან მიეყვანათ“[55]. მართალია, სიმონ მეფის გათავისუფლების ეს ცდა უშედეგოდ დამთავრდა, მაგრამ თვით ფაქტი მეტად საყურადღებოა.

1600 წლის ზაფხულში სიმონ მეფე სტამბულში ჩაიყვანეს და იედი კულეს (შვიდგუმბათიან) ციხეში მოათავსეს.

ქართველებმა ენერგიული ზომები მიიღეს სიმონ მეფის დასახსნელად. „ქართველთ დაუწყეს ხონთქარს ხვეწნა და მეფის სვიმონის გამოშვებას ეაჯნეს. მრავალი ძვირფასი თვალმარგალიტი და (sic) გაუგზავნეს და გიორგი მეფის შვილი დავით მძევლად მიჰგვარეს, რომ სვიმონ წამოიყვანონ“[56].

სტამბულში ჩასულ უფლისწულ დავითზე საყურადღებო ცნობებს გვაწვდის იქ მყოფი საფრანგეთის ელჩი[57].

შაჰ-აბასის ისტორიკოსის ისქანდერ მუნშის ცნობით, ოსმალების მიერ სიმონ მეფის დატყვევების შემდეგ სტამბულში გაგზავნეს „ქართველი ქალი სახელად გულჩარა, რომელიც მისი აღმატებულება შაჰის (შაჰ-თამაზ I- მ. ს.) კარზე იმყოფებოდა და ოჯახის (დინასტიის)

---

[54] არაქელ დავრიჟეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თარგმანი, შესავალი და კომენტარები კ. კუციასი, თბ., 1974, გვ. 15; Collection d'historiens Armeniens, traduit par M. Brosset, v. I, p. 552.

[55] იქვე.

[56] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 16; ცხოვრება საქართველოსა (პარიზის ქრონიკა), გვ. 59.

[57] S a l i g n a c, Jean Gonto Biron de, L'Ambassade en Turquie 1605—1610, corespondances diplomatiques et documents inedits, Paris, 1889, v. II, pp. 320, 321; მ. ს ვ ა ნ ი ძ ე, ერთი ფურცელი საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ისტორიიდან, „ცისკარი“—1967, № 3, გვ. 140—142.

ნათესავთაგანი იყო და მომხდარი ამბების (სიმონ მეფის ტყვეობიდან განთავისუფლება — მ. ს.) შემდეგ სიმონ მეფესთან ერთად საქართველოში დაბრუნდა და როდესაც სიმონ მეფე, როგორც ამაზე ზემოთ გვქონდა საუბარი, ოსმალთა ტყვე გახდა და იგი სტამბულში წაიყვანეს, იმ გვარის (დინასტიის) ქალებმა ზემოხსენებული ქალბატონი სტამბულში გაგზავნეს, რათა მას მომსახურება და ზრუნვა აღმოეჩინა. გულჩარა დაუახლოვდა სულთან მეჰმედის პატივცემულ დედას, რომელსაც იმ ოჯახში დიდი გავლენა ჰქონდა, და მოხერხებული ქცევით და წესიერი სამსახურით მისი ნდობა მოიპოვა და რამდენიმე ხანს სტამბულში დაჰყო"[58].

ცნობა საყურადღებოა იმ მხრივ, რომ ისქანდერ მუნში ირანშა მყოფ სიმონ მეფის ნათესავთა შორის ასახელებს გულჩარას, რომელიც, როგორც ჩანს, მეტად დაახლოებული ყოფილა სიმონ მეფესთან.

საყურადღებო ცნობას გვაწვდის, აგრეთვე, შაჰ-აბასის კარზე მყოფი პორტუგალიის ელჩი ანტონიო გოვეა. მისი გადმოცემით, სტამბულში ჩავიდა ქართველი ქალი გულჩარა (გულკარა) და სულთნის დედის ნდობა დაიმსახურა. ანტონიო გოვეა გულჩარას შეცდომით სიმონ მეფის მეუღლედ თვლის[59]. როგორც ქართული წყაროებიდანაა ცნობილი, სიმონს ცოლად ჰყავდა ლევან კახთა მეფის ქალიშვილი ნესტან-დარეჯანი.

ბ. გიორგაძე, რომელიც ეყრდნობა ა. გოვეას ამ ცნობას, გამოთქვამს მოსაზრებას, რომ გულჩარა სიმონ მეფის ხაჭა უნდა ყოფილიყო[60].

ვ. გაბაშვილის აზრით, გულჩარა სიმონის მახლობელი ქართველი მანდილოსანი ქალი იყო[61].

შევეცადოთ დავადგინოთ, ვინ იყო ეს ქართველი ქალი, რომელიც ესოდენ ენერგიულად იბრძოდა სიმონ მეფის განთავისუფლებისა და ირან-ოსმალეთს შორის ზავის დადებისათვის.

გულჩარას ვინაობის გასარკვევად დიდი მნიშვნელობა აქვს იტალიურ და რუსულ წყაროებში დაცულ ცნობებს.

---

58 ისქანდერ ბეგ თურქმანი, „თარიხ-ი ალემ არა-ი აბასი", ტ. I, თეირანი, 1956, გვ. 720; ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 66. 67.;

59 Antonio de Gouvea, Relations des grandes guerres et victoires obtenues par Chach Abbas contre les empereurs de Mehmet et Ahmet... Rouen, 1646, p. 313.

60 ბ. გიორგაძე, უცხოელი მწერალი საქართველოს შესახებ, „ახალგაზრდა კომუნისტი" 1953 წ. 16—18/IV.

61 ვ. გაბაშვილი, „სათათრო გამოსაღები" გვიანფეოდალურ საქართველოში, „მიმომხილველი", 1953, ტ. III, გვ. 153.

1603 წელს კონსტანტინოპოლში მყოფი ვენეციის ელჩის ავგუსტინო ნანის ცნობით, სიმონ მეფემ, ტყვეობიდან განთავისუფლების მიზნით, თავისი ულამაზესი შვილიშვილი სერალში გაგზავნა, მაგრამ მის ამ ცდას წარმატება არ ჰქონდა[62]. აქედან ირკვევა, რომ გიორგი მეათემ სიმონ მეფის დასახსნელად სტამბულში გაგზავნა არა მარტო თავისი შვილი დავითი, როგორც ეს ქართული წყაროებითაა ცნობილი, არამედ თავისი უმშვენიერესი ქალიშვილიც.

სტამბულში გიორგი მეფის შვილების (დავითისა და მისი დის) ყოფნა დასტურდება აგრეთვე რუსული დიპლომატიური საბუთებიდანაც. მაგალითად, გიორგი მეათემ რუსეთის ელჩს ერთ-ერთი საუბრის დროს განუცხადა; „...за веру христианскую дед мой и отец стояли против турских и кизилбашских людей и голову свою отец мой за то дал,—и ныне в плену у турского и с ними дети мои“[63].

გიორგის შვილებში უნდა ვიგულისხმოთ დავითი და მისი და, რომლის სახელი ჩვენთვის უცნობია. სტამბულში ჩასულ უფლისწულ დავითზე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საყურადღებო ცნობებს გვაწვდის სტამბულში მყოფი საფრანგეთის ელჩი. დავითის დის საქმიანობის შესახებ კი წყაროებში არავითარი ცნობა არ მოიპოვება. ჩვენი აზრით, სტამბულში ჩასული გულჩარა გიორგის ქალიშვილი უნდა იყოს.

სვინაქსარული ცხოვრების მიხედვით, ლუარსაბ მეფეს ორი და ჰყავდა, მაგრამ დების სახელები არ არის აღნიშნული[64]. წყაროების უმრავლესობა მათ ელენე (ლელას) და ხვარაშანს უწოდებს, ხოლო ბერი ეგნატაშვილი და მასზე დაყრდნობით, ვახუშტიც, თინათინსა და ხვარაშანს. ეტყობა ბ. ეგნატაშვილს „ლუარსაბის დად — თინათინად — შეცდომით მიუღია თეიმურაზ პირველის ასული თინათინი“[65]. უფროსი და ხორაშანი თეიმურაზ მეფის მეუღლე გახდა, ხოლო უმცროსი ელენე (ლელა), როგორც ზემოთ ითქვა, შაჰ-აბასმა წაიყვანა ცოლად.

---

[62] Barozzi e Berchet, Relationi degli ambasciatorie e baili Venetī à Constantinopoli, Venezia, 1873, v. I, p. 33.

[63] С. А. Белокуров, Сношения России с Кавказом в 1578—1613 гг., М., 1889, с. 498.

[64] კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. IV, 1957, გვ. 219, 220; ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი IV, სვინაქსარული რედაქციები (XI—XVIII სს.) გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ვ. გაბაძაშვილმა, ი. აბულაძის ხელმძღვანელობით და რედაქციით, თბ., 1968, გვ. 305, 306, 433—437.

[65] იქვე.

მ. საბინინი და ანტონ ფურცელაძე ლაპარაკობენ ლუარსაბის სამი დის შესახებ[66]. ესენია: თინათინი, ხორაშანი და ელენე (ლელა). ანტონ ფურცელაძე, ეკამათება რა თავის ოპონენტებს, წერს: „...განა თინათინი და ელენე ერთია? ელენე იყო იგივე ლელა, და არც ანტონ კათალიკოსი, არც დიდი მოურავიანი, არც ბროსესგანვე გამოცემული 1829 წ. „პარიზის ქრონიკაში“ არ ეძახიან ამ ქალს თინათინს, ეძახიან ან ლელას ან ელენეს, რაც ერთი და იგივეა. თინათინს მარტო ვახუშტი ეძახის. ვახუშტის ეშლება დები ერთმანეთში. თინათინი ერქვა ლუარსაბ მეფის უფროს დას, რომელიც გიორგი მეფემ, ლუარსაბის მამამ, გაგზავნა თავის უფროს შვილს დავითთან ერთად, ნაცვლად თავისი დატყვევებული მამის სვიმონისა; რომელიც ხვანთქარს ჰყავდა ტყვედ სტამბოლში და აღარც ეს და აღარც დავითი აღარ დაბრუნებულან“[67].

ამრიგად, ანტონ ფურცელაძის შეხედულებით, ლუარსაბს სამი და ჰყავდა — აქედან უფროსს თინათინი ერქვა, რომელიც გიორგი მეფემ მის ძმასთან დავითთან ერთად სტამბულში გაგზავნა.

თუ ეს მოსაზრება სარწმუნოა, მაშინ გამოდის, რომ სპარსულ და ევროპულ წყაროებში მოხსენიებული გულჩარა იგივეა, რაც თინათინი, ე. ი. გულჩარა (თინათინი) იყო გიორგი მეფის ასული და სიმონ მეფის შვილიშვილი. დავით უფლისწულთან ერთად სტამბულში გულჩარას (თინათინის) გაგზავნა ადვილად დასაშვებია, რადგანაც მათი სტამბულში გამგზავრებისას დავითი 5—6 წლისა უნდა ყოფილიყო და მას მოვლა-მზრუნველობა სჭირდებოდა თავისი დის მხრიდან, ამასთანავე მან, როგორც ვნახავთ, დიდი დიპლომატიური ნიჭი გამოამჟღავნა.

გულჩარა, რომ სიმონ მეფის შვილიშვილი იყო, ამის სასარგებლოდ მეტყველებს ის, რომ ერთ-ერთი იტალიური წყაროს მიხედვით, სიმონ მეფის შვილიშვილი, რომელმაც უარი თქვა გათურქებაზე, სულთნის წერილითა და ჩაუშის უმაღლესი ტიტულით, ირანში გაიგზავნა[68]. ანტონიო გოვეასა და ისქანდერ მუნშის საისტორიო თხზულებებიდან კი ირკვევა, რომ ამგვარი დიპლომატიური დავალებით სულთანმა ირანში შაჰ-აბასთან გულჩარა გაგზავნა. ამგვარად, გულჩარა და სიმონის შვილიშვილი ერთი და იგივე პიროვნება ჩანს. ამასთანავე თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ისქანდერ მუნშის გადმოცემით, გულჩარა სიმონ მეფის ნათესავია, მაშინ ეს მოსაზრება კიდევ უფრო დამაჯერებელი ხდება.

საქართველოდან სიმონ მეფის გათავისუფლების მიზნით დელე-

---

66 საქართველოს სამოთხე, გვ. 590.

67 იქვე.

68 J. Hammer, Histoire de l'Empire Ottoman, v. VIII, p. 59.

გაციის გამგზავრება ოსმალეთში 1600—1603 წლებში (ე. ი. სიმონ მეფის სტამბულში ჩაყვანიდან ირან-ოსმალეთის ომის დაწყებამდე) უნდა მომხდარიყო. ამ მოსაზრებას ერთგვარად მხარს უჭერს თურქულ წყაროებში დაცული ცნობა: 1011 წელს ჰიჯ. (— 1602/3 წელი) სტამბულში ჩაიტანეს ალექსანდრე კახთა მეფისა და სიმონ მეფის შვილის — გიორგის ხარაჯა და ფეშქაში[69], რაც ვფიქრობთ, სიმონ მეფის გასათავისუფლებლად სულთანისათვის მისართმევი საჩუქარი უნდა ყოფილიყო.

სტამბულში ქართველთა დელეგაციის ჩასვლის დროისათვის ოსმალეთის მდგომარეობა გართულდა. ოსმალეთსა და ირანს შორის ურთიერთობა უფრო მეტად დაიძაბა.

1603 წელს შაჰ-აბასმა ხანგრძლივი მომზადების შემდეგ ოსმალეთთან ომი განაახლა. სპარსელებთან ერთად ოსმალეთის წინააღმდეგ ომში თავიანთი ლაშქრით ქართლ-კახეთის მეფეებიც იღებდნენ მონაწილეობას. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში სიმონ მეფის ტყვეობიდან განთავისუფლება მძევლებით თუ ძვირფასი საჩუქრებით, შეუძლებელი გახდა. მიუხედავად ამისა, სტამბულში ჩასული ქართველები იმედს არ ჰკარგავდნენ და სხვადასხვა საშუალებებით ცდილობდნენ სიმონ მეფის დახსნას.

ევროპული წყაროების მიხედვით, დავით ბატონიშვილი სტამბულში შეხვდა საფრანგეთისა და ვენეციის რესპუბლიკის ელჩებს. საფიქრებელია, დავითი მათ თხოვდა დახმარებას სიმონ მეფის განთავისუფლების საქმეში, აგრეთვე ქართველები შეეცდებოდნენ დაკავშირებოდნენ სტამბულში მყოფ ევროპის სხვა ქრისტიანული სახელმწიფოების წარმომადგენლებსაც და მათაც სთხოვდნენ დახმარებას. როგორც ჩანს, ქართველებმა მათგან სასურველი დახმარება ვერ მიიღეს. ეს აიხსნება იმით, რომ ამ დროს ევროპის სახელმწიფოები დაინტერესებული იყვნენ ოსმალეთთან კარგი ურთიერთობით და თავიანთი სავაჭრო-ეკონომიკური პოზიციის განმტკიცებით. ამავე დროს ევროპის სახელმწიფოებს ხელს აძლევდა ირან-ოსმალეთის ომის გაჭიანურება, ამით დასუსტდებოდა ოსმალეთიცა და ირანიც. ასევე შესუსტდებოდა ოსმალეთის ექსპანსია ევროპის ქვეყნების მიმართ. ამრიგად, ევროპის სახელმწიფოების დახმარება არარეალური ჩანდა.

სიმონ მეფის გასანთავისუფლებლად საჭირო იყო სხვა გზების ძებნა.

1603 წლის 22 დეკემბერს გარდაიცვალა სულთანი მეჰმედ III

---

[69] I. H. Uzunçarşılı, Osmanlı Tarihi, Ankara, 1954, c. III, ksm. 2, s. 110.

და ტახტზე ავიდა 14 წლის აჰმედ I (1603—1617 წწ.). ამ დროს მთელ სახელმწიფო საქმეებს ფაქტიურად სულთნის დედა განაგებდა[70].

საინტერესოა აღინიშნოს, რომ აჰმედ პირველის ტახტზე ასვლიდან ორი კვირის შემდეგ სასახლის კარზე დაწინაურდა გურჯი (ქართველი) მეჰმედ-ფაშა და იგი სასახლის აღად დანიშნეს, შემდგომ ამ მეჰმედ-ფაშას ოსმალეთის სახელმწიფოში სხვადასხვა მაღალი თანამდებობა ეკავა. მაგალითად, იგი სამჯერ იყო დიდი ვეზირის მოვალეობის აღმსრულებელი[71]. შესაძლებელია, გურჯი მეჰმედ-ფაშამ გარკვეული დახმარება აღმოუჩინა სტამბულში ჩასულ ქართველებს თავიანთი მიზნის განხორციელებაში.

ასეთ ვითარებაში გულჩარამ სცადა თავისი გეგმის რეალიზაცია. იგი დაუახლოვდა სულთნის დედას და მისი ნდობა დაიმსახურა.

ირანთან ომში ოსმალეთი მარცხდებოდა. ამავე დროს იგი ევროპაში ავსტრიის იმპერიას ეომებოდა. საკუთრივ ოსმალეთში კი კვლავ გლეხთა აჯანყებები გრძელდებოდა. ოსმალეთის მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდებოდა ირანთან დაზავების შედეგად.

საფიქრებელია, რომ გულჩარამ სულთნის დედას აცნობა, რომ სიმონ მეფე შაჰ-აბასის სიმამრი იყო და შაჰი მას პატივს სცემდა და ანგარიშს უწევდა. შაჰ-აბასის კარზე დიდი გავლენითა და ავტორიტეტით სარგებლობდა ზეინაბ ბეგუმი (შაჰის მამიდა), რომელთანაც სიმონ მეფეს აგრეთვე კარგი ურთიერთობა ჰქონდა ჯერ კიდევ ირანში ყოფნის დროიდან. ჩანს, ყოველივე ამან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სულთნის დედაზე და მას გაუჩნდა სურვილი, გამოეყენებინა სიმონ მეფე ირანთან ზავის დადების საქმეში და ეს გეგმა თავის შვილს აჰმედ I-ს გაუზიარა. ალბათ, ეს სულთანსაც დაუჯდა ჭკუაში. „მან (სულთნის დედამ — მ. ს.) და მისმა შვილმა — დიდმა სენიორმა აჰმედ I-მა გადაწყვიტეს გაანთავისუფლონ გულჩარას მეუღლე სიმონი (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ა. გოვეა შეცდომით გულჩარას სიმონ მეფის მეუღლედ თვლის — მ. ს.) და გაგზავნონ იგი მასთან ერთად ბეგუმთან — შაჰ-აბასის მამიდასთან, რათა მან აღმოუჩინოს თავის ძმისშვილს ისეთივე სამსახური, როგორსაც იგი თავის მხრივ თავის შვილს უწევდა — ცდილობდა რა გამოენახა რაიმე საშუალება და მათ შორის ომი შეწყვეტილიყო. ბოლო მოეღებოდა სიკვდილსა და ბოროტებას, რომლებსაც ეს ომი წარმოქმნიდა, განსაკუთრებით იმ ადამიანებს შორის, რომლებიც მუჰამედის რწმენას აღიარებენ, ასეთი რეკომენდაციებით სულთნის დედამ გულჩარა სიმონთან ერთად ზეინაბ ბეგუმთან გაგზავნა. მათ მიჰქონდათ სულთნის დედის წერილი.

---

[70] Mufassal Osmanli Tarihi, c. I, s. 1048.

[71] იქვე.

სულთნის დედა თხოვდა შაჰ-აბასის მამიდას ზეგავლენა მოეხდინა ძმისშვილზე და გაეკეთებინა ყოველივე შესაძლებელი, რათა შაჰ-აბასს უარი ეთქვა ამ მოსაბეზრებელ ომზე, რომელსაც დიდი ზიანი მოაქვს მაჰმადიანთა საქმიანობისათვის. თუ მისი ძმისშვილი გააგრძელებს ამ ომს, მხოლოდ იმისათვის, რათა დაიპყროს ქვეყნები და ციხე-სიმაგრეები, მაშინ იგი ომის გარეშე მისცემდა მას, თავისი შვილის საშუალებით იმდენს, რომ იგი კმაყოფილი დარჩებოდა"[72].

სიმონ მეფე ტყვეობიდან გაანთავისუფლეს და გულჩარასთან ერთად შაჰ-აბასთან მოსალაპარაკებლად გაგზავნეს.

სულთნისა და მისი დედის ასეთი პოზიცია სავსებით გასაგებია: „ამ დროს მათთვის საჭიროა სიმონისთანა გამოცდილი სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც ირანში თავის დროზე პატივისცემით იყო მიღებული და რომელსაც ირანულ პოლიტიკურ წრეებში გარკვეული წონა ჰქონდა"[73].

სიმონ მეფის შუამავლობას იმ მხრივაც ჰქონდა მნიშვნელობა, რომ ამ ომში „გურჯისტანის საკითხი" კვლავ ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო და მისი გადაწყვეტა ბევრად გააადვილებდა მოწინააღმდეგე მხარეების დაზავებას. ამასთანავე, ამ ომში გიორგი X სიმონის ძე — ქართლის მეფე და ალექსანდრე კახთა მეფე შაჰ-აბასის მოკავშირეები იყვნენ და შესაძლებელი იყო მათ გარკვეული ზეგავლენა მოეხდინათ შაჰზე. ჩანს, სიმონ მეფეს იმედი ჰქონდა, რომ შაჰ-აბასთან მოლაპარაკების დროს მას გარკვეულ დახმარებას აღმოუჩენდა ზეინაბ ბეგუმი, რომელმაც თავის დროზე მას გზა დაულოცა ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად (იხ. გვ. 249). და ბოლოს, სიმონ მეფე შაჰ-აბასის სიმამრი იყო, რაც, ალბათ, ერთგვარად გააადვილებდა მის მისიას. თავის მხრივ, სიმონ მეფე დაინტერესებული იყო ირანსა და ოსმალეთს შორის ზავის დადებით: ამით შეწყდებოდა ირან-ოსმალეთის სისხლისმღვრელი ომი, რომლის ასპარეზი ამიერკავკასიის ქვეყნები და, კერძოდ, საქართველო იყო. ერთი სიტყვით, შაჰ-აბასის ყოფილ მოკავშირეს, იმჟამად ოსმალეთის ტყვეს, სიმონ მეფეს შაჰისათვის ოსმალეთთან ზავის დადება უნდა ეთხოვა და ამ რთული დავალების შესრულებაში მას გულჩარა უნდა დახმარებოდა.

სულთანი ფრთხილად მოქმედებდა და სიმონ მეფის განთავისუფლების პირობად ირანთან ზავის დადებას მოითხოვდა.

სიმონ მეფე და გულჩარა კონსტანტინოპოლიდან ექვსი თუ შვიდი დღის გამგზავრებულები იყვნენ, როცა სულთანმა თავისი გადაწყვე-

---

72 A. Gouvea, დასახ. ნაშრომი, გვ. 313.

73 ს. ჯიქია, ეპიზოდი XVI საუკუნის ისტორიიდან, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის", თბ., 1953, ნაკ. 31, გვ. 58.

ტილება შეცვალა, სიმონ მეფე უკან დააბრუნა და შაჰ-აბასთან მხოლოდ მისი მეუღლე გაგზავნა[74]. ამგვარად, ამ საპასუხისმგებლო მისიის შესრულება მთლიანად გულჩარას დაევალა.

რა იყო მიზეზი, რისთვის შეცვალა სულთანმა თავისი გადაწყვეტილება? ა. გოვეას აზრით, ამის მიზეზი იყო არა მარტო სულთნის შიში, რომ სიმონ მეფე არასოდეს აღარ დაბრუნდებოდა უკან, არამედ ისიც, რომ იგი შაჰს გააცნობდა თურქეთის იმპერიის ნამდვილ მდგომარეობას, იმ უმწეობასა და არეულობას, რაც კონსტანტინოპოლში სუფევდა. ამავე დროს, გულჩარა უფრო მეტი ენერგიითა და თავგამოდებით შეეცდებოდა ირანთან ზავის დადებას და ამ გზით შეძლებდა ტყვეობაში მყოფი ქმრის — სიმონის განთავისუფლებას[75].

ამ ცნობიდან ჩანს, რომ სულთნისათვის მეტად საშიში იყო ირანთან ზავის დადებამდე სიმონ მეფის განთავისუფლება, რადგანაც ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ სიმონი არ იქნებოდა დაინტერესებული ირან-ოსმალეთს შორის ზავის დადებით.

გულჩარა მთელი ენერგიითა და მონდომებით შეუდგა ძნელი დიპლომატიური მისიის შესრულებას. უეჭველია, იგი გამოიყენებდა სიმონ მეფის ავტორიტეტს ირანის შაჰის კარზე. თუ როგორ გაართვა მან თავი ამ რთულ ამოცანას, მოთხრობილია აღმოსავლურ და ევროპულ წყაროებში, სადაც აისახა ნიჭიერი, ენერგიული, დარბაისელი დიპლომატი ქალის როლი ირანსა და ოსმალეთს შორის ზავის დადების საქმეში.

1606 წლის ზაფხულში გულჩარა შაჰ-აბასთან მოსალაპარაკებლად გაემგზავრა. ოსმალეთის დიდმა ვეზირმა დერვიშ-ფაშამ მას თან გააყოლა თურქი ჩაუში მურად აღა.

შაჰ-აბასი ზეინაბ ბეგუმთან ერთად ამ დროს სევანის ტბის მახლობლად იმყოფებოდა. აქ ისვენებდა იგი მორიგი ლაშქრობის შემდეგ. შაჰ-აბასმა და ზეინაბ ბეგუმმა პატივით მიიღეს გულჩარა. მან შაჰს გადასცა სულთნის დედისა და სიმონ მეფის წერილები.

შაჰ-აბასის ოფიციალური ისტორიკოსი ისქანდერ მუნში ამ მოლაპარაკების შესახებ წერს: „ამ (ე. ი. ირანის) მხრიდან სიმონ-ხანის არზების პასუხად ასე დაიწერა: მისთვის (სიმონისათვის) და ოსმალთა სამეფო სახლის უხუცესთათვის ცნობილია, რომ მისი უდიდებულესობა სამოთხეში დამკვიდრებული შაჰისა და განსვენებული სულთან სოლეიმანისა და მისი ვაჟის სელიმის დროს სამშვიდობო ზავი და პირობა განმტკიცებულ იქნა და მისხით მისხამდე ამ ორ დინასტიას შორის მტრობა აღარ ყოფილა. სამოთხეში დამკვიდრებული შა-

---

[74] A. Gouvea, დასახ. ნაშრომი, გვ. 313.

[75] ვ. სვანიძე, ქართველი ქალი — დიპლომატი, ცისკარი, 1966, № 3, გვ. 175.

ჰის გარდაცვალების შემდეგ, მხოლოდ მცირე არეულობათა გამო, ყიზილბაშთა შორის რომ მოხდა, ოსმალებმა დრო იხელთეს; ზავი და პირობა უმიზეზოდ დაარღვიეს და ჩვენს სამემკვიდრეო ქვეყნებს ძალით დაეპატრონენ. ახლა ჩვენ ჩვენს კუთვნილ სამკვიდროს მოვითხოვთ“[76]...

ანტონიო გოვეას ცნობით, შაჰს ოსმალეთისათვის ზავის დადების პირობად შემდეგი მოთხოვნა წაუყენებია: „იგი მზადაა დაჰყაროს იარაღი და შეურიგდეს დიდ სენიორს, თუ იგი დაუბრუნებს მას ყველა იმ მიწას, რომელიც ფეხქვეშ გათელა ისმაილის ცხენმა“[77].

ამრიგად, შაჰ-აბასი ზავის დადების პირობად მოითხოვდა 1555 წლის ირან-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულების აღდგენას. მაგრამ ოსმალეთი ამაზე არ თანხმდებოდა. ოსმალეთმა შაჰ-აბასის ამ მოთხოვნას ასეთი პასუხი გასცა: „შაჰ-ისმაილის ცხენი ბევრს დარბოდა, რადგან ცუდად ჰქონდა ლაგამი ამოდებული. ამიტომ ფეხქვეშ გათელა ბევრი მიწა, რომელიც არასოდეს არ ეკუთვნოდა არც შაჰ-აბასს და არც მის წინაპრებს“[78]...

შაჰ-აბასი დათმობაზე არ მიდიოდა და 1555 წლის ზავის პირობებში რაიმე ცვლილებების შეტანას მიუღებლად თვლიდა. თავის მხრივ, არც ოსმალეთის მთავრობა აპირებდა მიღწეულის დათმობას და 1590 წლის ზავის შემდეგ 1555 წლის ზავის პირობების აღდგენაზე არ თანხმდებოდა. მოლაპარაკებას შედეგი არ გამოუღია, მაგრამ იგი ამით არ შეწყვეტილა. იმდროინდელი წყაროებიდან ჩანს, რომ გულჩარა რამდენჯერმე გაემგზავრა შაჰ-აბასთან მოსალაპარაკებლად.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სტამბულში ჩასული ქართველები სიმონ მეფის ტყვეობიდან განთავისუფლებას ევროპის სახელმწიფოების დახმარებითაც ცდილობდნენ. როგორც ჩანს, მათ მიუმართავთ საფრანგეთის ელჩისათვის ბარონ დე სალინიაკისათვის. 1609 წლის 2 ნოემბერს საფრანგეთის ელჩი ჰენრიხ IV-ს ატყობინებდა: რამდენიმე წლის წინათ საქართველოს მეფე გიორგიმ უფროსი შვილი დავითი კონსტანტინოპოლში გაგზავნა, თავისი მამის (სიმონის) ტყვეობიდან განთავისუფლების მიზნით[79]. საფრანგეთის ელჩი ქართველ ბატონიშვილს შემდეგნაირად ახასიათებს: ...„ეს ახალგაზრდა ვაჟი ჯერ კიდევ არაა 14 წლის, მაგრამ მეტად ჭკვიანი და კეთილი ბუნებისაა“[80].

---

[76] ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 67, 68.

[77] A. Gouvea, დასახ. ნაშრ., გვ. 314.

[78] იქვე.

[79] Saligna c, Jean Gonto Biron de, L'Ambassade en Turquie, v. II, p. 301.

[80] იქვე; მ. სვანიძე, ერთი ფურცელი — საქართველო-ოსმალეთის ისტორიიდან, ცისკარი, 1965, № 3, 175.

საფრანგეთის ელჩთან დავით ბატონიშვილი რამდენჯერმე ყოფილა სადილად მიპატიჟებული. მართალია, სალინიაკი საფრანგეთის მეფეს არაფერს ატყობინებს დავით ბატონიშვილის მასთან მისვლის მიზეზებზე, მაგრამ, საფიქრებელია, რომ ქართველი უფლისწული აუცილებლად თხოვდა მას დახმარებას სიმონ მეფის განთავისუფლების საქმეში. საფრანგეთის წარმომადგენელმა ამ საქმეში არავითარი ინიციატივა არ გამოიჩინა და ქართველები სიმონ მეფის განთავისუფლების მთელ იმედებს ირან-ოსმალეთის ომის დამთავრებაზე ამყარებდნენ.

ირან-ოსმალეთის საზავო მოლაპარაკება გრძელდებოდა. მასში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ქართველი დიპლომატი ქალი — გულჩარა ბაგრატიონი. კონსტანტინოპოლში მყოფი საფრანგეთის ელჩი გონტო ბირონ ბარონ დე სალინიაკი 1609 წლის 5 სექტემბერს თავის მეფეს სწერდა: „ქალი, რომელიც სპარსეთის საზღვრებიდანაა, ქალი, რომელიც ამ საქმეში გამოცდილია და თავისუფლად ნახულობს ოსმალეთის სულთანსა და სპარსეთის შაჰს, აი სამი დღეა, რაც ჩამოვიდა მათ შორის ზავის დასადებად“[81].

ეს ქალი, რომელიც სპარსეთიდან სტამბულში ჩავიდა ზავის დასადებად, გულჩარა უნდა იყოს. ამასთანავე ირკვევა: გულჩარა განსაკუთრებული რწმუნებით ყოფილა უფლებამოსილი და თავისუფლად ხვდებოდა როგორც სულთანს, ისე შაჰს. ყოველივე ეს მოწმობს, რომ გულჩარა ოსმალეთისა დ ირანის მონარქების დიდი ნდობით სარგებლობდა.

საფიქრებელია, ქართველი დიპლომატი ქალი გულჩარა, რომელიც სიმონ მეფის დავალებით ირან-ოსმალეთს შორის ზავის დადებისათვის იღვწოდა, შეეცდებოდა საზავო მოლაპარაკებისას საქართველოს ინტერესების დაცვასაც. ამის შესახებ წყაროებში პირდაპირი მითითება არ მოიპოვება, მაგრამ წყაროების ანალიზის შედეგად შესაძლებლად მიგვაჩნია ასეთი დასკვნის გამოტანა.

1610 წელს შაჰ-აბასმა ლუარსაბ მეფის მოთხოვნით თბილისის ციხიდან გაიყვანა ყიზილბაშთა გარნიზონი (1606 წ. სპარსელებმა, ქართველების დახმარებით, თბილისიდან თურქები განდევნეს და ქალაქის ციხეში თავისი გარნიზონი ჩააყენეს). ეს იყო ქართველთა მნიშვნელოვანი გამარჯვება, საწინდარი ყიზილბაშთაგან ქართლის განთავისუფლებისა.

რითი აიხსნება თბილისიდან ყიზილბაშთა გარნიზონის გაყვანა და ციხის ლუარსაბ მეფისათვის დაბრუნება? რა თქმა უნდა, ეს შაჰ-აბასის ნებაყოფლობითი აქტი არ იყო (მოვლენათა შემდგომმა მსვლე-

---

[81] Salignac, Jean Gonto Biron de, L'Ambassade en Turquie, v. II, p. 301.

ლობამ დაადასტურა შაჰ-აბასის აგრესიული ზრახვები საქართველოს მიმართ).

ისქანდერ მუნშის ცნობით, „თბილისის ციხე სიმონ მეფის კეთილმოსურნეობისა და ერთგულების საზღაურად მის შვილიშვილს, ლუარსაბ მეფეს ეწყალობა"[82].

ამგვარად, ისქანდერ მუნში შაჰ-აბასის წყალობას სიმონ მეფის „კეთილმოსურნეობისა და ერთგულების" საზღაურად მიიჩნევს. ალბათ, ამის გამო წერს ფარსადან გორგიჯანიძე: „მეფეს სვიმონს ხონთქარი ყაენის კერძობას სწამებდა"[83]. რაში გამოიხატებოდა ოსმალთა ტყუეობაში მყოფი სიმონ მეფის „ერთგულება" და „კერძოობა" ირანის შაჰის მიმართ? სიმონ მეფის „კეთილმოსურნეობა" შაჰ-აბასის მიმართ, ვფიქრობთ, აიხსნება მისი ღვაწლით ირან-ოსმალეთის საზავო მოლაპარაკებაში. ცხადია, რომ ამ მოლაპარაკებისას სიმონ მეფე საქართველოს ინტერესებსაც არ ივიწყებდა. შაჰ-აბასიც, სანამ ირან-ოსმალეთის ომი გრძელდებოდა, იძულებული იყო ანგარიში გაეწია თავისი მოკავშირეებისათვის და გარკვეულ ვითარებაში დაეკმაყოფილებინა სიმონის მოთხოვნა.

ერთი სიტყვით, ყიზილბაშთაგან თბილისის განთავისუფლებაში ღვაწლი მიუძღოდა სიმონ მეფეს და მისი მითითებით მოქმედ გულჩარახ.

1612 წლის სექტემბერში ირანის ელჩი ყადი-ხანი ქართველ დიპლომატ ქალთან ერთად კონსტანტინოპოლში ჩავიდა. ოსმალეთის ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი, ავსტრიელი ისტორიკოსი ჟ. ჰამერი მიუთითებს, რომ ეს ის დიპლომატი ქალია, რომელსაც ადრე ოსმალეთის დიდმა ვეზირმა ირანთან ზავის დადება დაავალა[84]. აქედან ცხადი ხდება, რომ ეს ქართველი ქალი გულჩარაა. „საქართველოს ელჩმა... თავისი სილამაზით, ბრწყინვალებითა და მშვენიერებით კონსტანტინოპოლი განაცვიფრა"[85].

სულთანმა მათ საზეიმო შეხვედრა გაუმართა.

ჟ. ჰამერი წერს: „ეს მეორე შემთხვევა იყო, როდესაც კონსტანტინოპოლში დიპლომატად ქალს აგზავნიდნენ. ქართველი დიპლომატი ქალი ენერგიულად ებრძოდა ოზბეგების წარმომადგენლებს, რომლებიც სულთანს აქეზებდნენ გაეგრძელებინა ომი ირანთან"[86].

---

82 ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 76.

83 ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 11.

84 J. Hammer, Histoire de l'Empire Ottoman, v. VIII, p. 182.

85 A. Lamartin, Histoire de la Turquie, v. V, Paris, 1855, p. 305.

86 J. Hammer, Histoire de l'Empire Ottoman, v. VIII, 182.

როგორც დავინახეთ, გულჩარამ არა მარტო თავისი სილამაზით, ბრწყინვალებითა და მშვერმეტყველებით მოხიბლა კონსტანტინოპოლი, მისი ენერგიული ჩარევის შედეგად ჩაიშალა ოზბეგთა წარმომადგენლების ზრახვები — ხელი შეეშალათ ირანსა და ოსმალეთს შორის ზავის დადებისათვის.

იმ დროს მეტად უჩვეულო შემთხვევა იყო ქალისათვის ესოდენ საპატიო საქმის დავალება. თუ გავითვალისწინებთ იმ მდგომარეობასაც, რომ უცხო ქვეყნების წარმომადგენლები არც თუ ისეთი ხალისით ჩადიოდნენ იმდროინდელ ოსმალეთში, რადგან თურქები ხშირად არღვევდნენ საერთაშორისო ნორმებს, უცხო სახელმწიფოების წარმომადგენლებს ციხეებში ამწყვდევდნენ და სიკვდილითაც კი სჯიდნენ, მაშინ კიდევ უფრო დასაფასებელი და მნიშვნელოვანი გახდება გულჩარას როლი საქართველო-ოსმალეთ-ირანის რთული პოლიტიკური ურთიერთობის მოწესრიგებაში.

1612 წლის 20 ნოემბერს სტამბულში ოსმალეთსა და ირანს შორის ზავი დაიდო. ჟ. ჰამერის „ოსმალეთის იმპერიის ისტორიაში“ აღნიშნულია, რომ „ქართველმა ქალმა შეათანხმა ზავი ოსმალეთსა და ირანს შორის“[87].

ამგვარად, 1612 წელს ირან-ოსმალეთის ზავის დადებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის გულჩარა ბაგრატიონს. მისი ენერგიული დიპლომატიური მოღვაწეობის შედეგად შეწყდა სისხლისმღვრელი ომი, რომელსაც მძიმედ განიცდიდნენ არა მარტო ირან-ოსმალეთის, არამედ ამიერკავკასიის ქვეყნებიც, და, კერძოდ, საქართველო.

მართალია, ამ ხელშეკრულებაში არაფერი იყო ნათქვამი საქართველოს შესახებ, მაგრამ 1612 წლის ზავით, ძირითადად, აღდგენილ იქნა 1555 წლის ამასიის ზავის პირობები, რომლის მიხედვითაც საქართველო ოსმალეთსა და ირანს შორის ორად იყო გაყოფილი: ქართლ-კახეთი ირანს რჩებოდა, ხოლო დასავლეთ საქართველო და სამცხე — ოსმალეთს. საყურადღებოა ის, რომ ზავის დადების დროისათვის ირანის გარნიზონები ქართლ-კახეთის ციხეებში აღარ იმყოფებოდნენ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყიზილბაშთა ჯარები ქართლ-კახეთის ციხეებიდან გაყვანილ იქნა ოსმალთა ტყვეობაში მყოფი სიმონ მეფის „კეთილმოსურნეობით“, რაც ქართველებისათვის დიდი წარმატება იყო. საფიქრებელია, ოსმალეთი ირანისაგან მოითხოვდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოებსა დ ირანს შორის დამყარებულიყო პო-

---

[87] J. H a m m e r. Histoire de l'Empire Ottoman. ტ. XV, გვ. 128.

ლიტიკური ურთიერთობის ის ფორმა, რომელიც მას ჰქონდა დამკვიდრებული დასავლეთ საქართველოში: მოხარკეობა და დამოუკიდებლობა ქვეყნის საშინაო საქმეებში. ამრიგად, 1612 წლის ზავის შედეგად ქართლ-კახეთის სამეფოების პოლიტიკური მდგომარეობა გაცილებით გაუმჯობესდა, რაშიაც გარკვეული წვლილი შეიტანა გულჩარა ბაგრატიონმა.

ცხადია, ზავის დადების შემდეგ, გულჩარა თხოვდა სულთანს სიმონ მეფის ტყვეობიდან განთავისუფლებას, როგორც ამას სულთანი ჰპირდებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ დროს სიმონ მეფე ცოცხალი აღარ იყო და, ბუნებრივია, ეს საკითხი აღარ დასმულა. ევროპული წყაროებიდან ირკვევა, რომ სიმონ მეფე 1611 წელს ედი-კულეს ციხეში გარდაცვლილა[88]. ცხადია, მაშინ გულჩარა თხოვდა სულთანს ნებართვას, რომ სიმონ მეფის ნეშტი სამშობლოში ჩამოესვენებინათ. ირან-ოსმალეთის ზავის დადების შემდეგ, 1614 წელს სიმონ მეფის ნეშტი საქართველოში ჩამოასვენეს და მცხეთაში სვეტიცხოველის ტაძარში, მეფეთა საძვალეში დაასაფლავეს. ვფიქრობთ, რომ ამაში გარკვეული ამაგი გულჩარას მიუძღვის[89].

---

[88] A. Gouvea, დასახ ნაშრ., გვ. 316; მ. სვანიძე, სიმონ პირველის ოსმალეთთან ურთიერთობის ზოგიერთი თარიღის დაზუსტებისათვის, საქართველოს ისტორიის ფეოდალური ხანის ურთიერთობის საკითხები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 135—140.

[89] ქართულ და სომხურ წყაროებში სიმონ მეფის ნეშტის სტამბულიდან საქართველოში ჩამოსვენებისა და მის დაკრძალვასთან დაკავშირებით სხვადასხვა ცნობები მოიპოვება. მაგალითად, ახალი ქართლის ცხოვრების ე. წ. მესამე ტექსტში სწერია: „ხოლო იყო მუნ სტამბოლს ერთი გორელი ვაჭარი, რომელსაც ეწოდა დიაკონის შვილი და ამან იშოვნა ძუალნი სიმონ მეფისანი და წარმოიღო იგი და მოართვა გიორგის და დედოფალსა — ნეტან დარეჯანს. და ყეენ გლოვა დიდი და დამარხეს ხამარხისა თჳსსა მცხეთას“ (ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 537, რადგანაც გიორგი გარდაიცვალა (1606 წ.) სიმონ მეფეზე ადრე, ამიტომ მის დროს არ შეიძლება ეს ამბავი მომხდარიყო.

არაქელ თავრიზელის ცნობით, ლუარსაბ მეფემ იპოვა ისეთი პირები, რომლებმაც იცოდნენ, სად იყო დასაფლავებული სიმონ მეფე სტამბულში და გაგზავნა კაცები სიმონ მეფის ნეშტის მოსატანად. სიმონ მეფის ნეშტი იმ დროს ჩამოიტანეს, როდესაც შაჰ-აბასი თბილისში იმყოფებოდა. „როცა შაჰმა გაიგო სიმონ ხანის ნეშტი მოიტანესო, აღივსო სატანის ზრახვებითა და მზაკვრობით. იგი ქრისტიანების ისეთი მტერი იყო, რომ მათი სისხლიც კი სწყუროდა. შაჰი, ცოცხლების წარწყმედითა და წარტყვნით არ დაკმაყოფილდა და მიცვალებულის ძვლებსაც არ მტრად გაუხდა. ამიტომ მკაცრად ბრძანა დაუყოვნებლივ მიეტანათ მასთან ნეშტი. როდესაც ასრულდა მისი ბრძანება, სთქვა: „მას უფრო მეტ პატივს ვცემ და განვადიდებ, ვიდრე თქვენ, რადგან თქვენ არ იცით ხელმწიფის საკადრისი პატივისცე-

გულჩარა ბაგრატიონი იმ სახელოვან ქართველ ქართა პლეადას ეკუთვნის, რომლებმაც თავიანთი საქმიანობით დიდი წვლილი შეიტანეს სამშობლოს ინტერესების დაცვისა და კეთილდღეობის საქმეში.

მა. მე მსურს გავგზავნო იგი იმამ რიზასთან, რომ ჩვენ წინაპარ ხელმწიფეთა და მთავრებთან ერთად განდიდდეს".

ასეთი თვალთმაქცური სიტყვებით გაგზავნა სიმონ-ხანის ძვლები სპარსეთში და ნება არ მისცა დაემარხათ საქართველოს მიწაზე და ვერავინ გაიგო. თუ რა უყვეს და სად წაიღეს. ასე გადაკარგეს და დაღუპეს სიმონის ნეშტი (არაქელ თავრიზელის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 33, 34).

არაქელ თავრიზელის სიტყვები შაჰის ვერაგობისა და მის ბოროტ ზრახვებზე ჩვენი ერის მიმართ სწორია, მაგრამ სომეხი ავტორი ცდება სიმონ მეფის ნეშტის დაკრძალვის თაობაზე. ამჯერად ქართველებმა იმარჯვეს და ტანჯული გმირის ცხედარი მშობლიურ მიწას მიაბარეს.

ალავერდი-ხანი
(უნდილაძე)

ირანის პოლიტიკურ სარბიელზე შაჰ-აბასის (1587—1629) კარზე მოღვაწე ქართველებს შორის განსაკუთრებული ადგილი ეკავა ალავერდი-ხან უნდილაძეს. ფაქტიურად, იგი შაჰის შემდეგ მეორე კაცი იყო სახელმწიფოში.

ალავერდი-ხანის მოღვაწეობა ირანში ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგადაა შესწავლილი (ზ. ავალიშვილი, ვ. გაბაშვილი, ბ. გიორგაძე, დ. კაციტაძე, კ. კუცია, თ. ნატროშვილი), მაგრამ ზოგიერთი საკითხი დამატებით შესწავლას მოითხოვს. სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს ალავერდი-ხანის წარმომავლობის შესახებ. ქართველი ისტორიკოსების მიერ დამაჯერებლად არის დასაბუთებული, რომ ალავერდი-ხანი ქართველია. ვ. გაბაშვილი ქართული წყაროების ანალიზის საფუძველზე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი წარმოშობით ქართლის უნდილაანთ (უნდილაძე) ფეოდალური ოჯახიდან იყო[90]. იგი ბაგშვობისას მოიტაცეს, ირანში ტყვედ გაყიდეს, ერთი ბატონიდან მეორის ხელში გადადიოდა, ვიდრე შაჰ-თამაზ I-ის (1524—1576 წწ.) სამსახურში ჩადგებოდა. ალავერდი-ხანი ირანში XVI ს-ის 60—70-იან წლებში უნდა მოხვედრილიყო.

ირანის პოლიტიკურ სარბიელზე ალავერდი-ხანი განსაკუთრებით დაწინაურდა შაჰ-აბასის დროს. ამას ხელი შეუწყო როგორც მისმა პირადმა თვისებებმა, ასევე ამ დროს ირანში შექმნილმა ვითარებამ. ამ პერიოდში განსაკუთრებით სწრაფად ხდება კავკასიური ელემენტის დაწინაურება ირანის პოლიტიკურ და სამხედრო სარბიელზე[91].

ავიდა რა ტახტზე, შაჰ-აბასმა მიზნად დაისახა განემტკიცებინა ცენტრალური ხელისუფლება. ამისათვის კი, უპირველესად ყოვლისა, საჭირო იყო მეტისმეტად აღზევებული ყიზილბაშური ტომების მე-

[90] ვ. გაბაშვილი, უნდილაანთ ფეოდალური სახლი XVI—XVII სს. ირანში (ქართული წყაროების მიხედვით), მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები. ტ. II, 1972, გვ. 67, 68.

[91] კ. კუცია, კავკასიური ელემენტი სეფიანთა ირანის პოლიტიკურ სარბიელზე, მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1963, გვ.66—76.

თაურების — ამირების გავლენის შესუსტება. ამ დროს ირანის ძირითად სამხედრო ძალას ყიზილბაშთა სამხედრო ტომები შეადგენდნენ. თითოეულ ტომს სათავეში ედგა ტომის მეთაური, რომელიც ერთსა და იმავე დროს სამხედრო მოხელეცა და ადმინისტრაციული ხელმძღვანელიც იყო. ყიზილბაშ ამირებს შორის წარმოებდა ბრძოლა თავისი გავლენის გაძლიერებისა და შაჰის კარზე პირველობის მოსაპოვებლად. ყიზილბაშთა ამირების ძლიერების საფუძველს ყორჩის ჯარი შეადგენდა. მათ ომის დროს 60000 მხედარი გამოჰყავდათ. შაჰ-აბასმა შეამცირა ყიზილბაშური ტომებისაგან გამოსაყვან მხედართა რაოდენობა. ამიერიდან ყიზილბაშთა ტომები ყველანი ერთად 30000 მხედარს ითვლიდნენ.

შაჰი სხვა ღონისძიებებსაც იღებდა. მან ირანში ყიზილბაშებს დაუპირისპირა კავკასიური ელემენტი — ქართველები, სომხები, ჩერქეზები, რის შედეგადაც სწრაფად მოხდა მათი დაწინაურება ირანის პოლიტიკურ სარბიელზე[92]. ამ მხრივ შაჰ-აბასი განსაკუთრებით დიდ ყურადღებას იჩენდა ყულის ჯარის მიმართ. მისი დაკომპლექტება, ისევე, როგორც იენიჩარებისა ოსმალეთში, ხდებოდა გამაჰმადიანებული ქრისტიანებისაგან, რომლებიც ირანში სხვადასხვა გზით მოხვდნენ. ყულის ჯარში დიდი რაოდენობით იყვნენ გამაჰმადიანებული ქართველები. ალბათ, სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ყულის ჯარის მეთაური (ყულარ-აღასი) აუცილებლად ქართველი უნდა ყოფილიყო. ყულის ჯარი 10000 კარგად შეიარაღებული, დისციპლინირებული მხედრისაგან შედგებოდა. შაჰ-აბასმა ალავერდი-ხანი ერთგული სამსახურისათვის ღულამების მეთაურად დანიშნა და ყულარ-აღასობა უბოძა.

1595 წელს შაჰ-აბასმა ალავერდი-ხანი ყიზილბაშ ამირებს დაუპირისპირა და ფარსის პროვინციის მმართველად დანიშნა. ერთი წლის შემდეგ კი ქილუიეს მთის გამგებლობაც მისი მმართველობის სფეროს მიუმატა. ალავერდი-ხანი მამაცი, საქმის მცოდნე, წინდახედული, სულგრძელი და შაჰისადმი ერთგული სარდალი იყო. ამ თვისებების წყალობით მან მცირე დროში მთელი ფარსის პროვინცია დაიმორჩილა, დაამარცხა ავშარისა და ბახთიართა ტომები, რომლებიც ქილუიეს მთასა და ფარსის პროვინციის სხვა ადგილებში შაჰს განდგომოდნენ[93].

1601 წელს ალავერდი-ხანმა ხელთ იგდო ლარისის ვილაიეთი, ომანის ზღვის სანაპირო ზოლთან ერთად, აგრეთვე ბაჰრეინის კუნძულები სპარსეთის ყურეში და მნიშვნელოვნად შეზღუდა პორტუ-

---

92 კ. კ უ ც ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 67, 68.

93 ხ. ფ ა ლ ს ა ფ ი, შაჰ-აბას პირველის ცხოვრება, ტ. II, გვ. 92, თარგმანი, გვ. 21, 22.

გალიელების გავლენა ამ რეგიონში. ეს ტერიტორია კი მეტად მნიშვნელოვანი იყო ირანისათვის, რადგანაც შაჰ-აბასი დიდ ყურადღებას აქცევდა ევროპის ქვეყნებთან ვაჭრობას საზღვაო გზით — სპარსეთის ყურიდან. იგი დიდად იყო დაინტერესებული სპარსეთის აბრეშუმის ევროპაში გატანით, თურქეთის გვერდის ავლით, რადგანაც ოსმალეთს. მის დაუძინებელ მტერს, მნიშვნელოვნად შეუმცირდებოდა საბაჟო შემოსავალი.

შაჰ-აბასთან ერთად ალავერდი-ხანს გარკვეული წვლილი მიუძღვის ირანის არმიის რეორგანიზაციის საქმეში. 1599 წელს ირანში ჩავიდა ინგლისის ელჩი ანტონი შერლი, თავისი ძმის რობერტ შერლისა და 25 კაცის თანხლებით. ალავერდი-ხანმა მათი დახმარებით ირანის არმია შეაიარაღა ცეცხლმსროლელი იარაღით, რის შედეგადაც მისი ბრძოლისუნარიანობა საგრძნობლად გაიზარდა. სწორედ ცეცხლმსროლელი იარაღის უპირატესობის წყალობით ოსმალეთი წინა ომებში ადვილად ამარცხებდა ირანის ლაშქარს, ახლა კი ეს უპირატესობა აღარ გააჩნდა.

1603—1612 წწ. ირან-ოსმალეთის ომის დროს ალავერდი-ხანმა განსაკუთრებით გამოავლინა თავისი მხედართმთავრული ნიჭი. მან რამდენიმე დიდი გამარჯვება მოიპოვა ოსმალეთის არმიაზე.

ალავერდი-ხანი დიდ სიმდიდრეს ფლობდა. მარტო ფარსის საბეგლარბეგოდან მისი ყოველწლიური შემოსავალი 50—100 ათას ეკიუს შეადგენდა[94].

ალავერდი-ხანი დიდ საამშენებლო საქმიანობას ეწეოდა: გაჰყავდა გზები, აშენებდა სასახლეებს, ქარვასლებს, აბანოებს, ხიდებს და სხვა. მის მიერ ისფაჰანში აგებული ხიდი დღესაც მის სახელს ატარებს. მისივე ხარჯით იყო შესრულებული ზოგიერთი ფრესკა ისფაჰანში ჩეჰელ-სუთუნის სასახლეში, მის მოხატულ კედლებზე, მნახველთა სიტყვით, გაკეთებული იყო ქართული წარწერებიც[95].

ალავერდი-ხანი ყოველნაირად ცდილობდა თავის საშფლობელოში სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობა-ხელოსნობის დაწინაურებას. შირაზში ჩასახლებულმა ქართველებმა ხელი შეუწყვეს აქ მევენახეობა-მეხილეობის განვითარებას. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, ერთ-ერთი ყურძნის სახეობა ევროპელებისათვის ცნობილია ქართული

---

[94] A n t o n i o G o u v e a, Relations des grandes guerres et victoires obtenues par le roi de Perse de Chah-Abbas contres les empereurs de Turquie Ahmet et Muhamet, traduit de portougais. Rouen, 1646, pp. 70, 71.

[95] ე. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, უნდილაანთ ფეოდალური სახლი ირანში, გვ. 65.

სახელით: შირაზული. ეს სახელი ევროპელებს შირაზის ქართველებისავან უნდა ესწავლათ[96].

შაჰ-აბასი ალავერდი-ხანს დიდ ანგარიშს უწევდა. შაჰს პორტუგალიის ელჩთან ანტონიო გოვეასთან ერთ-ერთი საუბრის დროს უთქვამს: „მთელი სპარსეთი მე მემორჩილება და მე კი ალავერდი-ხანს“[97].

ირანელი პროფესორი ნასროლა ფალსაფი ალავერდი-ხანს შემდეგნაირად ახასიათებს: „შაჰ-აბასი ალავერდი-ხანს ყველა სხვა დიდ სარდლებზე ღრმა მეტად აფასებდა და პატივს სცემდა. რადგანაც იგი ხანღაზმული კაცი იყო, შაჰი მას მამას ეძახდა. ვერც ერთი სარდალი ვერ უტოლდებოდა მას ჩინისა და თანამდებობის მხრივ. იგი, კარგად შეიარაღებული და ომში გამოწრთობილი ოცდაათათასიანი ცხენოსანი ჯარით, ირანის სამხრეთით მდებარე ყველა ვილაიეთში. სპარსეთის ყურის სანაპიროსა და კუნძულებზე მბრძანებლობდა. შაჰ-აბასი დიდი ომებისას, რომელსაც იგი ოსმალეთთან აწარმოებდა, უმთავრესად მის სამხედრო ძალას ეყრდნობოდა ხოლმე“[98].

1613 წლის ზაფხულში მოულოდნელად გარდაიცვალა ალავერდი-ხანი. მის სიკვდილთან დაკავშირებით ასეთი ლეგენდა არსებობს: ალავერდი-ხანმა რამდენიმე დღით ადრე კაცს, რომელსაც მისი აკლდამის გაკეთება ჰქონდა დავალებული, ჰკითხა, თუ რა მდგომარეობაში იყო მისი სამარადისო განსასვენებლის მშენებლობა. იმ კაცმა გულუბრყვილოდ უპასუხა: „მაღალი გუმბათი და აივანი, რომელიც დასამარხ ადგილად არის განკუთვნილი, სრულყოფილი სახით დასრულდა და თქვენს მობრძანებას ელის“. საუბრის დამსწრე პირებმა ეს კაცი ლაყბობისა და დაუფიქრებელი პასუხისათვის გაკიცხეს, ხოლო ალავერდი-ხანმა იგი გაამართლა და განაცხადა, რომ ეს სიტყვები ზებუნებრივმა ძალამ ჩააგონა და ამ ქვეყნიდან წასვლის დროს, მართლაც. მოაღწია და ამ საუბრის შემდეგ მალე გარდაიცვალა[99].

ალავერდი-ხანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მეტად საყურადღებო ცნობები მოეპოვება შაჰ-აბასის ოფიციალურ მემატიანეს ისქანდერ მუნშის. მისი გადმოცემით, შაჰ-აბასი ფარახაბადიდან ისფაჰანში ბრუნდებოდა. ალავერდი-ხანი მის შესახვედრად ფარსიდან სატახტო ქალაქში ჩავიდა. შაჰმა, როცა მას თვალი მოჰკრა, თაყვა

---

96 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. II, გვ. 412, 413.

97 A n t o n i o G o u v e a, Relations..., p. 43; ბ. გ ი ო რ გ ა ძ ე, XVII საუკუნის დასაწყისის პორტუგალიელი ელჩის დონ ანტონიო გოვეას რელაციონი საქართველოზე, საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, 1970, ტ. I, გვ. 90.

98 ნ ა ს რ ო ლ ა ფ ა ლ ს ა ფ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 22.

99 იქვე, გვ. 23.

თანამგზავრებს ჩუმად გადაულაპარაკა: „ალავერდი-ხანს საიმქვეყნო პირი უჩანსო“, რაღგანაც მას სახეზე სისუსტისა და უძლურების ძლიერი ნიშანი აღებეჭდა. შემდეგ მემატიანე დასძენს: „შემთხვევით, ისე როგორც შაჰმა იწინასწარმეტყველა, რამდენიმე დღის შემდეგ ფარსის ამირთა-ამირა ავად გახდა და ხსენებული წლის 14 რაბიოლსანის ოთხშაბათ დღეს (1613 წ. 3 ივნისს) გარდაიცვალა“[100].

შაჰ-აბასმა დიდი პატივი მიუგო მიცვალებულს, ისქანდერ მუნშისავე ცნობით, შაჰი ამირებისა და დიდებულების თანხლებით, თავისი ერთგული და თავდადებული სარდლის პანაშვიდს დაესწრო და განბანვის და შესუდრვის ცერემონიალშიც მონაწილეობა მიიღო. აქვე თანავე ბრძანა, რომ მისი ნეშტი დიდი პატივით გადაესვენებინათ მეშჰედში და დაესვენებინათ აკლდამაში, რომელიც თვით ამ სარდალს აეგო იმამ-რიზას საფლავის მახლობლად. 150 თუმანიც სამეფო ხაზინიდან გასცა მისი დაკრძალვის ხარჯებისათვის. მეორე დღეს, შაჰ-აბასი მის უფროს ვაჟს იმამყული-ხანს ეწვია, გაამხნევა იგი და მისი სხვა ნათესავები. შაჰმა იმამყული-ხანს მამის თანამდებობა — ფარსის ბეგლარბეგობა უბოძა, ხოლო მისი მეორე ვაჟი დაუტ-ხანი ყარაბაღის ამირთა-ამირად და ყაჯართა ტომის მეთაურად დანიშნა[101].

ასეთია ისქანდერ მუნშის ვერსია ალავერდი-ხანის სიკვდილთან დაკავშირებით. აქედან, უპირველესად ყოვლისა, ჩვენს ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ალავერდი-ხანი გარდაიცვალა 1613 წლის 3 ივნისს, ხოლო შაჰ-აბასმა საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობა დაიწყო 1613 წლის ოქტომბრის დასაწყისში[102]. ხომ არ არსებობს ამ ორ ფაქტს შორის ურთიერთკავშირი? ეს გარემოება ყოველთვის ეჭვს ბადებდა.

1612 წლის 20 ოქტომბერს ირანსა და ოსმალეთს შორის ზავი დაიდო. შაჰ-აბასს საშუალება ეძლეოდა მთელი ძალები საქართველოს წინააღმდეგ მიემართა და ერთხელ და საბოლოოდ „გურჯისტანის საკითხი“ თავის სასარგებლოდ გადაეწყვიტა. შაჰი შეუდგა საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობის სამზადისს.

---

100 ისქანდერ მუნში, თარიხი ალემ არაი აბასი, ტ. II, გვ. 870, 871; ნასროლა ფალსაფი, დასახ. ნაშრ., გვ. 22, 23.

101 იქვე.

102 ისქანდერ მუნშის ცნობით, შაჰ-აბასმა 1614 წლის 14 ოქტომბერს დატოვა ისფაჰანი და „საღვთო ომისათვის საქართველოსაკენ დაიძრა“ (ისქანდერ მუნში, ტ. II, გვ. 869; ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 81). სინამდვილეში, როგორც ჩვენ მიერ არის დაზუსტებული, შაჰ-აბასის საქართველოს წინააღმდეგ ეს ლაშქრობა 1613 წლის ოქტომბერში დაიწყო (მ. სვანაძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 257—259).

ბუნებრივია, რომ შაჰ-აბასი თავის ამ გეგმას ალავერდი-ხანს გაანდობდა. რადგან იგი, ფაქტიურად, მთელი ირანის ჯარების სარდალი იყო და ამასთანავე წარმოშობით ქართველი და საქართველოს საქმეებში კარგად ჩახედული. ამავე დროს მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ ალავერდი-ხანის ოჯახის წევრებს ნათესაური ურთიერთობა ჰქონდათ დამყარებული როგორც ბაგრატიონთა სამეფო სახლთან, ისე მსხვილ ქართველ ფეოდალებთან. მაგალითად, თეიმურაზ I-ის და ელენე, დაუდ-ხანზე იყო გათხოვილი, ხოლო იმამ ყული-ხანის ასული კი — ანდუყაფარ ამილახორზე. ასე რომ, ალავერდი-ხანს პოზიციას საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობის საქმეში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ისპანდერ მუნშის ცნობით, როდესაც შაჰ-აბასი დედაქალაქში დაბრუნდა, ალავერდი-ხანი მის შესახვედრად ფარსიდან ისფაჰანში ჩავიდა. უფრო სწორი იქნებოდა გვეფიქრა, რომ შაჰმა იგი დედაქალაქში გამოიძახა და „საქართველოს გეგმა“ გაანდო. ჩანს, ალავერდი-ხანმა არ გაიზიარა ეს გეგმა და შაჰმა მასზე „საიმქვეყნიო და უძლურების ნიშანი“ აღბეჭდა (მოწამლა) და რამდენიმე დღის შემდეგ იგი გარდაიცვალა. ისპანდერ მუნშიმ ოსტატურად შენიღბა შაჰ-აბასის ეს ვერაგული ნაბიჯი, ხოლო ალავერდი-ხანის სიკვდილის ნამდვილი მიზეზის შესახებ ხალხში მხოლოდ გადაკვრით ლაპარაკობდნენ, რადგანაც ეშინოდათ შაჰის რისხვისა. „ალავერდი-ხანი, — წერს ვ. გაბაშვილი, — გარდაიცვალა 1614 წელს, საქართველოს წინააღმდეგ შაჰ-აბასის ლაშქრობის წინ და უკვე თანამედროვენი გადაკარგულად აღნიშნავდნენ, რომ მის სიკვდილში თვით შაჰის ხელი ერია“[103].

დიდი ხნის განმავლობაში შაჰ-აბასის მიერ ალავერდი-ხანის მკვლელობასთან დაკავშირებით მკვლევრებს რაიმე არსებითი, ხელშესახები მასალა არ გააჩნდათ და ისინი მხოლოდ ვარაუდს გამოსთქვამდნენ.

ი. ტაბაღუამ საფრანგეთიდან ჩამოიტანა და თარგმნა ნაწყვეტები კლოდ მალენგრის წიგნიდან, გამოცემული დე სენ-ლაზარის მიერ პარიზში 1635 წელს, რომელშიაც ვკითხულობთ: „შაჰი მეტად გაბრისხებული იყო. შირაზის ხანი, სახელად ალავერდი და მისი ჰარამხანის მეთვალყურე და მაღალი ხელისუფლებით აღჭურვილი ყორჩიბაში, შეეცადნენ უარი ეთქმევინებინათ შაჰისათვის თავის გადაწყვეტილებაზე, თვითონ პირადად წასულიყო ქართველების წინააღმდეგ სალაშქროდ. ამის გამო ირანის შაჰის რისხვას ვერ გადაურჩნენ: შაჰმა ბრძანა ალავერდი-ხანი მოეწამლათ (იგი მოწამლეს). მან სიკვდილის

---

[103] ვ. გაბაშვილი, უნდილაანთ ფეოდალური სახლი ირანში, გვ. 68.

წინ გაძწარებულმა ხელები დაუკბინა თავის ცოლს, ყორჩიბაში კი შაჰის ბრძანებით ჯოხით სცემეს"[104].

ამგვარად, მოტანილი ცნობიდან სავსებით აშკარად ჩანს, რომ შაჰ-აბასმა ალავერდი-ხანი მოაწამვლინა, რადგან მან არ გაიზიარა შაჰის გეგმა საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობისა.

ისმის კითხვა, თუ შაჰ-აბასმა ალავერდი-ხანი თავიდან მოიშორა და მოაწამვლინა, მაშინ რატომ დააწინაურა მისი შვილები? (იმამყული-ხანს მამის თანამდებობა — ფარსის ბეგლარბეგობა უბოძა, ხოლო დაუდ-ხანს — ყარაბაღის ამირობა). როგორც ჩანს, ალავერდი-ხანი ირანში საკმაოდ დიდი ავტორიტეტითა და გავლენით სარგებლობდა და შაჰმა მისი მკვლელობა საიდუმლოდ განახორციელა, ხოლო ოფიციალურად, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, დიდი პატივით დაასაფლავა. შაჰს არ სურდა ეს ამბავი გახმაურებულიყო. ძით უფრო, რომ მას 1613 წელს საქართველოში ლაშქრობის გეგმა არ შეუცვლია. ამასთან დაკავშირებით, აგრეთვე, „აღსანიშნავია, რომ უნდილაანთ ფეოდალური სახლის წარმომადგენლებს მიუხედავად მათი ყულარაღასობისა და ბეგლარბეგობისა, საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობებში პირადად მონაწილეობა არ მიუღიათ"[105].

ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ ალავერდი-ხანის შვილები იმამყული-ხანი და დაუდ-ხანი მიუხედავად მამის ასეთი აღსასრულისა (ცხადია, მათ ძალიან კარგად იცოდნენ მამის სიკვდილის ნამდვილი მიზეზი), მაინც შესაძლებლობისდაგვარად განაგრძობდნენ თავიანთი ღვიძლი სამშობლოს საქართველოს სამსახურს. შემთხვევით არ აიხსნება ის ფაქტი, რომ 1625 წელს დაუდ-ხანმა კავშირი დაამყარა გიორგი სააკაძესთან[106], ხოლო შემდგომ კი თეიმურაზ მეფესთან და მონაწილეობა მიიღო შაჰ-სეფის წინააღმდეგ აჯანყებაში[107], რაც გახდა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ირანში უნდილაანთ ფეოდალური სახლის ამოწყვეტისა.

ასე შესწირეს თავიანთი სიცოცხლე შორეულ სამშობლოს სიყვარულს უნდილაძეებმა, რომელთა ყველაზე უფრო გამოჩენილი წარმომადგენელი იყო ალავერდი-ხანი.

---

[104] ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, ტ. III, გვ. 64.

[105] ე. გაბაშვილი, უნდილაანთ ფეოდალური სახლი ირანში, გვ. 69.

[106] მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 286.

[107] თ. ნატროშვილი, თეიმურაზ პირველის აჯანყება და იმამყული-ხანი, ახლო აღმოსავლური კრებული, გვ. 165—173; გ. ქორდანია, თეიმურაზ მეფე და ძმანი უნდილაძენი, მნათობი, 1984, № 5, გვ. 137—147.

აბაზა მეჰმედ-ფაშა

XVII საუკუნის 20—30-იანი წლების ოსმალეთის სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში აბაზა მეჰმედ-ფაშას გარკვეული ადგილი უკავია. მის შესახებ აღმოსავლურ და ევროპულ წყაროებში საყურადღებო ცნობები მოიპოვება. აბაზა მეჰმედ-ფაშას მოღვაწეობა გაშუქებულია ოსმალეთის სახელმწიფო მოღვაწეთა ბიოგრაფიულ ლექსიკონსა და თურქულ და ევროპულ ისლამის ენციკლოპედიებში.

მეჰმედ სურეას ოსმალეთის სახელმწიფო მოღვაწეთა ბიოგრაფიული ლექსიკონის „სიჯილ-ი ოსმანის“ მიხედვით, აბაზა მეჰმედ-ფაშა წარმოშობით ქართველია[108]. ოსმალო მემატიანის მუსტაფა ნაიმას ცნობით, აბაზა-ფაშა თავის თავზე ამბობდა: „მე სამოთხის შვილივით არ ვარ, რომლის წარმოშობა უკავშირდება ხელმწიფეთა შთამომავლობას“[109]. ცნობილია, რომ აზნაური ქართველი ფეოდალის აღწინშვნელი სიტყვაა და ამით, როგორც ჩანს, აბაზა ფაშას სურდა ეჩვენებინა თავისი სოციალური და ეთნიკური წარმომავლობა. საფიქრებელია, რომ იგი ბავშვობაში აფხაზეთიდან მოიტაცეს და ოსმალეთში ტყვედ გაყიდეს. ამაზე მიუთითებს ნისბა აბაზა (აფხაზი). მან მაჰმადიანობა მიიღო, დაარქვეს მეჰმედი და შემდგომში, თავისი ნიჭისა და უნარის წყალობით, დაწინაურდა ოსმალეთის პოლიტიკურ სარბიელზე.

ოსმალეთში მისი მოღვაწეობის პირველი წლების შესახებ წყაროებიდან ცნობილია მხოლოდ ის, რომ იგი ჯანფოლადოღლუს, ჯელალიების აჯანყების ერთ-ერთი მეთაურის, ხაზინადარი იყო.

XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე ოსმალეთში გლეხთა დიდი აჯანყება მძვინვარებდა, რომელიც ცნობილია ჯელალიების სახელწოდებით, მასში წვრილი და საშუალო ფეოდალებიც იღებდნენ მონაწილეობას. აჯანყების ხელმძღვანელთაგან ყველაზე მეტად ცნობილი არიან ყარა იაზიჯი-დელი ჰასანი (1599—1603 წწ.), კალენდაროღლუ (1603

---

108 მ ე ჰ მ ე დ ს უ რ ე ა, სიჯილ-ი ოსმანი, ტ. IV, გვ. 136 (ძველ თურქულ ენაზე).
109 მუსტაფა ნაიმას ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 165, 166.

—1608 წწ.) და ჯანფოლადოღლუ (1605—1607 წწ.)[110]. როგორც ზემოთ ითქვა, ამ უკანასკნელის ხაზინადარი იყო აბაზა მეჰმედი. 1607 წელს, როდესაც ჯანფოლადოღლუ დაამარცხეს, მასთან ერთად დაატყვევეს აბაზაც. იენიჩართა აღას ხალილის შუამდგომლობით აბაზას სიცოცხლე შეუნარჩუნეს. მანვე დიდად შეუწყო ხელი აბაზა მეჰმედის დაწინაურებას პოლიტიკურ სარბიელზე.

1608 წელს (1017) ხალილ ფაშას კაფუდან ფაშობა (ადმირალი) უბოძეს. მან აბაზა მეჰმედი თავისთან წაიყვანა და გალერების მეთაურად დანიშნა. 1617 წელს (1026), როდესაც სალილი დიდი ვეზირი გახდა, აბაზა მარაშის ბეგლარბეგი (გამგებელი) გახდა, 1620 წელს, კი მას არზრუმის ფაშობა ებოძა[111].

ამ დროს ოსმალეთის იმპერიის საშინაო და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა გაუარესდა, რამაც გამოიწვია ბრძოლა ცალკეულ პოლიტიკურ დაჯგუფებებს შორის. გახშირდა სასახლის გადატრიალებები, იენიჩართა და სიფაჰიების აჯანყებები, ცალკეულ ფეოდალთა გამოსვლები და სხვა.

1617—1623 წწ. მოხდა სასახლის რამდენიმე გადატრიალება. ამ ხნის განმავლობაში ოთხჯერ შეიცვალა სულთანი. 1617 წ., აჰმედ I-ის სიკვდილის შემდეგ, ტახტზე აიყვანეს გონებასუსტი მუსტაფა I, რომელმაც ოთხ თვეს იმეფა (1617 წ. 22 ნოემბრიდან — 1618 წ. 26 თებერვლამდე), შემდეგ იგი ჩამოაგდეს და გაამეფეს 14 წლის ოსმან II (1618—1622 წ. 22 მაისი).

1622 წელს ოსმალეთმა პოლონეთთან ომში დამარცხება განიცადა. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იენიჩართა და დაჭირავებული სიფაჰიების უდისციპლინობა იყო. დედაქალაქში დაბრუნების შემდეგ, მათი დასჯის მიზნით, ოსმან II-მ ბრძანა იენიჩარებისა და სიფაჰიებისათვის ჯამაგირი არ მიეცათ. სულთანმა უახლოესი პირების რჩევით, გადაწყვიტა იენიჩართა კორპუსი შეეცვალა ახალი სამხედრო შენაერთით, რომლის დაკომპლექტება ძირითადად უნდა მომხდარიყო ანატოლიაში მცხოვრები გლეხებით. როგორც ჩანს, ამ გეგმას მხარს უჭერდა პროვინციების ზოგიერთი გამგებელი, რომელთა შორის

---

[110] გ. ფუთურიძე, სოციალური მოძრაობები ოსმალეთში, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, გვ. 272—276: А. С. Тверитинова, Восстание Кара Языджи-Дели Хасана в Турции. М-Л., 1946; М. К. Зулалян, Движение джелалиев и положение армянского народа в Османской империи (XVI—XVII вв.), Ереван, 1966; M. Akdağ, Celali îsyanları (1553—1603), Istanbul, 1963; Muîassal Osmanlı Tarihi, c. III. s. 1674—1759.

[111] მეჰმედ სურეა, სიჯილ-ი ოსმანი, ტ. IV. გვ. 136. Muîassal Osmanlı Tarihi, c. IV, s. 1839.

იყო არზრუმის ბეგლარბეგი აბაზა ფაშა. ამით მას იმედი ჰქონდა გაეძლიერებინა თავისი გავლენა დედაქალაქში[112].

ამ გეგმის განსახორციელებლად ოსმან II აპირებდა კონსტანტინოპოლის დატოვებას და აზიაში, დამასკოსა ან ალეპოში გამგზავრებას. ჯეშმარიტი მიზნის შესანიღბავად მან გაავრცელა ხმა, რომ იგი აპირებს წმინდა ქალაქის მექასა და მუჰამედის საფლავის მონახულებას[113]. იენიჩარებმა ეს შეიტყვეს, აჯანყდნენ, ოსმან II ტახტიდან ჩამოაგდეს და მოჰკლეს[114]. ერთ-ერთი დაჯგუფება, რომელიც ეშყარებოდა იენიჩარებსა და დაქირავებულ ჯარს, ამ ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდა. მისი შემწეობით 1622 წ. 22 მაისს ტახტზე კვლავ აიყვანეს მუსტაფა I (1622 წ. მაისი — 1622 წ. სექტემბერი). ამ დაჯგუფებას ბრალად ედებოდა ოსმან II-ის მკვლელობა.

ახალი სულთნისადმი ოპოზიციურად განწყობილი მეორე დაჯგუფება, რომელშიაც შედიოდნენ უმაღლესი სასულიერო პირები, სასახლის დიდმოხელეები, ზოგი პროვინციის გამგებლები, დიდად იყო შეშფოთებული იმით, რომ სასახლის კარზე იენიჩართა და დაქირავებული ჯარის გავლენა მეტად გაიზარდა. ამიტომ მათ ჩამოაგდეს სულთანი ტახტიდან და მოკლეს იგი. მართალია, იენიჩართა ასეული, რო-

---

[112] Османская империя в первой четверти XVII в. Сборник документов и материалов. составители Х. М. Ибрагимбейли," Н. С. Рашба, М., 1984, с. 9.

[113] იქვე.

[114] რუსული საარქივო მასალების მიხედვით ამ დროს ოსმალეთში მომხდარი ამბები შემდეგნაირადაა გადმოცემული: „ცარგოროდში (სტამბოლში — მ. ს.) თურქეთის უსმან (ოსმან II — მ. ს.) სულთანი იანიჩარებმა მოჰკლეს იმისათვის, რომ ის იანიჩარებს ხელფასს არ აძლევდა. როდესაც უსმან სულთანი თავისი ჯარით ლიტვის უფლისწულის წინააღმდეგ გაემართა, იმჟამად უსმან სულთნის კარ-მიდამოდან ლიტველებმა კარვები და ცხენები გაიტაცეს. უსმან სულთანმა თავისთან, ცარგოროდში, დაბრუნებისას მრავალი ისპაგი (სიფაჯი — მ. ს.) და იანიჩარი დასჯა სიკვდილით, ვინაიდან მათი გაუფრთხილებლობით და გულგრილობით მოხდა დაზარალება ლიტველებისაგან" (თ. ტივაძე, მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლების 350 წლისთავის გამო (რუსული საარქივო მასალების მიხედვით), მაცნე, ისტორიის... სერია, 1975 წ. № 3. გვ. 174). იმ დროინდელი სომეხი მოზაური სიმონ ლეჰაცი ოსმალეთის სასახლის კარზე მომხდარ ამბებს შემდეგნაირად აგვიწერს: „სულთანი ოსმანი სტამბოლში შერცხვენილი და პატივაყრილი, დამარცხებული და თავჩაქინდრული დაბრუნდა. და აი, რამდენიმე დღის შემდეგ თავი წამოჰყო არმიამ, იანიჩარებმა და სიფაჰიებმა, და ფიცით გაერთიანებულები სასახლისაკენ გაეშურნენ... შეიჭრნენ სულთანთან და მოკლეს იგი" (Симеон Лехаци, Путевые заметки, перевод с армянского, предисловие и комментарии М. О. Дарбиняна, М., 1965, с. 261. შეადარე С. А. Мамедов, Восстание Абаза-паши по армянским источникам, Историко-филологический журнал, Ереван, 1977, № 4, с. 214—226).

მელშიაც ირიცხებოდა სულთნის მკვლელი, დაშალეს და იგი აღარ ყოფილა აღდგენილი, მაგრამ ამ სასჯელმა იენიჩარებს წესრიგი არ შემატა. ამ დაჯგუფებას მიაჩნდა, რომ საჭირო იყო ძლიერი ხელისუფლება, რომელსაც ექნებოდა უნარი მკაცრი საშუალებებით შეეჩერებინა ოსმალეთის იმპერიის ძლიერების დაცემა-დასუსტების პროცესი[115].

ამ დასს ეკუთვნოდა აბაზა მეჰმედ ფაშაც, რომელიც მომხრე იყო გლეხების მიმართ ლოიალური პოლიტიკის გატარებისა. იგი განსაკუთრებით ებრძოდა იენიჩარების თვითნებობასა და თავაშვებულებას და მათ თვლიდა ქვეყნის არეულობის მთავარ მიზეზად. აბაზა ფაშა მომხრე იყო ოსმალეთის სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის განმტკიცებისა.

აბაზა მეჰმედ ფაშამ გამოაცხადა, რომ ის არ სცნობს იმ მთავრობას, რომელმაც იენიჩარებთან ერთად კანონიერი სულთანი ოსმან II მოჰკლა; ოსმანის მკვლელობაზე შურისძიება ოფიციალურად თავს იდვა და დაიწყო აჯანყება ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ.

აჯანყებულმა აბაზა ფაშამ გაწყვიტა არზრუმში განლაგებული იენიჩარები. „აბაზი ფაშა, — წერს მუსტაფა ნაიმა, — ის ხალხი (იენიჩარები, მ. ს.) როგორც უზურპატორები, შეურაცხმყოფელები და მეამბოხენი, არ დაინდო და მუსრი გაავლო. რადგან ადგილობრივი იენიჩარები მოსპობილ იქნენ, მათი რაზმებისაგან დაიცალა არზრუმის ციხე“[116]. ამასთანავე აბაზა ფაშამ წერილი გაუგზავნა იენიჩარებს და შეუთვალა, რომ მათი „მთლიანად მოსპობა სურს“[117].

რუსული წყაროების მიხედვით: „მას შემდეგ, რაც უსმან სულთანი იენიჩარებმა მოჰკლეს, თურქმა აბაზა ფაშამ შეკრიბა სხვადასხვა ჯურის თავისუფალი თურქი მოხალისეები, თხუთმეტ ათასამდე და დაიწყო თურქეთის ქალაქების დაპყრობა. მან ოცამდე თურქული ქალაქი აიღო“[118].

აბაზა ფაშამ სასწრაფოდ შეადგინა 30—40 ათასიანი არმია და ხელთ იგდო სივასი, ყარაჰისარი, ანკარა, ბურსა და სხვა ქალაქები. აჯანყება მოედო აღმოსავლეთ და ცენტრალური ანატოლიის დიდ ნაწილს და თითქმის მთელი ანატოლია აბაზა ფაშამ თავის კონტროლს დაუქვემდებარა. სომეხი მოგზაური სიმონ ლეჰაცი აბაზა ფაშას აჯანყების შესახებ მოგვითხრობს: „როცა მან ანატოლიას მიაღწია, მისი ჯარი გაძლიერდა, იგი ოსმანის დამცველად აცხადებდა თავს და

---

115 А. Д. Новичев, История Турции, т. I, с. 153—156.

116 მუსტაფა ნაიმას ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ..., გვ. 425.

117 იქვე.

118 თ. ტივაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 174, 177.

დაიწყო იენიჩართა ჟლეტა. იგი თანდათან გაძლიერდა, შემოიკრიბა ლაშქარი, გახდა ძლევამოსილი, და ჯელალიელთა წეს-ჩვეულების მიხედვით, ჯერ ხელი მიჰყო სოფლების დაპყრობას, შემდეგ ციხე-სიმაგრეებისა, ბოლოს ქალაქებისა და სადაც კი რაიმეს შეიტყობდა იენიჩარების შესახებ ან იპოვნიდა მათ, შეუბრალებლად ჰკლავდა და სასტიკად აწამებდა მათ. თან უმატებდა: „თქვენ მოკალით თქვენი მეფე, ამიტომ მე თქვენს სისხლს დავლევ!“ ასე იქცეოდა იგი ათი წლის განმავლობაში. ამბობენ, რომ მან 40 ათასი იენიჩარი მოკლა, რაღაცაც მუფტიმ მას მისცა ფეტვა. მიუხედავად იმისა, რომ მაღალმა პორტამ ბევრჯერ გაგზავნა ჯარი მის წინააღმდეგ, მას ვერაფერი ვერ დააკლეს“[119].

სულთანმა აბაზა ფაშას წინააღმდეგ სამი დიდი დამსჯელი ექსპედიცია გაგზავნა. მისი მომხრეები გაფანტულ იქნენ, მაგრამ 1628 წლის 18 სექტემბრამდე აბაზა ფაშა ინარჩუნებდა თავის ძალაუფლებას არზრუმში.

ჩვენთვის მეტად საყურადღებოა ის, რომ აჯანყებულ აბაზა ფაშასთან ურთიერთობა დაუმყარებია თეიმურაზ მეფეს. შაჰ-აბასისაგან დევნილმა თეიმურაზმა ჯერ დასავლეთ საქართველოს შეაფარა თავი, ხოლო იქიდან ოსმალეთში წავიდა და სულთანს დახმარება სთხოვა: „И дал-де ему (Теймуразу--М. С.) Ахмет султан своих городов блиско рубежа грузинские земли а города: город Олтис город Намурдан, город Артанес со всеми уездны, с села и з, деревнями“[120].

„ოსმალეთის საქართველოში“ თეიმურაზ მეფე ცხოვრობდა 1625 წლის აპრილამდე. მარტყოფის აჯანყების შემდეგ თეიმურაზი საქართველოში დაბრუნდა. როგორც წყაროებიდან ირკვევა, ოსმალეთში ყოფნის დროს თეიმურაზ მეფემ კავშირი და მეგობრული ურთიერთობა დაამყარა აბაზა ფაშასთან.

1626 წელს თეიმურაზ მეფემ ნიკიფორე ირბახი (ჩოლოყაშვილი) ევროპაში გაგზავნა ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მიზნით (იხ. გვ. 121). ნიკიფორე ირბახის ესპანეთის მთავრობასთან მოლაპარაკებიდან ირკვევა, რომ თეიმურაზ მეფეს განზრახული ჰქონდა ანტიოსმალურ კოალიციაში ჩაება აბაზა ფაშაც. ნიკიფორე ირბახი ესპანეთის სამეფო კარს აცნობებდა: „აჯანყებული აბაზა ფაშა თხოვდა იბერიის მეფეს (თეიმურაზს) და ყოველნაირად ცდილობდა დაეყო-

---

[119] Симеон Лехаци, Путевые заметки, с. 261, 262.

[120] М. А. Полиевктов, Материалы по истории русско-грузинских взаимоотношений 1615—1640 гг., Тб., 1937, с. 63.

ლებინა იგი კონსტანტინოპოლის წინააღმდეგ ერთობლივ ლაშქრობაზე. მაგრამ მეფე მას მაინცდამაინც არ ენდობოდა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ხშირად აერთიანებდნენ თავიანთ ძალებს და გამარჯვებას აღწევდნენ თურქებთან და სპარსელებთან ბრძოლაში და იკავებდნენ მათ ქალაქებს. ასე რომ თუ მეფე მოისურვებს, ამ ლაშქრობას (ოსმალეთის) წინააღმდეგ განახორციელებს. აბაზა ფაშა მზად იქნება შეასრულოს მისი (იბერიის მეფის) ბრძანებები და გაჰყვეს მას, სადაც კი იბერიის მეფე ისურვებს"[121].

ნიკიფორე ირბახის გადმოცემით: აბაზა ფაშა წარმოშობით ქართველია, იბერიიდან, დიდი მეგობარია თეიმურაზ მეფისა და ქრისტიანებისა, მისი ლაშქარი 80 ათასი კაცისაგან შედგება და მათ შორის ბევრი ქრისტიანია[122].

თეიმურაზ მეფის ანტიოსმალური გეგმით, როდესაც ქართველები თავიანთ ჯარებს გადასხამდნენ ტრაპიზონში და დაიწყებდნენ შეტევას ოსმალეთის წინააღმდეგ, აბაზა ფაშას მათთვის დახმარება უნდა აღმოეჩინა.

წყაროებიდან არაა ცნობილი, ჰქონდა თუ არა თეიმურაზ მეფეს წინასწარი მოლაპარაკება აბაზა ფაშასთან ანტიოსმალურ კოალიციაში მონაწილეობაზე. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ თეიმურაზს იმედი ჰქონდა, რომ აბაზა ფაშა მხარს დაუჭერდა ანტიოსმალურ კოალიციას, რადგან ადრე, როგორც ზემოთ ითქვა, თვით აბაზა ფაშა „ყოველნაირად ცდილობდა დაეყოლებინა" თეიმურაზი კონსტანტინოპოლის წინააღმდეგ ერთობლივ ლაშქრობაზე. მართალია, ეს ანტიოსმალური კოალიცია არ შედგა, მაგრამ თვით ფაქტი იმისა, რომ თეიმურაზ მეფე ცდილობდა ამ კოალიციაში ჩაება აბაზა ფაშაც, ჩვენთვის მეტად საყურადღებოა.

ამასობაში ოსმალეთის სახელმწიფოს კარზე გარკვეული ცვლილებები მოხდა: სასახლის იმ დაჯგუფებამ, რომელიც მუსტაფა I-ის წინააღმდეგ გამოდიოდა, აიძულა თავისი მოწინააღმდეგენი დათან-

---

[121] ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, ტ. II, გვ. 175, — 851; ჯ. ვათეიშვილი, ნიკიფორე ირბახის ნაკვალევზე, ქართველი დესპანი ესპანეთში XVII ს-ის პირველი მეოთხედის დამლევს, გაზ. კომუნისტი, 1983 წ. 13. 7, 4. 8.

[122] იქვე, კათოლიკე ბერის დონ მიქელ მოსკოს ცნობით „აბაზა არზრუმის ფაშა, რომელიც აუჯანყდა თურქებს, დაბადებით და ნათლობით ქრისტიანია, კოლხეთის პროვინციიდან". (ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 251).

გ. ჟორდანია აბაზა ფაშას აიგივებს იმამყული-ხან უნდილაძესთან. რაც ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს მართებული (გ. ჟორდანია, თეიმურაზ მეფე და ძმანი უნდილაძენი, მნათობი, 1984, № 4, გვ. 145).

ხმებულიყვნენ გადაეყენებინათ მუსტაფა I და ტახტზე აეყვანათ მურად IV (1623—1640).

ფაქტიურად, ქვეყანას განაგებდნენ ის დიდმოხელეები, რომლებმაც 11 წლის მურადი სულთანი გახადეს. მისი ზეობის პირველ წლებში სახელმწიფოს მართავდნენ მურადის დედა და მისი ნდობით აღჭურვილი სანდო პირები, უმთავრესად კი დიდი ვეზირი გურჯი მეჰმედ ფაშა[123]. მან მიიღო მკაცრი ზომები ქვეყნის საშინაო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

პორტას მიერ მიღებული ღონისძიებების შედეგად 20-იანი წლების მეორე ნახევრიდან ოსმალეთის საშინაო მდგომარეობა თანდათან გაუმჯობესდა. მაგრამ აბაზა ფაშას დამოკიდებულება ახალი სულთნის მიმართ კვლავ გართულებული იყო. ჩანს, აბაზა ფაშას სურდა სულთნისათვის მორჩილება გამოეცხადებინა, მაგრამ არ იყო დარწმუნებული, რომ მას დანაშაულს აპატიებდნენ და ამიტომ განაგრძობდა წინააღმდეგობის გაწევას. სწორედ ამ დროს განახლდა ირან-ოსმალეთის ომი, რომლის დროსაც არზრუმს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა.

შაჰ-აბასმა გადაწყვიტა ესარგებლა შექმნილი ვითარებით და აბაზა ფაშა თავის მხარეზე გადაებირებინა. 1625 წლის გაზაფხულზე „ყიზილბაშთა შაჰმა არზრუმში აბაზა ფაშასთან თავისი ელჩები გაგზავნა... მათთან ერთად აბაზა ფაშასთან საჩუქრად ოცდაექვსი ბედაური და ოცი აქლემი გაგზავნა. ელჩების პირით შაჰმა აბაზა ფაშას შეუ-

---

[123] გურჯი მეჰმედ ფაშა წარმოშობით ქართველია. იგი ბავშვობაში მოიტაცეს და ოსმალეთში ტყვედ გაყიდეს. თავდაპირველად იგი სულთნის ჰარამხანაში მსახურობდა, საჯურისთა უფროსი იყო. აჰმედ I (1603—1617) ტახტზე ასვლიდან ორი კვირის შემდეგ სასახლის კარზე დაწინაურდა გურჯი მეჰმედი და იგი სასახლის აღად დანიშნეს, 1604 წელს ეგვიპტის ვალის თანამდებობა უბოძეს, შემდგომ წლებში — რუმელიისა და ბოსნიის ბეგლარბეგობა. 1615 წელს იგი დიდი ვეზირის მოვალეობას ასრულებდა, შემდეგ კი სხვადასხვა თანამდებობები ეკავა. 1622 წლის სექტემბერში იგი დიდ ვეზირად დანიშნეს, ხოლო ერთი წლის შემდეგ გადააყენეს და კუნძულ როდოსზე გაგზავნეს. 1623 წელს გურჯი მეჰმედ ფაშა როდოსიდან გამოიწვიეს და მეორე ვეზირად დანიშნეს. მურად IV-ის ზეობის პირველ წლებში იგი დიდი ვეზირის მოვალეობას ასრულებდა. 1626 წელს გურჯ მეჰმედ ფაშა 90 წლის ასაკში გარდაიცვალა. მუსტაფა ნაიმა მის შესახებ წერს: „გურჯი მეჰმედ ფაშა იყო საჯურისი, გონიერი, მტკიცე ნების, ღირსეული ვეზირი" (მუსტაფა ნაიმას ცნობები... გვ. 184); Mufassal Osmanlı Tarihi, c. IV, s. 1848). საეჭვოა გ. ალასანიას მოსაზრება, რომ გურჯი მეჰმედ ფაშას ძმა იყო აბაზა მეჰმედ ფაშა (ქათიბ ჩელების ცნობები..., გვ. 277), მით უფრო, რომ მას ამ მოსაზრების სასარგებლოდ არავითარი საბუთი არ მოაქვს.

თვალა, რომ იგი აბაზა ფაშა, შაჰის ხელდებული გახდეს და მას შაჰს, ემსახუროს, თავის მხრივ, კი შაჰი წყალობას გაიღებს"[124].

აბაზა ფაშამ შაჰ-აბასს შემდეგი პასუხი გასცა: „თუ მას თურქეთის სულთანი ოსმანი დიდ ვეზირობას არ უბოძებს, იგი აბაზა ფაშა, თურქეთის მურად სულთანთან ცარგოროდში არ წავა და შაჰის ქვეშევრდომი გახდება, მის სამსახურში შევა"[125].

ასეთ ვითარებაში, ჩანს, სულთან მურად IV თანახმა იყო აბაზა ფაშასათვის დანაშაული ეპატიებინა და ძველებურად იგი თავის სამსახურში ჩაეყენებინა, „თურქეთის მურად სულთანმა აბაზა ფაშასთან თავისი ხალხი გაგზავნა და შეუთვალა, რომ იგი აბაზა ფაშა მასთან, მურად სულთანთან ცარგოროდში ჩავიდეს და ძველებურად ემსახუროს. აბაზა ფაშამ კი თურქეთის სულთანს მისივე ხალხის მეშვეობით უპასუხა: „კიდევაც რომ მან, მურად სულთანმა, მას, აბაზა ფაშას, დიდვეზირობა უწყალობოს იგი მურად სულთანთან ცარგოროდში მაინც არ წავა"[126].

აბაზა ფაშას არ უნდოდა კონსტანტინოპოლში ჩასვლა, რადგანაც არ იყო დარწმუნებული სულთნის გულწრფელობაში.

1627 წელს ოსმალეთის დიდი ვეზირი ჰალილ ფაშა ირანის წინააღმდეგ სალაშქროდ გაემგზავრა. მან აბაზა ფაშასთან ბოსტან ფაშა მიავლინა და სთხოვა გაეგო — წავიდოდა თუ არა აბაზა ფაშა მათთან ერთად ახალციხის ასაღებად. აბაზა ფაშამ დიდი პატივით მიიღო ჰალილ ფაშას წარმომადგენელი. მან დიდ ვეზირს წერილი გაუგზავნა, რომელშიაც წერდა: „მე ფადიშაჰის უღირსი მონა ვარ. ვილაიეთი შენია, მაგრამ თავაშვებული ჯარის (იენიჩარების — მ. ს.) ეშინიათ. შენ ლაშქრით მუშიდან გამოემართე, რომ დამშვიდებული იყვნენ. მე ფაშებთან ერთად ახალციხეზე წავალ. სარდლად მე დამნიშნეო". დიდვეზირმა პასუხად წერილი გაუგზავნა: „ამ მხარეში ჯარის სარდლად შენ დანიშვნაზე თანახმა არ არიანო"[127].

მალე აბაზა ფაშამ თავისი გადაწყვეტილება შეცვალა, რადგან მას ხელთ ჩაუვარდა წერილი „მისი მოკვლის თაობაზე"[128]. იგი არზრუმისაკენ გამოგზავნილ ოსმალთა ჯარს თავს დაესხა და სასტიკად და-

---

[124] თ. ტ ი ვ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 174, 175, 178.
[125] იქვე.
[126] იქვე.
[127] ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 230.
[128] იქვე.

ამარცხა[129]. ამის გამო ჰალილ ფაშა გადააყენეს, ხოლო დიდ ვეზირად ხუსრევ ფაშა დანიშნეს.

ასეთ ვითარებაში აბაზა ფაშამ შაჰ-აბასს კაცი გაუგზავნა და დახმარება სთხოვა[130]. „მაგრამ რაკი მის მოქმედებაში ორპირობა, ვერაგობა და ცბიერება გამოსჭვივოდა, მის დახმარებას საჭირო ყურადღება არ მიექცა“[131].

1628 წლის ივნისის დასაწყისში ხუსრევ ფაშა აბაზას წინააღმდეგ სალაშქროდ გაემართა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ გიორგი სააკაძე მონაწილეობას იღებდა აბაზა ფაშას წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში. 1628 წ. 4 სექტემბერს ხუსრევ ფაშამ არზრუმს ალყა შემოარტყა. აბაზა ფაშა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. შაჰ-აბასმა აბაზა ფაშას დასახმარებლად ჯარი გაგზავნა შამსი-ხანის წინამძღოლობით. ალყაშემორტყმული არზრუმის ციხექალაქი დიდ განსაცდელში ჩავარდა. 14 დღის ალყის შემდეგ აბაზა ფაშამ ოსმალეთის დიდვეზირთან მოლაპარაკება გამართა. საფიქრებელია, რომ ირანის ჯარების მოახლოების შიშით დიდი ვეზირი დათმობაზე წავიდა და აბაზა ფაშას მორჩილების პირობად წარსულის პატიებასა და, საზოგადოდ, უვნებლობას დაპირდა. ამ საფუძველზე 1628 წლის 18 სექტემბერს მებრძოლ მხარეთა შორის შეთანხმება მოხდა[132]. მუსტაფა ნაიმა ამ ფაქტს შემდეგნაირად გადმოგვცემს: „სარდალმაც (ხუსრევ ფაშამ — მ. ს.) ვეზირობის შესაფერისად განადიდა და დიდი პატივი აღმოუჩინა. აბაზამ წარსულ დანაშაულებათა პატიება ითხოვა. დიდ ვეზირმაც უთხრა: რაც იყო, იყოო და მას სიასამურის ქურქი, ხოლო მის აღებს საპატიო ხალათები ჩააცვა, შეუწყალა და ყველა თხოვნა შეუსრულა, არაფერი არ დააკლო“[133].

დატყვევებული აბაზა ფაშა სტამბულში ჩაიყვანეს და სულთანს მიჰგვარეს. მურად IV-მ აბაზა ფაშას ჰკითხა: „შენ, რატომ ჩაიდინე ასეთი საქმეები და ამდენი ჩემი მსახური დაღუპე?“ მან უპასუხა: „მე შურს ვიძიებდი ტახტის მემკვიდრისა და შენი ძმის ოსმანის გამო. აგრეთვე, მე მაქვს წერილი დედაშენისა და დიდი ვეზირის, რომ ასე მოვქცეულიყავი“ და მეფეს წინ დაუდო ქაღალდები. როდესაც სულთანმა შეიტყო საქმის არსი, მან არ გასცა ბრძანება მისი

---

129 ისჭანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, 142, 143.

130 მუსტაფა ნაიმას ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 178, 179; ისჭანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 143.

131 ისჭანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 143.

132 მუსტაფა ნაიმას ცნობები..., გვ. 181, 182; ქათიბ ჩელების ცნობები, გვ. 232, 233.

133 მუსტაფა ნაიმას ცნობები..., გვ. 182.

მოკვლისა, როგორც ბოროტმოქმედის, არამედ უბოძა მას ბოსნიის ბეგლარბეგობა რუმელიაში"[134], ხოლო ცოტა ხნის შემდეგ კი იგი დანიშნულ იქნა ოჩაკოვის გამგებლად.

1633 წელს აბაზა ფაშამ 60 ათასიანი ლაშქრით მონაწილეობა მიიღო პოლონეთის წინაღმდეგ ომში[135]. მაგრამ სასახლის კარზე პოლიტიკური ინტრიგების შედეგად, 1634 წლის 24 აგვისტოს აბაზა ფაშა სიკვდილით იქნა დასჯილი.

XVII საუკუნის 20—30-იან წლებში აბაზა ფაშას სახელი შიშის ზარს სცემდა პორტას და ამიტომ სულთნის მთავრობის მოწინააღმდეგეებმა არაერთხელ გამოიყენეს მისი სახელი, რათა თავის მხარეზე მიემხროთ მრავალრიცხოვანი უკმაყოფილონი, მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

---

[134] Симеон Лехацци, Путевые заметки, с. 262.

[135] L. Podhorecki, Najazd Abazy paszy na Polske w 1633 roku, Studia Historyczne, Krakow, 1976, 19. 4. c. 527—547.

გიორგი სააკაძე ოსმალეთში

სახელმოხვეჭილი დიდი მოურავის გიორგი სააკაძის გმირული ცხოვრების შესახებ ბევრი დაიწერა და კიდევ დაიწერება. მაგრამ მისი ბიოგრაფიის ზოგიერთი საკითხი ჯერ კიდევ არ არის საკმარისად შესწავლილი. მაგალითად, არაა სათანადოდ გარკვეული დიდი მოურავის ოსმალეთში მოღვაწეობა და მისი დაღუპვის მიზეზები.

ბაზალეთის ომში დამარცხების შემდეგ გიორგი სააკაძე იძულებული შეიქნა საქართველო დაეტოვებინა და ოსმალეთში წასულიყო. სულთნის მთავრობამ გიორგი სააკაძე და მისი თანმხლები პირები დიდი პატივით მიიღო, რადგან „მას (გ. სააკაძეს — მ. ს.) ოსმალთა დინასტიის წინაშე დიდ დამსახურებად ჩაუთვალეს ყიზილბაშთა განადგურება"*.

ამ დროს ოსმალეთი ირანთან ომს აწარმოებდა და მარცხდებოდა. 1623 შაჰ-აბასმა ოსმალეთის წინააღმდეგ ომი განაახლა და წარმატებებს მიაღწია. 1623 წლის დამლევს ირანელებმა დაიკავეს ქალაქი ბაღდადი, ხოლო 1624 წლიხათვის მთელი ერაყი და ქურთისტანის ნაწილი. სულთნის მთავრობა ყველა ზომას მიმართავდა ბაღდადის დასაბრუნებლად, მაგრამ ამაოდ. მდგომარეობას ართულებდა არზრუმის გამგებლის აბაზა ფაშას აჯანყებაც (დაწვრილებით იხ. გვ. 284-293). იგი დიდ დაბრკოლებებს უქმნიდა ოსმალებს ირანის წინააღმდეგ ომში. საჭირო იყო აბაზა ფაშას დამორჩილება, რათა შემდგომ მთელი ძალები მიემართათ ირანის წინააღმდეგ საბრძოლველად.

თურქული წყაროებიდან (იბრაჰიმ ფეჩევი, მუსტაფა ნაიმა, ქათიბ ჩელები) ირკვევა, რომ ოსმალეთში ჩასულმა გიორგი სააკაძემ მონაწილეობა მიიღო (1627—1628 წწ.) აბაზა ფაშას წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობებში. 1628 წ. 18 სექტემბერს აბაზა ფაშა დანებდა ოსმალეთის დიდ ვეზირს ხუსრევ ფაშას. ამ ბრძოლებში თავი ისახელა გიორგი სააკაძემ. აბაზა ფაშას დამარცხების შემდეგ ხუსრევ ფაშა შეუდგა ბაღდადის წინააღმდეგ ლაშქრობისათვის სამზადისს.

1629 წლის იანვარში გარდაიცვალა შაჰ-აბასი, ირანის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ხელმწიფეთაგანი და ოსმალეთში დიდი იმედი მიეცათ, რომ ადვილად შესძლებდნენ ირანელების დამარცხებას.

* ა. მუსტაფა ნაიმას ცნობები საქართველოს შესახებ. გვ. 183.

დიდი ვეზირის ხუსრევ ფაშას სარდლობით ოსმალეთის ჯარი ბაღდადისაკენ გაემართა. მის რიგებში იყვნენ გიორგი სააკაძე, თანმხლები პირებითურთ. დიდი მოურავი თავისი გეგმის რეალიზაციას ირანში მომხდარ ამბებს უკავშირებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, არ დასცალდა. იგი სიკვდილით დასაჯეს დიდი ვეზირის ბრძანებით.

გიორგი სააკაძის ოსმალეთში დაღუპვასთან დაკავშირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა თვალსაზრისია გამოთქმული.

1942 წელს ჟურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა ს. კაკაბაძის წერილი: „გიორგი სააკაძის აღსასრული“. მასში ავტორმა სცადა ქართული და ოსმალური (მ. ნაიმა) წყაროების ანალიზის საფუძველზე დაედგინა სააკაძის დაღუპვის მიზეზი. ს. კაკაბაძის დაკვირვებით, გიორგი სააკაძე უდანაშაულოდ დაიღუპა. იგი გახდა მსხვერპლი ოსმალეთის დიდი ვეზირის ხუსრევ ფაშას შურიანობისა, რომელმაც ვერ აიტანა ოსმალეთში დიდი მოურავის აღზევება, ბრალი დასდო ღალატში და სიკვდილით დასაჯა[136].

ს. კაკაბაძის ეს თვალსაზრისი გაიზიარეს მწერლებმა და ისტორიკოსებმა.

ამ ცოტა ხნის წინათ, ამავე ჟურნალის ფურცლებზე, ილია ანთელავამ სცადა კორექტივი შეეტანა ამ საკითხში: „ვფიქრობთ, წერს იგი — ერთი რამ ნათელია: გაერცელებული ვერსია თითქოს გიორგი სააკაძე ოსმალეთის დიდი ვეზირის მეშურნეობამ იმსხვერპლა, უდავო არ უნდა იყოს. დიდი მოურავის დაღუპვის მიზეზი, მის პოლიტიკურ საქმიანობაში უნდა ვეძიოთ და მჭიდროდ დაეუკავშიროთ საქართველოსა და ირან-ოსმალეთში შექმნილ კონკრეტულ ისტორიულ სიტუაციას“[137].

ი. ანთელავას ეს დებულება მართებულია, მაგრამ იგი ბოლომდე ვერ ხსნის გიორგი სააკაძის დაღუპვის ნამდვილ მიზეზს[138].

როგორც ცნობილია, ქართული წყაროების (ფარსადან გორგიჯანიძე, იოსებ თბილელი, ვახუშტი, არჩილი) მიხედვით საქართველოდან ოსმალეთში ჩასულმა გიორგი სააკაძემ ირანის წინააღმდეგ ომში წარმატებებს მიაღწია და მალე მთელ ოსმალეთში სახელი მოიხვეჭა (ამას ადასტურებენ აგრეთვე ოსმალო ისტორიკოსებიც — ი. ფეჩევი, მ. ნაიმა და სხვა). ოსმალეთის დიდმა ვეზირმა ხუსრევ ფაშამ ვერ აიტანა დიდი მოურავის აღზევება და თავისი ცოლისდის წაქეზე-

---

136 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, გიორგი სააკაძის აღსასრული, „მნათობი“, 1942 წ. № 5, გვ. 123—136.

137 ი. ა ნ თ ე ლ ა ვ ა, გიორგი სააკაძის უკანასკნელი დღეების შესახებ ოსმალეთში, „მნათობი“, 1977 წ. № 10, გვ. 91.

138 მ. ს ვ ა ნ ი ძ ე, კიდევ ერთხელ გიორგი სააკაძის უკანასკნელი დღეების შესახებ ოსმალეთში, „მნათობი“, 1979, № 2, გვ. 176.

ბით, რომელიც სულთნის ცოლი იყო, სიკვდილით დასჯა გიორგი სააკაძე, მაგრამ, სხვა ქართული წყაროებისაგან განსხვავებით, ფარსადან გორგიჯანიძეს მოაქვს მეტად საყურადღებო დეტალი, რომელიც, ჩვენი აზრით, არის გასაღები გიორგი სააკაძის სიკვდილის მიზეზის ამოსახსნელად. ფარსადან გორგიჯანიძე გადმოგვცემს, რომ როდესაც სულთანმა შეიტყო გიორგი სააკაძის დაღუპვის ამბავი, „ნამეტნავად იწყინა, მაგრამ სიდამდისინ ხოსროვ ფაშა ბაღდადით არ დაბრუნდა არა თქვა რა. რა მოვიდა, ხონთქარმა ჰკითხა, სად არის მოურავიო. იმან (ხოსოვ ფაშამ — მ. ს.) მოახსენა — რ ა ფ უ ზ ი"[139]. (ხაზი ჩვენია — მ. ს.) იყო და მოვაკვლევინეო, ხონთქარმა ბრძანა: ჯალათ გელსუნ, მისცეს ხელთა და დიდის ხანჯლით მოაკვლევინეს ხოსროვ ფაშა"[140].

როგორც ვხედავთ, ხუსრევ ფაშას იმის გამო დაუსჯია გიორგი სააკაძე, რომ იგი რაფიზი ყოფილა. რას ნიშნავს რაფიზი? ს. კაკაბაძე, როდესაც აანალიზებს ამ ცნობას, სიტყვა რაფიზთან დაკავშირებით წერს: არაბულად რაფიზ ნიშნავს განდგომილს[141]. ს. კაკაბაძე, ფიქრობს, რომ გიორგი სააკაძე განუდგა თავის რჯულს და ამიტომ იგი რაფიზი გახდაო. ს. კაკაბაძის ეს ახსნა არაა ზუსტი და მოითხოვს დამატებით განმარტებას. (რაფიზი) არაბული სიტყვაა და ნიშნავს ერეტიკოსს. ასე უწოდებდნენ სუნიტები (ოსმალები) შიიტებს (სპარსელებს)[142]. მართლაც, თურქულ წყაროებში (ი. ფეჩევი, მ. ნაიმა, ქათიბ ჩელები და სხვ.) სპარსელები რაფიზებად იწოდებიან და ხშირად არის მოთხრობილი მათი თავდასხმების შესახებ და სხვ.

ამრიგად, რაფიზი ოსმალეთში სპარსელების აღმნიშვნელი ტერმინი იყო. უეჭველია, რომ ფარსადან გორგიჯანიძეც რაფიზს ხმარობს სპარსელის მნიშვნელობით. ფარსადან გორგიჯანიძე დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა სპარსეთში, კარგად იცნობდა სპარსეთს და თავის „ისტორიაში" გამოყენებული აქვს, ქართულთან ერთად, არა მარტო სპარსული, არამედ თურქული წყაროებიც. ეჭვს გარეშეა, რომ მისთვის ცნობილი იყო რაფიზის მნიშვნელობა და მან ეს სიტყვა იხმარა სპარსელის აღმნიშვნელად და არ ზოგადად — განდგომილის, ერეტიკოსის გაგებით.

---

139 რ ა ფ უ ზ ი, რაფიზის დიალექტური ფორმაა.

140 ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გამოცემული ს. კაკაბაძის მიერ, თბ., 1926. ამონაბეჭდი „საისტორიო მოამბე", ტ. II, 1925, გვ. 24.

141 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 135.

142 Д. А. М а г а з а н и к, Турецко-русский словарь, М., 1945, с. 697.

რაშია საქმე, რატომ უწოდა ხუსრევ ფაშამ გიორგი სააკაძეს რაფიზი და რატომ დასჯა ამის გამო სიკვდილით?

1629 წელს გაზაფხულზე ოსმალეთის ლაშქარი დიდი ვეზირის ხუსრევ ფაშას სარდლობით ირანის წინააღმდეგ სალაშქროდ გაემართა. მას თან ახლდა გიორგი სააკაძე ქართველი თანამებრძოლებით.

1629 წ. იანვარში გარდაიცვალა შაჰ-აბას პირველი, ირანის ერთერთი უძლიერესი მეფე, ქართველებისა და გიორგი სააკაძის დაუძინებელი მტერი. შაჰ-აბასის სიკვდილმა შეცვალა ირანში სიტუაცია. ცნობილი იტალიელი მოგზაური, პიეტრო დელა ვალე, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში სპარსეთში ცხოვრობდა და პირადად იცნობდა იქ მყოფ ზოგიერთ ქართველს, ჯერ კიდევ შაჰ-აბას I-ის სიცოცხლეში, 1627 წელს, რომის პაპის ურბან VIII-სადმი საქართველოს შესახებ წარდგენილ მოხსენებით ბარათში წერდა: „სპარსეთში 30 ათასზე მეტი ქართველი ცხოვრობს, თუ არ ჩავთვლით შაჰ-აბასის მიერ ძალით აყრილ და გადმოსახლებულ ქართველებსო. ზოგიერთ მათგანს უჭირავს გამოჩენილი ადგილები როგორც მხედრობაში, ისე ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობაში. სპარსეთში მყოფნი და თავისი რჯულის უარ-მყოფელნი ქართველები უკმაყოფილონი არიან ხელმწიფის... ხელმწიფემ მათ არ მისცა, რასაც ისინი მოელოდნენ; მან ის პატივი არ სცა და არც ჰსცემს მათ სპარსეთში, რა პატივითაც იგი უწინ ჰსცემდა, როცა ისინი ჯერ კიდევ ქვეშევრდომები არ იყვნენ... შაჰმა ისინი აიძულა რჯული შეეცვალათ... ამიტომაც თითქმის ყველანი გაჯავრებულნი არიან და ნანობენ, რაც უქნიათ; ასე რომ, ისინი ხმამაღლა აღიარებენ, რომ მოტყუებულნი დავრჩითო და ხელახლად დასაწყები რომ იყოს ჩვენი მოქმედებაო, სხვა გვარად მოვიქცეოდითო, ეხლანდელი მდგომარეობის დაცვა მხოლოდ შაჰ-აბასს შეუძლია თავის სიცოცხლეში, რადგანაც ის გონიერი კაცია და მისი ყველას ეშინია. მისი სიკვდილის შემდეგ კი, მეტადრე თუ იგი მოკვდა, როგორც ადვილად შესაძლებელია, იმ ქართველთა სიცოცხლის დროს, რომელთაც ახსოვთ თავისი სამშობლო და დაესწრნენ მის დანგრევაზე, — თეიმურაზი უსათუოდ მოახდენს დიდ ომს, გასწევენ ამ სახელმწიფოს დასაპყრობად, თუ კი ერთობლივად იმოქმედებენ და ეყოლებათ მოთავეც“[143].

---

143 პიეტრო დელა ვალეს მოხსენება საქართველოზე პაპი ურბან VIII-სადმი 1627 წ. იტალიურიდან თარგმნა ალ. ჯაონიამ. „ივერია“, 1879 წ. № 3, გვ. 49, 50. პიეტრო დელა ვალეს საქართველოს შესახებ ცნობები მოეპოვება, აგრეთვე, თავის მოგზაურობის წიგნში „Viaggi“. აქედან ქართველების შესახებ ცნობები ამოკრეფილი და გაანალიზებული აქვს თ. ნატროშვილს. იხ. მაშრიყით მაღრიბამდე, თბ., 1964, გვ 23—45.

შაჰ-აბას I-ის გარდაცვალების შემდეგ ირანი გადაურჩა დინასტიურ ომს, რომელიც ჩვეულებრივ იწყებოდა შაჰის გარდაცვალებასთან ერთად. ამაში დიდი წვლილი მიუძღოდა ხოსრო მირზას, დაუდ-ხანის შვილს (სიმონ I-ის ძმისწულს, იმ დროს ისფაჰანის ტარუღას). მან ტახტზე აიყვანა შაჰაბას I-ის მცირეწლოვანი შვილიშვილი შაჰ-სეფი I (1629—1642). ამ სამსახურისათვის შაჰ-სეფი I-მა ხოსრო-მირზა ირანის ყულარაღასად დანიშნა და მას როსტომ-ხანი უწოდა. ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, „ირანის საქმე როსტომ მეფეს (ხოსრო-მირზას) ეკითხებოდა"[144], თანამედროვე ევროპულ წყაროებში ერთხმად აღნიშნულია, რომ ახალი მეფის ყველაზე მახლობელ პირთა შორის იყო ხოსრო-მირზა, ისფაჰანის წინანდელი ტარუღა[145].

ხოსრო-მირზას შაჰის კარზე დაწინაურების საქმეში დიდი როლი შეასრულა გიორგი სააკაძემ, როდესაც იგი ირანში მოღვაწეობდა. ხოსრო-მირზასთან მჭიდრო მეგობრობა ჰქონდა და ირანში დიდი გავლენით სარგებლობდა, აგრეთვე, სპასალარი როსტომ ბეგი (როსტომ ხან სააკაძე), გიორგი სააკაძის ბიძა. „სეფიანთა ირანის პოლიტიკურ და სამხედრო ახპარეზზე მოღვაწე ქართველებიდან განსაკუთრებული მდგომარეობა ირანში ეკავა უნდილაანთ ფეოდალთა სახლს, რომლის წარმომადგენლები იყვნენ: ალავერდი-ხანი, იმამყული-ხანი, დაუდხანი, სეფიყული-ხანი"[146]. ამ დროს ყველაზე გავლენიანი იყო იმამყული-ხანი.

შაჰ-სეფის მრჩეველად პირველ ხანებში, შაჰ-აბას I-ის ანდერძის თანახმად, იმამ-ყული-ხანი უნდა ყოფილიყო. მაგრამ, ფაქტიურად, „ამ როლს როსტომ-ხანი ასრულებდა; მიუხედავად ამისა, შაჰ-სეფი იმამყული-ხანს პატივით ეპყრობოდა და მის ღირსებას იმით აფასებდა, რომ მას ოფიციალურ დოკუმენტებში და საჯაროდ მამას უწოდებდა"[147].

დიდი გავლენით სარგებლობდა ირანში აგრეთვე იმამ-ყული-ხანის ძმა, განჯის ბეგლარბეგი დაუდ-ხანი, რომელსაც გიორგი სააკაძესთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა.

სომეხი ისტორიკოსის ზაქარია კანაკერცის ცნობით: „მას შემდეგ, რაც დაუდ-ხანი განჯის ბეგლარბეგი გახდა, იგი ხშირად ხვდებოდა მოურავს, დროს ერთად ატარებდნენ. როდესაც მოურავი შაჰს აუჯანყდა, შაჰმა მის წინააღმდეგ ყორჩი-ბაში გამოგზავნა და დაუდ-ხანსაც

---

144 ფარსადან გორგიჯანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

145 ვ. გაბაშვილი, უნდილაანთ ფეოდალური სახლი XVI—XVIII სს. ირანში, „მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები", 1975, ტ. II, გვ. 76.

146 იქვე, გვ. 64—82.

147 იქვე, გვ. 76.

უბრძანა, რომ მას ხლებოდა თან. მაგრამ დაუდ-ხანს არ შეუსმენია შაჰის ბრძანება, ხოლო როდესაც მან გაიგო, რომ მოურავი ოსმალეთში გაიქცა, მიხვდა, რომ აღარც მას ედგომებოდა და ოსმალეთს შეაფარა თავი. აქ დაუდ-ხანმა მოურავი იპოვა და სიკვდილამდე ოსმალეთში დარჩა"[148].

ვფიქრობთ, სინამდვილეს არ შეესაბამება კანაკერცის ცნობა იმის შესახებ, რომ დაუდ-ხანმა ოსმალეთში იპოვა გიორგი სააკაძე, რადგანაც როდესაც დაუდ-ხანი ოსმალეთში ჩავიდა, დიდი მოურავი ცოცხალი აღარ იყო. მაგრამ თვით ფაქტი გიორგი სააკაძისა და დაუდ-ხან უნდილაძის ურთიერთობისა მეტად საყურადღებოა.

ამრიგად, შაჰ-აბას I-ის გარდაცვალების შემდეგ ირანში პოლიტიკურ ასპარეზზე მოღვაწე ქართველების გავლენა კიდევ უფრო გაიზარდა. გიორგი სააკაძე, რომელიც ირანში დაახლოებით 15 წლის განმავლობაში მოღვაწეობდა და შაჰის კარზე დაწინაურებულ ქართველებთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა, არ შეიძლება არ ყოფილიყო ორიენტირებული იქ შექმნილ სიტუაციაში, ასეთ პირობებში არ არის გამორიცხული, ოსმალეთში მყოფ გიორგი სააკაძეს არ ეცადა გარკვეული კონტაქტები დაემყარებინა მათთან.

ჯერ კიდევ 1888 წელს გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა, ისტორიკოსმა და საზოგადო მოღვაწემ ანტონ ფურცელაძემ გიორგი სააკაძისადმი მიძღვნილ მეტად საყურადღებო მონოგრაფიაში ამ საკითხზედაც გამოთქვა თავისი მოსაზრება: „მოკვდა უძლიერესი შაჰი, რომელიც-კი ოდესმე ასულა სპარსეთის ტახტზე, აბას პირველი და მის ტახტზე ავიდა შაჰ-სეფი, რომელიც ხელთ ეჭირათ ამის ძმისწულს, როსტომ სააკაძეს და მის ამაღლებულს და კაცათ ქცეულს, ხოსრო-მირზას, ახლა ადვილი შესაძლებელი იყო მოემხრო ხოსრო-მირზა, ამით გაეხადა ის ხვანთქრის მომხრეთ, მოეგებინებინა ხვანთქრის გული და ამ მომხრობის ნაცვლად დაეყოლებინა ხონთქარი, რომ ეს ძლიერი და გონიერი კაცი გაეხადნა მთელი საქართველოს პატრონად. აქ საქართველო ისე ძლიერდებოდა, რომ ადვილი იყო ახლა საქართველოს დაეპყრო თვით სპარსეთი"[149].

ანტონ ფურცელაძის ვარაუდით, შაჰ-აბასის გარდაცვალების შემდეგ, ირანში შექმნილი ვითარების გამო, გიორგი სააკაძეს დაებადა საქართველოს გაერთიანების ახალი იდეა. „ადვილი შესაძლებელი იყო" თავისი გეგმის განხორციელების მიზნით, ხოსრო-მირზასთან კავშირი

---

[148] Закарий Канакерци, Хроника, перевод с армянского, предисловие и комментарий М. О. Дарбинян—Меликянц, М., 1969, с. 57.

[149] ა. ფურცელაძე, ბრძოლა საქართველოს მოსასპობად და საქართველოს შესაერთებლად ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო, თბ., 1888 წ. გვ. 200, 240.

გაება, „მოემხრო იგი“ და მისი ხელშეწყობით „მოეგებინებინა ხვანთქრის გული“. „დაეყოლებინა ხვანთქარი“ და ოსმალეთის დახმარებით გაეერთიანებინა საქართველო. ამასთანავე, ანტონ ფურცელაძე შენიშნავს, რომ ვეზირი მოურავს „ღალატს სწამებდა“, ხოლო ამის დამადასტურებელი ფაქტი „ბრძოლის დროს არა ჩანსო“. მიუხედავად იმისა, რომ ანტონ ფურცელაძეს არ გააჩნდა მოურავის ღალატის დამადასტურებელი საბუთი, იგი ინტუიციით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დიდი ვეზირისათვის ნათელი შეიქნა სააკაძის განზრახვა, რომ „მოურავი ოსმალეთის ხელით აპირებდა საქართველოს აღდგენას“ სულთნის ინტერესების საზიანოდ, ამიტომ ვეზირმა მას ღალატი დააბრალა და მოაკვლევინა.

ანტონ ფურცელაძეს ყურადღება არ მიუქცევია ფარსადან გორგიჯანიძის ცნობისათვის, რომლის მიხედვითაც, დიდმა ვეზირმა იმის გამო დასჯა გიორგი სააკაძე, რომ იგი იყო რაფიზი, ე. ი. სპარსელი. ამ შეძთხვევაში გიორგი სააკაძის სპარსულობა კი უნდა გავიგოთ, როგორც სპარსელთა მომხრე, მათი მხარდამჭერი, მოკავშირე. ამიტომ საფიქრებელია, რომ გიორგი სააკაძის მკვლელობის ამბავი ფარსადან გორგიჯანიძეს[150] გაგონილი უნდა ჰქონდეს ირანში მცხოვრები ქართველებისაგან, რამაც ასახვა ჰპოვა მის „ისტორიაში“. ოღონდ ფარსადან გორგიჯანიძის ეს ცნობა ერთ კორექტივს საჭიროებს. ნაკლებად სარწმუნოა, რომ სულთანს სიკვდილით დაესაჯა დიდი ვეზირი იმის გამო, რომ მან მოკლა გიორგი სააკაძე, რომელიც ხუსრევ ფაშას განცხადებით იყო რაფიზი, ე. ი. სპარსელთა მომხრე. სინამდვილეში სულთანს არც დაუსჯია სიკვდილით ხუსრევ-ფაშა. ოსმალური წყაროებიდან და ოსმალეთის მოღვაწეთა ბიოგრაფიული ლექსიკონიდან ცნობილია, რომ ხუსრევ-ფაშა გარდაიცვალა 1631 წ. 2 აპრილს[151].

გიორგი სააკაძის ირანთან (ე. ი. იქ მყოფ ქართველებთან) კავშირი სხვა წყაროებითაც დასტურდება. მაგალითად, 1661—1679 წწ. სტამბულში მყოფი ინგლისის ელჩის რიკოტის ცნობით: „ოსმალეთის დიდმა ვეზირმა (ხუსრევ-ფაშამ) იშის გამო მოაწყო ქართველების გაჟლეტა და მოურავს (Maroc — მ. ს.) თავი მოკვეთა, რადგან ისინი სპარ-

---

150 ცნობილია, რომ ფარსადან გორგიჯანიძე დიდი ხნის განმავლობაში მოღვაწეობდა ირანში, კარგად იცნობდა იქ მყოფ ქართველებს, მათ შორის ხოსრო-მირზას (როსტომ-ხანს), როსტომ სააკაძესა და სხვ. სწორედ როსტომ-ხანის დახმარებით 1656 წელს „ამ ჟამს მეფე როსტომ ისფაჰანს მოურავობა მე ფარსადანს მომცა“. ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 59).

151 მ ე ჰ მ ე დ ს უ რ ე ა, სიჯილი ოსმანი, ტ. II, გვ. 274 (ძველ თურქულ ენაზე).

სეთის მეფის ინტერესებს ემსახურებოდნენ"[152]. როგორც ვხედავთ, ინგლისის ელჩიც ადასტურებს ფარსადან გორგიჯანიძის ცნობას.

ფრანგი ისტორიკოსის მ. მინოს (M. Mignot) ცნობით, დიდმა ვეზირმა ხელში ჩაიგდო ქართველების ღალატის მამხილებელი წერილები და მან დიდი მოურავი, მისი შვილი დახოცა და ათი ქართველი სიკვდილით დასაჯა[153].

საფიქრებელია, რომ გიორგი სააკაძემ, საქართველოს გაერთიანების მიზნით, ირანში მყოფ ქართველებთან ურთიერთობა გააბა, მან საქართველოს გაერთიანების ახალი გეგმა შეიმუშავა, რასაც დიდი ვეზირის დაუკითხავად აკეთებდა. ეს შეუმჩნეველი არ დარჩა დიდ ვეზირს ხუსრევ ფაშას და ამის გამო დიდი მოურავი სიკვდილით დასაჯა.

შივმართოთ ოსმალურ წყაროებს, რომელთა მონაცემები შესაძლებელია რამდენადმე შუქს მოჰფენს ჩვენთვის საინტერესო საკითხს.

ოსმალო ისტორიკოსები, მართალია, ახასიათებენ ხუსრევ ფაშას, როგორც დაუნდობელ, ვერაგს და შურის გრძნობით გამსჭვალულ პიროვნებას, მაგრამ გიორგი სააკაძის დაღუპვის მიზეზად სხვა გარემოებას ასახელებენ. მაგალითად, მუსტაფა ნაიმას ცნობით, გ. სააკაძესთან ერთად ოსმალეთში ჩასული ქართველები მძლავრობასა და უსაქციელობას ჩადიოდნენ და ამით მოურავს სახელს უტეხდნენ. ამის გამო კონიის ვილაიეთის მოსახლეობამ დიდ ვეზირს ხუსრევ ფაშას საჩივრით მიმართა, „ხუსრევ ფაშა, — წერს მ. ნაიმა, — სისხლის მოყვარული და მუხანათი კაცი იყო. მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ სისხლის დაღვრა ეწადა... მოჰკლა ასეთი გმირი"[154]. ამასვე იმეორებენ სხვა ოსმალო ავტორებიც (იბრაჰიმ ფეჩევი, ქათიბ ჩელები და სხვ.).

ქათიბ ჩელების არ სჯეროდა, რომ გ. სააკაძის თანმხლები ქართველების მიერ ადგილობრივი მოსახლეობის „შევიწროების" გამო ასე სასტიკად დაისაჯა დიდი მოურავი. „კიდევაც, რომ დადგენილიყო, — წერს ქათიბ ჩელები, — რომ მოურავი ხალხს უსამართლობასა და ძალდატანებას აყენებდა და სჩაგრავდა, მას საზოგადოებრივი უფლებები უნდა ჩამორთმეოდა და უნდა გასამართლებულიყო, შემდეგ გაფრთხილება უნდა მისცემოდა, რომ ამიერიდან ასეთნაირი ძალადობა არ ჩაედინა. უფრო შესაფერისი და მიზანშეწონილი იყო (დიდი ვეზირი — მ. ს.) ამ (ღონისძიებებით) დაკმაყოფილებულიყო: ასეთი

---

[152] R i c a u t, Histoire des Trois empreurs de Turcs, Paris 1683, p. 27.

[153] M. M i g n o t, Histoire de l'Empire Ottoman, depuis son origine jusqu'à la paix de Belgrad en 1740, Paris, 1771, v. II, p. 486.

[154] მ უ ს ტ ა ფ ა ნ ა ი მ ა, ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 185.

ღირსეული და სახელოვანი კაცის სიკვდილით დასჯა უდიდესი უსამართლობაა“[155].

გიორგი სააკაძისა და მისი თანამებრძოლების დასჯასთან დაკავშირებით მუსტაფა ნაიმასა და ქათიბ ჩელების მოაქვთ ერთი მეტად საყურადღებო დეტალი. ნაიმა წერს: „ქართველების მიერ ჩადენილი უსამართლობისა და უწესობათა შესახებ (დიდმა ვეზირმა ხუსრევ ფაშამ — მ. ს.) ყველაფერი გაიგო... მოურავს შეეშინდა და გაიქცა“[156]. ხუსრევ ფაშას შეეშინდა, მოურავი „საქართველოში წავაო“[157]. დაახლოებით ასეთივე ცნობა მოეპოვება ქათიბ ჩელების: მოურავმა „საქართველოში გაქცევა“ დააპირაო, მას მდევრები დაადევნეს და იგი შეიპყრეს[158].

იბადება კითხვა, ნუთუ იმის გამო დააპირა გიორგი სააკაძემ საქართველოში გაქცევა, რომ ოსმალეთში ჩასულმა ქართველებმა ადგილობრივი მოსახლეობა „შეავიწროვეს“, წყაროებში ხომ არსადაა ნათქვამი, რომ ამ საქმეში თვით მოურავი იღებდა მონაწილეობას. გიორგი სააკაძეს ხომ თვითონაც შეეძლო დაესაჯა და დაეტუქსა ეს დამნაშავე ქართველები? ნუთუ ასეთი მდგომარეობისა და თანამდებობის კაცს (მოურავი კონიის ვილაიეთის გამგებელი იყო) ამის უფლება არ ჰქონდა?

ჩვენი აზრით, თურქულ წყაროებში დაცული ცნობა გიორგი სააკაძის საქართველოში გაქცევის მიზეზის ასახსნელად ნაკლებად დამაჯერებელია. გიორგი სააკაძემ რომ საქართველოში გაქცევა დააპირა, ამის შესახებ ცნობა მოიპოვება, აგრეთვე, ისქანდერ მუნშის „გაგრძელებაშიც“: მოურავმა თავისი ქონება საქართველოს ციხე ალთუნყალასაკენ გაგზავნა, მაგრამ იგი შეიპყრეს, ხუსრევ-ფაშამ მის ამ საქციელში გაქცევის განზრახვა დაინახა და მას თავი მოჰკვეთა“[159]. ვფიქრობთ, რომ სპარსული წყაროს ეს ცნობაც დაზუსტებას მოითხოვს, რადგანაც მოურავის სიკვდილით დასჯის მიზეზად მიჩნეულია მხოლოდ და მხოლოდ გიორგი სააკაძის განზრახვა საქართველოში გაქცევისა.

გიორგი სააკაძის ოსმალეთიდან საქართველოში გაქცევის მიზეზის გასარკვევად მეტად საყურადღებო ცნობა მოეპოვება თეიმურაზ

---

155 ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 234.

156 მ უ ს ტ ა ფ ა ნ ა ი მ ა, ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ.185.

157 იქვე.

158 ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 234.

159 ნ. გ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, სპარსული წყარო საქართველოს შესახებ, — „ცისკარი“, 1975, № 8, გვ. 154.

I-ს. 1658 წელს თეიმურაზ I-მა მოსკოვში წარმოებული მოლაპარაკების ღირის რუსეთის მთავრობის მოხელეებს გიორგი სააკაძის შესახებ შემდეგი განუცხადა: გიორგი სააკაძეს „სურდა თურქი სულთნისათვის ელალატა და დადიანის სახელმწიფოში გაქცეულიყო და გაიგო რა ეს ვეზირმა, იგი სიკვდილით დასაჯაო“[160].

თუ რამდენად ზუსტად ასახავს ეს ცნობა ისტორიულ სინამდვილეს და რამდენად სანდოა იგი, ეს დამაჯერებლად გაარკვია ი. ანთელავამ: „თეიმურაზისათვის, ისევე როგორც მისი ეპოქის სხვა პოლიტიკოსებისათვის, იშვიათი როდი იყო პოლიტიკური მიზნის მისაღწევად არარეალური რამის თქმა, მაგრამ ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, მისი ინფორმაცია სწორი უნდა იყოს, გიორგი სააკაძე ოცდაათი წლის მიცვალებული იყო იმ დროს, როცა თეიმურაზი მოსკოვს ჩავიდა და მის დროინდელ ამბებსაც დაკარგული ჰქონდათ პოლიტიკური აქტუალობა იმდენად, ფაქტის დამახინჯებას თეიმურაზის მხრივ არავითარი აზრი არ ჰქონდა მით უმეტეს, რომ რუსეთის მთავრობისათვის სულ ერთი იყო გიორგი სააკაძის დაღუპვის გარემოება და ეს თეიმურაზს ვერაფერს შემატებდა“[161].

გ. ჯამბურია თეიმურაზ I-ის ამ ცნობასთან დაკავშირებით წერს: „ჩვენი აზრით, არაა გამორიცხული, რომ თითქმის სამი წლის ლოდინის შემდეგ სააკაძეს იმედი გადაწყვეტოდა ოსმალეთის დახმარებაზე და ეცადა საქართველოში დაბრუნება, რათა საკუთარი ძალებით მაინც განეგრძო თავისი საქმე“[162].

დაახლოებით ამ მოსაზრებას იზიარებს აგრეთვე ილია ანთელავაც[163].

ჩვენი აზრით, მოურავის ოსმალეთიდან წამოსვლის მიზეზი სხვა იყო. თეიმურაზ I გარკვევით აცხადებს, რომ გიორგი სააკაძემ იმის გამო დააპირა საქართველოში გაქცევა, რომ მას ღალატი[164] დააბრალეს. თეიმურაზი არ მიუთითებს, თუ რაში გამოიხატებოდა მოურავის ღალატი. მაგრამ ჩვენ მიერ მიკვლეული წყაროების ცნობა-

---

160 გ. პაიჭაძე, მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, „საისტორიო მოამბე“, ტ. 19—20, გვ. 325; ვ. მაჭარაძე, ჩანაწერები თეიმურაზ I-ის მოლაპარაკებისა მოსკოვში 1658 წ., თსუ შრომები, ტ. 113, გვ. 125.

161 ი. ანთელავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 291.

162 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 291.

163 ი. ანთელავა, დასახ. ნაშრომი. გვ. 291.

164 მოურავის მიერ ოსმალეთის „ღალატს“ ადასტურებს აგრეთვე იტალიელი ისტორიკოსი Bartlomeo Ferro C. R. Istoria delle Missioni.., Roma. 1704. t. I, p. 93; ეს ცნობა მოგვაწოდა თ. ნატროშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ.

თა ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი გახდა გიორგი სააკაძის დაღუპვის ნამდვილი მიზეზის დადგენა: გიორგი სააკაძემ გადაწყვიტა შაჰ-აბას I გარდაცვალების შემდეგ გამოეყენებინა სპარსეთში შექმნილი ვითარება და მან შეიმუშავა საქართველოს გაერთიანების ახალი გეგმა, რომლის განხორციელებას აპირებდა ირანში აღზევებული ქართველების დახმარებით და ამ მიზნით მოურავმა მათთან კონტაქტი დაამყარა. ეჭვს გარეშეა, ყოველივე ამას იგი აკეთებდა ოსმალეთის დიდი ვეზირის დაუკითხავად, მისი გვერდის ავლით. საფიქრებელია, ხუსრევ ფაშამ გაიგო ეს და ამის გამო გიორგი სააკაძე სიკვდილით დასაჯა. ეს მოხდა 1629 წლის 3 ოქტომბერს.

ასე დაიღუპა დიდი მოურავი — გიორგი სააკაძე, საქართველოს გაერთიანებისათვის თავდადებული მებრძოლი.

იმდროინდელი თურქი ისტორიკოსები მაღალ შეფასებას აძლევენ გიორგი სააკაძის მოღვაწეობას და ჰგმობენ დიდი ვეზირის ხუსრევ ფაშას მიერ დიდი მოურავის მოკვლას.

მაგალითად, მუსტაფა ნაიმა წერს: ხუსრევ ფაშამ „მოკლა ასეთი გმირი მოხუცი, რომელსაც ესოდენ დიდი დამსახურება ჰქონდა. ასეთი ღირსეული და სახელოვანი კაცის სიკვდილით დასჯა უდიდესი მუხანათობაა“[165].

იბრაჰიმ ფეჩევი გიორგი სააკაძის სიკვდილით დასჯას ოსმალეთის დიდი ვეზირის მიუტევებელ ცოდვად მიიჩნევს: „არც ალაჰის შეეშინდა და არც სისხლს მოერიდა და ასეთი აშკარა ჯალათობა ჩაიდინა. იმ დროს შაჰ-აბასის გამეფებიდან ორმოცი წელიწადი შესრულდა. სინამდვილეში ის არის, რომ ამ ორმოცი წლის განმავლობაში შაჰს ასეთი მძიმე დანაკლისი არ ჰქონია. მოურავის მეოხებით და მოურავთან ბრძოლაში დაიღუპა და განშორდა წუთისოფელს შვიდი სახელოვანი ხანი, რომელთა ტოლები ყიზილბაშების ქვეყანაში არ მოიძებნებოდა“[166].

ქათიბ ჩელები დიდი მოურავის მუხანათურ სიკვდილთან დაკავშირებით შენიშნავს: „ამიერიდან ისტორიაში გასაგები ენით ჩაიწერა გაფთხილება: „არავინ არ მიემხროს ოსმალეთსო“... ერთმა უვიცმა მოხელემ კი სისხლის ღვრის წყურვილით ასეთი შეცდომა ჩაიდინა“[167].

ერთი სიტყვით, გიორგი სააკაძე, დიდი და რთული პიროვნება

---

165 მ უ ს ტ ა ფ ა ნ ა ი მ ა ს ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 186.

166 იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 85.

167 ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 234, 235.

იყო. მისი მოღვაწეობა ბუნდროდ იყო დაკავშირებული ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ მდგომარეობასთან და მისი დაღუპვის მიზეზები, წინააღმდეგობებით აღსავსე, ასახულია ქართულ, რუსულ, სპარსულ, თურქულ და ევროპულ წყაროებში. ამ წყაროების და ახლო აღმოსავლეთის საერთაშორისო ვითარების ანალიზის საფუძველზე ვცადეთ გაგვერკვია დიდი მოურავის დაღუპვის ნამდვილი მიზეზი.

გიორგი სააკაძის დაღუპვის შემდეგ მისი ცოლი და შვილები ერთხანს ოსმალეთში დარჩნენ. სააკაძის ოჯახი ქართლში 30-იანი წლების ბოლო ხანებში გადმოიყვანა როსტომ მეფემ და გიორგის მამულებიც მის შვილს იორამს დაუბრუნა, ხოლო გიორგის ქალიშვილი ანა ხათუნი 1639 წ. არზუმში გარდაიცვალა და იქაა დასაფლავებული[168].

---

[168] გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, გიორგი სააკაძე, გვ. 175—177: ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, გიორგი სააკაძის ქალიშვილის ანა ხათუნის საფლავი, ცისკარი, 1773, № 9, გვ. 145—159.

ქართველი სალხის ბრძოლა ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ 1723—1724 წწ.

1723 წელს ოსმალეთის სულთანმა გადაწყვიტა ესარგებლა ირანში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობით[1] და ხელთ ეგდო აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქვეყნები. ოსმალეთმა დაარღვია ირანთან 1639 წ. დადებული ზავი და ომი დაიწყო.

1723 წლის ზაფხულზე ოსმალეთის ლაშქარი იბრაჰიმ ფაშას სარდლობით ამიერკავკასიის დასაპყრობად გამოემართა. ქართველებმა ვერ შესძლეს თავიანთი ძალების გაერთიანება ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ დროს ქართლ-კახეთის მეფეებს შორის მტრობა და შუღლი სუფევდა, რაც ასუსტებდა საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლას. მათ შორის მტრობისა და შუღლის გაღვივებაში გარკვეულად ხელი შეუწყო ირანმა და ოსმალეთმა. 1723 წ. 4 მაისს კონსტანტინე კახეთის მეფემ (მაჰმად ყული-ხანმა) თბილისი აიღო. ქართლის მეფე ვახტანგ VI იძულებული შეიქნა ცხინვალში გადასულიყო. ოსმალეთის სერასკერი იბრაჰიმ ფაშა მოხერხებულად სარგებლობდა ქართლ-კახეთის მეფეებს შორის არსებული კონფლიქტით. იგი ორივე მხარეს ცალ-ცალკე პირდებოდა წყალობას, თუ ისინი ოსმალეთის მორჩილნი გახდებოდნენ. კონსტანტინემ ოსმალო სარდალთან მოლაპარაკება გამართა. თურქი მემატიანის ქუჩუქ ჩელები-ზადეს ცნობით, დერვიშ მაჰმუდ აღა, რომელიც ადრე ვახტანგთან აწარმოებდა მოლაპარაკებას, ახლა კონსტანტინეს დაუკავშირდა და „კარგა ხანს მაჰმად ყული-ხანთან მეგობრულად

[1] 1722 წლის დასაწყისში ავღანელები ირანში შეიჭრნენ, ავღანთა მეთაურმა მირ მაჰმუდმა ოქტომბერში ირანის დედაქალაქი ისპაჰანი დაიკავა, შაჰ-უსეინი ტახტიდან იქნა ჩამოგდებული, მირ მაჰმუდმა თავისი თავი ირანის შაჰად გამოაცხადა. შაჰ ჰუსეინის შვილმა უფლისწულმა თამაზმა გაქცევით უშველა თავს და თავისი თავი ირანის კანონიერ შაჰად გამოაცხადა. 1722 წ. მაისში პეტრე I-მა ირანის წინააღმდეგ კასპიისპირეთში ლაშქრობა დაიწყო. ამ დროს აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქვეყნები და მათ შორის ქართლ-კახეთი ირანის შემადგენლობაში შედიოდნენ.

იყო განწყობილი“[2]. კონსტანტინე ოსმალო სარდალს დახმარებას ჰპირდებოდა ირანის წინააღმდეგ ომში. იმავე მემატიანის ცნობით, „მაჰმად ყული-ხანი პირდებოდა განჯის, ერევნის და ირანის სხვა ქალაქების, რომლებიც, თუმცა მაღალი ქვეყნის მხრიდან თბილისის ხელისუფალს ემსახურებოდნენ. უბრძოლველად და უსისხლოდ ღვთივდაცულ სასულთნოსათვის მიერთებაზე ზრუნვასა და გარჯას და საკუთარი ქონებიდან 300 ახჩის გაღებას ლაშქრობაში დასახარჯავად“[3].

ცხადია, რომ კონსტანტინე, ოსმალეთისათვის ერთგული სამსახურისა და ომში დახმარების სანაცვლოდ, მოითხოვდა სულთნისაგან დაემტკიცებინა მისთვის ქართლის სამეფო. კონსტანტინეს იმედი ჰქონდა, რომ სულთნის მთავრობა მის მოთხოვნას დააკმაყოფილებდა და 1723 წლის 10 ივნისს თბილისი უბრძოლველად ჩააბარა ოსმალებს.

გურჯიზადე „თბილისის დაპყრობის წიგნში“ ოსმალების მიერ ქალაქის დაპყრობას შემდეგნაირად აგვიწერს: „როცა თბილისის ციხისაკენ ფრთებგაშლილი წაიდნენ, ხსენებულ ქალაქში იჯდა ერთი სპარსელი ხანი. უსჯულო ვახტანგი სწორედ მის წინ მეფობდა. იგი გაიქცა და, რადგან მაჰმად-ყული-ხანი სპარსეთის შაჰის მიერ გაბედნიერებული ხანი იყო, ძლევამოსილი ისლამის ლაშქრის თბილისისაკენ გამგზავრების ამბის გაგონებამ და ამ ცნობის სისწორის დადასტურებამ წვრილი ლურსმანივით შეაწუხა. აიღო აღნიშნული ციხის კლიტე-გასაღები, ზემოხსენებულს გზაზე შეეგება და უომრად და უბრძოლველად ჩააბარა, რამეთუ თავდაცვის ძალა და ღონე არ შესწევდა“[4].

გურჯი ზადეს ეს ცნობა დაზუსტებას მოითხოვს. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, იბრაჰიმ ფაშამ, ოსმალო სარდალმა დერვიშ მაჰმუდ აღა კონსტანტინესთან მოსალაპარაკებლად გაგზავნა. ჩანს, მაჰმუდ აღამ დააიმედა კონსტანტინე, რომ ოსმალო სერასქერი მას თბილისის (ქართლის) გამგებლად დანიშნავდა. ოსმალო ისტორიკოსი ჩელები ზადე წერს, რომ „ხსენებული აღას მეშვეობით თბილისის ციხის გასაღების ჩაბარება დაჩქარდა, აღნიშნული სიფაჰსალარი თბილისიდან ერთნახევარ გადასარბენზე შეხვდა ზემოხსენებულ სერასქერს, აღნიშნული ქვეყნის უბრძოლველად და უომრად აღება-ჩაბარების

---

[2] ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, ოსმალო ისტორიკოსი ჩელები-ზადე თბილისისა და გორის ციხეების დაპყრობის შესახებ. აკად. ს. ჯიქიას 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, აღმოსავლური ფილოლოგია, თბ., 1978, ტ. III, გვ. 326.

[3] ცნობები ქუჩუქ ჩელები ზადეს ისტორიიდან, თარგმანი ც. ამბულაძისა, იხ. გ უ რ ჯ ი ზ ა დ ე, თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 48.

[4] გ უ რ ჯ ი ზ ა დ ე, თბილისის დაპყრობის წიგნი, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსცა ც. ამბულაძემ, თბ., 1975, გვ. 17.

შესახებ აცნობა და გასაღები ჩუხადარების შეთაურს იაჰიას ებოძა და ივი გახდა შიზეზი ბედნიერი უსტარისა. დიდებულ შეევალს მეექვსეს პარასკევ დღეს ხსენებული ქალაქის ბედნიერად დაპყრობის ცნობა და გასაღები ოსმალეთის სახელმწიფოს დედაქალაქს მოვიდა"[5].

კონსტანტინეს (მაჰმად ყული-ხანი) მიერ ოსმალთათვის თბილისის უბრძოლველად ჩაბარება დასტურდება, აგრეთვე, ქართული წყაროებითაც. ვახუშტი წერს: „ხოლო ოსმალნი ჩამოვიდნენ ივნისში და დადგნენ ყურყუთას. იხილა მაჰმად-ყულიხან, რამეთუ ვერ ავნებს, მიეგება და მიართუა კლიტენი ციხექალაქისანი"[6]. სეხნია ჩხეიძე მოგვითხრობს: „რა ჰსცნა მაჰმად ყული ხან მოსულა ურუმთა და მიგება ბაქარისა, ღონე აღარ იქნებოდა, წავიდა ქალაქიდამ, მიეგება სარასკარს სონღალუხს, მიართვა კლიტენი ციხისანი"[7].

კონსტანტინეს იმედი არ გამართლდა. ოსმალო სარდალმა არ დააკმაყოფილა მისი თხოვნა — დაენიშნა იგი ქართლის გამგებლად, კიდევ უფრო მეტი, თბილისის დაკავების შემდეგ, ოსმალებმა კონსტანტინე „ბნელ კარავში დასვეს, რითაც იგი უზომოდ შეურაცხყვეს"[8].

ოსმალეთის ამგვარი დამოკიდებულება კონსტანტინე მეფის მიმართ აიხსნება იმით, რომ ოსმალო სარდალი იბრაჰიმ ფაშა თბილისის დაპყრობამდე ქართლის გამგებლობას პირდებოდა, აგრეთვე, ვახტანგ VI-ის ვაჟს ბაქარს, თუ კი იგი გამაჰმადიანდებოდა. ბაქარს ეშინოდა, რომ იბრაჰიმ ფაშას კონსტანტინე ქართლის გამგებლად არ დაესვა და მან ურჩია ვახტანგს მიეცა ქრთამი სერასკერისათვის. ვახუშტი წერს: „ამისათჳს მოუგზავნა მამასა (ვახტანგს — მ. ს.), რათა წარუვლინოს ქრთამი ოსმალთა. მაშინ მეფემან წარუვლინა ი"ბ (12) ჯორი კიდული ოქრო-ვერცხლითა და მოოჭვილითა"[9].

ვახტანგის მიერ იბრაჰიმ ფაშისათვის ქრთამის მიცემა დასტურდება თურქული წყაროებიდანაც[10]. ქრთამის მიცემამ თავისი ნაყოფი გამოიღო. იბრაჰიმ ფაშამ ბაქარი თბილისში დაიბარა. ბაქარი გამაჰმადიანდა, იბრაჰიმი ეწოდა[11] და იგი თბილისის (ქართლის) გამგებლად

---

5 ჩ ე ლ ე ბ ი ზ ა დ ე, გვ. 327.

6 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., ქართლის ცხოვრება, ტ, IV, გვ. 504.

7 ს ე ხ ნ ი ა ჩ ხ ე ი ძ ე, საქართველოს ცხოვრება., ტფ., 1913, გვ. 37.

8 ჩ ე ლ ე ბ ი ზ ა დ ე, გვ. 505.

9 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა... გვ. 505.

10 „ვახტანგისაგან ქრთამის სახით გამოგზავნილ დიდძალ ქონებას დაეხარბა და დაეწაფა". ჩელები ზადეს ისტორიიდან, გვ. 47.

11 ოსმალეთში ტრადიცია იყო — ახლად გამაჰმადიანებულს ეწოდებოდა ხოლმე ძველი „ნათლიას" სახელი. მაგალითად, ბაქარი რომ გამაჰმადიანდა, იბრაჰიმი დაარქვეს. სწორედ იბრაჰიმ ფაშას თაოსნობით მოხდა ბაქარის გამაჰმადიანება, რომე-

დანიშნულ იქნა. ახლა საჭირო იყო, რათა სულთან აჰმედ III-ს ეს ფაქტი ოფიციალურად სათანადო აზრით დაემტკიცებინა, მაგრამ სანამ სულთანს ამის შესახებ სტამბულში აცნობებდნენ და იგი დაამტკიცებდა მთავარსარდლის მიერ წამოყენებულ კანდიდატურას, გარკვეული დრო (2—3 თვე) უნდა გასულიყო.

ოსმალო სარდალი იბრაჰიმ ფაშა დროს არ კარგავდა და თბილისის დაპყრობის შემდეგ შეუდგა ქართლში ოსმალური წესების დანერგვას. „თბილისის ვიალეთი, რომელიც სანაქებოდ აიღეს, ხელთ იგდეს და მეფურად დაიპყრეს, ღვთივ დაცულ ქვეყანას შეუერთდა, — გვატყობინებს ქუჩუ ჩელები ზადე. — ხსენებული ქვეყნის ყველა საქმეთა მოწესრიგება მიენდო სერასქერად დანიშნულ არზრუმის ვალის სილაჰდარ იბრაჰიმ ფაშას. უზენაესი ღვთაებისა და ქვეყნის მპყრობელი ფადიშაჰის შთამბეჭდავი ძალით კლანჭებში მოიწყვდია და დაეუფლა... ქვეყნის საქმეები მოაგვარა და მოაწესრიგა“[12].

1723 წელს ქართლის დაპყრობის შემდეგ ოსმალებმა თბილისს (ქართლის) საბეგლარბეგო დააარსეს. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, იბრაჰიმ ფაშამ მის გამგებლად დანიშნა ვახტანგ VI-ის ვაჟი ბაქარი, რომელიც გამაჰმადიანდა და იბრაჰიმი ეწოდა. ამ დროს უნდა დაწყებულიყო ქვეყნის აღწერა და დავთრებში გატარება. ამ ღონისძიებებით სულთნის მთავრობას სურდა გაეუქმებინა ქართული სამეფო ხელისუფლება და მის ნაცვლად ოსმალური ადმინისტრაცია და წესები შემოეღო. მართალია, ქართლის საბეგლარბეგოს (საფაშოს) გამგებლად (ბეგლარბეგად) დაინიშნა ბაქარი (იბრაჰიმი), ბაგრატიონთა გამაჰმადიანებული შთამომავალი და მას ქართლის გამგებლობა ებოძა (იურთლუკისა და ოჯიკლიკის წესით), ე. ი. მემკვიდრეობის უფლებით, მაგრამ იგი ამიერიდან ოსმალო მოხელედ (ფაშად) ითვლებოდა და არა ქართლის მეფედ[13]. ეს იყო ქართლში „ოსმალობის“ — ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემის შემოღების დასაწყისი. სულთნის მთავრობა ქართლის ინკორპორაციას ისახავდა მიზნად და არა ქართლის სამეფოსთან მოხარკეობის საფუძველზე დამყარებულ პოლიტიკურ ურთიერთობას. ამის ერთ-ერთი დამადასტურებელი საბუ-

---

ლიც იმ დროს ოსმალეთის ლაშქრის სერაქსერი იყო. ასევე მოხდა, მაგალითად, 1579 წელს, როდესაც ოსმალო სერასქერის მუსტაფა ლალა ფაშას ინიციატივით მანუჩარ ათაბაგი გამაჰმადიანდა და მას მუსტაფა უწოდეს და სხვა.

[12] ქ უ ჩ უ ქ ჩ ე ლ ე ბ ი ზ ა დ ე, დასახ., ნაშრომი, გვ. 41.

[13] ასე მოხდა 1579 წელს, როდესაც ოსმალებმა სამცხე-საათაბაგოს დაპყრობილ ტერიტორიაზე ჩილდირის (ახალციხის) საფაშო დააარსეს და მის გამგებლად (ფაშად) მემკვიდრეობით დანიშნეს ყვარყვარე ათაბაგის ძმა მანუჩარი, რომელიც გამაჰმადიანდა და მუსტაფა ეწოდა. დაწვრილებით იხ. მ. ს ვ ა ნ ი ძ ე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVIII სს-ში, გვ. 125—135.

თი აგრეთვე ისიც იყო, რომ ქართველ ფეოდალებს თავიანთ მამულებზე „მფლობელობის“ დამტკიცება“[14]. ამიერიდან ოსმალეთის მთავრობისაგან უნდა მიეღოთ.

ოსმალურ ყაიდაზე ქვეყნის გარდაქმნა მეტად მტკივნეული პროცესი იყო. დამპყრობლები ყოველგვარი საშუალებებით ცდილობდნენ დასახული მიზნის მიღწევას. ყველაფერი ნადგურდებოდა, ცეცხლში იწვოდა მამაპაპური კარ-მიდამოები, ოსმალებმა „ქვეყანა... გააოხრეს ხუთს აღჯაზე ქალაქის გარშემო, სოფლები, სულ ხალხი გააოხრეს და შენობები მოშალეს. ტყვე, მრავალი დაატყვევეს, ენით ირ მოიხსენება აქაური ჭირი“[15]. წერდა 1723 წ. ვახტანგ VI პეტრე პირველს, ხოლო ოთარ არაგვის ერისთავი 1723 წ. ოქტომბერს თავის ძმას არქიმანდრიტ რომანოზს ატყობინებდა: „რაც ბატონები იყუნენ, ან თავადები ქალაქს (თბილისს) არიან, იმათთან კელში ჩაიყარეს ღმერთმან იციან რა იქნების“[16].

1724 წ. 4 მარტს განჯის მცხოვრებნი წერდნენ: „ქალაქი თბილისი, რომელსაც ამიერიდან ოსმალები ფლობენ, ქრისტიანულ მცხოვრებლებს სასტიკად ავიწროვებენ, მათ ცოლებსა და შვილებს ტყვეებად ჰყიდიან, ხოლო ქრისტიანული ეკლესიები საჯინიბოებად აქციეს. არავითარი სამართალი არ არსებობს“[17].

ქართულ ქრონიკებში ვკითხულობთ: „1723 წ. ამას ჟამსა საქართველო დაიპყრეს და აღაოჯრნეს ქვეყანანი ქართლთანი, და მრავალნი მოსრნეს და ეკლესიანი ფრიად წარტყუენეს და საჭურჭლენი და საძკაულნი მათნი აიანორნეს“[18].

თბილისის დაპყრობის შემდეგ ოსმალებმა ციხეში იენიჩართა გარნიზონი ჩააყენეს და ქალაქის ძარცვას შეუდგნენ. ამ საქმეში მათ მაგალითი მისცა მთავარსარდალმა იბრაჰიმ ფაშამ, ქრთამის აღება და სიმდიდრის ხელში ჩაგდება მას დიდად ეხერხებოდა. ჩელები-ზადეს ცნობით, „ხსენებულის (იბრაჰიმ ფაშას — მ. ს.) წაქეზებით და შეგულიანებით ასკერთა (ჯარისკაცთა — მ. ს.) რაზმმა თბილისის ციხეში შემოსვლის მეორე დღეს, ჯერ კიდევ რომ არ იყვნენ გამაგრე-

---

[14] გ უ რ ჯ ი ზ ა დ ე, თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 29.

[15] Переписка грузинских царей с российскими государями, СПб, 1861, с. 153.

[16] იქვე.

[17] Армяно-русские отношения в первой трети XVIII века, т. II, ч. II.

[18] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. წიგნი მესამე (1700 წლიდან XIX საუკუნის 60-იან წლებამდე), გამოსაცემად მოამზადეს გ. ჟორდანიამ და შ. ხანთაძემ, თბ., 1967, გვ. 89.

ბული და ფეხი არ ჰქონდათ მტკიცედ მოკიდებული, რამდენიმე სპარსი ვაჭარი ქალაქიდან გააგდო. დიდებული რამაზანის შუა რიცხვში (1723 წ. ივნისის ბოლო დეკადა — მ. ს.) რამდენიმე გარეწარი და მაწანწალა იმ საცოდავთა ოჯახების წინააღმდეგ გამოვიდა და სიმდიდრისა და ქონების წართმევა იწყო. გარდა იმისა, რომ ბევრ მდიდარ ვაჭარს ლუკმაპურის შოვნა გაუჭირდა"[19].

ოსმალო მემატიანეს ცნობას ადასტურებს ვახუშტი ბატონიშვილი: „ხოლო ციხის მოსახლეთა სპარსთა შეუსია იენგიჩარნი, იავარჰყვეს საქონლით და ქონებით და გამოაძნეს ციხიდამ ყოველნი ცარიელნი"[20]. ერთი სიტყვით, თბილისის დაპყრობის შემდეგ, ოსმალები შეუდგნენ ქართლში თავიანთი წესების დანერგვას, რასაც საბოლოო ჯამში უნდა განეპირობებინა ქვეყნის სრული ინკორპორაცია.

ოსმალებისათვის თბილისის უბრძოლველად ჩაბარების შემდეგ კონსტანტინემ აშკარად დაინახა, რომ იგი მოტყუვდა. ოსმალებმა მას დანაპირები არ შეუსრულეს, ზურგი შეაქციეს და ყოველგვარი პატივის გარეშე დატოვეს. გურჯი ზადე ოსმალო სარდლის ასეთ დამოკიდებულებას კონსტანტინეს მიმართ შემდეგი გარემოებით ხსნის: „როცა აღნიშნული ქალაქი (თბილისი — მ. ს.) ასე იოლად იქნა ხელთჩაგდებული, ხსენებული მაჰმად ყული-ხანი, რადგანაც, როგორც ამბობენ, მოღალატე მხდალია, გულის საწადილს მყვირალა ფრაზებით გამოთქვამდა. აღვსილი იყო მუხანათობითა და ბოროტებით. არ შეუერთდა სუნიტებსა და სუნიტთა მიმდევრებს და რადგანაც შესაძლებლობა არ ჰქონდა მშვიდად და მოსვენებით ეცხოვრა ვეზირის გამგებლობაში მყოფი ფადიშაჰის ისლამურ ქვეყანაში (ოსმალეთის დაქვემდებარებულ ქვეყანაში — მ. ს.), ისიც გაიქცა თბილისიდან"[21]. აქ, ცხადია, გურჯი ზადე აყალბებს ფაქტებს და კონსტანტინეს გაქცევას იმით ხსნის, რომ მან არ მიიღო სუნიტობა, მხდალობა და მოღალატეობა გამოიჩინა.

კონსტანტინეს შესახებ უფრო საყურადღებო ცნობები მოეპოვება ქუჩუქ ჩელები ზადეს: „მაჰმად-ყული-ხანის, რომელიც ხსენებული ციხის გასაღებით უბრძოლველად და უომრად თვითონ მიეგება, არზას ყური არ დაუგდო (იბრაჰიმ ფაშამ — მ. ს.) და არ მიიღო... ხსენებული ხანი დიდი ხანია ერევნის ვილაიეთის ვალია და შორსმჭვრეტელი გონებისა და მტკიცე აზრის გამო ირანის ხანებს შორის მაღალი ღირსებითა და პატივით გამოირჩევა. ადრე გაწეული სამ. სახურის პასუხად მაღალი პორტის მხრიდან პატივისცემა და კეთილი

---

[19] ქ უ ჩ უ ქ ჩ ე ლ ე ბ ი ზ ა დ ე, დასახ. ნაშრ. გვ. 18.
[20] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 505.
[21] გ უ რ ჯ ი ზ ა დ ე, თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 18.

განწყობა დაიმსახურა. როცა გამოვლინდა, რომ სხვების დამორჩილების მსურველია და მორჩილებისაკენ წამქეზებელია, სწორედ მაშინ ხსენებულმა სერასქერმა შაპნავაზის (ბაქარის — მ. ს.) მხარდაჭერა იტვირთა იმ ვარაუდით, რომ შაპნავაზის გამგებლობის ჟამს სიმშვიდე მაჰმად-ყული-ხანის გაქცევასთან იქნებოდა დაკავშირებული. ხანი იგი მდაბიურთა მსგავსად იყო მოკლებული დარბაზობასა და ტკბილ საუბარს, მეგობრებსა თუ საკუთარ წრეს და ტიკინებით მოთამაშეს ჰგავდა. გული ატკინეს, რადგანაც ერთ ვიწრო და ბნელ კარავში დასვეს, მაგრამ თავი ისე დაიჭირა, თითქოსდა მოსათათბირებლად მისი ღირსების შესაფერისად ჩამოსველას, ნიჭსა და საბოძვარს ყურადღებაც არ აქცევს. საკვებად მხოლოდ იმდენი განუსაზღვრეს, რომ შიმშილით არ მომკვდარიყო, რითაც უზომოდ შეურაცხყვეს — ხსენებულ ხანს თავი მოაბეზრა ამგვარმა ყოველგვარ მოლოდინს გადაჭარბებულმა მტრულმა მოქმედებამ. ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ ერთ ღამეს შაჰისაგან ოჯაკლიკის წესით ბოძებული კახეთისაკენ მოაბრუნა სადავე და გაიქცა“[22].

როგორც ვხედავთ, თურქი ჟამთააღმწერელი მაღალ შეფასებას აძლევს კონსტანტინეს. იგი შორსმჭვრეტელი გონებით, მტკიცე აზრით, მაღალი ღირსებითა და პატივით გამოირჩეოდა, ამავე დროს თურქი ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ მან მაღალი პორტას მხრიდან პატივისცემა და კეთილი განწყობა დაიმსახურა. მაგრამ ქუჩუქ ჩელები ზადე იქვე სამართლიანად წერს, რომ სერასკერმა ბაქარის „მხარდაჭერა იტვირთა“ და იგი დანიშნა ქართლის გამგებლად, რადგან, მისი აზრით, ამით ქართლში ბაქარის „გამგებლობის ჟამს სიმშვიდე“ დამყარდებოდა. ე. ი. თურქ ისტორიკოსს ამით იმის თქმა უნდა, რომ ბაქარი ქართლის კანონიერი გამგებელი იყო და მას დაუჭერდა მხარს ქართლის თავად-აზნაურობა და მოსახლეობა. მაშინ როდესაც კონსტანტინე კახეთის მეფე იყო და შესაძლებელია მას მტრულად შეხვდებოდნენ.

კონსტანტინემ დაინახა, რომ მისი იმედები არ გამართლდა, ოსმალებმა მას მხარი არ დაუჭირეს და სხვა არაფერი არ დარჩენოდა გარდა იმისა, რომ თბილისიდან გაქცეულიყო. ჩანს, ერთ ხანს მას იმედი ჰქონდა, რომ თურქეთის სულთანი არ დაამტკიცებდა ბაქარის კანდიდატურას ქართლის გამგებლად. როდესაც სტამბულიდან ცნობა მოვიდა (ამაზე დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი), ბაქარის თბილისის გამგებლად დანიშვნის შესახებ, კონსტანტინემ თბილისი მიატოვა, კახეთში გაიქცა და ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა.

---

[22] ქუჩუქ ჩელები ზადე, გვ. 48.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ კონსტანტინე ბაქარის დახმარებით გაიქცა თბილისიდან. „შემდგომად, — წერს ვახუშტი, — პატიმარ ყოფილი მაკმად-ყული-სან ეედრა ბაქარს, რათა განუტკბოს და აღუთქუა ფიცი, ვითარცა მონა იყო მისდა“[23].

ამის გამო გ. ნატროშვილი შენიშნავს: „მან (ბაქარმა) კარგად იცოდა როგორ სძულდათ ოსმალებს კახი ბატონი კონსტანტინე და მანვე ბაქარმა ხელი შეუწყო პატიმრად მყოფ კახეთის მეფეს გაქცეულიყო თბილისის ციხიდან. გაქცევის წინ კონსტანტინემ ფიცით აღუთქვა თავის მხსნელს — ამიერიდან შენი ერთგული მონა ვიქნებიო. ბაქარი არა მარტო მამაცი, ჭკვიანი კაცი იყო: ის თითქოს წინასწარ გრძნობდა, რომ მიუხედავად მრავალი უმძიმესი დანაშაულისა, კონსტანტინე ეგება სამუდამოდ გამომდგარიყო ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

იბრაჰიმ ფაშას კვლავ კონსტანტინესათვის მიემართა, ანდა სხვა კანდიდატურა უნდა გამოეხახა. ამასობაში ფირმანი მოვიდა. სულთან აჰმედ III-ის (1703—1730) ფირმანი ბაქარის ქართლის გამგებლად დანიშვნის შესახებ შედგენილია 1723 წ. 5 აგვისტოს. მასში ჩაწერილია: „ამჟამად ჩვენ, დიდი ალლაჰის წყალობით, ძის აღებასა და დაპყრობას მტკიცედ და წარმატებით მივაღწიეთ. ვინაიდან ამჟამად შენც ახლოს დგახარ ღვთიურ შეწყალებასა და შეწევნასთან, შენ, მართალ გზაზე დგომისაკენ ღვთიური მისწრაფებით და ისლამის პატივის მიღებით გაპატიოსნდი და გაკეთილშობილდი, ამიტომ იბრაჰიმ ფაშამ წყალობა გვთხოვა, რათა თბილისის ვილაიეთი და მისი საბეგლარბეგო იურთლუკისა და ოჯაკლიკის (მემკვიდრეობით — მ. ს.) წესით გებოძოს შენ“[26].

საფიქრებელია, რომ სულთნის ეს ფირმანი სტამბულიდან თბილისში აგვისტოს ბოლოს ან სექტემბრის დასაწყისში ჩამოიტანეს.

ქართლის საქმეების მოგვარების შემდეგ, ოსმალეთს სერასქერმა იბრაჰიმ ფაშამ სექტემბერში თბილისი დატოვა და აზერბაიჯანის დასაპყრობად გაემართა. ბაქარი არ გაჰყოლია იბრაჰიმ ფაშას განჯაში ლაშქრობის დროს. საერთოდ კი წესი იყო, როდესაც ოსმალეთი ამ მხარეში ლაშქრობდა, მისდამი მორჩილებაში მყოფ ქართველ მეფე-გამგებლებს ოსმალეთის ლაშქრისათვის მეგზურობა უნდა გაეწიათ და სამხედრო დახმარება აღმოეჩინათ. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ ბაქარი ოსმალეთის მიმართ დიდი ლოიალურობით არ გამოირჩეოდა. განჯაში ოსმალეთის ლაშქარს მეგზურად ჩილდირის (ახალციხის) ბეგლარბეგი ისპაკ-ფაშა გაჰყვა.

თბილისიდან გასვლის შემდეგ ოსმალებმა მარტყოფი დაარბიეს, კახეთში ციხეების ჩადგმა სცადეს, მაგრამ ამაოდ, იქიდან კი გეზი განჯისაკენ აიღეს. „სეკდემბერში ოსმალთ მარტყოფი მოსტყვენეს, ოკდომბერს სარასკარი განჯას წავიდა“[27].

თბილისიდან გაქცევის შემდეგ კონსტანტინე კახეთში ჩავიდა და იქიდან დაიწყო ბრძოლა ოსმალთა წინააღმდეგ. სულ მალე იგი სათავეში ჩაუდგა ამიერკავკასიის ხალხების განმათავისუფლებელ მოძრაობას დამპყრობლების წინააღმდეგ.

„Кахетинский хан был под караулом и из-за караулу ушел к себе в Кахети, по которого Эрзерумский паша послал двух пашей и при них пятьсот человек, а между тем велел им в Кахетах осмотреть мест для строения крепости, что уведав кахетинский хан,

---

[26] ს. ჯიქია, აჰმედ III-ის ფირმანი ბაქარ ბაგრატიონს, ქართული წყაროთმცოდნეობა, თბ., ტ. III, გვ. 278—284.

[27] ქრონიკები, ტ. III, გვ. 91.

собрался со своими и с лезгинцами напал на них, турков и побил с 300 человек и притом одного пашу, а другого поймав и будто выбрил у него половину бороды и отпустил его к Эрзерумскому паше, которому велел сказать, что если он из Тифлиса не выйдет, то они с лезгинцами против его войну иметь будут"[29].

კახეთის მისადგომებთან გამართული ბრძოლების შემდეგ ოსმალეთის ლაშქარი განჯისაკენ გაემართა. განჯის მოსახლეობა დამპყრობლებს მედგარ წინააღმდეგობას უწევდა. განჯელების დასახმარებლად კონსტანტინე თავისი ლაშქრით გაემართა: „От Мухаммет Кули-хана на помощь спешились, приезжал с войском своим у которых две тысяча бомб"[2].

9 ოქტომბერს ცხარე ბრძოლების შედეგად ოსმალთა ლაშქარი განჯაში შევიდა და ქალაქის ძარცვას შეუდგა. „ამასობაში... ერთმა წყეულმა უსჯულომ მაღალი ბანიდან იწყო ჯვირისა მაჰმად-ყულიხანის ლაშქარი მოულოდნელად თავს დაგეესხა და დავვარბიაო — შველას ითხოვდა. ეს გახდა მიზეზი ალაფობისა და ნადავლის მოხვეჭაში გართული ჯარის შეკრთომისა და შიშით შეპყრობისა, რადგანაც ლაშქრის სიმხნევის ძალა შესუსტდა და შემცირდა, თოფები დაყარეს"[30].

ადგილობრივი მოსახლეობა აზერბაიჯანელები, სომხები შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდნენ დამპყრობლებს. ოსმალებმა განჯისათვის ბრძოლის დროს 9000 ჯარისკაცი დაკარგეს და მათი შეტევა შეჩერებულ იქნა. ოსმალთა ლაშქრის დასახმარებლად გაგზავნილ იქნა მუსტაფა ფაშა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ განჯასთან ოსმალების დამარცხებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა კონსტანტინემ. პეტრე პირველისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ მიმართვაში განჯელები წერდნენ: „...турки прислали 70000 войска с пашами, с артиллериею и с пушками и с бомбами для взятия Ганджи, и мы имели с ними жестокий бой 18 дней и многих из них побили великих пашей... и оное войско весьма"[31].

---

[28] В. К. Восканян, В. А. Дилоян, Политика России в Закавказье в 20-х годах с XVIII столетия. Историко-филологический журнал АН Арм. ССР, № 2 (25), Ереван, 1964, с. 252.

[29] А. Г. Абрамян, Документы по истории..., с. 246.

[30] ქუჩუქ ხელები ზადე, გვ. 50.

[31] Армяно-русские отношения в первой трети XVIII века. Сбор. документов под редакцией А. Иоанесияна, Ереван, 1964, т. II, ч. 2, с. 108.

განჯელები და ყარაბაღელები ამასთანავე აცნობებდნენ პეტრე პირველს, რომ მათ თავიანთი ბეგლარბეგის მაჰმუდ-ყული-ხანის ხელმძღვანელობით 10—12 ათასი კაცი დახოცეს, ხოლო დანარჩენებმა გაქცევით უშველეს თავს[32].

1724 წელს კონსტანტინეს ელჩი თავადი რუსეი (Русеи) რუსეთის მთავრობას აცნობებდა: „На Генджу турецкий сераскер с войском приехал и хотел завоевать Генджу, где жителей были 40000. я которым генджинцам хан Мехмет Кули ездил с войском на секур (помощь) и соединясь с генджинцами, бились с турками 7 суток денно и ночно на котором бою победили турок 7000 человек и победили, после которого бою сераскер турецкий принужден был побежать“[33].

ოსმალებმა განჯასთან სასტიკი დამარცხება განიცადეს. განჯისათვის ბრძოლას ოსმალებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან განჯის დაპყრობის შემდეგ ისინი აპირებდნენ კასპიის ზღვის სანაპიროზე გასვლას, ბაქოს დაპყრობას[34] და კასპიის ზღვის სანაპიროდან რუსების განდევნას. თურქების ამ განზრახვას გვიდასტურებს ქუჩუქ ჩელები ზადეც: „ვიდრე დაიწყებდა მოსკოვის მეფის ქვეყანაში მყოფი კაფი ქეთხუდასთან მოლაპარაკებას, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, სპარსეთის მფლობელობისაგან უნდა გამოეხსნა და გაეთავისუფლებინა ხაზართა ზღვის (კასპიის ზღვა — ვ. ს.) პირას მდებარე ბაქოს ციხე. მისი აღება და დაპყრობა მაღალი სამეფოსათვის ყოველმხრივ მნიშვნელოვანი და სასარგებლო იყო. მის აღმატებულებას მუსტაფა ფაშას ვეზირობა ებოძა მხოლოდ და მხოლოდ ამ საქმის დასაგვირგვინებლად... ხსენებულ მეფეზე (პეტრე პირველზე — მ. ს.) გამარჯვებას ცდილობდა და მის ასაღებად და დასაპყრობად რამდენადაც შეეძლო გაისარჯა. თუმცა თვითონ მას და ხსენებულ სერაქსერს მაღალი და წმინდა ასაფისაგან მოწერილი ვრცელი და დაწვრილებითი ქაღალდით ეცნობა, რომ აღნიშნული მეფის გამარჯვების გამო მისი ზრუნვა (ბაქოს — მ. ს.) აღებასა და დაპყრობაზე ყველა შემთხვევაში განწირულია... თათბირში დრო გაიყვანეს, ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მოსკოვის მეფე დაეუფლა ხსენებულ (ბაქოს — მ. ს.) ციხეს“[35].

---

[32] Армяно-русские отношения, т. II, ч. 2, с. 109.

[33] იქვე, გვ. 100.

[34] რუსეთის ჯარების მიერ ბაქო აღებულ იქნა 1723 წ. 28 ივლისს. დაწვრილებით იხ. В. П. Лысцов, Персидский поход Петра I 1722—1723 гг. М., 1951, с. 144.

[35] ქუჩუქ ჩელები ზადე, გვ. 49, 50.

ყოველივე ამის გამო სულთანმა გადააყენა სერაქსერობიდან იბრაჰიმ ფაშა და მის ადგილზე დანიშნა დიარბექირის ვალი არიფ აჰმედ ფაშა[36].

ქუჩუქ ჩელები ზადე იბრაჰიმ ფაშას გადაყენებას ხსნის თურქი სარდლის პირადი თვისებებით: „მხოლოდ და მხოლოდ (იბრაჰიმ ფაშა — მ. ს.) ქონების სახვეშად თბილისში უსაქმოდ დადგა 132 დღე, რამაც მოსახლეობა ააფორიაქა და ლაშქარი აღაშფოთა. თავდასხმისა და ბრძოლის მომენტი ხელიდან გაუშვა“[37].

თურქი ისტორიკოსი ი. ჰ. უზუნჩარშილი იმოწმებს რა ოსმალურ წყაროებს, ობრაჰიმ ფაშას სერასქერობიდან გადაყენების ორ მიზეზს ასახელებს: პირველი, ვახტანგ VI-გან ქრთამის აღებას და სანაცვლოდ ახლადგამაჰმადიანებული ბაქარის დანიშვნას თბილისის ვალად (გამგებლად). მეორე, სულთნის ფირმანის მიუხედავად, მუსტაფა ფაშას არგაგზავნას შირვანში დაუდ ხანის დასახმარებლად, რამაც თითქოს განაპირობა რუსეთის მიერ ბაქოს ციხის დაკავება[38].

უდავოდ, სულთნის რისხვა დ უკმაყოფილება იბრაჰიმ ფაშათი სამართლიანი იყო. გამდიდრების წყურვილით შეპყრობილი და ინიციატივას მოკლებული ინერტიული სერასქერი, როგორიც სინამდვილეში იყო იბრაჰიმ ფაშა, ვერ გამოდგებოდა პორტას გეგმების რეალიზაციისათვის, ეს საქმის ერთი მხარეა. მთავარი კი ის იყო, რომ ადგილობრივი მოსახლეობა დიდ წინააღმდეგობას უწევდა ოსმალო დამპყრობლებს და ყოველნაირად ავიწროებდა მათ.

ამრიგად, 1723 წელს იბრაჰიმ ფაშას ამიერკავკასიაში ლაშქრობის შედეგად ოსმალეთმა თავის მიზანს ვერ მიაღწია, ოსმალთა ლაშქარი განჯასთან შეჩერებულ და დამარცხებულ იქნა. რუსეთის ჯარების ძიერ ბაქოს დაკავებამ კიდევ უფრო გააძლიერა ამიერკავკასიის ხალხების განმათავისუფლებელი ბრძოლა ოსმალთა წინააღმდეგ.

* * *

პორტამ დაინახა, რომ ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად ამიერკავკასიის ხალხები თანდათანობით ძალებს იკრებდნენ. მოსალოდნელი იყო მის წინააღმდეგ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში კოალიცია შექმნილიყო და მას სათავეში ჩადგომოდა კახეთის მეფე კონს-

---

36 „იბრაჰიმ ფაშა დაიბარა სულთანმა. გამოგზავნეს დიაბექირის ფაშა საჩქაროთ“, ქრონიკები, ტ. III, გვ. 92.

37 ქ უ ჩ უ ქ ჩ ე ლ ე ბ ი ზ ა დ ე, გვ. 51.

38 I. H. Uzunçarşılı, Osmanlı Tarihi, c. IV, kısım I, Ankara, 1956, s. 178.

ტანტიხე (მაჰმად-ყული-ხანი), რომელიც ამ რეგიონში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. კონსტანტინე კახეთის მეფეს შაჰმა ქართლის გამგებლობა უბოძა, ამავე დროს ივი ითველებოდა, აგრეთვე, განჯისა და ერევნის მმართველადაც. განჯისათვის ბრძოლის დროს მან ოსმალებს დიდი დაბრკოლებები შეუქმნა. იგი ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლი ძალების გამაერთიანებლის როლში გამოდიოდა.

პორტამ გადაწყვიტა კონსტანტინე თავის მხარეზე მიემხრო და ამით ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლი ძალები დაესუსტებინა.

როგორც ზემოთ ითქვა, კონსტანტინემ ოსმალებს თბილისი უბრძოლველად ჩააბარა და ჰპირდებოდა მათ დახმარებას აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქვეყნების დაპყრობის საქმეში, თუ კი პორტა მას ქართლის სამეფოს დაუმტკიცებდა. მაგრამ მისი თხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული, იგი განუდგა ოსმალებს და მათ წინააღმდეგ ბრძოლა გააჩაღა.

წყაროებში მოიპოვება ცნობა, რომ ახალმა სერასქერმა გადაწყვიტა გამოესწორებინა იბრაჰიმ ფაშას მიერ დაშვებული „შეცდომა“ და კონსტანტინეს შესთავაზა გადასულიყო ოსმალეთის მხარეზე, ამის საფასურად კი მას მთელ საქართველოს ჰპირდებოდა[39]. კონსტანტინემ უარყო თურქი სარდლის ეს „წყალობა“.

ქუჩუქ ჩელები ზადეს ცნობით კი, არიფ აჰმედ ფაშამ მაჰმად-ყული-ხანს განჯის ვილაეთის გამგებლობა უბოძა[40]. რადგანაც ეს ცნობა არ დასტურდება სხვა საბუთებით, არც თურქული და არც ქართული წყაროებით, ამიტომ იგი საეჭვოდ მიგვაჩნია.

ამრიგად, ოსმალთა ცდა, თავის მხარეზე გადაებირებინათ კონსტანტინე, მარცხით დამთავრდა.

მეტად საყურადღებოა, აგრეთვე ის, რომ არიფ აჰმედ ფაშას სერასქერად დანიშვნასთან ერთად ებოძა ქართლის გამგებლობაც (ჯანიშინობა). გურჯი ზადე წერს: „დიარბექირის ვალი მათი აღმატებულება სვებედნიერი აჰმედ ფაშა სერასქერის უმაღლესი ჩინით ხსენებულის ადგილზე დაინიშნა და ჯანიშინობა ებოძა“[41]. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ქართლის ვილაიეთის გამგებლობა ჩაბოერთვა ვახტანგ VI ვაჟს ბაქარს (იბრაჰიმ ფაშას) და ოსმალო გამგებელს გადაეცა, რის შედეგადაც ქართლში გაუქმებულ იქნა ბაგრატიონთა ხელისუფლება. არ უნდა იყოს სწორი ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული შეხედულება, თითქოს ბაქარის თბილისიდან გაქცევის შემდეგ,

---

[39] Армяно-русские отношения..., т. II, ч. 2, С. 110.

[40] ქ უ ჩ უ ქ ჩ ე ლ ე ბ ი ზ ა დ ე, გვ. 54.

[41] გ უ რ ჯ ი ზ ა დ ე, თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 18. I. H. Uzunçarşili, Osmanlı Tarihi, c. IV, kısım I, s. 177, 178.

ვახტანგ VI-ს ძმა იესე გამაჰმადიანდა, მუსტაფა ეწოდა და ოსმალებმა მას გადასცეს ქართლის მმართველობა. ეს არ დასტურდება არც ქართული წყაროების მიხედვით: „მეფე იესე აღარ გაჰყვა ძმას, — წერს ს. ჩხეიძე, — ჩავიდა ქალაქს, შეიქმნა ოსმალის რჯულის და დაარქვეს მუსტაფა“[42]. „ხოლო იესე, — გვამცნობს ვახუშტი, — მიიქცა სჯულსა მათსა ზედა, რამეთუ ოდეს პყრობილ იყო, მოიქცა ქრისტიანედვე და აწ ყო ესე, ვინაჲთგან იყო ჯორცთმოყვარე. ამისათჳს მიენდუნენ მას ურუმნი“[43].

თურქული წყაროების მიხედვით, იესეს ას-სეიჰ მუსტაფა ფაშას უწოდებენ და, გურჯი ზადეს ცნობით, იგი პატარა რაზმს მეთაურობდა[44] მართალია, იესემ მიიღო მაჰმადიანობა, მაგრამ იგი ოსმალებს ქართლის გამგებლად არ დაუნიშნავთ. ამიერიდან ქართლის ვილაიეთის გამგებლებად ოსმალო მოხელეები ინიშნებიან.

თურქული წყაროების მიხედვით, იბრაჰიმ ფაშას გადაყენებას სერასქერობიდან და მის თანამდებობაზე არიფ აჰმედ ფაშას დანიშვნას ადგილი ჰქონდა 1723 წლის ოქტომბერში. ამავე დროს უნდა მომხდარიყო, აგრეთვე, არიფ აჰმედ ფაშას დანიშვნა ქართლის ჯანიშინად.

ქართულ წყაროებში არაფერია ნათქვამი ოსმალების მიერ ბაქარის გადაყენების შესახებ, თუმცა მის გაქცევას ქართლში ოსმალობის გაძლიერებით ხსნიან. „ქრთამთაგან და ურუმთა უჯერითა საქმეთაგან შეჭირვებული, — წერს ვახუშტი, — ბაქარ გამოვიდა ტფილისიდამ ურუმთაგან“[45]. დაახლოებით ანალოგიურ ცნობას გვაწვდის სეხნია ჩხეიძე: „ამა მცირეთა ჟამთა იყო მეფე ბაქარ ქართლსა შიგან, შექმნა ჭმუნვა და გაუძლებლობა ურუმთა შიგან“[46].

მართალია, ოსმალობის დამძიმებამ ქართლში დიდად შეუწყო ხელი ბაქარის ოსმალთა მიმართ დამოკიდებულების შეცვლას, მაგრამ საბოლოოდ მისი გადაწყვეტილების დაჩქარებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა პორტას დამოკიდებულებამ მის მიმართ: როდესაც ბაქარმა შეიტყო ქართლის გამგებლობიდან გადაყენების შესახებ, შესაძლებელია პორტამ ამის შესახებ მას არც კი აცნობა, მან საბოლოოდ გადაწყვიტა ჩამოცილებოდა ოსმალებს და გაქცევის გეგმაც შეადგინა.

სეხნია ჩხეიძის ცნობით, 1723 წლის ბოლოს ბაქარი ნადირობის

---

42 ს. ჩ ხ ე ი ძ ე, გვ. 38.
43 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 507.
44 გ უ რ ჯ ი ზ ა დ ე, თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 37.
45 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 507.
46 ქართლის ცხოვრება, ტ. II, ჩუბინაშვილის გამოცემა, 1851, გვ. 332.

საბაბით გავიდა თბილისიდან, შემოიყარა მომხრეები, ჩავიდა მამასთან და მტრის წინაღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციას შეუდგა[47].

თურქული წყაროების მიხედვით, ბაქარმა მოსაჩვენებლად მიიღო ისლამი, რათა ოსმალებს იგი ქართლის გამგებლად დაენიშნათ, სინამდვილეში კი იგი ფარულად მათ წინააღმდეგ შეთქმულებას ამზადებდა. მაგალითად, გურჯიზადე „თბილისის დაპყრობის წიგნში წერს: „ამ დროს თბილისის ყოფილი ხანის, აწ ლტოლვილი ვახტანგის შვილს შაჰნავაზს, მოსაჩვენებლად რომ ეზიარა ჰეშმარიტ სარწმუნოებას და განდიდდა, ოსმალეთის სახელმწიფომ ხანობასთან ერთად საგანგებოდ უბოძა ოჯაკლიკის წესით თბილისი, რომელიც მამის სამეფოს დედაქალაქი იყო, ხსენებული გაიქცა, რათა გულის სიღრმეში განელებული სჯულგანდგომილების მწველი ცეცხლი გაეჩაღებინა“...[48]. ამ პერიოდის საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის საკითხებში კარგად ჩახედული ფრანგი დიპლომატი მ. პეისონელი ბაქარის თბილისიდან გაქცევის გამო წერს: „შაჰ-ნავაზმა ერთხანს დაჰყო ქართლის გამგებლად, მაგრამ დაინახა რა, რომ იგი მხოლოდ ნომინალურად ატარებდა გამგებლის სახელს და, რომ მთელი ავტორიტეტი (ძალაუფლება) სერასქერის ხელთ იმყოფებოდა, უარჰყო მაჰმადიანობა და რამოდენიმე პირის თანხლებით ქალაქიდან გაიქცა“[49].

ამრიგად, ბაქარის „თანამშრომლობა“ ოსმალებთან ნახევარ წელსაც კი არ გაგრძელებულა და იგი, ისევე როგორც კონსტანტინე, კახთა მეფე მალე მათ წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაება.

თბილისიდან გაქცევის შემდეგ ბაქარი ჯერ მუხრანს ჩავიდა, შემდეგ — ალში (სურამის მახლობლად), სადაც ამ დროს ვახტანგ VI იმყოფებოდა.

ვახტანგ VI და ბაქარის შეხვედრის დროს, როგორც ირკვევა, მამა-შვილმა შეიმუშავეს ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლის გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ფართო საბრძოლო კავშირის შექმნას. მასში გარდა ქართლის მეფისა შევიდოდნენ კონსტანტინე კახეთის მეფე და სომხთა საბრძოლო გაერთიანებები. ამ პროექტის რეალიზაციის მიზნით, უპირველესად ყოვლისა, საჭირო იყო კონსტანტინე კახთა მეფესთან ზოგიერთი სადავო საკითხის მოგვარება და პრაქტიკული ღონისძიებების შემუშავება. საფიქრებელია, რომ ჯერ კიდევ თბილისში ყოფნის დროს მოხდა ბაქარსა და კონსტანტინეს შორის არსე-

---

47 ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 332.

48 გ უ რ ჯ ი ზ ა დ ე, თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 18.

49 M. P e y s s o n e l, Essai sur les troubles actuels de Perse et de Géorgie, Paris, 1754, p. 63.

ბული წინააღმდეგობის შენელება და მათი დაახლოვება საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ბაქართან კავშირის დადებით არანაკლებად დაინტერესებული იყო კონსტანტინე კახეთის მეფე, რომელმაც განჯასთან ბრძოლების დროს გამოიჩინა გარკვეული ინიციატივა მტრის წინააღმდეგ სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების დასარაზმავად. ახლა საჭირო იყო ქართლის სამეფოსთანაც დაკავშირება. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ ინიციატივა ამ მიმართულებით კონსტანტინემ გამოიჩინა. იგი თავისი ძმის თეიმურაზის დახმარებით, რომელიც ვახტანგ VI-ის სიძე იყო, ბაქარს შეხვდა.

ვახუშტის ცნობით, „ხოლო წელსა. (1724 წ.), იანვარს წარავლინა მაჰმად ყული ხან თეიმურაზ ბაქარისა თანა, ვინაჲთგან ეზრახოდნენ ურთიერთს და შემდგომად მოვიდა თჯთცა მცხეთას, ჰყვეს პირი ერთობა-სიყვარულისა და წამოვიდა თელავსვე“[50].

მცხეთაში ბაქარისა და კონსტანტინეს შეხვედრა წარმატებით დამთავრდა. მათ „ჰყვეს პირი ერთობა სიყვარულისა“, მაგრამ ვახუშტი არაფერს არ ამბობს, თუ რაში გამოიხატებოდა „აღთქმა ერთობა-სიყვარულისა“.

ვფიქრობთ, რომ კონსტანტინემ ბაქარის წინაშე აღიარა (ეს უკვე მან ნაწილობრივ გააკეთა თბილისიდან გაქცევის წინ) ის დანაშაული, რომელიც მას მიუძღოდა თბილისის დაპყრობასთან დაკავშირებით (1723 წ. იანვარ-მაისი) და რაც მთავარია, კონსტანტინემ ხელი აიღო ქართლის სამეფოს მიმართ რაიმე პრეტენზიაზე. ცხადია, ამის შემდეგ კონსტანტინესა და ვახტანგ VI — ბაქარს შორის კონფლიქტის საფუძველი მოიშალა. კონსტანტინესა და ბაქარს შორის დაიდო საბრძოლო კავშირი, მიმართული ოსმალთა წინააღმდეგ. საყურადღებოა, რომ კონსტანტინესა და ბაქარის შერიგებაში მონაწილეობა მიუღია, აგრეთვე, კახეთის მეფის „გამოჩენილ თავადს“ ყარაბაღელ მელიქს, კათალიკოს ნერსესის ძმას, ესაია უზბაშს. სომეხი მელიქის მონაწილეობა ქართველი მეფეების შერიგებაში მეტად საგულისხმო ფაქტია და მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. აშკარაა, საქმე ეხებოდა არა მარტო ქართლის და კახეთის ძალების, არამედ ქართველებთან სომხთა ძალების გაერთიანებასაც[51].

ᵓ 1723 წლის მიწურულს ყარაბაღში ჩავიდა პეტრე პირველის ელჩი ივანე კარაპეტი. მას იმპერატორისაგან დავალებული ჰქონდა გამო-

---

50 ვახუშტი, აღწერა..., ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 622.

51 გ. მაისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII საუკუნეებში, თბ., 1982, გვ. 211. 213.

ეცხადებინა „უავგუსტოესის მიმართვა (სიგელი) სომეხი ხალხისადმი“[52].

ვახტანგ VI-მ, ბაქარმა და კონსტანტინემ კავშირი დაამყარეს პეტრე პირველის ელჩთან და ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის თავიანთი გეგმა გააცნეს. 1724 წლის დამდეგს კონსტანტინე კახეთის მეფე ივანე კარაპეტს [აცნობებდა: „Я (Константин—М. С.) с Шахом-Навасханом согласился о побежденин неприятеля через угодные способы как бы их победить... и о некоторых делах согласились. А когда вы к нам прибудете, желаем о том согласиться и с Вами“[53].

ვახტანგ VI-ს კარგად ესმოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სომეხთა განმათავისუფლებელ მოძრაობასთან კავშირის დამყარებას და გაერთიანებული ძალებით დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლას. ჯერ კიდევ 1722—1723 წწ. ვახტანგ VI-მ მჭიდრო კავშირი დაამყარა სომეხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელებთან და დიდი დახმარება აღმოუჩინა მათ სომხური ჯარების ჩამოყალიბების საქმეში[54].

ვახტანგ VI-ის პოლიტიკური არენიდან ჩამოცილების შემდეგ, სომეხთა განმათავისუფლებელ მოძრაობასთან კავშირსა და მის დახმარებას ბაქარი ანხორციელებდა. ბაქარმა ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად სომხეთში გაგზავნა სამხედრო საქმის მცოდნეთა ჯგუფი. 1724 წ. 1 თებერვალს ივანე კარაპეტი თავად ბარიატინსკის ატყობინებდა: „ვახტანგის ვაჟმა დიდ სომხებთან 30 კაცი გაგზავნა“[55].

ქართულმა სამეფო კარმა ყაფანელი სომხების თხოვნის პასუხად გაგზავნა სამხედრო სპეციალისტების ჯგუფი დავით ბეგის მეთაურობით[56].

სომეხ აჯანყებულთა ორი მთავარი ცენტრიდან (ყარაბაღი და ყაფანი) ვახტანგ VI უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა ყარაბაღელი სომხების „სიღნაღებს“, რომელთა სტრატეგიული მდგომარეობის გამოყენებით უფრო მოსახერხებელი ჩანდა დასახული გეგმების განხორციელება. განჯა ყარაბაღის მიდამოებში შესაძლებელი იყო არა

---

[52] Армяно-русские отношения, т. II, ч. 1, с. LVIII.

[53] Армяно-русские отношения, т. II, ч. 2, с. 59.

[54] გ. მაისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII—XVIII სს. გვ. 204—209.

[55] Армяно-русские отношения..., II, ч. 2, с.

[56] გ. მაისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა, გვ. 214—218.

მარტო სომხთა, არამედ აზერბაიჯანელთა გაერთიანებაც. ვახტანგ VI და ბაქარს უშუალო კავშირი ჰქონდათ დამყარებული სომეხ აჯანყებულთა ძირითად კერებთან და თავისი წარმომადგენლების საშუალებით ხელმძღვანელობას უწევდნენ განმათავისუფლებელ მოძრაობას მთელ სომხეთში[57].

ბაქარმა. კონსტანტინესთან კავშირის დადების შემდეგ, ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო. 1724 წელს 18 მარტს ივანე კარაპეტი იუწყებოდა: „ვახტანგის ვაჟმა თურქებს თბილისის ახლო მდებარე ერთი ქალაქი წაართვა, იქ გამაგრდა და თხოვს ყველა აქაურს დახმარებას“[58].

გ. მაისურაძის აზრით, ბაქარის მიერ თბილისის მახლობლად განთავისუფლებული ქალაქი მცხეთა უნდა ყოფილიყო. თუ ბაქარმა მართლაც წაართვა თურქებს მცხეთა და ის თავის დროებით რეზიდენციად აქცია, სავსებით მოსალოდნელია, რომ ეს ქალაქი ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ შტაბად გადაქცეულიყო[59].

თუ ეს მოსაზრება სწორია, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ მცხეთის განთავისუფლების შემდეგ, — ოსმალთა ბატონობას თბილისში გარკვეული საფრთხე შეექმნა. სწორედ ამით უნდა აიხსნებოდეს ის ფაქტი, რომ 1724 წლის მარტში რეჯებ ფაშა დანიშნულ იქნა თბილისის მუჰაფიზად (კომენდანტად, სამხედრო ძალების უფროსად)[60]. მას დამატებით ებოძა, აგრეთვე, ტრაპიზონის ვილაიეთი და მას დასახმარებლად დაუნიშნეს ჩილდირის (ახალციხის) ბეგლარბეგი ისჰაკ-ფაშა, „რადგანაც იმ მიდამოების ვითარების სრულყოფილი ცოდნითა და იქ საქმეთა წარმართვით მან სახელი გაითქვა და მოიხვეჭა“[61]. აღსანიშნავია, რომ ისჰაკ-ფაშა იყო ათაბაგთა (ჯაყელთა) შთამომავალი.

იმდროინდელი ქართული წყაროები რეჯებ-ფაშას შემდეგნაირად ახასიათებენ:

„მოვიდა, დაჯდა ქალაქში, ღმერთმა ნუ დაამყაროს,
ვისაც რომ თეთრი შეგუღა, ვინ იცის, წაართვა რაო,
ბევრი დაჰხოცა ვაჟკაცი, ცოლშვილი გაუმწარაო,
ზოგი აიკლო უწყალოდ, ზოგი გაყარა გარაო.
უღმერთო იყო წყეული, უბრალოს კაცის მკლელია,
არ შეიბრალის მან მოკლას, იყო სისხლისა მღვრელია“[62].

---

[57] გ. მაისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა..., გვ. 204—205.

[58] Армяно-русские отношения..., т. II, ч. 2, с. 231.

[59] გ. მაისურაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 213.

[60] გურჯი ზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 19.

[61] იქვე, გვ. 52. 53.

[62] იესე ტლაშაძე, ბაქარიანი, გვ. 31.

ანდა

„რაჯა ფაშაი მრისხანე, რომ დაჯდა ქართლში მპყრობელად
ხვანთქრის ეუზირი უშიში, ამაყად პყრობად, მფლობელად,
ვინა შეხედოს, შეშინდის, ვინ იყვის მოსანდობელად,
სისხლი დასთხია ქართველთა, იყო სჯულისა მგმობელად“[63].

ამ დროს თბილისში შექმნილ ვითარებას გურჯი ზადე შემდეგნაირად ახასიათებს: „სანახებსა და შემოგარენს შორის მჭევრმეტყველი თვალის გამჭრიახობით გახედა (რეჯებ ფაშამ — მ. ს.) და, როდესაც შეისწავლა, ბრძენის ყურებს ხსენებული ქალაქის ტყიანი მთა-გორებიდან აჯანყების ქარიშხალისებური ხმა მოესმა, შემზარავი ხეობებიდან შეუჩერებლივ წამოვიდა ვერაგობისა და მუხანათობის ნიაღვარი, ჯანყი და ამბოხება ქვეყნისა. დანებების კეთილი სურვილი არც ქალაქიდან მოდიოდა და არც ქალაქის კედლებს მიღმა იყო გადაწყვეტილი დამორჩილების საქმე“[64]. „ხსენებული ქალაქის (თბილისის — მ. ს.) დაცვასა და წესრიგში მოყვანას ზეციური ძალა სჭირდებოდა. მკვდრების გაცოცხლება უფრო იოლ საქმედ მოჩანდა, ვიდრე მისი დაცვა“[65].

მართალია, გურჯი ზადეს გაზვიადებული აქვს ამ დროს თბილისში შექმნილი მდგომარეობა, მაგრამ მისი საისტორიო თხზულებიდან ნათლად ჩანს ქართველთა საბრძოლო განწყობილება და სურვილი თბილისის დახსნისა.

ბაქარს კარგად ესმოდა, რომ ერთბაშად თბილისის წინააღმდეგ პირდაპირი იერიშის მიტანა არამიზანშეწონილი იყო, საამისოდ მას სათანადო ძალები არც გააჩნდა. ამიტომ გადაწყვიტა ჩასულიყო საბარათიანოში და გაეთავისუფლებინა იგი ოსმალთაგან. საბარათიანოს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. აქ გადიოდა განჯა-ყარაბაღსა და სამხრეთისაკენ მიმავალი გზა, რომელსაც გურჯი ზადე უწოდებს „ისლამის ლაშქრის შემოსასვლელ და გასასვლელ გზას“[66]. აქედან ბაქარს ადვილად შეეძლო დაკავშირებოდა კონსტანტინეს, განჯა-ყარაბაღის გამგებელს და სომეხთა საბრძოლო გაერთიანებებს, რომელთანაც ბაქარს კავშირი ჰქონდა დამყარებული.

ადგილობრივი მოსახლეობაც მტრულად იყო განწყობილი დამპყრობელთა მიმართ და როგორც გურჯი ზადე წერს, „შიშველი მორჩი-

---

63 შეკრებანი ქართლისანი, გვ. 236,

64 გ უ რ ჯ ი ზ ა დ ე, თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 19.

65 იქვე.

66 იქვე, გვ. 21.

ლების სამოსი ჩაიცვეს“[67] და საჭიროების შემთხვევაში მზად იყვნენ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლა დაეწყოთ.

სომხით-საბარათიანოს დაპყრობილ ტერიტორიაზე ოსმალებმა სანჯაყი დააარსეს და მის გამგებლად დანიშნეს ვახტანგის ძმის იესეს შვილი გამაჰმადიანებული აბდულა ბეგი[68].

რეჯებ ფაშამ გადაწყვიტა ბრძოლა დაეწყო ბაქარის წინააღმდეგ და არ მიეცა მისთვის საშუალება გაეერთიანებინა ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლი ძალები. ბაქარი სოფელ ღორისთავთან იდგა. ალგეთის მახლობლად... რეჯებ ფაშამ ბაქარის წინააღმდეგ საბრძოლველად გაგზავნა იესე, ლაშქრითურთ. ჩანს, ბაქარმა ვერ მოასწრო ჯარის შეგროვება და იესესთან ბრძოლას თავი აარიდა. ვახუშტის თქმით, „უსპოთა ვერ დაუდგა“[69] და იქიდან მანგლისის გზით ატენში გადავიდა და იქ გამაგრდა.

გაზაფხულზე ბაქარი ატენიდან სამხრეთ-დასავლეთ თრიალეთში გადადის და იქიდან ანახლებს ბრძოლას ოსმალების წინააღმდეგ. გურჯი ზადეს ცნობით, ბაქარი გუჯარეთის მხარეში გამაგრდა. „წყეული ვახტანგის შვილმა შაჰ-ნავაზმა, ხსენებულთა სადგომს — მთებსა და გორებს შეაფარა თავი“[70]. მისივე გადმოცემით, ამ მხარის მოსახლეობა[71] გამოირჩეოდა თავისი ვაჟკაცობითა და თავდადებული ბრძოლის უნარით: „ქართლის ვილაიეთში არის გუჯარეთად სახელდებული მხარე, რომელიც საკრებულოა მეამბოხეებისა და ბოროტი სულებისა. მისი მოსახლეობა ქართველ მეფეთა დროსაც გამოირჩეოდა თავისი ურჩობით. ეს ტომი შორს დგას ქალაქისადმი (თბილისისადმი) დამორჩილებისა და დაქვემდებარებისაგან. მმართველობის სადავე, გაუბედურებული ფეხები ბორკილებისაგან გაინთავისუფლეს და თავხედური ბუნებით ნაკარნახევი საძრახისი საქციელის ჩადენა იწყეს“[72].

ბაქარმა სცადა დაეპატიმრებინა თრიალეთის მმართველი ვინმე იბრაჰიმ აღა, მაგრამ ბრძოლის დროს იგი მოკლულ იქნა. წყაროები-

---

[67] გ უ რ ჯ ი ზ ა დ ე, თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 21.

[68] ქ ე ჩ უ ქ ჩ ე ლ ე ბ ი ზ ა დ ე, გვ. 53.

[69] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 507.

[70] გ უ რ ჯ ი ზ ა დ ე, თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 26.

[71] გურჯი ზადე შეცდომით წერს, რომ გუჯარეთი თბილისის ჩრდილოეთით მდებარეობსო (გ უ რ ჯ ი ზ ა დ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 26). სინამდვილეში გუჯარეთი სამხრეთ-დასავლეთ თრიალეთში მდებარეობს. გუჯარელების დაუმორჩილებელ ძლიერ ხასიათზე წერს ვახუშტიც თავის „გეოგრაფიაში“: „აწ განყოფილი არს სადგერად და გუჯარეთად. ამ ადგილის კაცნი ყოფილან მბრძოლნი ძლიერნი, აწცა არიან მჭნენი; გომარეთს ზეით ჴვარებამდე არს ჯეობა გუჯარეთისა, და ყოფილ არიან მრავალნი შენობანი და ეკლესიანი, გარნა ან შემუსვრილნი“ (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 346). შედრ. გ უ რ ჯ ი ზ ა დ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 63, შენიშვნა 54.

[72] გ უ რ ჯ ი ზ ა დ ე, თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 26.

დან არ ჩანს — იგი გამაჰმადიანებული ქართველია, თუ თურქი. გურჯი ზადე დასძენს, რომ ბაქარს სურდა იგი ვახტანგისათვის „მიეგვარა საჩუქრად“[73]. ეს კი, ჩვენი აზრით, იმას ნიშნავს, რომ იბრაჰიმ აღა რენეგატი ქართველი ფეოდალი უნდა ყოფილიყო.

სოფელ ფოკასთან (ფარავანის ტბის მახლობლად) ბაქარი თავს დაესხა ოსმალთა ლაშქარს და დიდი ზარალი მიაყენა მას. „მოსწყვდნეს თრიალეთს მყოფნი ოსმალნი და ფოკას მოსრნეს (500), მხედარნი ტფილისს მომავალნი“[74]. ეს ამბავი აისახა გურჯი ზადეს თხზულებაშიც. იგი ადასტურებს ქართული წყაროების მონაცემებს და ზოგიერთ ახალ ცნობასაც გვაწვდის: „...როცა ორი ათასი თავდადებული ქარავანი გაეშურა არზრუმიდან ერევნისაკენ და სოფელ ფოკაში შეჩერდა. ეს ამბავი ხსენებულმა ყაჩაღებმა ჯაშუშობის გზით გაიგეს, სადღაც გათენებისას დაესხნენ თავს, ვაჭრები გაძარცვეს. მათი ქონება და სანოვაგე მიიტაცეს, ათასეულში მყოფ ყველა თავდადებულ გმირს თავი წააგდებინეს, 130-მდე ასქერი მოწამებრივი სიკვდილით გაისტუმრეს სამოთხეში“[75]. ამგვარად, ქართველებმა სოფელ ფოკასთან დიდი დამარცხება აგემეს მტერს. განადგურებულ იქნა ოსმალთა 2000-იანი ლაშქარი და ამ ბრძოლის შედეგად მათ დიდი ნადავლი იგდეს ხელთ.

ამ ამბებით განრისხებულმა რეჯებ ფაშამ ბაქარის წინააღმდეგ სასწრაფოდ გაგზავნა მრავალრიცხოვანი ლაშქარი იესესა და ახალციხის ფაშის ისაყის სარდლობით. „ამისთვის, — წერს ვახუშტი, — კუალად წარმოავლინეს იესე და ისაყ, ახალციხის ფაშა, სპითა, ვერ წინააღუდგა ბაქარ, არამედ შევიდა მთათა შინა“[76].

ოსმალებმა სასტიკად იძიეს შური ამ დამარცხების გამო: „მოსახლეობა ვისაც კი ბრძოლის და ომის ძალა შესწევდა, ყველა შურისძიების მახვილის ქვეშ გაატარეს (დახოცეს). ცოლები დაატყვევეს. სახლ-კარსა და მამულს ცეცხლი წაუკიდეს. ქვეყანა ისე დააქციეს და დაანგრიეს, რომ ამის შემდეგ თემურლენგის შემოსევა და აოხრება ამ მხარისათვის სანატრელი გახდა. ნაგებობათა ნაშთსაც კი ვერ აგებდნენ, რომ იქ რაიმე ემოქმედათ“[77]. ვფიქრობთ, რომ გურჯი ზადეს ეს ცნობა კომენტარს არ საჭიროებს. ოსმალთა სისასტიკემ და მხეცობამ თემურლენგის ბარბაროსობას გადააჭარბა!

ამის შემდეგ რეჯებ-ფაშამ გადაწყვიტა დაეწყო ბრძოლა ვახტან-

---

[73] გ უ რ ჯ ი ზ ა დ ე, თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 26.
[74] ვ ა ხ უ შ ტ ი... აღწერა..., ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 507.
[75] ზ უ რ ჯ ი ზ ა დ ე, თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 30.
[76] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 507.
[77] გ უ რ ჯ ი ზ ა დ ე, თბილისის აღწერის წიგნი, გვ. 31.

გის წინააღმდეგ, რადგან, მისი აზრით, ყოველი გამოსვლისა და შეტაკების მოთავე და წამქეზებელი ვახტანგი იყო: „ყოფილი ხანი, ხსენებული ვახტანგი აქამდე იმყოფებოდა კავკასიონის მთების კალთებზე მდებარე, თბილისს დაქვემდებარებულ ცხინვალის სახელით ცნობილ მხარეში.

ქართველთა ვრცელ სანადირო ადგილებში, ვითომდა უკვე დამორჩილებული რომ იყო, შეუწყვეტლივ იგზავნებოდა ქორი, მიმინო და შევარდენი, რითაც ცხადყოფდნენ, რომ ხსენებულის აზრი და გონება ნადირობასა, შიშსა და სასოებას შორის ტრიალებდა. საჭიროებისდა მიუხედავად იყო მორჩილი და ითხოვდა შეწყნარებას. მაგრამ აღმოჩნდა, რომ შეთქმულება, რომელიც აქა-იქ გამოუმჟღავნდა, ამ წყეულის წაქეზებით მოხდა“[78].

ოსმალთა ლაშქარმა ცხინვალს შეუტია, აიღო ქალაქი და ვახტანგის სახლ-კარი ცეცხლს მისცა. აქედან ოსმალები გორისაკენ გაემართნენ და ციხე აიღეს: „ხოლო ოსმალნი მოვიდნენ გორს, მოარბიეს გარემონი, დაიპყრეს გორი“[79].

გორისა და ცხინვალის დაპყრობის შემდეგ ვახტანგ VI-ისა და მის თანამებრძოლების მდგომარეობა კიდევ უფრო ძნელად გაუარესდა. ქართველი ფეოდალების ნაწილმა იმედი დაკარგა ოსმალთა დაძლევისა და მათთან თანამშრომლობის გზას დაადგა, რათა შეენარჩუნებინა თავისი მამულები.

ვახტანგისა და ბაქარის დამარცხების შემდეგ ქართლის თავადებმა ოსმალებისადმი „მორჩილების განწყობა გამოამჟღავნეს, მაშინ აღნიშნულმა აღამაც უზრუნველყო მათი სიმშვიდე, ოჯახისა და ცოლ-შვილის დაცვა და მამულების მფლობელობის დამტკიცება, ყველა თავადი, ვინც წყალობასა და მხარდაჭერას ეძებდა, ხსენებულ აღასთან ერთად გაემგზავრა მისი აღმატებულების სასახლის ზღურბლისაკენ — თქვენი ხმალი და ჩვენი კისერიო“[80].

---

[78] გ უ რ ჯ ი ზ ა დ ე, თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 26, 27.

[79] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 507.

ოსმალო მემატიანეს ჩელები ზადეს ცნობით, ოსმალებმა გორი თბილისთან ერთად დაიპყრეს 1723 წლის ივნისში (ჩ ე ლ ე ბ ი ზ ა დ ე, გვ. 327). 1723 წელს ოთარ არაგვის ერისთავი თავის ძმას რომანოზს ატყობინებდა, რომ თბილისთან ერთად ოსმალებმა გორიც დაიპყრეს (Переписка грузинских царей..., с. 154). რუსული მასალებიდანაც ჩანს, რომ 1724 წ. 4 აპრილს გორი ოსმალთა ხელშია და ოსმალებს 15 ზარბაზანი აქვთ ჩაყენებული (Армяно-русские отношения, т. II, ч. 2, с. 103).

ასე რომ, თუ როდის მოხდა ოსმალების მიერ გორის დაპყრობა და შემდეგ მისი განთავისუფლება, მთლად ნათელი არ არის და მოითხოვს შემდეგ დაზუსტებას.

[80] გ უ რ ჯ ი ზ ა დ ე, თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 26.

რეჯებ ფაშას კარგად ესმოდა, რომ ქართველი ხალხის წინააღმდეგობის გასატეხად საჭირო იყო ქართველი ფეოდალების ნაწილი თავის მხარეზე მიემხრო და ოსმალთა სამსახურში მიეზიდა. ქართლში „ოსმალობის“ შემოღებასთან დაკავშირებით ქართველ ფეოდალებს ოსმალეთის მთავრობისაგან უნდა მიეღო თავიანთი მამულების ფლობის უფლება. თავისთავად, ცხადია, რომ სულთნის მთავრობა მამულებს არ დაუმტკიცებდა იმ ქართველ ფეოდალებს, რომლებიც ოსმალთა ხელისუფლების მიმართ ლოიალურად არ იყვნენ განწყობილნი. ასე რომ, ოსმალებს ქართველ ფეოდალებზე ზემოქმედების მძლავრი საშუალება ჰქონდათ. ქართველი ფეოდალების წინაშე ალტერნატივა იდგა — ან ოსმალეთის მხარეზე გადასვლა და მამულების შენარჩუნება, ანდა მათ წინააღმდეგ ბრძოლა და „ქართველობის“ დაცვა. სწორედ ამის გამო წერს გურჯი ზადე, რომ ქართველ ფეოდალებს ოსმალთა მხარეზე გადასვლით უნდა უზრუნველეყოთ თავიანთი „მამულის მფლობელობის დამტკიცება“.

რეჯებ ფაშამ — „დამორჩილებულ თავადებსა და აზნაურებს კარგი პირობები შეუქმნა, გულისმომგები და საამო საჩუქრების ბოძებით თავი მოუქონა და გააბედნიერა“[81]. საჭიროა აქვე შევნიშნოთ, რომ გურჯი ზადეს თხზულების ხელნაწერში დატოვებულია ადგილი იმ ქართველ თავადთა გვარების ჩასაწერად, რომლებიც ამ დროს ოსმალთა მხარეზე გადავიდნენ. ამრიგად, ოსმალებმა ქართლში სამხედრო ღონისძიებათა, თუ ქართველი ფეოდალების ერთი ნაწილის გადმობირებით, დროებით შესძლეს ქვეყნის დაშოშმინება, მაგრამ ქართველები ფარ-ხმალს არ ჰყრიდნენ და ახალი ბრძოლებისათვის ემზადებოდნენ.

ამიერკავკასიის ხალხებს შეგნებული ჰქონდათ, რომ ოსმალეთის წინააღმდეგ წარმატებითი ბრძოლა შესაძლებელი იყო მხოლოდ რუსეთის სამხედრო დახმარების შემთხვევაში. ამასთან დაკავშირებით მოიპოვება ამიერკავკასიის გამგებლებისა თუ ცალკეული ჯგუფების წერილები, გაგზავნილი რუსეთის მთავრებისადმი, რომელშიაც ისინი დახმარებას თხოვენ რუსეთის მეფეს ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგალითად, 1723 წლის მარტში განჯელების მიერ პეტრე პირველისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში გამოთქმულია თხოვნა, რათა: „российское войско хотя тысячью или две, только б или их было и сидели б в Гендже, понеже опасны от турков, а ежели б де россияне в Гендже засели б то б персияне с согласия

---

[81] გ უ რ ჯ ი ზ ა დ ე, თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 29.

с армянами и милтинцами (грузинами) могли против турков крепко стоять и их побеждать"[82].

ამრიგად რუსეთის დახმარების შემთხვევაში, ქართველები და სომხები სპარსელებთან შეთანხმებით, ადვილად შეძლებდნენ ოსმალებზე გამარჯვებას. საყურადღებოა, ის, რომ რუსეთის მთავრობისადმი გაგზავნილ წერილებში მოხსენიებული არიან კონსტანტინე (მაჰმად-ყული-ხანი) და ბაქარი (შაჰ-ნავაზი), როგორც მაღალი თანამდებობის ხელმძღვანელნი, გამგებლები. ყოველივე ეს ნათლად მეტყველებს, რომ კონსტანტინე და ბაქარი აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ამიერკავკასიაში ანტიოსმალური კოალაციის შექმნაში.

ყურადღებას იმსახურებს ისიც, რომ ამ წერილებში კონსტანტინესა და ბაქართან ერთად მოხსენიებულია მეჰმედ ბეგ ყაჯარი (შაჰთამაზ II). ეს მეტყველებს არა მარტო იმაზე, რომ შაჰი მონაწილეობს ამიერკავკასიაში ანტიოსმალური კოალიციის ორგანიზაციის საქმეში, არამედ იმაზეც, რომ შაჰმა ცნო ვახტანგ VI-ის შვილი ბაქარი თავის მოკავშირედ ოსმალეთთან ბრძოლაში. ყურადღებას იქცევს ისიც, რომ ამ საბუთებში ბაქარი მოხსენიებულია „შაჰ-ნავაზად", მაგრამ არაა მითითებული, თუ რას განაგებს იგი, ქართლის ვალად კი მაჰმუდ-ხანი იგულისხმება. მაგალითად, 1724 წ. 24 მარტს განჯელი აზერბაიჯანელების მიმართვაში პეტრე პირველისადმი ვკითხულობთ: „Мехди Беком Каджаром (шах Тамазб) и людьми высокопоставленных начальников вали Картли и Шах-Навоз хана"[83]... ხოლო განჯელ მცხოვრებთა მეორე მიმართვაში პეტრე პირველისადმი სწერია: „...которое мы согласовали с Мехди-бек Каджаром (Шах Тахмазб II), высокими наместниками (вали) его величества в Картвелии и Шах-Навазд ханом"[84].

ამასთან დაკავშირებით ა. იოანისიანი შენიშნავს, რომ ქართლის ვალის ქვეშ იგულისხმება მაჰმად-ყული-ხანი, კონსტანტინე კახეთის მეფე[85]. ისმის კითხვა: რატომ არ არის მოხსენიებული ქართლის ვალის სახელიც. იმ შემთხვევაში, როდესაც ლაპარაკია განჯის ბეგლარბეგზე, საბუთებში ყოველთვის მითითებულია მისი სახელიც. ჩვენი აზრით, ეს აიხსნება იმით, რომ მცხეთაში ბაქართან შეთანხმების შემდეგ, კონსტანტინეს აღარა აქვს პრეტენზია ქართლზე და იგი არ მოი-

---

[82] Армяно-русские отношения..., т. II, ч. 1, с. LXXII. т. II, ч. 2, с. 115.

[83] Армяно-русские отношения..., т.II, ч. 2.

[84] П. Т. Арутюнян, Борьба армянского и азербайджанского народов..., с. 136.

[85] Армяно-русские отношения..., т. II, ч. 2, с. I XXI.

თხოვს დასახელებული იყოს ქართლის ვალად, მაგრამ შაჰი არ სცნობს შაჰ-ნავაზს (ბაქარს, ვახტანგ VI-ის შვილსა და უერთგულეს მიმდევარს) ქართლის გამგებლად (ვალი). საფიქრებელია, რომ წერილების ამგვარი რედაქცია ურთიერთკომპრომისზე იყო დაფუძნებული.

კონსტანტინესა და კახეთის პოლიტიკურ მოღვაწეებსაც არ ეპარებოდათ ეჭვი იმაში, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლის დროს რუსეთისაგან დახმარების მიღებას. ისინი თავიანთ წერილებში თხოვნით მიმართავდნენ პეტრე პირველსა და რუსეთის ჯარების სარდალს კასპიისპირეთში გენერალ მ. ა. მატუშკინს აღმოეჩინა სამხედრო დახმარება, რის შედეგადაც გაცილებით გაადვილებოდა ოსმალების დამარცხება[86].

მართალია, შაჰ-თამაზ II-ს არ მოსწონდა, რომ ამიერკავკასიის გამგებლები და ცალკეული ჯგუფები ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებისათვის რუსეთს მიმართავდნენ, მაგრამ შექმნილ ვითარებაში იგი იძულებული იყო დროებით შერიგებოდა ამას (ზოგჯერ თვითონაც იღებდა მონაწილეობას ამ თხოვნაში) და ანგარიში გაეწია თავისი „მოკავშირე" რუსეთისათვის[87]. ერთი სიტყვით, ამიერკავკასიის მეფე-გამგებლები და ირანის შაჰი ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლის პირობებში ურთიერთსადავო საკითხებს დროებით გვერდზე დებდნენ და საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად ძალებს იკრებდნენ.

ანტიოსმალური კოალიციის შექმნის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 1724 წლის 6 აპრილს განჯაში დადებულ ხელშეკრულებას. იგი დაიდო ყარაბაღელ სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის. განჯის ხელშეკრულება ამტკიცებდა ამიერკავკასიის ხალხების პოლიტიკურ და საბრძოლო გაერთიანებას, მიმართულს მათი დაუძინებელი მტრის თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ. ამ შეთანხმება-შეკავშირებით ფაქტიურად დასრულდა ანტიოსმალური კოალიციის ჩამოყალიბება ამიერკავკასიაში, რითაც დამპყრობლებს ერთნაირად მტრული გარემოცვა შეექმნათ ჩვენს ქვეყანაში[88].

---

[86] იხ. Переписка грузинских царей с россиийскими государями от 1639—1770 гг. СПб, 1861; Армяно-русские отношения..., т. II, ч. 2, с. 207—210; Г. Пайчадзе, Русско-грузинские политические отношения в первой половине XVIII века, Тб., 1970, с. 71—75.

[87] 1723 წ. 23 სექტემბერს პეტერბურგში რუსეთსა და ირანს შორის დაიდო ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით შაჰ-თამაზ II-მ რუსეთს დაუთმო კასპიისპირა სანაპირო, ბაქოსა და დერბენდის ჩათვლით. სამაგიეროდ, პირდებოდა შაჰს დახმარებას ხელისუფლების განმტკიცებისა და მეამბოხეების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. იხ. გ. პაიჭაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 85.

[88] Армяно-русские отношения..., т. II, ч. 1, с. 1, XXI; გ. მაისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII—XVIII სს-ში, გვ. 223.

ამ მნიშვნელოვან ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ქართველმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა, რომელთაც ხელშეკრულების გაფორმებაში ერთ-ერთი ხელმძღვანელი ადგილი ეკავათ. ამის შესახებ რუსეთის კარზე კახთა მეფის წარგზავნილი თავადი იოსება პეტრე I-ს მოახსენებდა: „განჯის მცხოვრებლებს სომხებთან გართულებული სისხლისმღვრელი შფოთი ჰქონდათ. ხანმა (კონსტანტინემ) ისინი შეარიგა და ერთმანეთში ხელშეკრულება დაადებინა, რათა მათ შინაომზე ხელი აეღოთ და თავისი ძალები საერთო მტრის წინააღმდეგ გაეერთიანებინათ“[89]. თვით განჯელებიც პეტრესადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდნენ კონსტანტინესა და ბაქარის დიდ როლს აზერბაიჯანელებისა და სომხთა ძალების გაერთიანებაში[90]. განჯის ხელშეკრულება ხელმოწერილ იქნა... „...при посредничестве главы грузинских феодалов Закавказья Мехмет Кули-хана (Константина)“[91].

ამ შეხედულებას არ იზიარებს გ. მაისურაძე. „ა. იოანესიანის დასკვნა, წერს იგი, — განჯის ხელშეკრულების დადებაში მაჰმად-ყული-ხანის განსაკუთრებული როლის შესახებ, ჩანს, ემყარება განჯელთა იმ ცნობას, რომლის მიხედვით ის ქართლის ვალად ჰყავთ წარმოდგენილი. პატივცემული მეცნიერი ამ შემთხვევაში, ალბათ, იმასაც ითვალისწინებს, რომ კონსტანტინე კახთა მეფე იმ დროისათვის განჯისა და ყარაბაღის ბეგლარ-ბეგი იყო და მის გარეშე მსგავსი საკითხი ვერ გადაწყდებოდა. მაჰმად-ყული-ხანის პიროვნების ეს შეფასება, ჩვენი აზრით, დაზუსტებას მოითხოვს“[92].

გ. მაისურაძე თვლის, რომ ამიერკავკასიის ხალხების განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელი იყო არა კონსტანტინე, არამედ ბაქარი. „1724 წ. მარტ-აპრილში, — წერს გ. მაისურაძე, — როცა ბაქარი ჯერ ისევ ქართლში იმყოფებოდა და ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლას ხელმძღვანელობდა, მაჰმად-ყული-ხანის „ამიერკავკასიის ქართველ ფეოდალთა მეთაურად“ მიჩნევა არ არის სწორი“[93]. გ. მაისურაძის შეხედულებით: „ბაქარის ამიერკავკასიაში ყოფნის დროს კონსტანტინეს არ შეეძლო ანტიოსმალური ფრონტის სათავეში მდგარიყო, თუმცა კი ასეთი ფრონტის შექმნას კახთა მეფემაც საკმა-

---

89 გ. მაისურაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 224.

90 გ. მაისურაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 224; Армяно-русские отношения..., т. II, ч. I, с. IXXI.

91 Армяно-русские отношения..., т. II, ч. I, с. III.

92 გ. მაისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა..., გვ. 224, 225.

93 იქვე.

ოდ დიდი წვლილი დასდო"[94]. მისივე დაკვირვებით, „განმათავისუფლებელი ბრძოლის საერთო ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა... ბაქარს ეკისრებოდა"[95].

ჩვენ ვერ დავეთანხმებით ამ საკითხში გ. მაისურაძეს და სავსებით ვიზიარებთ ა. იოანესიანის თვალსაზრისს: „Уйдя в Кахетию и признав главенство Бакара в Картли, он вступил на путь вооруженной борьбы с турками. Отныне он будет в меру своих сил руководить освободительным движением народов Закавказья в целом"[96].

მართალია, ვახტანგ VI-ის პოლიტიკური ასპარეზიდან ჩამოცილების შემდეგ, მისი ადგილი ბაქარმა დაიკავა, მაგრამ მისი გავლენა და ავტორიტეტი ვახტანგთან შედარებით არ იყო იმდენად მნიშვნელოვანი, რომ იგი ამიერკავკასიის ხალხების განმათავისუფლებელ მოძრაობას სათავეში ჩადგომოდა. რაც შეეხება კონსტანტინე კახთა მეფეს, მცხეთაში ბაქართან დადებული ხელშეკრულებით, მან აიღო ხელი ქართლზე და ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიის ხალხების ბრძოლას ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ. ეს გაპირობებული იყო მრავალი გარემოებით: ამ დროს იგი იყო განჯისა და ყარაბაღის ბეგლარბეგი, შაჰმა მას ერევნის გამგებლობაც უბოძა. კახთა მეფე შაჰის კარზე და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ფეოდალებს შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მან დიდი დახმარება აღმოუჩინა აზერბაიჯანელებსა და სომხებს განჯასთან ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში. განჯასთან ოსმალებზე მოპოვებული გამარჯვების შედეგად კონსტანტინეს ავტორიტეტი კიდევ უფრო მეტად გაიზარდა. კონსტანტინეს განსაკუთრებით დიდი წვლილი მიუძღვის განჯის ხელშეკრულების დადების საქმეში. სწორედ მისი აქტიური ჩარევისა და ხელშეწყობის შედეგად შესაძლებელი გახდა აზერბაიჯანელებისა და სომხების შერიგება და მათი დარაზმვა საერთო მტრის ოსმალების წინააღმდეგ საბრძოლველად.

მართალია, ბაქარი მონაწილე იყო განჯის ხელშეკრულებისა, მაგრამ მისი უშუალო ხელმძღვანელი და ორგანიზატორი კონსტანტინე იყო.

გ. მაისურაძეს მიაჩნია, რომ ამ დროს კონსტანტინე არ შეიძლება ყოფილიყო „ქართველ ფეოდალთა მეთაურად" ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. არც ეს დებულებაა მართებული.

აი, რას წერს გურჯი ზადე კონსტანტინეს ხელმძღვანელი როლის

---

[94] გ. მ ა ი ს უ რ ა ძ ე, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა..., გვ. 225.

[95] იქვე, გვ. 211.

[96] Армяно-русские отношения..., т. II, ч. I, с. LIII.

შესახებ ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში: „წყეული მაჰმადყული-ხანი დღემდე ამაგრებდა ტყუილისა და მზაკვრობის შენობას. განჯაში მცხოვრებ მწვალებელს, რომელმაც სარწმუნოების გამო მსხვერპლად გაიღო შიიტის დიდი ქონება დ სიცოცხლე, სხვადასხვა ამბავს უთვლიდა: სუნიტებს (ოსმალებს — მ. ს.) ყველას ხმალზე ავაგებთო — არწმუნებდა. 1500 თუმნის ქონება შეაგროვებინა და მოატანინა. ქართლის ვილაიეთში მცხოვრები ყველა მეამბოხე დაიქვემდებარა და მერე საქართველოს საზღვრებს გარეთ მყოფი სხვადასხვა უსჯულო: ოსი, თუში და გადაღმა ლეკთა ტომებიდან გაურკვეველი სარწმუნოების ბულკადარი და ყარაკალკანისა (არაგვის) და ქსნის ხანებიც კი, ყველანი ერთად ხსენებულის საყრდენი ძალა და მარჯვენა ხელი შეიქმნა. პირი პირს მისცეს და კავშირი შეჰკრეს ერთსულოვანი“[97].

ამრიგად, კონსტანტინე კახთა მეფე გამოდიოდა ამიერკავკასიის ანტიოსმალური ძალების დამრაზმელად და ხელმძღვანელად.

აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ხალხებმა ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ პარტიზანული ბრძოლა გაიჩაღეს.

გურჯი ზადე ყოველნაირად ცდილობს მუქ ფერებში დაგვიხატოს მათი გამოსვლები. „სარწმუნოების მტრებმა, წერს იგი, თავი წამოყვეს და ცივი გველებივით იწყეს აქა-იქ სისინი. განჯასა და მასზე დაქვემდებარებულ შამსადდინლუსა და ყაზახის ტომებში მცხოვრებში გახრწნილი ყიზილბაშები საზიზღარ საქმიანობას შეუდგნენ. დამორჩილებულ ციხეებს, სოფლებსა და სავარგულებს ხელყოფდნენ, კუთხე-კუთხე იჭერდნენ ლაშქრის თადარიგს. გაძლიერდნენ კიდეც. ღამით, სადაც კი ხელსაყრელ ადგილს დაიგულვებდნენ, მოულოდნელად ესხმოდნენ თავს... იმ მხარეში გახშირდა თავდასხმები. როგორც კი შემთხვევას დაიხელთებდნენ, მოკლულთა სისხლს იღებდნენ სუნიტებისაგან. რადგანაც მათი ცრუ აზრები ისლამს ეწინააღმდეგება, ამიტომ ასაჯანყებლად ხელების დაკაპიწებას ბეჯითად ეკიდებოდნენ“[98].

საჭირო იყო დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლა მიზანდასახული გამხდარიყო და მოქმედების საერთო გეგმა დასახულიყო. ამ ანტიოსმალურ ბრძოლას, როგორც ზემოთ ითქვა, სათავეში უდგება კონსტანტინე და მისი ინიციატივით ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა.

ანტიოსმალური კოალიციის მონაწილეებმა შეიმუშავეს ამიერკავკასიიდან ოსმალების განდევნის გრანდიოზული გეგმა. ამ გეგმის

---

[97] გ უ რ ჯ ი ზ ა დ ე, თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 33.

[98] იქვე, გვ. 32.

მიხედვით, ოსმალთა წინააღმდეგ შეტევა ერთდროულად უნდა დაწყებულიყო აღმოსავლეთიდან (განჯა — შამსუდღინლუს მხრიდან) და დასავლეთიდან (გორის მიდამოებიდან). გორის განთავისუფლების შემდეგ, დედაქალაქზე იერიშს გორხანეს უღელტეხილიდან მიატანდნენ. მოკავშირეები უნდა გაერთიანებულიყვნენ სოღანლუღის ველზე და შეეტიათ თბილისისათვის. ქალაქის აღების შემდეგ, ერთიანი ძალებით ერევნისაკენ უნდა დაძრულიყვნენ და დახმარება აღმოეჩინათ ალყაშემორტყმული ქალაქისათვის. გეგმა ითვალისწინებდა ერევნის განთავისუფლებასაც.

გურჯი ზადე შემდეგნაირად ახასიათებს ოსმალების წინააღმდეგ შემუშავებულ მოქმედების გეგმას: „იმგვარი კავშირი და მტკიცე ფიცი შეკრეს, რომ თბილისი ძნელად ასაღები ციხე არაა, ახლა მისი მცველი ჯარიც დასუსტდა და შემცირდა. ჩვენ, დედამიწა რომ ვერ დაიტევს, იმოდენა ჯარით მივადგებით გორის ციხეს ჩრდილოეთიდან. ხსენებულ ციხეს დავიპყრობთ და შიგ მყოფთ გავუქლეტთ. ქალაქზე იერიშს გორხანეს უღელტეხილიდან მოვიტანთ. თქვენ კი განჯაში, შეამსადღინლუსა და იმ მხარეში ომისა და ბრძოლის უნარიანი, ახლა ბედის ანაბარა დატოვებული. ყიზილბაშები აშალეთ, გატეხილი ხიდი გამოიარეთ და სოღანლუღის ველზე გავერთიანდებით. ხსენებულ ციხეს სეიდაბადის მხრიდან შევუტევთ და ორი მხრიდან მოვიმწყვდევთ, ციხეს ავიღებთ, მოსახლეობას და ლაშქარს გავწყვეტთ. ორი ურიცხვი ჯარი გაერთიანდება და როცა გზად რაც კი ციხეები და დაბები და სოფლები შეგვხვდება, გავანადგურებთ, ალყაშემორტყმულ ერევანს მივაღწევთ, ოსმალთა ლაშქრის ალყას მოვხსნით ერევნიდან, ერევნის ციხესაც გავანთავისუფლებთო — თქვეს და გადაწყვიტეს“[99].

1724 წ. 27 მაისს ოსმალთა ლაშქრის სერასქერმა აჰმედ ფაშამ დატოვა თბილისი და ერევნის ციხის დასაპყრობად გაემართა[100]. ივნისის დამდეგს გუმრსა და აბარანზე გადავლით არიფ აჰმედ ფაშა არარატის ველზე გავიდა, ერევანს ალყა შემოარტყა და მისი დაპყრობა სცადა, მაგრამ ამაოდ. პორტა დაჟინებით ცდილობდა ხელთ ეგდო ერევანი. „ამ დროს გამოიცა დიდებამოსილი უავგუსტოესი ფირმანი, მაუწყებელი იმისა, რომ არზრუმის ვალი, მისი აღმატებულება მუსტაფა ფაშა და მის გამგებლობაში მყოფი არმია, თბილისის მცველი

---

[99] გურჯი ზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 33, 34.

[100] Aktepe Münir, 1720—1724 Osmanlı—Iran Münasebetleri ve Silâhor Kemani Mustafa—Ağanın Revân Iethi-Namesi, Istanbul, 1970; Ш. А. Абуладзе, Османские „книги“ о вторжении Турции в страны Восточного Закавказья в 1723—1724 гг. Источниковедческие разыскания, 1982, Тб., 1985, с. 136—141.

ჩილდირის ვილაიეთის ლაშქრითურთ შირვანში სამსახურიდან მოიხსნას, გამობრუნდეს და ყველანი ერევნისაკენ წავიდნენ"[101]. ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებისათვის დრო მეტად ხელსაყრელი ჩანდა. „ქალაქი (თბილისი — მ. ს.) დაიცალა სხვადასხვა სახის ჯარისაგან. მცველი რაზმები შიშმა შეიპყრო. ერევნის ციხის აღების მოლოდინში ყურებდაცქვეტილი იყვნენ"[102].

უდავოა, ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის გეგმა მოხერხებულად იყო შემუშავებული და გულისხმობდა მოკავშირეთა ერთობლივ და თანადროულ მოქმედებას. მაგრამ შეიქმნა გაუთვალისწინებელი ვითარება. „ერევნის მოსახლეობამ განჯას, შამსედდინლუსა და მაჰმად ყული ხანს დახმარება სთხოვა"[103]. ასეთ ვითარებაში „განჯელები ერევნის დასახმარებლად ჩქარობდნენ და ქართველებზე ადრე ამოქმედდნენ"[104]. ამის შედეგად ჩაიშალა ოსმალთა წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების გეგმა. ოსმალების წინააღმდეგ შეტევა განჯა — შამსედდინლუ — ყაზახის მხრიდან დაიწყო. გაერთიანებული ლაშქარი, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები და ლეკები, შეტევაზე გადავიდა, გაათავისუფლა ოცდაორი სოფელი, აიღო აღჯაყალა და იქიდან ერევნის დასახმარებლად აპირებდა წასვლას[105]. ამ ლაშქარს სარდლობდა მაჰმად-ყულიხანი (კონსტანტინე).

ქართველებს რომ ერევნელებისათვის დახმარება აღმოუჩენიათ, ამას მოწმობს შერგილაშვილი ფილიპეს მონათხრობი: „ჩემი სამშობლო საქართველოდან, ქალაქ თბილისიდან 1722 წ. განსვენებული ქართველი შეფის ვახტანგის მიერ, მისი რუსეთში გამგზავრებისას, გაგზავნილი ვიყავი სიღნაღის სომეხ ხალხთან თურქების წინააღმდეგ მათ ასამხედრებლად, ბრძანებით, რომ ისინი ყველაფერში მე უნდა დამმორჩილებოდნენ. ამიტომაც ხსენებული სიღნაღის სომხები ავამხედრე თურქების წინააღმდეგ და 1723 წ. არარატთან თურქეთის არმიასთან ომი გადავიხადეთ, რომლის დროს 17 ათასი თურქი გავწყვიტეთ და მათი მთავარი სერასქერი უმარ ფაშაც მოვკალით"[106].

გ. მაისურაძე სამართლიანად შენიშნავს, რომ ამ ცნობაში თარიღები შეცდომითაა მითითებული, უნდა იყოს 1724 წელი, ზოგიერთი

---

101 გურჯი ზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 54.

102 იქვე, გვ. 34.

103 ქუჩუქ ჩელებიზადე, გვ. 54.

104 გურჯი ზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 34.

105 ქუჩუქ ჩელები ზადე, გვ. 54.

106 Армянское войско в XVIII в., Ереван, 1969, док. № 112, с. 85. შდრ. გ. მაისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხების ერთიერთობა, გვ. 221.

ფაქტი გაზვიადებულია[107], მაგრამ ჩვენთვის, უპირველესად ყოვლისა, საყურადღებოა ქართველების მონაწილეობა ერევნისათვის ბრძოლაში. საინტერესოა ისიც, რომ თურქი მემატიანის ქუჩუქ ჩელები ზადეს ცნობით, მაჰმად-ყული-ხანს უპოვეს ერევნიდან გამოგზავნილი ქაღალდები (წერილები)[108]. „საყურადღებოა, — წერს გ. მაისურაძე, — რომ ერევნის დაცვაში მონაწილეობდა აგრეთვე, კონსტანტინე კახთა მეფე თავისი ქართული რაზმით. თურქი მემატიანის — ჩელები ზადეს ცნობით, ერევნის მოსახლეობას ოსმალთა წინააღმდეგ თავდაცვის სამზადისში დახმარებისათვის თხოვნით მიუმართავს მაჰმად-ყული-ხანისათვის. კონსტანტინე საკმაოდ ფართო სამზადისს შედგომია. თავისი მომხრე ლეკები და ქართველები აღჩა ყალაში შეუკრებია და აქედან ერევნელთა დასახმარებლად დაძრულა. მის ბანაკში 10000 მეომარს მოუყრია თავი. ჩანს, ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ერევნის დაცვას“[109].

განჯელები მუჰამედ რიზას სარდლობით 8000 მებრძოლით განჯიდან გამოვიდნენ და ერევნის დასახმარებლად გაემართნენ. გზაში უსქიბართან (ყაზახის რაიონი) ისინი წააწყდნენ ოსმალთა ჯარს და დამარცხდნენ[110].

რეჯებ ფაშამ გადაწყვიტა მთელი ძალები კონსტანტინეს წინააღმდეგ საბრძოლველად გადაესროლა. ლაშქრის სარდლად დაინიშნა ჩორუმის ვალი ალი-ფაშა და ლორეს ბეგი კოჯა ალიბეგი, მათ დასახმარებლად გააყოლეს, აგრეთვე, სივასისა და ჩილდირის ჯარისკაცები[111]. კონსტანტინეს წინააღმდეგ საბრძოლველად, წერს გურჯი ზადე, რეჯებ ფაშამ „უველა სახის ასქერი (ჯარისკაცი) გამოიყვანა და ისინი სიჩქარისაგან აფორიაქებული წავიდნენ ნაბრძანებ ადგილისაკენ“[112]. კონსტანტინეს გაერთიანებული ლაშქარი არ იყო ერთფეროვანი. ჩანს, ოსმალებმა შესძლეს მტრის ბანაკში განხეთქილების შეტანა და ზოგის თავიანთ მხარეზე გადმობირება. ოსმალებთან ბრძოლაში კონსტანტინე დამარცხდა და ძლივს გადაურჩა „მოკავშირე“ — ლეკებისაგან დატყვევებას და გაქცევით უშველა თავს.

ქართლში ამ ამბების შესახებ არაფერი იცოდნენ და განჯა-ყაზახში ოსმალების წინააღმდეგ გამოსვლას მხარი არ დაუჭირეს, აი, რას

---

107 გ. მაისურაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 221—223.

108 ქუჩუქ ჩელები ზადე, გვ. 54.

109 გ. მაისურაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 223, 225.

110 Aktepe Münir, დასახ. ნაშრომი, გვ. 21; ლ. ა. აბულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 14;.

111 ქუჩუქ ჩელები ზადე, გვ. 54.

112 გურჯი ზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 35.

წერს ამის შესახებ გურჯი ზადე: „მხოლოდ ქართლში მცხოვრებ საზიზღარ ურჯულოთა ხროვა არ ჩამოდიოდა მთებიდან, არც ამათი განჯიდან გამოსელის შესახებ იყო რაიმე ცნობა. რადგან ყარაკალკანისა და ქსნის მთებში იდგნენ, ურჯულო აიზილბაშების წინააღმდეგ წინასწარ გადაწყვეტილებანი მიიღეს, დაუპირისპირდნენ და რაკი მოიწონეს ის აზრი, რომ თავის დასაცავად თადარიგი დაეჭირათ, ამიტომ მათგან სათანადო ცნობას ელოდნენ“[113].

კონსტანტინესა და მისი მოკავშირეების დამარცხება ყაზახში მოხდა ივნისის ბოლოს ან ივლისის დასაწყისში[114]. საფიქრებელია, როდესაც ვახტანგ VI-მ და ბაქარმა ამ დამარცხების შესახებ გაიგეს, მათ იმედი დაკარგეს ოსმალებზე გამარჯვებისა და გადაწყვიტეს რუსეთში გამგზავრება (1724 წ. 15 ივლისი).

ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია შეხედულება, რომ ვახტანგ VI-ისა და ბაქარის რუსეთში წასვლის შემდეგ ქართლში ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლას დასაწყისში ხელმძღვანელობდა გივი ამილახვარი[115]. ეს შეხედულება გაიზიარა და დაასაბუთა თავის მეტად საინტერესო და საყურადღებო წერილში გ. ნატროშვილმა. „ქართლში, — წერს იგი, იმ დროს, როცა ვახტანგი და ბაქარი უკვე საქართველოში აღარ იყვნენ, ყველაზე გავლენიანი კაცი გივი ამილახვარი იყო. თუმცა წყაროებში არსად ეს აღნიშნული არ არის, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ახალი განმათავისუფლებელი ომის იდეაც სწორედ გივი ამილახვარს ეკუთვნოდა. ეს მით უფრო სარწმუნოა, რომ გორი — ამილახვრის „მკვიდრი მამული“ იყო... შემდგომ ეტყობა

---

[113] გურჯი ზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 35.

[114] გურჯი ზადე წერს, რომ ქართველების დამარცხების ცნობას ერევნელებს „დაზავებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდაო“ (გურჯი ზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 35). ოსმალებმა ერევანს ივნისის დამდეგს შემოარტყეს ალყა. ერევნისათვის სისხლისმღვრელი ბრძოლა გაჩაღდა. ოსმალთა მრავალი ათასი ჯარისკაცი დაიღუპა ბრძოლაში, მრავალი ათასი დაჭრა. ოსმალთა სარდლობამ ერევნელებს დროებითი ზავი სთხოვა დახოცილების დასასაფლავებლად. ერევნელებმა დათანხმდნენ. ეს დაზავება ივნისის ბოლოს მოხდა.

[115] ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა 1500—1810 წწ. თბ., 1922, გვ. 82; დ. გერიტიშვილი, ქართველი ხალხის ბრძოლის ისტორიიდან თურქ და სპარს დამპყრობლების წინააღმდეგ XVIII ს-ში (გივი ამილახვრის აჯანყება), „მიმომხილველი“, № 3, 1950, გვ. 110; მისივე, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბ., 1955, გვ. 385; ნ. ბერძენიშვილი, XVIII ს. საქართველოს ისტორიიდან, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, ტ. II, გვ. 180.

აჯანყების მეთაურობა ამილახვრის ხელიდან კახი ბატონის კონსტანტინეს ხელში გადადის«[116].

უკანასკნელ დროს გამოცემული თურქული დოკუმენტებიდან და, განსაკუთრებით კი, გურჯი ზადეს „თბილისის დაპყრობის წიგნიდან“ აშკარად ჩანს, რომ ამ პერიოდში გივი ამილახვარი ოსმალთა მხარეზეა. გურჯი ზადე წერს: „გორის ციხის მუჰაფაზის ჰასან ფაშას და ასქერთა სხვა მეთაურთაგან და მათ მორჩილებაში მყოფ იმ თავადთაგან, რომელთაც ერთგულება ძვალსა და რბილში ჰქონდათ გამჯდარი, ამილახვრის შვილი გივი ბეგის აზრით (ხაზი ჩვენია — მ. ს.), თხოვნითა და წერილობით მაცნეები მოვიდნენ და... დახმარება ითხოვეს... ხვალ თუ არა ზეგ (ქართველებმა — მ. ს.) ციხეს ალყა უნდა შემოარტყანო«[117].

ამრიგად, გურჯი ზადეს სიტყვებით, გივი ამილახვარს ოსმალებისადმი „ერთგულება ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი“ და, ცხადია, რომ ამ დროს იგი ქართველების აჯანყებას ვერ უხელმძღვანელებდა.

ამ პერიოდში გივი ამილახვარი რომ ოსმალთა მხარეზეა, ამას ისიც ადასტურებს, რომ სულთანმა აჰმედ III 1728 წელს მას უბოძა სამემკვიდრეოდ (იურთლუკისა და ოჯაკლიკის წესით) ცხინვალი. ხონთქრის მიერ გაცემულ ფირმანში ვკითხულობთ: „თბილისის თავადთაგან ამილახვრის შვილი გივი საქართველოს დაპყრობის დროიდანვე სულმორჩილებითა და ერთგულებით გვემსახურება“ (ხაზი ჩვენია — მ. ს.)[118].

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, 1727 წელს, როდესაც ოსმალებმა ქართლი სათავადოების მიხედვით დაჰყვეს, გივი ამილახვარს „ზემო ქართლი უბოძეს“[119]. მეტად საეჭვოა, რომ ოსმალებს გივი ამილახვრისათვის ზემო ქართლი ებოძებინათ, მას რომ 1724 წელს ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში მიეღო მონაწილეობა. პირიქით, ამ დროს იგი ოსმალთა ერთგულ მოხელედ გამოიყურება. ამრიგად, ქა-

---

116 გ. ნატროშვილი, ისტორიულ-ლიტერატურული ძიებანი, „მნათობი“, 1976, № 1, გვ. 146.

117 გურჯი ზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 36.

118 ს. ჯიქია, ერთი თურქული საბუთი ცხინვალის შესახებ, თსუ შრომები, ტ. 116, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, V, თბ., 1965, გვ. 246, თურქული ტექსტი, გვ. 244; იხ. ს. ჯიქია, XVIII საუკუნის ორი თურქული ფირმანი, თსუ შრომები, ტ. 95, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია III, გვ. 324, 345; ც. აბულაძე, ოსმალეთის ხანის სამი თურქული ფირმანი, აღმოსავლური ფილოლოგია, ტ. III, თბ., 1973, გვ. 275—287.

119 ვახუშტი, აღწერა..., ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 516.

რთულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული შეხედულება, რომ გივი ამილახვარი ოსმალთა წინააღმდეგ აჯანყებაში იღებდა მონაწილეობას, ჩვენი აზრით, არ შეეფერება ისტორიულ სინამდვილეს[120].

ვახტანგ VI-ისა და ბაქარის რუსეთში წასვლის შემდეგ ქართლში ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლის მოთავეებად გამოდიან შანშე ქსნის ერისთავი და ოთარ არაგვის ერისთავი. ამის შესახებ მეტად საყურადღებო ცნობებს გვაწვდის გურჯიზადე: „თუმცა ქართლის ვილაიეთი გარეგნულად სრულ მორჩილებაში იყო, თითქოსდა საზრუნავი მოიცილესო, მაგრამ თბილისს დაქვემდებარებული ყარაკალკანისა (არაგვის) და ქსნის ერისთავები, სადაც ცხოვრობდნენ, იმ მთების მსგავსად დათვის თანავარსკვლავებამდე წევდნენ მაღლა შეამბოხე თავებს, იყვნენ ურჩები და ფანატიკურად ქედუხრელნი... აღვიებდნენ ეროვნულ ნაპერწკალს, დაუმორჩილებელი, მკაცრი ბუნების დიდებულები ერთგულების ფიცის ქვეშ სულმდაბლად ჯანყდებიან (ხაზი ჩვენია, — მ. ს.), ეშმაკობისა და თვალთმაქცობის დაწყეველილ საქმეში შეუდარებელი არიან“[121].

ქართლში დაწყებულ აჯანყებას შემდგომ სათავეში ჩაუდგა კონსტანტინე კახეთის მეფე (მაჰმად-ყული-ხანი). ვახუშტის ცნობით, „ეზრახნენ ქართველნი მაჰმად-ყული-ხანს, რათა მოვიდეს სპითა კახეთისათა, განაძიონ ოსმალნი და იყოს მეფედ მათდა“[122]. კონსტანტინემ შეკრიბა კახელები, თუშები, ფშავ-ხევსურები და ქართლში მოვიდა: „შეკრბენ ქართველნი, მოიყვანეს მაჰმადყულიხან კახით, თუშით, ფშაველ-ხევსურითა და დადგნენ თედოწმინდას“[123].

თურქი ისტორიკოსი ჭუჩუქ ჩელები-ზადე ამ დროს ქართლში დაწყებული აჯანყების შესახებ წერს: „მაჰმად-ყული-ხანად წოდებულმა უსჯულომ და ურწმუნომ სარწმუნოება შეიცვალა და ქართველ ხუცესთაგან კონსტანტინედ იწოდა. ხელისუფლის ადგილი დაიკავა და გურჯისტანის ხანის სამოსი ჩაიცვა. ერისთავებმა, თავადებმა და აზნაურებმა მორჩილება გამოუცხადეს. მასხარა ქართველები, ოთხივე

---

120 მ. სვანიძე, ატენის ბრძოლის ზოგიერთი საკითხის დაზუსტებისათვის, თურქული წყაროების მიხედვით, საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, თბ., 1979, წიგნი II, გვ. 120—129.

121 ვახუშტი, აღწერა..., ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 508; გურჯი ზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 31.

122 გურჯი ზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 31.

123 ვახუშტი, აღწერა..., ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 506.

მხარედან რომ გარს ედგნენ, მასთან მივიდნენ და კავშირი შეკრეს. ყარაკალკანისა და ქსნის ერისთავები 10 000-ზე მეტი მოლაშქრით... გორის ციხის ასაღებად წავიდნენ"[124].

აჯანყებულმა ქართველებმა მოქმედების გეგმა შეიმუშავეს: მათ გადაწყვიტეს ოსმალთა წინააღმდეგ შეტევა ვორიდან დაეწყოთ. გაენთავისუფლებინათ გორის ციხე, იქიდან კი შემდგომ თბილისისათვის შეეტიათ, განედევნათ ოსმალები დედაქალაქიდან და გაეწმინდათ ქართლი მტრისაგან. ამ ამბების თვითმხილველი გურჯი ზადე შემდეგნაირად აგვიწერს თბილისსა და ქართლში შექმნილ მდგომარეობას: „უსჯულოთა ტომი ურიცხვი ლაშქრით ყარაკალკანისა და ქსნის მთებიდან ჩამოვიდა... ხვალ თუ არა ზეგ გორის ციხეს ალყა უნდა შემოარტყან. ქართლის ვილაიეთში ყველა, ვინც ადრე მორჩილებას უცხადებდა, ახლა, აშკარად თუ ფარულად ფიცს დაარღვევს და ხსენებულს დაექვემდებარება. გორის ციხის რაბათში თავიანთი დამპყრობი ფეხი ერთხელ თუ შედგეს, ხსენებული ციხისაგან ხეირი აღარ იქნება... თბილისის აღარც მეციხოვნე ასქერებს და აღარც მცხოვრებლებს თავდაცვის იმედი აღარ შერჩათ, სულიერად დაეცნენ. დაოჯახებულებმა თავიანთი ცოლშვილი სხვა ადგილზე გადაიყვანეს. ქონება გადამალეს, ვინც ღირსეული და სინდისიერი იყო, სიმდიდრე და ადგილ-მამული მიატოვა და წავიდა. საგზალისა და სამხედრო საჭურველის მდგომარეობა, როგორც მათი ნათქვამიდან ჩანდა, ისეთი იყო, რომ თუ გარემოცვა 3 დღის მანძილზე გაგრძელდებოდა, სურსათიც გათავდებოდა სამ დღეში... მოხდენილი საშინელი ამბების გამო ხალხს თავზარი დაეცა, როგორც ქალაქის მოსახლეობა, ისე ასქერთა უმრავლესობა სულ დაიცალა ჰკუა-გონებისაგან და გამოძერწილ ქანდაკებასავით გამოყუყეჩდა. მეორედ მოსვლის ჟამის დადგომას ჰგავდა"[125].

როგორც ვხედავთ, გურჯი ზადეს საკმაოდ მუქ ფერებში აქვს დახატული ამ დროს თბილისში შექმნილი მდგომარეობა. მის სიტყვებს რომ დავუჯეროთ, თბილისის ალყის შემთხვევაში, მისი სამხედრო საჭურველი და სურსათი სამ დღეში ამოიწურებოდა. სამხედრო თვალსაზრისითაც თბილისი ცუდად იყო დაცული. ერთ-ერთი ცნობით, 1724 წლის გაზაფხულზე თბილისში ოსმალებს ორი ზარბაზანი ჰქონდათ, ხოლო გორში — 1[126]. ბუნებრივია ასეთ ვითარებაში აჯანყებული ქართველებისათვის უმჯობესი იქნებოდა შეტევის დაწყება თბი-

---

[124] ჩ ე ლ ე ბ ი ზ ა დ ე, დასახ., ნაშრ., გვ. 54.

[125] გ უ რ ჯ ი ზ ა დ ე, თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 37.

[126] Армяно-русские отношения..., т. II, ч. 2, с. 103.

ლისზე. მაგრამ, როგორც ჩანს, დედაქალაქში შექმნილი მდგომარეობა მათთვის არ იყო ცნობილი.

ქართლის გამგებელმა რეჯებ-ფაშამ სამხედრო თათბირი მოიწვია, მან მოითხოვა გორის დასახმარებლად ლაშქრის გაგზავნა, მაგრამ უმრავლესობა ამას არ დაეთანხმა და თბილისში გამაგრება ურჩიეს. რეჯებ-ფაშამ თავისი გაიტანა. გურჯი ზადე შემდეგნაირად აგვიწერს რეჯებ-ფაშას მიერ მიღებულ ზომებს: „ხსენებულმა მისმა აღმატებულებამ (რეჯებ-ფაშამ — მ. ს.) სიფათის თავიდან ასაცილებლად მეციხოვნე ბეგლარბეგები და ჯარის სხვა თავკაცები შეკრიბა და თათბირი გამართა. ურწმუნოთა განსადევნად ლაშქრის გორისაკენ გაყვანა განიზრახა, მაგრამ უმრავლესობა არ დაეთანხმა და ციხეში გამაგრება არჩია. მხოლოდ ნაწილმა გადაწყვიტა ციხიდან გამოსვლა და შებრძოლება. მისი აღმატებულება კეთილგონიერთა ნებას დაჰყვა და ლაშქრის გორში გაგზავნა გაბედა. ბრძანება გამოსცა — ყიზილბაშებთან ბრძოლიდან ახლახან დაბრუნებული ყველა გმირი სხვადასხვა ადგილზე გამოეყვანათ. ბრძანების ასრულებას შეუდგნენ“[127]. „ბაქარიანში“ ეს ამბავი შემდეგნაირადაა გადმოცემული:

„შეიტყო რაჯიფ ფაშამა მამად-ყული მოვა ჯარითა,
მას ფერი ექცა, გაუვითლდა, თავს ბრუ დაესხა ჯავრითა,
მან გაუძახა ლაშქარი „თქვენ გორსა მიუსწარითა,
ეცადეთ ხელში ჩაიგდოთ, ფიცხლავ აქ ჩამომგვარეთა.
ლაშქარს უთავა იასე და ახალციხის ფაშაო“ [128].

რეჯებ-ფაშამ აჯანყებული ქართველების წინააღმდეგ ჯარების მთავარსარდლად დანიშნა ჩილდირის (ახალციხის) ბეგლარბეგი ისპაკ-ფაშა (ათაბაგთა გამაჰმადიანებული შთამომავალი), სილაჰდარების ზაიმებისა და თიმარის მფლობელების მეთაურად — ჩორუმის ბეგლარბეგი ალი-ფაშა, ხოლო რენეგატ ქართველებისაგან შემდგარ ლაშქარს მეთაურობდა ას-სეიჰ მუსტაფა-ფაშა (გამაჰმადიანებული იესე, ვახტანგ VI ძმა)[129].

1724 წლის 22 სექტემბერს ოსმალთა ლაშქარმა თბილისი დატოვა და გორისაკენ გაემართა. რეჯებ-ფაშამ პირადად გააცილა ოსმალთა ლაშქარი და ქალაქიდან ნახევარი საათის სავალ გზაზე კარავი დადგა. ისლამის ლაშქარი ღამით წავიდა და დილით უკვე მტკვრისპირას ატენის მახლობლად დადგა ქართველთა ლაშქრის პირისპირ[130].

გ. ნატროშვილი სვამს კითხვას, თუ რა გზით უნდა წასულიყო

---

[127] გ უ რ ჯ ი ზ ა დ ე, თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 37.
[128] ბაქარიანი, გვ. 33.
[129] გ უ რ ჯ ი ზ ა დ ე, თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 37.
[130] იქვე.

ოსმალთა ლაშქარი გორისაკენ და გამოთქვამს შემდეგ მოსაზრებას: „ცხადია, მათ მუხრან-ნაჭარმაგევის გზით წამოსვლაზე ფიქრიც არ შეეძლოთ. ეს გზა უკვე ქართველთა კონტროლის ქვეშ იყო, მუხრანის, ქსნის ერისთავის, საამილახვროს ტერიტორიაზე აჯანყების ცეცხლი ენთო და ოსმალები აქ გამოჩენას მოერიდებოდნენ. მათ აირჩიეს უფრო მოკლე და ხელსაყრელი მარშრუტი — გზა ატენის ხეობაზე. მტრის ჯარი შიდა ქართლისაკენ, გორისაკენ მანგლისის გზით მოდის. აქ შეიძლება მეორე ვარაუდიც დავუშვით, იქნებ იესე-მუსტაფასა და ერასტი ყაფლანიშვილის ჯარების გზა — თეძმის ხეობაა, ან მანგის-ცხირეთი“[131].

ვფიქრობთ, რომ გურჯი ზადეს ზემოთ მოტანილი ცნობიდან აშკარად ჩანს, რომ ოსმალთა ლაშქარი გორისაკენ მცხეთის გზით გაემართა. ისე შეუძლებელი იყო ერთ დღე-ღამეში თბილისიდან გორამდე მისვლა.

ქართულ წყაროებში სხვადასხვა ცნობაა დაცული, თუ სად მოხდა ბრძოლა ქართველებსა და ოსმალებს შორის. „ქრონიკების“ და დ. გურამიშვილის მიხედვით ამ ბრძოლას ადგილი ჰქონდა ზედაველაზედ, ხოლო ვახუშტის ცნობით კი — გუფასთან.

გ. ნატროშვილმა სავსებით დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ ბრძოლა ქართველებსა და ოსმალებს შორის მოხდა ზედაველაზე ატენის ბოლოს[132]. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს თურქული წყაროები, მაგალითად, ქუჩუქ ჩელები ზადეს ცნობით, ოსმალებმა „მდინარე მტკვარი გადალახეს და ერთ საათის სავალ გზაზე მდებარე ატენის ხეობად წოდებულ ადგილას დადგნენ“[133]. ამასვე იმეორებს, აგრეთვე, გურჯი ზადეც. ზედაველა კი, როგორც გ. ნატროშვილმა გაარკვია, ატენის ბოლოს მდებარეობს. მასვე საკმაოდ ვრცლად და ამომწურავად აქვს აღწერილი ამ ბრძოლის მსვლელობა[134] და ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ატენის ომი მეტად ცხარე და სისხლისმღვრელი იყო. იერიშზე პირველად ქართველები გადავიდნენ, შეავიწროვეს მტერი და უკუაქციეს იგი. მაგრამ ოსმალთა ავანგარდმა დახმარება მიიღო და შეუტია ქართველთა ლაშქარს. ქართველები დამარცხდნენ და უკან დაიხიეს. ვახუშტის ცნობით, ქართველთა დამარცხებაში დიდი როლი შეასრულეს ოსმალთა მხარეზე მებრძოლმა მოღალატე ქართველებმა იესემ (მუსტაფამ) და ერასტი ყაფლანიშვილმა. ოსმალები სასტიკად

---

[131] გ. ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 152.
[132] იქვე, გვ. 153.
[133] ქ უ ჩ უ ქ ჩ ე ლ ე ბ ი ზ ა დ ე, გვ. 55.
[134] გ. ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 154.

გაუსწორდნენ ქართველებს. ააოხრეს, ააწიოკეს და გადაბუგეს ყველაფერი. ბრძოლის ველზე დახოცილ ქართველ მხედრებს თავები დასჭრეს, გოდრებში ჩაყარეს და 50—60 ურმებზე დატვირთული თბილისში რეჯებ-ფაშას წაუღეს[135]. ვახუშტი წერს: „მოსწყვიტეს ესოდენ, რამეთუ თავნი ურმებითა წაიღო ერასტი ყაფლანიშვილმა ტფილისს რაჯაბ-ფაშას-თანა“[136].

ახალგაზრდა დავით გურამიშვილი, რომელიც მონაწილეობდა ამ ომში, გადმოგვცემს:

იესეს მეფეს მოხსენდა,
გორს ადგას ქართველთ ჯარები
მან შეიყარა ოსმალო,
იქმნა თიფლისით მარები.
მოხვდნენ ერთმანეთს, დაიქცა
რაც მაშინ სისხლის ღვარები,
და აღაბრუნებდა ბევრს წჩსქვილს
თუმცა სდებოდა ღვარები!

. . . . . .

არ იმართოდა ლაშქარი
ზედაველაზე დაცევით;
მან ჩვენმა ჯარმა აჯობა
პირველ მოსვლაზე შატევით,
და მაგრამ ბოლოს კი დამარცხდა
შინათვე ნაღალატევით.
კაი იმ დღესს ოსმალნო
ბევრს უბრალოს სისხლსა ღვრიდენ.
საცა შეხვდისთ მუშა-კაცს,
გდახა, მწირსა თავსა სჭრიდნენ;
გოდროს თავი აკლიაო[137]...

რეჯებ-ფაშა ქალაქგარეთ ზეიმით შეეგება გორიდან დაბრუნებულ ოსმალთა ლაშქარს. უხვად დაასაჩუქრა მონაწილენი; სტამბულში, სულთანთან მაცნე გაგზავნა და ქართველებზე მოპოვებული გამარჯვება აუწყა[138]. არც სულთანმა დააკლო წყალობა რეჯებ-ფაშას: „სიასამურის ხალათი უბოძეს, თავიდან ბოლომდე რომ მოსავდა მას, ხოლო ხელის საფასურად 20 ქისა ფლური მიართვეს. ჩილდირის ბეგლარბეგს ისჰაკ-ფაშას — სიასამურის ერთი ხალათი და 5 ქისა ოქრო. მუსტაფა ფაშას (იესეს) კი — ოქროქსოვილის ხიფთიანი და ორი ქისა

---

[135] გ უ რ ჯ ი ზ ა დ ე, თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 30.

[136] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 508.

[137] დავითიანი თქმული გურამიშვილი დავითისაგან, შეხუთე გამოცემა, თბ., 1931, გვ. 81, 82.

[138] გ უ რ ჯ ი ზ ა დ ე, თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 40.

ოქრო, სხვანი ბეგლარბეგები, სანჯაყბეგები და სამხედრო პირები განადიდეს და დაამშვენეს ოქროსქსოვილი ხიფთანებით. ინებეს და საბოძვარი მათი აღმატებულების დიდვეზირის მთავარი ჩუხადარის ხელით გამოგზავნეს და მოვიდა“[139].

ბულგარეთში სოფიის კოლაროვის სახელობის ბიბლიოთეკაში მოიპოვება სულთნის მიერ 1724 წ. 25 ოქტომბერს გამოცემული არზა. ამ დოკუმენტში აღნიშნულია ის დამსახურება, რომელიც მიუძღოდა რეჯებ-ფაშასა და მის თანამებრძოლებს ქართველების წინააღმდეგ ომში. მასში გორთან მოპოვებული წარმატება შეფასებულია, როგორც „დიდი გამარჯვების დასაბამი“. ამის გამო ფადიშაჰისაგან რეჯებ-ფაშას ებოძა 20 000 ყურუში, ისჰაკ-ფაშას — 5000 ყურუში და ას-სეიჰ მუსტაფა (იესე) ფაშას — 1000 ყურუში[140].

ატენის ბრძოლასთან დაკავშირებით წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა თარიღია მითითებული. მაგალითად, თ. ჟორდანიას მიერ გამოცემულ „ქრონიკებში“ ვკითხულობთ:“ 1724 წ. 15 ოქტომბერში მოიყვანეს ქართველთა მამად ყულიხან კახთ სპითა. ზედაველაზედ ოსმალო და იესე მეფეს შეებნენ; ოსმალთ გაემარჯვათ“[141]. ვახუშტი ატენის (გუფთასთან) ბრძოლას იმავე წლის ოქტომბრით ათარიღებს, მაგრამ არ მიუთითებს, თუ რომელ რიცხვში მოხდა. იგი. ნ. ბერძენიშვილი, გ. პაიჭაძე და გ. მაისურაძე ამ ბრძოლას 1725 წლით ათარიღებენ[142].

ატენის ბრძოლის თარიღის დასადგენად მეტად საყურადღებო ცნობები მოიპოვება გურჯი ზადეს. მისი თხზულებიდან ირკვევა, რომ ოსმალთა ლაშქარმა 22 სექტემბერს დატოვა თბილისი და მეორე დღის დილით, ე. ი. 23 სექტემბერს გორის მახლობლად დაბანაკდა. მართალია, გურჯი ზადე არ მიუთითებს ქართველებთან ბრძოლის თარიღს, მაგრამ მას დაწვრილებით აქვს აღწერილი ბრძოლის მსვლელობა. შემდეგ წერს, რომ ოსმალებმა ბრძოლის შემდეგ ღამე გორის ციხის წინ გაათენეს და მეორე დღეს უკან თბილისისაკენ გამოემართნენ[143]. აქედან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ატენის ბრძოლა 23 სექტემბერს

---

139 გ უ რ ჯ ი ზ ა დ ე, თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 41.

140 იქვე, გვ. 68, 69, შენიშვნა № 87.

141 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, „ქრონიკები“.. ტ. III, თბ., გვ. 93.

142 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, გვ. 162; Г. Г. П а й ч а д з е, Русско-грузинские отношения в первой половине XVII в., с. 72; გ. მ ა ი ს უ რ ა ძ ე, ქართველი და სომეხი ხალხის ურთიერთობა..., გვ. 220. საჭიროა შევნიშნოთ, რომ „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“, სადაც სპეციალური თავია მიღვნილი ამ პერიოდში ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლისადმი, არაფერია ნათქვამი ამ ბრძოლის შესახებ (ტ. IV, გვ. 433—444).

143 გ უ რ ჯ ი ზ ა დ ე, თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 40.

ან ორი-სამი დღის შემდეგ მოხდა, არა უგვიანეს 29 სექტემბრისა, რადგან ამ დღეს, გურჯი ზადეს ცნობით, რეჯებ-ფაშამ სულთანთან მაცნე გაგზავნა და ქართველებზე გამარჯვება აუწყა[144]. ამის სასარგებლოდ მეტყველებს აგრეთვე ის ფაქტიც, რომ იმავე გურჯი ზადეს ცნობით, ქართველების დამარცხებამ ატენთან, ხელი შეუწყო ერევნის ციხის დანებებას[145]. ერევანი კი ოსმალებს დანებდა 1724 წ. 29 სექტემბერს[146].

ოსმალეთის ოფიციალური ისტორიკოსის ქუჩუქ ჩელები ზადეს ცნობით, ატენთან ოსმალთა გამარჯვების ამბავი სტამბულში 1724 წლის ოქტომბრის ბოლოს შეიტყვეს, რასაც მოჰყვა ერევნის აღების სასიხარულო ცნობაც[147]. აღსანიშნავია ისიც, რომ სულთნის არზა რეჯებ-ფაშასა და სხვებისათვის ფულადი ჯილდოს ბოძების შესახებ დაიწერა, როგორც ზემოთ მივუთითეთ, 1724 წლის 25 ოქტომბერს. ქართული „ქრონიკების“ მიხედვით, ატენის ბრძოლა 15 ოქტომბერს მოხდა. ვფიქრობთ, რომ ათ დღეში თბილისიდან სტამბულში ჩასვლა ნაკლებად შესაძლებელი იყო. იმ ხანში ამ მანძილის გავლას დაახლოებით ერთ თვეს უნდებოდნენ. მაგალითად, 1723 წელს თბილისის დაპყრობის ამბავი სტამბულში ერთი თვის შემდეგ შეიტყვეს. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ უფრო სანდოა გურჯი ზადეს ცნობა, რომლის მიხედვითაც ატენის ბრძოლა 23 სექტემბერს ან მის მომდევნო დღეებში მომხდარა, არა უგვიანეს ოქტომბრის დამდეგისა.

ატენთან გამარჯვებასთან დაკავშირებით გურჯი ზადე აღნიშნავდა: „ეს სასიხარულო ამბავი ერევნის ციხეში გამოკეტილ შიიტებზედაც აისახა. ხსენებულთა გულის ძალა ესენი (ქართველები — მ. ს.) არიან. რადგან სულ ცოტა ხნის წინ დამარცხებული განჯელი შიიტები ველარ ეხმარებოდნენ, ახლა ორივე მხრივ იმედგაცრუებულნი დარჩნენ და ამიტომ საჩქაროდ შეამაგრეს დამორჩილების პირობები, მშვიდობიანობა განამტკიცეს და ოსმალებმაც პატიება აღუთქვეს“[148].

ატენის ბრძოლის ისტორიული მნიშვნელობის შესახებ გ. ნატროშვილი სრულიად სამართლიანად წერს: „ეს იყო საქართველოს ჯარების გმირული და ტრაგიკული გაბრძოლება მრისხანე მტერთან, რომელიც ცდილობდა მაგრად მოეკიდებინა ფეხი და სამუდამოდ დამკვიდრებულიყო ამიერკავკასიაში. ეს ომი უფრო დიდი ომის ერთი უბანი იყო, ოსმალეთის ჯარები უფრო ფართოდ უტევდნენ, რომე-

---

144 გ უ რ ჯ ი ზ ა დ ე, თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 30.

145 იქვე, გვ. 68,69.

146 ერევნის ციხის გასაღები კი ოსმალებს ჩააბარეს 4 ოქტომბერს. A'ktepe Münir, დასახელებული ნაშრომი, გვ. 63.

147 ქ უ ჩ უ ქ ჩ ე ლ ე ბ ი ზ ა დ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 55.

148 გ უ რ ჯ ი ზ ა დ ე, თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 31.

ლიც ძოიცავდა გორსა და თბილისს გარდა, ერევანს, ნახჭევანს, ორდუბადს, ყარაბახს, განჯას, თავრიზს"[149].

ატენის (გუფთას) ომის შემდეგ იწყება დროებითი შესვენება ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ქართველები ჭრილობებს იშუშებდნენ, ძალებს იკრებდნენ და მტრის წინააღმდეგ ახალი ბრძოლებისათვის ემზადებოდნენ.

ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის მოთავე კონსტანტინე იყო. ამიტომ ოსმალებმა გადაწყვიტეს მისი თავიდან მოშორება და ეს დაავალეს იუსუფ-ფაშას, ჯაყელთა გამაჰმადიანებულ შთამომავალს. იუსუფ-ფაშამ კონსტანტინე მუხანათურად მოკლა. კონსტანტინე დიდი პიროვნება იყო.

მის შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ფრანგი დიპლომატი მ. პეისონელი. „მაჰმად ყული-ხანი, წერს იგი, დაიღუპა თავისი ასაკის გაფურჩქვნის ხანაში და საფლავამდე მას გაჰყვა რეპუტაცია ერთ-ერთი ყველაზე მამაცი უფლისწულისა თავისი საგვარეულოსი. მას ჰქონდა ყველა თვისება იმისათვის, რომ გამარჯვება მოეპოვებინა. პატივმოყვარეობა ნიჭთან ერთად მას შესაძლებლობას აძლევდა დიდი გეგმები განეხორციელებინა და მას ჰქონოდა ამის უნარი; მაგრამ ის მათ შეუსრულებელს ტოვებდა თავისი ფიცხი ხასიათის გამო, რადგანაც ყოველთვის შეპყრობილი იყო ახალგაზრდობისა და ვაჟკაცობის ცეცხლით. ნაცნობ-მეგობრები, რომლებიც მან გაიჩინა, აღმოჩნდნენ მისი მტრები და დაღუპეს იგი. ის უთუოდ შეიძლებოდა გამხდარიყო დიდი პიროვნება, მაგრამ მისმა გაუფრთხილებლობამ და მისმა სურვილმა ყოველთვის ყოფილიყო წინ, მოუსწრაფა სიცოცხლე"[150].

ქართულ ისტორიოგრაფიაში არაფერია ნათქვამი კონსტანტინე კახთა მეფის იმ ღვაწლის შესახებ, რომელიც მას მიუძღვის ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. პირიქით, კონსტანტინე უარყოფით პიროვნებად არის დახასიათებული. მაგალითად, „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში" ვკითხულობთ: „კონსტანტინე ბოლომდე დარჩა ვიწროფეოდალური ინტერესების მქონე მმართველად, რომელსაც ხელისუფლების გულისათვის ყველაფრის განწირვა შეეძლო"[151].

კიდევ უფრო მკაცრად ახასიათებს კონსტანტინეს გ. პაიჭაძე: „კონსტანტინე იყო ფეოდალთა რეაქციული ნაწილის ტიპიური წარმომადგენელი, რომლის სიძუნწე და პოლიტიკური სიბეცე ხელსაყრელი

---

[149] გ. ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 152.

[150] M. P e y s s o n e l, დასახ. ნაშრომი, გვ. 70.

[151] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე, თბ., 1970, ტ. IV, გვ. 442.

იყო მხოლოდ გარეშე მტრებისათვის და ზარალის მეტი არაფერი მოჰქონდათ თავისი ქვეყნისათვის"[152].

ამ ცოტა ხნის წინათ კონსტანტინეს მოღვაწეობის ნაწილობრივი რეაბილიტაცია მოახდინა გ. მაისურაძემ თავის საყურადღებო ნაშრომში „ქართველი და სომეხი ხალხის ურთიერთობა". იგი სომხური და რუსული წყაროების ანალიზის შედეგად წერს: „ბაქარის ამიერკავკასიაში ყოფნის დროს კონსტანტინეს არ შეეძლო ანტიოსმალური ფრონტის სათავეში მდგარიყო, თუმცა კი ასეთი ფრონტის შექმნას კახთა მეფემაც საკმაოდ დიდი წვლილი დასდო... [იგი] ბაქარის თანამებრძოლის ადგილით უნდა დაკმაყოფილებულიყო... ვახტანგისა და ბაქარის რუსეთში გამგზავრების შემდეგ, როცა ქართველებმა კახთა მეფე თავისთან მოიწვიეს და მეთაურობა სთხოვეს, ფაქტობრივად, ის ანტიოსმალურ ძალებს სათავეში მოექცა. ამიერიდან კონსტანტინემ პოლიტიკურად ბაქარის ადგილი დაიკავა ამიერკავკასიაში"[153]. ამრიგად, გ. მაისურაძის აზრით, კონსტანტინე ანტიოსმალურ ძალებს სათავეში ჩაუდგა მას შემდეგ, რაც ბაქარი რუსეთში გაემგზავრა, ხოლო მანამდე იგი ბაქარის თანამებრძოლის ადგილით კმაყოფილდებოდა. თუ ეს ასეა, მაშინ ბაქარი რატომ არ მონაწილეობდა და ხელმძღვანელობდა ყარაბახ-ყაზახში დაწყებულ გამოსვლას ოსმალთა წინააღმდეგ? ამ ანტიოსმალური კოალიციის გამოსვლის ხელმძღვანელი და სულის ჩამდგმელი ხომ კონსტანტინე იყო!

ქართული, აღმოსავლური და ევროპული წყაროების ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ კონსტანტინე (მაჰმად-ყული-ხანი) კახთ მეფე მეთაურობდა ამიერკავკასიის ხალხების განმათავისუფლებელ ბრძოლას ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ და მისი ხელმძღვანელობით სამი დიდი ომი ჩატარდა (განჯაში, ყარაბახ-ყაზახში, ზედაველაზე გორთან), თვითონ კონსტანტინე ოსმალებთან ბრძოლის დროს მუხანათურად მოჰკლეს[154].

ქართულ ისტორიოგრაფიაში, ფაქტიურად, არაფერია ნათქვამი კონსტანტინეს ამ ღვაწლის შესახებ, რომლის გათვალისწინებაც, უდავოდ, სხვაგვარად წარმოგვიდგენს ამ მრავალსრიან საყურადღებო, რთულ და მამაც პიროვნებას. იგი აშკარად იმსახურებს, რომ მისი მოღვაწეობა დადებითად იქნეს შეფასებული.

---

152 Г. Г. Пайчадзе, Русско-грузинские отношения..., с. 71.

153 გ. მაისურაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 225, 226, 229.

154 ვ. სვანიძე, დავით გურამიშვილი და საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი, „მნათობი", 1980, 12, გვ. 187—189.

ОЧЕРКИ ПО ИСТОРИИ ГРУЗИИ И ТУРЦИИ

XIV—XVIII ВВ.

Резюме

В очерках изучены вопросы создания Османского государства, условия его возникновения, система управления, его захватнические войны, завоевания османами Константинополя и Трапезунда и историческое значение этих событий для христианских государств и, в частности, Грузии. Именно после падения Константинополя, через год (в 1454 г.) имело место первое вторжение османов на Черноморское побережье Грузии, а после падения Трапезунда (в 1461 г.) османы непосредственно подошли к юго-западным границам Грузии и постепенно приступили к ее завоеванию. Начиная с этого времени, между Турцией и Ираном разгорелась борьба за завоевание Грузии. В течение веков «гюрджистанский (грузинский) вопрос» остро стоял в их отношениях и был одной из причин османо-иранских войн в XVI—XVIII вв. В результате этих войн захватчики делили между собой Грузию. Грузинский народ не признавал «права» этих государств на Грузию и в упорной борьбе отстаивал свою независимость.

Агрессивная политика Османского государства побудила грузинских политических деятелей принять активное участие в неоднократных попытках создания антиосманских коалиций в XV—XVII вв., которые детально исследованы в работе.

В книге должное внимание уделено вопросам грузино-османских взаимоотношений в XV—XVIII вв. Исследованы взаимоотношения Селима I с Грузией, правителями Западной Грузии в первой половине XVII века и др. На основе анализа многочисленных источников показано, что отношения Турции с отдельными грузинскими царствами и княжествами не были одинаковыми и на конкретном материале изучены политические формы взаимоотношений каждого из них с Османской империей.

Нами уточнены даты Марткопской и Марабдинской битв, которые имели важное историческое значение для Грузии.

Османо-иранская война 1514—1555 гг. оказала определенное влияние на политическую обстановку во всей

Европе и в особенности на Юго-Восточные Европейские страны. В очерках дан обстоятельный анализ отношения европейских государств к этой войне.

В труде изучена деятельность грузин на дипломатическом и политическом поприще в Турции и Иране. В связи с этим исследована дипломатическая деятельность Гульчори Багратиони, сыгравшей активную роль в деле заключения в Стамбуле турецко-иранского договора 1612 года.

Определенный исторический интерес представляют жизнь и деятельность Алаверди-хана Уциладзе, Абаза-паши, Георгия Саакадзе и др., которые в результате превратности судьбы оказались за пределами своей родины. Нами высказан ряд новых соображений об их деятельности на политическом поприще Ближнего Востока.

В 1723 году Турция, воспользовавшись благоприятной ситуацией (вторжение афганцев в Иран и падение сефевидского государства), вторглась в Восточное Закавказье и захватила значительную часть этого региона, в том числе и Восточную Грузию. В работе подробно изучена борьба грузинского народа против османских захватчиков в 1723—1724 гг., которую, после отъезда Картлийского царя Вахтанга VI в Россию, возглавил кахетинский царь Константин (Мехмет-Кули-хан)

საძიებლები*

პირთა

ა

აბაზა მეჰმედ-ფაშა 207, 208, 211, 284, 285, 286, 287, 288, 289, 291, 292, 293, 294
აბას I (შაჰ-აბას I) 193, 195, 200, 201, 207, 241, 248, 250, 251, 263, 265—273, 278—283, 290—290, 294, 297, 298, 299, 204
აბაშიძე 238
აბდულა ბეგი იესეს შვილი 325
აბულაძე ი. 265
აბულაძე ც. 89, 154, 157, 162, 169, 170, 307, 338
ავგიორგი 157
ავგუსტინო ნანი 265
ავდიევი ვასკა 194
ავიტაბილე პიეტრო 202, 231
აიას ფაშა 187
აინი ალი 73
აკოფაშვილი გ. 179, 198, 215, 216
ალა ად-დოულე 167, 168
ალავენდი 155, 156
ალავერდი-ხანი (უნდილაძე) 258, 277, 278, 279 280, 281, 282, 283
ალაედინი 15
ალაედინი (მურად II-ის ვაჟი), 43
ალა ედ-დინ ქეიყობად I 6
ალა ედ-დინ ქეიყობად III 7
ალასანია გ. 85, 140, 192, 195, 237
ალბა ჰერცოგი 212, 216
ალექსანდრე მაკედონელი 59
ალექსი, ტრაპიზონის იმპერატორ იოანე IV ვაჟი 141, 145, 152
ალექსანდრე, იმერეთის მეფე 157
ალექსანდრე, კახეთის მეფე 198, 222, 250, 251, 256, 257, 258, 262, 267, 269
ალი-ხან შამლუ 257
ალი-ხან გურჯი 243, 246, 248
ალი-ხანი 243, 244, 245
ალი 320
ალი მირზა 342
ალი ფაშა 336, 341
ალი ჩაუში 73
დ' ალესანდრო 243
ალიგიერი მიქაელ 129, 131
ალფონს არაგონელი 50, 109
ამილახორი ანდუყაფარ 285, 256, 282
ამილახვარი გივი 337, 338
ამირიუცისი გ. 149, 150, 151
ანა, დავითის ქალიშვილი 150
ანა ხათუნი, გ. სააკაძ-ს ქალიშვილი 305
ანდრონიკე 19
ანდუყაფარ გურჯი 256
ანთელავა ი. 230, 295, 303
დ' ადამონი 182, 183
ანსარი 247
ანტონ კათოლიკოსი 266
არჩილ მუხრან ბატონი 245
არაქელ დავრიჟეცი (თავრიზელი) 194, 195, 275, 276, 263
არიფ აჰმედ ფაშა 317, 318, 319
აჰმედ I 65, 268, 285, 290
აჰმედ III 309, 314, 338
აჰმედი, მურად II-ის ვაჟი 43
აჰმედ ჯალაერი 25, 26
აჰმედ ფაშა 145

* საძიებლები შეადგინა ა. სვანიძემ.

აქმედ ფაშა (არიფი) 334
აქმედ ფაშა, დიდი ვეზირი 188
აქმედი, ოსმალო ჯაშუში 175

ბ

ბაბინგერი ფ. 138
ბაგრატიონ-ორსინი ქეთ., 199
ბაგრატი, იმერეთის მეფე 119, 124
ბაგრატ III, იმერეთის მეფე 171
ბაგრატ მეხრან ბატონი 245
ბაიაზიდ I 10, 11, 20, 21, 22, 24, 26, 27, 28, 29, 30, 40, 45, 60, 66, 72, 89
ბაიაზიდ II 152
ბაკე-გრამონი, ჟან-ლუი 154, 175
ბალთოღლუ 46, 55
ბართლომეო 58
ბარიატინსკი 322
ბარკანი ო. ლ. 73, 74
ბაქარი (შაჰ-ნავაზი) 308, 309, 312, 313, 314, 318, 319, 320—330, 331, 332
ბაქარ კათოლიკოსი 205
ბედიანი, სამეგრელოს მთავარი 124
ბელოკუროვი ს. 256
ბერაძე თ. 94, 104
ბერაძე ი. 118, 125, 126, 127, 128
ბერძენიშვილი ნ. 228, 238, 239, 337, 344
ბოსტან ფაშა 291
ბრაიერი ა. 131, 137
ბრანკოვიჩი 38
ბრანკოვიჩი, გიორგი 32
ბროსე, მარი 86, 193, 266
ბუსბეკი ა. 188
ბექა ჯაყელი (საფარ ფაშა) 211

გ

გაბაშვილი ვ. 4, 5, 23, 66, 101, 102, 155, 180, 228, 251, 255, 262, 264, 265, 277, 279, 282, 283, 298
გალანო, კლემენტ 231
გელაშვილი ნ. 302
გენადი 49
გვრიტიშვილი დ. 174, 237, 337
გიგინეიშვილი ო. 66, 67, 68, 70, 71, 79, 82, 83
გიორგაძე ბ. 191, 197, 199, 262, 277, 280
გიორგი VIII 96, 113, 118, 122, 123, 124, 125, 127, 129
გიორგი X 265, 266, 267, 269, 271
გიორგი იმერეთის მეფე 236
გიორგი, ტრაპიზონის იმპერატორის ვაჟი 152
გიორგი, საქართველოს მეფე 26, 38
გიორგი სქოლარი (გენადი) 48
გიორგი, სერბიის დესპოტი 31, 34, 44, 51
გიორგი, პროტოვესტიაროსი 149
გოვეა, ანტონიო 151, 257, 264, 266, 268, 270, 271, 280
გორგიჯანიძე, ფარსადან 21, 28, 29, 236, 252, 255, 263, 273, 295, 296, 297, 298, 300, 301
გორდინა 253
გრანტი, გერმანელი ინჟინერი 53
გრიგოლი, თბილისის ეპისკოპოსი 90
გულჩარა ბაგრატიონი 261, 264, 265, 266, 268, 269, 270, 271, 272, 273, 274, 275, 276
გუნეიდინი 140
გურამიშვილი დავით 313
გურიელი 174, 220, 223, 229, 235, 237, 238
გურიელი მამია 119, 172
გურული ქ. 66
გურჯი, მეჰმედ ფაშა 268, 290
გურჯიზადე 307, 310, 311, 318, 319, 321, 323, 324, 325, 326, 328, 332—341, 343—345
გუჩუა ვ. 174

დ

დადიანი 220, 223, 224, 225, 229, 230, 233, 237, 238
დადიანი, ლევან 219, 221, 224—226, 229, 231, 234—238
დავით X 156, 157, 161, 171, 172, 174, 175
დავითი ტრაპიზონის იმპერატორი 124, 125, 126, 127, 130, 131, 132, 136, 136, 140, 141, 142, 143, 149, 150, 151
დავით ბეგი 322
დაუდ გურჯი 343, 345
დაუდ-ხანი 248, 281, 282, 283, 298

დაუდ-ხან (უნდილაძე) 200, 201, 299
დაუდ-ხანი, შირვანის გამგებელი 317
დავით უფლისწული 265, 266, 267, 271, 272
დანტე ალიგიერი 31
დედისიმედი 244
დერვიშ მაჰმუდ აღა 206, 207
დესპინე (კატერინა) 141
დიაკუნისშვილი 275
დივ ალი (დივ სულთან რუმლუ) 162, 164, 171, 174
დიმიტრი 37
დუკა 61, 107, 143
დომინიკანელი ლუკა 26
დუშანკა ნიკოლა 37

ე

ეგნატაშვილი ბერი 7, 25, 29, 95, 96, 242, 265
ევლია ჩელები 219, 220, 221, 222, 224, 229
ევგანი IV რომის პაპი 31, 32, 33
ელენე (ლელა) 259, 265, 266, 282
ელენე, სიმონ მეფის ასული 252
ელენე, ტრაპიზონის იმპერატ. მეუღლე 149
ენგელსი ფ. 6, 83
ერთოღული 6, 7, 8
ესაია უზბაში 321
ვათერშვილი ჯ. 197, 199, 202, 203, 205, 206, 208, 211, 289
ვალე, პიეტრო დელა 223, 229, 233, 297
ვლადისლავ III, უნგრეთის მეფე 31, 32, 33, 34, 35, 92, 93, 134
ვავრინი, ვალერიან დე 314
ვახტანგ VI 95, 306—310, 313, 317—323, 325, 327, 329, 330, 332, 337, 341, 347
ვახტანგ მუხრან ბატონი 245
ვახუშტი ბატონიშვილი 35, 101, 102, 111—113, 151—153, 156, 171, 172, 192, 193, 195, 239, 200, 242, 249, 252, 266, 295, 318, 311, 131, 319, 321, 325, 326, 328, 338
ვერაზინი ა. 182, 184, 185, 187, 188, 189
ვერელა, დონ ხუან 213, 214
ვერეს იანოში 116
ვერეშინი 19

ზ

ზაალ-გურჯი ბეგი 243, 245, 247
ზაგანოს ფაშა 59, 60, 106, 107
ზაი, ფერენც 186, 188
ზაქარია კანაკერცი 195, 298, 299
ზაქრა ბაჯი 242
ზბარსკი კშიშფოტი 209
ზეინაბ ბეგუმი (ანა) 242, 243, 248, 249, 257, 268, 269, 270

თ

თამაზ I (შაჰ-თამაზი) 171, 185, 187, 242, 243, 244—248, 363, 257, 263
თამაზი 306, 343, 346
თამაზ II 329, 330
თამარაშვილი მ. 118, 119, 121, 122, 123, 124, 125, 126, 127, 128, 132, 133, 138, 199, 226, 231
თამარი 255, 256, 257
თამარ მეფე 139
თანსელი ს. 161
თეოფანე 202
თეიმურაზ I 191, 192, 197, 198, 200, 201, 203—216, 235, 236, 265, 282, 283, 288, 289, 302, 303
თეიმურაზი 233, 258, 259, 260
თეიმურაზი, კონსტანტინეს ძმა 321
თემურთაშ ფაშა 72
თემურ-ლენგი 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 139, 146
თეოდორა 18, 53, 97, 126
თინათინი 266
თომა 97
თოღრულ ბეგი 3
თუმან ბეგი 163

ი

იასონი 257
იაჰია 308
იბრაჰიმ აღა 325, 326
იბრაჰიმ ფაშა 306, 307, 308, 309, 310, 311, 313, 314, 316, 317, 318, 319
იბრაჰიმი, ყარამანიის ემირი 44

იევლევი, ალექსი 222, 223, 227, 229,
იესო ქრისტე 120
ივანე კარაპეტი 321, 322, 323
ივანკო 20
იმამყული მირზა 242, 243, 252, 253
იმამყული-ხანი 281, 282, 283, 289
იესე (მუსტაფა) ას-სეიპ (მუსტაფა) 319, 325, 326, 341, 342, 344
თვალშვენიერი ივანე 244, 245
იმამ რიზა 281
ინალჯიკი ჰ. 36, 39, 74, 165
ინოხესი 212
იოანე 33, 90, 99
იოანე IV 93, 96, 98, 126, 135, 140, 141, 142
იოანე V 18, 19
იოანე VI 18
იოანე VIII 32, 33, 48, 90, 97
იოანე, თბილისის ეპისკოპოსი 91
იოანე დე კაპისტრანოელი 117
იოანე პალეოლოგი 27
იოანე შიშმანი 21, 21
იოანე ჰალიფონტელი 29
იოთამაშვილი ალიხან 244
იოსელიანი ა. 331, 332
იოსებ თბილელი 295
იოსება 331
ირბახი ნიკიფორე (ნ. ჩოლოყაშვილი) 197, 198, 199, 200, 202, 203, 204, 205, 208, 210, 211, 212, 215, 216, 217, 234, 288, 289
ისაქ მირზა 253
ისიდორე 48, 52
ისმაილი 271
ისმაილ I 155—159, 161—164, 166, 167, 170, 173, 174, 178, 179, 180, 257
ისმაილ II 242, 245, 246, 247, 248, 253, 255
ისმაილ ბეგი, სინოპის გამგებელი 59, 144
ისმაილ მირზა 252
ისქანდერ მირზა 253
ისქანდერ მუნში 193, 194, 200, 246, 250, 263, 264, 266, 270, 271, 273, 280, 281, 282, 292
ისჰაკ ფაშა 44, 314, 323, 326, 341, 344
იუსუფ ხანი 194
იუსუფ ფაშა 346
იფრაკო

კაკაბაძე ს. 87, 124, 153, 174, 197, 198, 237, 295, 296, 337
კალენდაროღლუ 284
კალიქსტ III 117, 118, 120, 121, 123
კანსუჰ ალ-ღური 167, 168
კანტემირი დიმიტრი 102
კარლოს V 11, 24, 133, 134, 135, 136
კარლოს VI 21
კარიჭაშვილი დ. 199
კარპოვი ს. 137
კარჩი-ხანი 191, 192
კანტაკუზენი 17, 18
კასიმ ბეგი 144
კატერინა 151
კატაკოლინუ თომა 149
კაციტაძე დ. 23, 25, 26, 27, 29, 174, 200, 242, 243, 277
კეკელიძე კ. 118, 138, 141, 199, 265
კიკნაძე რ. 164, 171
კილასონია ა. 228
კილბურგი 232
კლავიხო 27
კილიჩ ალი ფაშა 26
კირზიოღლუ მ. ფ. 112, 113, 154, 162
კობელიჩი მილოშ 20
კოდინიაკი მ. 188, 189
კოკო 56
კოლაროვი ვ. 344
კონსტანტინე 337, 338, 341, 344, 346, 347
კონსტანტინე II 156
კონსტანტინე XI 32, 44, 45, 47, 48, 50, 51, 52, 56, 57, 58, 59, 60, 61, 95, 97, 98, 99, 100
კონსტანტინე (მაჰმად-ყული-ხანი) 306, 307, 308, 311, 312, 313, 314, 315, 316, 317, 318, 320, 321, 322, 324, 329, 330, 331, 332, 333, 335, 336
კონსტანტინე მიხაილოვიჩი 147
კორვინი, მათეაშ 128, 129
კოჩი ბეი გორიჯელი 68, 73
კურმენენი 232
კუცია კ. 194, 195

ლ

ლაზარე. სერბიის მეფე 19, 20
ლალა შაჰინ ფაშა 66, 72
ლამბერტი არქანჯელო 218, 219, 220, 223, 224, 225, 227, 228, 230
ლაონიკე ხალკოკონდილე 142, 149, 150, 151
ლევანი 157, 171, 172, 174, 180
ლეონ X 177
ლომენილო ანჯელო 106
ლორედანი 57, 58
ლუარსაბი 252, 258, 259
ლუარსაბ I 265, 266, 272, 273, 275
ლუარი სან დე 135
ლუდოვიკო ბოლონიელი 101, 118, 119, 120, 121, 122, 124, 125, 127, 128, 129, 131, 132, 133, 134, 137, 138, 140, 141, 142

მ

მაისურაძე გ. 321—323, 330, 335, 336, 344, 347
მალენგრი კლოდ 282
მამია გურიის მთავარი 124, 171,
მარიამი, ლევან დადიანის და 235
მარია (თამარი) 19
მალიქ შაჰი 4
მამისთვალიშვილი ე. 118, 120, 133, 138, 148, 149, 150, 151, 161, 159
მანუელი 27, 45
მანუელ II 22
მანუჩარი 162, 164, 169, 170, 171, 252, 309
მარქსი კ. 6, 83
მარკო 19
მატუშკინი მ. ა. 330
მაქსიმილიანე I 177
მაჭარაძე ვ. 131
მაჭდი ულია 248
მაჰმუდი 306
მაჰმუდ ფაშა 145
მგალობლიშვილი მ. 229
მეჰმედ სულთანი 264
მეჰმედ I 40
მეჰმედ II (ფათიჰი) 12, 33, 34, 35, 40, 43—47, 51, 54, 56— 62, 64, 65, 68, 95, 101, 103, 105—108, 110—112, 114, 117, 122, 126, 139—148, 150, 151
მეჰმედ II, ყირიმის ხანი 208, 209
მეჰმედ III, 277
მეჰმედ ბეგ ყაჯარი 329
მეჰმედ სურეა 284, 285, 300
მზეჭაბუკი 159, 160, 161, 162
მილერი ვ. 138
მირზა სალმანი 250, 251
მილნიკოვი ალექსი (ალიოშკა) 194
მინორსკი ვ. 145
მინო მ. 301
მინოტო 57
მირზა ბეგი 169, 170
მონოეტო 213
მონტეირეი 2, 11
მონტესკლაროსი დე 212
მორად არმენიელი 128
მორვალი 182
მოსკო დონ მიქელ 289
მოჰამედ თურქმანი 148
მოჰამედ-მირზა (შაჰ-ხოდაბანდე) 242, 245, 248, 249
მუთაქაქილ III 168
მურად-მირზა 245
მუსტაფა ფაშა 334
მურად I 10, 11, 12, 15, 18, 19, 20, 30, 64
მურად II 30, 31—34, 40, 43, 92, 93, 97, 98, 99, 101, 111, 112
მურად III 73
მურად IV 207, 220, 223, 290, 291, 292
მურად აღა 270
მუსტაფა I 207, 285, 286, 289, 290
მუსტაფა
მუსტაფა ფაშა 317
მუსტაფა ლალა ფაშა 220, 309
მუჰამედ-მირზა 254
მუჰამედი 286
მუჰამედ წინასწარმეტყველი 7

ნ

ნაიმა, მუსტაფა 74, 195, 196, 237, 284, 290, 292, 294, 295, 296, 301, 302, 304

ნაკაშიძე ნ. 197, 198
ნატროშვილი გ. 313, 337, 341, 342, 345, 346
ნატროშვილი თ. 258, 260, 277, 283, 297, 303, 321
ნამი პასან აღა 239
ნესტან-დარეჯანი 258, 275
ნიკოლოზ თბილელი 128
ნიკოლოზ V 116, 117
ნოტარა ლუკა 49, 52

ო

ოდიშელი ჯ. 85, 86, 87, 88, 89, 192
ოლიარი, ადამ 254
ოთარ, არაგვის ერისთავი 310, 327
ონიატე, დელ პადრო 215
ორხანი 8, 9, 11, 13, 14, 15, 18, 19, 33, 52, 69
ოსმანი 6, 7, 8, 9, 10, 14, 15
ოსმან II 207, 285, 286, 287, 292
დ' ოსონი, მურაჯა 73
ოღუზ ხანი 7

პ

პაიჭაძე დ. 118, 119, 120, 121, 123, 124, 128, 129, 130, 132, 133, 134, 136, 138, 139
პაიჭაძე გ. 303, 330, 344, 346
პალეოლოგი მიხეილ 5
პალეოლოგები 17, 18
პეისონელი მ. 320, 346
პეტრე I 315, 316, 320, 322, 328, 329, 330, 331
პიუს II 116, 121, 122, 132, 137

ჟ

ჟიგმუნდ იანოში 190
ჟორდანია გ. 237, 283, 289
ჟორდანია თ. 85, 87, 89, 94, 191, 192, 310, 344
ჟორჟოლიანი ლ. 242

რ

რაბია (ფაბია) 124
რამაზი, დავით X-ის ძე 171
რენსიმენი ს. 145
რეხვიაშვილი მ. 228, 230, 236, 237, 254
რეჯებ ფაშა 323, 324, 325, 326, 328, 341, 344, 345
რიკოტი 102, 300
როდონაია ს. 220
როზაქ-მირზა 252
რომან IV 3
რომანოზი 310, 327
როსტომ-ხანი (ხოსრო მირზა) 305, 335, 336
როსტომ ხან (საყაძე) 298
ივანის როჯაევი 194
რუსეპი 316

ს

საყაძე გიორგი (მოურავი) 183, 190, 192, 194, 195, 196, 200, 201, 222, 266, 294, 295, 296, 297, 298, 299, 300, 301, 302, 303, 304, 305
საბანინი მ. 266
საყარი 19
სალმინ-მირზა 250, 251
სანჯარი 4
სარა ხათუნი, უზუნ ჰასანის დედა 145, 146, 147, 148, 149, 150
სალინიაკი ბარონ დე 271, 272
სამ-მირზა 255
საპატა კარდინალი 212
საფარ ფაშა 237
სახობ-ატა 19
სევინდუქ ბეგი 187
სელიანიჭი მუსტაფა 74
სელიმ I 157—164, 166—170, 172, 173, 176, 177, 178, 270
სენ-ლაზარ დე 282
სენ-მარტენი 86
სეფი I (შაჰ-სეფი) 223, 283, 298, 299
სეფი მირზა 253, 254, 255
სეფი-ედ დინი 35
სეფი ყული-ხანი (უნდილაძე) 296
სიაუშ ბეგი 246
სიგიზმუნდ I 21
სინან ფაშა 168
სვანიძე მ. 70, 74, 75, 76, 81, 157, 163, 174, 185, 186, 200, 201, 218, 245, 262,

263, 270, 271, 275, 281, 283, 295, 309, 338, 347
სიმონ I 191, 221, 248—254, 264, 267.—270, 272.—276, 298
სიმონ ლეჰაცი 286, 287
სკანდერბეგი 31, 32, 34, 35, 51, 118
სტეფანე 20
სტრაშიმირი ივანე 21
სულეიმან I 78, 173, 178, 179, 182, 183, 184, 186, 187, 188, 189, 190, 270
სულეიმან, ბაიაზიდის ძე 40
სულეიმან მირზა 255
სულეიმან, ორხანის ძე 15, 18
სულეიმან, ოღუზ-თურქთა წინამძღოლი, ორხანის მამა 6
სულთან ზადე ხანუმი 242, 246
სულთან მუჰამედ-მირზა 252
სფრანძესი გ. 96, 97, 98, 99, 100

ტ

ტაბატაძე კ. 23, 25, 26, 27, 29, 242, 246
ტაბაღუა ი. 197, 199, 204, 205, 206, 207, 208, 210, 211, 212, 213, 214, 215, 216, 226, 234, 282, 283, 289
ტალეირანი 138
ტავერნიე ჟ. 65, 67, 68, 70, 81, 82, 225
ტარდი ლ. 116, 128, 178, 179, 180, 182, 184, 185
ტივაძე თ. 195, 209, 286, 287, 291
ტიკაძე მ. 169
ტლაშაძე ი. 323
ტომაზო ჯერონიმო დე 231
ტრევიზანი 52
ტუსი, ეოფრუა დე 93, 94, 135

უ

უზუნ ჰასანი 40, 126, 127, 140, 141, 142, 144, 145, 146, 147, 149, 151, 152, 153, 155
უზუნჩარშილი ი. 184, 240, 317
უმარ ფაშა 335
უმეშა 19
ურბანი 47, 54, 55
ურბან VIII 215, 216, 223, 297
უსპენსკი ფ. 53, 97, 138, 152

ფ

ფალმერაიერი ა. 138, 152
ფალსაფი ნასროლა 242, 243, 244, 246, 250, 251, 252, 254, 255, 256, 257, 259, 260, 278, 280, 281
ფარსადანი 128
ფარჰად ბეგ ჩერქეზი 254
ფარჰად ხან ყარამანლუ 256
ფახრიჰ-ჯან ბეგუმი 252
ფერდინანდ I 178, 179, 180, 183, 188, 189, 190
ფეიერი 201
ფეიქარ-ხანი 250
ფელიჩე 214

ქ

ქათიბ ჩელები 280, 290, 291, 292, 294, 296, 301, 302, 304, 337
ქაიხოსრო I 162
ქაიხოსრო II 242, 244, 245
ქაიხოსრო (მალაქია) გურიელი 236
ქეთევანი 261
ქუჩუქ ჩელები ზადე 306, 307, 308, 309, 310, 311, 312, 313, 315, 316, 317, 318, 325, 327, 335, 336, 346, 342, 345, 340

ყ

ყადი-ხანი 273
ყარა-ბაზიჯი 263, 284
ყარა-იუსუფი 25
ყარა-ხანი 245
ყაფლანიშვილი ერასტი 342
ყარა ჰალილ ჰაირყუდინ ჯანდარალი 66
ყარჩიღა-ხანი 200
ყაუხჩიშვილი ს. 7, 95, 96, 97
ყვარყვარე II 119,120, 124, 129, 164
ყვარყვარე III 162, 163, 164, 169, 170, 171, 175
ყვარყვარე ათაბაგი 117, 123, 124, 128, 309
ყიზილ აჰმედ ოღლუ 169

შ

შაბანოვიჩი ჰ. 74
შალიკაშვილი 248
შალიკაშვილი ოთარ 242, 243, 248, 257
შამსი-ხანი 292
შამხალ-ხან ჩერქეზი 246
შენგელია ნ. 4, 305, 307, 337
შარაშიძე ქრ. 162, 244
შარდენი ჟ. 228, 229, 239
შაჰინ გირეი 209
შაჰინ ფაშა 15
შაჰ-ყულუ ბენ ჰამზა 187
შაჰ-ჰუსეინი 306
შეიხ-ჰუსეინი 216
შენბერგი 235
შერგილაშვილი ფილიპე 335
შერლი, ანტონ 279
შერლი, რობერტ 279
შერეფ-ხან ბითლისელი 242, 243
შიშმანი, ბულგარეთის მეფე 18, 19
შიშმანი ივანე 19

ჩ

ჩელები ევლია 109
ჩელები ზადე იხ. ქუჩუქ ჩელები ზადე
ჩინგიზ ხანი 6
ჩოჩიევი ვ. 238
ჩხეიძე სეხნია 308, 319
ჩუბინაშვილი 319

ც

ცეზარინი იულიან 31, 32, 92
ცინცაძე ი. 220, 223, 233

ძ

ძამპი ჟოზეფ 234

ჭ

ჭიქინაძე ზ. 192
ჭყონია ალ. 192

ხ

ხალილ ფაშა 285, 291, 292
ხანთაძე შ. 310
ხანფარავან ხანუმი 242, 243
ხარიტონი იგუმენი 209
ხვარაშანი 265, 266
ხორეშანი (ფერი) 258, 259, 260
ხოდაბანდე (შაჰ-ხოდა ბანდე) 250, 252, 253, 254, 257
ხოსრო მირზა (როსტომ ხანი) 298, 299, 300
ხუსრევ ფაშა 292, 294, 295, 296, 297, 300, 301, 302, 304

ჯ

ჯავახიშვილი ივ. 49, 61, 85, 86, 118, 122, 123, 124, 125, 127, 128, 138, 174, 179, 280
ჯამბურია გ. 197, 303, 305
ჯანიბეგ გირეი 209
ჯაფარ ფაშა 262
ჯიქია ს. 195, 220, 222, 238, 269, 307, 314
ჯუსტინიანი, ჯოვანი 51, 53, 54, 66
ჯონი 37
ჯუღიჩე, ჯუზეპე მილანელი 197, 230, 231, 232

ჰ

ჰადის ოღლუ 159
ჰალილ ფაშა 58, 59
ჰაიდერ ფაშა (ჩერქეზი) 219
ჰამად ფაშა 159
ჰამერი ჟ. 18, 273, 274
ჰამზა-მირზა 246, 250, 251, 252, 257
ჰასან-მირზა 252
ჰასან ფაშა 196
ჰასან რუმლუ 164, 169, 171
ჰაფეზ აბრუ 26
ჰაჯი გირეი 110
ჰეიდარ-მირზა 242, 243, 244, 245, 246, 247, 248
ჰეიდბორნი ა. 72
ჰენრიხ II 183, 186
ჰენრიხ IV 273
ჰერბერტი თ. 253, 254
ჰუნიადი იანოშ 31, 34, 35, 44, 50, 92, 117, 135

Аббас I 256, 257
Абаза-паша 286, 349
Абрамян А. Г. 315
Абуладзе Ц. А. 239, 334, 336
Алаверди-хан Уидиладзе 349
Александр 256, 257
Апасян А. С. 84
Анкарский Абрам 84
Анчабадзе З. В. 104
Арутюнян П. Т. 329

Д'Асколли Э. Д. 228
Ахмет 288

Багратиони, Гульчара 349
Бадян В. В. 105
Бакар 332
Барановский 209
Бартольд В. В. 23, 165, 168
Белокуров С. А. 225, 256, 265

Вахтанг VI 349
Весело Е. Б. 63
Веселовский Н. И. 257
Волков М. 109, 110, 111, 114
Восканян К. В. 315

Габашвили М. В. 105
Гасратян М. А. 16
Гордлевский В. А. 4, 69, 169
Греков И. Б. 177

Давид (Дауд-хан) 256
Данилов Э. В. 105
Дарбинян М. О. 286, 299
Димитров С. 17
Дилон В. А. 315
Дука 46, 47, 49, 56, 59, 63, 84, 105, 108
Джустинияни, Джовани 56

Елчин, Федот 225
Еремеев Д. Е. 16, 71

Желтяков В. Д. 109
Жуков К. А. 16
Жордания Г. 237

Закария Канакерци 299
Захарьев П. 225
Зевакин Е. С. 104, 232, 235
Зулалян М. К. 285

Ибрагим бейли Х. М. 286
Иванов Н. А. 165, 169
Ивонин Ю. Е. 178
Иоаннесиян А. 315

Какаш Е. 253
Карпов С. П. 94, 108, 130, 131, 134, 136, 138, 139
Клавихо, Рюи Гонсалес де 27
Константин 322
Константин Михайлович из Острави 84, 148
Крымский Е. А. 29

Лехаци, Семион 286, 288, 293
Левченко М. В. 305
Лысцов В. П. 316

Магомет II 49, 57
Мамедов С. А. 286
Магазаник Д. А. 296
Манчев К. 17
Маркс К. 6, 34, 41, 42, 50, 56, 57, 61, 62
Меликянц М. 299
Меркуня 257
Мехди Бек Каджар 329
Мехмет Кули 315, 316, 331
Мурад 34

Накашидзе Н. Т. 199
Новосельцев А. П. 24
Новичев А. Д. 16, 17, 35, 38, 64, 78, 181, 183, 287
Нотара Лука 49

Олиари Адам 254
Орбели И. А. 193
Орешкова С. Ф. 16

Пайчадзе Г. Г. 330, 344, 347
Пенко Н. 104
Петросян Ю. А. 16

Петрушевский Л. Б. 63
Полиевктов М. А. 209, 232, 235, 288

Рашба Н. С. 285
Рансимен С. 46, 47, 49, 53, 56, 58, 59, 61, 63, 90, 106, 108, 145, 152.
Рогов А. И. 84, 148
Руссо 316

Саакадзе Г. 349
Сванидзе М. Х. 112, 232
Селим I 318
Скрипиль М. О. 84
Смирнов Н. А. 63, 84, 181
Сперанский М. Н. 84
Стасюлевич М. М. 63
Степанова А. С. 63
Строева Л. В. 25
Струве В. В. 66

Тверитинова А. С. 15, 285
Теймураз 288
Тектандер 253

Удальцова З. В. 17
Успенский Ф. И. 17, 44, 53, 56, 63, 97, 125, 126, 136, 139, 146, 147, 150, 152

Франдзи Г. 56, 59, 61, 84
Фергат-хан 256

Халкокондилас Лаоник 63, 106

Челеби Эвлия 109

Цветкова Б. А. 38, 81

Шамсутдинов А. М. 16
Шараф-хан Бидлиси 242, 243
Шах-Наваз хан 322, 329
Шенгелия Н. Н. 239

Энгельс Ф. 6, 34, 41, 42, 50, 56, 57, 61, 62
Эфендиев О. А. 155, 156, 246, 247, 248

Якобсон А. Я. 105
Якубовский А. Ю. 23

Abbas I 262
Adle Ch. 154, 157, 168
Akbağ M. 285
Aktepe Münir 336, 334, 345
Ayni Ali 79

Babinger Fr. 44, 63, 108, 142, 144, 149
Bagrationi-Orsini K. 199
Bacqué Grammont J. L. 154, 157, 158, 161, 162, 163, 164, 169, 170, 172, 175, 182
Barkan Ö. L. 41, 74, 81
Barozzi 265
Berchet 265
Bowen, Harold 73
Bryer A. 120, 125, 126, 127, 128, 131, 132, 133, 134, 135, 136

Berindei Mihnea 105
Brosset M. 86, 117, 125, 194, 263

Charrière E. 176, 177, 178, 179, 182, 183, 186
Chesneau J. 183
Cvetkova B. 32, 35, 93

Danişmend I. H. 16, 67, 90, 159, 188, 218
David X. 154
Ekrem Reşat 182

Fallmerayer J. 152
Feridun Bey 162, 164, 169, 170

Fekete L. 188, 189
Ferro Bartlomeo C. R. 303

Frigueroa, Don Garcia de Silva 255

Gibb, H. A. 73
Gouvea, Antonio 157, 251, 264, 269, 270, 275, 279, 280
Gökbilgin M. Tayyib 72

Hammer J. 148, 159, 180, 196, 254, 266, 273, 274
Heidbern A. 72
Heyd W. 104, 105, 106, 111, 131, 132

Inalcik H. 16, 36, 38, 39, 40, 41, 74, 81, 166

Janssens E. 134, 139
Jorga N. 117, 159

Kemal Ibn 153
Kirzıoğlu M. F. 111, 113, 140, 142, 143, 144, 145, 147, 150, 154, 157, 161, 162, 218, 219
Knolles R. 195
Koçi Bey 45
Kritovoulos K. 108
Kütükoğlu B. 218

Lamartin A. 373
Lanz K. 179

Mignot 195, 301
Miller W. 139, 144, 150
Minorsky V. 145
Mzé-Čabuk 154, 157, 161, 170, 172

Onar Sadik Samı 65
Orkun Hüseyn Namic 66, 57
D'Osson M. 73, 78

Peyssonel M. 320, 346
Podhdrecki L. 293

Ricaut 301

Salignac, Jean Gonteau Biron de 263, 272
Sanuto M. 159
Schaendlisiger A. 183, 190
Selim I 163
Stripling L. W. F. 169
Saint-Martin M. G. 86
Šabanovič H. 75

Talbot T. 71
Tardy L. 179, 184, 186, 187, 188, 189, 190
Tesla 189
Tansel S. 162

Ursu I. 178
Uzunçarsili I. H. 14, 16, 72, 78, 79, 154, 184, 240, 267, 317, 318

Venstein Gilles 105
Vincent S. 181, 182
Vallé Pietro della 223, 229, 233

Wittek P. 16

Yaşar Yücel 140, 142, 143, 144, 145, 147, 150

გეოგრაფიული

აბარანი 334
ადრიანოპოლი (ედირნე) 18, 32, 33, 37, 43, 44, 45, 72, 107, 108, 111, 113, 114, 151, 152, 158, 164, 184

ავსტრია 180, 180, 182, 183, 268
აზერბაიჯანი 3, 313, 314
აზია 22, 33, 35, 62, 71, 72, 177, 182, 189, 213, 253, 286

მცირე აზია 3, 4, 5, 6, 23, 24, 29, 31, 33, 34, 44, 92, 93, 116, 121, 122, 123, 127, 141, 144, 158
აზია წინა 22, 24, 29, 84
აზოვი (ტანა) 24, 104, 115, 128, 227
აზოვის ზღვა 115, 185, 226
აიდინი 13
აკერმანი (მონკასტრო) 104
ალამუტი (ქაჰკაჰი) ციხე 245, 247
ალაჯა 26
ალბანეთი 20, 32, 33, 35, 38, 92, 117, 118
ალბისტანი 161, 167
ალგეთი მდ. 192, 325
ალეპო 25, 166, 167, 168, 169, 170, 208, 232, 233, 286
ალექსანდრეტა, 232
ალთუნ ყალა 302
ალჟირი 172, 176
ამასია 186, 188, 189, 274
ამასტრა 144
ამიერკავკასია 23, 157, 170, 173, 176, 180, 181, 220, 248, 258, 261, 262, 269, 369, 306, 314, 317, 328, 329, 330, 331, 332, 333, 345, 347
აღმოსავლეთ ამიერკავკასია 104, 170, 218, 306, 318, 332, 333
ანადოლუ ჰისარი 45, 98, 92
ანაკლია 226, 227
ანაკოფია 124, 226, 227
ანატოლია 4, 5, 9, 10, 13, 21, 28, 32, 39, 41, 45, 145, 158, 186, 211, 263, 285, 287
აღმოსავლეთ ანატოლია 5, 158
ჩასავლეთ ანატოლია 9
აღმოსავლეთ და ცენტრ. ანატოლია 207, 287
ანკარა (ანგორა) 8, 13, 27, 28, 29, 72, 144, 207, 287
ანტიოქია 121, 123, 127
არაბეთის ნახევარკუნძული 164
არარატი 335
არარატის ველი 334
არალის ტბა 3
არაქსი მდ. 161
არეზი 191
არზრუმი 28, 145, 185, 186, 207, 246, 285, 286, 287, 289, 290, 291, 194, 305, 309, 326, 334
ასტრახანი 24, 194
ატენი 325, 338, 341, 342, 344, 345, 346
ატიკა 21
აფრიკა 172, 177, 206
აფხაზეთი 108, 111, 112, 113, 119, 124, 219, 229, 289
აღჩაყალა 140, 93, 35
ახლო (მახლობელი) აღმოსავლეთი 3, 4, 5, 118, 119, 119, 127, 164, 176, 198, 201, 203, 261, 305, 320
ახალი ათონი 104
ახალქალაქი 164
ახალციხე (ჩილდირი) 207, 223, 237, 239, 240, 245, 291, 323, 335

ბაზალეთი 294
ბათუმი 93, 104, 134, 219, 226, 227
ბაიბურთი 169
ბალკანეთი 8, 17, 30, 32, 34, 35, 37, 38, 39, 62, 92, 93, 135
ბაქო 175, 314, 316, 317, 330
ბაღდადი 3, 24, 25, 26, 181, 195, 236, 294, 295, 296
ბაჰრეინის კუნძულები 278
ბელგრადი 31, 176, 11, 118
ბიზანტია 3—8, 17—19, 22, 24, 27, 31, 32, 33, 35, 44, 47, 48, 53, 56, 84, 85, 86, 89, 90, 92, 93, 95, 97, 98, 100, 103, 105, 150
ბითინია 210
ბილენჯიკი 6
ბიჭვინთა 104, 226
ბოლუ 13, 144
ბოსნია 38, 290
ბოსფორი (ბოსფორის სრუტე) 32, 34, 45, 46, 47, 53, 89, 90, 93, 100, 105, 111, 114, 20
ბუდა 33, 179
ბოჰემია 216
ბულგარეთი 18, 19, 20, 34, 92, 117, 118, 344
ბურგუნდია 33, 92, 133, 134, 134, 135, 136, 226

ბერსა 7, 8, 18, 26, 29, 62, 127, 144, 207, 289

გაგრა 104
გალათა (პერა) 56, 103, 106, 107, 108, 109
გალიპოლი (გელიბოლუ) 18, 144
გალიპოლის ნახევარკუნძული 18, 19, 70
განჯა 33, 256, 307, 310, 314, 315, 316, 317, 318, 324, 329, 330, 331, 332, 333, 334, 336, 346
გატეხილი ხიდი 334
გენტი 136
გენუა 103, 105, 109, 114, 117, 130, 132
გერმანია 52, 116, 183, 202
გოლშტეინი 235
გომარეთი 325
გონიო 93, 104, 200, 206, 210, 219, 228, 237
გორი 171, 245, 262, 307, 313, 327, 334, 337, 338, 339, 340, 340, 342, 344, 345
გორლოსი (ჩორლუ) 18
გორბანეს უღელტეხილი 334
გუმრი 334
გურია 219, 226, 227, 240
გუფთა 342, 346
გუჯარეთი 325

დაბიკას ველი 168
დამასკო 25, 168, 169, 170, 208, 286
დარდანელი 29, 46, 57
დარდანელის ზღვა 8
დარდანელის სრუტე 32
დერბენდი 330
დიარბექირი 196
დნეპრი 234
დობრუჯი 21
დონი მდ. 128, 185
დრანდა 237
დუნაი მდ. 31, 34, 93, 128, 134, 183, 186
დუნაისპირეთი 34, 50, 184

ეგეოსის ზღვა 108, 117, 127
ეგეოსის კუნძულები 62
ეგვიპტე 23, 25, 104, 163, 164, 165, 166, 170, 172, 177, 178, 290
ედი-კულე 275
ედირნე იხ. ადრიანოპოლი
ევროპა 18, 21, 24, 30—35, 51, 62, 72, 92, 117, 128, 134, 137, 139, 163, 165, 168, 170, 173, 174, 176, 177, 178, 180, 183, 184, 189, 190, 197—203, 205, 208, 213, 216, 217, 231, 232, 233, 234, 235, 267, 268, 271, 278, 288
აღმოსავლეთ ევროპა 38, 104, 181, 200

დასავლეთ ევროპა 21, 31, 32, 85, 100, 104, 123, 128, 133, 137, 138, 142, 165, 181, 197, 198, 262

სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპა 176, 181
ცენტრალური ევროპა 21, 178, 179
ევფრატი მდ. 6, 167, 170
ელზასი 183
ენჩიკოი 209
ერაყი 294
ერზიჯანი 23, 26, 145, 169
ერევანი 160, 184, 223, 2445, 307, 319, 318, 326, 334—337, 345, 346
ესპანეთი 199, 202—206, 208, 210—215, 234, 288, 289
ესქიბართი 336
ესქიშეჰირი 5, 8, 13

ელახეთი 32, 33, 92, 186
ვალიადოლი 199
ვანი 183
ვარნა 34, 35, 92, 93, 94, 135
ვენა 128, 129, 179, 180, 181
ვენეცია 32, 33, 44, 50, 51, 57, 59, 105, 108, 117, 129, 130, 172, 182, 231
ვიდინი 21
ვოზა 72

ზედაველა 342, 344, 347

თავრიზი 26, 159, 160, 161, 176, 253, 262, 346
თბილისი 175, 191, 200, 218, 221, 227, 239, 251, 259, 279, 283, 275, 306—314, 317—321, 323, 324, 335, 338, 339, 340, 341
თებე 97
თერჯანი 169
თესალია 38

თქმის ხეობა 342
თმოგვის ციხე 164
თორთუმის ციხე 28
თრაკია 13, 18, 46, 187
თრიალეთი 325, 326

იამბოლი 19
იბერია 97, 98, 100, 106, 107
იერუსალიმი 25, 90, 136, 202, 234
იეშილირმაღი 145
იზმითი 8
იზმირი (სმირნა) 3, 29
იზნიკი 8
იმერეთი 108, 157, 163, 174, 218, 219, 221, 223, 227, 229, 235—238, 240
ინგლისი 134, 234
ინდოეთი 23, 24, 104
ირანი (სპარსეთი) 3, 5, 23, 126, 155, 156, 158, 160—168, 170, 171, 173—177, 179—190, 197—208, 209, 218, 221, 227, 228, 230—237, 241, 245, 248, 250, 251, 253, 257—262, 264, 266—270, 279, 274, 276—281, 283, 291, 292, 294—300, 304, 306, 307, 316, 330
ისპარტა 13
ისპირი 160
ისფაჰანი 259, 279, 281, 282, 298, 300, 306
იტალია 50, 90, 104, 108, 129, 176, 179, 182, 202, 205, 216, 223, 232

კავკასია 208, 209, 234, 242, 250
კაირო 165, 166, 167, 168, 169, 170, 172
კაისერი 40
კაკას ხიდი 236
კაპადოკია 210
კარახისარი 207
კარნობატი 19
კასპიის ზღვა 227, 316
კასპიისპირეთი 306, 330
კასტილია 52
კაფა 103, 104, 109, 110, 111, 114, 185, 228
კახეთი 156, 171, 174, 191, 192, 198, 258, 259, 316, 318, 321, 374
კეისარია 210
კვიპროსი 52, 57, 100
კილია 115
კლარჯეთი 153
კოდორი 237
კოინლუ-ჰისარი 149
კოლა 25
კოლხეთი 128
კონია 5, 8, 29, 30, 40, 301, 302
კორასი (ბალიკესირი) 13
კოსოვოს ველი 20, 35
კონსტანტინოპოლი (სტამბული) 4, 5, 22, 26, 27, 30, 32—35, 43—47, 49—55 57, 58, 60—70, 72, 76, 80, 85—103, 105—123, 125, 126, 129, 130, 134, 135, 152, 153—162, 165, 175, 180—182, 186—188, 196, 198, 206, 208,—211, 216, 225, 228—232, 234, 258, 261, 272, 274, 275, 286—300, 312, 313, 314, 345
კრიტოსი იხ. კვიპროსი

ლარსი 278
ლემნოსი 117
ლესბოსი 44, 143
ლიახვი 157
ლიბანი 172
ლისი მდ. 136
ლიტვა 216
ლოვეჩი 20

მადრიდი 202, 204, 215
მაკედონია 19, 38
მანისა 33, 43
მანასკერტი 3
მანგლისი 342
მანტუა 121, 122, 133
მარაბდა 191, 192, 193, 194, 195, 200, 286
მარაში 168
მარდანი 196
მარმარილოს ზღვა 46, 47
მარიცა მდ. 19
მარტყოფი 191, 192, 193, 194, 195, 196, 200, 286, 314
მედინა 164, 166, 169, 172
მესინა 202
მესხეთი 25, 258
მექა 164, 169, 172, 286
მეშხედი 281

მილანი 37, 134
მოლდავეთი 31, 108, 186
მონკასტრო იხ. აკერმანი
მორეა 62, 101, 102, 103, 114, 316
მოსული 190
მოხაჩი 179

დიდი მოტიხონი 18
მტკვარი 161, 342
მუხრანი 191, 320, 342
მცხეთა 275, 321, 323

ნახიჩევანი 26, 171, 184, 346
ნაჭარმაგევი 142, 202, 212, 213, 216
ნეაპოლი 21, 89
ნიდერლანდები 134
ნიკეა იხ. იზნიკი
ნიკოსია 117
ნიში 19, 31

ოდიში 230, 231
ომანის ზღვა 278
ორდუბადი 346
ორმუზი 233
ოსმალეთი (თურქეთი) 7, 8, 11, 14—16, 18, 21, 23, 24—31, 33—39, 54, 64, 65—73, 75—83, 92, 93, 98—112, 113, 115—122, 123, 125—147, 152—154, 157, 160—170, 172—184, 186,— 197, 200—213, 218—228, 231—233, 235—241, 248—258, 259, 261, 262, 267—274, 278—285, 287, 289—297, 299—304, 306—318, 322—325, 327—330, 332, 333
ოქროს ყურე 52, 56, 57, 64, 103
ონაკოვი 293

პალესტინა 3, 164, 168, 172, 176, 202
პავია 178
პარიზი 134, 282
პელოპონესი 21, 32, 35, 100, 114
პეტერბურგი 330
პიზა 131
პლოვდივი 18, 67
პლოჩნიკი 19
პოლონეთი 33, 92, 163, 202, 208, 209, 216, 228, 232, 233, 234, 235, 285, 277, 293

პონტოს ზღვა 107
პორტუგალია 203

რაგუზა 32, 33, 44
რეიმსი 137
რიონი 185, 218
როდოსი 44, 519, 143, 173, 178, 290
რომი 4, 48, 50, 119, 121, 132, 134, 165, 178, 199, 212, 214, 215, 216, 231
რუმელია 4, 68, 72, 290, 293
რუმელი-ჰისარი 45, 46, 47, 100, 105
რუსეთი 104, 116, 152, 181, 216, 221, 303, 313, 317, 328, 329, 330, 331, 337, 347
რუხი 226, 230

საამილახვრო 342
საბარათიანო 324
საბერძნეთი 19, 21, 35, 95, 123, 187, 229
სადგერი 325
სალონიკი 30
სამარყანდი 29
სამასტრა 114
სამეგრელო 108, 112, 113, 185, 219, 223, 224, 226, 228, 229, 230, 231, 236, 237, 240
სამცხე 160, 164, 169, 191
სამცხე-საათაბაგო 153, 159, 162, 163, 164, 170, 171, 201, 211, 222, 239, 244, 274
საქართველო 4, 7, 23, 25, 26, 84, 88, 91—98, 100, 103, 111—119, 121—128, 134, 139, 149—169 171, 172, 174, 179, 184—195, 198, 200—205, 208, 210—220, 225, 228, 231—237, 239, 251, 258—269, 272—276, 281—288, 294—299, 302—310, 318, 320, 333, 335, 337, 338, 345
აღმოსავლეთ საქართველო 174, 218
დასავლეთ საქართველო 93, 113, 128, 157, 218—222, 226—229, 235—240, 274, 275, 288
საფრანგეთი 133, 134, 136, 137, 177—179, 181—183, 185, 189—190, 202, 216, 231—234
სევანის ტბა 270
სემანკა 199, 205
სერბია 18, 19, 20, 31, 33, 38, 140

სიეასი 21, 25, 28, 207, 287
სინოპი 5, 20, 59, 126, 127, 144
სირია 3, 23, 25, 27, 104, 145, 164, 167, 168, 172, 176, 208
სიღნაღი (სომხეთში) 335
სიცილია 50, 181, 213
სოგდეა (სუდაკი) 104
სოგმენი 159
სოლხატი 3, 4, 110, 116, 127, 231, 250, 322, 323, 324
დასავლეთ სომხეთი 172, 176
სომხით-საბარათიანო 325
სოფია 19, 31, 32, 72, 117, 158, 344
სოღანლუღი 308
სოღანლუღის ველი 334
სოხუმი (სებასტოპოლისი) 93, 101, 104, 111, 113, 219, 226, 227
სპარსეთის ყურე 278, 280
სტამბული, იხ კონსტანტინოპოლი
სტრასბურგი 183
სუდანი 164
სურამი 171, 320

ტანა 130
ტაშისკარი 140
ტიგროსი 161
ტირალა 38
ტირნოვო 21
ტოლედო 52
ტოპლიცა 19
ტრანსილვანია 31, 184, 188, 190
ტრაპიზონი 27, 93, 94, 97, 98, 104, 107, 108, 110, 116, 117, 126, 127, 129—132, 135, 139—144, 147—153, 158, 172, 209—211, 228, 237, 261, 289, 323
ტრიპოლი 232
ტუნისი 181

უკრაინა 228, 234
უნგრეთი 21, 31—34, 50, 51, 114, 116, 117, 128, 177—180, 184, 187, 218, 202, 216
ურალი 3

ფაზისი მდ. 93, 218, 219, 226, 227
ფანარი 202
ფარვანის ტბა 324
ფარსი 278, 279, 280, 282
ფერერა 90
ფილიპოლი 32
ფლანდრია 136
ფლორენცია 50, 90, 129, 130, 130, 132, 134,
ფოკა 326

ქართლი 25, 140, 156, 157, 170—175, 191, 215, 218, 227, 236, 239, 259—262, 274, 305, 309, 312—314, 318—321, 324, 325, 327—333, 336—342
ქესედაღი 5
ქილუიეს მთა 278
ქიოსი 143
ქობულეთი 226, 227
ქსანი 333, 337, 339, 340, 342
ქუთაისი 157, 213, 221, 227, 239
ქუთაჰია 13, 72
ქურთისტანი 172, 176, 294

ღორისთავი 325

ყარაბახი 26, 28, 29, 184, 321, 322, 331, 332, 335, 337, 346, 347
ყაზვინი 242, 244, 245, 247, 256, 322
ყანდარი 195
ყარაკალანი 333, 337, 339, 341
ყარამანია 126, 127, 145
ყარაჯა-არდაჰანი 169
ყარაჰისარი 6, 7, 287
ყარსი 160
ყირიმი 76, 110, 111, 113, 115, 186, 208, 209, 220, 228, 229
ყირიმის სახანო 110

შავი ზღვა 34, 92—94, 103—110, 112—116, 119, 123, 127, 130—134, 141, 185, 202, 209, 211, 212, 218, 221, 225, 226—231, 233—337
შალონი 134
შამი 134
შამქორი 26
შემახა 145
შეედეთი 216, 235
შირაზი 279
შირვანი 175, 250, 317, 335

შოტლანდია 52
შუმენი 20

ჩალდირანი 160, 162
ჩალდირანის ველი 166, 176
ჩერმენი 72
ჩერქეზეთი 229
ჩიმშე 18
ჩინეთი 23, 309, 104
ჩობანის ხიდი 160, 161

ცხინვალი 306, 327, 338
ცხირეთი 342

ჭანეთი 153
ჭოროხი 150, 212

ხიოსი 44, 51, 55, 58
ხმელთაშუა ზღვა 4, 5, 181, 190, 211, 233
ხოფა 226
ხუდაენდიგარი 13
ხულში 32

Артанес 288

Ближний Восток 343

Византия 49

Галата 56
Грузия 348

Восточная Грузия 349

Западная Грузия 348

Черноморское побережье Грузии 348

Гянджа 315, 316, 323

Европа 42, 348

Юго-Восточная Европа 348

Закавказье 331, 332

Восточное Закавказье 349

Золотой Рог 56

Иран (Персия) 49, 257, 348, 349

Казвин 257
Карахисар 6
Картли 3, 29, 32
Кахети 314, 332
Константинополь 49, 56, 58, 65, 84, 348

Малая Азия 6
Марткопи 348
Марабда 348
Намурдан 288

Россия 257, 349

Стамбул 349

Турция 348, 349
Тифлис (Тбилиси) 315
Трапезунд 348

შ ი ნ ა ა რ ს ი

ოსმალთა სახელმწიფოს წარმოშობა 3
ოსმალთა დაპყრობითი ომები XIV—XV სს-ში 17
კონსტანტინოპოლის დაპყრობა 43
ოსმალეთის სახელმწიფოს მართვა-გამგებლობა 54
ოსმალთა მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობა ქართული წყაროების მიხედვით 84
ოსმალთა პირველი თავდასხმა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე . . 103
საქართველოსა და მცირე აზიის ქვეყნების ელჩობა დასავლეთ ევროპაში ანტი-
ოსმალური კოალიციის შექმნის მიზნით (1459—1461) . . 116
1461 წ. ოსმალთაგან ტრაპიზონის დაპყრობა და მისი მნიშვნელობა საქარ-
თველოსათვის 139
საქართველო და ოსმალეთი XVI ს-ის პირველ მეოთხედში 154
1514—1555 წწ. ოსმალეთ-ირანის ომი და ევროპის სახელმწიფოები . . 176
მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლების თარიღების დაზუსტებისათვის . 191
ნიკიფორე ირბახის (ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის) ევროპაში ელჩობა ანტიოსმა-
ლური კოალიციის შექმნის მიზნით 1626—1629 წწ. . . 197
დასავლეთ საქართველო და ოსმალეთი XVII ს-ის პირველ ნახევარში . 219
ქართველები ირანისა და ოსმალეთის პოლიტიკურ სარბიელზე XVI—XVII სს-ში 241
ქართველი ქალები შაჰ-თამაზ I-ის კარზე 241
ქართველი ქალები შაჰ-აბას I-ის კარზე 250
ქართველი დიპლომატი ქალი გულჩარა ბაგრატიონი 261
ალავერდი ხანი (უნდილაძე) 277
აბაზა მეჰმედ-ფაშა 284
გიორგი სააკაძე ოსმალეთში 294
ქართველი ხალხის ბრძოლა ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ 1723—1724 წწ. 306
Очерки по истории Грузии и Турции XIV—XVIII вв. (резюме) . 348
პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებლები 350